

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

მასალები XIX ს. 60—90-იანი წლების  
საქართველოს საზოგადოებრივ-  
კულტურული ცხოვრებიდან  
(კირილე ლორთქიფანიძის მიმოწერა)

ტექსტი შესავალი წერილით, კომენტარებითა და  
საძიებლით გამოსაცემად მოამზადა  
ელისო აბრამიშვილმა



გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი

1981

Ի-Փ-(C-41)  
87-3-(2-Բ)...  
(092 ლორთქიფანიძე კ.)  
მ. 362..

წიგნში შერჩევითაა წარმოდგენილი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის — კირილე ლორთქიფანიძის მიმოწერა. მასში მოწოდებულ ცნობები რამდენადმე აცოცხლებს სხვა ქართველ მოღვაწეთა (გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, ნ. ლოლობერიძე, ს. ხუნდაძე და სხვ.) სახეებსაც და შეუქს ჰყენს XIX საუკუნის 60—90-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებას.

რედაქტორი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი  
პროფ. ვ. ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე

## შესავალი

„მას აქეთ, რაც მე ჩემ თავს ეიცნობ, მე ერთი წადილის მეტი არ მქონია, ერთი ღმერთის გარდა სხვისთვის თავყვანი არ მიცია... მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, ავად თუ კარგად, როგორც შემეძლო, როგორც ჭკუა მიჭრიდა, მე შენ მიყვარდი, როგორც ჩვენი ქვეყნის კაცი, ჩემი თანამემამულე და ძმა, როგორც ისეთი პირი, რომლის ბედი და უბედობა, რომლის ავი და კარგი ჩემი პირადი ბედი და უბედობა, ჩემი საკუთარი ავი და კარგი მეგონა... ყოველთვის, სადაც კი ვყოფილვარ, ერთი საგანი მქონია: შენთვის დამზადება, შენთვის სამსახური, შენი სარგებლობა... უსხვაგან და ჩვენში, მწერალი და გაჩუმებული ნიადაგ შენი ერთგული და შენი მსახური ვიყავი“.

ეს სიტყვები, მიმართული სამშობლო ქვეყნის მიმართ, ნიკო ნიკოლაძეს ეკუთვნის, მაგრამ იგივე შეიძლებოდა ეთქვა კირილე ლორთქიფანიძესაც, რომლის მიმოწერასაც ეძღვნება წინამდებარე წიგნი, და არა მარტო მას, არამედ აქ თავმოყრილი წერილების ყველა ავტორსა თუ ადრესატს. ზოგი მათგანი ისეთი დიდი მასშტაბისაა, რომ მათ სახელს საუკუნეთა სვლა ჩრდილს ვერ მიაყენებს. მუდამ ეცოდინება ყველა ქართველს, თუ ვინ არის ილია, ვინ არის აკაკი; ვერც ერთი ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი ვერ აუვლის გვერდს გიორგი წერეთელს, ნიკო ნიკოლაძეს; ვერ დაივიწყებს სერ-

გვი მესხს, რომელმაც ასე დაუშურებლად შეალია თავისი სიცოცხლე ქართული პრესის აღორძინებას. კირილე ლორთქიფანიძის სახელი განუყრელადაა დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის ამ გამორჩეულ შვილებთან. ის მუდამ მხარში ედგა მათ და გასული საუკუნის ახალ თაობას, ე. წ. „თერგდალეულთა“ შორის მას უთუოდ ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი ეკავა.

60-იან წლებში, „მამათა და შვილთა“ ბრძოლისას (კირილე მაშინ პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა), ის იყო ერთი აირველთაგანი და, შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო ძლიერი დამცველი „შვილების“ ბელადის — ელია ჭავჭავაძის — პოზიციებისა. თავისი გაბედული წერილებით, რომლებშიაც იგი ბრძოლას უტყაბდებდა ძველ თაობას, კირილემ იმთავითვე მიიქცია ქართველი მკითხველის ყურადღება. მას შემდეგ მოყოლებული ის დროდადრო ბეჭდავდა სტატიებს „ცისკარსა“ და „საქართველოს ვოამბეში“. პეტერბურგში ყოფნის დროსვე, 1864 წელს, მან გამოსცა ქართველ პოეტთა ლექსების კრებული „ჩონგური“, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ჩვენი ხალხის უსაყვარლეს წიგნად ითვლებოდა. კირილე იყო სულისჩამდგმელი ქართველ სტუდენტთა იმ წრისა, რომელიც „ამხანაგობის“ სახელწოდებით იყო ცნობილი. ამ წრის, კერძოდ, კირილეს ინიციატივით 1869 წელს პირველად გამოვიდა ცალკე წიგნად ილიას უკვდავი მოთხრობა „კაცია-ადამიანი?!“ გარდა ამისა, კირილე პატრონობდა პეტერბურგში დაარსებულ ქართულ ბიბლიოთეკას, რომელიც შემდეგში მანვე გადმოაგზავნა საქართველოში. 70-იან წლებში, როდესაც კ. ლორთქიფანიძე საბოლოოდ დაუბრუნდა თავის სამშობლოს, მან კიდევ უფრო გააცხოველა მუშაობა საზოგადოებრივ-კულტურულ სარბიელზე. 1873—1874 წლებში ის რედაქტორობდა გაზეთ „დროებასა“ და „უქრნალ კრებულს“, უფრო მოგვიანებით თანამშრომლობდა გაზეთ „ივერიასა“ და „შრომაში“, ამ უკანასკნელის დამაარსებელი და ხელმძღვანელიც ფაქტიურად კ. ლორთქიფანიძე იყო. აქტიურ მონაწილეობას იღებდა იგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობაშიც. მისივე ინიციატივით ქუთაისში შეიქმნა ქართული წიგნების გამომცემელი საზოგადოება. კირილე სისტემატურად ეხმარებოდა ქართველ მწერლებს თავიანთი თხზულებების დაბეჭდვაში. ის იყო მათი კორექტორიცა და სტილისტიც. პარალელურად ამისა, ეწეოდა თეატრალურ საქმიანობას: აწყობდა ლიტერატურული კითხვის დილა-სალამოებს თბილისსა თუ ქუთაისში, წერდა რეცენზიებს სპექტაკლებზე. დაჯილდოებული სამავალითო ორატორული ნიჭით, ის ხშირად იღებდა მონაწილეობას ამა თუ იმ საკირობოროტო საკითხთან დაკავშირებით გამართულ დისკუსიებში, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი გამოსვლები ქართულ სკოლაში მშობლიური ენის აკრძალვის წინააღმდეგ. დიდი წვლილი მიუძღვის კირილეს აგრეთვე სტამბების გამართვასა და ხელმძღვანელობაში. მანვე შეადგინა ქართული შრიფტი. ეს კირილეს შრიფტია, რომელსაც დღესაც ვიყენებთ ქართული

წიგნების ბეჭდვისას. ყველაფერ ამასთან ერთად ის 30 წლის განმავლობაში თავმჯდომარეობდა ქუთაისის ბანკს. ნახევარ საუკუნეზე მეტი კ. ლორთქიფანიძე დაულაღვად ემსახურებოდა ქართულ საქმეს და ბოლოს თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობა იზით დააგვირგვინა, რომ საკუთარი ბიბლიოთეკა და არქივი ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს გადასცა.

კირილეს ბიბლიოთეკა მოიცავს წიგნებს მეცნიერების სრულიად სხვადასხვა დარგიდან: ლიტერატურიდან, ისტორიიდან, ფილოსოფიიდან, ფსიქოლოგიიდან, პოლიტიკური ეკონომიიდან, ბუნებისმეტყველებიდან, პედაგოგიკიდან (ბევრი მათგანი დღეს უკვე იშვიათობად არის ქცეული). აქვეა წარმოდგენილი იმდროინდელი უშრნალ-გაზეთების („ცისკარი“, „დროება“, „ამირანი“, „ივერია“, „თემი“, „კოლხიდა“, „იმერეთი“, „ისარი“, „მეგობარი“, „სამშობლო“, „სახალხო გაზეთი“, „შრომა“, „სახალხო ფურცელი“, „ჩვენი ქვეყანა“, „ცნობის ფურცელი“ და სხვ.) თითქმის მთლიანი კომპლექტები.

კიდევ უფრო დიდ სიმდიდრეს წარმოადგენს კ. ლორთქიფანიძის არქივი. მასში დაცულია როგორც კირილეს შემოქმედებითი მემკვიდრეობის, ასევე სხვა ქართველ მწერალთა (აკაკი წერეთლის, პარმენ თვალჭრელიძის (ცანელი), მამია გურიელის, გიორგი ქოჩაქიძის (ჭალადიდელი) და სხვათა) თხზულებების ავტოგრაფები.

განსაკუთრებულ ინტერესს ამ არქივიდან მიწერ-მოწერა იწვევს. აქ შეხვდებით არა მარტო კირილეს, არამედ თითქმის ყველა იმდროინდელი მწერლის, საზოგადო მოღვაწისა თუ მეცნიერის წერილებს, მათ შორის ისეთი გამოჩენილი პირების, როგორებიც არიან: ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, ი. გოგებაშვილი, დ. ყიფიანი, ალ. ცაგარელი, ნ. ცხვედაძე, ი. მეუნარგაა, პ. უმიკაშვილი, ნ. ლოლობერიძე, ივ. თარხნიშვილი, ივ. მაჩაბელი, ანასტასია და გიორგი თუმანიშვილები, დ. კარიკაშვილი, ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი და სხვანი. არქივში ასოცდაათამდე წერილის ავტორი დაითვლება.

ათეული წლების განმავლობაში კირილე ფაქიზად ინახავდა თავისი ქვეყნის სახელოვანი მამულიშვილების ნაწარმოებთა ავტოგრაფებსა და კერძო წერილებს, დარწმუნებული იმაში, რომ ამით ის საშვილიშვილო საქმეს აკეთებდა, და, მართლაც, თუ არა კ. ლორთქიფანიძე, დღეს ჩვენთვის ბევრი რამ სრულიად უცნობი იქნებოდა ქართველი ხალხის სასიქადულო შვილების შესახებ; დავიწყებას მიეცემოდა მრავალი მნიშვნელოვანი მომენტი გასული საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებიდან.

კ. ლორთქიფანიძის მიწერ-მოწერიდან გარკვეული ნაწილი ქართველი მკითხველისათვის უკვე ცნობილია<sup>1</sup>. წინამდებარე წიგნში კი შეარჩევითაა

<sup>1</sup> იხ. ილია ჭავჭავაძის წერილები კირილე ლორთქიფანიძისადმი (ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, მიმოწერა, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, თბ., 1961); აკაკი წერეთლის წერილები კირილე ლორთქიფანიძისადმი (აკაკი წერეთელი, თხზუ-

თავნოყრილი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი წერილები<sup>2</sup>. მათში ასახულია XIX ს. 60—70-იან წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტში მყოფი ქართული სტუდენტების ცხოვრება; მათ მიერ დაარსებული წრის „ამხანაგობის“ საქმიანობა, ლექსთა კრებულის „ჩონგურისა“ და ილ. ჭავჭავაძის „კაცია-აღამიანისუ!“ გამოცემის ისტორია. ამავე დროს მოცემულია საგულისხმო ცნობები პეტერბურგში დაარსებული ქართული ბიბლიოთეკის, ძველი ქართული წიგნების გამომცემელი საზოგადოების, ქართული სტანბების, ეურნალ „საქართველოს მოამბის“, გაზეთ „დროებისა“ და ქართული ინტელიგენციის ერთსულოვანი საქმიანობის შესახებ ამავე საუკუნის 60—90-იანი წლების საქართველოში. წერილებში მოწოდებულია აგრეთვე ამა თუ იმ საზოგადო მოღვაწისა და მწერლის ბიოგრაფიული ხასიათის დეტალები, მოღვაწეობის ამსახველი კონკრეტული მასალა და მათი პიროვნებისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალური თვისებები. ამ წერილების საფუძველზე განსაკუთრებით ცხადად იკვეთება ისეთ საინტერესო პირთა სახეები, როგორებიც არიან: ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, კირილე ლორთქიფანიძე.

\* \* \*

კ. ლორთქიფანიძემ მცირე შემოქმედებითი მემკვიდრეობა დაგვიტოვა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან მაინც გარკვეული როლი შეასრულა ქართული აზრის განვითარებაში<sup>3</sup>. სამწერლო-სამოღვაწეო ასპარეზზე კირილე 23 წლის ასაკში გამოვიდა. ის მამინ პეტერბურგის უნივერსიტეტის მე-2 კურსის სტუდენტი იყო. თავის პირველ პოლემიკურ წერილებში: „წიგნი მიწერილი რედაქტორთან ეფეთიმე წერეთლის“<sup>4</sup> და „ორიო დე სიტყვა „ცის-ლებათა სრული კრებული, ტ. XV, გ. აბზიანიძის რედაქტორობით, თბ., 1963), სერგეი მესხის წერილები კირილე ლორთქიფანიძისადმი (ს. ხუნდაძე, მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის, თბ., 1949); გიორგი წერეთლის წერილები კირილე ლორთქიფანიძისადმი (მაცნე“, 1966, № 1); ნიკო ლოლობერიძის წერილები კირილე ლორთქიფანიძისადმი („ლიტერატურული აპარა“, 1965, № 1).

<sup>2</sup> თემა „კირილე ლორთქიფანიძის მიწერ-მოწერა“ (საპუბლიკაციო დამზადებული წერილებითურთ) ჩვენ მიერ დამუშავებული იყო კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის 1963—1964 წწ. სამუშაო გეგმის თანახმად. 1965 წელს ამ შრომიდან გამოქვეყნეთ ნიკოლოზ ლოლობერიძის წერილები კირილე ლორთქიფანიძისადმი („ლიტერატურული აპარა“, № 1), ხოლო 1966 წ. გიორგი წერეთლის წერილები კირილე ლორთქიფანიძისადმი („მაცნე“, № 1); 1968 წელს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის X სამეცნიერო სესიაზე ჩვენ მიერ წაკითხულ იქნა მოხსენება „კირილე ლორთქიფანიძის ეპისტოლარული მემკვიდრეობა“ (თეზისები დაბეჭდილია).

წინამდებარე ნაშრომში კ. ლორთქიფანიძის მიმოწერიდან უკვე გამოქვეყნებული წერილები არ შეგვაქვს; ვერ შეგვაქვს წიგნის მოცულობის განსაზღვრულობის გამო ბევრი ისეთი წერილიც, რომელთა გამოქვეყნება მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

<sup>3</sup> კ. ლორთქიფანიძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ დაწერილებით იხ. კ. მეძვილია, თერგდალეული კირილე ლორთქიფანიძე, თბ., 1965 წ.

<sup>4</sup> „ცისკარი“, 1862, № 4.

კარზედ“ და ახალის ყურნალის სარგებლობაზედ“<sup>5</sup> კირილემ გაბედულად გაილაშქრა ძველი თაობის წინააღმდეგ და თავგამოდებით დაიკცა ილია ჭავჭავაძის სახელი. ორივე ამ წერილში ის დაბეჭვითებით მოითხოვდა ახალი ყურნალის დაარსებას. ამ „ახალ ყურნალში“ იგულისხმებოდა „საქართველოს მოამბე“, რომლის გამოცემასა და რედაქტორობას ილია აპირებდა. ის, რომ კ. ლორთქიფანიძემ ილ. ჭავჭავაძის ლიტერატურულ-სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე ასეთნაირად იგრძნო მისი ინტელექტისა და მხატვრული სიტყვის ძალა, უთუოდ ბევრის მთქმელია თვით კირილეს პიროვნებაზე. კ. ლორთქიფანიძემ იმავეთვე გამოამჟღავნა არა მარტო ცოდნა საერთოდ ლიტერატურისა, არამედ მისი ღრმა წვდომის უნარი, ლიტერატურული გემოვნება და აზრის სითამამე, რომელიც მას არასოდეს დალატობდა. მარტო ის რად ღირს, რომ იგი თავის პირველ სტატიაში ასე გაბედულად შეეხო საყოველთაოდ აღიარებულ ავტორიტეტს — ანტონ I-ს და მისი ლექსებიდან მოხდენილად შერჩეული მაგალითებით თვალნათლივ დაანახვა ქართველ მკითხველს, თუ რა შორს დგანან ისინი ნამდვილი პოეზიისაგან. არც შოთა რუსთაველის სახელის დაპყრობა აპატიო სახელმწიფოებრივ კათალიკოსს და თავისი აღმფრთხილება დაუფარავად გამოხატა: „ვინც „ვეფხისტყაოსანს“ ვერ პოებს დიდი პოეტის დაწერილად, მე იმას პოეტად კი არა, ესთეტიკურად გახსნილ კაცადაც არ ჩავთვლი“<sup>6</sup>.

სწორი ლიტერატურული ხედვა კარნახობდა კ. ლორთქიფანიძეს მაშინაც, როდესაც ის მაღალ შეფასებას აძლევდა ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის, ილ. ჭავჭავაძისა და ლ. არღანიანის შემოქმედებას<sup>7</sup>. ერთ-ერთი პირველი სამართლიანი შემფასებელი ზემოთ დასახელებული მწერლებისა, როგორც ამას კ. მეძველიაც აღნიშნავს, კირილე იყო<sup>8</sup>. ის იყო პირველი აგრეთვე, რომელმაც ნ. ბარათაშვილს „ჩვენი ლერმონტოვი“ უწოლა<sup>9</sup>. ასევე პირველმა მან შეაფასა, შეიძლება რამდენადმე მკაცრად, მაგრამ მაინც სამართლიანად ჭალადიდელის (გიორგი ქოჩაქიძის) პოეზია. კირილემ ამ შემთხვევაშიაც თავისი ჩვეული გამბედაობა გამოიჩინა და ჭალადიდელის ლექსები, რომლებიც თანამედროვეთა შორის ისეთი დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ, რომ მათ მღეროდნენ კიდევ, „დროების“ ფურცლებზე გააცამტვერა. თანაც სწორედ ის ლექსი — „ფაცხა“ გაატარა კრიტიკის ქარცეცხლში, რომელიც განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობდა იმდროინდელ საზოგადოებაში. ჭალადიდელს კ. ლორთქიფანიძე მიაკუთვნებს მოდასაყოფილ მწერალთა რიცხვს, რომლებიც ყოველგვარი გულწრფელობის გარეშე

<sup>5</sup> „ცისკარი“, 1862, № 9.

<sup>6</sup> იქვე, № 4.

<sup>7</sup> იქვე, № 9.

<sup>8</sup> კ. მეძველია, დასახელებული წიგნი, გვ. 107.

<sup>9</sup> „ცისკარი“, 1862, № 9.

უმღეროიან ფაცხას, გლესს, მამულს. „ხატზე და ჯვარზე დავიფიცებ, — წერს კირილე, — რომ ჩვენს ცრუ-პოეტებს არც ფაცხა უყვარდესთ, არც ფაცხაში მცხოვრები“—<sup>10</sup>. ამ სიტყვებიდან ისიც მკლავნდება, თუ რამდენად სწორ მთხოვნას უყენებდა კირილე ჭეშმარიტად მხატვრულ ნაწარმოებებს. მათ აზრით, ხელოვნების ერთ-ერთ აუცილებელ ნიშანს გულწრფელობა უნდა შეადგენდეს.

საზოგადოდ, როგორც ეს კ. ლორთქიფანიძის კერძო წერილებიდან ჩანს, იგი ღრმად ყოფილა ჩახედული ლიტერატურულ საკითხებში. კირილე სავსებით იზიარებს თეორიას — ხელოვნება არა ხელოვნებისათვის, არამედ ხალხისათვის. ამ მხრივ ის მყარად დგას ჩერნიშევსკის პოზიციებზე. 1870 წ., როდესაც „დროებაში“ გამოქვეყნდა ალ. ცაგარლის სტატია „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“<sup>11</sup>, კ. ლორთქიფანიძე ერთ-ერთ თავის პირად წერილში გულსწყრომას გამოთქვამდა ცაგარლის მიმართ, პირველ რიგში, სწორედ იმის გამო, რომ მას თავისი კრიტიკული სტატიის წერისას მომარჯვებული ჰქონდა არა ჩერნიშევსკის, არამედ ლესინგისა და ტენის თეორიები<sup>12</sup>.

კ. ლორთქიფანიძის შეხედულებით, მწერალმა უნდა ასახოს არა გამოგონილი ამბავი, არამედ საკუთარი თვალით დანახული, სინამდვილეში მომხდარი ფაქტი. თანამედროვე პოეტების კრიტიკისას კირილე ირონიულად აღნიშნავს: „საკვირველი ის არის, რომ იმათ მგრძობიარე თვალეში (აგრე ამბობენ, მგრძობიარე თვალეში აქვთო), ყოველივე ნივთილად სხივები შეიღის, მაგრამ თვალეების პატრონები ვერაფერს ვერ ხედავენ. რისთვისო? — ჰკითხავ, მისთვის, რომ ჩვენ პოეტებს ფანტაზია უფრო გახსნილი აქვსთ, ვინემ სანედველა იარაღი...“<sup>13</sup> მაგრამ, კირილეს აზრით, ნამდვილ შემოქმედს მარტო ის კი არ მოეთხოვება, რომ ცხოვრებაში არსებული საგანი თუ მოვლენა განასახიეროს, არამედ მას ისიც უნდა შეეძლოს, რომ „დანახულიდან“ სწორედ ის უჩვენოს მკითხველს, რაც მას რაიმე სარგებლობას მოუტანს.

კირილე დასცინის ისეთ მწერლებს, რომლებიც ნოდარაქოლილები სოციალურ მოვლენებზე თუ ეროვნულ გრძობაზე ისე წერენ, რომ არც ერთი მათგანი მათთვის ჭეშმარიტი განცდის საგანს არ წარმოადგენს. ასეთ მწერლად კირილეს ჰალადიდელის გარდა წყალტუბელიც (გიორგი იოსელიანი) მიაჩნა.

„მე მგონია, — წერს კ. ლორთქიფანიძე, — რომ უფ. წყალტუბელი იმ

<sup>10</sup> „წიგნი მიწერალი მეგობართან“. ზელს აწერს „ცივისელი“, „დროება“, 1870, № 36. საგულისხმო აზრები აქვს გამოთქმული კირილეს ჰალადიდელის შესახებ აგრეთვე ს. მესხისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში, აქვე, გვ. 90.

<sup>11</sup> „დროება“, 1870, №№ 3, 4, 6, 7.

<sup>12</sup> აქვე, გვ. 94.

<sup>13</sup> ქკლ. № 599.



აზრის იყოს, რომ ყოველივე გალობას მხედველობაში სარგებლობა უნდა ჰქონდეს. ამასთან უთუოდ უფ. წყალტუბელს მის გამო, რომ ისიც ცოდვილია, თავისი ლექსები კარგი და სასარგებლო ეგონა. მაგრამ მე გამოტყინილი უნდა გითხრა, რომ იმისი ლექსები ვერც მცირე სარგებლობას ვერ მოგვიტანენ. იმიტომ, რომ იმისი ლექსები ვერაფრით ვერ იმოქმედებენ. მე ძალიან მგრძნობიარე კაცი ვარ, ასე რომ, თუ რომელიმე ლექსში ცოტაოდენად გრძნობით გაცხოველებული საფუძვლიანი აზრია, მაშინვე გული ამიღელდება, მაგრამ არც ერთს წყალტუბელის ლექსებს არ ჰქონია ჩემზედ ამგვარი მოქმედება“<sup>14</sup>.

როგორც ვხედავთ, კ. ლორთქიფანიძეს მთელი სიღრმით აქვს გააზრებული, რომ ჭეშმარიტად მხატვრულ ნაწარმოებს ემოციური ზემოქმედების ძალა უნდა გააჩნდეს. ასეთ ძალას კი, კირილეს აზრით, ნაწარმოები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძენს, თუ მასში განსახიერებული იქნება მწერლის მიერ უშუალოდ განცდილი მოვლენა. კირილეს თქმით, ლექსში „საფუძვლიანი აზრი“ გრძნობით უნდა იყოს გაცხოველებული“<sup>15</sup>.

კ. ლორთქიფანიძის რწმენით, ნიჭი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ აოცრი გახდეს. ეს ნიჭი უნდა აღზარდოს ადამიანმა. შემოქმედი უნდა იცნობდეს მხოლოდ ლიტერატურასა და ესთეტიკის თეორიას, კაცობრიობის წარსულსა და აწმყოს, რათა შეძლოს ახალი ცხოვრების განჭვრეტა. „ნიჭსაც, როგორც ყოველივე მიდრეკილებას და სხეულის თვისებას, — აღნიშნავს კირილე, — აღზრდა უნდა. უაზროდ პოეტად გახდომას ნურავინ იფიქრებს. თუ პოეტებისათვის მარტო პოეტური ნიჭი იყოს საკმაო, მაშინ დაბალი ხალხი იქნება, რომელიც აქამდის ღრმა უმეცრებაშია, ძლიერ ბევრი პოეტები გამოვიდოდა, რადგანაც ამ ხალხში ძლიერ ბევრი იმისთანა ნიჭის პატრონია, რომ ჩვენი სუტ-პოეტები იმათ ფეხის მტვრადაც არ ღირან“<sup>16</sup>.

საყურადღებო აზრები აქვს გამოთქმული კ. ლორთქიფანიძეს თავის კერძო წერილებში მხატვრული ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის შესახებაც. როგორც ჩანს, ამ ორი ლიტერატურული კატეგორიიდან კირილე უპირატესობას შინაარსს ანიჭებდა. ალ. ცაგარელს ის იმის გამოც საყვედურობდა, რომ ქართველ მწერალთა თხზულებების ანალიზისას იგი ფორმაზე უფრო ამახვილებდა ყურადღებას, ვიდრე შინაარსზე. „შინაარსი, იმის აზრით, — წერს კირილე ალ. ცაგარელის შესახებ ს. მესხს, — კუდიანია, რომელიც თუ ტანს (ე. ი. ფორმას) აბია, ხომ კარგი, თორემ უკუდოდაც შეიძლება დაკმაყოფილდეთ“<sup>17</sup>.

კ. ლორთქიფანიძე ცდილობდა, რომ თავისი თეორიული შეხედულებები

<sup>14</sup> ქკლ. № 599.

<sup>15</sup> იქვე.

<sup>16</sup> იქვე.

<sup>17</sup> აქვე, გვ. 94, 95.

პრაქტიკულადაც განეხორციელებინა. წერდა იმის შესახებ, რასაც, მართლაც, რაღაც სარგებლობა უნდა მოეტანა მკითხველისათვის. პირველ რიგში კი ის მიზნად ისახავდა დემოკრატიული სულისკვეთების გაღვივებას ქართველ ხალხში. ამ მიზანს ემსახურება მისი რუსული ენიდან გადმოკეთებული სტატია „შეიარაღებული შტაბები და იქაური ტყვეობა“<sup>18</sup>.

კირილე იყო პირველი, რომელმაც პრესის საშუალებით ქართველ მკითხველს თვალიდან გადაუშალა შენზარავი სურათები ზანგების ცხოვრებიდან. ამავე დროს მან თავის მხრივ ამ სტატიაში გააშუქა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები როგორცაა: პარლამენტი, დემოკრატია, კომუნიზმი. ამ უკანასკნელზე მსჯელობისას გარკვევით ჩანს, რომ კირილე კომუნიზმში — „სრულ კომუნურ დაწყობილებაში“ ხედავს თავის იდეალს. ამ იდეალის მისაღწევად კი, მისი აზრით, საჭიროა ბრძოლა, დამაბრკოლებელი მიზეზების „ღობესავით გადამტერევა“<sup>19</sup>.

კირილეს მსოფლმხედველობის დემოკრატიულ ნიმართულებაზე მეტყველებს აგრეთვე მისი სტატია „საზრდო და მისი მნიშვნელობა სხეულისა და საზოგადოების ცხოვრებაში“<sup>20</sup>, რომლის ავტოგრაფი დაცულია ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში<sup>21</sup>. ამ უკანასკნელის შედარება გამოქვეყნებულ წერილთან ცხადყოფს, რომ ცენზორს დედნიდან ამოულია ის ადგილები, რომლებშიაც ყურადღება სოციალურ საკითხებზეა გამახვილებული. მათში ლაპარაკია შრომისა და შემოსავლის არათანასწორ განაწილებაზე და იმ ანტაგონიზმზე, რომელიც არსებობს მდიდრებსა და ღარიბებს შორის. სტატიაში გატარებულია აზრი, რომ სასიკვდილოდ არის განწირული სწორედ ის, ვინც პატიოსან შრომას ეწევა. ორივე დასახელებულ წერილში აშკარად იგრძნობა კირილესათვის დამახასიათებელი ჰუმანურობა, მისი გულწრფელი თანაგრძნობა ჩაგრულთა მიმართ.

კ. ლორთქიფანიძე პედაგოგიური საკითხებითაც ყოფილა დაინტერესებული. წერილში „ბიძია თონიკეს სტატიის „ტფილისის ტროტუარზე მოგზაურობის გამო“<sup>22</sup> მას ჩაქსოვილი აქვს საყურადღებო პედაგოგიური შეხედულებანი. ამ სტატიაში კირილე გმობს იმდროინდელ სკოლებში გაბატონებულ სწავლების მეთოდებს და ამავე დროს დამაჯერებლად აკრიტიკებს თანამედროვე სახელმძღვანელოებს ისტორიასა, გეოგრაფიასა და ბოტანიკაში იმის გამო, რომ მათში მოწოდებულია მხოლოდ მშრალი ფაქტები, გაუთავებელი,

<sup>18</sup> „საქართველოს მოამბე“, 1863, №№ 11, 12.

<sup>19</sup> იქვე, № 11.

<sup>20</sup> „კრებული“, 1871, № 3.

<sup>21</sup> ქკლ, № 592.

<sup>22</sup> „საქართველოს მოამბე“, 1863, № 4. კირილეს ეს წერილი წარმოადგენს პასუხს „ბიძია თონიკეს“, იგივე ლ. არდაზიანის, დასახელებულ სტატიაზე („ეცისკარი“, 1862, № 7), რომელშიაც სატირულადაა დახატული თანამედროვეობა.

არაფრისმთქმელი თარიღები და შიშველი სახელწოდებები. განსაკუთრებით მკაცრად ილაშქრებს კირილე რიტორიკის წინააღმდეგ, რომელშიაც, როგორც ის ამბობს, „არ მოიბოვება არც ერთი ქვეშარიტების ნატეხი და რომელიც სულ სხვა გზაზე აყენებს ჭკუასა და ცნებას“.

თავისი ცოდნა პედაგოგიის სფეროში კ. ლორთქიფანიძემ გამოაქვლავნა აგრეთვე რეცენზიაში ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოზე „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“<sup>23</sup>. რეცენზიიდან გარკვევით ჩანს, რომ კირილე კარგად იცნობდა ანბანის სწავლების სხვადასხვა მეთოდს. ის საკმაოდ დეტალურად განიხილავს თითოეულ მათგანს და შემდეგ ცდილობს, დაამტკიცოს იმ მეთოდის სისწორე, რომლის მიხედვითაც ანბანის სწავლება იწყება ცალკეული ასოებიდან. ამავე დროს კირილე მოკრძალებული ფორმით აძლევს რამდენიმე შენიშვნას იაკ. გოგებაშვილს. მისი აზრით, არ არის სწორი ანბანის სწავლების დაწყება მოსამზადებელი ვარჯიშის გარეშე: ასოების გაცნობა უნდა ხდებოდეს არა ანბანის რიგის მიხედვით, არამედ იმ ასოებით, რომლებიც უფრო ადვილად გამოითქმის და „გამოიხატება“; ერთ გაკვეთილში სასურველია ახსნილ იქნას არა ხუთი თუ ექვსი ასო, როგორც ამას ი. გოგებაშვილი გეთავაზობს, არამედ—ორი ან სამი. დაბოლოს, კირილე დასძენს: „მაგრამ ანბანი რაც უნდა კარგი მეთოდით იყოს შედგენილი, ვერ ჰოიტანს ჯეროვან სარგებლობას, თუ მასწავლებლები კარგი არ გვყვანან. ცუდი მასწავლებელი კარგი მეთოდითაც ცუდად ასწავლის“.

როგორც ს. მესხის კერძო წერილიდან ჩანს, ი. გოგებაშვილს რეცენზენტის შენიშვნები მიუღია<sup>24</sup>.

ალსანიშნავია, რომ პეტერბურგში ყოფნის დროს, 1869 წ., კირილეს შეუდგენია სახელმძღვანელო „კოთხვა-წერის სასწავლებელი წიგნი“<sup>25</sup>, რომლის წინათქმიდან და ბოლოსიტყვაობიდან ცხადად ჩანს ავტორის დიდი მონდობეობა, გაუადვილოს ბავშვებს წერა-კითხვის ათვისება. მასში გატარებული აზრები, ფიქრობთ, ანგარიშგასაწევი უნდა იყოს დღევანდელი მასწავლებლისაგანაც.

კ. ლორთქიფანიძეს შეუდგენია აგრეთვე თუ უთარგმნია მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და ისტორიის სახელმძღვანელოები<sup>26</sup>. ყოველივე ეს კირილეს ინტერესთა მრავალმხრივობაზე მეტყველებს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ იგი არასოდეს მოკიდებდა ხელს ისეთ საქმეს, რომელიც მას ძირფესვიანად არ ექნებოდა შესწავლილი.

<sup>23</sup> „დროება“, 1869, № 51. ამ რეცენზიაში კირილე ეხება გოგებაშვილის დასახელებული წიგნის მე-3 და მე-4 გამოცემებს.

<sup>24</sup> ს. ხუნდაძე, მასალები..., გვ. 67.

<sup>25</sup> ქკლ, № 461.

<sup>26</sup> ქკლ, № № 461, 476, 609.

კ. ლორთქიფანიძემ თავისი კალამი ლექსების წერაშიაც მოსინჯა. უდიდესი ნაწილი მისი ლექსებია რუსი და უცხოელი პოეტების თხზულებათა თარგმანს წარმოადგენს. კირილემ თარგმნა ნ. ნეკრასოვის, ნ. დობროლუზოვის, ალ. პლეშჩეევის, ივ. ნიკიტინის, ნ. ოგარიოვის, ვიქტორ ჰიუგოს, გორიც პარტმანის, იუვენალის, რობერტ ნიკოლის, ჯაკომო ლეოპარდისა და რობერტ ბერნსის ლექსები, რომლებიც დროდადრო იბეჭდებოდა იმდროინდელ ქართულ პრესაში. 1905 წ. კი კ. ლორთქიფანიძემ ეს ლექსები ცალკე წიგნად გამოსცა „სანთურის“ სახელწოდებით.

კ. ლორთქიფანიძე მოწოდებით არ იყო პოეტი და ეს თვითონაც შესაწინავეად იცოდა. „თუმცა ეს ლექსები პროზაულად არის დაწერილი, — მიმართავს ის ერთ-ერთ წერილში ჟურნალის რედაქტორს, — მაგრამ აზრი, რომ სწელიც აქ არის გატარებული, მამბედვიენებს გთხოვოთ, რომ თქვენის ექსპლანსის მონაველ ნომერში დააბეჭდვიენოთ“<sup>27</sup>.

კირილეს მიერ სათარგმნელად შერჩეული ლექსები, უკლებლივ ყველა, თავისი რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებითა და პატრიოტული გრძობით გამოირჩევა და, თუ მან თავის თავს ნება მისცა ამ ლექსების გამოქვეყნებისა, მართლაც, მხოლოდ იმის გამო, რომ მკითხველებში დემოკრატიული და ეროვნული სულისკვეთება გაელევიებინა. მაგრამ კ. ლორთქიფანიძის არქივში შემონახულმა პროზაულმა ნაწარმოებებმა („ცხენის ძუის ამბავი“, „გამბედავი ძაბი (ბუბგი)“, „ბელურა ჩიტი“, „უგულო თხილი“, „დიდი ობობას ამბავი“, „ეშმაკი მელა“, „წყლის წვეთის ამბავი“, „უზარმაზარი სპილო და პატარა კიანკველა“, „მსუნავი დედოფალა“, „დაჭერილი ჩიტი“, „მწვანე გროში“, „მებარტყე ყორანი“, „წიგნი“, „თავის კირი და ლხინი“)<sup>28</sup> დაგვარწმუნა, რომ ის უდაოდ დაჯილდოებული იყო შემოქმედებითი ნიჭითაც. სამწუხაროდ, თვით ავტორი, როგორც ჩანს, სათანადოდ ვერ აფასებდა თავის ამ შესაძლებლობას, იქნებ, განსაკუთრებული მომთხროვნელობის გამო საკუთარი თავის მიმართ, შესაძლებელია, იმიტომაც, რომ სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე საქმეების მოგვარება უფრო აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა და საამისოდ დრო აღარ ემეტებოდა. ასეა თუ ისე, კირილემ ამ თავის ხალას ნიჰს გაქანება არ მისცა დაშინ, როდესაც მას შეეძლო დაეტოვებინა ნამდვილი პროზაიკოსის სახელი. დღეს კი მის ამ ნაწარმოებებს არამცაუფართო მკითხველი საზოგადოება არ იცნობს, თვით სამეცნიერო ლიტერატურაშიაც კი არაფერია ნათქვამი მათ შესახებ.

კ. ლორთქიფანიძის ზემოთ ჩამოთვლილი ნაწარმოებები დიდაქტიურ-აღმზრდელილობითი ხასიათისაა და თავისი შინაარსითა თუ ფორმით საბავშვო

<sup>27</sup> ქკლ, № 445.

<sup>28</sup> ქკლ, 491.

თხზულებებს წარმოადგენს. ყველა მათგანი ძალზე მცირე ზომისაა და, იშვიათი გამონაკლისის გარდა, გარკვეულ სიუჟეტზე არის აგებული. ავტორის მიერ შეთხზული ამბავი მარტივია, მაგრამ ისეთი, რომელიც საესებით უნდა აკმაყოფილებდეს ბავშვის გონებრივსა თუ სულიერ მოთხოვნილებას. მწერალი მოუთხრობს პატარებს მათთვის ნაცნობი და საინტერესო სამყაროდან (ცხოველებზე, ფრინველებზე, მწერლებზე) და თან ოსტატურად ახერხებს, ამ პატარა მოცულობის თხზულებებში ბევრი საყურადღებო და აუცილებელი ცოდნა მიაწოდოს მათ.

ამ მოთხრობათა წამკითხველმა უკვე იცის, თუ რით საზრდოობს ბელურა, ობობა, ზღარბი, თავვი; რა სარგებლობა თუ ზიანი მოაქვს მათ; იცის ისიც, თუ როგორ წარმოიქმნება წყლის წვეთი, ჟანგი, მტვერი და სხვ.

კირილეს პროზაულ თხზულებებში ფანტასტიკური და სინამდვილისეული ერთმანეთშია გადახლართული, თუმცა ეს უკანასკნელი გაცილებით უარბობს პირველს. ყოველ შემთხვევაში, ისინი შორს დგანან ტიპური ზღაპრებისაგან. მათში, ამბის თვალსაზრისით, ჩვეულებრივ, არაფერი ხდება ისეთი, რომელიც ბუნებრიობის საზღვარს ცილდებოდეს. ფაქტიურად ზღაპრული ამ ნაწარმოებებში ელემენტების სახით არის შესული. ფანტასტიკურია მათში მხოლოდ ის, რომ ობობა იქნება ის თუ ჩიტო, ზღარბი თუ ყორანი, სპილო თუ ჭიანჭველა, უმეტესად თავისთვის უხმოდ ფიქრობენ და განიცდიან. არც ქართული ზღაპრებისათვის დამახასიათებელი დასაწყისი გააჩნია მათ. მწერალი თხრობას იწყებს პირდაპირ, „იყოსა და არა იყო რას“ გარეშე, ვთქვათ, ასე:

„ჩვენი ნეზობლის ეზოში ერთი ხეა, იმ ხეს პატარა ღრუ აქვს და ღრუში ბელურას პაწაწა ბუდე გაუყეობია...“ („ბელურა ჩიტო“) <sup>29</sup>, ან:

„შორს ჩვენგან სახრეთისაკენ იმისთანა ქვეყნებია, რომ ჩვენს საქართველოზედაც უფრო დიდი სიციხეები იცის“... („უზარმაზარი სპილო და პატარა ჭიანჭველა“) <sup>30</sup>, ან კიდევ:

„შენ რომ ეხლა წიგნს ჰკითხულობ, ქალაქის ფურცლებისაგან არის აკინძული...“ („წიგნი“) <sup>31</sup>.

ასეთი დასაწყისი სტრიქონებით, რომლებშიაც თვით ავტორის მონაწილეობაც ჩანს, მკითხველებს უნებურად სიახლოვის გრძნობა უნდა გაუჩნდეთ მწერლის მიმართ და ამიტომაც მისი მონათხრობი უფრო დამაჯერებელი ხდება მათთვის.

თხრობა ამ ნაწარმოებებში მშვიდ, აუჩქარებელ ინტონაციაში მიედინება. ჩვეულებრივ, ისინი ასეთ ტონსა და ტემპში იკითხებიან:

<sup>29</sup> ქკლ, № 491, გვ. 4.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 8.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 13.

„მხიარულად და თავისუფლად ცხოვრობს ტყეში ცელქი, დაუდგარი ჩიტის. ღამით მას ხეზედ სძინავს, დღით კი—გათენებულად დაწყებული დაღამებამდის შტოდან შტოზედ დაფრინავს და ხტის; მზის ამოსვლილამ ჩანს ღამდის ისმის მისი ნახი ჰიკკიკი. ცივი წყაროს წყლით ის იკლავს წყურვილსა და მთელი ტყე და მინდორი მისი გაშლილი სუფრავა. აქ მისი საკენკი მარცვლები ან საკმლის ნაფხვენი ყრია, იქ პაწაწინა კია მიძვრება. ტყეში გემრიელი ხილიც საკმონი არის, მაგრამ ჩიტის ხშირად ვერ ატყობს, რომ ზოგი იმისი საკენკი გულუხვ დედამიწას გაუნზადებია და ზოგი იმის დასაქერად ეშმაკ კაცს დაუყრია“ („დაქვირილი ჩიტის“)<sup>32</sup>.

ასეთი ინტონაციითა და ღინჯი, წყნარი ტონით მწერალა აღწევს მიზანს, შეუქმნას ბავშვებს სასურველი, მყუდრო, სიმშვიდით სავსე ატმოსფერო კითხვის პროცესში.

ავტორი თავის სათქმელს გადმოსცემს ლაკონიურად და ძალზე უბრალო, გასაგები ენით. მას არასოდეს ავიწყდება თავისი მკითხველი — ბავშვი და, თუმც არც ერთ მათგანში ერთი სიტყვითაც კი არ არის გამჟღავნებული მისი დიდი სიყვარული მოზარდი თაობისადმი, მაინც ცხადად იგრძნობა მწერლის სათუთი დამოკიდებულება თავისი პატარა მკითხველების მიმართ. არც ის არის უთუოდ შემთხვევითი, რომ კ. ლორთქიფანიძის ყველა ეს ნაწარმოები მინიატიურულ მოთხრობაშია განხორციელებული — ავტორს არ უნდა, მობეზროს თავი პატარებს, იცის, რომ მათ ხანგრძლივად ყურადღების დაძაბვა უჭირთ. არც საგანგებო შეგონებებით თუ სენტენციებით აწუხებს მათ, და თუ იშვიათ შემთხვევაში ამ მიზნით მიმართავს თავის პატარა მკითხველებს, ეს მიმართვა შეიძლება გაიგოს მხოლოდ როგორც კეთილი რჩევა ისეთი აღამიანისაგან, რომელიც საკუთარ თავს გიტოლებს და განსაკუთრებული სიფრთხილით გექცევა, მაგალითად, დასასრული ნაწილი მოთხრობისა „ცხენის ძუის ამბავი“ ასე იკითხება:

„მამალი ერთხელ ბუჩქზედ ჩამოკიდებულ მახეს წააწყდა, ამოაძრო ჩხირიდან ძუა და ვიკ-ვიკ-ფიკის ძახილით დედალს შეატყობინა: ძვირფასი რაჟე ვიშოვეო და წაუღო. დიდის მეცადინეობით და ერთგულებით შეაბეს ეს გრძელი ძუა თავის ბუდედ და ბოლოები მახლობელთ შტოებზედ გამოაბეს. ბუდის გაკეთება გაათავეს, შიგ პაწაწინა კვერცხები ჩასდეს და გამოტენეს. ყოველწლივ ამ ბუდეში წყვილი ჩიტის ერთჯერ ან ორჯერ თავის ბარტყებს ჩეკავს და ზრდის. ბუდეში ჩაგებულ ბუმბულს წვიმა ალბობს და ქარი აქეთ-იქით ფანტავს ხშირად. დედ-მამამ ახალი ბუმბული უნდა ჩაუგოს თავის პაწაწინა შვილებს. ცხენის ძუა კი დიდ ხანს სძლებს და ბუდედ ურყევად იჭერს. ჩვენ შეგვიძლია, რომ ბუდეში ცხენის ძუა ვიპოვოთ, მაგრამ სჯობია, ბუდედ არ მიუახლოვდეთ და ხე-

<sup>32</sup> ქვ., № 491, გვ. 11.

ლი არ ვახლოვდით, თორემ პაწაწკინა ჩიტებს შეეშინდებოდათ“<sup>33</sup> (ხაზი ჩვენია, ე. ა.).

კ. ლორთქიფანიძის ყველა ეს ნაწარმოები აღბეჭდილია დიდი უშუალო-ბით. ამავე დროს კირილე თავის მხატვრულ ნაწარმოებებში ამქალაქებს სიტყვისა და ზომიერების იშვიათ გრძნობას, რასაც მოკლებულია მისი კერძო წერილები (განსაკუთრებით აღრეული ხანისა, თუმც ისიც გასათვალისწინებელია, რომ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ჩვენ მიერ გამოქვეყნებული წერილები შავად არის ნაწერი).

ამ მოთხრობათა გაცნობა სრულიად გასაგებს ხდის, თუ რატომ მიმართავდნენ თანამედროვენი კ. ლორთქიფანიძეს, როგორც სტილისტს. და მაინც კ. ლორთქიფანიძის მხოლოდ შემოქმედებითი მემკვიდრეობის გათვალისწინებით არ შეიძლება ნამდვილი წარმოდგენა ვიქონიოთ მის პიროვნებაზე. არიან ადამიანები, რომლებიც ბოლომდის ვერ ახერხებენ თავიანთი შესაძლებლობების გამოვლენას, მით უფრო—ბეჭდვით სიტყვაში. ამიტომ, ბუნებრივია, მათი სახელი დროთა განმავლობაში მივიწყებას ეძლევა. ასეთ ადამიანთა რიცხვს რამდენადმე კ. ლორთქიფანიძეც მიეკუთვნება. მაგრამ თავის თანამედროვეთა შორის კირილე სრულიად განსაკუთრებული გავლენით სარგებლობდა, ყველასათვის ცხადი იყო მისი განათლება, ნიჭი, გონება, იშვიათად გამორჩეული ზნეობრიობა. კირილეს პირველი შემფასებელიც მისი თანამედროვე—ნიკო ნიკოლაძე იყო. თავის მოგონებებში, რომელშიაც მას კ. ლორთქიფანიძე ფილიპე ბერიშვილად ჰყავს მონათლული (ცხადია, ასეთი გვარი შემთხვევით არ შეუტრქმევია მეგობრისათვის), შემდეგ საგულისხმო ცნობებს გვაწვდის მასზე:

„...ბევრს ფიქრობდა, ბევრს კითხულობდა, თავისი ცოდნით როდი ვისმეს ჩამოუყარდებოდა. მისი ნიჭი იშვიათად გამოჩენილა, ამიტომ რომ, თუმც დიდი ნიჭი აქვს, მაგრამ ამ ნიჭს მიწაში მარხავს, ერთობ მძიმეა, ერთობ სინდისიანად უცქერის ცხოვრებას და მოქმედებას. საქმეს კაცმა მარტო მაშინ უნდა მოკიდოს ხელიო, ამბობს, როცა ხელში ყველაფერი მზათა გაქვს საქმის ბოლომდე მისაყვანათო...“<sup>34</sup> და შემდეგ:

„საყოველთაოდ განთქმულია მისი მიუდგომლობა, მისი ხასიათის სიმალღე და გონების სისწორე... დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი უფრო აშკარად გამოაჩენს მას...“<sup>35</sup>

ნ. ნიკოლაძის ეს სიტყვები ბევრს მთქმელია. მათში ხაზგასმულია კირილეს ცოდნა, ნიჭი, ჭკუა; გახსნილია მთელი მისი შინაგანი ბუნება; გამოვლენილია ხასიათის ის თვისებები, რომლებიც არ აძლევდნენ მას საშუალებ-

<sup>33</sup> ქკლ, № 491, გვ. 1.

<sup>34</sup> ნ. ნიკოლაძე, სტუდენტობის პირველი დრო, წიგნში: ნიკო ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, I, ს. ხუნდაძის რედაქციით, 1934, გვ. 49.

<sup>35</sup> იქვე, გვ. 50.

ბას, ბოლომდის გამოემყვანებინა თავისი ძალები; ამ სიტყვებშივე ჩანს ნიკოლაძის საყვედური, უფრო სწორად, მისი გულისტკივილი, რომ კირილემ ვერ გააკეთა ის, რისი გაკეთებაც შეეძლო მისი მონაცემების მქონე ადამიანს.

სამწუხაროდ, „მომავალი უფრო აშკარად“ ვერ „გამოაჩენს“ კირილეს შესაძლებლობებს, ვიდრე ეს შეიძლებოდა სცოდნოდათ მის თანამედროვეთ, რადგან, ჩანს, ის მაინც უფრო დიდი იყო როგორც საზოგადო მოღვაწე და მოქალაქე, ვიდრე შემოქმედელი. მომავალს მხოლოდ ის შეუძლია, რომ კირილეს ცხოვრების თვითმზილველის, კერძოდ, ნ. ნიკოლაძის მიერ ნათქვამი სიტყვები ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში რამდენადმე გაამყაროს კ. ლორთქიფანიძის მიწერ-მოწერით, რომელიც დღეისათვის ფაქტიურად ერთადერთ უტყუარ წყაროს წარმოადგენს კირილეს პიროვნების წარმოსაჩენად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კ. ლორთქიფანიძის არქივში ასოცდაათამდე წერილის ავტორი დაითვლება. კირილეს ასეთი პოპულარობა მისი პიროვნული თვისებებით უნდა იქნეს ახსნილი. ის იყო არა მარტო დიდი საზოგადო მოღვაწე, არამედ დიდი ადამიანიც, ადამიანი, რომელსაც, გარდა ეროვნულისა თუ საზოგადოებრივისა, სხვა სასიცოცხლო ინტერესები არ გააჩნდა. ორმოცდაათ წელზე მეტი ის არაჩვეულებრივი კეთილსინდისიერებით, სრულიად უხმაუროდ შოქმედებდა საზოგადოებრივ სარბიელზე და კიდევ უფრო უჩუმრად აკეთებდა უზომო სიკეთეს სხვებისათვის. ბუნებით თავმდაბალი იყო; ოდნავდაც არ იზიდავდა დიდება, სახელი — არასოდეს გამოუქვეყნებია წერილებზე საკუთარი სახელისა და გვარის ხელმოწერით, წერდა მუდამ ფსევდონიმს ამოფარებული. თავისი თავი მივიწყებული ჰყავდა და არც იმას ცდილობდა, რომ სხვისთვის შეეხსენებინა საკუთარი არსებობა (უთუოდ ამით უნდა აიხსნას, რომ კირილეს თავისი სურვილით ერთხელაც არ გადაუღია სურათი), სამაგიეროდ, მას მუდამ ახსოვდა სხვა. ჯერ კიდევ ზრდადუღმთავრებელი სტუდენტი, თვითონ საზრუნავი და საპატრონო, საოცარ მზრუნველობას იჩენდა თავისი თანამემამულეების მიმართ. „შენ ხომ „ოტჩენაში“ ხარ“, — სწერდა ს. მესხი კირილეს, როდესაც თავის უმცროს ძმას — ივანეს რუსეთში აგზავნიდა და სთხოვდა, პატრონობა გაეწია მისთვის<sup>36</sup>. კირილემ პატრონობა გაუწია არა მარტო ივანე მესხს, არამედ პეტერბურგში მყოფ ბევრ ქართველ ახალგაზრდას, მათ შორის ნ. ნიკოლაძესაც. რომელმაც შემდეგ არაჩვეულებრივი სიყვარულით გააცოცხლა თავისი მეგობრისა და „პროფესორის“ სახე მოგონებებში „სტუდენტობის პირველი დრო“. კ. ლორთქიფანიძე ერთი წლის ჩასული იყო რუსეთში, როდესაც ჯერ კიდევ სრულიად ბავშვი, პირტიტველა ნ. ნიკოლაძე ეწვია პეტერბურგს

<sup>36</sup> ს. ხუნდაძე, მასალები..., გვ. 61.



უმადლესი განათლების მისაღებად. იმ დღიდან დაწყებული კირილე მამასა-  
ვით დაადგა თავს უმცროს ამხანაგს.

„ერთათ როცა ვიდექით, — წერს ნ. ნიკოლაძე, — ოთახში წესიერების  
დამცველიც ის იყო, ჩაის გამკეთებელიც... ჩაი-შაქრის მყიდველიც. მზრუნ-  
ველიც და მშრომელიც. სიყვარულით კისრულობდა ყველაფერს“<sup>37</sup>.

სიყვარულით კისრულობდა კირილე ასევე ქართველი სტუდენტების  
მომზადებას გამოცდებისათვის. როგორც ნ. ნიკოლაძე მოგვცხრობს, ლექ-  
ციების შემდეგ იმდენს ასწავლიდა „ჩვენებურ ყმაწვილებს“, რომ დაქანტუ-  
ლობისაგან წოლაც კი უჭირდა<sup>38</sup>. თვით ნიკოს კირილე ლათინურ ენაში ამზა-  
დებდა. მაგრამ ვაი ამ მზადებას! რამდენადაც „მასწავლებელი“ გულით იყო  
მოწაღინებული, რაიმე შეესმინა მის „მოსწავლეს“, იმდენად გულით არ უნ-  
დოდა ამ უკანასკნელს ლათინური ენის სწავლა. მისი ახალგაზრდული ფიქ-  
რები და ოცნებები სულ სხვაგან ჰქონდა. კირილე შეპანაშნავად გრძნობდა  
ამას, მაგრამ მაინც სულგრძელად განაგრძობდა ჩიჩინს, გაუთავებლად იმე-  
ორებდა ერთსა და იმავე ლათინურ სიტყვებს, მოუწოდებდა ურჩ „მოწაფეს“  
ყურადღებისაკენ, მაგრამ ამოოდ.

„ოთხჯერ-ხუთჯერ რომ ტკბილად მეტყობდა... საყვედურს, — იგონებს  
ნ. ნიკოლაძე. — მეექვსეჯერ წიგნს თავში მესროდა, წამოხტებოდა ბზიკი-  
ვით და გავარდებოდა გარეთ“...<sup>39</sup> ასე იყო თუ ისე, მხოლოდ კირილეს წყა-  
ლობით ჩააბარა ნიკოლაძემ ლათინური ენის გამოცდა...

სულით ხორცამდე ფაქიზი იყო კირილე. ორგანულად ვერ იტანდა ვე-  
რაერთა უწყნარიგობას. პეტერბურგელ მეგობარ-ამხანაგებს, რომლებიც  
სტუდენტურად ცხოვრობდნენ და მაინცდამაინც თავს არ იკლავდნენ წეს-  
რიგისათვის, ის ხშირად საყვედურობდა ამის გამო და, როდესაც მიზანს ვერ  
აღწევდა, თვითონ იწყებდა ოთახის დალაგებას. ამხანაგები დიდად არ აქ-  
ცევდნენ ყურადღებას კირილეს ჭაჭლანს, ახალგაზრდები იყვნენ და კვლა-  
ვინდებურად განაგრძობდნენ უდარდელ ცხოვრებას, მით უფრო, რომ იცო-  
დნენ კირილეს კეთილი გულის ამბავი. უფრო მეტიც, ხშირად დასცინოდნენ  
კიდევაც მას ასეთი გადაჭარბებული მგრძნობელობისათვის სისუფთავის მი-  
მართ და, უნდა ითქვას, რომ არც შათი მეგობრული დაცინვა იყო მოკლებუ-  
ლი სამართლიანობას.

„...სტუმარი რომ მოვიდოდა, — წერს ნ. ნიკოლაძე, — თუ დაინახავდა,  
რომ მის ტანსაცმელს ბურღლი მოდებია, მაშინვე მუსაიფს შეწყვეტდა, აღგე-  
ბოდა, სტუმარს ნელა მიუახლოვდებოდა და ტანსაცმლიდან ბურღლს ნაზად  
ორი თითით ააღებდა, მერე სინათლეზე დამკვირვებელი თვალით გასინჯავ-

<sup>37</sup> ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, გვ. 48.

<sup>38</sup> იქვე, გვ. 41.

<sup>39</sup> იქვე, გვ. 48.

და, ფანჯარასთან მიიტანდა და ფაქიზად სულს შეუბერავდა, ისე მოიცილებდა ბურღის ოთახიდან... გაქვს სიცოცხლე, ჩვენ ყველა ამისთანებზე დაეცინოდით ხოლმე! და თვითონ ფილიპეც იცინოდა, დიდხანს, მთელი თვეობით, სანამ დაეცინება ილაჯს არ გაუწყვეტდა, და თხოვნას არ დაგვიწყებდა, — თავი დაჰანებეთო. ნერვ, ხევწნა რომ არ გაუვიდოდა და გაფრთხილება არას უშველოდა, ერთს თავაყებურად შემოგვიტევედა, შემოგვიცივლებდა, გაცეცხლდებოდა ორი მინუტის ვადით, იღრიალებდა, რასმეს დაამტვრევდა, გულს მოივლავდა ან მოქაჩვებდა... და ისევე ძველებურად ტკბილ, თავაზიან და ფაქიზ ფილიპეთ გარდაიქცევოდა...<sup>40</sup> ასე თბილად იხსენიებს კირილესთან გატარებულ ახალგაზრდობის წლებს ნ. ნიკოლაძე თავის პოგონებში.

კ. ლორთქიფანიძე, წარმოშობით თავადი, ბუნებით ნამდვილი დემოკრატი იყო. ეს დემოკრატიული სულსკვეთება პეტერბურგში ყოფნის დროს, ჩერნიშევსკისთან პირადი ურთიერთობის შედეგად, კიდევ უფრო გაულრმავედა და საქართველოში დაბრუნებისთანავე თავისი ყმები მიწიანად გაათავისუფლა. მისი ბუნებისა და მრწამსის ადამიანი სხვაგვარად ვერც მოიქცეოდა, თუმც ამ შენთხვევაში ეს არ იყო გამონაკლისი. ასე მოიქცა ბევრი სხვაც. მაგრამ კირილე იყო ერთადერთი, რომელმაც საკუთარი ქონება ისე დაუტოვა სხვებს, რომ თავისთვის პატარა კუთბეც არ დაიტოვა და მთელი თავისი სიცოცხლე ნაჭირავე ბინაში გაატარა. საქმეში საოცრად აწყობილს, პირადი ცხოვრება სრულიად მოუწყობელი ჰქონდა, მაგრამ ამას არად ავდებდა, რადგან მისთვის ყოფილი ამბები ძალზე უმნიშვნელო როლს თამაშობდა. ის კი, რაც საკუთარი სიცოცხლისათვის აუცილებელ საკვებად მიაჩნდა — ზრუნვა ერის კეთილდღეობისათვის — არასოდეს ტოვებდა მას. ამის მოთხოვნილება ისეთი დიდი ჰქონდა, რომ, ჩანს, ეს ატანიებდა ყოველგვარ გაჭირვებას და მოხუცებულობის ეპისოდ ახალგაზრდული ენერგიით ამოქმედებდა.

კ. ლორთქიფანიძე იყო დამკვეთი ყველა ღირსეული ქართველი კაცის სახელისა. როდესაც ეჭიმ დიმიტრი ნაზარაშვილს უსამართლოდ დაუწყეს დევნა, კირილემ, აღმფრთხილებმა ამ ფაქტით, ასეთი გულისხმიერებით სავსე წერილი მისწერა მას:

„...ოდეს... როდესაც ფიზიკურ ძალასა და ხმალს ფასი დაუვარდა, როდესაც საზოგადოებრივი აზრი გამოიერდა და განვითარდა, ყოველივე წვერი საზოგადოებისა მოვალეა მიმართოს საჭიროების დროს იმ საზოგადოებას, რომელიც, თავის მხრით, ვალდებულია მფარველობა გაუწიოს თავის სასარგებლო და ერთგულს წვერს, განარიდოს მას ყოველივე შეურაცხყოფა და აღუდგინოს მას პატივი და ღირსება“...<sup>41</sup> შემდეგ კირილე ხაზგასმით აღ-

<sup>40</sup> ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, გვ. 48—49.

<sup>41</sup> ქკლ, № 456.

ნიშნავს ადრესატის დამსახურებას ქართველი ხალხის წინაშე და წერილს ამ-  
თავრებს ასეთი გულისხმიერებით სავსე სიტყვებით:

„გთხოვთ მხნეთ იყოთ, სხვათა სამაგალითოდ, არ ასცდეთ თქვენგან  
აღრჩეულს ცხოვრების გზას და ყურადღება არ მიაქციოთ მძარცველთა, რო-  
მელიც მხოლოდ იმას არ ჰყავს, ვისაც არაფერი გაუტყუებია და მიუტყვევთ  
მათ შეტოდებანი მათნი, რამეთუ არ უწყვიან, რასა იქმან“<sup>42</sup>.

კირილეს დიდ ადამიანობაზე ლაპარაკობს არა მარტო ის, რომ სხვისი  
დარდი შეეძლო გაეზიარებინა, არამედ, პირველ რიგში, ის, რომ მას უზო-  
მოდ ახარებდა სხვისი წარმატება. ის მუდამ მხარში ედგა თავის სასიქადულო  
მამულიშვილებს, განსაკუთრებით აკაცის, გ. წერეთელს, ნ. ნიკოლაძეს  
ს. მესხს, უანგარიშოდ ალევდა მათ საკუთარ დროსა და ენერჯიას, დაუშურ-  
ებლად უზიარებდა თავის გამოცდილებას, ყოველმხრივ უმსუბუქებდა ერის  
სამსახურში მყოფთა მძიმე ტვირთის ზიდვას და დღეს, თუ თითოეულ მათგანს  
ქართველ ხალხში ასეთი დიდი სახელი შემორჩა, კ. ლორთქიფანიძეს ამაში  
პატარა წვლილი როდი მიუძღვის.

კირილე თითქოსდა, მართლაც, მხოლოდ სხვისთვის იყო დაბადებული  
და ამ „სხვასაც“, ვინც კი იცნობდა მას (ან კი, ვინ არ იცნობდა თავის დრო-  
ზე კირილეს, ის ხომ მუდამ ხალხში ტრიალებდა თავისი მოწოდებისა თუ  
სამსახურებრივი მოვალეობის გამო), არ შეიძლებოდა არ ეგრძნო მისი სიკე-  
თის ძალა. ეს შეუწელებელი სწრაფვა სიკეთისადმი მის გარეგნობასაც სი-  
წმინდის დაღს ასვამდა, შინაგანად აცისკროვნებდა კირილეს, რომელიც ისე-  
დაც ბზინავდა თავისი განსაკუთრებულად სუფთა, ქათქათა ტანსაცმლის  
განო, რაც უნდა ძველმანებში ყოფილიყო გამოწყობილი; მნახველს იზიდავ-  
და მისი „ცოცხალი“, დიდი თვალები, „თეთრი“, „მაღალი“ შუბლი, რომელ-  
ზედაც, გ. წერეთლის თქმით, „გამოხატული იყო იესო ქრისტეს გულწრფე-  
ლობა“<sup>43</sup>. უშუალო კონტაქტს ასეთი გამორჩეული ზნეობის მქონე ადამიან-  
თან უკვე თავისთავადაც უნდა მოეზნინა სასურველი ზეგავლენა ქართველი  
კაცის სულიერ ზრდაზე. მაგრამ ბედმა თითქოსდა დასცინა მას და ეს შეუ-  
ზღალავი პატიოსნების მქონე ადამიანი საბრალდებულთ სკამზე დასვა. 30  
წლის განმავლობაში კირილე თავისი ჩვეული კეთილსინდისიერებით მართავ-  
და ქუთაისის ბანკს. ბანკის დირექტორობის თანამდებობაზედაც მხოლოდ  
იმისათვის დათანხმდა, რომ მისი შემოსავალი საერო და საქველმოქმედო  
საქმეებისათვის მოეხმარა. 1893 წელს, როდესაც კირილემ ქუთაისის საზო-  
გადოების დიდი თხოვნის შემდეგ ბოლოსდაბოლოს გადაწყვიტა, ეტვირთა  
ასეთი მძიმე და საპასუხისმგებლო მოვალეობის ასრულება, ერთ-ერთ კერძო  
წერილში ასე წერდა:

„...ეგი ჩემი გადაწყვეტილება, აი, რა გარემოებით აიხსნება: კანდიდატო-

<sup>42</sup> ქკლ, № 456.

<sup>43</sup> „მაცნე“, 1966, გვ. 209.

ზაზე თანხმობა განვაცხადე იმიტომ, რომ ვისაც საზოგადოება ღირსეულად სცნობს, მათგან არც ერთმა არ ისურვა ამ თანამდებობაზედ გამოსვლა. დიდი ფიქრისა და ჭოქმანობის შემდეგ თავისთავს მივაწერე სახალხო ანდაზა: „უცხო ქვეყანას ვიყავ, ხუცესად დამაყენესო“. აგრე დავთანხმდი ხუცობაზედ, მაგრამ იმ პირობით, რომ თუ ვინცობაა მაკურთხეს, ჩემი როლი, საზოგადო საქმისათვის არჩეული, არსებითად სრულიად არ შევეცვალო, ე. ი. ვწირო ისე, რომ ყოველივე უმთავრესი და უძნელესი ნაწილი მღვდელმთქმედებისა ისე არ ავასრულო, თუ კრებულს გარდა სხვა უფრო მცოდნე კაცებისაგან ლოცვა-კურთხევა არ მივიღო. ეს არის ჩემი აღსარება“<sup>44</sup>.

თავის დანაპირებს კირილე პირნათლად ასრულებდა. სხვაგვარი მოქმედება მისი ბუნებისათვის სრულიად შეუთავსებელი იყო. უოჯახოდ დარჩენილი, ის მთელ დღეებს სამსახურში ატარებდა, დილის 10 საათიდან მოყოლებული შუალამემდის იქ იყო. მდივნისა და საქმისმმართველის მოვალეობასაც ის ასრულებდა, დიდსა და პატარა საქმეს ის აკეთებდა. ბანკის შენობაც მისა უშუალო ხელმძღვანელობით ქნა აშენებული. კირილემ ამქერადაც გამოიჩინა გულგრილი დამოკიდებულება საკუთარი კეთილმოწყობის მიმართ და თავისივე სურვილის თანახმად დირექტორობის ხელფასის მხოლოდ ნახევარს იღებდა, დანარჩენს კი ბანკს უტოვებდა თავის სარგებლობაში<sup>45</sup>. შემოსავლის უდიდესი ნაწილი ხმარდებოდა საქვეყნო საქმეებს: სკოლებს, წიგნების გამოცემას, ეურნალ-გაზეთების რედაქციას, სტამბების მოწყობას, თეატრს. დაბოლოს, მოხდა გაუგებრობა: ყველაფერი დამთავრდა იმით, რომ კ. ლორთქიფანიძე და ბანკის თავმჯდომარე — დავით ბაქრაძე პასუხისგებაში მისცეს. ვალების დასაფარავად საჯაროდ გაიყიდა კირილეს და-ძმათა მამული, ხოლო 80 წელს მიტანებულ მოხუცებს შინაპატიმრობა მიუხაჯეს<sup>46</sup>.

ქუთაისის საზოგადოება, როგორც ერთი კაცი, ისე აღდგა თავისი სასიქადულო მამულიშვილების დასაცავად. მათ მიერ წარდგენილ განცხადებაში იუსტიციის მინისტრის ი. გ. შეხეგლოვიტოვის სახელზე საგანგებოდ არის აღნიშნული ის დიდი დამსახურება, რაც კ. ლორთქიფანიძესა და დ. ბაქრაძეს მიუძღვოდათ თავისი ქვეყნის წინაშე. მიმართებაში აღნიშნულია, რომ კირილესა და დავითის უშუალო მონაწილეობის გარეშე არ ჩატარებულა იმ კუთხეში არც ერთი რეფორმა: საგლეხო, სასამართლო, სასკოლო თუ აგარარული. „მათი ნახევარსაუკუნოვანი სამსახურებრივი. თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობა, — ვკითხულობთ განცხადებაში, — აღბეჭდილია ისეთი მაღალი პატიოსნებითა და უანგარო სამსახურით თავიანთი მხარის მიმართ, რომ ახლაც კი,

<sup>44</sup> ქკლ, 1067.

<sup>45</sup> ამასთან დაკავშირებით დაწერილებით იხ. ივ. პურადაშვილი, მოგონებანი... ნაწილი II, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერი.

<sup>46</sup> ამა ამის შესახებ დაწერილებით იხ. კ. მ. ე. შ. ე. ლ. ი. ა., დასახელებული წიგნი, გვ. 263—270.

როდესაც მათ ადგილობრივ საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებაში ბედისწერამ ასეთი მწარე ხედვრი დაატეხა თავს და მიიყვანეს ეს ხანდაზმული მოხუცები საბრალდებულო სკამამდე და მათთვის სამოქალაქო დანაშაულის სამწუხარო შედეგამდე, მაინც ვერ შეარყიეს ათეული წლების განმავლობაში შემუშავებული საზოგადოებრივი აზრი მათ მაღალ მორალსა და მოქალაქეობრივ ღირსებებზე“<sup>46</sup>.

საკუთრივ კირილეზე კი ნათქვამია: „რაც შეეხება თავად კირილე ლორთქიფანიძის მორალურ მხარეს, მისი ცხოვრების მკაცრი რეჟიმი, მიყვანილი ასკეტიზმამდე... აძლევდა მას უფლებას, რათა საზოგადოებრივ აზრს მიეკუთვნებინა ის მაღალი რანგის ადამიანთა რიგებში“<sup>47</sup>.

სასამართლო ძიება გრძელდებოდა 1902 წლიდან 1914 წლამდე. მხოლოდ 1914 წელს საექიმო კომისიის დასკვნის შედეგად კ. ლორთქიფანიძესა და დ. ბაქრაძეს სასჯელი მოუხსნეს (სხვათა შორის, მოწმობას, გაცემულს კირილეს ჯანმრთელობის შესახებ, ხელს აწერს ექიმი დიმიტრი ნაზაროვი. ეს ის დ. ნაზარიშვილია, რომლის მიმართაც, როგორც ზემოთ გვაქვს აღნიშნული, თავის დროზე კირილემ დიდი გულისხმიერება გამოიჩინა).

მიუხედავად ასეთი პიროვნული თვისებებისა, კირილესთან ურთიერთობა არც თუ ისე ადვილი უნდა ყოფილიყო. ის არ იყო უკონფლიქტო ადამიანი, მუდამ ტკბილად მოსაუბრე, ზომიერი და თავშეკავებული. იცოდა გაჩიუტებაც, რიდაცის ახირება, ადვილად წყენა, თუმც არასოდეს ჩაიხვევდა გულში ბოლმას. მართალი ადამიანი იყო, უაღრესად პრინციპული, ძალზე მომთხოვნო საკუთარი თავის მიმართ და ასეთსავე მოთხოვნილებას უყენებდა გარშემო მყოფთაც, მით უფრო—ახლო მეგობრებს. თუ რომელიმე მათგანის საქციელი არ მოეწონებოდა, მოუტირებლად ამხელდა პირში, მწარე სიტყვასაც არ დაიშურებდა, ზოგჯერ, მწვავე კონფლიქტის დროს, წონასწორობასაც კარგავდა და მზად იყო, იქაურობა მიეღო—მოეღო.

მეგობრები ადვილად იტანდნენ კირილეს თავისებურ ხასიათს, მის უცნაურობებს, რადგან თვითონაც გამორჩეულნი იყვნენ და კარგად იცოდნენ კირილეს ფასი. გრძნობდნენ, რომ ის იყო დიდი ბუნების ადამიანი, დაჯილდოებული იმ მაღლით, რომელსაც ასე იოლად ვერ შეხვდები ცხოვრებაში. ამიტომაც უფრთხილდებოდნენ ამ ალაღმართალსა და ერთგულ მეგობარს და მათთვის ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო საქმეს პირველ რიგში სწორედ კირილეს ანდობდნენ. თვით ილიასაც დიდ ავტორიტეტად მიაჩნდა კირილე და განსაკუთრებულ ანგარიშს უწევდა აზრს თავისი ნაწარმოებების შესახებ.

„გიგზავნი ჩემს „გლახის ნაამბობს“, — სწერს ერთ-ერთ წერილში ილ. ჭავჭავაძე კირილეს, — ჯერ ვიდრე დაპბქდდე, შენებურად გადაიკითხე და

<sup>46</sup> ქალ, № 510, «Памятная записка», პირი, ხელმოუწერილი.

<sup>47</sup> იქვე

შენი პირმოღვერებელი აზრი მაცნობე“<sup>48</sup>. ამავე წერილის დასასრულს ილია კვლავ დაბეჭდვით მოითხოვს კირილესაგან, აცნობოს თავისი შეხედულება „გლასის ნაამბობზე“<sup>49</sup>.

საერთოდ, ილ. ჰავჭავაძისა და კ. ლორთქიფანიძის მიწერ-მოწერიდან გარკვევით იგრძნობა ის ღრმა პატივისცემა, რომელიც ამ ორ მამულიშვილს აკავშირებდა ერთმანეთთან.

კიდევ უფრო ახლო ურთიერთობა ჰქონდა კირილეს აკაკი წერეთელთან. ისინი ჯერ კიდევ გიმნაზიის ასაკში დაუახლოვდნენ ერთმანეთს და ეს სიახლოვე მათ ღრმა მოხუცებულობამდე შეინარჩუნეს. პირად წერილებში აკაკი, მისთვის ჩვეული ენაწყლიანობით, გულახდილად მოუთხრობს კირილეს თავისი გაჭირვებისა, ავადმყოფობისა თუ გაუთავებელი ვალების შესახებ. აკაკის ყოველი წერილი სავსეა მეგობრული სითბოთი და იუმორით. მისი წერილებიდან ისიც კარგად ჩანს, რომ მატერიალური გაჭირვების დროს (ასეთი გასაჭირი კი მას ძალიან ხშირად ჰქონდა) ყველაზე უფრო თავისუფლად კირილეს ნიშნავდა და ეს უკანასკნელიც შეძლებისდაგვარად ზელს უმართავდა მეგობარს. არა ერთი და ორი შემთხვევა ყოფილა ისეთიც, რომ ვალში დაგირავებული აკაკის მამული კირილეს დაუხსნია ბანკიდან. კირილეს ასეთ ერთგულებას აკ. წერეთელიც უანჯარო სიყვარულით უპასუხებდა. მას ლექსიც კი აქვს მიძღვნილი კირილესადმი. ისიც საგულისხმოა, რომ 1892 წელს, როდესაც საქართველოში მოდებული იყო ქოლერა, აკაკი, ასეთი საერთო უბედურების დროს პირველ რიგში კირილეზე ფიქრობდა და წერილის საშუალებით ეპატივებოდა მას საჩხერეში, რათა გადაერჩინა მისი სიცოცხლე<sup>50</sup>.

ნამდვილი გაჭირვების ტალკვესი იყო კირილე გ. წერეთლისათვისაც, რომელიც უფულობისაგან გამწარებული ასე სწერს ერთ-ერთ წერილში კირილეს ენევიდან:

„ამისთანა მდგომარეობაში მხოლოდ შენ მეგულები ისეთი კაცი, რომელსაც უნდა გავუტყდე ამ გაჭირვებას და შენვე როგორმე იმაცადინო ზარაფოვთან, იქნება, იმან ერთი ექვსასი ან ხუთასი მანეთი გამოგზავნოს, რომ ამ წელს თავი გავიტანოთ...“<sup>51</sup>

გ. წერეთელი ყველა საქმეში დიდ ნდობას უტყბავდა კირილეს. 1873 წ., როდესაც მან გადაწყვიტა საზღვარგარეთ გამგზავრება, ასეთი შინაარსის წერილი მისწერა თავის მეგობარს პეტერბურგში:

„საყვარელო ძმაო კირილე!

მე სექტემბრიდან საზღვარს გარეთ მივდივარ დიდი ხნობით და შენ

<sup>48</sup> ილია ჰავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, თბ., 1961, გვ. 29.

<sup>49</sup> იქვე, გვ. 30.

<sup>50</sup> აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1963, გვ. 56.

<sup>51</sup> „მაცნე“, № 1, 1966, გვ. 209.

მიუცილებლად ჩემ მაგიერად იქნები საჭირო და ანისაჯვის გზივ, თუ შენ ფაქულტეტზე არ დაგვიტოვებ ეგზამენი, ახლაც დაიჭირე ქართული ენის უჩიტილობაზე ეგზამენი ისე, რომ სექტემბრისათვის დიპლომი მზად გქონდეს. წამოსასვლელ ფულს როდესაც გინდა, მაშინ გამოგიგზავნით. გარდა უჩიტელობისა სტამბა გვექნება ხელში, რადგან შენა ჩვეულებრივი თავიანთობა თანდებდა გვიდგება, რომ საქმეს აქაც კარგა წაიყვან“...<sup>52</sup>

გ. წერეთლის წერილები ცხადყოფს, თუ რამდენად მკიდრო და ამავე დროს საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდათ ერთმანეთთან მას და კირილეს. ქართველი ხალხის ბედით დაინტერესებული გ. წერეთელი თავის წერილებში გულახდილად უზიარებდა ამავე ინტერესების მქონე მეგობარს საკუთარ შეხედულებებს საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაზე და ამავე დროს აწოდებდა მას საყურადღებო ცნობებს თავისი სამსახურებრივი თუ კერძო საქმეების შესახებ. ამდენად, გ. წერეთლის წერილები შეიცავენ საინტერესო მასალას არა მარტო მისი ცხოვრების, მისი პიროვნებისა და მსოფლმხედველობის შესასწავლად, არამედ ქართული აზროვნებისა და კულტურის შესწავლის თვალსაზრისითაც.

განსაკუთრებით საგულისხმო ცნობებს გვაწვდის გ. წერეთლის წერილები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან. აქ ლაპარაკია იმის შესახებ, თუ როგორ შეხვდა ქართველი საზოგადოება „დროების“ დაარსებას, როგორ იზრდებოდა დღითიდღე ამ გაზეთზე ხელის მომწერთა რიცხვი და როგორ ვრცელდებოდა იგი თბილისის გარდა საქართველოს სხვა ქალაქებში, კერძოდ, ქუთაისში; ამავე წერილებიდან ვგებულობთ აგრეთვე, თუ რა ვითარებაში და როგორ დაარსდა გაზეთი „კვალი“, როგორ მიმდინარეობდა ძველი წიგნების ბეჭდვის საქმე და თუ რა მძიმე პირობებში უხდებოდა გ. წერეთელს მუშაობა როგორც რედაქტორსა და გამომცემელს არა მარტო მატერიალური უსახსრობის, არამედ მკაცრი ბიუროკრატიული ცენზურის გამოც. წერილებიდან კარგად ჩანს ასევე, თუ როგორ იდევნებოდა მეფის რუსეთის ძიერ XIX საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში ქართული ენა. გარდა ამისა, მათში მოწოდებულია საყურადღებო ცნობები საზღვარგარეთ დაარსებული ქართული ჯგუფის „უღელის“ საქმიანობის შესახებ. წერილებში გამომჟღავნებულია ავტორის კრიტიკული დამოკიდებულება ციურინის „უღელის“ მიმართ და მისი როლი ამ საზოგადოების მუშაობის გარდაქმნაში. საზოგადოდ, ეს წერილები ავსებს ამ საკითხთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ სხვა მასალას და კიდევ უფრო ნათლად წარმოგვიდგენს 70-იანი წლების მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ლიტერატურულ საქმიანობას ციურინსა და ენევაში. ამავე დროს გ. წერეთლის ყველა ამ წერილში გარკვევით ჩანს მისი შინაგანი მოთხოვნილება—გაუზიაროს ყველაფერი სწორედ კირილეს.

<sup>52</sup> „მაენა“, 1966, № 1, გვ. 207—208.

განსაკუთრებით ღრმა და ნაზი გრძნობით უყვარდა კირილე ნ. ნიკოლაძეს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სრულიად განსხვავებული ბუნების ადამიანები იყვნენ: ერთი—ზედნეწვენით სერიოზული, აუჩქარებელი და თავმდაბალი, მთლიანად ჩაფლული საზოგადოებრივ საქმეებში, მეორე—დაუცხრომელი, საოცრად მოქმედი და სწრაფი, მუდამ ახალგაზრდულად გატაცებული, სავსე ათასგვარი ინტერესებით (არა მარტო საზოგადოებრივით), ლალი და თამამი როგორც აზრის გამოხატვაში, ასევე ადამიანებთან ურთიერთობაშიც, უთუოდ თავმომწონეც. სამაგიეროდ, ორივე ერის სასწაულისათვის იყო მოწოდებული და ამიტომაც ხასიათის ეს განსხვავებული თვისებები არ უშლიდა მათ ზელს მეგობრობაში. უსიამოვნება კი ხშირად მოსდიოდათ, ზოგჯერ სერიოზულიც. მაგრამ ეს თითქოს კიდევ უფრო მეტად ამყარებდა მათ მეგობრობას.

„ხომ გახსოვს,— სწერს ერთ-ერთი უთანხმოების შემდეგ მეგობარს მონატრებული ნ. ნიკოლაძე კირილეს, — როგორ ხშირად ვჩხუბობდით, და ყოველი ჩხუბის შემდგომ უწინდელზედ უმეტესად ვახლოვდებოდით ერთმანეთსა?... ვიხსენებ ჩვენ უწინდელს ლაპარაკებს, ჩვენს მოქმედებაებს და ხან სიცილი გამირბენს პირზე და ხან ჭავრი... როგორ ავიხსნა ეს? ან რითი ავიხსნა?...“<sup>53</sup>

ნ. ნიკოლაძე სთხოვს კირილეს, დააეწყოს ძველი უსიამოვნებანი, სთხოვს, აღარ გაავსოს უწინდებურად თავისი წერილები „ირონიითა და სარკაზმით“, ნულარ გაიხსენებს მის ძველ წერილებსაც, სავსეს ნამდვილი თუ ყალბი იუმორით. „გამოწიე ხელი წმინდის გულით, — სწერს ნიკოლაძე, — შევეჩქმნეთ მეგობრები, მოვეხმაროთ ერთმანეთს მხურვალე გულით და წიგნებით“...<sup>54</sup> ამავე წერილში ის გულახდილად აღნიშნავს: „...მე არა კაცი არ მყვარებია. თუ ვინმე შემყვარებია ჩემ დღეში — შენა ხარ“...<sup>55</sup>.

ასეთი გატაცებით უყვარდა ნ. ნიკოლაძეს კ. ლორთქიფანიძე და ასეთივე გრძნობა შეინარჩუნა მან მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე კირილესადმი. კირილეს უზიარებდა იგი, უპირველესად ყოვლისა, თავის გულისწოდებას, თავის ნააზრევსა და მომავლის გეგმებს, საკუთარ სიხარულსა თუ მწუხარებას. კირილეს ანდობდა იგი თავის ახალგაზრდულ გატაცებებსა და „შეცოდებებსაც“ კი. ტყუილად კი არ სწერდა ნ. ნიკოლაძე კირილეს ერთ-ერთ წერილში: „შენი იმედი მაქვს, როგორც კლდისა“...<sup>56</sup>. ამიტომაც იყო, რომ ის მუდამ უფრთხილდებოდა ამ „კლდეს“, მისთვის ყველაზე უფრო საიმედო საყრდენს, ყოველი უსიამოვნების შემდეგ ის პირველი მიიწვედა კირილესაკენ, სხვათაგან ამაყი და, იქნებ, ამპარტავანიც, აქ პირველი არღვევდა

<sup>53</sup> აქვე, გვ. 164—165.

<sup>54</sup> აქვე, გვ. 165.

<sup>55</sup> აქვე, გვ. 164.

<sup>56</sup> ქკლ. № 782.



მათ შორის ჩამოვარდნილ დუმისს, ბოლიშს იხდიდა „შეცოდებისათვის“ და ზოგჯერ უთუოდ სულგრძელობის გამოჩენაც სჭირდებოდა თავისი მართალი, მაგრამ ჭიუტი და ეჭვიანი მეგობრის მიმართ.

„ღმერთმა შენც შეგარცხვინა, და შენი წიგნის მოუწერლობაც, — ალერსიანად საყვედურობს ნ. ნიკოლაძე 1862 წ. 8 დეკემბრით დათარიღებულ წერილში, — აბა, რას გავს ეს შენი სიღუმელი? გელათში რო შიო ბერია იმას დამზგავსებიხარ. მაგრამ ყოვლად მოწყალემ ღმერთმა შეგინდოს შენ შეცოდებანი შენნი, ნეესითნი... ალბათ, იმ ნეესითნ შეცოდებებს გარდაყუევი და მე კი დამივიწყე. ოჰ! ოჰ! ოჰ! Грешен и я в этих делах! მაგრამ, შე უბედურო, როცა გაერთვე იმნაირ საქმეებში, უნდა გაგესხენებინა, რომ მე ოდესმე ვიყავი არტისტი მაგეებში, და ერ(თ)ჯერაც მაინც უნდა მოგეწერა, რომ „ძმამო ნიკო, შენი წასვლის შემდგომ პეტერბურღს მოაკლდა ერთი უმჯობესთაგანი არტისტთაგანი“...<sup>57</sup>

კირილეს სიფიქსეს, როგორც ჩანს, ნ. ნიკოლაძე ხშირად გულკეთილი ხუმრობით უპასუხებდა. აი, ანის დამამტკიცებელი მათი ორი პატარა ბარათი: „ნიკო, რომ დამახჩვე, როდის იქნება და როდისო კრებულები, აი, ეხლა არის და გასაგზავნი ფულები გამომიგზავნე, თუ არა წავიკიდებით.

კირილე“

ნ. ნიკოლაძეს იმავე ფურცელზე მიუწერია:

„კირილე! რომ დამარჩვე, როდის იქნება და როდის ფულებიო, აი, ეხლა არას ამ საქმეზე დიდი ცდა და მოლაპარაკება, და მაცალე, თორემ წავიკიდებით...“<sup>58</sup>.

ასე არბილებდა ნ. ნიკოლაძე კირილესა და მას შორის ჩამოვარდნილ დაძაბულობას თავისი სიმსუბუქითა და ენაწყლიანობით. თუ რა ღრმა სიყვარული აკავშირებდა ნ. ნიკოლაძეს კირილესთან, ამას შესანიშნავად გამოხატავს მისი 1888 წლის 7 სექტემბრით დათარიღებული წერილი, რომელშიაც ის გულით სთხოვს თავის ძველ მეგობარს, მონათლოს მისი ვაჟიშვილი:

„შეიტყობდი, ვაჟი დამეზადა. აი, ეს ვაჟი მინდა მოგანათვლინო, როგორც ჩემ უძვირფასეს და უძველეს მეგობარს და ამხანაგს, როგორც საყვარელს და მშვენიერ კაცს, რომლის ხასიათი, იქნება, დაენათლოს ჩემ შვილს (ნამეტანი ჯინიანობის გარდა, რასაკვირველია). თუ ჩემი ძმობა გწამდეს და ცოტაოდნათ თუ გასურდეს ჩემი საამოვნება, ეს თხოვნა ამისრულე: დაე, ახირებულად გეჩვენოს, დაე, სისულულე იყოს, რა გენაღვლება, ან შენ რა დაგაკლდება? ამ თხოვნას ჩემი ცოლიც გითვლის, და ჩვენ ორივენი ისე დავაფასებთ მის შესრულებას, ასე დაგიმადლებთ, რომ წარმოდგენაც არ შეგიძლია...“<sup>59</sup>

<sup>57</sup> ქკლ, № 720.

<sup>58</sup> ქკლ, № 726.

<sup>59</sup> ქკლ, № 753.

ნ. ნიკოლაძე ხშირად ეკითხებოდა ჩჩევა-დარიგებას კირილეს. პირველ რიგში მისგან ელოდა დახმარებას ლიტერატურულ საქმიანობაში. ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმოა 1877 წლის 3 და 26 დეკემბრით დათარიღებული წერილები<sup>60</sup>. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ნიკოლაძე ემზადებოდა ახალი გაზეთის „ობზორის“ დაარსებისათვის და, როგორც ზემოთ აღნიშნული წერილებიდან ჩანს, ამ გაზეთის წინსვლის საქმეში ის დიდ იმედებს ამყარებდა კირილეს. იმდროინდელ ქუთაისში, მისი რწმენით, კირილე იყო ერთადერთი, რომელსაც შეეძლო უტყუარი ფაქტები მოეწოდებინა მისთვის ქუთაისის ცხოვრებიდან. ნ. ნიკოლაძე ითვალისწინებდა თავისი მეგობრის ნელ ტემპებს მუშაობაში და ამიტომაც სთხოვდა, გამოეგზავნა მისთვის მხოლოდ პატარა წერილები. მის გაერცობას, შელამაზებასა და რუსულად გადათარგმნას კი თვითონ კისრულობდა.

„შენ იცი, როგორაც შემეწევი მანდელამ, — სწერს ნ. ნიკოლაძე კირილეს — და შემდეგ ამხანაგური იუმორით განაგრძობს, — ვიცი, რომ ვრცელი სტატიების ან კორესპონდენციების წერას შენ კაცი ვერ გთხოვს, „ვინაიდან ეგრევეითარ შრომას“ შენ ისე ერიდები, ვითარცა ოგიუსტ კონტის სისტემის შედგენას. ამნაირ საქმეს, შენი აზრით, ათი წლის მზადება სჭირია. არა, ამისთანა „ბნელ საქმეს“ როგორ მოგთხოვდი. გთხოვ მარტო ამხანაგური, ქართული, შეუფერავი, უბრალო ბარათები მომწერო ძლიერ ხშირად, ყველაფერზე, რაც კი ხდება ქუთაისში შესანიშნავი ან ყურადღების ღირსი...“

შენ ხასიათს ხომ კარგათ ვიცნობ და შენი დაფასება ყოველივე ფაქტისა ყველაზე უფრო საჭირო იქნება ჩემთვის, რომ რომელიმე კერძო კორესპონდენტმა ტალახში ან შეცდომაში არ ჩამფლოს და ჩემ გაზეთს სირცხვილი არ აქამოს...“<sup>61</sup>.

ისიც საგულისხმოა, რომ ნიკოლაძე გულდამშვიდებით ანდობდა კირილეს თავისი თხზულებების გამოქვეყნებას და აძლევდა სრულ უფლებას, შეეტანა მასში ყოველგვარი ხასიათის შესწორებანი.

ასეთივე ახლო ურთიერთობა ჰქონდა კირილესთან ს. მესხს. მისთვისაც ყველაზე უფრო საიმედო მეგობარი კირილე იყო. სერგეიცი დიდად აფასებდა კ. ლორთქიფანიძის პუბლიცისტურ ნიჭს, ამიტომაც იყო, რომ დაუინებით სთხოვდა, მიეწოდებინა სტატიები „დროებისათვის“.

„იმედი მაქვს შენი, — სწერს ერთ-ერთ წერილში ს. მესხი კირილეს, — რომ დამეხმარები მერმისს გაზეთის გაუმჯობესებაში. თუ შენისთანა კაცებისაგან რამე შემწეობა მექნება, მაშინ აღარ ვიქნები აძულებული დავბეჭდო ხანდისხან უაზრო და უფერული კორესპონდენციები და სტატიები ზოგიერთი ჩვენი პსევდომწერლებისა. თავი ნუ მოგიკვდება, ნუ იფიქრებ, რომ ამას

<sup>60</sup> აქვე, გვ. 177—180.

<sup>61</sup> აქვე, გვ. 177, 178.

გწერ მე ვითარცა რედაქტორი მუქთ თანამშრომელს; შენც კარგად იცი, რომ გაზეთის გაუმჯობესება ჩემი კერძო საქმე არ არის; ამის (გაზეთის გაუმჯობესების) შედეგები როგორც ჩემთვის, ისე ყოველი ჩვენი რჩული კაცებისათვის ერთნაირად სასურველი და სანატრელია“<sup>62</sup>.

სხვა წერილში კი ს. მესხი ასე უსაყვედურებს მეგობარს: „დროებოსათვის“ წერა სულ დაგავიწყდა? წელიწადში რომ რამდენიმე სტატია გამოგზავნო, ხელი მოგტყდება? ერთი სიტყვით, მგონია, სულ ამ ქვეყნის მოშორებას აპირებ როგორც სხეულთაც, აგრეთვე სულით“<sup>63</sup>.

1873 წელს, როდესაც ს. მესხმა გადაწყვიტა დროებით საზღვარგარეთ წასვლა, მან თავისი საყვარელი საქმე — „დროების“ რედაქტორობა კირილეს გადააბარა. ამავე წლის 24 ივლისით დათარიღებულ წერილში ის თხოვნით მიმართავდა კ. ლორთქიფანიძეს: „ძნელაა კირილე, მე იქნება ამ ხუთშაბათს მომიხდეს სამზღვარგარეთ წასვლა და ამიტომ შენი აქ ყოფნა ეხლა აუცილებლად საჭიროა... შენი ჰირომე, კირილე, ეს თხოვნა პირველივე თხოვნით შემისრულე“<sup>64</sup>.

ს. მესხის თხოვნამ ამჯერად, მართლაც, გასჭრა: კირილე, როგორც იქნა, თავის სამშობლოს დაუბრუნდა და „დროების“ რედაქტორობა იკისრა.

უცხოეთში მყოფი სერგეი მუდმივად აგზავნიდა წერილებს „დროებაში“ დასაბეჭდად და თან სთხოვდა კირილეს, მიეწერა თავისი აზრი მის სტატიებზე.<sup>65</sup> თვით მესხიც მოვალედ თვლიდა თავის თავს, კრიტიკულად შეეფასებინა მეგობრის წერილები. ასე მაგალითად, როდესაც 1869 წელს „დროების“ № 51-ში დაიბეჭდა კ. ლორთქიფანიძის რეცენზია იაკ. გოგებაშვილის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოზე, იმავე წლის 28 დეკემბერს ს. მესხი ასე წერდა კირილეს: „...შენი სტატია, ჩემს გარდა, სხვებსაც ბევრს მოეწონა. გოგებაშვილმა მიიღო ცნობაში ზოგიერთი შენიშვნები და დარიგებები: განსაკუთრებით მოსწონს იმას შენი „მანერა—изложениа... ჩემი მხრით, შევნიშნავ მხოლოდ ერთს (ამას შენც მიმხვდარხარ): შენი ჰირომე, კირილე, უფრო მეტი სიცოცხლე, შუშხი და ნაკლები სიმშრალე“<sup>66</sup>.

ს. მესხი აქებდა კ. ლორთქიფანიძის სხვა სტატიასაც — „საზრდო და მისი მნიშვნელობა სხეულისა და საზოგადოების ცხოვრებაში“, თუმც ამ შემთხვევაშიაც აღნიშნავდა მის ნაკლს: „ძალიან კარგი რამ არის, — წერდა სერგეი, — მაგრამ, ჩემი აზრით, მძიმედ ნათარგმნია...“<sup>67</sup> სხვა წერილშიც ს. მესხი კვლავ

<sup>62</sup> ს. ხუნდაძე, მასალები..., გვ. 67—68.

<sup>63</sup> იქვე, გვ. 83.

<sup>64</sup> აქვე, გვ. 159—160.

<sup>65</sup> ს. ხუნდაძე, მასალები..., გვ. 93.

<sup>66</sup> იქვე, გვ. 67.

<sup>67</sup> იქვე, გვ. 77.

ეხება კირილეს ამ სტატიას და გადაკვრით აგრძნობინებს თავის მეგობარს, რომ მას მინცადამინც არ მოსწონს მისი წერის მანერა: „კრებულის“ ბეჭდვა დაიწყეთ, ამ თავით იბეჭდება შენგან გამოგზავნილი სტატია, რომელშიაც ორი თუ ორ ნახევარი თაბახი წაშალა ცენზორმა, მაგრამ, ღვთის მადლით, მაგის დაწერის იხეთი მანერა აქვს წერისა, რომ ერთსა და იგივე აზრს ორჯერ-სამჯერ დაღუეს და ისე მიართმევს მკითხველს“<sup>68</sup>.

უნდა ითქვას, რომ ს. მესხის ეს შენიშვნა არ არის უსაფუძვლო. კირილეს წერის მანერა — ერთსა და იმავე საგანზე მივიწვითი ლაპარაკი კიდევ უფრო მეტად შეღავნდება მის ეპისტოლარულ მეგვიდრეობაში, განსაკუთრებით იმ წერილებში, რომელთა ადრესატები რაიმეზე უსაყვედურებენ მას. ამის გამო გაღიზიანებული კირილე იწყებს გაუთავებელ მტკიცებას, რათა ბოლომდე შეაგნებინოს „მბრალდებელს“ თავისი სიმართლე. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ ასეთი მაგალითი:

1869 წ. 14 ივლისს ს. მესხმა ბეჟან ხამაშურიძეს, მისსა და კირილეს საერთო მეგობარს, პეტერბურგში გაუგზავნა წერილი, რომელშიაც ის კირილეს შესახებ ასე სწერდა: „კაცო, წიგნებს ვგზავნი, დეპეშებს ვგზავნი და კაცი პასუხს არ მაძლევს, ეს რა ამბავია! ნეტა ვიცოდე, კირილე ცოცხალია თუ მკვდარი, თუ ცოცხალია, რად ერთი წიგნი არ მაღირსა ჩემი წიგნების პასუხად, რად დეპეშის პასუხი არ მომწერა, ტყუილუბრალოდ რად დამაკარგვინა დეპეშისათვის 9 მანეთი. გაუხმეს მაგას გოგრა“<sup>69</sup>.

ამ წერილის შინაარსი ცნობილი გახდა კირილესათვისაც. გაცხარებულმა კირილემ (როგორც ჩანს, ბავშვივით იცოდა წყენა) მესხის საპასუხოდ გააშანშალა უზარმაზარი წერილი, რომელშიაც იმ ზომამდე დაწვრილებით სწერდა პასუხის დაგვიანების მიზეზებზე, რომ ამას არ შეიძლებოდა სიცილის გრძნობა არ გამოეწვია სერგეიში. მართლაც, ამ უკანასკნელმა ასეთი მეგობრული იუმორით სავსე წერილით უპასუხა კირილეს (მოგვაქვს ს. მესხის წერილიდან ადგილები შერჩევით, — ე. ა.):

„...ეხლა დავიწყებ თავიდან და ვეცდები ყოველს შენი წიგნის პუნქტზე მოგახსენო; მაგრამ, ღმერთმანი, ხელი მიჩერდება, როცა გამაბსუნდება, რამდენ რამეებზე უნდა მოვილიპარაკო შენთან; ნამეტურ შენი წიგნის პირველ გვერდს რო გადავხედავ, სწორედ სასოწარკვეთილებაში ვარდები: ხუმრობაა ძველი დეპეშებისა და ტელეგრაფის კვიტანციების ამოღება არხივიდან და იმათი გაჩხრეკა? ხუმრობაა, ისე პუნქტებით გამოანგარიშება, როგორც შენ გიქნია? ამისათვის მე არც მომეტებული დრო მაქვს და არც მოთმინება...“<sup>70</sup>

„...შენ წიგნში სამჯერ-ოთხჯერ არის მოხსენიებული ჩემი სიტყვები:

<sup>68</sup> ს. ხუნდაძე, მასალები..., გვ. 78—79 .

<sup>69</sup> იქვე, გვ. 57—58.

<sup>70</sup> იქვე, გვ. 62.

„გაუხმეს კირილეს გოგრაო“, როგორც გეტყობა, კისერში გაგჩერებია ეს სიტყვები და ვერ გადაგიყლაპავს. ძალიან მიყვირს, რომ გულით ნათქვამს სიტყვას ვერ არჩევ ფრაზასთან; თუმცა, როგორც ვხედავ, მე სრული უფლება მქონდა მუავე სიტყვები მომეხსენებია შენთვის, მაგრამ (დახე, ჩემ სულგრძელობას) ფრაზის მეტი არა მითქვამს რა“<sup>71</sup>.

და შემდეგ:

„...შენ ორმოცეკერ იმეორებ, ეს და ეს უნდა გეფიქრნაო: ეხლა ხომ ხედავ, რომ ცოტა შენც ვეფიქრნა და იმწამსვე გამოგეგზავნა წიგნი ან დეპეშა, კარგა იზაჰდი... მართლა, მიყვირს, როგორ ვერ მოვიფიქრე—რამდენი დრო სჭირდება კირილეს ჯერ დასაწერად მომზადებისათვის, მერე თითონ წერისათვის, მერე გამოგზავნისათვის და სხვა! შენ ძალიან კარგად ამბობ, რომ 14 დღეზე ადრე პასუხის მოწერა ზომ არ შეიძლებოდაო(!)...“<sup>72</sup>

ს. მესხის ეს წერილი შესანიშნავად გამოხატავს მეგობრის თვალით დანახულ კირილეს სისუსტეებს. მაგრამ კიდევ უფრო საგულისხმოა ეს წერილი კ. ლორთქიფანიძის სხვა, სამაგალითო, პიროვნული თვისებების წარმოჩინებისათვის. წერილის დასაწყისში ვკითხულობთ:

„შეაო კირილე! დარწმუნებული ვარ, რომ თუ შენთან ხშირი მიწერ-მოწერა გავმართე, პუნქტუალურად წერას მიმაჩვევ და ეს, შენც იცი ჩემი ხასიათი, ძალიან სასიამოვნო არ იქნება ჩემთვის. მე არც ცხოვრებაში და არც წერაში არ მიყვარს ნემეცური სიფაქიზე და წესიერება, მაშინასავით მორთული კაცის სიცოცხლე რა სიცოცხლეა. გარწმუნებ, რომ ხანდისხან თავხედობას და უწესობას თვით ბუნებაც მოითხოვს! ... ესეც შენთვის წინასიტყვაობა, რომელიც უსათუოდ გამოგვადგება, თუ ყურადღებას მიაქცევ...“<sup>73</sup>.

თავხედობისა და უწესობისაგან ამ წერილის ავტორიც ძალიან შორს იდგა. არც „მაშინასავით მორთული კაცის სიცოცხლე“ უნდა ყოფილიყო მისთვის უცხო. ის ხომ, მართლაც, მანქანასავით დღედაღამ მუშაობდა რედაქციაში? თავისი ბუნებით ის სწორედ რომ ძალიან ახლოს იდგა კირილესთან. კირილესავით მასაც დავიწყებული ჰყავდა საკუთარი თავი და თუ თავის მეგობარს ასეთ რჩევა-დარიგებას აძლევდა, მხოლოდ იმიტომ, რომ, მართლაც, არამქვეყნაური ადამიანისათვის რალაცნაირად შეემსუბუქებინა სიცოცხლე.

კ. ლორთქიფანიძე იყო იმედი არა მარტო თავისი მეგობრების, არამედ მთელი იმდროინდელი ინტელიგენციისა. შემთხვევითი არ იყო, რომ როდესაც ჩვენი ერის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, ესტატე მკედლიძე (ბოსლეველი), 1885 წელს ავანაკურად მოკლეს, მეგობრის სიკვდილით თავზარდაცემულმა პოეტმა გრიგოლ ვოლსკიმ (უმწიფარიძემ) პირველ რიგში კ. ლორთქიფანიძეს მიმართა შველისა და სამართლის ფაჩენისათვის:

<sup>71</sup> ს. ხუნდაძე, მასალები., გვ. 63.

<sup>72</sup> იქვე

<sup>73</sup> იქვე, გვ. 62.

„ჩვენი სამღვთო ვალია, — წერს ალექსანდრე ვოლსკი, — თუ ჩვენ ცოტაოდენი პატივისცემა მიანიც გვაქვს საწყალ ესტატესადმი და ჩვენი საკუთარი თავის პატივისცემაც, თუ კი ჩვენ რამე შეგვეძლება და რამე გავლენა გვაქვს, არაფერი არ დაგზოგოთ, რომ აღმოვაჩინოთ ავაზაკები და ღირსეულად დავასაჩინოთ მართლმსაჯულებას. ჩვენი სირცხვილი და სრული დაძაბუნება იქნება, რომ ავაზაკს ამგვარი საქმე შერჩეს, მოგვიკლან პატიოსანი წვერი და ამხანაგი“.. წერილის დასასრულს გრ. ვოლსკი ასეთი სიტყვებით მიმართავს კირილეს:

„თქვენა გწერთ ამ წერილს. კირილე, იმიტომ, რომ ესტატეს ჭირისუფალს არავის ვიცნობ, მთელი ინტელიგენცია ერთ დიდ ოჯახად მიმაჩნია და ყველანი ყველას ჭირისუფლად: თქვენ გწერთ, როგორც წარმომადგენელს ქუთაისის ინტელიგენციის წრისას“<sup>74</sup>.

ასეთად წარმოგვიდგება კირილე სხვათა წერილების მიხედვით.

კ. ლორთქიფანიძის არქივში დაცულია თვით მისი ეპისტოლარული მემკვიდრეობაც. გარკვეული ნაწილი წერილებისა ინახება კ. მარქსის სახ. სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში, ნიკო ნიკოლაძის პირად საარქივო ფონდში და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, აკაკი წერეთლისა და სერგეი მესხის პირად საარქივო ფონდებში. კირილეს ადრესატები არიან როგორც მისი ოჯახის წევრები, ასევე იმდროინდელი გამოჩენილი პირები: ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, რ. ერისთავი, ალ. ცაგარელი, ი. მეუნარგია, ნ. ნიკოლაძე, ს. მესხი, პ. უმიკაშვილი და სხვები.

კირილეს წერილები კიდევ უფრო ამდიდრებს ჩვენს წარმოდგენას მის პიროვნებაზე. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა 1867 წ. 19 იანვრით დათარიღებული წერილი<sup>75</sup>. ეს უკანასკნელი წარმოადგენს პასუხს გ. წერეთლის 1865 წლის 9 ივლისს დაწერილ წერილისას<sup>76</sup>, რომელშიაც წერეთელი შემდეგ ბრალდებებს უყენებს. მეგობარს: კირილემ დაავიანა რუსეთიდან ჩამოსვლა-მაშინ, როდესაც ერის ინტერესები მოითხოვდა, რომ ის თავის სამშობლოში ყოფილიყო; დაარღვია აფხაზთან და ნ. ლოლბერიძესთან მიცემული პირობა ვ. შულგინის წიგნის თარგმანთან დაკავშირებით და მიითვისა „ჩონგურიდან“ მიღებული შემოსავალი.

„ზოგიერთი ზნეობითი თვისებები და მათ შორის პატიოსნებაც, — წერს მეგობრის სიტყვებით განაწყენებული კირილე, — სწავლის პრინციპებით არ შემძინია, სწავლამ გამივრცელა და უფრო გამიგანებრა ის, რაც მივიღე შინაურაჲს აღზრდისაგან. მე არა მაქვს პრეტენზია დიდს ჭკუაზე, დიდ სწავლაზე“

<sup>74</sup> აქვე, გვ. 153—154.

<sup>75</sup> აქვე, გვ. 110—135.

<sup>76</sup> ქკლ. № 903.

დიდს ენერგიაზე... ...მაგრამ პატიოსნების ცოტაოდენი შებღალვის მოთმე-  
ხაც არ შემძლიან... ვისიც ვალი მაქვს, საზოგადოების თუ კერძო პირების,  
ზნეობითი თუ მატერიალური, ყველას გადახდის იმედი მაქვს იმდენად, რამდე-  
ნიც ვასპრის ჩემი ჰქუა, სწავლა და ენერგია. ერთი სიტყვით, ჩემი ცხოვრე-  
ბის პროგრამაა ეს არის, რომ უსაქმოდ არ ვიყო... და ყოველივე დავამყარო.  
გონიერულს ზნეობაზე“<sup>77</sup>.

როგორც ვხედავთ, კირილეს შეურაცხყოფილად უგრძენია თავი, მაგრამ სა-  
კმარისი აღმოჩნდა, გ. წერეთელს ბოდიში მოეხადა მის წინაშე<sup>78</sup>, რომ ამ უკა-  
ნასკნელსაც დაევიწყა ძველი წყენა და გულახდილად გადაეშალა მისთვის მთე-  
ლი თავისი გულისნადები. „...და ამ ახსარებას იმიტომ ვიწყებ, — წერს იგი, —  
რომ... გონიერების და ზნეობის საფუძვლებზე დამყარებულ ამხანაგობას დი-  
დი უფლება მოუცია ერთმანეთზე“<sup>79</sup>.

კირილეს ეს წერილი, მართლაც, რომ აღსარებას წარმოადგენს. ის არ იშუ-  
რებს დროს, ენერგიას და დაწვრილებით მოუთხრობს მეგობარს თავის სტუდენ-  
ტურ ცხოვრებაზე, დეტალურად წერს აგრეთვე შულგინის ისტორიის თარგმა-  
ნისა და „ჩონგურის“ გამოცემის შესახებ. წერილიდან ჩანს, რომ 1864 წლის და-  
საწყისში კ. ლორთქიფანიძეს განუზრახავს ქართულ ენაზე ეთარგმნა და გამოეცა  
ვ. შულგინის წიგნი «Курс всеобщей истории для воспитанников и воспита-  
нниц средних учебных заведений.» ამ განზრახვის განსახორციელებლად კი-  
რილეს ნ. ლოლობერიძისათვის მიუწერია წერილი, რომელშიაც იგი სთხოვდა თა-  
ვის უფროს ამხანაგს, ეშუამდგომლა აფხაზთან, რათა ამ უკანასკნელს გამოეგ-  
ზავნა თარგმანის გამოსაქვეყნებლად ფული. აფხაზთან მიცემული პირობის თა-  
ნახმად, კირილეს შულგინის ისტორიის თარგმანი ერთი წლის შემდეგ უნდა გა-  
მოეცა. თუ ვინცობა ამ ხნის განმავლობაში ის ვერ მოასწრებდა სამუშაოს დამ-  
თავრებას, ან უხეიროდ გადათარგმნიდა წიგნს, მაშინ ის ვალდებული იყო აფხა-  
ზისათვის სრულად დაებრუნებინა ფული.

კირილემ დანაპირები ვერ შეასრულა და, აი, რატომ: წიგნის თარგმნა-  
მას დაუწყია 1864 წლის ზამთარში. კირილე ფიქრობდა, სამუშაო დაემთავრე-  
ბინა ზაფხულისათვის, შემდეგ საქართველოში ეჩვენებინა რომელიმე გამოც-  
დილი პირისათვის და საბოლოოდ შესწორებული აფხაზისათვის გადაეცა.  
მაგრამ გადიოდა დღეები, თვეები და არც ფული და არც არავითარი ცნობა  
წ. ლოლობერიძისაგან არ ჩანდა. ასე გაიარა თითქმის ნახევარმა წელიწადმა.  
იმედდაღაწყვეტილ კირილეს მიუენებებია თავი თარგმანისათვის და ბოლოს  
გაუნადგურებია კიდევაც თავისი ნამუშევარი. სწორედ ამ დროს, იენისის თვე-

<sup>77</sup> აქვე, გვ. 110—111.

<sup>78</sup> გ. წერეთლის 1866 წ. 3 ივლისის დათარიღებული წერილი, „მაცნე“, 1966, № 1, გვ. 204.,  
ეურნალოში წერილის თარიღი შეცდომით არის მითითებული.

<sup>79</sup> აქვე, გვ. 111.

ში, მას მოუღია ნ. დოლობერიძისაგან წერილი და აფხაზის მიერ გამოგზავნილი 600 მან<sup>80</sup>. ამის შემდეგ კირილე კვლავ შესდგომია წიგნის თარგმნას. მაგრამ მუშაობის პროცესში დარწმუნებულა, რომ მისი შრომა ვერაფერს სარგებლობას ვერ მოუტანდა საზოგადოებას, რადგან იმდროინდელი მკითხველი, მისი აზრით. ამ წიგნის ზოგიერთი ადგილის გადაკეთებისა და კომენტარის გარეშე ვერ შეძლებდა ტექსტის გაგებას. ამავე დროს კირილე, რომელიც უაღრესად კეთილშინდისიერი იყო ყველა საქმეში, ფიქრობდა, რომ ამ სახის სამუშაოს ვერ მოერეოდა. „უნდა გაგიტყდე, — სწერს იგი გ. წერეთელს, — რომ მე, არა თუ მაშინ, ახლაც არ შემიძლიან მისი გადასწორება და კომენტარების გაკეთება ისე, რომ ჩემი სინდისის წინ უცოდველად ვიგრძნო თავისი თავი“<sup>81</sup>.

იმავე წერილში ვკითხულობთ, რომ აფხაზისაგან მიღებული 600 მანეთიდან კირილეს 200 მანეთის ვალი გაუსტუმრებია, 160 მან. გაუსესხებია ქართული სტუდენტებისათვის, ხოლო 40 მანეთით უყიდია აუცილებელი ნივთები. ასე რომ, ამ თანხიდან მას ხელზე 200 მანეთიღა დარჩენია. „... და რადგანაც ეს ფული, — სწერს კირილე, — არ მეყოფოდა მეორე სექტემბრამდის... და სხვა ღონისძიებას ვერსად ვხედავდი, მე განვიზრახე უპრაქტიკოდ სისრულეში მომეყვანა დიდი ხნიდან განზრახული აზრი (ლექსების კრების გამოცემა) და ამით ცოტა ხელი გამემართა და ეს საჭირო იყო როგორც ეკზემენისათვის, ისე აფხაზთან შეკრული პირობის ასასრულებლად“<sup>82</sup>.

კირილე ეცადა, რომ მის შედგენილ ლექსთა კრებულში ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშები ყოფილიყო წარმოდგენილი. ამ მიზნით მას პირველ რიგში ილ. ჭავჭავაძისათვის გაუგზავნია წერილი, რომელშიაც სთხოვდა, მიეწოდებინა მისთვის ახალი ლექსები და პოემის „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ გასწორებული გაგრძელება. ილიას კირილესათვის გაუგზავნია 2 ლექსი: „ნანა“ და „ქართველი სტუდენტების სიმღერა“. „რამდენიმე სურათის...“ დაბეჭდვაზე კი უარი უთქვამს იმ მოტივით, რომ ცენზურა არ გაუშვებსო. ასეთივე თხოვნით მიუმართავს კირილეს აკ. წერეთლისათვისაც, მაგრამ აკაკისაგან პასუხიც კი არ მოსვლია. „რა უნდა მექნა, — განაგრობს კირილე, — ფულები ცოტა იყო, ლექსები ვერ მივიღე. უნდა დაძეტოვებია ჩონგურის გამოცემა. მაგრამ გულმა მითხრა: „რაც უნდა იყოს, გამოეცე! შენ ამხანაგებს და შენ ბევრი რამ საქმეები დაგიწყიათ და არც ერთი არ შეგისრულებიათ. — მუდამ ამგვარად საქმის გათავება ენერგიას უქარგავს კაცს. გამოეცე!“<sup>83</sup> მართლაც, კირილეს ხელი არ ჩაუქნევია და დიდის მონღოლებით შესდგომია ლექსების შეკრებას და გადაწერას.

<sup>80</sup> „ლიტერატურული აპარა“, ბათუმი, 1965, № 1, 1864 წ. 25 მაისით დათარიღებული წერილი.

<sup>81</sup> აქვე, გვ. 115.

<sup>82</sup> აქვე, გვ. 117.

<sup>83</sup> აქვე, გვ. 118.



„ჩონგური“ კირილემ ძირითადად თავი მოუყარა ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის, ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლისა და რ. ერისთავის ლექსებს. ამ კრებულის შედგენის დროსაც კირილემ თავისი ჩვეული გამბედაობა გამოიჩინა: ილიას ნებართვის გარეშე და ცენზორის ღილი წაწაღმდეგობის მიუხედავად, წიგნში შეიტანა „კაკო ყაჩაღის“ რამდენიმე თავი, ნეკრასოვის იმ დროისათვის აკრძალული პოემა „პოეტი და მოქალაქე“, მისივე ლექსი „გადის დრო“ და დემოკრატი პოეტის — რობერტ ნიკოლის „ყველანი ძმები ვართ“ (ნეკრასოვისა და ნიკოლის ნაწარმოებები თვით კირილემ თარგმნა). საგულისხმოა, რომ კრებულს კ. ლორთქიფანიძემ ეპოგრაფად შეურჩია ნ. ბარათაშვილის სიტყვები:

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს  
განწირულის სულის კვეთება“.

წიგნის დასაწყისში კი მოათავსა ნეკრასოვის „პოეტი და მოქალაქე“, ბოლო დასაპრულში — მისივე „გადის დრო“. ამით კირილემ აქცენტირება მოახდინა დემოკრატიული შინაარსის ნაწარმოებებზე და ერთგვარად თავისებური მიმართულება მისცა მთლიანად ამ კრებულს. „... მე ვცდილობდი, — წერს კირილე, — ისე დამეწყო ეს ლექსები, რომ ამ რიგზე დაწყობამაიკ აზრი ყოფილიყო“<sup>84</sup>.

საცენზურო კომიტეტში კ. ლორთქიფანიძეს „ჩონგური“ წარუდგენია სექტემბრის პირველ რიცხვებში. აქედან წიგნი გაუგზავნიათ პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც იგი წასაკითხად გადაუტიათ პროფესორ დ. ჩუბინაშვილისათვის. ამ უკანასკნელს ნოემბრის ბოლო რიცხვებში წიგნი უკან გადაუგზავნია საცენზურო კომიტეტში და თან წერილობით უცნობებია, რომ იგი მიზანშეწონილად თელის მის დაბეჭდვას. კირილეს წერილიდან ისიც ჩანს, რომ დ. ჩუბინაშვილს ცენზორისათვის უამბნია „კაკო ყაჩაღის“ შინაარსი. ცენზორს უარი განუცხადებია პოემის გამოქვეყნებაზე, რადგან მისი შინაარსი მებატონებდა და გლახებს შორის შურს აღძრავსო (დაბოლოს, დიდი ბრძოლის შემდეგ პოემა დაიბეჭდა, მაგრამ ბოლო ათი გვერდის გამოკლებით).

„ჩონგურის“ ბეჭდვა დაუწყიათ ნოემბრის თვეში და ახლაც კირილეს მრავალი დაპრკოლების გადალახვა დასჭირებია. ასოთამწყობი აღმოჩნდა სომეხი, რომელსაც ქართული ენა ძალზე ცუდად სცოდნია. ამის გამო კირილეს თავისი ხელით გადაუწერია მთელი კრებული ისე, რომ ასოთამწყობისათვის ადვილი გასარჩევი ყოფილიყო. „მაგრამ ამას ვინღა დაეძებდა, — წერს კირილე, რადგან ამწყობმა არ იცოდა, თუ რანაირად გადაეტანა ერთი სტრიქონი მეორე სტრიქონზე, ან რამდენი ალაგი უნდა გაეშვა ლექსებს შუა, ამისთვის მე უნდა დამეწერა ის წიგნი ისე, რომ თითო გვერდზე 24 სტრიქონი

<sup>84</sup> ე. აქვე, გვ. 84.

დამეწერა და რომ სტრიქონების კარგად გადასატანად გრძელ ლექსებში ასო-  
ებ-ც უნდა მეთვალა. ამას გარდა, ის სომეხი თავისებურად ასწორებდა ხოლმე  
ქავკავაძის და ბარათაშვილის ლექსებს. ისე რომ, ყოველი ლექსი ორიგინალით  
უნდა შენეწორებია. ეგრე ერთს თაბახს (აქ თაბახად წიგნზე 16 გვ.) ვერ  
ვანყოფინე ოთხ კორექტურაზე ნაკლები, შუა წიგნში ერთს თაბახს, მახსოვს,  
8 კორექტურა მოუნდა, მეორეს—შვილი“<sup>85</sup>.

როგორც კირილე მოგვითხრობს, რამდენადმე შემსუბუქებია მას მდგო-  
მარეობა იმის შედეგ. რაც ასოთამწყობად დაუნიშნავთ გერმანელი, რომელ-  
საც საგანგებოდ შეუსწავლია ქართული ენა. მაგრამ ისიც ადვილი წარმოაბლ-  
გენია, თუ რა წვალუნა უნდა შეხვედროდა კირილეს ამ პირობებშიაც. „კორ-  
ექტურამ ისე შემაბულა ის ლექსები, — წერს კირილე, — რომ მას აქეთ აქამ-  
დის არ [ც] ერთი ლექსი არ წაჰვიტოხავს სიამოვნებით“<sup>86</sup>. ასეთი უმაღური  
შრომა გააწია კირილემ „ჩონგურის“ დაბეჭდვისას.

ამავე წერილში კირილე ისე დაწვრილებით სწერს იმ ხარკების შესახებ,  
რომელიც მას ამ კრებულის გამოსაცემად დასჭირდა, რომ სრულიად ცხადი  
ხდება — „ჩონგურს“ კირილესათვის მატერიალური სარგებლობა კი არ მო-  
უტანია, არამედ — დიდი ზარალი.

როგორც ვხედავთ, კ. ლორთქიფანიძის ეს წერილი, ერთი მხრივ, დახმ-  
რებას გვიწევს მისი ავტორის პიროვნების შესწავლაში, ხოლო, მეორე მხრივ,  
საგულანხმო ცნობებს გვაწვდის იმ წიგნის ბეჭდვის შესახებ, რომელიც თა-  
ვის დროზე ასეთი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ქართველ მკითხველთა  
შორის.

კირილეს კეთილსინდისიერებაზე მეტყველებს ასევე მისი 1869 წ. 28  
ნოემბრით დათარიღებული წერილი ს. ნესინსადმი<sup>87</sup>. როგორც ამ წერილიდან  
ირკვევა, ს. მესხს ნ. ნიკოლაძისა და კ. ლორთქიფანიძისათვის დაუეცალებია  
პოლიტიკური სტატიების დაწერა გაზეთ „დროებისათვის“. საპასუხო წერი-  
ლში კირილე უარს აცხადებს ამ ხასიათის სტატიების წერაზე იმ მოტივით,  
რომ მას არ გააჩნია საამისო ნიჭი ანუ, კირილეს სიტყვებით რომ ვთქვათ, გან-  
საკუთრებული „კვიუს ხასიათი“<sup>88</sup>.

კ. ლორთქიფანიძის ასეთ განცხადებაში კარგად ვლინდება არა მარტო-  
დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, არამედ სხვა თვისებებიც: გულანდილობა,  
თავმდაბლობა, უნარი იმისა, რომ კრიტიკულად შეაფასოს საკუთარი შესაძ-  
ლებლობანი. ხასიათის ამ თვისებებს ის სხვა წერილებშიაც ამჟღავნებს. ასე  
მაგალითად, როდესაც ს. მესხმა უსაყვედურა კირილეს, რომ მის სტატიას  
იაკ. გოგებაშვილის სახელმძღვანელოზე სიცოცხლე აკლიათ<sup>89</sup>, კ. ლორთქიფა-

<sup>85</sup> აქვე, გვ. 120—121.

<sup>86</sup> აქვე, გვ. 121.

<sup>87</sup> აქვე, გვ. 75—77.

<sup>88</sup> აქვე, გვ. 76.

<sup>89</sup> ს. ხუნდაძე, მასალები... გვ. 67.

ნიმე გულანდილად აღიარა მეგობრის წინაშე: მე არ შემძლიან მახვილობა და თუ ვიპაზვრლე, გაუთლელი რამე გამოვა, მაშ, სჯობია, მახვილობას თავი დავანებო<sup>90</sup>.

ასეთი მიუდგომელი იყო კირილე საკუთარი თავის მიმართ და ასეთსავე დამოკიდებულებას მოითხოვდა იგი სხვებისაგანაც. სწორედ ამის გამო იყო, რომ ფსევდონიმებით აქვეყნებდა თავის წერილებს და რედაქტორებიასაგან დაბეჯითებით მოითხოვდა, არ გაემეღავნებინათ მისი გვარი.

„...სასიამოვნო იქნებოდა და შემდგომისათვის გამოსადეგი ჩემთვის, — სწერს კირილე ს. მესხს, — რომ ყოველი ჩემი ამხანაგისაგან და ნაცნობისაგან, ერთი სიტყვით, ყოველი მკითხველისაგან გამეგონა მიუფერებელი და ნამდვილი აზრი ჩემ სტატიაზე და ეს შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ, როცა არავის არ ეცოდინებოდა ჩემი ფსევდონიმის ნამდვილი მნიშვნელობა“<sup>91</sup>.

კ. ლორთქიფანიძე კატეგორიულად მოითხოვდა ასევე რედაქტორისაგან, რომ მის სტატიას არ შეხებოდა ცენზორი და ყოველგვარი შესწორების გარეშე ყოფილიყო დაზვედილი. ერთ-ერთ წერილში კირილე ასე სწერს ს. მესხს:

„...რომ ეს სტატია<sup>92</sup> ცენზორმა გაუშვას და არ დაამახინჯოს, შენ კარგად უნდა წაიკითხო ეს სტატია და თვითონ იმაში იპოვი მოსაგერებელ ფრაზებს. თუ ეს სტატია არ გაუშვა, ან დაამახინჯა, ძალიან მეწყინება, не завищимо от того, получу ли я за нее деньги или нет...“<sup>93</sup> ასეთ პრინციპულობას იჩენდა კირილე მაშინაც კი, როდესაც ის უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდა. ამ მხრივ საგულისხმოა მისი სტუდენტობის პერიოდიდან ერთი ასეთი ეპიზოდი:

1870 წლის 15 თებერვალს ს. მესხმა პეტერბურგში მყოფ კირილეს გაუგზავნა წერილი<sup>94</sup>, რომელშიაც ის სიხარულით აუწყებდა თავის მეგობარს, რომ იმ წელიწადს „დროების“ რედაქციას საშუალება მიეცა თანამშრომლებისათვის ეწლია ჰონორარი. ამ საქმისათვის სერგეის გადაუდევს 600 მან. როგორც წერილიდან ჩანს, თავდაპირველად მას განუზრახავს ერთი თანამშრომლის აყვანა, მაგრამ შემდეგ გადაუწყვეტია ჰონორარი მიეცა ისეთი პირობისათვის, რომლებსაც განსაკუთრებით უჭირდათ.

„ეს საქმე, იცოდე, — სწერს სერგეი კირილეს, — საიდუმლოა... თუ დრო გაქვს და აკისრებ, შე შემძლია ყოველთვე 20 მანეთი გიგზავნო იმ პირობით, რომ თვეში „დროების“ რვა კოლონის ასავსები მასალები ჩამაბარო...“<sup>95</sup>.

იმავე წლის 10 მარტით დათარიღებულ წერილში კ. ლორთქიფანიძე პირდება ს. მესხს, დროდადრო მიაწოდოს დასაბეჭდი სტატიები, მაგრამ თანამშრომლობაზე უარს აცხადებს იმ მოტივით, რომ საამისო დრო არ გააჩნია.

<sup>90</sup> აქვე, გვ. 79.

<sup>91</sup> აქვე, გვ. 79.

<sup>92</sup> იგულისხმება კირილეს სტატია „საზრო და მისი მნიშვნელობა...“ კრებული, 1871, № 3.

<sup>93</sup> აქვე, გვ. 78.

<sup>94</sup> ს. ხუნდაძე, მასალები..., გვ. 70—74.

<sup>95</sup> იქვე, გვ. 72.

„მართალია, — სწერს კირილე, — ყოველ თვეში რომ 20 მანეთი ხელად მქონებოდა, დიდი ხანია გამოვიდოდი პეტერბურგიდამ; ახლაც დიდი რაშეა 20 მანეთი, მაგრამ თვეობით სტატიების გზავნას მხოლოდ მაშინ მოვახერხებდი, თუ რომ მე არ მაწუხებდეს ის საქმე, რომლის შესრულებაზედ ჰკიდია ჩემი აქედამ წამოსვლა. ამისათვის გაგიმეორებ: 1) რომ თვეობით სტატიებს ვერ შეგპირდები, ვეცდები კი, რომ ნამეტანი გვიან გვიან არ მოხდეს სტატიების გზავნა; 2) რომ ჩემი სახელების გამოუცხადებლობის გამო უსაფუძვლო სტატიებს არ გამოგიგზავნი“<sup>96</sup>.

ან წერილში კირილე არა მარტო უარს აცხადებს „ღროების“ თანამშრომლობაზე, არამედ კატეგორიულად მოითხოვს ს. მესხისაგან, შეატყობინოს წყარო იმ ჰონორარისა, რომელსაც ის მას სთავაზობს.

„ფულებზედ ამას გეტყვი, — ვკითხულობთ წერილში, — მე არ შემიძლიან მოვითხოვო შენგან, რომ თვეობით, ან გამოგზავნილი სტატიების შესაფერად ფულები მაძლიო. როგორც გინდა, ისე მოიქეცი. მაგრამ ერთს კი გარდაწყვეტით გეტყვი, რომ მე ან ნამდვილად უნდა ვიცოდე იმ ფულების წყარო, ან პატიოსანი სიტყვა უნდა მომცე, რომ იმ წყაროსაგან სმევა არ არის სათაკილო. მხოლოდ ამ უკანასკნელ შემთხვევაში შემიძლიან ფულების აღება“<sup>97</sup>.

კ. ლორთქიფანიძის დასახსიათებლად საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი. კირილემ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ს. მესხს დასაბეჭდად გაუგზავნა „საზრდო და მისი მნიშვნელობა...“ ამ სტატიის დაბეჭდვასთან დაკავშირებით იგი ურჩევდა სერგეის, რომ მისი წერილი „ღროების“ ხუთ ნომერში გაენაწილებინა და არ გაეყო ის შუაზე, რადგან მაშინ კირილეს სტატია გაზეთის ათ სვეტს დაიჭერდა და ამით მას ერთფეროვანს გახდიდა. „გაზეთს მრავალგვარობა უნდა ჰქონდეს და ეს მოუხერხებელია“ — თ<sup>98</sup>, — სწერდა კირილე სერგეის. ამდაგვარი დეტალების მოტანა სხვაეც ბევრი შეიძლებოდა კირილეს ეპისტოლური მემკვიდრეობიდან.

კ. ლორთქიფანიძის წერილები არა მარტო მისი პიროვნების შესწავლის თვალსაზრისით არის საინტერესო. მათში ამავე დროს მოცემულია მეტად საგულისხმო ცნობები გასული საუკუნის 60—90-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებიდან. განსაკუთრებით მდიდარ მასალას მოიცავენ ისინი, როგორც უკვე ვთქვით, პეტერბურგში მყოფ ქართველ ახალგაზრდათა ცხოვრების შესახებ.

ცნობილია, რომ 60-იან წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტში ძალზე დაძაბული მდგომარეობა იყო. 1861 წ. სტუდენტთა რევოლუციური გამოსე-

<sup>96</sup> აქვე, გვ. 83.

<sup>97</sup> საპასუხო წერილში ს. მესხი თუმც არ ამჟღავნებს საიდუმლოებას, მაგრამ აძლევს პატიოსან სიტყვას, რომ ამ „წყაროსაგან სმევა“ არც ერთი პატიოსანი კაცისაგან სათაკილო არ არის (ს. ხუნდაძე, მასალები..., გვ. 75—76).

<sup>98</sup> აქვე, გვ. 78.

ლების გამო განათლების ახალმა ხელმძღვანელობამ უმაღლესი სასწავლებლებსათვის შეიმუშავა მეტად მკაცრი წესდება, რომლის ძალით უქმდებოდა სტუდენტთა სათვისტომოები, შეკრებები, კონცერტები, სასაუზმე და თამბაქოს მოსაწევი ოთახები; იკრძალებოდა სტუდენტთა მიერ წიგნების კრებულებისა და ჟურნალ-გაზეთების გამოცემა, შემოღებულ იქნა კურსიდან კურსზე გადასაყვანი გამოცდები და სტუდენტისათვის წლიური სავალდებულო გადასახადი — 50 მან. სტუდენტებს ევალებოდათ ეტარებინათ მატრიკულები. რომლებზეც ახალი წესდება უნდა ყოფილიყო შეტანილი<sup>99</sup>.

ამ ფაქტმა სტუდენტობაში გამოიწვია დიდი მღელვარება, რომელიც დაბოლოს დემონსტრაციებში გადაიზარდა. დემონსტრაციის ერთ-ერთი მონაწილე იყო კ. ლორთქიფანიძეც, რომელიც პირად წერილებში საკმაოდ დაწერილებით მოუთხრობს სტუდენტთა არეულობის შესახებ თავის ოჯახის წევრებს. კირილეს გადმოცემით, დემონსტრაციებს შედეგად მოჰყვა სტუდენტთა დაპატიმრება, რომელიც გრძელდებოდა 26 სექტემბრიდან 12 ოქტომბრამდე. ამ ხნის განმავლობაში 500-მდე სტუდენტი დააპატიმრეს. სტუდენტების ერთი ნაწილი პეტრე-პავლეს ციხეში მოათავსეს, ხოლო მეორე — კონშტადტში. ყველაზე უფრო მწვავე შეტაკება 12 ოქტომბერს მომხდარა. სწორედ ამ დღეს დაუპატიმრებიათ 242 სტუდენტი, რომელთა შორის ცამეტი ქართველი სტუდენტიც ყოფილა (კ. ლორთქიფანიძე, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ბ. ლოლობერიძე, დ. აბდუშელიშვილი, დ. ლოლობერიძე, ვ. სვანელი, ა. ალხაზიშვილი, გ. ჯავახიშვილი, ა. ჩოლოყაშვილი, აბელ და ნიკო შანშიაშვილები). დაპატიმრებულნი მოუთავსებიათ ჯერ პეტრე-პავლეს ციხეში, ხოლო შემდეგ გადაუგზავნიათ კონშტადტში. პატიმრობა გაგრძელებულა 6 დეკემბრამდე. 6 დეკემბერს კი სტუდენტებისათვის გამოუცხადებიათ, რომ ისინი გარიცხულნი არიან უნივერსიტეტიდან. I, II და III კურსის სტუდენტები სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყვნენ, თუკი მათ თავდებად არავინ დაუდგებოდა, ხოლო IV კურსის სტუდენტებს ახლომასლო გუბერნიებში გადასახლებით ემუქრებოდნენ<sup>100</sup>. როგორც კ. ლორთქიფანიძის წერილებში ვკითხულობთ, სტუდენტთა არეულობაში მონაწილეობას იღებდნენ უნივერსიტეტის პროფესორები, მწერლები, ლიტერატორები, ჩინოვნიკები და სხვა გარეშე პირებიც. პეტერბურგის ხუთი პროფესორი სამსახურიდან გაუთავისუფლებიათ. მოუხსნიათ განათლების მინისტრი და გენერალ-გუბერნატორიც, რომელსაც უიარაღო სტუდენტების წინააღმდეგ ჯარი გამოუყვანია. შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად მთავრობას მოუხმია რუსეთში მყოფი სასწავლებლის მანრის მზრუნველები და რუსეთის ყველა უმაღლესი სასწავლებ-

<sup>99</sup> 1861 წ. სტუდენტთა გამოსვლების შესახებ დაწერილებით იხ. კ. მეძველია, „თერგდალეულები“ და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერი მოღვაწეები, I, თბ., 1959.

<sup>100</sup> აქვე, გვ. 55.

ლიდან ზოგიერთი პროფესორი, რომელთაც დაავალეს ახალი, უფრო მსუბუქი წესდების შედგენა.

სტუდენტობის დიდ უმრავლესობას, მათ შორის კირილესაც, მოუნახავს თავდები. მაგრამ როგორც მისთვის. ასევე გ. წერეთლის, ბ. ლოლობერიძის, დ. ლოლობერიძისა და ვ. თუმანიშვილისათვის სტიპენდიები მოუხსნიათ.<sup>101</sup>

1862 წ. 6 თებერვლით დათარიღებულ წერილში<sup>102</sup> კირილე აცნობებს თავის ძმას, რომ უნივერსიტეტის მმართველობას შეუტევალეს სახელი და დაარქვეს მას კომისია უნივერსიტეტის საქმეების სამართავად. ამ დროისათვის პეტერბურგის უნივერსიტეტში გაუხსნიათ მხოლოდ აღმოსავლური ენების ფაკულტეტი, ისიც იმის გამო, რომ სხვა უნივერსიტეტში ეს ფაკულტეტი არ არსებობდა. სხვა ფაკულტეტის III და IV კურსის სტუდენტებისათვის მიუციათ გამოცდების ჩაბარების უფლება. ამავე წერილიდან ირკვევა, რომ სტუდენტებს შეურჩევიათ რანდენიმე კაცი, რომელთაც უთხოვიათ პროფესორებისათვის, მოეპოვებინათ განათლების მინისტრისაგან ლექციების წაკითხვის ნება. პროფესორებს სტუდენტების თხოვნა შეუსრულებიათ და მინისტრსაც ლექციების კითხვის ნება დაურთავეს. ასე ჩამოყალიბდა ე. წ. თავისუფალი უნივერსიტეტი. ყველა პროფესორს პირველსავე ლექციებზე გამოუცხადებია, რომ. მართალია, ისინი კითხულობენ საჯარო ლექციებს, მაგრამ პირველ რიგში მათ აუდიტორიად მწედელობაში ჰყავთ ის სტუდენტები, რომლებიც გასულ წელს უსწენდნენ. „ესე იგი,—დაასკვნის კირილე,— გამორიცხული სტუდენტებზე და ამისთვის ჩვენი ლექციები იქნებიან უნივერსიტეტის კურსის გაგრძელებაო“<sup>103</sup>.

კ. ლორთქიფანიძის ამავე წერილებში აღნიშნულია, რომ ე. წ. თავისუფალ უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდნენ საუკეთესო პროფესორები: ნენდელევი, კოსტამაროვი, კაველინი, სპასოვიჩი, უტინი, ფამიციანი, ბეკეტოვი და სხვანი<sup>104</sup>. სხვა წერილში აგი წერს: „ლექციებს კითხულობს 24 პროფესორები, უკეთესთაგანი, მაგრამ უნივერსიტეტში კი არა, პუბლიკურ (საზოგადოს, სახალხოს) ლექციებს კითხულობენ. უნივერსიტეტი არის, თუმცა არა ოფიციალური“—ო<sup>105</sup>.

კ. ლორთქიფანიძის წერილებში საინტერესო ცნობებია აგრეთვე მოცემული, თუ რა პირობებში უხდებოდათ სტუდენტებს სწავლა თავისუფალ უნივერსიტეტში: დღეში მათ ეკითხებოდათ 6 სალექციო საათი სხვადასხვა საგანში. ლექციების კითხვა აპრილის შუა რიცხვებამდე გრძელდებოდა. სტუდენტებს ვეალებოდათ თითო საგნის მოსმენაში წლის ბოლომდე ერთი ან

<sup>101</sup> აქვე, გვ. 55.

<sup>102</sup> აქვე, გვ. 57—59.

<sup>103</sup> აქვე, გვ. 58.

<sup>104</sup> აქვე, გვ. 58.

<sup>105</sup> კვლ. № 430.

ორი მანეთის გადახდა. ჩვეულებრივ, ისინი იხდიდნენ ერთი წლის შესატან საჯალდებულო გადასახადს ერთად, რის შემდეგაც მათ ეძლეოდათ სპეციალური ბილეთი. ვისაც ეს ბილეთი არ ჰქონდა, ყოველი ლექციის დასწრებაში 25 კაპ. უნდა გადაეხადა. სტუდენტების მეტ ნაწილს უფასო ბილეთი ჰქონია, მათ შორის კ. ლორთქიფანიძესაც<sup>105</sup>.

პეტერბურგში კირილე დიდ მატერიალურ სიციწროვეს განიცდიდა. მან სცადა, ხელახლა შესულიყო უნივერსიტეტში, მაგრამ უფულობის გამო ვერ შთახერხა, ამიტომ გადაწყვიტა, დაბრუნებულიყო საქართველოში, ემსახურა იქ ორი წელიწადი, გადაეხადა ოჯახის ვალები, შეეგროვებინა ცოტაოდენი ფული და კვლავ გამომგზავრებულიყო პეტერბურგში. მას, მართლაც, გაუგზავნია თხოვნა ქუთაისის სენინარის სახელზე, რომელშიაც ის მოითხოვდა ან ქარაული ენის ან გეოგრაფიის ან მათემატიკის მასწავლებლის ადგილს<sup>107</sup>. კირილეს თავისი განზრახვა გაუხდვია ნ. ლოლობერიძისათვისაც და, როგორც ამ უკანასკნელის საპასუხო წერილებიდან<sup>108</sup> ირკვევა, ქუთაისის სასწავლებლებში მასწავლებლის ადგილი არ აღმოჩენილა და კირილემ პეტერბურგში დარჩენილა. ამავე წერილში ნ. ლოლობერიძე ატყობინებდა კირილეს, რომ მისი იმა გრიგოლი პირდებოდა მატერიალური დახმარება გაეწია მისთვის და ისიც, თავის მხრივ, დაბეჭითებით ურჩევდა კირილეს უმაღლესი კურსის დამთავრებას.

მართლაც, მშა შეძლებისდაგვარად მუდამ ეხმარებოდა კირილეს, მაგრამ „ეს შეწევნა, — როგორც კირილეს ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ, — საკმარის არ იყო...“<sup>109</sup> სწავლის სურვილი კი ძალიან დიდი ჰქონდა კირილეს. სტუდენტობის პერიოდში ის განსაკუთრებით დაინტერესებულა ქიმიით, შინაური ლაბორატორიაც მოუწყვია და დამოუკიდებლად შესდგომია ქიმიის სწავლას, მაგრამ სათანადო ხელსაწყოებისა და ნივთიერებების შესაძენად ფული არ ჰყოფნია და იძულებული გამხდარა, ამ საქმისათვის თავი მიენებებინა. როგორც ჩანს, კირილეს საბუნებისმეტყველო საგნები ძალზე იზიდავდა და დიდი სურვილიც ჰქონია სწორედ ამ ფაკულტეტზე სწავლისა<sup>110</sup>.

1870 წ. კირილეს როგორღაც მოუხერხებია ფულის შოვნა. ამ თანხით გაუსტუმრებია პეტერბურგის ვალეები და ოდესაში გააგზავრებულა, რათა იქ ნოვოროსიის უნივერსიტეტში შესულიყო. მაგრამ ოდესაში ცხოვრების პირობები იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ კირილე კვლავ პეტერბურგში დაბრუნებულა. „ეს მეოთხედ არის, რომ ვეპირებოდი ეგზამენს, — წერდა გულ-

<sup>106</sup> აქვე, გვ. 58.

<sup>107</sup> ქკლ, № 435.

<sup>108</sup> „ლიტერატურული აქარა“, ბათუმი, 1965, № 1. 1862 წ. 13 იელისით დათარიღებული წერილი.

<sup>109</sup> აქვე, გვ. 98.

<sup>110</sup> აქვე, გვ. 92, 99.

ახდილად კირილე, — და ოთხივეკერ თუ მატერიალურმა შეუძლებლობამ, თუ ლექციების სისაძაგლემ, იქნება, ჩემმა სიძაბუნემაც, მომიშალა ამ უხეირო მიზნამდის მისვლა“<sup>111</sup>.

ბოლოსდაბოლოს, კ. ლორთქიფანიძეს ხელი ჩაუქნევია უნივერსიტეტის კურსის დამთავრებაზე და გადაუწყვეტია, შესულიყო რომელიმე ისეთ სასწავლებელში, სადაც თუ დიპლომს არა, ცოდნას მაინც მიიღებდა<sup>112</sup>.

ასეთ დაუსრულებელ ტანჯვა-წვალებებში ცხოვრობდა კირილე პეტერბურგში და არა მარტო ის, არამედ რუსეთში მყოფი ყველა ქართველი სტუდენტი. მიუხედავად ასეთი მძიმე ცხოვრებისა, ისინი მონდომებით ეწაფებოდნენ ცოდნას, გაფაცინებით ადევნებდნენ თვალს ქართულ პრესას, მსჯელობდნენ სხვადასხვა საჭირობოროტო საკითხზე, აწყობდნენ მომავალი საქმიანობის გეგმებს. მაგრამ მარტო ფუჭი ოცნებებით როდი იკვებებოდნენ ქართველი სტუდენტები. სამშობლოს მოცილებულნი, ისინი ბეჯითად ცდილობდნენ, პრაქტიკულადაც მიეღოთ მონაწილეობა ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში და, უნდა ითქვას, რომ მათი ყოველი კეთილი საქმიანობის სულისჩამდგმელი, ილ. ჭავჭავაძისა და ნ. ლოლობერიძის საქართველოში გამოძგზავრების შემდეგ, კ. ლორთქიფანიძე იყო.

კირილეს უშუალო ინიციატივით 1868 წ. პეტერბურგში ჩამოყალიბდა ქართველ სტუდენტთა წრე „ამხანაგობის“ სახელწოდებით. ამ წრეში შედიოდნენ: მიხეილ ბეთანიშვილი, ბებურ ბებურიშვილი, ნიკო ინაძე, კირილე ლორთქიფანიძე, ვლადიმერ მაჩაბელი, ბეჟან ხამაშურიძე, მიხეილ ჭავჭავაძე და სხვანი. თავდაპირველად „ამხანაგობის“ მიზანი ყოფილა, შეეგროვებინათ გარკვეული საპრემიო აანხა საუკეთესო წერილების ავტორთა დასაჯილდოებლად. ამით მათ სურდათ, აემიღლებინათ სტატეების ხარისხი და ამ გზით გაეზარდათ ყურნალ-გაზეთებზე ხელისმომწერთა რიცხვი. მაგრამ, ვინაიდან „ამხანაგობის“ წევრები ჩქარა დარწმუნებულან, რომ სასურველ თანხას, როგორც კირილე წერს, „თავგებისაგან დაკრილი ჯიბით“ დიდხანს ვერ შეაგროვებდნენ, გადაუწყვეტიათ სხვა საქმისათვის მოეკიდათ ხელი. ამჯერად, მათ განიზრახეს, გამოექვეყნებინათ საჭირო წიგნები, სახელმძღვანელოები და თარგმანები; დაებეჭდათ შოთა რუსთველისა და ერეკლე II-ის სურათები და შეედგინათ ქართული ანბანი<sup>113</sup>.

შედარებით უფრო მოგვიანებით „ამხანაგობამ“ გადაწყვიტა, ყოველ თვეში წრის ერთ-ერთ წევრს გაეგზავნა „ღროებაში“ დასაბეჭდლად წერილი. ამა-

<sup>111</sup> აქვე, გვ. 100.

<sup>112</sup> აქვე, გვ. 101.

<sup>113</sup> იხ. კ. ლ-ძის 1869 წ. 21 მარტით დათარიღებული წერილი (აქვე, გვ. 135—142. რომლის აღრესატია მიხეილ ჭავჭავაძე და არა კირილეს ნათესაი, როგორც ამას ფიქრობს კ. მეძველია („თურგალეული კირილე ლორთქიფანიძე“, თბ., 1965, გვ. 153). „ამხანაგობის“ საქმიანობასთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე მ. ბეთანიშვილის წერილი ს. მესხისადმი (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ს. მ. სხის არქივი, № 39, წერილი 11).



ვე დროს ამ წრის წევრებმა განიზრახეს, დახმარება გაეწიათ ახლად დაარსებულ ჟურნალ „მნათობისათვისაც“. ამ მიზნით დაიწყო ყველს გრინუდის რომანის თარგმნა.

„ამ თარგმანის მნათობის რედაქციაში გაგზავნა იმ პირობით გვინდოდა, — წერს კირილე, — რომ რედაქციას დაბეჭდა თავის ხარჯზედ ჩვენდა სასარგებლოდ 200 ეგზემპლარი ამ რომანის ნათარგმნი. მაგრამ ნამდვილად შევატყუეთ, რომ იმას ბევრი ნათარგმნი რომანები ჰქონია. ისე, რომ ჩვენი რომანი იმისათვის მეტი აქნებოდა და იმას გარდა ხელისმომწერლები ისე ცოტა ჰყოლია, რომ არა თუ ჩვენი რომანის 200 ეგზემპლარის დაბეჭდა, თავისი ჟურნალის პირველი ნომერიც ვერ დაუბეჭდია. მაშასადამე, ჩვენი შრომა ამ შემთხვევაში გაფუჭდა, — თუმცა, რასაკვირველია, მეხუთედის მეტი არ გადავიტარებინა, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ამ შრომის დაკარგვაც არ არის სასიამო“<sup>114</sup>.

ჯ. გრინუდის რომანის „უპატრონო და უსახლკარო ყმაწვილის ცხოვრება“ თარგმნა, როგორც ჩანს, კ. ლორთქიფანიძეს უკისრია. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია კირილეს ხელით დაწერილი ამ რომანის თარგმანი<sup>115</sup>.

ერთადერთი წიგნი, რომლის გამოცემაც შეძლო „ამხანაგობამ“ 1869 წელს — ეს იყო ილ. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“ როგორც კ. ლორთქიფანიძისა და მიხეილ ჭავჭავაძის მიწერ-მოწერიდან ჩანს<sup>116</sup> (ამასვე ადასტურებს შ. ბეთანიშვილის წერილიც ს. მესხისადმი)<sup>117</sup>, „კაცია-ადამიანის?!“ დაბეჭდვაში „ამხანაგობისათვის“ ფულადი დახმარება მ. ჭავჭავაძეს გაუწევია. წიგნი განზრახულ ვადაზე უფრო მოგვიანებით გამოსულა, რადგანაც მისი გამოცემისათვის გადაღებული თანხები „ამხანაგობას“ პეტერბურგში დაავადებულ ერთ-ერთ ქართველ სტუდენტზე დაუხარჯავს<sup>118</sup> (ვფიქრობთ, ეს სტუდენტი ბეჟან ხამაშურიძე უნდა ყოფილიყო).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „კაცია-ადამიანის?!“ თავფურცელზე გამომცემლად მხოლოდ მიხეილ ბეთანიშვილი ეწერა. წინასიტყვაობაშიაც არაფერი იყო ნათქვამი „ამხანაგობის“ წვლილის შესახებ ამ წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით. ბეთანიშვილის ასეთ თვითნებურ მოქმედებას მ. ჭავჭავაძისა და კ. ლორთქიფანიძის სამართლიანი გულისწყრომა გამოუწვევია.

„თუ „კაცია-ადამიანის“ გამოცემაზედ მე თანახმა შევიქნენ, იმისათვის, — სწერს მ. ჭავჭავაძე კირილეს, — რომ ამედი მქონდა წინასიტყვაობაში გამო-

<sup>114</sup> აქვე, გვ. 138.

<sup>115</sup> ქკლ, № 593.

<sup>116</sup> ქკლ, № 1029.

<sup>117</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, ს. მესხი, № 39, 1969 წ. 14 ივლისით დათარიღებული წერილი.

<sup>118</sup> ქკლ, № 460.

კვადრული იქნებოდა საზოგადოების არსებობა, იმისი აზრი და სურვილი...<sup>119</sup>.

კ. ლორთქიფანიძემ მ. ბეთანიშვილზე საგანგებო სტატიაც კი დაწერა „სანოქალაქო მამაცობა უფ. ბეთანიშვილისა“<sup>120</sup>, რომელიც „დროებაში“ დასაბუთებლად გაგზავნა. კირილეს ეს სტატია არ გამოქვეყნებულა, რის გამოც 1870 წ. 14 ივლისით დათარიღებულ წერილში იგი უსაყვედურებს „დროებას“ რედაქტორს — ს. მესხს და თანაც დაუნდობლად კიცხავს ბეთანიშვილს:

„ბეთანიშვილს ყველაფერი აქვს, — ვკითხულობთ კირილეს წერილში, — მაგრამ ნიჭისა, განათლებისა და ზნეობისა კი რა მოგახსენო. რომ არ მეზარებოდეს მოწერა, მე დაგიმტკიცებდი, რომ ის არ არის არც სიყვარულისა და პატარისების ღირსი და არც დაზოგვის. მე იმედი არა მაქვს, რომ ოდესმე ცოტათი მაინც გასწორდეს...“

დროა გავიგოთ, რომ მარტო იმისათვის არ უნდა მოეტყვებოდეს კაცს „შეცოდება, რომ ის სტუდენტია. მხედველობაში უნდა გვექონდეს, როგორი ყმაწვილია, ანუ როგორი იქნება“<sup>121</sup>.

ს. მესხს დაუმსახურებლად შეხვდა კ. ლორთქიფანიძის საყვედური. კირილეს ამ სტატიის აწყობა უკვე დაწყებული ყოფილა, როდესაც სტამბაში შეუვლია ნ. ნიკოლაძეს, წაუკითხავს ეს სტატია და დაურწმუნებია ს. მესხი, რომ ამ წერილის გამოქვეყნება არ იქნებოდა სასურველი. ამის შესახებ ნ. ნიკოლაძე თვით მოუთხრობს კირილეს:

„...მართლა, მე დამავიწყდა მეტქვა შენთვის ორიოდ სიტყვა ამ სტატიასზე. რომელიც შენ ამას წინეთ ბეთანიშვილის წინააღმდეგ გამოგეგზავნა. მე კოჯორს ვიდექი ამ ზაფხულს და ერთხელ, როცა ტფილისს ჩამოვედი, ვნახე სტამბაში შენი ნაწერი, რომელსაც „დროებისათვის“ აწყობდნენ. მე, რასაკვირველია, ეს ძალიან მემამა, მაგრამ, როცა სათაური წავიკითხე და დაეინახე სტატიის საგანი, მე მაშინვე შევაჩერებინე სტატიის აწყობა, და დავაჭერე სერგეი, რომელსაც სტატია დასაბუთებლად მიეცა, რომ ამ სტატიას ჩვენ საზოგადოებაზე, აი, როგორი გავლენა ექნებოდა: „ამ ოხერ სტუდენტებს ერთი უბედური წიგნი გადმოუბუჭდიათ, და ეხლა ამ საქმის გულიზა ერთ უშველებელ ისტორიას და ვაივაგლახს ტეხენ“. ეს ერთი. მეორეთ — ბეთანიშვილი, ინაშვილი, ანტონოვი და სხვებიც ჰმას ამოიღებდნენ, და „დროებას“ უფ. ბეთანიშვილის მოქმედებების და ხასიათის განხილვითა და აწერით აავსებდნენ... მაგისტანა კაცი სხვა რამე საქმეში უნდა დაიქირო და გააფიცხო ხალხის წინ...“<sup>122</sup>.

<sup>119</sup> ქკლ. № 1029.

<sup>120</sup> ქკლ. № 460.

<sup>121</sup> აქვე, გვ. 104.

<sup>122</sup> აქვე, გვ. 174.

კირილეს წერილი ბეთანიშიელზე არც მაშინ და არც შემდეგ არ დაბეჭდილა. ჩანს, ს. მესხმა ანგარიში გაუწია ნ. ნიკოლაძის ამ რჩევა-დარიგებას.

„კაცია-აღამიანის?!“ განოქვეყნების შემდეგ ამხანაგობას გადაწყვეტილი ჰქონდა, დაებეჭდა დ. კონჭაძის „სურამის ციხე“, რუსთაველის სურათი და ანბანი.

„წიგნზედ გამოცხადებულია, — სწერს მ. ბეთანიშიელი ს. მესხს, — რომ ანბანი უნდა დაიბეჭდოს, მაგრამ ანბანს ჯერჯერობით არ დავებეჭდოთ. აი, რა მიზეზის გამო... ანბანის გამოცემა დაგვიჯდებოდა 200 მან. თითქმის ეგზემპლარი ჩვენ გვეღირებოდა 20 კაპ. ჩვენ უნდა ან ამ ფასათ გაგვეყიდა ან უფრო იაფად. ჩვენი ამხანაგობა ისე ღარიბია ფულით, რომ უნდა ეცადოს, ჯერ შეიძინოს წიგნების გაყიდვით ცოტაოდენი ფული და მერმედ ხალხისთვის გამოასკეცა ძლიერ იაფად წიგნები. ახლა კი ეს არ მოხერხდება!<sup>123</sup>.

მართლაც, არც ანბანი და არც „სურამის ციხე“ „ამხანაგობას“ არ გამოუყვია. საზოგადოდ, სტუდენტთა ეს წრე, როგორც ჩანს, ჩქარა დაშლილა, ერთი მხრივ. უსახსრობას, ხოლო, მეორე მხრივ. წრის წევრთა ავადმყოფობის გამო. ერთ-ერთ კერძო წერილში კირილე გულისტიკვილით აღნიშნავს:

„რაც შეეხება ჩვენს ამხანაგობას, იმის საქმე ძლიერ ცუდად მიდის ეხლა: ერთს იმათგან [ს] ხომ სამარეში უდგია ფეხი<sup>124</sup>. ერთი შინ წავიდა ავადმყოფობისა და ნივთიერებითი შეუძლებლობისა გამო<sup>125</sup>. ორიც სტუდენტობის ისტორიისა გამო შინ გააგზავნეს. მაშ, ვილა დარჩებოდა?“...

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კ. ლორთქიფანიძის მიწერ-მოწერა გარკვეულ ცნობებს გვაწოდის 60-იან წლებში პეტერბურგში დაარსებული ბიბლიოთეკის შესახებაც. ამ ბიბლიოთეკას საფუძვლად დაედო სალომე ბატონიშვილის წიგნები, რომელიც დ. ჩუბინაშვილს საჩუქრად გადაეცა ქართველი სტუდენტებისათვის. მასვე მოხმარდა „სიბრძნე სიცრუის“ გასაღების შედეგად დაგროვილი თანხა. ახალგაზრდებმა საგანგებოდ შეიმუშავეს ამ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, რომელსაც „კანონები ბიბლიოთეკისა“ უწოდეს (ერთ-ერთი ეგზემპლარი ამ კანონებისა, გადაწერილი კირილეს ხელით, დაცულია ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში)<sup>126</sup>.

სამწუხაროდ, ქართველმა სტუდენტებმა ვერ შეძლეს სათანადოდ ეპატრონებინათ და გაემდიდრებინათ ბიბლიოთეკა, ამიტომ კ. ლორთქიფანიძემ, პ. უმიკაშვილმა და ს. მესხმა გადაწყვიტეს პეტერბურგში თავმოყრილი ქართული წიგნები საქართველოში გადმოეგზავნათ, რათა აქ საფუძველი ჩაეყარათ ქართული ბიბლიოთეკისათვის. პრაქტიკულად ეს საქმე განუხორციელე-

<sup>123</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, ს. მესხი, № 39, 1969 წ. 14 ივლისით დათარიღებული წერილი.

<sup>124</sup> ლაპარაკია ბეიან ხამაშურიძეზე.

<sup>125</sup> ვფიქრობთ, ივლისხმება ნიკოლოზ ზედგენიძე. ქკლ, № 569.

<sup>126</sup> ქკლ, № 285.

ბია კირილეს, რომელიც განსაკუთრებულ ინტერესსა და მზრუნველობას იჩენდა ძველი ქართული წიგნების მიმართ. ს. მესხისადმი „გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში კირილე სწერს:

„რადგანაც გ. წერეთელი, პ. უმიკაშვილი და ბერძენოვი ძველი წიგნების გამოცემას აპირებენ, ამისათვის ცუდი არ იქნებოდა, რომ აქაური ხელნაწერი წიგნები მაქეთვენ გამოგვეგზავნა. მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ იმ პირებმა ან მარტო გიორგიმ, ან პეტრემ მომწეროს მე კერძობითად, რომ ქართველ სტუდენტებს ძველი ქართული ხელნაწერი წიგნები გამოვართვა და გამოვავაჯნო. ამ წიგნს მე საბუთად გავიკეთებ და წიგნების გამოგზავნას მოვახერხებ“<sup>127</sup>.

ჩანს, ამ სახის მიმართვა კირილემ მიიღო თბილისიდან და მანაც პეტერბურგში არსებული მთელი ქართული ბიბლიოთეკა, თავის საკუთარ წიგნებთან ერთად, რომელიც ოთხ ფუტს შეადგენდა, დაუყოვნებლივ გადაგზავნა ქუთაისში გერასიმე კალანდარიშვილის სახელზე. წერილში ის უხსნიდა ამ უკანასკნელს საქმის ვითარებას და სთხოვდა, ივანე მესხის საშუალებით ქართული ბიბლიოთეკის წიგნები მიეწოდებინათ პ. უმიკაშვილისათვის<sup>128</sup>. კირილე მაშინ გ. კალანდარიშვილს არც კი იცნობდა, მაგრამ მან შესანიშნავად იცოდა, თუ ვის ანდობდა ამ საპასუხისმგებლო საქმეს. გ. კალანდარიშვილი, სახელმძღვანელო მასწავლებელი, ავტორი რუსული ენის გრამატიკისა, ცნობილი იყო მთელ იმდროინდელ ინტელიგენციაში როგორც სამაგალითო მამულიშვილი და მოზარდი თაობის უსაყვარლესი მასწავლებელი.

კ. ლორთქიფანიძის მიწერ-მოწერიდან ისიც კარგად ჩანს, რომ შემდეგ წლებშიაც არ შენელებულა რუსეთში მყოფი ქართველი სტუდენტების ზრუნვა სამშობლო ქვეყნის საკეთილდღეოდ. ამ მზრავ საგულისხმოა ივანე მაჩაბლის 1874 წ. 25 დეკემბრით დათარიღებული წერილი კირილესადმი (ამ დროს ივ. მაჩაბელი პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო, ხოლო კ. ლორთქიფანიძე—გაზეთ „დროების“ რედაქტორი). როგორც ივ. მაჩაბლის წერილიდან ჩანს, 1874 წ. დეკემბრის თვეში „დროების“ ფურცლებზე გამოქვეყნებულა განცხადება იმის შესახებ, რომ სტეფანე ზარაფიშვილს განუზრახავს ქართული სახელმძღვანელო წიგნების გამოცემა. პეტერბურგში მყოფ ქართველ სტუდენტებს მოუთათბირებიათ ამ საკითხის ირგვლივ და გადაუწყვეტიათ „დროების“ რედაქციასთან მოლაპარაკება. მათი აზრით, თანამედროვე სკოლებისათვის სასურველი იქნებოდა, შეედგინათ ისეთი სახელმძღვანელოები, რომლებიც მოსწავლეებს სპეციალური ცოდნის გარდა შეიქცევადა კიდევაც. იმავე წერილში ივ. მაჩაბელი აცნობებდა კირილეს, რომ ქართველ სტუდენტებს განზრახული აქვთ, შეადგინონ ამ ტიპის სახელმძღვანელოები ისტორიასა და ფიზიკურ გეოგრაფიაში.

<sup>127</sup> აქვე, გვ. 80.

<sup>128</sup> აქვე, გვ. 65—67.

„თუ უკვალი ზარაფოვი და რედაქცია, — გკითხვლობთ ივ. მაჩაბლის წე-  
ჩილში, — ისე უტყვიან ამ საქმეს, როგორც ჩვენ, მაშინ გთხოვთ საჩქაროდ  
შეგვატყობინოთ. რადგან თქვენი პასუხის მიღების უმაღლ შეუდგებობით ამ სა-  
ქმესა. მხოლოდ ამას კი მოგახსენებთ, რომ ჩვენ სექტემბერზედ აღრე შედ-  
გენა არ შეგვიძლიან. ამის გამო, გთხოვთ, თუ ვინცობაა, ამ საგნებზედ შეა-  
დგინა ვინმემ წიგნი, მოუცადოთ დანიშნულ ვადამდე ჩვენ წიგნებსაც, რომ  
რედაქციას შეეძლოს შეთანასწორობის შემდეგ ღირსეული წიგნის დაბეჭდ-  
ვა“<sup>129</sup>.

უფრო მოგვიანებით, 80-იან წლებში, პეტერბურგელი ქართველი სტუ-  
დენტების სახელით უკვე მომდევნო თაობის წარმომადგენელი—სილოვან  
ხუნდაძე მოქმედებდა. ხუნდაძის 1881 წ. 16 აპრილით დათარიღებული წერი-  
ლი კ. ლორთქიფანიძისადმი გამოხატავს ქართველი სტუდენტების საერთო  
სიხარულს იმის გამო, რომ ქუთაისში დაარსდა ახალი გაზეთი „შრომა“.

„გულით და სულით მოხარულა ვართ, ყველა აქ მყოფნი ქართველები, —  
წერდა ახალგაზრდული გატაცებით ს. ხუნდაძე, — რომ ჩვენს ქუთაისს ელირ-  
სა გაზეთის გამოცემა, და ნამეტნავათ მისთვის ვხარობთ, რომ ეგ არის ქარ-  
თული გაზეთი“<sup>130</sup>.

ს. ხუნდაძის წერილს თან ახლავს მისი სამი ლექსი: „ძეგლი (შოთა რუს-  
თაველს)“, „მადლარი პოეტი (გუძღვნი ი. ჭავჭავაძეს)“ და „მეხრე“, რომლებ-  
საც ავტორი აგზავნიდა გაზეთ „შრომაში“ დასაბეჭდად.

კ. ლორთქიფანიძის მიმოწერა საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც,  
რომ მასში შესანიშნავად ჩანს, თუ რა დიდ ნდობას უცხადებდა ქართველი  
ინტელიგენცია რუსეთში მყოფ ქართველ სტუდენტებს და როგორ ზრუნავ-  
დნენ ისინი მათზე. ვასულა საუკუნის მოწინავე ადამიანები სტუდენტობაში  
ხედავდნენ იმ ძალას, რომელსაც საქართველოში უნდა შემოეტანა სწავლა-  
განათლება, კულტურა და პროგრესული იდეები. ცნობილი საზოგადო მოღ-  
ვაწე ნ. ლოლობერიძე 1862 წლის 13 ივლისით დათარიღებულ წერილში ასე  
სწერდა კირილეს:

„ნუ დავიწყებთ იმას, რომ... თქვენ თანამემამულეთ აქვთ თქვენზედ  
დიდი იმედი, ისინი მოელოან, რომ თქვენ ჩამოხვალთ მანდედამ მრთელნი და  
ჩამოიტანთ თქვენს სამშობლოში განათლებას და მისთანვე ყოველ სიკეთეს  
და ქეშმარტებას, რომელნიც ყოველთვის მას მოსდევენ...“<sup>131</sup>.

საგულისხმოა, რომ ასეთსავე დიდ ნდობას უცხადებდა პეტერბურგელ  
ქართველ სტუდენტობას ილ. ჭავჭავაძეც. ამაზე მიუთითებს ილიას მეგობ-  
რის — ივანე პოლტორაკის 1862 წ. 7 ოქტომბრით დათარიღებული ბარათი  
კირილესადმი, რომელსაც თან ახლდა, როგორც ეს პოლტორაკის წერილიდან

<sup>129</sup> აქვე, გვ. 159.

<sup>130</sup> აქვე, გვ. 191.

<sup>131</sup> „ლიტერატურული აპარა“, 1965 წ. № 1.

ჩანს, ილიას მიერ ახლად დაარსებული ეურნალის „საქართველოს მოამბის“ განცხადების 4 ეგზემპლარი და ამავე ეურნალის პროგრამა. ბარათში ივ. პოლტორაკის წერდა: ილიკოს (იგულისხმება ილ. ჭავჭავაძე; — ე. ა.) ექვეყნი არ ეპარება, რომ ეს ახალი ქართული ეურნალი თანაგრძნობას გამოიწვევს პეტერბურგში მყოფ ქართველ სტუდენტებში<sup>132</sup>.

ილ. ჭავჭავაძე არ შემდარა. ქართველი სტუდენტები დიდი ინტერესით შეხვდნენ „საქართველოს მოამბეს“ და, როგორც ეს პოლტორაკის 1862 წ. 7 დეკემბრით დათარიღებული წერილიდან ირკვევა, კ. ლორთქიფანიძეს ამ ეურნალის პროგრამასთან დაკავშირებით სათანადო შენიშვნებიც კი გაუკეთებია.

„ილიკო ჭავჭავაძემ, — წერს პოლტორაკი, — დიდი მადლობის გრძნობით წაიკითხა თქვენი შენიშვნები თავის პროგრამაზე, და, რაც მთავარია — თქვენი მზადყოფნის შესახებ, რომ ყოველმხრივ დაეხმარებით ზისი თაოსნობით წამოწყებულ საერთო კეთილ საქმეში. თქვენს წადილში არც არავის შეუტანია არასოდეს ეჭვი...“<sup>133</sup>

საყურადღებოა აგრეთვე, რომ 1866 წ., როდესაც საქართველოში დაარსდა ქართული სტამბა და გაზეთი „დროება“, ამ ამბების ერთ-ერთმა ინიციატორმა ნ. ლოლობერიძემ პირველ რიგში ეს სასიხარულო ფაქტი სწორედ კ. ლორთქიფანიძესა და თავის ძმას დავითს აცნობა. წერილში იგი გამოთქვამდა იმედს, რომ პეტერბურგში მყოფი ქართველი სტუდენტები შეძლებისდაგვარად დახმარებას გაუწევდნენ თავისი სტატიებით ახლად დაარსებულ გაზეთს. რომ თქვენ თანანაშრომლობაზედ არა გვექონოდა იმედი, — სწერდა ნ. ლოლობერიძე, — ჩვენ კიდევაც ვერ გავხდავდით გაზეთის გამოცემას<sup>134</sup>.

ქართველი ინტელიგენტები ყოველმხრივ ცდილობდნენ, ხელი შეეწყობთ შომავალი თაობისათვის. XIX საუკუნის საზოგადო მოღვაწეთა წერილებიდან ვგებულობთ, რომ მათ რუსეთში მყოფ ქართველი სტუდენტების დასახმარებლად დაუარსებიათ სალარო, რომელშიაც სისტემატურად შეჰქონდათ გარკვეული თანხა. ამ საზოგადოების წევრები იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, გიორგი წერეთელი, ალექსანდრე ცაგარელი, ბესარიონ და ნიკოლოზ ლოლობერიძეები, დავით ჩუბინაშვილი, ილია ოქრომშვიდიშვილი, პეტრე ჩარეჭიშვილი, დავით ბაქრაძე, მიხეილ ანდრონიკაშვილი, ლუარსაბ მაღალაშვილი და სხვანი. უკვე ამ ერთი დეტალიდანაც კი ცხადად ჩანს, რომ მომავალი თაობის აღზრდა საერთო, საზოგადო საქმედ იყო მიჩნეული და რომ მოწინავე ქართველები ვალდებულად თვლიდნენ თავს, მატერიალური დახმარება აღმოეჩინათ მათთვის. ამ მხრივ საგულისხმოა ილ. ჭავჭავაძის ერთ-ერთი წერილი კირილესა-

<sup>132</sup> ქკ, № 805.

<sup>133</sup> იქვე, № 807. წერილი დაწერილია რუსულ ენაზე.

<sup>134</sup> „ლიტერატურული აპარა“, 1965, № 1. 1866 წ. 16 იანვრით დათარიღებული წერილი.

დმი. რომელშიაც იგი კატეგორიულად აცხადებს უარს, მიიღოს ჰონორარი „ჩონგურში“ გამოქვეყნებული ლექსების გამო:

„ფულისას იწერები. ნეტაი, ჩემო ძმაო, იმოდენა ფული აიღო, რომ შენი შრომის და წიგნის ხარჯი გამოგივიდეს, და სხვაზედ ნურას ნაღვლობ. თუნდ რომ ბევრი ფულიც დაგჩქეს, მაინც მე წინაღვე ვარი მიყვია: შენ თათონ მოხმარე — ეგ უკეთესი იქნება, ან სხვას მოახმარე, იმისთანას, რომელიც გაქირვებულია. მანდ ჩვენი ამხანაგები ბევრნი იმისთანანი არიან, რომელთაც დღიური ლუკმაც უჭირსთ, პირველი ჩვენი შრომის შემოსავალი იმათი კუთვნილია, იმათ გადაეცით ჩვენი ლექსები, დამიჯერე, უკეთესს ვერას იზამენ არ ვიცი, სხვა რას ფიქრობს და ჩემთვის კი ისიც სამყოფია, რომ ჩემმა ლექსმა, სხვათაშორის, ისიც შეიძლება, რომ ერთს ჩვენგანს, უფრო გაჭირვებულს ერთ თვეს მაინც მუცელი გაუძღოს...“<sup>135</sup>

თუ რაოდენ დიდ მზურნველობას იჩენდნენ იმდროინდელი მოწინავე ადამიანები, საერთოდ, ერთმანეთისა და, კერძოდ, სტუდენტების მიმართ, ეს შესანიშნავად შელავნდება საზოგადო მოღვაწეთა წერილებში სტუდენტ ბეჟან ხაშაშურიძისადმი დამოკიდებულებების მაგალითზე.

ბ. ხაშაშურიძე, როგორც ჩანს, მეტად ნიჭიერი ახალგაზრდა ყოფილა. ნ. ნიკოლაძე დიდ იმედებს ამყარებდა მასზე. ამიტომ იგი ყოველმხრივ ცდილობდა, რომ ღარიბი ამხანაგისათვის მატერიალურად გაემართა ხელი და გაეზავნა პეტერბურგში უმაღლესი ცოდნის მისაღებად. ამ მიზნით, როგორც ეს 1862 წ. 30 ნოემბრით დათარიღებული წერილიდან ირკვევა, ნიკოლაძე საგანგებოდაც კი მართავდა წარმოდგენებს ქუთაისის სცენაზე<sup>136</sup>, სტუდენტობის პერიოდშიაც არ აკლებდა ზრუნვას ბ. ხაშაშურიძეს და შეძლებისდაგვარად უზრუნველდა ფულს პეტერბურგში<sup>137</sup>. ამის გამო უსიამოვნებაც კი ჩამოვარდნილა მამა-შვილ ნიკოლაძეებს შორის. აი, რას სწერს ერთ-ერთ წერილში ნ. ნიკოლაძე კირილეს:

„შენს ბედნიერად სიცოცხლეს ყოვლად მოწყალეს ღმერთს ვევედრები. მარადყვამს, ანის მეტს მაინც ჩემსას აღარ ისმენ და სხვა რაღა უნდა მოგწერო, ვაი თუ, ღვთის ვედრებამაც გაგაჯავროსთ ახალი კაცები, თორემ სხვამ კირი წაიღოს...“ აი, რას ეწერს მამაჩემი 4 დეკემბრიდან. მე ამ ენამ ძალიან განაკვირა და მინემ კარგად არ დავფიქრდი — ვერაფრით ვერ ავხსენი. თუ ეს რა ამბავია. წინა წიგნი ამისთანა ტკბილი და კარგი იყო, რომ ამ წიგნთან შედარებაც არ შეიძლებოდა. ბოლოს საქმე აიხსნა: იმ წიგნთანვე დედაჩემის წიგნი იყო, რომელშიაც დედა მწერდა შენა წიგნი ხაშაშურიძესთან გარდავეცი ბეჟანსო. Еврика!.. დაეიბახე, ეს სიტყვები რომ წავიკითხე, თურმე, ნუ

<sup>135</sup> ილია ქავჭავაძე, ტომი, X, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, თბ., 1961, გვ. 26.

<sup>136</sup> ქკლ, № 721.

<sup>137</sup> იქვე, № 723.

ბრძოლაში. ჩვენს სახელმწიფო მამას ააღიან სწყყენია, რომ მე „მეტეოი მკამელები“  
ან „დამოუკიდებელი“<sup>138</sup>.

ვინც გულსწინააღიარებდას აჩენდა ბეჟან ხამაშერიძის მიმართ ს. მესხიცი და  
აქა მართლ ს. მესხიცი — გვითხრობდა — ცოტახლოვით კირილესადმი გაგზავნილ სერ-  
გეის ერთ-ერთ წერილში — რომ ბერენშტაინის ხელით ბაზუნოვთან გიგზავნი  
ქმნ ნაწილთა-თავს ხამაშერიძისათვის... ეს ფულეები ზოგი აქ შევეკრიბეთ ანხა-  
ნაგებში და 100 მან. ამატუნა ჰქონდა კავკასიის ყმაწვილების სახარებლოდ  
აივანოვსკის გამოფენიდან მოკრეფილი და იმისგან შესდგა<sup>139</sup>..

მეტეოვად მეგობრების (ნ. ნიკოლაძის, კ. ლორთქიფანიძის, გ. წერეთ-  
ლის, ს. მესხისა, გ. კალანდარიშვილისა და სხვათა) ზრუნვისა, ბეჟან ხამა-  
შერიძე 1869 წ. ქლექით დაავადდა. ავადმყოფობამ ძალზე მძიმე ფორმა მი-  
იღო. ეს ამბავი მაშინვე აცნობეს ამხანაგებმა ნ. ნიკოლაძეს, რომელიც იმ  
დროს ფრანკფურტში იმყოფებოდა. ერთგულმა მეგობარმა მაშინვე შესთავა-  
ზა ფული პეტერბურგში წყოფ ამხანაგებს, რათა მომაკვდავი ბეჟანი საშო-  
ბლოში გამოესტუმრებინათ<sup>140</sup>. ნ. ნიკოლაძის ასეთი თავდადება თავისი თანა-  
ნემამულისადმი, რა თქმა უნდა, მისი პირადი ადამიანური ღირსებით უნდა  
აიხსნას. მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ნიკოლაძე იყო მთელი იმდროინდელი  
მოწინავე ინტელიგენციის სულისკვეთების საუკეთესო გამომხატველი?

ქართველი ხალხის ერთსულოვნებაზე ნიუთითებს ის შეთანხმებული სა-  
ქმიანი ურთიერთობაც, რომელიც არსებობდა თბილისელ და ქუთაისელ ინ-  
ტელიგენციას შორის, რამაც სათანადო გამოხატულება პოვა კ. ლორთქიფანი-  
ძის ეპისტოლარულ მეგვიდრეობაში.

70-იანი წლების მიწურულში ქართველ საზოგადოებებს აღარ აკმაყოფი-  
ლებდა „დროება“. ამიტომ, გაზეთის გაუმჯობესების მიზნით, როგორც თბი-  
ლისში, ასევე ქუთაისში შექმნილა წრე. ქუთაისში წრის ხელმძღვანელად, ვფი-  
ქრობთ, კ. ლორთქიფანიძე უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში. მოლა-  
პარაკება ამ საკითხთან დაკავშირებით მას უკისრია. გ. წერეთლისადმი მიწე-  
რილ წერილში კირილე გულისტიკვილით აღნიშნავს გაზეთის დაქვეითებას  
და სამართლიანად შენიშნავს: „ერთი კაცი, რაც უნდა მომზადებული და ნი-  
ჭიერი იყოს, ვერ შესძლებს ცოტათი მაინც ხეირიანის დღიურის გაზეთის გა-  
მოცემას...“<sup>141</sup>.

კ. ლორთქიფანიძე შესანიშნავად გრძნობდა, რომ ქართველი ინტელიგენ-  
ცია ვალდებულია აქტიური მონაწილეობა მიიღოს ერის ყოველგვარ კულტუ-  
რულ საქმიანობაში; შესანიშნავად გრძნობდა იმასაც, რომ მშობლიური კულ-  
ტურის წინსვლისათვის აუცილებელია ერთსულოვანი მოქმედება:

<sup>138</sup> ქკლ. № 791.

<sup>139</sup> ს. ხუნდაძე, მასალები, გვ. 54.

<sup>140</sup> აქვე, გვ. 168.

<sup>141</sup> აქვე, გვ. 132.



„ღღეს, როდესაც ჩვენი ახლად აღორძინებული ლიტერატურა, — სწერს კირილე, — ციებიანსავეთ დაგვიღონდა, ჩვენ რასმე უნდა გსცდილობდეთ მის გაუმჯობესებაზედ. მრავალს ჩვენგანს უფიქრნია ამ საქმეზედ, მაგრამ თითოეულის მათგანის კეთილი სურვილი ჩვენს ერთმანეთისაგან გაცალკევებას მოუკლავს. მეტი ღონე არ არის, თუ ჩვენ კეთილი სურვილი გვაქვს, დაცალკევებულიც რომ ვიყოთ, უნდა შეგვავართოს ამ კეთილმა სურვილმა“<sup>142</sup>.

ასეთი ღრმა პატრიოტული გრძნობები ამოდრავებდა ქუთაისის ინტელიგენციას, როდესაც ის კ. ლორთქიფანიძის წერილის საშუალებით აცნობებდა თბილისელ ამხანაგებს, რომ გაზეთ „დროების“ გაუმჯობესების მიზნით მათ გადაწყვეტილი აქვთ, „დროების“ რედაქტორის (ს. მესხის) „ამხანაგად“ დაენიშნათ გიორგი წერეთელი. როგორც წერილიდან ჩანს, ქუთაისის ინტელიგენციას გაუთვალისწინებია „დროების“ რედაქციის სიღარიბეც და ამის გამო ვალდებულება უკანარია, რომ შეძლებისამებრ ყოველთვის მატერი-ალური დახმარება გაეწია მის მიერ წამოყენებული კანდიდატურისათვის.

„ეცით. რომ შენი მიზანი და ჩვენი, — სწერს კირილე მორცდებული ტონით გ. წერეთელს, — ერთი და იგივეა და იმედი გვაქვს, ამ ჩვენს თხოვნას აღასრულებ და არ ითაკილებ ჩვენის მხრით მატერიალურს შემწევობას, რომელიც, სწორედ ესტყვათ, გაზეთის შესაწირია და არა შენი პიროვნად“<sup>143</sup>.

ამავე წერილში კ. ლორთქიფანიძე ქუთაისელი ინტელიგენტების სახელით სთხოვს გ. წერეთელს, რომ თუ რაიმე მიზეზის გამო ვერ მოხერხდება მისი დაწინა „დროების“ რედაქციის „ამხანაგად“, მაშინ მან ითხოვოს ახალი გაზეთის გამოცემის ნება. ქუთათურები პირდებოდნენ გ. წერეთელს, რომ ხელისმომწერლებისაგან შეაგროვებდნენ საკმარის თანხას ახალი გაზეთის დასაარსებლად. წერილის დასასრულს კირილე სთხოვს ადრესატს, გადასცეს თბილისელებს მათი სურვილი — შეერთებული ძალით იმოქმედონ საერთო საქმისათვის.

კ. ლორთქიფანიძის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან ყურადღებას იქცევს აგრეთვე 1884 წ. 15 დეკემბრით დათარიღებული წერილი ილია ჭავჭავაძისადმი<sup>144</sup>. ამ წერილიდან ვგებულობთ, რომ ქუთაისის ინტელიგენციას, კერძოდ, გაზეთ „შრომის“ ყოფილ თანამშრომლებს განუზრახავთ წიგნების გამომცემელი წრის დაარსება. ეს წრე მიზნად ისახავდა, გამოექვეყნებინა სხვადასხვა საკითხავი წიგნი და საჭირო სასკოლო სახელმძღვანელოები, რათა ამ გზით, როგორც კირილე აღნიშნავს, „ცოტაოდენი სარგებლობა მოეტანათ ღარიბის ჩვენის მამულისათვის“<sup>145</sup>.

<sup>142</sup> აქვე, გვ. 131—132.

<sup>143</sup> აქვე, გვ. 132.

<sup>144</sup> აქვე, გვ. 134—135.

<sup>145</sup> აქვე, გვ. 135.

წერილში აღნიშნულია, რომ ჯერ კიდევ გაზეთ „შრომის“ არსებობის დროს ალ. ჯყონიას შეუდგენია ამ წრისათვის წესდება, რომელიც დასამტკიცებლად მთავრობასათვის უნდა წარედგინათ. მაგრამ დაუდევრობის გამო ამ წესდებას დანიშნულ ადგილამდის არ მიუღწევია.

„ეინ იყის. — სწერს კირილე, — იქნება, ამ წარუდგენლობით საქმე არ წაინხდარაყოს, იქნება, მთავრობის ნხრით ამ წესდების დამტკიცებასაც იმნაირი ბედი შეხვედროდა, როგორც ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოების წესდებას შევეთხვა და მერმე უფრო გაძნელებულიყო ჩვენის განზრახვის სისრულეში მოყვანა. როგორც უნდა იყოს, ჩვენ კი ამას ვფიქრობთ, რომ მთავრობას უძნელდება ჩვენში სხვადასხვა ახალის საზოგადოებათა დაარსებისათვის ნების დართვა, თითქმის სინანულშიაც არის, რომ მისის ნებით და არსდა ორიოდ იმისთანა საზოგადოება, რომელთაც ის ეხლა ექვის თვალით უყურებს“<sup>146</sup>.

ამის გამო წრის ხელმძღვანელებს გადაუწყვეტიათ ახალი წესდების დასამტკიცებლად მთავრობისათვის აღარ მიემართათ. მათ განუზრახავთ მიჰყედლებოდნენ ქართულთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რათა ამ საზოგადოების საფარველ ქვეშ მათაც აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ცოდნის გავრცელებაში. ქუთათურებს გაუთვალისწინებიათ ქუთაისსა და თბილისს შორის არსებული მანძილის სიმორე და მიზანშეწონილად უცნებიათ რამდენიმე კაცის დანიშვნა აგენტად, რომლებიც ყოველი წლის ბოლოს საზოგადოების გამგეობას შემოსავალ-გასავლის ანგარიშს ჩააბარებდნენ.

„წლის განმავლობაშიაც, — აცნობებდა კირილე ილიას, — ამ აგენტებს ექნებათ საქიროებისა და გვარად ოფიციალური მიწერ-მოწერა გამგეობასთან, მშრომელებითს კავშირთან, ფორმალური კავშირიც გვექმნეს ჩვენის ნებამუღებებისაგან და ბატონების შესამჩნევლად, რომ ამითი ჩვენს მოქმედებაზედ უსაფუძვლო ეჭვი არავინ აიღოს და თქვენის გამგეობის მოქმედებას ჩვენს მოქმედებაში ცოტა რამე შემატოს“<sup>147</sup>.

ქუთაისში არსებული ეს წრე კისრულობდა, გამოეცა როგორც ის წიგნები, რომლებსაც ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოება სცნობდა საქიროდ, ასევე საქუთარი ენიციკლით შერჩეული ნაწარმოებებიც. უკანასკნელ შემთხვევაში ქუთათურები მოითხოვდნენ სრულ ავტონომიას.

წერილიდან ჩანს, რომ ქუთაისის წრეს საქმეების საწარმოებლად და ფულების შემკრებად აურჩევია 4 კაცი: ალექსანდრე ჭიჭინაძე, ესტატე მკედლიძე, სილოვან ზუნდაძე და კირილე ლორთქიფანიძე. ეს უკანასკნელი საზოგადოებას დაუნიშნავს მოლარედ.

წერილის დასასრულს კირილე ქუთაისლების სახელით გამოთქვამს იმედს, რომ ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოება მიიღებს მათგან იმ წინადა-

<sup>146</sup> აქვე, გვ. 134.

<sup>147</sup> აქვე, გვ. 135.

დებას და დახმარებას გაუწევს მათ მომავალ მუშაობაში. კირილეს ეს წერილი ერთხელ კიდევ ადასტურებს, თუ რა მტკიცე კავშირი არსებობდა თბილისისა და ქუთაისის მოწინავე ქართველ საზოგადოებას შორის. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს იაკობ გოგებაშვილის წერილებიც.

80-იან წლებში ი. გოგებაშვილი მოლაპარაკებია არტურ ლაისტს, რათა მას გერმანულ ენაზე ეთარგმნა „ვეფხისტყაოსანა“. 1883 წ. 4 დეკემბრით დათარიღებულ წერილში გოგებაშვილი დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ არტურ ლაისტმა დანაპირები ჩინებულად შეასრულა.

„ამჟამად თარგმანი მთელის წიგნისა,—სწერს იაკობ გოგებაშვილი კირილეს, უკვე გათავებულია და წაითხულებს არის ნემეცურის ენის მცოდნე პირების მიერ. ეს პირნი ერთხმად აღიარებენ, რომ თარგმანი შესრულებულია მშვენივრად, ხელოვნურად. ასეც უნდა იყოს, რადგანაც თვით გერმანიაში ლაისტი აღიარებულია, როგორც ნემეცური ჟურნალ-გაზეთებიდანა სჩანს—არა მარტო როგორც ნიჭიერი, არამედ ხელოვანი (художественный) მთარგმნელი“<sup>148</sup>.

იმავე წერილში გოგებაშვილი თბილისელი ინტელიგენტების სახელით სთხოვს ქუთათურებს, მხარში ამოუდგნენ თბილისელებს, რათა გადაუხადონ არტურ ლაისტს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე გაწეული შრომის საფასური<sup>149</sup>.

საგულისხმოა აგრეთვე იაკობ გოგებაშვილის 1887 წ. 13 მაისით დათარიღებული წერილი<sup>150</sup>. ცნობილია, რომ ამ წელს სენაკის სათავადაზნაურო სკოლაში გაუქმდა ქართულ ენაზე სწავლება, რამაც ქართველთა შორის გამოიწვია საერთო აღშფოთება. გოგებაშვილის წერილიდან ირკვევა, რომ ამ ამბავთან დაკავშირებით თბილისელებს დაუწერიათ საგაზეთო სტატია, რომელშიაც ისინი კატეგორიულად მოითხოვდნენ, რომ სენაკის სკოლაში სწავლება კვლავინდებურად ქართულ ენაზე ყოფილიყო. მაგრამ, სანამ ამ წერილს გამოაქვეყნებდნენ, საჭიროდ უცვნიათ, სტატიის შინაარსი გაეცნოთ ქუთათურებისათვისაც, რომელთაგან ისინი გარკვეულ რჩევა-დარიგებას მოელოდნენ.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც თბილისისა და ქუთაისის ინტელიგენცია უნებურად ხელს უშლიდა ერთმანეთს მუშაობაში. მაგრამ, ჩანს, მუდამ არსებობდნენ ისეთი წინდახედული ქართველები, რომლებიც ცდილობდნენ წახდენილი საქმე იმთავითვე გამოესწორებინათ. ასე მაგალითად, 90-იან წლებში თბილისში დაარსდა წიგნების გამომცემელი ამხანაგობა, რომელსაც ალექსანდრე ჯაბადარი ხელმძღვანელობდა. ასეთივე ამხანაგობის დაარსება განუზრახავთ ქუთაისშიც. მიუხედავად ჯაბადარის დაჟინებითი წინააღმდეგობისა, ქუთაისლებმა თვითნებურად განზრახ-

<sup>148</sup> აქვე, გვ. 149.

<sup>149</sup> აქვე.

<sup>150</sup> აქვე, გვ. 149—150.

ვა სისრულეში მოიყვანეს. ამ ფაქტით აღელვებულმა ალ. ჯაბადარმა 1892 წ. 25 სექტემბერს ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა კირილეს:

„სწორე მოგახსენოთ, ეს ფრიად სამწუხარო ამბავი იყო (ეს ჩემი შეხედულებაა)! სამწუხარო იყო პირადად ამხანაგობისათვის კი არა, არამედ თვით იმ საქმისათვის, რომელსაც ვემსახურებით თქვენც და ჩვენც. ჩვენი შეხედულება საქმის სიკეთეზე, რასაკვირველია, ერთია, მხოლოდ თქვენ ერთი გზით უვლით და ჩვენ მეორე გზით. თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რა რთული საქმეა ქართული წიგნების გამოცემის საქმე. დიდი ხელის შეწყობა უნდა, რომ „წერილში“ არ გაწყდეს“<sup>151</sup>.

ჯაბადარი გულსტკივილით აღნიშნავდა ქართული ლიტერატურის სიღარიბეს, იმ სირთულეებს, რომლებთანაც დაკავშირებული იყო ლიტერატურის აღორძინება, და ქართველების ყალბ თავმოყვარეობას, როგორც ერთ-ერთ შემაფერხებელ მოვლენას, ერის წინსვლის საქმეში.

„ჩემი ვალია, — სწერს ალ. ჯაბადარი კირილეს, — გთხოვთ თქვენ, როგორც წევრს აქაური ამხანაგობისა და მანდაური საზოგადოებისა, მიიღოთ შრომა და შემოგვიერთოთ მანდაური ძალა გონებრივი და ნივთიერი, რომ ძმურად და ერთად გავეწიოთ უღელს და არ დავენსგავსოთ გზადაბნეულ ცხვარს...“<sup>152</sup>.

ასე ზრუნავდა ალ. ჯაბადარი ქართული საქმისათვის და არა მარტო ის, არამედ მთელი იმდროინდელი ინტელიგენცია.

საზოგადოდ, გასული საუკუნის ქართველ მოღვაწეთა ეპისტოლარული მემკვიდრეობა სრულ შთაბეჭდილებას ქმნის იმისას, რომ ამ წერილთა ავტორები შეადგენენ ერთ მტკიცე ოჯახს, რომლის წევრები, მიუხედავად თავიანთი განსხვავებული შესაძლებლობისა თუ პიროვნული თვისებებისა, ერთნაირად იღვწოდნენ ერის საკეთილდღეოდ.

\* \* \*

წერილების ტექსტს ვაქვეყნებთ უცვლელად ავტორთა ანბანურ რიგზე, შესწორება შეგვაქვს მხოლოდ პუნქტუაციაში. დაწერის თარიღი და ადგილი, რომლებიც ჩვენ მიერაა დადგენილი, კაეებშია მოთავსებული.

გარდა წერილების ავტორებისა, დანარჩენი საკომენტარო მასალა შენიშვნებში გატანილია თავისი რიგითი ნომრით. საკომენტარო ერთეულის განმეორების შემთხვევაში დატოვებულია მათი ის ნომერი, რომლითაც ისინი პირველად იქნენ განმარტებულნი. ის საკომენტარო ერთეულები, რომელთა ამოხსნაც ვერ შევძელით, ან რომელთა შესახებ დამატებით ცნობას ვერაფერს ვიძლევით, შენიშვნებში წარმოდგენილნი არიან პირობითი ნიშნით „5“.

<sup>151</sup> აქვე, გვ. 193—194.

<sup>152</sup> აქვე, 194.

# კირილე ლორთქიფანიძის წერილები

ოჯახის წევრებისადმი

ძმისადმი

1

ძმაო გრიგოლ!<sup>2</sup>

25 ივნისი [1860]<sup>1</sup>  
[პეტერბურგი]

ძალიან გაგიკვირდება, რომ ოცდახუთს ივნისს დაწერილი წიგნი ჩემი ქალაქიდან მოგდის, მაშინ როდესაც ჩემს უნდა წავსულიყავით თხუთმეტს<sup>3</sup>. ამის მიზეზი არის ფულის მოუხვლელობა, ჩემის კი არა, დათიკოსი<sup>4</sup>. მას ჯერაც არ მოსვლია და მისთვის ვიციდით. ვგონებ, 28 ივნისს უთუოდ მოუვა და წაეალთ ან პეტრეპავლობას საღამოს და ან მეორე დღეს დილას. ოთხი აქაურები წავიდა, აღარ მოგვიცადეს, ორი ერთად და ორი ცალკე-ცალკე წავიდნენ, ერთი მარტო და მეორე ვაჭარს წაყვა, ას ათი მანეთი მისცა. ორმა მოგვიცადა და ერთად დაგვიჩიება წასვლა. სხვა რაღა მოგახსენოთ? წიგნები, რომლებიც იქ არ მჭირდებოდა, მიახლებია. ზოგიერთი იმისთანა წიგნები ურევია ამ წიგნებში, იტყვი, ეს საჭირო იყო, რად გამოაგზავნაო. ეს მისთვის, რომ იქ უკეთესი ზღვამძღვანელობაები არის, რომელიც უნდა ვიყიდო. РУКОВОДСТВО და ამათი წაღება ტყუილად დამირჩებოდა. ამ წიგნებს ნურც გაყიდო და ნურავის ათხოვებ. შეინახე, იყოს და მერმე იამება კაცს. რომ დახედავს, გაახსენდება პირველი დროება. რომ გაჰყიდო, იმდენს არავინ მოგცემს და სარგებელი არაფერი იქმნება.

წიგნების სია. გეოგრაფიული ატლასი (თვრამეტი სხვადასხვა კარტი), ფიზიოლოგია, ზოოლოგია, სამი ნაწილი საზოგადო ისტორია, ერთი რუსეთის კატეხიზმო—რუსული და ქართული, ღვთის მსახურება (Богослужение), ლიტურგია, ფიზიკა, რუსული ღრამატიკა, რიტორიკა, პროზის ტეორია ორი ისტორია რუსული, ლიტერატურასი—ერთი. ამ პროზის ტეორიისაგან პავ-

ლე ქვარიანის არის, მას ჰქონდა ჩემი პიტიკა, იმის მაგაერად გამომატანა წამოსვლის დროს, შეეცლოდა. მას გაუგზავნე სიმონ ლოლობერიძის<sup>6</sup> ხელით და პიტიკას თვითონ თუ გამოგიგზავნის, თორემ შენ ნურაფერს შეუთვლი, ბევრად არ ღირს, ექვს შაურად. მას ეჭირვება. თუ ვინმემ გიფხრას, ამ ერთის წიგნს მეტი არ გამოაგზავნათქო. ისტორია რუსული ლიტერატურის ნესტორის<sup>7</sup> არის. წავიღე: ისტორია ქრიასტიანეთ ეკლესიისა, ლეომეტრია, ზოოლოგია, მე რომ მაჩუქეს, ლეოგრაფია რუსეთისა, ბოტანიკა, მინერალოგია, სამი ნაწილი ლათინურის ხრისტომატიისა, ორა ნაწილი ლათინურის ღრმატიკის, სამი ფრანციულისა, ერთი ფრანციული წიგნი მარგოს<sup>8</sup> შეთხზული, ერთი რუსული და ერთი ლათინური ლექსიკონი. ლათინურის ლექსიკონისაგან ორი ნაწილი, მეორე და მეოთხე, არის ნესტორის, მარა მას არ დაჭირდებოდა.

ჭადრაკი გაახელი, ფასი სამ მანეთამდის, ექვსი შაური, გამოგზავნა — ერთი აბაზი. ვგონებ, ერთი თვე არის, რომ შემოგივთვალე: ოცი მანეთი მაქვს თქო, ის ოცი მანეთი დამეხარჯა. შვიდი იმისგან, პალტოს გასაყეთებლად და მისი საყელოს გასაყეთებლად. დამრჩა ის ასოცი, რომელიც გამომიგზავნეთ. და რადგან ეს ეკენისთვემდის არ მეყოფა მხოლოდ გზაშიდ. ამისთვის გთხოვ, როგორც უწინ მოგწერეთ: ნიკო ლოლობერიძეს<sup>9</sup> გაუგზავნეთ ოცდაათი და ის მე გადმომცემს.

შენი კირილე ლორთქიფანიძე

ვგონებ არც გზაზედ მეყოფა, რადგან ოცდა ათი უნდა მიეცე პოლტარაკის<sup>10</sup>.

2

საყვარელო ძეგოლიძე!

5 იანვარს [1862]!!  
ქ. პეტერბურლი

22 თუ 23 დეკემბერს გამოგიგზავნე მინდობილობა, რომელსაც შენ მთხოვდი. უკაცრავად ვარ და დიდი დანაშაულიც, რომ ამდენხან ვერ გაახელი; მაგრამ თუ ბარათის გამოგზავნა ვერ შევძელი, მის გამოგზავნას სრულიად ვერ შევიძლებდი. შენი წიგნები 25 აგვისტოს ტასისა<sup>11</sup> წიგნითურთ, 31 აგვისტოს, 14 თუ 19 სექტემბერს, და ერთი 31 აგვისტოს და 19 სექტემბერს შუა მოწერილი ჩემის მხრით უპასუხო დარჩა, 25 დეკემბერს მივიღე კიდევ შენი წიგნი 24 ნოემბერს გამოგზავნილი. ამ წიგნების პასუხს ეხლა ვწერ.

ამდენხან წიგნის მოუწერლობის მიზეზი, აი, რა იყო ვგონებ, ამდენხან შეიტყობდით უჩემ წიგნოლ; მაგრამ ეს ესაა, ეხლა მოვწახე ვ[ერილი], რომ

ბიძია ჩიჯავაძისათვის<sup>12</sup> მომიწერია 3 სექტემბერს და იქიდან შეიტყობდით...<sup>\*</sup>  
 რა ცვლილება მოხდა უნივერსიტეტში, როგორც შესახებ ადმინისტრაციისა,  
 ვერც ვადასახადი ფულისა<sup>13</sup> — შემდეგ ახალმა მინისტრმა<sup>14</sup> შეადგინა უნი-  
 ვერსიტეტისათვის ახალი კანონები, რომელიც ჩვენ არ გვინდოდა მიგველო.  
 ეხლა არ შემოიძლია, დაწერილებათ შემოგითვალო, რაც ამ წინააღმდეგობას  
 შეუდგა და საჭიროც არ არის, რადგან ყველას მოგიყობათ ნიკო ლოლობერი-  
 ძე<sup>15</sup>, რომელიც წამოვიდა უკანასკნელ ნომბრის რიცხვებში. ვიცყვი ნოლოდ,  
 რომ სტუდენტები ხუთასამდის იყო დაჭერილი, 250-დის პეტრე-პავლეს ცი-  
 ხეში და 242 კაცი კრონშტადტში. ამ უკანასკნელის რიცხვში იყო 13 ქარ-  
 თველი და ამათ რიცხვში მე<sup>16</sup>. გვინახავდნენ ძლიერ კარგად, რაც შე-  
 ეხება ტუსალებს. აუად არ ვყოფილვარ, ეხლაც ძლიერ კარგად ვარ, ორ თვეს  
 ვიყავით კრონშტადტში, 12 თქტომბრიდან 6 დეკემბრამდის და პეტრე-პავლეს  
 ციხეში ვინც იყვნენ, ისენი ორი კვირითაც წინ დაიჭირეს. 6 დეკემბერს გამო-  
 გვიცხადეს გადაწყვეტილება: მეოთხე კურსის სტუდენტები ან უნდა დარჩენ  
 პეტერბურღში თავდებობით, თუ თავდებს ვერ იშოვნიან, შინ წავიდენ და  
 იქაც თავდები უნდა ეყოლოსთო. თუ იქაც არ ეგულვებათ თავდები, გააგზავ-  
 ნიან ვიატკის და მის ახლომახლო გუბერნიების უეზდის ქალაქებშიო. მესა-  
 მის, ნეორის და პირველი კურსის უნდა დარჩნენ პეტერბურღში თავდებობით,  
 თუ არა და, შინ წავლენ უთავდებოთო. გარეშე პირები, რომელშიადაც იყ-  
 ნენ მწერლები (ლიტერატორები), თუ ისე, ისინიც ამნაირად დასაყეს, მაგრამ  
 შინ გაგზავნა მათთვის მხოლოდ ერთი წლის ვადით არისო. ერთი მინუსტერ-  
 სტვოს სტოლონაჩაღნიკი გამოორიცხეს თანამდებობიდან და აღარ მიიღებენ  
 არსად. ამნაირად სტუდენტები ციხეში ნამყოფი გამოვირიცხეთ უნივერსიტე-  
 ტიდან. — ეხლა ამ სამშაბათს უნივერსიტეტი დახურეს და ვინც შიგ იყო  
 დარჩენილი, ისენიც გამოორიცხეს, დანარჩენი პროფესორები (ხუთი გამოვიდ-  
 ნენ ჩვენის დაჭერის დროს, არც მათ მოსწონდათ ახალი კანონები) შტატს  
 გარეთ დასტოვეს<sup>16</sup>, ახალი მინისტრი<sup>14</sup> გამოცვალეს<sup>17</sup>, ლენერალ-ლუბერნატო-  
 რიც<sup>18</sup>, რადგან ამან ჯარები გამოიყვანა ჩვენდა დასაჭერად და ამითი რად-  
 გან ჩვენ კრებებს ეძლეოდა სხვა მნიშვნელობა, ხალხი აირია. — ეს დააშავა  
 ამან. ეხლაც, რადგან ახალი კანონები უნივერსიტეტს არ ეკაშნიკა, დანიშნეს  
 დეკემბერში კომისია<sup>19</sup> ყველა სასწავლებლების მაზრის მზარუნველებითგან და  
 თითო პროფესორებთსაგან თითო უნივერსიტეტიდან, (მაგრამ აქედამ და მოს-  
 კოვიდამ კი—ორ-ორი) კომისია, რომელმაც უნდა შეადგინოს ახალი მსუბუ-  
 ქი კანონები... იმერელთაგანმა ბესარიონ ლოლობერიძემ<sup>20</sup>, დავით ლოლობერი-  
 ძემ<sup>21</sup>, ვასილ თუმანიშვილმა<sup>21</sup>, მე და გიორგი წერეთელმა დაკვარგეთ სახელ-  
 მწიფო სტიპენდია და ეხლა გვიჭირს უფულობით. წიგნს ვწერ ბიძია ჩიჯავა-

\* ერთი სიტყვა არ იყოთხება.

ქეს<sup>12</sup> და ფულებს ესთხოვ 150 მანეთს თებერვლის დამლევისათვის<sup>22</sup>, 150 ნან. რადგან ოქტონობრიდამ ჭაპაგირი არ ამიღია და ციხეშიც დამეხარჯა ფულები, ნასესხები. წამოსვლის დროსაც შემპირდა ფულებს, როცა სახელმწიფო ჭაპაგირი უნდა მქონებოდა და ეხლა ვგონებ, ვარი არ მითხრას. — შენ და სამსონ<sup>23</sup> ნუ შესწუხდებით ფულებისთვის, თორემ ძლიერ დაგემდურებით. — ძეც დიდი იყო თქვენთვის, რაც გამომიგზავნეთ. მინდობილება ციხიდან უნდა გამომეგზავნა, მაგრამ ფულები არ მქონდა, ვყიდულობდი რამეებს ვალად. — ვერც მერე ვიშოვე 21 დეკემბრამდის. ბარათს მაინც გამოგვგზავნიდი, მარა საქმეები მქონდა თუ თავდებობაზე თუ სხვა რამეებზედ. თავდებობა სამსონმა<sup>24</sup> შემპირდა თვითონ, მე კიდევაც არ მითხოვია ისე, პირველის ნახვისთანავე ციხიდან გამოშვებულამ, მარა როცა დაბეჭდილი თავდებობის ფორმა მივიღე, ვერასოდეს ვერ ვნახე შინ, დავუტოვე მოსაწერად, მარა ბიჭს დავიწყებოდა მიცემა. ბოლოს მივედი იმ იმედით, მოწერილი დამხვდებათქო და მოეტყუებო, ბიჭს დავეკალი. ამ დღეს დროც თავდებოდა, რომლის შემდეგ არ შეიძლებოდა თავდების მიღება და უნდა გამომეწია მაქეთ და ამისთვის სამსონ აბაშიძეს<sup>24</sup> მოვაწერიე ხელი. — თავდების მიღების ვადა იყო ორი კვირა გამოშვებულამ. ციხიდან მინდოდა მომეწერა წიგნი, მარა ფულიც არა მქონდა და ქართულს მოწერის ნებასაც არ გვაძლევდნენ და რუსული არ მინდოდა, რადგან ყველა წიგნები უნდა პლაკადრუტანტს გადაეკითხა და იმ ჩემ წიგნში იმისთანა რამ იქნებოდა (ოჯახის საქმე), რომ არ მინდოდა მას წაეკითხა.

მე აქ მინდა ვსთქვა რამდენიმე სიტყვა შენს წიგნებზედ, რომელიც მივიღე ნიკოსაგან<sup>25</sup> ციხეში. — იმ წიგნით მატყობინებდა ბიძიას და მეტადრე ბიცოლას ყოფაქცევას ოჯახის საქმეში. იმ უხეირო საქმეებს რომ დავსწრებოდი, სიხსნლი უნდა შემეხსნა, ვინც უნდა ყოფილიყო ბიცოლა გინდ ბიძია. სირცხვილა, სირცხვილი, მოქადაგე კაცები რომ ამისთანა საქმეებს შვრებოდეს. უკანააქნელი გლეხი იქს ამას? ვაი, საბრალო დაუჯლომელო, რამდენჯერ უღეჭიხართ და გაღურებენათ შენზედ ხუტესსავეთ კოთხეაში და ამისთანა საქმეებში ჩადიან! ვაი ამისთანა მკითხველებს, ამისთანა კაცებს და ქალებს! თუ ფარაყუშეები და ერთიები არ სჯობს, მე არას ვიტყვი. საბრალო დედა ჩემო<sup>25</sup>, როგორ გაგისქდებოდა გული, როგორ გაცეცხლდებოდი, როცა ამისთანა მხეცობას უყურებდი! საბრალო დებო<sup>26</sup>, როგორ თავჩაღუნული უყურებდით დედას. იქნება ხელდამჭობილიც ამისთანა მხეცების უსინდისობის შემხედვარენი! — მცე ისე გაცეცხლდი, ჩემო გრიგოლ, როცა შენს წიგნში ჩავაწიე იმ ადგილამდის, სინილის დაფრუტული, შუბლგასქელებული, გამონიჭებული გაუმაძღრობით ბიცოლა რომ კარზედ მიდგომოდა და ამტკრევდა, აქ ჩემი მტერი რძალი არისო!.. ხუთი-ექვსი შენი წიგნი წავეკითხე ეხლა, რომ პასუხი მომეწერა და ეხლაც ისე გაცეცხლდი იმ წიგნით, რომელშიაც ამ ამბავს მწერდა და იქნება ეს იყო მიზეზი, რომ ეხლა არ შემიძლია დაწვრილებით მოწერა



ჩემი ამბავისა. 12 ოქტომბრიდამ, რაც გამოგვეზავნათ ტასისა<sup>5</sup> და შენ, ყველა მივიღე. ახალუნი კი არ მერგო, სახელო გრძელი აქვს და წერილი, საყულო სრულიად არ მერგო, არც გულზედ მწედება. წელიც მოკლე აქვს. ჩვენი გურული[ს] საქმე არ ვიცი როგორ არის, თუმცა ბევრჯერ ვიყავი სამსონთან<sup>5</sup> ციხეს შემდგომ, მარა ბევრჯერ არ მინახავს სახლში და სხომის არ გამახსენდა და მეორე წიგნით შემოგივლი. — დოკუმენტები ჭერ არ მოუციათ უნივერსიტეტიდამ; ხვალ ზეგ გამოვიტან ამა თავადობის მოწმობას, კოპიის გადაღებას შემდგომ გაახლებ.

მოგილოცავთ დღესასწაულს როგორც წარსულს, ეგრეთვე მომავალს დედას<sup>25</sup>, დებს<sup>26</sup> და ძმებს<sup>27,28</sup>, კვიდრსაც და ისეც, ბიცოლებს სენდიზიეს გარდა და ბიძებს, მის ქმარს გარდა და ხელებ გვაგმობრებით. თქვენი კირილე ლორთქიფანიძე.

მეთხე საათი არის ნაშვალამეცს და არ ვიცი, რას ვწერ.

### 3

ძმად გრიგოლ!

6-ს თებერვალს [1862] 27  
ჰ. პეტერბურლი

19 იანვრის წიგნში ნწერ, რომ მინდობილობა შენგან გამოგზავნილი, მივიღეო; მაგრამ იმასთან მიღებულმა მოკლე ბარათმა კი დამაყოვნა შენს მშვიდობაზეო. მოკლე ბარათი მისთვის მოგწერე, რომ მეჩქარებოდა იმ დღეს ფოსტაში მისვლა და მეტი ვერ მოვასწარი. — მეორე მიზეზი. ფულის და დროის უქონლობის გარდა, რომ 5 იანვრამდის ვერ მოგწერე წიგნი, იყო ის, რომ მინდოდა კარგად, ესე იგი, ვრცლად მომეწერა წიგნი და ვუცდიდი კამბისიის<sup>19</sup> გადაწყვეტილებას, რომელსაც უნდა დაეწერა ახალი პროექტი უნივერსიტეტისათვის, რადგანაც მინდოდა ყველა ერთიანად შემომეთვალა. სხვა იმდენი ხანის წიგნის მოუწერლობისა არაფერი არ ყოფილა; რას ჰქვია ავადყოფობა? მაქედამ რომ წამოვედი [ფ]ჩხილიც არ ამტკივნია. — ოცდაათუს დეკემბერს აქეთ შენი წიგნი არ მომსვლია, ძლიერ შეწუხებული ვიყავი; ეხლა რა მიჭირს, მხიარულად ვარ მაქაური მშვიდობით. მეც კარგად ვარ.

აქაური ამბავი ამის მეტი არა არის რა და ესეც ჩემი შესახებია: უნივერსიტეტის მმართველობას (университетское управление) გადაარქვეს დროებითი კომისისია უნივერსიტეტის საქმეების სამართავად. აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტი გახსნეს, რადგან ამ ფაკულტეტის სტუდენტებს არსად შეეძლოთ გადასვლა, მისთვის რომ ამნაირი ფაკულტეტი არც ერთს უნივერსიტეტში არ არის. სხვა ფაკულტეტების სტუდენტებს (მაგრამ მესამე და მეოთხე კურსისას) მისცეს ეკზამენის დაქერის ნება. — ამითი სჩანს, რომ მმართველობას (ახალ მინისტრს<sup>17</sup>) აღარ უნდა, რომ მათ დაეკარგოსთ სამისა და ოთხი წლის შრომა და იმასაც ნიშნავს.

რომ აქაურს უნივერსიტეტს სრულად მალე გახსნიან (ექვამენები არის ყოველთვის აპრილში და მაისში, კურსი იწყება სექტემბრიდან, მაშასადამე, უმახლობელსი დრო იქმნება სექტემბერი). ცხადი დამტკიცება რომ, სექტემბერში გაიხსნება, არის, აი, რა: 1) ამბობენ, მაშინ გაიხსნებაო, 2) სამოქალაქო სამსახურლოში (В залах Городской Думы) და წმ. პეტრეს სასწავლებლის დარბაზებში (зала) დაიწყეს პუბლიკური ლექციების კითხვა პროფესორებმა ყველა ფაკულტეტისამ და მას გარდა სამმა გარეშე კაცმა. პროფესორებმა, ვინაც დაიწყეს, ყველამ ის გამოაცხადა პირველ ლექციაზე, რომ თუმცა ჩვენ ვკითხულობთ პუბლიკურ ლექციებს, მაგრამ სახეში უფრო გვყავს ის მსმენელები, რომელნიც ყურს გვივდებდენ წარსულს წელს უნივერსიტეტშიო (ესე იგი, გამორიცხული სტუდენტებო) და ამისთვის ჩვენი ლექციები იქმნებიან უნივერსიტეტის კურსის განგრძელებათ.

უნდა გიამბო, რომ ჩვენ (სტუდენტებს) გვყავდა ამორჩეული რამოდენიმე დეპუტატები, რომელნიც წაიღენ და სთხოვეს უკეთესს პროფესორებს, რომ მათ ეთხოვათ მინისტრისაგან ლექციების წაკითხვის ნება. მან მისცა. ესლა კითხულობენ ლექციებს შემდგომნი:

ისტორიკო-ფილოლოგიური ფაკულტეტის პროფესორები: კასტამაროვი<sup>28</sup>, პავლოვი<sup>29</sup>, სტასულევიჩი<sup>30</sup>, ბლადოვეშჩენსკი<sup>31</sup>, შტიემანი<sup>5</sup>.

იურიდიკული: კაველინი<sup>32</sup>, სპასოვიჩი<sup>33</sup>, უტინი<sup>34</sup>, ანდრეევსკი<sup>35</sup>, ივანოვსკი<sup>36</sup>, გორლოვი<sup>37</sup>;

ბუნებითი საგნების: სოკოლოვი<sup>38</sup>, მენდელეევი<sup>39</sup>, ფამინცინი<sup>40</sup>, ბეკეტოვი<sup>41</sup>, სოვეტოვი<sup>42</sup>, გადოლინი<sup>43</sup>, პუზირევესკი<sup>44</sup>.

ამათ გარდა, კიდევ გარეშე კაცები: სეჩენოვი<sup>45</sup> (ცხოველთ ფიზიოლოგიას) პროფესორი მედიკური აკადემიისა; ლოსვიცი<sup>6</sup> (энциклопедия законовведения), კალინოვსკი<sup>46</sup> (финансовое право).

ასე კითხულობენ 21 კაცი. კიდევ მოემატებიან მალე მატემატიკური ფაკულტეტის პროფესორები, ორ[ი] მაინც უსათუოდ: სომოვი<sup>47</sup> და ჩებიშევი<sup>48</sup>.

დღეში კითხულობენ ექვს ლექციას სხვადასხვას. — არის რალა უნივერსიტეტი, მაგრამ არა აფიციალური. ესენი იკითხავენ შვა აპრილამდის. ერთად ყველა ლექციების ფასი თითო საგანზე არის მაჭობანდის ორ-ორი, თუ თითო მანეთი, და თუ ერთად არ იყიდი, ერ[თ]ჯერ შესვლა — 25 კ. სტუდენტების მეტ ნაწილს აქვს უფასო ბილეთი, რომლითაც შეუძლია ყოველთვის, ყველასთან მივიდეს (მეც მაქვს). გაშინჯე, რომ, მაგალითებრ, კოსტამაროვის ლექციების ორორი მანეთიანი ბილეთები იყო დაბეჭდილი 600 და ყველა გაიყიდა, კიდევ ბევრი თხოულობს, ისე რომ, კიდევ უნდა დაიბეჭდოს. უფასო ბილეთები იყო დაბეჭდილი 600. მაშასადამე, მუდამ მისს ლექციაზე იქნებიან მუდამ 1000 კაცი (რადგან ამ უფასო ბილეთების მქონებელში იქმნებიან იმისთანაები, რომელიც ისტორიას შეიძლება არ უგდებდეს ყურს). ამას გარდა,

მის ლექციებზე ყოველთვის გაიყიდება ხუთშაბათიანი ბილეთები 30 მანეთამდის, ასე რომ, უშველებელი ზალა ღუმისა გატენილია. ზალები, რასაკვირველია, უფასოდ არის ნათხოვარი. მოგაწყინე ბევრი. ბეუტურით, მაგრამ მისთვის გწერ, იქნება ნიკო ლოლობერიძეს<sup>9</sup> უნაბო, რომელსაც თავსაც დაუქრავ ჩემ მაგიერ.

შემოგოთვლია ფულებს, თუ უიშოვეთ, გამოგიგზავნითო. განა არ ვიცი, რომ თქვენ არ შეგიძლიათ გამოგზავნა? რაც ცოტა უნდა გამომიგზავნო, თუმც მხოვინმარ იმ გამოგზავნილს, რადგანაც მჭირია, მაგრამ შერგებით კი არ შეშერგება. მგონია, ასე უფრო შეიძლებოდეს.

კაცი რომ კაცს რამეს ვალში დაუწინდებს, ეს იმას კი არა ნიშნავს, რომ საწინდარი ვალად ღირდეს: შეიძლება, რომ საწინდარი ორი ვალის ფასად ღირდეს; მაშასადამე, ჩვენი გურული მამული, რომელიც არის დაწინდებული 15 ათას მანეთად, შეიძლება მეტიც ეღიროს, მაგალითებზე, 22 ათასად. ან ამ მამულის, ყმა ადგილით მესამედი (ჩვენი) ანდა ბიძიას გაყოფის შემდეგ ჩვენი მამულის (ყმების მათი ადგილით) მესამედი რომ აწეროთ და პრიკაზი-დამ ფული გამოვიტანოთ, როგორ ფიქრობ, ცუდი იქნება? ჩვენის თხოვნით ღუბერნატორი ააწერიებს ჩინოვიკს მამულს (ერთი სიტყვით, როგორც აცი) და ის რომ დავაფასებით შეიდი ათას მანეთამდის, პრიკაზი-დამ მოგვეცემენ ორი ათას მანეთამდის (რასაკვირველია, რაც უფრო დიდი ხნით ავიღებთ. ის უფრო საიმედოა). ამ ორი ათასი-დამ ათასს მე დაგზარჯავ ამ სამ წელიწადს აქ ყოფნაში, ხუთასი შეინახე, რომ ოთხს წელიწადს სარგებელი გქონდესთ მზათ, დანაშთენი ხუთასი აქ მიბოძე და ვერცხლის იარაღს ვიყიდი ეფროსი-ნესთეის<sup>26</sup> და გამოგზავნი. სამ წელიწადს იქეთ ადგილს ვიშოვი. თუ ღმერთმა მაცოცხლა და შერამე სარგებელსაც [გადა]ვიზღი და თავნაყ და თუ ვიხიციობაა ამ ოთხ წელიწადსაც ვერ გადავხადეთ, როგორც საქირია იმ დროზე და მამული დაგვეკარგა, მე ვიზღავ, ჩემი ბრალი იქმნება, რადგანაც ეს საქმე ერთ წელიწადამდის ვერ მოხერხდება, მანემდის იქნება მე მოვახერხო ფულე-ბის შოვა ან ბიძია ჩიჯავარესთან<sup>12</sup>, ან სესხით იაკობა მამულაშვილთან<sup>9</sup> მისი შვილის შემწეობით, რომელიც მაქვთ წამოვა მალე, ათ კაპეკად და იმით შევინახავ თავს. თუ პრიკაზი-დამ არა, იქნება თავი გაინთავისუფლონ გურუ-ლებმა, მაინც ცუდი მოსახმარი არიან.

ამ 30 აგვისტოსთვის მაქაური ღუბერსკის მარშლები მოვლენ აქ და იმათ ვათხოვინებთ აქ ქართველები, რომ ისევ მიგვიღონ და ვგონებ მიგვიღონ.— რჩევები საქირია არ იყო, სუსტი რჩევებიც არიან ეს ჩემი რჩევები, მარა რა გაეწყობა, ტყუილად შემოგივალე.

ბიძიას ვთხოვე ფულები და ვგონებ, გამომიგზავნოს. მოკათხვა და ხელი პირის ამბორი დედას<sup>25</sup> და ყველას. — ლევანას<sup>9</sup>.

შენი კირილე.

[ბოლო გვერდის მარცხენა კიდეზე]: რას ვწერ, არ ვიცი, მეძინება. სამი საათი ნაშვალამევის თავდება და ამისთვის მომიტყევე. ბიძიას<sup>12</sup> და ელსაბედს<sup>16</sup> ორ-სამ დღეში გამოვუგზავნი წიგნს.

4

ძმაო გრიგოლ<sup>2</sup>!

17 ივლისს [1862]<sup>17</sup>

ქ. პავლოვსკი

ორი კვირაა, რაც შენი წიგნი მომივიდა ფულით. უნდა ვთქვა, რომ თუ-ცა უფულობით გაქირებულ ვიყავი, მაგრამ ფულების მოსვლა ისე არ გამ-ხარებია, როგორც წიგნის. მეგონა, თუ ცუდი რამე მომხდარა და იმისთვის ვერ მწერს მეთქი. ზოუწერლობის მიზეზად შემოგივლია, რომ ცალიერი წიგნის გამოგზავნა არ მინდოდაო, რადგან ისე არ გასიამოვნებდაო, მაგრამ ეს მიზეზი რაღაც არ მოდის ჩემს აზრში, მისთვის, რომ უწინაც უფულოდ მიგ-ზავნიდი ბარათებს. ახლა რა იყო მისი მიზეზი, რომ არ მიგზავნიდი ბარათებს? უფულობა არ უნდა ყოფილიყო.

კვირიკაის<sup>5</sup> საქმე თუ ძლიერ ცხადად არ სჩანს, თუ ძლიერ ცხადად ვერ დაემატირებთ ჩვენს სიმართლეს, შრომად არ ელირება, ვგონებ, აპპელაციას ბევრი დევნა უნდა. აქ არავის ვიცნობ და არც რამე მოხერხდება, რომ ვიცნობდე უქრთამოდ. სულმა თუ მაგრე გადაწყვიტა, ვგონებ, აქ მისი წინააღ-დეგი არ გადაწყვიტონ ახლანდელს დროში. მე ეს ორი სიტყვა მითქვამს ისე და თქვენ, რასაკვირველია, როგორც ზედავლეთ, — თუ საქმის გაკეთება შეიძლება, მე ნუ ვიქნები წახდენის მიზეზი.

გაყოფაზედ ეს უნდა ვთქვა: თუ ისევ იმ მდგომარეობაშია, როგორც ჩემს მაქ ყოფაში იყო. რასაკვირველია, რომ მაგ ველარ მოჰკვიანდება. ნუთუ, მაგის მოჰკვიანებას უნდა ვუცადოთ? ნუთუ მანემდის უნდა ვეწვალათ ჩვენ, სანამ მაგ არ მოჰკვიანდება? როდის უნდა მოჰკვიანდეს? სიკვდილამდის მაგ მდგომარეობაშივე იქნება, ჩემის აზრით. ამისათვის ან კი რად გვიინდა, რომ მაგან გაგვეყოფს ახლა შინაურულად, ნუშლია, კიდევე შეგვიშალოს, რომ ცოტას გამოიფხიზლებს, შეუძლია თქვას, როცა გავეყავ, მაშინ გადაჩეული ვიყავი და რადგან ახლა უფრო ჰქუაზედ ვადგივარო, ახლა სხვანაირად მინდა გავეყო. ვგონებ, სჯობს, რომ ვითხოვოთ მისთვის აპეკუნის დაყენება. აპეკუნს გაუუყოფთ და სანამ მაგ ჰქუაზედ არ მოვა (მაგრამ მაგ ხელმეორე[დ] იქნება მის დღეში), ან სანამ სრული წლოვანი არ იქნება მისი შვილი, მაქამდის მან-ინც განვთავისუფლებით ათასჯერ შეერთებას და ათასჯერ გაყოფას, რომელ-საც უნდა მოველოდეთ, თუ შინაურულად იქნა გაყოფა. შინაურული გაყოფა ორი კვირის, ან ორი დღის იქნება. იქნება, ნათესავეებმა თქვან, რომ სირცხვილია

შაგის ვადარეულობის გამოცხადებამ და წინააღმდეგი იქნენ ამარი. მაგრამ, მე მგონია, უანისობა, ე. ი. უაპეკუნობა არ შეიძლება. რალა დასამალავია ის, რაც თელმა იმერეთმა და გურამ იცის? რა ცუდი იქნება, რომ კაცმა თავი ჭკუა-შეშლილს არ აწვალდებოს? რა კარგი იქნება, რომ კაცმა მხოლოდ მისთვის არ გამოაცხადოს ვინმეს სასულელე, რომ ოჯახის ან გვარის სირცხვილიაო (მაგრამ რომ ყველამ იცის ეს ამბავი?) და თავს კი იწუხებდეს.

პორტრეტები არ გამოიწიგზავნია. მისთვის დავაწერე, რომ რადგან მე-შინოდა არ დაიკარგოს მეთქი, 35 მანეთის ფასი დავაწერე და რადგან ისე ცოტა წიგნები არ მოხერხდებოდა, რომ 35 მანეთად ღირებულებოდა, ფოტო-ში იქვეში შევიდოდნენ და პორტრეტები მოვიგონე (30 მან. მოწმობა დავწერე, ჩემის აზრით).

უნივერსიტეტის გახსნას წრეულს აღარ აპირებენ. ამბობენ, არც გაი-სად იქნება სულ გახსნილიო. მარტო პირველი კურსების გახსნა უნდათო. თუ წრეულს გახსნეს, ყველა ფაკულტეტის არა, მარტო აღმოსავლეთისას და მათემატიკისას.—თუმცა აქ ყოფნამდე ბევრს შეიძენს კაცი. მარა მე არ მინდა, რომ ამისათვის შეგაწუხოთ. მე მინდა, რომ მაქ მოვიდე ორი წლის ვადით და მაქამდის უნივერსიტეტსაც გახსნიან. ამ ორ წელიწადს მინდა მაქ ვიმსახუ-რო და გადავიხადო ის ვალები, რომლებიც დაგედვათ ჩემის მიზეზით, ანა-გარდა ცოტა შემოვიინახო და ორ წელს იქეთ წამოვიდე კურსის გასათავებ-ლად. ამისათვის ვაგზავნი დღეს მაქაურს დირექტორში თბოვნას, რომ უცროსი უჩიტლობის ადგილი მომცენ ან ქართულის ენის ან გეოგრაფიის ან მათემატიკის. რასაკვირველია, პირველი, როგორც ჩემი საკადრული საგანი, უფრო სასარგებლო იქნება ჯამაგირის სიდიდითაც. გეოგრაფიაც ძლიერ კარ-გი იქნება.— ართმეტიკას ის სარგებლობა ექნება ჩემთვის მხოლოდ, რომ მზადება არ დამჭირდება და დრო დამრჩება საკითხავი სხვა წიგნების და ენის სწავლის. გეოგრაფია, რადგან ჩემი ფაკულტეტის არის, იმის მომზადე-ბაში მონდომებული დრო არ იქნება დაკარგული ჩემთვის.— აქედამ გამო-დის, რომ ჯამაგირით პირველი თანამდებობა (ე. ი. ქართული ენის მასწავ-ლებლობა) სჯობს და სხვებ ერთნაირი ყველა სასარგებლო იქნება.

[ბოლო გვერდის მარცხენა კიდზე]: ვგონებ, ამაზე შენც თანახმა იქ-ნე.— მოკითხვა ვისაც საჭიროა.— მომიტევე ამნაირს მოჩხაპნისათვის, მაგ-რამ ორი საათი არის ნაშვალაშევის.

შენი კირილე ლორთქიფანიძე

აიძისაღმნი

საყვარელო ბიძა ბატონო!<sup>12</sup>

5 იანვარს [1862]<sup>50</sup>

ქ. პეტერბურლი

მე მოგწერეთ უკანასკნელი წიგნი 3-ს სექტემბერს. ამ წიგნით მოგწე-რეთ, სახალწო განათლების მინისტრი<sup>14</sup> ახალი დავიყენეს მეთქი, ამ მინისტ-

რის განკარგულებით გარდასახადი 50 მანეთი არა სტუდენტს არ უნდა შერჩეს მეთქი და სხვ.—ამანვე შეადგინა უნივერსიტეტისათვის ახალი კანონები, რომელნიც იყვნენ სასტიკნი და სტუდენტობისათვის ასასრულუნებლად შეუძლებელი. ეს კანონები არ მივიღეთ ჩვენ და ამას შეუდგა საქმეები, რომელნიც დაბოლოვდნენ მით, რომ სუთასიოდე სტუდენტები დაიჭირეს და დაატუსაღებს ზოგი პეტრე-პავლეს ციხეში პეტერბურღშივე და ზოგი ერთი — კრონშტადტის კაზარკებთაგანში. კრონშტადტში იყვნენ 242 კაცი, თუ სტუდენტი, თუ (ოცდაათამდის) გარემე კაცი და ჩინოვნიკები — 242 კაცში იყო 13 ქართველი<sup>15</sup> და ამათ რიცხვში მეც. დაქვრილი ვიყავით პეტერბურღელები 26 სექტემბრიდამ 12 ოკტომბრამდის. თუ ღამე შინიდან წაიყვანეს, თუ უნივერსიტეტიდამ, როცა ამ საქმეებზედ კრებაები გვქონდა. ჩვენ 242 კაცი 12 ოკტომბერს დაგვიჭირეს ყველა ერთად. ჭერ ორი-სამი დღე პეტრე-პავლეს ციხეში ვყავდით და მერმე კრონშტადტში წაგვიყვანეს. პეტერბურღშიდაც და კრონშტადტშიდაც ვიყავით დატუსაღებული პირველნი ორ თვეზედ ნეტი, ხოლო ჩვენ ორ თვემდის. გამოგვიშვეს 6-ს დეკემბერს. გვინახავდნენ კარგად, რაც ტუსაღებს შეეფერება. 6 დეკემბერს წაგვიკითხეს გარდაწყვეტილება, რომლითაც ყველა ციხეში მყოფი გამოგვიცხეს უნივერსიტეტიდამ და ვინც მეოთხე კურსელებთაგანი ვერ იშოვიდნენ აქ და შინ ყოფნაში შინ თავდებს, იმას გაგზავნიდნენ ვიატკის და მისს ახლომახლო გუბერნიების უეზდის ქალაქებში; მაგრამ, ვგონებ, ყველამ იშოვეს.—მეორის, მესამის და პირველი კურსის სტუდენტებს აქ დარჩენა თუ უნდოდათ, თავდები უნდა ეშოვათ, თუ არა და, სამშობლოში უნდა გაეწიათ. მე ვიშოვე თავდები, სხვებმაც, ქართველებმაც და რუსებ-პოლშელებმაც, მხოლოდ ზოგი წავიდნენ სახლში.—ახალი მინისტრი<sup>14</sup> გამოცვალეს<sup>17</sup>, ლენერალგუბერნატორიც<sup>18</sup>, რადგან მან იხმარა ჭარები, როცა ჩვენ კრებაები გვქონდა იმ საქმეზე, თუ რისთვის ზურავდნენ უნივერსიტეტს სექტემბერში, ან მაზედ, მივიღოთ კანონები თუ არა? ჭარის გამოყვანა აძლეულა ჩვენ კრებაებს სხვა მნიშვნელობას და ამისთვის ხალხი აირია და ეს დაამავა უფალმა ლენერალგუბერნატორმა, ესლა კიდევ დახურეს უნივერსიტეტი და არ ვიცით, როდის გაიხსნება, ზოგი ამბობს სექტემბერში, ზოგი—თებერვალშიო.—ყველა სტუდენტები, ვინც კიდევ იყო უნივერსიტეტში, ისინიც გამოვიცხეს. პროფესორები, ხუთს უკეთესს პროფესორებს გარდა (რომელნიც თვითონვე გამოვიდნენ ჩვენის დაჭერის დროს, არ[ც] იმათ მოსწონდათ ახალი კანონები) შტატს გარეთ დასტოვეს ყველა<sup>16</sup>. — რადგანაც ესლა გამოცვლილის მინისტრის კანონები არ დარჩა სასარგებლო, ამისთვის მოიხმეს ყველა რუსეთში მყოფი სასწავლებლების მაზრის მზრუნველები და ყველა უნივერსიტეტიდამ თითო პროფესორი, მაგრამ აქედამ და მოსკოვიდამ ორ-ორი და დანიშნეს მათგან კომისია<sup>19</sup>, რომელმაც უნდა შეადგინოს ახალი მსუბუქი კანონები.

იმერლებთაგანს ამ გამორიცხვით დაგვეკარგა ჯამაგირი: ბესარიონ ლოლო-ბერიძეს<sup>20</sup>, დავით ლოლობერიძეს<sup>1</sup>, ვასილ თუმანიშვილს<sup>21</sup>, გიორგი წერე-თელს და მე, რომელთაც ძლიერ გვიკირს უფულობით.

ვაჭირების დროს საიმედო იმედად თქვენ მყავხართ და რადგანაც ეს-ლა მე დამეკარგა ჯამაგირი, ამისთვის გთხოვთ უმორჩილესად, ნუ აშალები-ნებთ სწავლაზედ ხელს და შემეწიოთ, რომელიც თქვენთვის დიდი დასაკლისი არ იქნება და იმედი მაქვს, გადავიხდი, რითაც თქვენი სურვილი იქნება და როგორც შეესაბამება ორივე მხრით გაზრდილობას, კეთილშობილურს საიმა-ყეს და პატიოსნებას. — იმედი მაქვს, რომ ის კაცი, რომელიც ქუთაისის ლიმნაზიას უპირებდა შეწირვას წელნიწადში 200 მანეთს, არ დაიშურებს დის-წულისათვის წელნიწადში 400 ანუ 300 მანეთს, მეტადრე მაშინ, როცა ის დის-წული 3000 ვერსტზე არის მისგან მოცილებული და ამ 300 მანეთზედ ჰკი-ლია შემდგომი მისი ზედნიერება და უბედობა როგორც თავისთვის, აგრე-თვე საწმობლოსათვისაც. თქვენთან ვბედავ, ბიძია, ამ თხოვნას, თქვენთან ვბე-დავ, ასე შემოკლებულის ამბავის მოწერას უნივერსიტეტის საქმეზე, თო-რემ სხვას სრულიადაც არ მივწერდი. სიმოკლე ამ ამბვისა, თუმცა მეტი ამ ქალაღღზედაც არ დაეტევა, რაზედ არის დამოკიდებული, თუ მიხვდით? აი, რაზედა:

გრიგოლის<sup>2</sup> წიგნი მომივიდა ციხეში ყოფნაში და იქ წაკითხვაზედ ისე გავცეცხლდი, როგორც ესლა რომ წავიკითხე. ნწერდა შინაურს ამბავს, ბი-ძიასას და ბიცოლასას, ამის მეტი არ შემიტყვია, თუ ასე იქცეოდნენ. მიუყრებია კი, რომ ცუდად იქცეოდნენ, მაგრამ ასე? რომ დავსწრებულეყავი იმ ამბავს, ჩემს სისხლს შევასწამდი, ბიცოლა ყოფილიყო, გინდა ბიძია. სირცხვილია მის-თვის, რომ ასრე შეუწუხებია დედა<sup>25</sup>, დები<sup>26</sup> და ძმები<sup>27</sup> ბიძიას ეს არ ეკად-რებოდა მას. სხვებს დაკინის და თვითონ კი უცუდესსაქმეებს ჩადის! მარა ეს ცოტა ჩემი ძმების<sup>28</sup> და ჩემი ბრალია ნამეტანი მბილი ქალი და კაცები ვართ დედაშვილნი. მარა ბიცოლას და ბიძიას რომ ასრე შეუწუხებიათ დე-და, მაშინ რომ დავსწრებოდი, სისხლი უნდა შემეცხა მათთვის. — სირცხვი-ლია, სირცხვილი, მოქადაგე კაცები რომ ამისთანა საქმეებს შვრებოდეს! უკა-ნასკენელი გლები უქს ამას თავის რძალს და ძმისწულებს? ვაი, საწყალო და-უჯდომელო, საბრალო რამდენჯერ უღეკიხართ ყმაწვილობაზედ, რამდენჯერ გადურბენიათ შენზედ ხუცესსავით კითხვაში და ამისთანა საქმეებს შვრე-ბიან! ვაი, ამისთანა მკითხველებს! ამგვარ კაცებს და ქალებს თუ ფარაყუშე-ები და ერთიეები არ სჯობს, მე აღარას ვიტყვი! საბრალო დედა-ჩემო, როგორ გაგისქდებოდა გული, როგორ გაცეცხლდებოდი, როცა ამის-თანა მხეცობას უყურებდი! საბრალო დებო, როგორ თავჩაღუნული უყურებ-დით დედას, იქნება ხელდაშკდობილიც ამისთანა მხეცების უსინდისობის შე-მხედვარე! მეც ასე გავცეცხლდი, როცა გრიგოლის ბარათში ჩავაწიე იმ აღ-

გილამდის, სინდისდაფუტული, გაუმაძრობა შებლგასქელებული, გაპონიქებული და მისთვის შესაბრალო ბიკოლა რომ მოდგომოდა და კარებს ამტვრევდა, აქ ნამეტნაის სიყვარულით უძღური ჩემი შტერი რძალი არის. ა, ბიძია, ე[ს] გაცეცხლება იყო მიზეზი, რომ მე დაწვრილებით ვერ მოგწერეთ ამბევები. იმედი მაქვს, გრიგოლ<sup>2</sup> გამოკითხავს ნიკოს (ლოლობერიძეს<sup>9</sup>), რომელიც 23 ნოემბერს წამოვიდა მაქეთ და ის მოგახსენებს, ან თვითომ ნიკო მოგახსენებს, როცა განახავს.

იმედი მაქვს, ჩემს საყვარელ დეიდას და დეიდაშვილებს ხელთ ამბორს მოახსენებთ. ვაი, ჩემი ბრალო კიდევ, კიდევ ემატება ჩემს მწუხარებას, რომ მათთან დანაშაული ვარ, როგორც წინანდელს წიგნში მოგახსენე.

მოგილოცავს წარსულს და მომავალს დღესასწაულებს თქვენი ერთგული დისწული კირილე ლორთქიფანიძე.

იმედი მაქვს, თებერვლის ბოლოს (წიგნი ერთ თვეზე მოდის მაქედამ) თქვენგან ვომივა ას ორმოცდაათი მანეთი. ავდენს ახლა არ გთხოვდით, მაგრამ სამოცი მანეთი ეხლა მმართებს და ორმოცდაათი მანეთი დამედება თებერვლის ბოლომდინ. ამას გარდა ტანისამოსის გამოცვლა მინდა, რადგან სტუდენტურს ვერ ჩავიცვამ. თუ შემიტყვევს რომ მითი დავდივარ, ცუდად მომეპყრობიან. ოქტომბრიდან ჯამაგირი აღარ მოუციათ. თვეში საქმელ-სასქელზე და სახლზე მეხარჯებოდა და მეხარჯვის ოცდახუთი მანეთი. ეს სტუდენტური ტანისამოსი, რომელიც ეხლა მაკვია, ჯამაგირიდან კი არ შემოკერავს, გრიგოლმა<sup>2</sup> სამოცდაათი მანეთი გამომიგზავნა შარშან სააღდგომოდ და იმითი შევიკერე. მოგაწყინე ბევრი ლაპარაკით. მშვიდობით მეორე წიგნს მოწერავდია, ჩემო ბიძია. შენი კირილე ლორთქიფანიძე.

ავდენ ხანს წიგნი მისთვის ვერ მოგწერეთ, რომ ციხეში ქართული ბარათის მოწერის ნებას არ გვაძლევდენ და რუსული არ მინდოდა, რადგან ყოველს ბარათს პლაცადიუტანტი ჰკითხულობდა და მე არ მინდოდა, რომ მათ ხელში ჩემ ბარათს გაეარა. ექვს დეკემბერს აქეთ აქამდის არ მცალოდა, თეფული ვერ ვიშოვე — მომიტევეთ.

დ ი მ ი ტ რ ი ბ ა შ რ ა ძ ი ს ა დ მ ი

დომიტრი ზაქარიას ძე<sup>12</sup>

12 აპრილს 1875 წ.<sup>51</sup>  
[თბილისი]

გთხოვთ ამ აფიშას მოაწეროთ ხელი იმგვარად, როგორც პირველი ლიტერატურული საღამოს<sup>53</sup> აფიშას მოაწერეთ. ყველა ლექსები და პიესები დაბეჭდილია ერთს მოთხორობას გარდა, სახელდობრ, აკაკის<sup>54</sup> „ქალი რა თვე



არის<sup>55</sup>“? ამ სტატიასაც წაიკითხავთ და ხელმოწერაღს „დროებისათვის“<sup>55</sup> გვიბოძებთ<sup>57</sup>.

თქვენი პატივისმცემელი  
კ. ლორთქიფანიძე

რ ა ფ ი ე ლ ე რ ი ს ტ ა ვ ი ს ა დ მ ი ე ს  
ბატონო რაფაელ!

[1875 წ. აპრილი]

ჩვენ თეატრის ანტრეპრენიორი ამბობს, რომ თუ შაბათს არა, სამშაბათს არ შემიძლიან თეატრის მოცემად, რადგანაც ამ დღეს ერთი ფრანცუზი იჭერსო. მაშ, როგორ გვირჩევთ? თუ გამოცდილებით, ე. ი. წინა წლების მაგალითით ვიცი, რომ დიდი მთავარი<sup>59</sup> დილაობით ნიშნავს სხდომას, ან თუ საღამოობით და მის დასწრების დროს საქმე უფრო ჩქარა თავდება სხდომაზედ, მაშინ თქვენ შეგეძლება, ვგონებ, ლიტერატურულს საღამოზედაც დასწრება, თუ თქვენი საკითხავი მესამე განყოფილებაში შევიტანეთ<sup>60</sup>. თუ ეს არ მოხერხდა, მაშინ საღამო ან ორშაბათს უნდა დავნიშნოთ და ან ოთხშაბათს.

ეხლა თქვენს მოსაზრებას ვუცდით; როგორ სჯობს: შაბათს, ორშაბათს თუ ოთხშაბათს!

თქვენი კირილე ლორთქიფანიძე<sup>61</sup>

ზ ე რ ა ს ი მ ე კ ა ლ ა ნ დ ა რ ი შ ვ ი ლ ი ს ა დ მ ი

გერასიმე სიმონის ძე!

[1871, ივლისი — აგვისტო]<sup>62</sup>

თუმცა ჩვენ პირდაპირ ვერ ვცნობთ ერთმანეთს, მაგრამ მე, ჩემის მხრით, იმდენი ცნობა მითვლია თქვენზედა, რომ საჭიროდ არ ვსთვლი მოვიხადო ბოდინში შემდეგი პატარა, მაგრამ სასარგებლო საქმის მონდობისათვის.

იქნება გაგეგონოს, რომ პეტერბურღის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტებმა როდისღაც მოინდომეს ბიბლიოთეკის გაყვება. ბიბლიოთეკის საფუძვლად დასდევს სალომე ბატონიშვილისაგან<sup>63</sup> ნაანდერძევი წიგნები. ამ საქმეს ძალიან უთავბოლოდ მიუძღოდნენ, ასე რომ, ბიბლიოთეკა არ გაზრდილა ამიტომ, რომ აქაურებს არც ხალისი ჰქონიათ და არც დრო, რომ

ძველი ქართული წიგნების კონცეფსიას გამოდგომოდნენ. ესაა, რადგანაც ეს წიგნები დღევანდლამდის უსარგებლოდ იყარა, გადასწყვიტეს თფილისში გაეგზავნათ, რომ იქ ქართული ბიბლიოთეკის საფუძველი დაიდევას. ეს ბიბლიოთეკის საქმე იკისრა პეტრე უმიკაშვილმა. იმედია, რომ იმას ამ საქმეში ახსანაგები და შენწე კაცები გამოუჩნდეს და მამინ ბიბლიოთეკა სარგებლობასაც მოიტანს.

ამ გადაწყვეტილებისამებრ ხსენებული და სხვა გამოცემული წიგნები უნდა გამეგზავნა ტფილისს. მაგრამ ერთმა აქაურმა კრებითგან დავწყებულმა გარემოებამ მაიხულა, რომ წიგნები ქუთაისს გამომეგზავნა. კოლოფში ჩელწაწებთან აწყვია თერმურაზ ბატონიშვილის „საქართველოს ისტორია“<sup>64</sup>, „კაცია აღმთიანისა“<sup>65</sup> და „ჩონგურის“<sup>66</sup> რამდენიმე ასი ეკუმპლიარი. ყველა წიგნები, ჩემის ანგარიშით, უნდა გამოსულიყო 14 ან 15 ფუთი და ამ რიცავში ქართული ბიბლიოთეკის საკუთარი წიგნები 4 ფუთი, მე რომ წიგნები ტფილისში გამომეგზავნა 2 ფუთი, 8 თუ 9 ფუთიდან ნახევარი, უთუოდ, ქუთაისშივე გამოიგზავნებოდა და ამგვარად, 4 თუ 4 1/2 ფუთის ქუთაისსა და ტფილის შუა გადატან-გადნოტანა, თუ სხვა ღონე არ იქნებოდა, ორ ფასად დავიჯდებოდა. რადგანაც ქუთაისამდის ფუთში იღებენ 2,75 მანეთს და ქალაქში კი — 350 მანეთს. მაშ, 15 ფუთის ერთ ღროს ტფილის[ს] გაგზავნა უქვეელია თავდაპირველად წესაბლო იყო. რომ მე თავის ნებით საქციელს არ მოვირდებოდი და ბოლოს წიგნები კოლოფში ჩალაგებული არყოფილიყო, შეიძლებოდა, რომ ქართული ბიბლიოთეკის საკუთარი წიგნები პირდაპირ ტფილისშივე გამეგზავნა და სხვა კი ქუთაისისაკენ.

ყველა გარემოების ნხედველობაში მიღებით მე გავბედე წიგნების თქვენ სახელზედ გამოგზავნა. ამ წიგნთან გეგზავნით გამოგზავნილს მისაღებ კვიტანციას და კვიტანციისაგან დაინახავთ, რომ მანდ საზოგადოების აგენტს უნდა მოეცეს 14 მანეთამდის. ამისათვის გეგზავნით ეხლა 8 მანეთს და დანარჩენს, ჩემი 2 ფუთი წიგნების შესახებდრს 6 მანეთს, მიიღებთ პეტრე უმიკაშვილისაგან, ან სტრევი მესხისაგან, რომელთაც ამ საქმეზედ ეხლა წიგნს ვუგზავნი.

თუ ვინცობაა, თქვენ ღრო არ გექნესთ, ჩემი თხოვნის დართვით ამ წიგნების საქმე თუ მანდ იყოს, ივანე მესხს<sup>67</sup> მიანდვეთ. უთხარიო, რომ, რადგანაც მაღალ მთაზედ 15 ფუთი კოლოფის ატანა ძნელია, ამის გამო თეიმურაზის „ისტორიის“, „კაცია აღმთიანის“ და „ჩონგურის“ ეკუმპლიარები სიმონა ჩომაჩიძეთან<sup>68</sup> დააწყოს, რადგანაც მას წიგნების გაყიდვა უტვირთია და დანარჩენი ქართული, ფრანგული და რუსული წიგნები მალლა თქვენ ამოგიტანინოს. რადგანაც თუ ივანე მესხი პეტერბურღში ან ტფილისში წავიდეს, ქართული ბიბლიოთეკის საკუთარი წიგნები უთუოდ იმან უნდა წაუღლოს პეტრე უმიკაშვილს, თუ არა და, სანდო კაცის მონახვა თქვენზედ და უმიკაშვილზედ იყოს.

მაგრამ ესეც უნდა ვსთქვათ, რომ ამ წიგნების თაობაზედ თქვენ მიიღებთ წიგნს პეტრე უმიკაშვილისაგან ან სერგეი მესხისაგან.

თქვენი პატივთაყვამელი  
კ. ლორთქიფანიძე

ივანე კერესელიძისადმი<sup>69</sup>

მოწყალეო ხელწიფევე ივანე ივანეს-ძევე!

მარტის უკანასკნელ რიცხვებში (29) მოვიდა პეტერბურგში ჩვენი დედისერთა ყურნალი<sup>70</sup>... დარწმუნდით, ივანე ივანეს-ძევე! რომ ყოველი წარმატება ამ ჩვენი ყურნალის დიდი სასიამოა ყველასათვის და ყოველი ნაკლოვანება სამწუხარო. ასე სისხლიანი ნაღველი გადაეღება ხოლმე ჩვენს გულს, როცა იმისთანა უებრო ცუდ სტატიებს ვნახავთ, როგორც იყო ამ ნომერში უფ. წერეთლის<sup>71</sup>, მაგრამ რა გაეწყობა. როგორც სტატიაში<sup>72</sup> ვუბნობ. თქვენი ბრალი არ არის ეს, განვიმეორებ, ისე გაუცეცხლდი ამ სტატიის დანახვაზედ, რომ არ შეგვეძლო, რომ არ დაგვეწერა რამე. ვინ სწერს? სწერს კაცი, რომელიც როგორც თვითონ უფ. წერეთელი უბნობს. სიკვდილში უდგია ფეხი და რომელიც აქამდის არ უნახავს ხორციელს კაცს მწერლის ადგილზედ. ვიცნობ ამ კაცს, რა კაცია, როგორ გაბედა ამგვარი სტატიის დაწერა, მერმე ცხრა თვის გასვლის შემდეგ<sup>73</sup>! მაგრამ ანდაზა იტყვის: „კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირი ვარო“ — როგორც გაუნათლებლობით და ფარისევლობით გაყინული აქვს თავი უფ. გორისელს, ისეთი გაყინული აზრები უთქვამს. იპოვის ნეტავი კაცი მის სტატიაში რაიმე აზრს?! აი, ასე შეწუხებულმა დავწერე თქვენი ყურნალისათვის ორიოდ სიტყვა და ამ წიგნთან ერთად გიგზავნი. თუ წინააღმდეგი არ აქნეს თქვენი ყურნალი, გთხოვთ, დააბეჭდინოთ ან აპრილის ან მაისის წიგნში, რასაკვირველია, პირველში ემჯობინება. ჩემ სახელსა და გვარს ნუ გამოაცხადებთ. ჩვეულებრივი ფსევდონიმი იყოს მათ მაგიერი, ის ფსევდონიმი, რომელიც მომიწერია სტატიის ქვემოთ „თერგდალეული“<sup>74</sup>. ვფიქრობდი, ასოების ამწყობი ვერ გაიგებს მეთქი და კარგად გადაწერა 31 მარტისათვის, როცა ექსტრა ფოშტა მოდიოდა, ვერ მოვასწარი და მას აქეთ პირველი ექსტრა ფოშტა დღეს გახლავთ.

თუ ვინცობაა, წინააღმდეგი იქნეთ, უკანვე გამომიგზავნეთ. თქვენი ყურნალის წარმატების მსურველი კირილე ლორთქიფანიძე.

პარილი, 1862 წელი.

ქ. სპ. 9 აგვ. 1869 წ.

ძმაო სერგეი! შენ ძალიან მემღერო, დეპეშაზედ რომ პასუხი ვერ გამოგზავნე. ეს სამღერაგია შენგან მოწერილს ჩემთან წიგნებში<sup>76</sup> და ხამაშუ-რიძის<sup>77</sup> გადასაცემ წიგნშია<sup>78</sup>. შენ ამბობ: ნეტავი ვიცოდე, კირილე ცოცხალია, თუ არაო! რა არის, რომ დეპეშებს ვგზავნი, წიგნებს ვიწერები და ის ხმას არა მცემსო! ფულები რად დამხარჯვიაო! გაუხმეს მაგას გოგრაო და სხვ. როგორცა ჰსჩანს, ძალიან გაცხარებულხარ, მაგრამ ცოტაოდენი რომ გეფიქრა, მაშინ ფულეშაც არ დახარჯავდი და არც გაშიწყრებოდი ასე უღვთოდ. ანუ, უფრო სწორედ ვპსთქვათ, ასე ბეთანოვივით<sup>79</sup>, ე. ი. ისე, როგორც შენ ბეთანოვმა გაგიწყრა<sup>80</sup>. თავის გასამართლებელი მიზეზები კი მაქვს, თუ შენ ჩემი წიგნის წაკითხვის მოთმინება გექნება.

მხედველობაში მიიღე ჯერ წერეთლისა<sup>81</sup> და ჩემი დეპეშები, გამოგზავნილი კალანდარიშვილთან<sup>82</sup> და შენთან. პირველი გამოიგზავნა ექვს ივნისს და მეორე — 21 ივნისს. აქედამ ჰსჩანს, რომ პირველი დეპეშის პასუხს ორ კვირას ვუცდიდით, გვეგონა, რომ კალანდარაშვილს უთუოდ ფული არა აქვს ხელთ, ჰკრებს და რომ ამის გამო აგვიანებდა პასუხს. ორ კვირაზედ რომ ველარ მივიღეთ ფულები, ვიფიქრეთ, იქნება კალანდარაშვილს არ მოუვიდა დეპეშა, რადგანაც ვინიცობაა სოფელში იყოს. ამის გამო 21 ივნისს მოგწერე შენ დეპეშა ამბვის შესატყობრად და შენგან აქამდის პასუხის მიუღებლობასაც იმნაირადვე ვხსნიდი, როგორც კალანდარიშვილის სიჩუმეს, ე. ი. ფულების ხელათ უქონელობით და არავითარი დამამღერებელი მიზეზი არა მქონია. ამის მოწამეა ყველა ჩვენი ამხანაგები. მოიქეცი შენ ამნაირად, თუ არა; შენგან ჩემი განსამართლება ამით გათავდა: „გაუხმეს მაგას გოგრაო!“ გქონდა ამის საფუძველი, თუ არა! ვნაზოთ.

შენი დეპეშა 180 მანეთის მიღებაზედ მომივიდა 13 მაისს და მეორე დღეს ფულებიც მივიღე ბაზუნოვისაგან<sup>83</sup>. პასუხი, რასაკვირველია, უნდა გამომეგზავნა, მეტადრე, რადგანაც საპასუხო ფული გადახდილი იყო შენის მხრით. მაგრამ ბაზუნოვმა<sup>84</sup> ფულების მიღებაზედ ხელწერილი ჩემს დეპეშაზედ დამაწერინა და არა თავისაზედ. თუმცა მე ძალიან ვეჭიჭყინე, მაგრამ, არ იქნებოა, ერთი ჩვენი დეპეშა აქ უნდა დავიტოვოთ და თქვენი დეპეშა, თქვენგან ხელმოწერილი, იქ უნდა გავაგზავნოთ, ჩვენ ყოველთვის ამნაირად ვიქცევითო. მე ვუთხარი, რომ პასუხს ვერ გავაგზავნი, თუ ჩემი ტელეგრაფმა არ მივიტანე სტანციაში მეთქი. პასუხს ჩვენ გავაგზავნითო. გამოაგზავნა, თუ არა, ეს მე ჯერ არ ვიცოდი. 24 მაისს მივიღე შენგან დეპეშა ამავე 180 მანეთზედ. ტელეგრაფის სტანციაში მითხ-

რეს, ჩვენ შევატყობინეთ ტფილისში, რომ 13 მაისს გამოგზავნილს დეპეშაზედ პასუხი არ არისო. უთუოდ შენ შეგიტყვია ეს ან იმისაგან—რომ ტელეგრაფის საპასუხო ვადა გათავდა ან იმისაგან, რომ ტელეგრაფის სტანციაში მიდი და შეიტყვე, რომ შენს დეპეშაზედ პასუხი არ არისო. უკანასკნელს შემთხვევაში შენ უნდა გაგეგო, რომ თუ პასუხი არ იყო, ეგ იმიტომ კი არაა, რომ დეპეშა არ მომსვლოდეს, არამედ სხვა რამე მიზეზის გამო. თუ არ მოეგნოთ და ჩემამდის არ მოსულიყო დეპეშა, მაშინ ტელეგრაფით შეატყობინებდნენ მანდაურ სტანციას, რომ ტელეგრაფმა დაწვლილებითი, ანუ ნამდვილი ადრესის უცოდინარობით არ მისულა დანიშნულს პირამდისო. 23 თუ 24 მაისს რომ მისულიყავი სტანციაში, შეიტყობდი უთუოდ, რომ телеграмма доставлена по назначению, но ответа не последовало. ფულები რომ არ მოეცა ბაზუნოვს, ან სხვა რამე უბედურება მომხდარიყო, გავიჭირებდი საქმეს და ტელეგრაფმას გამოგიგზავნიდი. ეს უნდა გეფიქრა და მეორეჯერ 3 მანეთს აღარ დახარჯედი.

შენ იტყვი, თუ დეპეშა ვერ გამომიგზავნე, წიგნი მაინც მოგეწერათ. ფულების მიღებისთანავე წიგნის მოწერა უსაჩუბლოდ ჩავთვალე, ერთის მხრივ, იმიტომ, რომ 20 თუ 21 მაისს ხამაშურიძე<sup>77</sup> უნდა წამოსულიყო და ის იქნებოდა ფულების მიღების უუცხადესი დამტყიცება, და მეორე, როცა ხამაშურიძემ წამოსვლის უარი ჰსთქვა, წიგნის მოწერა ფულების მიღებაზედ, ჩემის აზრით, გვიან იყო, რადგანაც შენ ჩემი წიგნის მიღებამდის შეტყობილი გექნებოდა ბერენშტამისაგან<sup>84</sup>, რომ ფულები მივიღე.

ბოლოს უნდა გითხრა, რომ ბეჟანთან<sup>77</sup> მოწერილი წიგნი, რომელშიაც შენ ამბობ, წიგნებს [წიგნს] ვიწერები, დეპეშებს ვგზავნი და კაცი პასუხს არ მცემსო, გაუხმეს კირილეს გოგრაო და სხვ. ეს ბეჟანის წიგნი წამოსულა ტფილისიდან 14 ივნისს. ახლა შენ მითხარი: განა შემართლებოდი სამდურავს 14 ივნისს, მაშინ, როდესაც შენი წიგნი ჩემთან მოწერილი წამოსულა ტფილისიდან 17 მაისს. 14 დღეზედ უფრო ადრე ხომ ვერ მოვა აქ წიგნი? პასუხსაც ხომ ამდენი დრო უნდა? მაშ, 17 მაისს რომ 28 დღე დაემატოთ, გამოვა 14 ივნისი. შენ იწერები ჩემ საყვედურს სწორედ 14 ივნისს, ე. ი. იმ დღეს, როდესაც შენ ბეჟანს წიგნს ჰსწერდი, მაგრამ შეიძლება, ვიკითხავ ქუთათელაძესავით<sup>85</sup>, რომ კაცისაგან და მეტადრე პოჩტისაგან ამგვარი პუნქტუალაობა მოვითხოვოთ? იქნება შენ წიგნს დილას ჰსწერდი და საღამოს ჩემი წიგნი მოგსვლოდა. არ შეგრცხვებოდა მაშინ უსაფუძვლოთ გაცხარებისათვის? მაგრამ კარგი, რომ არ შერცხვი. ნუ დაივიწყებ კი, რომ შესაძლებელი იყო ეს საქმე.

ახლა გადავიდეთ სხვა საქმეებზედ: შენი ძმა<sup>85</sup> ჩამოვიდა და შენი წიგნი 2 ივლ. მოწერილი მომიტანა<sup>86</sup>, რომელშიაც ამბობ, არ ვიცი, ვის დაფუჭერო, შენ, თუ ხამაშურიძესაო. ის იწერება, შემოდგომამდის არ მოვდივარო და შენ იმას იწერები, სამგზავრო ფულები გამოგზავნეო. მე მგონია, შეგეძლო

მოგელო მხედველობაში დრო. ჩემი დეკემბა ხამაშურიძის წიგნის შემდეგ არის გამოგზავნილი, და ეს ნიშნავს, რომ ხამაშურიძეს გამოუცვლია თავისი აზრი და წამოსვლას დაპირებულა. მართლა, საკვირველი ის არის, რომ ბეჟანი ჯერ არ აპირებდა წამოსვლას, მერმე თქვა, წავალ, მერმე კიდევ—არაო და ბოლოს იმას ამბობდა, წავალ. ახლაც წასვლას ამბობს, მაგრამ, ჩემის აზრით, ახლა იმას აღარ შეუძლიან მგზავრობა, რომ წამოვიდეს, პირველი სტანციოდამ უკანვე დაბრუნდება, ან მოსკოვში ჩარჩება. მე იმედი გადაწყვეტილი მაქვს. დალოცვილი, როცა ფულები იყო. მაშინ არ წამოვიდა და მერმე აქ ჩვენ ფულები ვერ ვიშოვეთ, თქვენ მოგმართეთ და ვერც თქვენ იშოვეთ და ახლა რაღა უნდა ვქნათ, ანტონოვი<sup>87</sup>. ბეთანოვი<sup>79</sup>, ბეჟან ერთად დგანან. ახლა ძალიან გაუჭირდათ საქმე იმისი მოვლით. ფულების სისუსტის გამოც ძლიერ დაიწყეს ევლით ბეჟანის გამო. ეხლა ბეჟანზედ 30 მანეთზედ მეტი იხარჯება (სახლის ქირას არა ეთვლით). უწინ ამაზედ მეტიც ეხარჯებოდა. 20 აპრილიდამ მაისის ბოლომდის, როცა ბეჟანი ცალკე კვარტირაში იდგა დოქტორის სიმონოვის<sup>5</sup> ახლო, სასტუმროდამ სადილებს აზიდვინებდა და დროშეაში ფულები ეხარჯებოდა, ამ ორმოცი დღის განმავლობაში დახარჯა იმან 165 მანეთამდის, თუ მეტი არა. ეხლა, როგორც გითხარი, 30 მანეთზედ მეტი ეხარჯება და არც თვითონ არის ყოვლისფრით დაკმაყოფილებული და მისი აზრანაგებიც ძალიან შეწუხებული არიან. წამოსვლა მისი, როგორც გითხარი, გასაჭირია. ამას თვითონაც გრძნობს, ვგონებ. ამის გამო ის დათანხმდა, რომ, როცა თქვენგან ფულებს მივიღებთ, დოქტორს უნდა ვპკითხოთ და თუ ის გვირჩევს, უნდა გამოვგზავნოთ, თუ არა და, კლინიკაში შევიყვანოთ. 30 მანეთი, რომელიც აქ იმას ეხარჯება, კლინიკაში რომ დახარჯოს, უფრო კარგად მოთავსებული და დაკმაყოფილებული იქნება და აზრანაგებიც არ იქნებიან ისეთნაირად შეწუხებული. ფულები უთუოდ უნდა გამოავგზავნოთ. თუ კლინიკაში გამოკეთდა და წამოსვლა შეიძლო, მაშინ წამოსასვლელ ფულს ნიკოლაძე<sup>88</sup> შეჰპირდა. ვიცი, რომ საინტერესოა შენტვის დაწვლილებითი ამბავი ბეჟანზედ. მე შემეძლო მომეწერა, თუ რა ცვლილება მოახდინა ბეჟანში ავთომყოფობამ, მაგრამ ამას დიდი წერა უნდა და ამისთვის გეტყვი მხოლოდ, რომ ბეჟანი ახლა ჰგავს ძელების ჩონჩხსა, რომელზედაც თითქო ხორცისფერი მატერია აკრავსო.

შენმა ძმამ<sup>89</sup> ძალიან გამაკვირვა. დედაშენი<sup>90</sup> უთუოდ ძალიან წმინდა ზნეობის ქალი ყოფილა, თორემ ასე ერთნაირ შვილებს ვერ დაბადებდა. სახე, ხმა, ლაპარაკი, მიხრა-მოხრა სულ სერგეის არის!

გიორგი<sup>91</sup> ეკზამენს, ვგონებ, ამ აგვისტოში დაიჭერს და სექტემბრის შუამდის ჩამოვა.

ნიკოლაძე<sup>92</sup> მოვიდა, ისევ ის ნიკოლაძე, იმნაირივე უთავბოლო, უანგარიშო, დაუღვრომელი, ჰაერში ციხედარბაზების მშენებელი, მკვებხარა, ცხვირ

მალა აწეული. სულელურად თავის მოყვარე, რომელიც ყოველგან და ყოველთვის თავის „მე“-ს აჩრის.

„კაცია ადამიანის“<sup>65</sup> უხეიროდ გამოცემა და დაგვიანება მთელი ამხანაგობის<sup>66</sup> ბრალია და განსაკუთრებით უფ. ბეთანიშვილის<sup>67</sup>. ამის ამბავს უთუოდ გეტყოდნენ ბებურიშვილი<sup>68</sup> და ჭაფარიძე<sup>69</sup> და ამიტომ არ გწერ დაწერილებით. გეტყვი მხოლოდ, რომ ჩემ თავს სულ მართლად ვრაცხ. რამდენი ვიონე, მაგრამ არაფერი გამოვიდა ვირულად ჩიუტებთან.

„ღროება“<sup>66</sup> და „სასოფლო გაზეთი“<sup>66</sup> მართლა გაკეთდა ცოტათი. შენი გამოცხადება „ღროების“ 23 ნომერში ძლიერ კარგია<sup>77</sup>. ბეთანოვი<sup>79</sup> ძალიან გაცხარდა<sup>98</sup> და თავისი მდგომარეობის შემსუბუქება იმიჯი უნდოდა, რომ ამ ქაშის შესატყველფად სურდა მიეწვია ყველა, ვისაც კი ოდესმე „ღროებაში“ რამე დაუბეჭდია, და იმათ რიცხვში მეც. ამტკიცებდა, რომ ვინც პატიოსანია, ყველას უპატიურად უნდა მიიჩნდესო ეს გამოცხადება. ძალიან ეწყინა, რომ ქაშაზედ არავინ დაეწვია.

ქართული ანდაზა ამბობს, მტერი რომ არ გყვანდეს, ვისაც დაპირდები და არ აუსრულებ, მტერს იშოვიო. ვიცი, რომ სტატიების გამოუგზავნელობისათვის ჩემი მტერი არ გახდებოდი, მაგრამ უთუოდ ძლიერ მემდურე, შენ იწერებოდი, რომ „ღროებას“ აწყენსო ის სტატიები და „სასოფლო გაზეთისათვის“ ძალიან კარგი იქნებო, თუ ისე გადაკეთებ, რომ უბრალო ხალხისათვის ადვილად გასაგონი იყოსო<sup>99</sup>. მე არ მესმის, რისთვის აწყენდა „ღროებას“ და არ აწყენდა „სასოფლო გაზეთს“, დაბალი ხალხი, რაც ლუკმა პურსა და სასარგებლო რასმეს შეეხება, იმას უფრო დასდევს, და მალალი ხალხი სასიამოვნო სტატიებს უფრო ეტანებო. ახლა ეს იფიქრე, შეეხება იმ სტატიები პირდაპირ ლუკმა პურს, თუ არა? თუ გლუხებისათვის უფრო გასაგებად გადაკეთება საჭირო, ვინემ „ღროების“ მკითხველებისათვის, ეს იმას ამტკიცებს, რომ „ღროების“ მკითხველებს უფრო გაგება შეძლებიათ. თავის შინაარსით კი ის სტატიები ერთნაირად საინტერესო უნდა იყოს, ჩემის აზრით, როგორც „ღროების“ მკითხველებისათვის, ისე „სასოფლო გაზეთის“ მკითხველებისათვის. მაშასადამე, თუ იმ სტატიებს რამე წყენა შეეძლო, „სასოფლო გაზეთისათვის“ უნდა ეწყინა და არა „ღროებისათვის“. მაგრამ „ღროებაში“ დაბეჭდას მე იმიტომ ვარჩევდი, რომ 1) „ღროებისათვის“ ისე ძალიან გადაკეთება არ იყო საჭირო, 2) „ღროებაში“ შეიძლებოდა ერთ წელიწადს გათავებულყო იმ სტატიების ბეჭდა, თუ რომ ყოველ ნომერში ერთი გვერდი იმ სტატიებს დაეჭირა, მაშინ როდესაც „სასოფლო გაზეთში“ ორ წელიწადს უნდა გაგრძელებულყო, 3) „ღროებაში“ უფრო გაუშვებდნენ, ჩემის აზრით, იმ სტატიებს, ვინემ „სასოფლო გაზეთში“. წერეთელმა<sup>100</sup> მითხრა, რომ ეს უკანასკნელი მიზეზი არ არის მართალიო და რადგანაც როგორც შენ, ისე იმას „სასოფლო გაზეთში“ გინდათ დაბეჭდოთ, რადგანაც კარგად გადაკეთებას ბევრი თავისუფალი დრო უნდა, ამისათვის იმ სტატიების ბეჭდვა გადავდვი დრომდის.

„მნათობის“<sup>101</sup> 1 და 2 ნომერი წავიკითხეთ. მე იმედი არ მქონდა, თუ ამის-  
თანა იქნებოდა, თუმცა ზოგიერთი სისულელე კი არის შიგ. „მნათობი“ პირვე-  
ლისავე ნომრიდან პრაქტიკულ გზაზედ დამდგარა. ეს კარგია, მაგრამ ვაითუ გუ-  
და მალე დაიცალოს. ერთი და იმავე აზრის ერთსა და იმავე სტატიაში ათასჯერ  
განმეორება *смахиивает на переливание из пустого в порожное* და არ არის  
კარგის ნიშანი. მეორე ნომერში მკითხველებთან მიქცეული სიტყვები თანაგრ-  
ძნობის აღმძვრელია<sup>102</sup>, მაგრამ მე არ მესმის იმგვარი კითხვები, პირველ ნომერ-  
ში რომ არის: საჭიროა რიგიანი ჟურნალი, თუ არაო?<sup>103</sup> საჭიროა რიგიანი საქ-  
მელი, თუ არაო? ის არა ჰქაობდა, რომ გვეკითხა: შეიძლება, რიგიანი ჟურნალი,  
რიგიანი საქმელი გვექონდეს, თუ არა? ძალიან მომეწონა ალ. ჯ. ორბელიანის<sup>104</sup>  
სტატია<sup>105</sup>. საზოგადოდ ვიტყვი: „მნათობი“?—*стремление к решению прак-  
тических вопросов в соединении с неподготовленностью или желанием удов-  
летворить потребности желудка в соединении с пустотою кармана.*

„ბუნების კარი“<sup>106</sup> მომეწონა, თუმცა უნაკლულო არ არის; მაგრამ რა  
არის უნაკლულო?

ახალი გამოცემული გოგებაშვილის „ანბანი“<sup>107</sup> გამომიგზავნე.

ამას გარდა ერთი საქმე უნდა გამირიგო, თუ ძმობა გწამს:

ფიცხელაურმა<sup>108</sup> და სარაჯოვმა<sup>109</sup> ცუდი ამხანაგობა მიყვეს. ფიცხელა-  
ურს მართებდა ჩემი 16 მანეთი, რომელიც ჩამოსვლისთანავე უმიკაშვილისა-  
თვის<sup>110</sup> უნდა გადმოეცა, ჩემი კრედიტორის, ბილფელდის<sup>5</sup>, გასასტუმრებლად.  
ამას გარდა, ფიცხელაურმა გამომართვა 25 მანეთი და შითხრა, რომ ჩემ მაგი-  
ერ ყაზბეგი<sup>111</sup> მოგცემსო ერთი კვირის შემდეგ. აქამდის არ მიმიღია. მე ყაზ-  
ბეგს სრულიად არ ვემდური, რადგანაც ფიცხელაურმა უთუოდ ის უთხრა  
ყაზბეგს, რომ შენ ჩემ მაგიერ კირილეს ფულები მიეციო და მე ჩასვლისთა-  
ნავე გამოგვზავნიო. ყაზბეგმა ვერ მომცა მაშინ, ისეთი საქმეები დაურჩა.  
მერმე ფიცხელაურმა აღარ გამოუგზავნა იმას. იმან უთუოდ იფიქრა, თუ ფი-  
ცხელაური ფულს არ მიგზავნის, მე რად გადავიხადო მისი ვალი და ჩემი  
ფული დავკარგოთ. ამგვარად, მე დავრჩი რაყეზედ. ამას სწორედ არ მოველო-  
დი ფიცხელაურისაგან. უთხარა ფიცხელაურს, რომ ამ საქმეზედ ყაზბეგს  
საყვედური არ შემოუთვალოს და არც გაავებინოს, რომ მე ეს საქმე მაგას  
შევატყობინე, თორემ ავიშლებით.

სარაჯოვს ვასესხე სამგზავროდ 140 მანეთი და ერთი მანეთიც მანემდის  
მქონდა მიცემული, სულ იმას ემართა 141 მანეთი. ეს ფული უმიკაშვილისა-  
თვის უნდა მიეცა ჩემი ვალის გასასტუმრებლად, მაგრამ აქამდის 40 მანეთის  
მეტე არ გადაუცია. მე მოველოდი აქ უმიკაშვილისაგან „ჩონგურში“ აღებულს  
ფულებს. მაგრამ რადგანაც 40 მანეთი, სარაჯოვისაგან გადაცემული, და 12  
მანეთი, რომელიც მე ფოჩტით გამოვაგზავნე, არ კმაროდა ჩემი კრედიტორის  
გასასტუმრებლად, ამისათვის უმიკაშვილს „ჩონგურში“<sup>68</sup> აღებული ფულე-



ბი ზედ დაუმატებია და სრულიად საფუძვლიანადაც, და მიუცია უფ. ბილფელდისათვის<sup>5</sup>. ამის გამო მე აქ ეს სამი თვეა უფულოდ ვარ. გთხოვ სარაჯოვს შეეხვეწო ჩემ მაგიერ ამხანაგურად, რომ, სადაც იყოს, მიშოვნოს 101 მანეთი და გადმოგცუს შენ. აგრეთვე ფიცხელაურსაც უთხარი, რომ 41 მანეთი ჩემთვის კარგი ფულიათქო, განსაკუთრებით ეხლა. თუ ეს ფულები აიღო ერთად, გთხოვ, ისევ ბერენშტამის<sup>84</sup> და ბაზუნოვის<sup>5</sup> შემოწმებით გამომიგზავნონ, რადგანაც ფულები ძალიან მჭირია. გამოსაგზავნად ვგონებ 7 მანეთი დაიხარჯება და მე 142 მანეთის მაგიერ. მივიღებ 135 მანეთს. მე ეს მიირჩევნინან, ვინემ უფულოდ ჯდომა და გირაოდ აღებულს 25 მანეთში 10% სარგებლის ძლევა.

აქ ესეც უნდა ვთხარა, რომ ამას წინეთ უმიკაშვილი მწერდა: „ჩონგურში“ აღებული 92 მ. და 80 კაბ. გადმომცა ნ. ლოლობერიძემ<sup>9</sup>. ამ ფულებზედ ჯერ იმას აწობს, რომ ფორტით გამოვიგზავნიო, მერმე იმასა, რომ ამ ფულებზედ დავუმატებ შენგან გამოგზავნილ 12 მანეთს, რაც დააკლდება, სარაჯოვს გამოვართმევ და ბილფელდს გავისტუმრებო. მაშინ როდესაც ის თავუკულმა უნდა მოქტეულიყო: სარაჯოვისათვის 141 მან. გამოერთმია (თუ მისცემდა, რასაკვირველია) და რაც დააკლდებოდა, ჩონგურის ფულებიდან დაემატებია და ისე გავისტუმრებია ჩემი კრედიტორი. ერთი სიტყვით, იმ წიგნმა ძალიან გამაყვირვა. ახლა ეს გაკვირვება ცოტათი აიხსნა აქ მოვიდა უფ. ბაქრაძე<sup>52</sup>, რომელმანაც, სხვათა შორის, ამნაირი კითხვა მომცა: სარაჯოვისათვის რომ სამგზავრო ფულები მიგიციათ, თქვენი ფულები იყო, თუ საზოგადო ფულები? აქედამ ჰსჩანს, რომ სარაჯოვს უთუოდ ჰგონებია, რომ მე საზოგადო ფულები ვათხოვე იმას, რომ მე უფლება არა მქონდა ეს ფულები უმიკაშვილისათვის გადმომეცა ჩემი კრედიტორის გასასტუმრებლად და რომ ამისათვის არ მიუცია იმას უმიკაშვილისათვის ფულები. და თუ 40 მანეთი მისცა. უთუოდ იმიტომ, რომ უნიკაშვილმა არ მოეშვა. უთხარი სარაჯოვს, რომ ის ფულები ჩემი შინაურების кровный деньги არის თქო.

უმიკაშვილი მწერდა: ნება მაქვსო თუ არა, რომ „ჩონგურზედ“ 20% დავუკლო, ვინც 20 ან მეტს ეგზავნ. იყიდისო<sup>112</sup>. უთხარი, რომ „ჩონგურს“ ისე მოექტეს, როგორც თვითონ სურს, თუკი დარჩა ეგზავმლიარები.

უმიკაშვილი მთხოვდა ამას წინათ, რომ ჩუბინაშვილის<sup>113</sup> ლექციები (История Гр. литер.) მიშოვნეო და გამომიგზავნეო. მაგრამ, ნუთუ, არ იცის, რომ ეს შეუძლებელია, სანამ არ დაბეჭდავს და როდის დაბეჭდავს, ღმერთმა იცის. რამდენს უნდოდა, რომ ეშოვნათ ეს ლექციები, მაგრამ არაფის არ მისცა, ილ. ჰაკვაიაძემ დაწყებული გ. წერეთლამდის. ასე უთხარი ჩემ მაგიერ უმიკაშვილს.

სანამ შენ წიგნს არ მივიღებო, ხეირიან წიგნს არ მოგწერო. გწერ და ველო.

ეს წიგნი დაწერილი მქონდა, როცა კალანდარაშვილის<sup>114</sup> წიგნი მოკვ-  
ვიდა. 16 ივლისიდან, რომლიდანაც შევიტყვეთ ფულების დაგვიანების ნა-  
დვილი მიზეზები. იწერება, ქუთაისში მივიღივარ და, თუ ლოლუას<sup>115</sup> არ გა-  
პოუბგზავნია, გამოვგზავნი, რამდენიც შეიძლება, ისე ჩქარაო.

შენი კრილუ

ჩემი აღრესი: Вос. остр. по средн. просп., д. Жукова, [№ 1/10]  
квар. № 53.

2

პეტერბურლი, 12 სექტემბერს  
1869 წელს<sup>116</sup>

ძმომ სერგეი! ეს ეს არის გავათავე შენის წიგნის წაკითხვა და გწერ პა-  
სუხს<sup>117</sup>. მაგრამ ჩემი პასუხი უნდა იმისთანა, რომ ოპტიკურ კანონებს არ  
ეწინააღმდეგებოდეს<sup>118</sup> და გვანდეს საბერძნეთის ქურუმების პასუხს.

ორმოში ცხოვრება ისეთი, როგორითაც ქართლები სცხოვრობენ, ან  
ფანჯრებ და კარებ დახურულ კოლოფის მსგავს ოთახში ცხოვრება, არ არის  
მინცა და მინც სასიამო, მაგრამ ქართული ანდაზა ამბობს: გაჭირება მიჩეე-  
ნი, გაქცევას გიჩვენებო.

თავხედობას და უწესობას ბუნება სრულიად არ მოითხოვს, ბუნება მო-  
ითხოვს გონიერებასა და წესიერებას<sup>119</sup>.

ქვეყანაში რომ გავრცელებული იყოს ის აზრი, რომ თავხედობა და  
უწესაობა არ არის გენიოსობის ნიშანი, მაშინ დარწმუნებული ვარ ბევრი წა-  
ბაძავედა ნემცებს სიფაქიზეში და წესიერებაში.

ძალიან მიკვირს იმ კაცების ამბავი, რომელთაც თუ მოკლედ რამე უთხა-  
რი, გრძლად რატომ არ მითხარიო, გეტყვიან, ან არა და, შენ სიტყვას სხვანა-  
რად გაიგებენ. და თუ შენ შენი აზრი ისე ვრცლად აუხსენი, რომ ან უნდა და-  
თანხნმო, ან არა და გადასხვაფერების ნება მაინც არ მისცე, მაშინ ისინი იტ-  
ყვიან. ნამეტანი გააგრძელე და ყურების მოთმინება არ მაქვსო<sup>120</sup>.

შენის წიგნისაგან სჩანს, რომ ჩემი მოწერილი არ წაგიკითხავს, ან არ  
გაგიგია: ტელეგრაფმა ვერ გამოგიგზავნე შენი ფულებით იმიტომ, რომ ბაზუ-  
ნოვმა<sup>121</sup> არ ქნა და ჩემი არ მქონდა. წიგნის გამოგზავნა თოთხმეტ დღემდის  
შესაძლებელი იყო, მაგრამ უსარგებლოდ შევრაცხე. (spu თუ გინდა უწინდე-  
ლი წიგნი).

ბეჟანზედ<sup>77</sup> მაშინ მოგწერე. მოკლედ, მაგრამ, ვგონებ, საკმაო იყო. ან-  
ტონოვისა<sup>87</sup> და ბეთანოვის<sup>79</sup> შეწუხებაზედ მე ჩემი აზრი არ მითქვამს და ნე-  
ბაც არ მქონდა მეთქვა უმიზეზოდ<sup>121</sup>.

ჯერ სტომაქი, მერე გაზეთიო, შენ ავბობ!<sup>22</sup>. მე ვაპბობ, ჯერ სტომაქი, მერე ბარათების წერა.

ნიკოლაძის<sup>23</sup> ისე ვერაფერი გამიგია, როგორც პეტერბურლის ტაროსისა, ამისათვის იმაზედ მოკლედ მოწერით ვერაფერს გაგაგებინებ და ვრცლად რომ მოგწერო. შენ არ წაიკითხავ. აგრეთვე მნათობზედაც<sup>101</sup> არ შემიძლიან რამე გოხრა. რომ ვიცოდე, რომ ამ პირველად ერთს დანაშაულობას (გრძელ სიტყვაობას) მაინც შემინდობ, და იმის იმედიც მქონდეს, რომ შენ, როგორც ბუნების გამოწიებელს, ლუბა გაქვს, მაშინ მოგწერდი დანარჩენ გვარდზედ დაწერილებითს აზრსა.

აჭაურები, ბეჟანს<sup>77</sup> გარდა, ჯერ არაუცნ დაგვიმარხავს,—საცოდავს დანარხვაც ძლივ ელირსა და ისიც დიდის დავიდარებით.

შენი კირილე.

P.S. ფულეზიანი რომ ვიყო, ისე წერილი ხელით მის დღეში არ ვწერდი. იმედი რომ მქონდეს, რომ ჩემი წიგნის მკითხველები ჩემს ხელს კარგად გაიგებენ, ისე წმინდად, ე. ი. ისე ფაქიზად ასო-ასოდ არ ვწერდი.

თუ კარგად ნაწერის წაკითხვა ეზარება კაცს, ცუდად დაწერილის წაკითხვას როგორ ეცდება!!

[მე-6 გვერდის მარცხენა კიდეზე]: ესეც არ დაგავიწყდეს. რომ წიგნის წერა არც ჩემთვის არის მაინცადამაინც სასიამო, ნაშასადამე, საჭიროდ რომ არ დამენახა. მის დღეში არ დავწერდი გრძელს წიგნს და მეტადრე ასო-ასოდ.

### 3

შმაო სერგეი!

28 ნოემბერს [1869] 124  
ქ. პეტერბურლი

გიგზავნი ამ სტატიას,<sup>125</sup> რომელიც იქნება არ მოგეწონოს, მაგრამ რა გაეწყობა. სტატიის изложение-ს (ქართულად ვერ მოვახერხე) გარდა შენ იქნება არ მოგეწონოს თითონ საგანი, რადგანაც უმეტესი ნაწილისათვის საინტერესო არ იქნება. მაგრამ ყველა ხომ მგზავრობასა და მოთხრობებს ვერ ვწერთ. ვისაც რა შეუძლია. Чем богат, тем и рад!

შენ სწერდი ნიკოს<sup>126</sup>, რომ კირილესთან მოილაპარაკეო, მაგრამ იმას არაფერი არ უთქვამს ჩემთვის გაზეთის<sup>56</sup> თანამშრომლობაზედ. მითხრა მხოლოდ, რომ სერგეი ისტორიულ სტატიებს თხოულობს ჩემგან და შენგანო. მაგრამ, თუ როგორ უნდა იყოს ეს სტატიები დაწერილი, მასალები არის, თუ არა, ერთი სიტყვით, თანამშრომელობის ნამდვილი ვალდებულებების ცხადად

განსაზღვრავზე არაფერი ულაპარაკებია ჩემთან. თუმცა მე კი რამდენჯერმე მინდოდა მასთან ამ საგანზედ ლაპარაკი. ვინ იცის, იქნება ის საჭიროდ არაცხდეს ამას, ვინ იცის, იქნება ის ფიქრობდეს, რომ გინდ ვილაპარაკო, გინდ არაო, სულ ერთია, ის მაინც ვერ მოახერხებს ამგვარი სტატიების წერას. მაგრამ თუ ამას ჰფიქრობდა, რაღა მებუზნებოდა ის დალოცვილი.

ესლა შენ უნდა გითხრა ჩემი აზრი; გაზეთში ისტორიულ სტატიებს სრულიად არაფერი მნიშვნელობა არ ექნება, იმ მხრით მაინც, რა მხრითაც შენ გინდა შეეწო მკითხველებს. შენ რომ იწერები, იმგვარი სტატიები თუ დაწვრილებით დაიწერა, კაცი არ წაიკითხავს, თუ მოკლედ—ვერაფერ სარგებლობას მოიტანს. ჩემის აზრით, პოლიტიკური ცნობების გასაგებად ისტორიული სტატიები ვერ შეგვეწვევა, ამისათვის საჭიროა: 1) ახლანდელი უმთავრესი კონსტიტუციების აღწერა, 2) ფელეტონი პოლიტიკური შინაარსით, 3) ყოველ პოლიტიკურ ცნობაზედ მოკლე შენიშვნების გაკეთება, რომელშიც იყოს ნაჩვენებ იმის ისტორია, ესე იგი მიზეზები, ესლანდელი ნამდვილი მნიშვნელობა და შესაძლებელი შედეგები [ამ სამ ღონისძიებას ჩვენ უნდა მივმართოთ იმიტომ, რომ პოლიტიკური წინა სტატიების ნება არა გვაქვს]. ახლა ვიკითხოთ, რომელი შრომა შემოიძლიან ავიღო მე? მესამის აღება არ შემოიძლიან პირველად მოუმზადებლობისა გამო და მეორედ იმის გამო, რომ აქედამ შენიშვნების გამოგზავნა შეუძლებელია. მეორე შრომის აღებას განსაკუთრებითი ჭკუის ხასიათი სჭირია, მომზადებულების გარდა, — პირველი არ არის ანელი, მაგრამ არ არის დაუღვეველი საგანი და ამას გარდა ერთხელ კიდევაც იბეჭდებოდა საქართველოს მოამბეში<sup>127</sup> და დროებაშიაც<sup>56</sup>.

აქ არ შემოიძლიან არ გითხრა, რომ ისტორიულ განაწილებამ ჩემსა და ნიკოს შუა ძალიან გაშავებია, — ჩემთვის რომ გეკითხა, გეტყოდი, რომ მე სპეციალისტი არ ვარ არც ამერიკის ისტორიაში, არც ანგლიის ისტორიაში, როგორადაც არაფერში.

ამ წიგნის მოსვლისთანავე გთხოვ, გამომიგზავნო ერთი წიგნი „ბუნების კარი“<sup>106</sup>. სხვისთვის მინდა. ამას გარდა, უთუოდ გამომიგზავნე „ბუნების კართან“ კალანდარაშვილის ღელთმძღვანელი, მეორე გამოცემა<sup>128</sup> და გოგებაშვილის ანბანის მეოთხე გამოცემა<sup>107</sup>.

შენი კირილე

[მე-2 გვერდის მარცხენა კიდებზე]:

ამას შემდეგ გამოგიგზავნი სტატიას ბუნების კარზედ<sup>106</sup> და საკითხავ წიგნზედ<sup>107</sup> და ამას გარდა უკანასკნელ სტატიას ზელთმძღვანელიდამ<sup>128</sup>, რომელსაც მე ცა და ქვეყნის ცხოვრება დაეარქვი<sup>129</sup>. ეს სტატია თუმცა გადაკეთებული არ იქნება, მაგრამ მაინც კარგია, გიორგის<sup>130</sup> რომ სასოფლო გაზეთზედ<sup>96</sup> ფასი დაუკლია ქართლებსათვის და იმერლებსათვის არა, რას

ნიშნავს? ცხოველების და მცენარეებს ნახატები ვინ მისცა გიორგის? მეურ-  
ნეობის საზოგადოებამ?

[პირველი გვერდის მარცხენა კიდეზე]:

პეტრე უმიკაშვილთან ბოლაში მომთხოვე, მალე გამოვსწორდებოქო.

ამ პაკეტში იმდენს ქალაღს ვდებ, რომ მეშინიან სიმძიმის გამო გამო-  
ფეხავნელი არ დარჩეს, ჩემებურად რომ დამეწერა, ერთ ფურცელ ნახევარ-  
ზედ დავატევი.

4

1870 წ. იანვრის 20<sup>191</sup>,

[პეტერბურგი]

ძმაო სერგეი! გიგზავნი ამ სტატიას<sup>25</sup> რომელზედაც უთუოდ რაჰმე გე-  
ტყუოდა ნიკო<sup>32</sup>, თუ ის ტფილისში არის, ან იყო. ეს სტატია პირდაპირ იმი-  
სათვის უნდა გამეგზავნა, მაგრამ პაკეტის სიმძიმემ შემაშინა, ვიფიქრე, ვაი  
თუ, კერძობითი პირის სახელზედ გაგზავნილი აგრე მძიმე წიგნი საეჭვოდ  
ღაინახონ და გახსნანთქო და ამისათვის რედაქციაში ვაგზავნი. მაგრამ ნი-  
კოს დაუკითხავად არამც და არამც არ დაბეჭდო. მე ვფიქრობ, რომ ნიკოს  
უნდა: გიძღვნას ერთი ხუთიოდე საბეჭდავ თაბახის გასავსები სტატიები, რო-  
მელნიც უნდა გამოიცენ „დროების<sup>56</sup>“ დასამატებელ წიგნად. ამისათვის  
გთხოვ, შეატყობინო ნიკოს, რომ სტატია „სახარღოზედ“ მივიღე  
შენ და გამოოსაგზავნად (ჩემი სახელი არ ახსენო და რისთვის არა, ეს  
იქნება ქვევით მიხვდე) და თუ დაბეჭდამდის წაკითხვა გინდა,  
გამოგიგზავნი თქო და ის, თუ აქამდის შენთვის არაფერი უთქვამს,  
უთუოდ შეგატყობინებს ყველაფერს ამ სტატიის შესახებ. მეტადრე იმიტომ  
გთხოვ ამას, რომ ნიკომ ამ სტატიისათვის ფულებს შემპირდა და შენ იმის  
დაუკითხავად დაბეჭდე, მაშინ ამ სტატიას ჩემ ძღვნად ჩათვლის და ფულს  
ალარ გამომიგზავნის; ფულები კი ძალიან მეჭირება.

მეორე თხოვნაც მაქვს შენთან: ჰკითხე ნიკოს, რომ „სახარღოზედ“  
ქართული სტატიის გამოგზავნმა (ჩემი სახელი არ ახსენო)  
შემოგითვალა, შეპირებულნი რად არ ამისრულე აქამ-  
დის თქო. დღეს 20 იანვარია და მე 15-ს თვის მაინც უთუოდ მოველოდი-  
თქო. იქნება იმან ჰსთქვას, რომ მეც დაეაგვიანე ჩემი შეპირებულის ასრულება,  
მაგრამ იმისათვის უფრო ადვილი იყო ასრულება, ვინემ ჩემთვის, მეტადრე  
იმიტომ, რომ სტატიის ბოლო დიდხნობამდის არ მქონდა.  
ეხლა მე კვინტრალურ მდგომარეობაში ვარ, როგორც ნიკო ოსეფიჩი<sup>87</sup> იტყვის  
ხალმე.

ეს სტატია არის 2 1/2 თაბახი „კოსმოსისა“. შენებურად არ გაზომო. შენ ძალიან დიდი საზომი ავიღია არსენასავით<sup>133</sup> და მერმე რა ქვეყანაში, რა ენაზედ და რა უკულო მჩხბბევების შესახებ,—ამბობ, რომ „დროება“<sup>50</sup> ერთი თაბახიაო, მაშინ როდესაც „დროების“ ნომერი „კოსმოსის“ ორ თაბახს ეთანასწორება. რომ ეს სტატია ცენზორმა გაუშვას და არ დაამახინჩოს, შენ კარგად უნდა წაიკითხო ეს სტატია და თვითონ იმაში იპოვი მოსაგერებელ ფრაზებს. თუ ეს სტატია არ გაუშვა, ან დაამახინჩა, ძალიან მეწყინება, НЕЗАВИСИМО ОТ ТОГО, ПОЛУЧУ ЛИБА ПЕЕ ДЕНЬГИ ИЛИ НЕТ. ლექსებს იმიტომ გიგზავნი, რომ, თუ ვინცობაა, „დროების“<sup>54</sup> დამატება წიგნად გამოვიდა, ლექსებიც საჭირო იქნება და ესენი ცუდი არ არიან და შინაარსით ეთანხმებიან ამ სტატიასა. შეადარე ეს ლექსები ნამდვილს და თვითონ დამეთანხმები, რომ ცუდად არ მითარგმნია. თუ „დროების“ დამატების გამოცემას არ აპირებდეთ, მაშინ სჯობია, ვგონებ, რომ ეს ლექსები „მნათობის“<sup>101</sup> რედაქციას გადაეცეს, რადგანაც გაზეთში ლექსების დაბეჭდა მანცადამანც საჭიბი არ არის<sup>134</sup>. მხედველობაში ისიც უნდა გვქონდეს, რომ „მნათობის“ რედაქცია ძალიან ღარიბი ყოფილა, მეტადრე ლექსებით; ვამბობ ლექსების ვითარებაზედ და არა რაოდენობაზედ. თუ ეს სტატია თვითონ „დროების“ ნომრებში დაიბეჭდა, მაშინ ის ან ხუთად უნდა გაიყოს, ან ორად. მაგრამ მთელი სტატია, ჩემის ანგარიშით, ეთანასწორება „დროების“ 20 სვეტს, თუ არა 19-(ს) მიანიც. თუ ორად გაიყო, მაშინ მთელ ნომერს თითქმის ის დაიქვრს და სხვა არაფერი დაეტევა იმაში, მაშინ როდესაც გაზეთს მრავალგეგარობა უნდა ჰქონდეს და ეს მოუხერხებელია, თუ გაზეთის 10 სვეტი ამ სტატიამ დაიჭირა. ამისათვის, ჩემის აზრით, სჯობია, რომ ეს სტატია ხუთ ნომერში დაიბეჭდოს, თითოში—თითო თავი და თუ ორად გაიყო, მაშინ პირველი ორი თავი—ერთ ნომერში და უკანასკნელი სამი თავი—მეორე ნომერში.

შეპირებული სტატიები აქამდრსაც იმიტომ ვერ გამოგიგზავნე, რომ კავალერების ჩამოსვლამ შემინშალა და ამას გარდა ამ სტატიამ „საზრდოზედ“, სხვა შოზეზებს არ ვახსენებ,—თუ გინდა, პასუხი ამ სტატიამი ნახე. ეხლა ამას შემოგიტელი, რომ თებერვალში უთუოდ მიიღებ ორივე სტატიას, რომელიც შეგპირდი და ამას გარდა, თუ ფულეზი ვიშოვე და ბიბლიოთეკაში გირაოდ მისაცემი ვადამჩა, მაშინ ერთ ისტორიულ სტატიას გამოგიგზავნი ავსტრიის სახელმწიფოზედ. ამ სტატიის შემდეგ ნიკომ უნდა დაგიწეროს გერმანიაზედ, საფრანგეთზედ, იტალიაზედ, ბელგიაზედ და შვეიცარიაზედ და მერმე მე იქნება როგორმე მოვახერხო ანგლიაზედ და ამერიკაზედ და მაშინ კაპუტი ისტორიულ სტატიებსაც იმ პროგრამით და იმ დროზედ, რომელიც შენ გინდა.

იწერები: შენი სტატია<sup>135</sup> ცოცხალი არ არისო<sup>136</sup>. მაგრამ მე პატივსადები საბუთები და მიზეზები მაქვს, რომ სტატია აგრე მშრალი გამოვიდა.

1) ს ა გ ა ნ ი. ანბანის მეტოღაზედ რა უნდა მეთქვა სხვა, რითი უნდა

გამეცხოველებინა სტატია? შენ ამბობ, ყოველ საგანზედ შეიძლება მკვახე და გარდაკრული სიტყვების ხმარებამ, მაგრამ უმიზეზოდ და უმიზნოდ მკვახე და გარდაკვრით ლაპარაკს მე ვერ მოვხებრებ.

2) მწერლის ხასიათი. მე არ შემიძლიან მახვილობა და თუ ვინაზვილე, გაუთლელი რამე გამოვა, მაშ, სჯობია მახვილობას თავი დავანებო.

3) გუნება. შენ ვერ წარმოიდგენ, რა გუნებაზედ ვიყავი, როცა იმ სტატიას ვწერდი.

4) ის, ვიზედ აცხვრენ. გწერეთელმა მითხრა, რომ გოგებაშვილი იმისთანა ხასიათის კაციო, რომ თუ იმაზედ თავაზიანად და თავდაპერით არ ილაპარაკე, შენი ნათქვამი იმას ტყუილა-უბრალოდ გააცხარებსო და შენი რჩევები უსარგებლო დარჩებიანო.

თუ გოგებაშვილმა მართლა მიიღო მხედველობაში ზოგიერთი ჩემი შენიშვნა და ჩემი წერის მანერა მოიწონა<sup>137</sup>, ეს უთუოდ იმის გამო, რომ მე ასე მშვიდად ვლაპარაკობ. აქ ერთი უნდა გკითხო: შენ ამბობ, ზოგიერთი შენიშვნები და დარიგებები მიიღო მხედველობაში, მაგრამ ამდენი კია ეს ჩემი შენიშვნები, რომ ზოგის მიღების შემდეგ კიდევ რამე დარჩეს?

ამის შემდეგ ერთი საყვედური უნდა გითხრა. ფსევდონიმს იმიტომ იგონებენ, რომ რედაქტორისა და ცენზორის მეტმა არავინ იცოდეს ნამდვილი სახელი და გვარი. თუ სხვა ამისათვის არ იგონებს, მე კი, უნდა გითხრა. სწორედ ამისთვის მოვიგონე. თუმცა ჩემთვის სრულიად საკმაო იყო, რომ გოგებაშვილს მიეღო მხედველობაში ჩემი შენიშვნები, მაგრამ სასიამო იქნებოდა და შემდგომისათვის გამოსადეგი ჩემთვის, რომ ყოველი ჩემი ამხანაგისაგან და ნაცნობისაგან, ერთი სიტყვით, ყოველი მკითხველისაგან გამეგონა ძიუფერებელი და ნამდვილი აზრი ჩემ სტატიაზედ და ეს შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ, როცა არავის არ ეცოდინებოდა ჩემი ფსევდონიმის ნამდვილი მნიშვნელობა. ეხლა კი, როცა შენ აქეთაც და მაქეთაც შეატყობინე, რომ ეს ამ კაცის არისო, მე ან სულ არაფერი არ მესმის, ან თუ მესმის, ერთი ან ორი ხმა. ისიც უსაფუძვლო, წარმომდგარი ჩემი სტატიის საგნის უინტერესობის გამო. ანუ გაუგებრობისა გამო, მომეტებულ ნაწილს, ვგონებ, მართო ენა აქვს მხედველობაში და ამ მხრით იქნება ძალიან ცუდი იყოს ჩემი სტატია; მაგრამ რაც შეეხება სტატიის აზრსა და იმის ნამდვილად გამოხატვას, მე უნდა გითხრა, რომ თუმცა იმ სტატიას მე არ ვრაცხ რაზე ნიჭიერად, მაგრამ იმ საგანზედ უფრო მეტის თქმა და უფრო ცხადად ანუ ნამდვილად იმისი გამოხატვა აღარ შეიძლებოდა. შესაძლებელი იყო მხოლოდ, რომ იმ სტატიის აზრი წყალში გამერია, მაგრამ რა სასარგებლო იქნებოდა? თვითონ საგანი ძალიან ბევრისათვის საინტერესო არ იქნებოდა, ეს მე ძალიან კარგად ვიცოდი, მაშასადამე, სტატიის გაქიანურება და წყალში გარევა არც ამ მომეტებულ ნაწილს იამებოდა და არც იმათ, ვინც ნამდვილად ინტერესობს სწავლების მეტოდებით. ამ უკანასკნელებისათვის, ჩემის აზრით, გასაგები და საკმაო იქნებოდა

იმგვარი სტატია, როგორც გამოვიდა ის „შენიშვნები“. გოგებაშვილისაგან იმ სტატიაზედ ყურადღების მიქცევა არის ამ ჩემი დასკვნის დამტკიცება. სახალხოდ გვარის გამოცხადება მე არ მინდა. ფსევდონიმი მხოლოდ იმისთვის მინდოდა, რომ თუ ჩემი ორიოდ სტატია ივარგებდნენ და მკითხველების ყურადღებას მიიქცევდნენ, შეზღვევაში იმ ფსევდონიმის დანაწერი სტატიები იქნება წაუკითხველი არ დაარჩენილიყვნენ და ეს გაზეთისათვის ცუდი არ იქნებოდა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ საზოგადოდ ВЫВЕСКА-ზედ უფრო ყურადღებას აქცევენ, ვინემ თვითონ სტატიაზედ. ფსევდონიმი, ან ავტორის ნამდვილი გვარი არის ВЫВЕСКА. — ეხლა უნდა შემოგითვალო, რომ ჩემ „კ ი ლ ო კ ა ვ ა ძ ე ს“ ვტოვებ. ბუნების კარზედ რომ სტატიას გამოგიგზავნი, იმას ქვევით, გთხოვ, არაფერი გამოაცხადო, არც ჩემი გვარი, არც ფსევდონიმი. და დანარჩენ სტატიებს გამოგიგზავნი მხოლოდ იმ პირობით, რომ იმ სტატიების დამწერელის სახელი და გვარი შენ, ცენზორსა და უმიკაშვილს გარდა არავინ იცოდეს. თუ ამ პირობას არ ამისრულებ, მაშინ მე წერაზედ ხელი უნდა ავიღო.

თუ „სასოფლო გაზეთი“<sup>96</sup> თფილისის გუბერნიაში სახელმწიფო ხარჯით იგზავნება და იმიტომ არის ერთი მანეთით იაფი, გიორგის<sup>138</sup> უთუოდ უნდა გამოეცხადებინა ეს, თუ პრაქტიკული კაცი იყო, ამიტომ რომ იმერლებს ეწყინებათ, რომ ერთ მანეთს მეტს ართმევენ, გაფხუკიანდებიან და აღარ გამოიწერენ. ამას გარდა, ათი ცხოველისა და მცენარის კლიშეს მექონი როგორ აცხადებდა, რომ 1870 წელში სასოფლო გაზეთი ნახატებით გამოვაო? გიორგი დანიშნეს მასწავლებლად?<sup>139</sup>

ცაგარელის სტატია<sup>140</sup> მალე უნდა დაბეჭდო უთუოდ, რომ მნიშვნელობა არ დაეკარგოს და „კაცია-ადამიანის“<sup>65</sup> გაყიდვასაც შეეწყოს. ჩვენ ყმაწვილებზედ ეხლა არაფერს გწერ, რადგანაც ეს ძალიან ძნელია ჩემთვის, ბევრ ღროსაც წამართმევს და არც საჭიროა მაინცდამაინც, რადგან ნიკო<sup>141</sup> გეტყოდა ყველაფერს.

მართლა, კინალამ დამავიწყდა ერთი რამე. რადგანაც გ. წერეთელი, პ. უმიკაშვილი და ბერძენოვი<sup>142</sup> ძველი წიგნების გამოცემას აპირებენ, ამისათვის ცუდი არ იქნებოდა, რომ აქაური ხელნაწერი წიგნები მაქვთკენ გამოგვეგზავნა. მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ იმ პირობებმა, ან მარტო გიორგიმ, ან პეტრემ მომწეროს მე კერძობითად, რომ ქართველ სტუდენტებს ძველი ქართული ხელნაწერი წიგნები გამოეკართვა და გამოეგზავნოს. ამ წიგნს მე საბუთად გავიკეთებ და წიგნების გამოგზავნას მოვახერხებ, მაგრამ ეს კია, რომ წიგნები ან ფოტით უნდა გამოიგზავნოს, ან კამპანიით. ფასი წიგნების გამოსაგზავნი ფოტიაში და კამპანიაში თითქმის ერთია, თუმცა სხვა ნივთებზედ კი დიდი განსხვავებაა. კამპანიას ერთი უაღრესობა აქვს ამ შემთხვევაში; ჩვენ შეგვიძლიან, რომ გამოსაგზავნი



ფულები მანდ მივსცეთ და არა აქ; მაგიერად ფორტა ერთ თვეში მოიტანს და კანპანია 4 თვიდამ 6 თვემდის ართნევს. ამ გრძელი დროის განმავლობაში წიგნები სულ გაფუჭდებიან. რაც უნდა იყოს, წიგნების გამოსაგზავნი ხარჯი, განმარტებლებმა უნდა მიიღონ. მაგიერად იმათ შეუძლიანთ, ვგონებ, მიიღონ 120 ეგზემპლიარამდის საქართველოს ისტორია ბატონიშვილის თეიმურაზისა<sup>64</sup>, რომელიც ეხლა არ იყიდება, იქნება იმიტომ, რომ მანეთად ღირს და თუ ხუთ შაურზედ ჩამოვალთ და ამასთან გამოვაცხადებთ, რომ ძველი წიგნების გამოცემის სასარგებლოდ იწყიდება, იქნება მაშინ მალე გაიყიდოს და ამგვარად 30 მანეთამდის ფული შეგროვდება. ამას გარდა, აქაც შეიძლება ცოტა რამე ვიმოვნოთ რუსული წიგნების გაყიდვით და ამგვარად წიგნების ძილება მაგათ ძალიან იფხად დაუჭრდებათ.

ნიკოს<sup>143</sup> მისწერე, რომ რაც მე შემპირდა, შენ გამოგიგზავნოს საჩქაროდ და შენ ბაზუნოვის<sup>5</sup> და ბერენშტამის<sup>84</sup> შემწეობით მალე გამოგიგზავნე, თორემ საქმე ცუდად არის.

## 5

### ძმოს სერგეი!

ქ. პეტერბურგი

10 მარტს [1870 წ.]<sup>144</sup>

წინანდელი წიგნიდამ გეხსომება, თუ რისთვის დააგვიანდა ჩემგან შეპირებულ სტატიებს. ჩემდა სამწუხაროდ, ეხლაც თავის გამართლებით უნდა დავიწყო წიგნის წერა. გამოვავზავნე თუ არა სტატია „საზარღოზედ“<sup>125</sup>, მაშინვე მიწოდდა დამეწყო იმ სტატიების წერა, მაგრამ ჩემი სახლის პატრონის ცხოვრებაში მოხდა იმისთანა ცვლილება, რომლის გამო მე, მყოფი მუდამ „ლაშქრულ მდგომარეობაში“, კიდევ უფრო ლაშქრულ მდგომარეობაში ჩავარდი. 20 დღე, მეტიც, ივანესთან<sup>67</sup> ვიდექი და მერმე თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში, როგორც იქნა, მოვთავსდი ერთს ადგილას. ეხლა სტატიების წერას უნდა შეეუდღე, მაგრამ შეუცდომელობისათვის საჭიროა, რომ რამდენიმე ცნობები შევკრიბო.

მე არ მითქვამს, ვითომც ფსევდონიმი სჯობდეს ნამდვილ სახელსო. მე მხოლოდ იმას ვპფიქრობ, რომ, თუ ნამდვილი სახელის გამოუცხადებლობას მოითხოვენ რომელიმე გარემოებები, მაშინ სტატიის ქვეშ სულ არაობას ისევ ფსევდონიმი სჯობია მეთქი. ჩემის აზრით, ფსევდონიმს ყოველგან ერთგვარი მნიშვნელობა აქვს: ფსევდონიმი იმნაირივე ярык არის, როგორათაც ნამდვილი სახელი, რასაკვირველია, при одинаковых условиях. მაგრამ თუ ნამდვილ სახელს მოუპოვებია სახელოვნობა, მაშინ იმის შედარებით ფსევდონიმი იმაზედ უმდარესი იქნება და თუ ფსევდონიმი გაიცნო საზოგადოებამ რამე მოქმედებით, მაშინ

ეს ნამდვილ სახელსაც ემჯობინება. ერთი სიტყვით, მე იმ აზრის ვარ, რომ საზოგადოებისათვის უცნობელი კაცის ნამდვილი სახელი და ფსევდონიმი არაფრით არ გაირჩევიან ერთიმეორისაგან. თუ შენ მაინცაღამაინც იტყვი, რომ ფსევდონიმი არ ვარგაო, მაშინ ის არა სჯობია, რომ მთელ გაზეთში მარტო კერძობით პოლემიკასა და გამოცხადებას გარდა არც ერთ სტატიას არ მოეწეროს დამწერის სახელი, როგორათაც ინგლისში არის; მაშინ კერძობითი პირის მაგიერ შემკრებლობით პირი (გაზეთი) მოიპოვებს რენომეს და ეს საკიროა მკითხველების გამრავლებით სათვის. შენ ამბობ, ფსევდონიმს მანებელი გავლენა აქვსა ლატერატურაზე და მოგყავს ამგვარი საფუძველი: „კაცი არის ორფეხი ცხოველი, რომელიც საკუთარ ცულ საქმეს (ამ შემთხვევაში სტატიას) ყოველთვის სხვას მიათვისებსო და კარგს კი თვითონ დაისაკუთრებსო. თუ კაცმა ნამდვილად იცისო, რომ იმის მოქმედებას ქვეყანა გაიგებს და ყველა ამ მოქმედებაზე დაამყარებს თავის სჯას მოქმედი კაცის პიროვნებაზე, მაშინ მოქმედი ეცდება, რომ იმის საქმე საქები და სამაგალითო იქნესო, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ცულ საქმეს იქსო<sup>145</sup>“. ეს სჯა რომ მართალი ყოფილიყო, მაშინ მე შემეძლო მეთქვა, რომ რედაქციაც ორფეხი სულიერია, ის ბეჭდავს სტატიებს და ქვევით დამწერი პირების სახელს აცხადებს იმიტომ რომ ეშინიან, ამ სტატიების ავტორად თვითონ რედაქტორი არ შერაცხონ. მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ ამგვარი შენი სჯა უსაფუძვლოა. კაცი არ არის აგრე ცული, როგორც შენ ამბობ. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერზე იმედი უნდა დაგვეკარგოს. და თუ შენ მარტო მე მარაცხ აგრე ცულ კაცად, თუ ჩემი სახელის გამოცხადებისათვის მარტო ზემოხსენებული საფუძველი გაქვს, მე უნდა გითხრა, რომ ძალიან სცდები. გამომაცხადებია საკუთარი სახელი, თუ არა, მე ყოველთვის ერთნაირად ვცდილობდი, და ვცდილობ, რომ ჩემი სჯა უსაფუძვლო არ ყოფილიყო. ჩემ შემდგომზედაც არ შეგიძლიან ამის წინააღმდეგ რამე სთქვა! ამიტომ, რომ საფუძველი არა გაქვს. იქნება სთქვა, რომ შენი სახელის გამოცხადებას ჩემი ანგარიშები მოითხოვენო, მაგრამ მაშინ მეც ვეტყვი, რომ ჩემი ანგარიშები მოითხოვენ, რომ სახელი არ გამოვაცხადო. მართლა, მე და ინაშვილის<sup>146</sup> თანამშრომლობასთან შენ მოითხოვ, რომ ჩვენი სახელები გამოცხადდეს, მაშინ როდესაც ცოტათი ზევით იმას ამბობ, რომ თუ მაინცა და მაინც სახელის გამოცხადება არ გინდაო, მაშინ შენ თხოვნას без рассуждений ავასრულებო<sup>147</sup>. ეს ორი აზრი ვერ შემითანხმებია.

თანამშრომლობაზედ ეს უნდა გითხრა: ნ. ინაშვილი თვითონ მოგწერს დაწერილებით ყველაფერს<sup>148</sup> და მე მხოლოდ ამას შემოგივთვლი, რომ ახლა ის ეკზამენს ადგია და სანამ არ გაათავებს, მანამდის სტატიები, ვგონებ, ვერ გამოგეგზავნოს. პირობებზედ, ვგონებ, დაგეთანხმოს. საკუთრად მე ამდენხანაც აღგიტყვი თანამშრომლობა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ჯერ ვერ შევასრულე, ვეცდები კი, რომ დავწერო შეპირებული ხუთი სტატია და ამას გარდა, ორი-სამი სხვა. ეს თუ მეტი არა, ნაკლები არ იქნება ამაზედ, რა-

საც შენ მოითხოვ ჩემგან. მაგრამ თვეობით ვერ შეგპირდები ამიტომ, რომ მე მეშინიან, რომ დავიგვიანო და უპირულად ჩამთვალო. და მეშინიან იმიტომ, რომ მე „ლაშქრულ მდგომარეობაში“ ვარ. იქნება სთქვა, რომ ჩემი გაზოგზავნილი გამოგიყვანსო ამ მდგომარეობიდან. მართალია, ყოველ თვეში რომ 20 მანეთი ხელად მქონებოდა, დიდი ხანია გამოვიდოდი პეტერბურგიდან; ახლაც დიდი რაზმა 20 მანეთი, მაგრამ თვეთვეობით სტატიების გზავნას მხოლოდ მაშინ მოვახერხებდი, თუ რომ მე არ მაწუხებდეს ის საქმე, რომლის შესრულებაზედაც ჰკილია ჩემი აქედამ წამოსვლა. ამისთვის გაგიმეორებ 1) რომ თვეობით სტატიებს ვერ შეგპირდები, ვეცდები კი, რომ ნამეტანი გვიან-გვიან არ მომიხდეს სტატიების გზავნა; 2) რომ ჩემი სახელის გამოუცხადებლობის გამო უსაფუძვლო სტატიებს არ გამოგიგზავნი.

ფულებზედ ამას გეტყვი: მე არ შემძლიან მოვითხოვო შენგან, რომ თვეობით ან გამოგზავნილი სტატიების შესაფერად ფულები მაძლიო. როგორც გინდა, ისე მოიქეცი. მაგრამ ერთს კი გარდაწყვეტით გეტყვი, რომ მე ან ნაწილობით უნდა ვიყოდე იმ ფულების წყარო, ან პატიოსანი სიტყვა უნდა მომცე, რომ იმ წყაროსაგან სმევა არ არის სათაკილო. მხოლოდ ამ უკანასკნელ შემთხვევაში შემძლიან ფულების აღება. თუ შენ ნამდვილს შემომითელი, არ გაგცემ, ხომ იცი, რომ მე არ მიყვარს საიდუმლო საქმეების გამოქვანება. მე იმიტომ მინდა შევიტყო ფულების წყაროს თვისება, რომ შენმა წიგნმა ეჭვში შენიყვანა: „ჯერ მაქვს 600 მანეთი და იქნება კიდევ მომემატოსო, (?) ეს არავეს უთხრა, რადგანაც მე ეს საფუძველი მაქვსო“ და მოგყავს საფუძველი. კარგა. ნერზე ამბობ: „ამ საფუძველს გარდა კიდევ მაქვს იმოსთანა საფუძველი, რომ არც შენ უნდა იცოდეთ (?) და ვერც სხვამ უნდა გაიგოსო“<sup>149</sup>. ამ ფრაზის მეორე ნახევარი მესმის, მაგრამ პირველი კი, დწერთმა იცის, არ მესმოლება. იქნება ამ საიდუმლო საქმეს კავშირი აქვს შენ სიტყვასთან ერთი კაცის კუბოზედ<sup>150</sup>?

გაზეთზედ ფასის დაკლება კარგია, მაგრამ, ჩემის აზრით, გაზეთის გაუკეთება სჯობია ფასის დაკლებას. და გაუმჯობესება, ჩემის აზრით, წელიწადში ოთხი დამატების გამოცემით უკეთესია, ვინემ ნომრის გათაბახნახევრებით. დამატება ექვსი, ან ხუთი თაბახი მაინც უნდა იქნეს. 52 ნახევარი თაბახი შეადგენს 26 დროების<sup>51</sup> თაბახს, ანუ 52 კოსმოსის თაბახს. მაშ, ერთი დამატება კოსმოსის 6, თითქმის 8 თაბახიც რომ იქნეს, დიდი არ იქნება, სულ ოთხი დამატება გამოვა 24, ან მაქსიმუმ 32 თაბახი კოსმოსისა, და ეს უფრო ადვილია, ვინემ 52 თაბახის გამოცემა, მეტადრე იმიტომ, რომ შენ ცალკე გაყიდვასაც აპირებ. უკეთესი იქნება, რომ ეს ცვლილება აპრილიდან მოახდინო, ასე რომ, წლის პირველი მეოთხედის დამატება გამოვა по прошествии этой четверти, უკანასკნელი მეოთხედის დამატება გამოვა დეკემბერში.—შენ ამბობ: ნეტავ, ვინემ ერთ მოთხრობას დასწერდესო<sup>151</sup>. ამ შენმა ნატვრამ დედაბრის მარწყვი მომაგონა. მაგრამ ერთს გეტყვი, ჰკავაძეს სთხოვე „გლახის ნაამბობის“. გაგრძელება.

როგორც ვიცი, ნიკო<sup>152</sup> 20 ნომრის სამყოფ სტატიას შეგპირდა. აქედან 3 სტატიის (ისტორიულის) დაწერას თვითონ აპირებდა და სხვებზედ, წასვლის დროს, მითხრა, რომ შენ დროგამოშვებით მოგივა ერთი კაცისაგან სტატიებო და შენ მაშინვე გადათარგმნეო და გაგზავნე რედაქციაში და ზედ დააწერე, რომ ეს სტატიები ნიკოსაგან შეპირებული სტატიებთაგანი არიანო. მე აქამდის ერთი ამგვარი სტატიაც არ მომსვლია და რადგანაც ეს ნიკომ არ იცის, იქნება, ბრალს მართო მე მადებდეს და მემდუროდეს და ფულსაც იმიტომ არ მიგზავნიდეს. თუ ძმა ხარ, შეატყობინე მას ეს ამბავი. ამას მოითხოვს შენი ინტერესიც. ფულს ნიკოსაგან ველი გამწარებული.

ივანეზედ<sup>67</sup> რაც მოგწერე, იმაზედ მეტს ვერას მოგწერ, გეუბნები, შენი ДВОЙНИК არის მეთქი და სხვა რა გინდა.

ცაგარელის სტატიამ<sup>140</sup> ძალიან გამაგულისა მე იმისი პატივისმცემელი და ბეთანოვი<sup>79</sup> იმისი თაყვანისმცემელი და მრავალი სხვები<sup>153</sup>. მთელ ხუთ სტატიაში მე ვერ ვნახე ერთი პუნქტი, რომელზედაც შემეძლოს დათანხმება. შგონია საკირო იყოს სტატია იმ საგანზედ, რომელსაც ცაგარელი ეხება. ამისათვის ნიკო<sup>514</sup> და გიორგი<sup>155</sup> წააქეზიანე, რომ რამე დასწერონ. თუ ისინი არ დაგეთანხმონ, შემატყობონ და იქნება, მე დაეჯღაბნო რამე.

ჩემ ნათარგმნ სტატიაზედ<sup>123</sup>, რომელიც მიღებული გაქვს, შენ ამბობ, რომ იმისაგან ქვეყნის დანახვა ნიკოზედ არისო დამოკიდებული<sup>156</sup>. მართალია, მე მოგწერე, რომ უიმისოდ ნუ დაბეჭდავ მეთქი, მაგრამ, თუ ნიკო ფულის გამოგზავნას ვერ შეიძლებდა, შენ შეგეძლო იმ სტატიის დაბეჭდა, როდესაც და როგორც გინდოდა, და ამ შემთხვევაში მე უფლება არ მქონდა, მომეთხოვა შენგან ნიკოსაგან შეპირებული. უთუოდ ეხლაც აგრე მოიქცევი, თუ ნიკომ ფული ვერ გამოგიგზავნა. მართალი რომ სთქვას კაცმა, ნიკოსაგან ფულის მიღებაზედ არც კი უნდა მქონებოდა დიდი იმედი. პირველად იმიტომ, რომ მე ძალიან ვიჭვენეულობდი და ვიჭვენეულობ იმის მატერიალურ დამოუკიდებლობაზედ, და მეორედ იმიტომ, რომ იმისი პლანები და შეპირებები იცვლებიან პეტერბურდის ტაროსსავით. მაგრამ ეს კი უნდა ვსთქვა, რომ იმისაგან დაპირებულის აუსრულებლობას მე არასდროს არ შევერაცხ ზნეობით დანაშაულობად. მე მგონია, რომ ნიკო დღევანდელი მოსაზრების შემდეგ გუშინდელ საქმეს სტოვებს ან, საზოგადოდ ვსთქვათ, იქცევა უწესოდ იმიტომ, რომ ის თავის თავს იმისთანა კაცად რაცხს, რომელსაც ყოველივე საქმე მიეტევა, ყოველგვარ მოქმედებაზედ ნება აქვს, все ему позволительно, ერთი სიტყვით, თავის თავი ლეო გუტმანად<sup>157</sup> მიაჩნია. იმას უნდა, რომ თავის ფანტაზიაში შედგენილი ფაბრიკებისათვის, ანუ საქმეებისათვის კაცები მოიხმაროს დაკბილულ გოგარებსავით ან პაიკებსავით. ის იმისთანა მფრინველია, რომელიც სულ ცისკენ მიისწრაფის, მაგრამ ცას ვერ მისწვდენია და ქანდარაზედ ჯდომას არ კადრულობს, რადგანაც ეს იმას ვითომც არ შეპყვრის. თავის დღეში არ დამავიწყდება 1864 წელში ნათქვამი იმისგან, რომ

ყველა რუსეთელ მწერალს მე ვკობნივარო. სამწუხაროდ, ეს სიტყვები კიდეც უფრო ჩაიბეჭდენ ჩემს ხსოვნაში, ამ ბოლო დროს მაგის აქ ყოფნაში. არა ერთხელ და არა ხუმრობით წარმოუთქვამს მაგას პრეტენზიები, რომ «Современник»<sup>156</sup>-ის თანამშრომლების მბრძანებელი გამხდარიყო და „კოსმოსისა“ ან სხვა ახლად მისგანვე გამოგონებული რუსული გაზეთის კამერტონი ხელში სჭეროდა. ამგვარი პრეტენზიების პირველად წარმოთქმისთანავე, მე პირობა დავდევი, რომ ნიკოს აღარ ველაპარაკო იმისთანა «пустое дело»-ზედ, როგორც „დროება“<sup>56</sup> ან „ქართული წიგნი“ საზოგადოდ, თუმცა, ღმერთო შეგცოდე, ორიოდეჯერ შევესციდი. „დროებაზედ“ ლაპარაკი მაგან მაშინ დაიწყო, როცა თავისი პრეტენზიების ასრულების იმედი შეუდრკა (და არ დაეკარგა: იწერება, ექვს თვეს იქით პეტერბურღში ვიქნებო, ციხე დარბაზების ასაშენებლად უთუოდ). ეგ იმედის დაუკარგველობაც რომ არ იყოს, პლანების ხშირი ცვლილებაც კმარა, რომ მაგის შემწეობაზედ, მატერიალური იყოს, თუ ზნეობითი, დიდი იმედი არ გქონდეს. დღეს ის შემწეობას აღგითქვამს, მაგრამ ხვალ შეიძლება სხვა „დროებაზედ“ უფრო მაღალი საქმე გამონახოს და გამოეკიდოს იმას და თუ ვერ მისწედა, ხელახლა „დროებისაქენ“ დაბლა დაეშევა, სანამდის ცაში, რომელსაც ამ შემთხვევაში წარმოადგენს იმისი თავი, არ დაინახავს ახალს რასმე, რომელსაც უნდა გამოედევნოს ეგ „უზენაესი არსება“.—სამწუხაროა, რომ კაცმა, რომელიც სწავლაზედ და ნიჭზედ პრეტენზიობს და ამასთან შეიძლებულიც არის, ნამდვილად ვერ შეიგნოს თავისი ძალები და ვერ მონახოს შესაფერი საქმე. სიტყვამ მოიტანა ეს მწარე სიტყვები და იმედი მაქვს არ დამზრახავ.

შენი კირილე

შენი წიგნი მივიღე 3 მარტს. დღეს 10 არის. ცოტა დავიგვიანე, მაგრამ რა გაეწყობა.

ეს ჩემი ადრესი ნიკოსაც შეატყობინე: На петерб. стор. по большой Никольской, дом № 22, Корева, кварт. № 4.—ივანე<sup>97</sup> მოსცილდა ანტონოვის<sup>87</sup> და ბეთანოვის<sup>70</sup> სასახლეს, შეიტყობდი...

დიმიტრი ნაზაროვილი ს ა დ მ ი

ბატონო დიმიტრი!

[1999]160

ჩვენ სამწუხაროდ, ამ უკანასკნელს დროში უცნაური დევნა ავითებეს თქვენ ერთს ჩვენს ეურნალში (სახელდობრ, „კვალში“<sup>161</sup>) რალაც უბრალო და

უმნიშვნელო საქციელისათვის, რომელიც საზოგადოების ყურადღების ღირსად არ უნდა გაეხადათ, რადგანაც ამის ღირსი სრულიადაც არ ყოფილა<sup>162</sup>.

მღევნელნი ეხებოდნენ თქვენს პიროვნებასა და ზნეობას, უარყოფდნენ თქვენს კეთილ განწყობილებას თქვენს თანამემამულე ძმებთან, გწამებდნენ ანგარებასა და ვე[რ]ცხლის მოყვარებას, რომელსაც ეწინააღმდეგება მთელი თქვენი სულიერი არსება მისი საიდუალო რწმენით და მთელი თქვენი ცხოვრებაც ჩვენს შორის.

წინათ, სხვა დროსა და გარემოებაში, ამნაირი პიროვნების შებღალვა და შეგანება კაცს სინხლის ღვრით უნდა განებანა. მაშინ ყველაფერი დაფუძნებული იყო ძალმომრეობაზედ, ყველაფერს ხმალი მფარველობდა. დღეს კი, როდესაც ფიზიკურს ძალასა და ხმალს ფასი დაუეარდა, როდესაც საზოგადოებრივი აზრი გაძლიერდა და განვითარდა, ყოველივე წევრი საზოგადოებისა მოვალეა მიმართოს საქიროების დროს იმ საზოგადოებას, რომელიც თავის მხრით ვალდებულია მფარველობა გაუწიოს თავის სასარგებლო და ერთგულს წევრს; განარიდოს მას ყოველივე შეურაცხყოფა და აღუდგინოს მას პატივი და ღირსება.

ამ მოაზრებით ხელმძღვანელნი ჩვენ მოვალედ ვრაცხთ ჩვენს თავს სიამოვნებითა და სრულის კმაყოფილებით აღენიშნოთ შემდეგი ხასიათი თქვენის ცხოვრების:

თქვენ პირველი იყავით ნასწავლთაგანი, რომ არ დაერიდეთ ჩვენს ღირსს ცხოვრებას და უცხოეთიდგან მოსვლისთანავე აირჩიეთ სოფელი ბინად და ასპარეზად თქვენის კეთილმოქმედებისათვის, მაშინ როდესაც ამის მაგიერ თქვენ აღვილად შეგებლოთ დასახლებულიყავით სადმე დიდს ქალაქში, თქვენის ცოდნითა და ვენერგიით მოგეხვეჭათ შესამჩნევი სიმდიდრე და არ მოკლებოდით ქალაქურს განცხრომასა და ფუფუნებაში ცხოვრებას.

ამ ათი წლის განმავლობაში თქვენ დაუღალავად და უანგაროდ ემსახურებოდით თქვენს მოძმეებს და იმ საზოგადოებას, რომელმანაც თქვენ აღზარდათ. მწერლობისა და მკურნალობის იარაღით აღჭურვილი თქვენ გულწრფელად, ერთგულად და გაბედულად ეტაკებოდით და ებრძოდით ცრუმორწმუნეობასა და სნეულებას, ამ სულიერსა და ხორციელს უძლურებას კაცი-სას. მოკლედ რომ ვსთქვათ, თქვენ მიწაში არ დაგიმარხავსთ ის ტალანტი, რომელიც თქვენ ბუნებამ მოგანიჭათ და რომელიც აღვიზრდით სანატრელ იდეალთა შემოქმედების ქვეშ. გთბოვთ, მხნედ იყოთ, სხვათა სამაგალითოდ. არ ასცდეთ თქვენგან აღრჩეულს ცხოვრების გზას და ყურადღება არ მიიქციოთ მძარცველთა, რომელნიც მხოლოდ იმას არა ჰყავს, ვისაც არაფერი გაუყეთებია და მიუტრევეთ მათ შეცოდებანი მათნი, რამეთუ არა უწყიან, რასა იქმან.

ძეო ნიკო!

ჭ. პეტერბურლი. 14 ივლ. 1870 წ. 163

ამ ბოლო დროს მე ძლიერ მოკლე წიგნების წერა დავიწყე, მაგრამ ესლა კი მინდა ძლიერ გრძელი გამოგიგზავნოთ, ამისათვის გთხოვთ, იქონიოთ მოთმინება და ამასთან, რასაკვირველია, ყურადღებაც.

ეს წიგნი ისეთ სხვადასხვა საგანს უნდა შეეხოს, რომ არ ვიცი, საიღამ დავიწყო, რომელი რას მივაბა.

რაც იქნეს და იქნეს, დავიწყებ გაზეთიდან<sup>56</sup>. მოფერებით არ ვიტყვი და „დროების“ № 16 სწორედ სამაგალითოა მეთქი, ესწერდი მე ამა წინათ სერგეის. შენ; ნიკო, ეს ჩემი სიტყვები ისე გაგიგია, ვითომც „დროების“ № 16 გაზეთის იდეალად ჩამეთვალოს<sup>64</sup>, მე მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, რომ წინანდელ ნომრებთან შედარებით სამაგალითოა მეთქი; და ამნაირი *огворка* არ გამიკეთებია იმიტომ, რომ მეგონა, ჩემს აზრს ისე გაიგებდნენ, როგორც მე ვფიქრობდი; მეტადრე იმიტომ მეგონა აგრე, რომ არც სერგეი, არც სხვა, ჩემის აზრით, არ მთვლიდა იმისთანა კაცად, რომლის გაზეთის იდეალი დროების № 16-ს არ გადასცილდება. შენ, როცა აქ იყავი, არა ერთხელ გითქვამს, რომ, როგორც ვატყობ, გაზეთის საქმე სერგეის უფრო ესმისო, ვინემ გიორგის<sup>65</sup>. მე არ შევალ იმის სჯაში, თუ ვის უკეთ ესმის გაზეთის საქმე, ვიტყვი მხოლოდ, რომ სერგეის ხელში გაზეთი ცოტადნად მაინც დაემსგავსა გაზეთს, როგორც შინაგანა საქართველოზედ ამბევებით, ისე რუსეთის ამბევებით. № 16 უკეთესი იყო, ჩემის აზრით, ყველა წინანდელ ნომრებზედ და ამიტომ ვთქვი იმისი ქება. მე არც კი ვიცოდი, თუ შენ რაზე მონაწილეობა გქონდა ამ გაზეთში<sup>66</sup>. № 17 და № 18 ნომერში კი შევნიშნე, რომ „ჩვენი საზოგადო საქმეები“<sup>67</sup> შენი სტატია იყო, აქ ვიფიქრე, რომ ნიკო უთუოდ ჩასულა-მეთქი ტფილისში და ეს ჩემი წარმოდგინება ქუთაისიღამ ტფილისისაკენ მგზავრობის აწერით, რომელიც № 15-ში იყო დაბეჭდილი. აზრები „ჩვენი საზოგადო საქმეებში“ გამოთქმული შენად ჩავთვალე, მაგრამ ენა ცოტათი მაეკვებდა და ამის გამო მე ვუთხარი ერთ სტუდენტს ოდესაში, რომ ეს სტატია აზრით ნიკოლაძის არის, მაგრამ ენით ან მესხის არის, ანდა უფრო ძართალი უნდა იყოს მეთქი, რომ ეს სტატია ნიკომ დაწერა რუსულად და გიორგიმ<sup>68</sup> გადათარგმნა, ან ნიკოლაძისაგან ქართულად ნაწერი გიორგიმ გააშალაშინა-მეთქი. ამნაირი აზრისათვის დიდი ბაასი მოგვიხდა მე და ნიკო ინაძეს<sup>148</sup> აქ, პეტერბურლიში. ის მეუბნებოდა, რომ იმისგან მიღებულმა წიგნმა დამანახა, რომ ნიკოს სტატიები არც რუსულად ნაწერისაგან ნათარგმნია, არც

გამალაშინებელი ქართულად ნაწერიო. მე დავაფუძნე ჩემი სჯა შენგან მოწერილს ურციხვ წიგნებზედ და შენს „ქვეითად და რკინის გზაზედ“<sup>169</sup>, რომლებიც სულ საესე არიან იმერეთინიზმებით, მაშინ როდესაც ეხლანდელ სტატიებში, ნამეტნავად „ჩვენ საზოგადო საქმეებში“ ეს არ ეტყობა. ამ ბაასის განმარტება ზემთვის საანტერესოა ამიტომ, რომ, თუ მე მტყუანი დავჩჩი, თუ შენი სტატიების ენა შენგანაა შეუცვლელად, ეს ჩემთვის სასიამო იქნება, რადგან ეს დამიმტკიცებს, რომ შენ მოკლეს დროში დიდი პროგრესი გქონია ქართულ ენაში.

თქვენის წიგნებისაგან სჩანს, რომ № 16 ქება მარტო ჩემგან, ან მარტო სტუდენტებისაგან არ მოგსვლიათ; სერგეი ამბობს, ამ მოკლე ხანში ბევრი ადგილებიდან მოგვივიდა თანაგრძნობის და ქების წიგნები; დროება ამ ბოლო ხანში ძალიან გაკეთდა<sup>170</sup>. განსაკუთრებით ალტაცებაში მოუყვანიოა ჩვენი ახალგაზრდობა № 16 ნომერს. მე მგონია, რომ ყმაწვილებს მარტო № 16 კი არა შემდეგი ნომრებიც მოსწონთ, მაგრამ პირველი ხეირიანად შედგენილი ნომერი რომ დაინახეს, მაშინვე გამოსთქვენს თავისი აზრი. სხვებმა კი უფრო გვიან იგრძნეს გაზეთის გაკეთება და უფრო გვიანაც გამოათქვენს თავისი აზრი საზოგადოდ გაზეთის გაკეთებაზედ.

თუ ეს ასეა, თუ ქება მარტო სტუდენტებისაგან არ მოგსვლიათ, მაშინ ის შემთხვევა გამომადგება მე სერგეის აზრის წინააღმდეგ და თქვენ ორის შესაარაგებლად. მაგრამ ესეც უნდა ვსთქვა, რომ უამფაქტოთაც ჩემი შემდეგი მოსაზრება არ იქნება უსაფუძვლო.

შენ, სერგეი, ძალიან ემდური ნიკოს, რომ იმან ლექსები და იმათი მჭლახელები მოგაცილა<sup>171</sup>. მე არ ვიცი, წაიკითხა თუ არა ნიკომ ის წიგნი, რომელშიაც შენ მწერ იმაზედ საყვედურს და ამ საყვედურის საფუძვლებს,<sup>172</sup> ამისათვის მე მოკლედ განვიმეორებ შენს აზრს. მ. ბეთანიშვილისაგან<sup>79</sup> ლანძღვის წიგნის მიღების შემდეგ შენ გამოაცხადე გაზეთში, რომ ეხლანდელმა მწერლებმა ჯერ წერა უნდა ისწავლონ და მერმე სტატიები აგზავნონო, თორემ ეხლა უხეირო სტატიები მოგვდის და გასწორებისათვის ან ცენზურისაგან გამოშვებული ადგილებისათვის ბევრ სამღურავებს იწერებიათ. № 16-ში გამოცხადებისაგან სჩანსო, ამბობ შენ, რომ რედაქციას პირველი გამოცხადების შემდეგაც უბეჭდია იმისთანა მწერლების ლექსები, რომელთაც წერა არ სცოდნიათ და რომელთა თხზულება დაბეჭდის ღირსი არ ყოფილან და სტირი<sup>172</sup>. Главное противоречие! ეს არის ერთი მ ა ზ ე ზ ი შ ე ნ ი წ უ ხ ი ლ ი ს ა და ს ა მ დ უ რ ა ვ ი ს ა. მაგრამ შენ უარს ვერ იტყვი, რომ დროებაში ბევრი უხეირო ლექსები არ ყოფილიყოს მას აქეთ. სჩანს, რომ შენ შემეტდარხარ; შენ ვერ აგისრულებია ალტქმა; ახლანდელი გამოცხადება ამტკიცებს, რომ რედაქციამ სახალხოდ აღიარა თავისი შეცდომა და ხელახლა გაიმეორა, რომ ლექსებს აღარ დაბეჭდავთო, რადგანაც ვერც ერთი ლექსთმჭლახეები ვერ წერს ხეირიან ლექსებს<sup>171</sup>. რა ცოდვაა, რომ კაცმა შეცდომა მოინანიოს და შემდეგისათვის შეგვიპირდეს ქვეიანურ მოქმედებას? მაგრამ



ამასთან იმ გამოცხადებაში, როგორც მე გავიგე, ივლისხმებოდა, რომ ლექსები, საზოგადოდ, საგაზეთო არ არიანო და თუ ამდენ ხან ვბეჭდავდით, ვბეჭდავდით მხოლოდ ამა და ამ მიზეზის გამო. ჩვენი იმედი აქ ასრულდა, მაშ, ახლა შეგვიძლიან ლექსები სრულიადაც არ ვბეჭდოთო. ამას შემდეგ ისეც მე შემიძლიან ვასტყვა, ეხლანდელი გამოცხადება სრულიადაც არ ეწინააღმდეგება რედაქციის წინანდელ მოქმედებას, ე. ი. ლექსების ბეჭდვას.

იქნება შენ მიიხარა, თუ შენისთანები ლექსებისა გაზეთში\*... ან რად ამდენხან არათფერი სტევიო. ამის პასუხად ერთი ეს უნდა მოგახსენო, რომ მე შარშან, როგორც მახსოვს, შემოგითვალე, რომ თუ დროების დამატების გამოცემას არ აპირებდე, ეს ლექსები, სჯობია, მნათობს<sup>161</sup> გადასცე მეთქი, რადგანაც გაზეთის ნომრებში ლექსები არათფერი მოხელეა მეთქი<sup>174</sup>. ძველ შეუღობებზედაც მოგცემ ჭეროვან პასუხს.

ლექსის გაგზავნასთან [ერთად] გორგის<sup>175</sup> ვსწერდი, რომ ეს ლექსი მხოლოდ მაშინ დაბეჭდე, როცა უსტატეობის გამო უხეირო ლექსების ბეჭდვაზედ იტულებული იყო მეთქი. იმედი მაქვს, იმ უხეირო ორიგინალურ და უხეიროდ წათარგმნ ლექსებს, რომელიც ეხლა იბეჭდებიან, ეს ემოჯინება მეთქი.

შენი წერილისა და სამღერაის მეორე მიზეზი ის არის, რომ გამოცხადებამ<sup>171</sup>. ბევრი დაათრახო და ლექსებს აღარ აგზავნიანო და ულექსობა გაზეთის ხელისმომწერლებს ჩამოაცლის, რადგანაც ბევრი მარტო ლექსებისთვის იწერენ გაზეთსო, ამიტომ რომ იმათ ლექსები, თუნდ ცუდიც იყოს, მაშინ უყვართ<sup>176</sup>. მე გეტყვი, რომ ჩვენში გაზეთებს ლექსებისათვის არ იწერენ. იწერენ ან მანულის მოყვარების გამო, ან ვისმეს თხოვნით. ან ამიტომ რომ მეტი არაფერი აქვთ საკითხავი. ნომერს რომ მიიღებენ, პირველად, რასაკვირველია, ლექსებს მივარდებიან, ამიტომ რომ სხვა სტატიებს აქამდის მანუც და მანუც არ მიუტყევიან მკითხველების ყურადღება (რაც შესანიშნავი სტატია იყო, ყველას თითებით მოგიტელიან) და ლექსებისაგან რაღაცას მოელოან, მაგრამ წაიკითხვის შემდეგ გულდაწყვეტილი რჩებიან, რადგანაც ისინი ყურებსაც არ ასიამოვნებენ.

ახლა ეს მიიხარით, განა ცუდია, რომ ამგვარი ლექსების მავიერ იმისთანა სტატიები და ფელეტონები იბეჭდებოდნენ, როგორც ეხლა იბეჭდებიან? მე მგონია, ამგვარი სტატიებით და ფელეტონებით მკითხველებს ლექსები დაიწიწებდათ, გაეხსნებათ სხვა გემო, გაზეთის ნამდვილი მხრით ინტერესობას დაიწყებენ. ამას ამტკიცებს ის თანაგრძნობა და ქება, რომელიც მიგიღიათ ამ წოლოდ დროს. მაგრამ ვთქვათ, რომ წინათ გაზეთს ბევრი ლექსებისათვის იწერდნენ და ეხლა აღარ გამოიწერენ. მაგიერად, ახლა ისინი გამოიწერენ, ვინც უწინ არ იწერდნენ. ამგვარად, იმათი რიცხვიც უსათუოდ გამრავლდება.

\* რამდენიმე სიტყვა ვერ ამოვიკითხეთ.

არც ისეთი ახალგაზრდა პოეტების ხელისკერააო საქები, როგორც მაგ. ჭალადიდელის<sup>177</sup>, რომელსც უეჭველია ნიჭი აქვსო და რომელსაც შეიძლება ხელები ჩამოეშვასო, ამბობ შენ<sup>178</sup>. თუ მართლა ნიჭიერია, ამისთანა გამოცხადება<sup>171</sup> ხელისკერად მის დღეში არ უნდა ჩათვალოს, რადგანაც უნდა იცოდეს, რომ გაზეთს ლექსების ადგილი არა აქვს. იმან უნდა გააგზავნოს ლექსები „მნათობში<sup>101</sup>“. და თუ მართლა იწყინა ეს გამოცხადება, ეს იმისი ნიშანი იქნება, რომ ის порядочно глуп და რომ ნიორით გამაძლარა. როგორც შევიტყვე, უფ. ჭალადიდელს კიდევ გაუგზავნია მნათობში<sup>101</sup> დიდი უშველებელი სტატია ნიკოს<sup>179</sup> წინააღმდეგ<sup>180</sup>, რომელშიც ის болтает глупейшим образом о разных разностях, о которых он не имеет никакого понятия და ნიკოს გამოცხადებას<sup>171</sup> ის ხსნის იმისთანა მოტივებით, რომელსაც სულელის მეტი ვერ მოიგონებდა. მართლა, მე უნდა გითხრა ჩემი აზრი, რომ უფ. ჭალადიდელი (возьму слова на прокат) глуп, как 48 свиней и не развит ни на волос. იმის ლექსებში ერთი საფუძვლიანი აზრი არ არის, არც ნამდვილი გრძნობა, არც ლოგიკა, არც რითმა და მე ძალიან მიკვირს, საიდან გიცენია ნიჭიერ კაცად. მე მგონია, რომ მაგან, რაც უნდა იფრინოს თავის ლექსებით, აკაკი წერეთელზედ<sup>51</sup>, ან ზურაბ მოენიძეზედ<sup>181</sup> მაღლა მის დღეში ვერ ავა და ნიჭით და ზნეობით ხომ აკაკი წერეთლის ცალფეხად არ ღირს. აკაკი ცხენსა მაინც გვანდა და ეს სწორედ ჯორია. მაშ, რალა უნდა იყოს შენი ნაქები პოეტი?

დაეუბრუნდები ისევ გაზეთს. ამასთანავე გეტყვი: ძალიან მოეწონათ ყველას სტატიები: „ჩვ. სახ. საქ.“<sup>167</sup>, „მგზავრის წიგნები“<sup>182</sup>, „მნათობზედ<sup>183</sup>“, „ცხელ-ცხელი ამბევები<sup>184</sup>“, „ფელეტონი“ მამიას საქმეზედ<sup>185</sup> (ყველა ეს როგორც ოდესაში, ისე აქ), ძველი ამხანაგები ახალ კანში<sup>186</sup> (ნ. ანტონოვს<sup>87</sup> გარდა), ავსტრიისა და გერმანიის მდგომარეობა<sup>187</sup> (მოსწონს ზოგიერთს), ატტილის პროცესი<sup>188</sup>, დიკენსზედ და ტეკერეიზედ, № 25-(ში) რომ ფელეტონია<sup>189</sup>, ის აქ ბევრმა სულ ვერ გაიგო და ზოგი მიხვდა ცოტათი მხოლოდ ცხენის ქებას და ზღაპარი<sup>190</sup>. კი სულ ვერა ვინ გაიგო. ამ ფელეტონის გამო ერთმა ესეც სთქვა, რომ он (т. е. автор) запортовался! აბა, ვინ თუ მიხვდებით? აბა?—ნიკო ანტონოვმა<sup>87</sup>. საზოგადოდ, გაზეთი მოსწონთ, მაგრამ ზოგისგან ეს გავიგონე, რომ ესა და ეს ნომერი უფერულიაო და ამას მე იმითი ვხსნი, რომ იმ ნომრებს შემდეგ, რომლებშიაც იყო ჩვენი საზოგადო საქმეები, მნათობზედ, მამია გურიელის გამო ფელეტონი და ცხელ-ცხელი ამბევები, სხვები ისე არ მოეწონათ და სთქვეს: უფერულიაო, თორემ წინანდელ ნომრებს მაინც სჯობდნენ.

თუ ნიკომ დროებით თავი დაანება (და ეს მე მათქმევეინა ნიკოს სიტყვებმა: ეხლა მე ვარ ტფილისში დროებით „დროების“<sup>56</sup> თანამშრომლადო)<sup>191</sup>, გაზეთ დროებას შემოაკლდება ძალიან სტატიები და მაშინ, მგონია, ჩვენი სოფლელი საზოგადოებაც იმას იტყვის გაზეთზედ, რასაც დღეს აქ ამბობენ. თუ ახლანდელი შემწეობა ხანგრძლივი არ იქნა, საწამლავსავით იმოქმედებს

და დროებას უსათუოდ ხელისმომწერლები მოაკლდება და, ვინ იცის, იქნება\*... კოლეც.

მაგრამ ნიკოს სიტყვები მაიჰედებს: მივაწვეთ როგორმე გაზეთს, იქნება, ალაზხის წებით და წყალობით აქედამ რამე ბერი გამოვიდესო<sup>192</sup>. სჯობია კი, რომ ნიკო გამიმარტებდეს ამას და ზევით ფრჩხილებში მოყვანილთ იმის სიტყვებს, რომელნიც. ჩემის აზრით, ერთი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან.

„დროების“ ნომერი, რაც უნდა კარგი იყოს, ნამდვილი გაზეთი მაინც არ იქნება. უეჭველია, ვგონებ, რომ გაზეთს ან ჟურნალს არ შეუძლიან, რომ სულ უსწავლელი ხალხის ორგანო იყოს, ან ხელმძღვანელი, იმას არ შეუძლიან. რომ ამ უსწავლელ ხალხში მეცნიერება ან ბევრი რამე აზები გაავრცელოს. ისიც კარგი იქნება, თუ გაზეთი თუ ჩვენი გომნაზიელების საინტერესო და სასარგებლო გახდა, თუ ის შეიქნა იმათი ხელმძღვანელი და ზნეირ კაცებში შვილების აღზრდის სურვილი და იმათი ძველი აზრების წინააღმდეგი აზრებისადმი შეწყინარებულობა გაავრცელა. და ძლიერ დიდი იქნება, თუ გაზეთმა სტუდენტებზედაც იქონია რაოდენიმე მოქმედება. მაგრამ მარტო გომნაზიელები და სტუდენტები ვერ დააკმაყოფილებენ გაზეთის ბიუჯეტს. ამ მხრივაც ძლიერ საჭიროა გაზეთის გავრცელება უსწავლელ კაცებში და ამგვარი გავრცელება შეიძლება ფელეტონებით, მოთხრობებით და სახალხო მეცნიერული სტატიებით. რადგანაც ჩვენ გაზეთს ჰყავს, ანუ უნდა ჰყავდეს ორგვარი მკითხველი საზოგადოება: ნაწილად და სრულიად უსწავლი, ამისათვის მე მიუცილებელ საჭიროებად ვრაცხ და მომწონს, ერთის მხრით, იმისთანა სტატიები. როგორც არის ფელეტონი მამია გურიელის საქმის გამო<sup>185</sup> და, მეორეს მხრით, „ძველი ამხანაგები ახალ ტყავში“<sup>186</sup>. ერთის მხრით, იმისთანა სტატიები, როგორც ალექსანდრე მიქელაძის<sup>183</sup> წინადადების გამო და „ერთი თვალის გადავლებით“<sup>184</sup> და, მეორეს მხრით, „მნათობზედ“<sup>183</sup>.

თქვენ, ვგონებ, თანახმა უნდა იყოთ, მაგრამ ნიკო უკმაყოფილოა „ერთი თვალის გადავლებით“, რადგანაც ნათარგმნს ძალა არა აქვსო. ის მკითხავს: ნუთუ, ამისთანა სტატიებით აპირებ დროების დახმარებასო<sup>195</sup>.

მარტო ამნაირი სტატიებით შემწეობას მე არ ვაპირებ, ერთის მხრით, იმიტომაც, რომ ამისთანა სტატიები ამას გარდა მე არსად მინახავს და არც წითარგმნია. რა უყოთ, რომ ეს სტატია ნათარგმნია, ნათარგმნია იმათთვის, ვისაც რუსულად წაუკითხავს და ამგვარი პირები ჩვენში ბევრნი არ არიან, ვგონებ, და ვინც არიან, ისინი არც კი საზრდოობენ ჯერ ჩვენებურ გაზეთებთან და ჟურნალებით. ნათარგმნიც რომ არ იყოს, განა ამისთანა სტატიები, ან იმისთანა, როგორც „გერმანიისა და ავსტრიის მდგომარეობა“<sup>187</sup> დააკმაყოფილებს იმას, ვისაც ცოტაოდენი უსწავლია და უკითხავს? მაშ, ამნაირი სტატიები უსწავლელებისათვის უნდა იყოს. აქ ვიტყვი, რომ ერთი თვალის

\* ერთი სიტყვა გაურკვეველია.

გადავლება აუ უკეთესი არ არის, უცუდესი მანც არ არის ავსტრიისა და გერმანიის მდგომარეობაზედ. რასაკვირველია, ისინი სხვადასხვა კილოზედ არიან დაწერილი. ერთს აქვს მხედველობაში საზოგადო აზრი კაცობრივობის წინმსვლელობაზედ, მეორეს—ბოლონდელი ისტორია, ახლანდელი პოლიტიკის გასაგებად, მე მგონია, პირველი სტატია უფრო ასრულებს თავის დანიშნულებას. მე, რასაკვირველია, თვითონ სტატიის შინაარსზედ ვამბობ, თორემ ორიგინალური სტატიების წერას და უბრალო თარგმანს მე არ ვადარებ ერთმანეთს. სტუდენტებს და იქნება გიმნაზიელებს, რასაკვირველია, არ მოეწონებათ გაზეთში ამასთანა სტატია, როგორც ერთის თვალს გადავლება, ამიტომ რომ საინტერესო კაცისათვის არის მხოლოდ ის, რაც იმან არ იცის, რასაც ის კარგად ვერ ხედავს. საკვირველი ის არის, ზოგიერთ სტუდენტს ზემოსენებული უთარგმნი სტატეები მოეწონა და ნათარგმნი კი არა! ამას იმი-თი ვხსნი, რომ იმათ უახლესი ისტორიის არაფერი იციან და წინანდელი ისტორიადმ ორიოდე ფაქტი მანც ახსოვთ.

ჩემდა უნებლიედ ვყოყმანობ და ვერ გამოვავხავენე ისტორიული სტატიები, რომელზედაც აქ გვექონდა ლაპარაკი. მე ვფიქრობდი, ამნაირი სათაური მიმეცა სტატიებისათვის: მოკლე საზოგადოებრივი ისტორია სახელმწიფოებისა მეცხრამეტე საუკუნეში: I. ავსტრია, II. გერმანია, III. იტალია, IV. ფრანცია, V. ანგლია, VI. პოლანდია, VII. შვეიცარია, VIII. ამერიკა. აქედამ მე მინდოდა დამეწერა: I, III, IV, VIII და II, V, VI, VII შენ უნდა დაგეწერა. ესლა ეს მითხარით, დამაყოფილებული ხართ თქვენ იმ მოკლე სტატიებით, რომელნიც იბეჭდებიან, თუ ეს მოკლე სტატიები სხვაა და ის სტატიები, რომელზედაც ვლაპარაკობთ, სხვაა.

ბოლოს ვიტყვი, რომ რედაქცია სრულიადაც ვალდებული არ იყო და არც არის, რომ უთუოდ ბეჭდოს იმისთანა სტატიები, რომელიც არ მოეწონება. ესლა ეს მითხარი, ნიკო, შენ სწერ გერმანიისა და ავსტრიის მდგომარეობაზედ, თუ ვინ? უთუოდ ჩემზედ იმედი დაგეკარგათ, რომ მე ამდენს ჩაწს... თუმცა შენ, ნიკო, ძალიან არ უნდა მაყვედრიდე სტატიების გამოუგზავნელობას, რადგან აქ და ქუთაისში ყოფნის დროს ერთი სტატია არ გაგავზავნია დროებაში იმიტომ, რომ სხვადასხვა საქმეები ვიშლიდნენ.

იქნება, სთქვა: ჩემი საქმეები დიდი საქმეები იყო, მე დიდი ღონისძიების მოპოვება მინდოდაო. მე მოვახსენებ, თუმცა ჩემი საქმე პატარა იყო, თუმცა პატარა ღონისძიებების მოპოვება მინდოდა, მაგრამ ვერც ეს პატარა ღონე მოვაპოვე და ვერც საქმე ავასრულე. ამასთან წარმოიდგინე მე არა ვარ ისე მოჭზადებული, როგორც შენ. მე არა ვარ ტფილისში, და ცხელცხელ ამბევებზედ და წნათობთან სტატიების გზავნას ვერ მოვახერხებ ამ სიშორიადმ და აქაურ ცხოვრებაზედ ჩვენს გაზეთისათვის ისე, რომ წერის დროს справка არ გვეჭირებოდეს, დიდი ცოდნა უნდა, დიდი დრო და...\* აქედან ჩვენი

\* ორი სიტყვა არ იკითხება.

სტუდენტების გამოგზავნილ სტატიებს ისეთი გაზეთური ხასიათი არ ექნება, როგორც მანდ დაწერილს.

აბა, ამაზედ მიპასუხე, ტფილისში რომ არ ყოფილიყავი, შეიძლებდი დაგწერა სამი სტატია გურიელის საქმის გამო? და სხვა ამგვარ სტატიებს, რამდენსათვისაც ტემებს მარტოდ ტფილისში მყოფი მონახავდე.

ბევრი ვიცანე იმაზედ, რომ მამაშენს<sup>196</sup> ადვოკატობა უმჯობინებია ყველა სხვა საქმეებისათვის<sup>197</sup> მაშინვე გაშასხენდა ის კიოხვა, რომელიც შენ აქ შოგვა იმან რუსული გაზეთის თავობაზედ: უფულოდ შეიძლება გაზეთის გამოცემა? იმისმა დიპლომატიურმა ნიჭმაც ბევრი მაძინა და სრულიადაც არ გავუკვირვებია, იმისგან მეტი რა უნდა მოვითხოვოთ? შევიტყვე, ვითომ შენი ძმა<sup>198</sup> ციურაიხილამ ჩამოეთაროს მამა შენს და აღარ უშვებდეს, მართალია თუ არა? ერთი ეს მითხარი, ლოლუასა<sup>195</sup> და პავლე თუმან.<sup>199</sup> გარდა ვის მიაღქეი ფულისათვის?

ამას წინათ, მარტის თვეში, შენ მწერდი, რომ მესხის. ე. ი. გაზეთის<sup>56</sup> საქმე გაბრწყინდაო და როცა ტფილისში ჩავალთ, ამ ბრწყინების სპექტრულ ანალიზს გამოვიგზავნიო და მაშინ უფრო კარგად გეცოდინებო, რაშიაო საქმე<sup>200</sup>. სერგეისაც ვთხოვე შეეტყობინებოდა ამ ბრწყინების მიზეზი და იმან შემომითვალა, რომ ამას ბევრ სხვა საქმეებთან აქვსო კავშირი და როდისმე ყველაფერს ერთად და დაწერილებით მოგწერო, იმ იმედით, რომ არ გამცემო<sup>201</sup>. ამდენს ხანს არც ერთისაგან ეს დანაპირები ამბავი არ მომსვლია და არ ვიცი, რა მიზეზი უნდა იყოს.

როცა შენ გაზეთის მატერიალური მხრის გაკეთება შემატყობინე და წყაროზედ კი არაფერი მომწერე, მაშინ მე გამოვთქვი ჩემი предположение и то в вопросительной форме: ამ გაზეთის საქმეს სიონის სობოროში შენგან წარმოქმულ სიტყვასთან ხომ არა აქვს კავშირი მეთქი?<sup>160</sup> შენ ეს სიტყვები ძალიან გწყენია: ნუთუ აგრე ცუდ კაცად მიგაჩნია, რომ ანგარება ყოველივე ცუდ კაცობაში გამრევსო? ძალიან გწყენია ისიც, რომ მე ვერ მივხვდი, თუ რისთვის სთქვი ამნაირი სიტყვა გენერალიტეტის წინ.<sup>202</sup> სანამ ამ შენ სიტყვებს წაიკითხავდი, მე იქნება მიმხედარიყავი ხსენებულ მიზეზს, მაგრამ ეხლა კი სწორედ არ შემიძლიან მივხედე.

მე მეგონა, რომ ყოველივე მოქმედებას აქვს მიზეზი და მიზანი. მე მეგონა, რომ შენ არ წარმოთქვი სიტყვა მხოლოდ წითელ სიტყვავობისათვის, რა მიზანი უნდა ჰქონოდა შენ სიტყვას? რისთვის იცემება გაზეთი? რა არის გაზეთისათვის საჭირო? გაზეთისათვის სტატიების ძებნა არ არის ანგარება, იტყვი შენ, მაგრამ გაზეთისთვისვე ფულების ძებნა მითომ ანგარებაა? ვინც გაზეთი ფეხზე დააყენა თავისი სტატიებით, იმისი სიკვდილი არის სამწუხარო და შეიძლება გამოვთქვათ ჩვენი წუხილი და ამასთან ქება შევასხათ იმის ნაშრომს, იტყვი შენ, მაგრამ ვინც სხვა რამე კეთილ საქმეს შერება, ვინც გაზეთს ეწევა მატერიალურად (არა პატივის-

მოყვარების გამო, არამედ მამულის და კეთილი საქმის მოყვარებისა გამო), იმისი სიკვდილი არ არის განა სამწუხარო და იმის ნაშრომს თუ ქება შეევასხით, განა ეს ანგარების მოყვარებისაგან მომდინარე უცდკობა იქნება? როცა ამ კითხვებს უპასუხებ, მაშინ უთუოდ იგ(რ)ძნობ, რომ ჩემ *предположение*-ს არ ნდომია შენი წყენა. და თუ ვერ იგ(რ)ძნობ, თუ ამას შემდეგაც საწყენლად ჩასთვლი ჩემს სიტყვებს, მაშინ მე გთხოვ უმორჩილესად, დაწვრილებით მიაბზო, რისთვის სთქვი ამნაირი სიტყვა გენერალიტეტის წინ.

ამას წინათ მე გწერდი, რომ ცაგარელის სტატია<sup>140</sup> ჩვენ მწიგნობრობაზედ არ მომწონს მეთქი, მე ვერ ვნახე ამ სტატიაში, ვერც ერთი პუნქტი, რომელზედაც შემეძლოს მეთქი დათანხმება<sup>203</sup>. შენ აგრე მიპასუხე: ცაგარელის სტატია მეორედ და მესამედ რომ წავიკითხე, უფრო მომეწონაო, ასე რომ, ეხლა ვნანობ იმ შენიშვნისათვის, რომელიც პირველ სტატიას გავუკეთეო. 10 პუნქტი მაინც ვნახეო, რომელზედაც შეიძლება გაჩერდეს და მოიფიქროს კაცმა. მაშ, შენ აზრზედ ვერ დაგეთანხმებიო<sup>204</sup>. ამ შენ სიტყვებზედ, ჭერ ერთი, ეს უნდა გითხრა, რომ ცაგარელის სტატია იმისთანაა, რომ მეორედ და მესამედ წაკითხვის შემდეგ უფრო ბევრი ნაკლულევანება ანუ შეცთომა უნდა გეპოვა შიგ, მაგრამ მიკვირს, რომ შემდეგში უფრო ბევრი ღირსება და ქეშმქარიტება მოგინახავს იმ სტატიაში. მეორე, ის უნდა გითხრა, რომ იმ სტატიაში 10 მოსაფიქრებელი პუნქტი შეიძლება მოინახოს. მაგრამ, ჩემის აზრით, ეს პუნქტები იმისთანა არ იქნებიან, რომ იმათზედ თანხმობა შეგვეძლოს, არაშედ იმისთანა, რომელნიც დარღვევის ღირს(ნი) არიან და თუ შენ იმას მეტყვი, რომ ეს 10 პუნქტი მაინც თანხმობის ღირსნი არიან, მაშინ მე გეტყვი: თუ შენ პუნქტებად ამისთანა ფრაზებსაც სთვლი, როგორც „ესა და ეს ლექსა ამა და ამდენი კუპლეტსაგან შესდგებაო“, მაშინ, რასაკვირველია, მე შეიძლება 20 პუნქტზედაც მეტი მოვინახო. მაგრამ მე პუ[ნ]ქტებად ამგვარ პუნქტებს არ ვსთვლი. დაეიწყოთ საფუძვლიდამ. ცაგარელი ამბობს, რომ ჩემი კრიტიკა დამყარებულიაო ლესინგისა<sup>205</sup> და ტენის<sup>206</sup> ესტეტკურ თეორიაზედაო<sup>207</sup>. მე არ წამიკითხავს ტენის თხზულებები, მაგრამ ვისაც წაუკითხავს, იმისაგან გამოგონია, რომ ლესინგისა და ტენის თეორია სრულიად არ ეთანხმებიან ერთმანეთს. თუ ეს მართალია, ცაგარელმა როგორ შეარია შეურიგებელი ტეორიები? მაგრამ ვსთქვათ, რომ ტეორიები ერთმეორის წინააღმდეგი არ არიან, მაშინ მე უნდა ვსთქვა, რომ ცაგარელს ამისთანა ძველ ტეორიებზედ კი არ უნდა დაემყარებია თავისი კრიტიკა, იმას უნდა ჰქონოდა მხედველობაში ჩერნიშევსკისა<sup>208</sup> და თუ მაინცა და მაინც კიდევ სხვისი ტეორიაც, უნდოდა\* პრუდონის<sup>209</sup> ტეორია. ეს ერთი საფუძვლიანი პუნქტი. მეორე: სტატიიდან სჩანს, უფ. ცაგარელი ფორმას შინაარსზედ უპირატესობას

\* კალმისეული შეცდომაა, უნდა ეწეროს „თუნდაც“.

აძლევეს, განხილვის დროს უფრო ხშირად ფორმის დაფასებას ადგას და არა შინაარსისას, შინაარსი იმისი აზრით, კუდია. რომელიც თუ ტანს (ე. ი. ფორმას) აბია, ზომ კარგი, თორემ უკუდოდაც შეიძლება დავკმაყოფილდეთო. ეს მეორე საფუძვლიანი პუნქტი. ახლა წარმოიდგინე, რომ უფ. ცაგარელი ცუ-დით и рядит ამ საფუძვლებზედ და მაშინ მიხვდები, თუ რა ჭეშმარიტებები უნდა მომდინარეობდნენ ამ წყაროდამ, მაშინ მიხვდები, რომ მე ჩემი სიტყვები— „ერთი დასათანხმებელი პუნქტაც ვერ ვნახე მეთქი“, უსაფუძვლოდ არ წარმომითქვამს. ამას გარდა, ის სტატია სავესეა ერთიმეორის წინააღმდეგი აზრებით და აქედამ სჩანს, რომ თავის საფუძვლად აღებული პრინციპებითაც ცუდად უსარგებლებია უფ. ცაგარელს. სიცხადისათვის ის სტატია უნდა შეფუდარო უფ. ქიქოძის<sup>210</sup> სტატიას<sup>211</sup> და ვსთქვა: ორივე ერთნაირად უსაფუძვლოა. სტატიისაგან სჩანს, რომ უფ. ცაგარელს უფრო ბევრი უკითხავს, უფრო ბევრი უფიქრია, მაგრამ აზრები კი ჯერ დამყარებული არა აქვს იმ საგანზედ, რომელზედაც სტატიაში ლაპარაკობს. ქიქოძეს უფრო ცოტა უმუშავნია, იმისი სტატია მაგონებს სწორედ მეხუთე ან მეექვსე კლასის მოწაფეს. ამას გარდა, საუთრებითი სახელების ხმარებით უფ. ცაგარელმა სწორედ ტვინი წაიღო და ქიქოძე მხოლოდ ორ კაცს ახსენებს და სხვებზედ კი გულწრფელად მაინც ამბობს, რომ აღარ მახსოვს, ამ და ამ აზრზედ ვინ ადგასო. წინეთაც გწერდი და ეხლაც, რომ, ჩემის აზრით, საჭიროა და მეტი სარგებლობა ექნებოდა, რომ ნიკოს<sup>212</sup> ცაგარელის სტატიის გამო განეხილა საფუძვლიანად ჩვენი ლიტერატურა მეცხრამეტე საუკუნეში და გამოეთქვა ბარათაშვილზედ<sup>213</sup>, ერისთავზედ<sup>214</sup>, ჭავჭავაძეზედ<sup>215</sup> და სხვებზედ, თუ სხვები ვინმეა, თავისი აზრი. ჩემის აზრით, ცაგარელი ძალიან უსაფუძვლოდ სჯის ბარათაშვილზედ, მეტადრე ერისთავზედ, ანტონოვზედ<sup>216</sup> და ჭავჭავაძეზედ. თუ არა და, გიორგის<sup>217</sup> წაელო ეს შრომა, რადგანაც, ჩემის აზრით, ამ საგანს ნიკოს შემდეგ ის ყველაზედ უფრო კარგად განსჯის.

ამას წინათ შენ მწერდი, რომ „სტატია საზრდოზედ კარგი რამ არის. მაგრამ, ჩემის აზრით, იგი შენი ნათარგმნიაო, ერთობ ბევრი ახალი და ზოგან გაუგებარი ქართული სიტყვებია ნახმარი, მაგ. რა არის „შესახვედრობა“; ამისთანა სიტყვები ბევრია სხვაც, „გამორიცხვაო“ და სხვ. ვანა არ შეიძლებოდა, გვერდი აგეარა ამისთანა სიტყვებისათვის?“<sup>218</sup> მე ვეცადე, რომ, რაც შეიძლებოდა, კარგად გადამეთარგმნა ხსენებული სტატია და, მგონია, რომ ჩემ ამხანაგებთა და ნაცნობებთაგან, გიორგის გარდა, სხვა ამაზედ უკეთ ვერ გადათარგმნია. მართალია, იქნება, შიგ ბევრი იმერული მიმოხრილობა იყოს (одинот), მაგრამ გასაგები რომ არის, ამაზედ დარწმუნებული ვარ. მართალია, სტატიის პირველი თავი არ არის ისე ნათარგმნა, მაგრამ ამისი მიზეზი თითონ შინაარსია, ფიზიოლოგიური მუშაობის ახსნა უფრო ძნელია ჩვენს ენაზედ. მეორე თავი პირველს სჯობია, ჩემის აზრით. მესამე, მეოთხე და მეხუთე კი ძლიერ კარგად ნათარგმნია. შენ თვითონ ამბობ,

რომ ამ სტატიის დალოცვის დამწერს ისეთი წერის მანერა აქვს, რომ ერთისა და იმავე აზრს რამდენჯერმე დალეკს და რამდენსამე ალაგას იტყვისო და ისე ჩაუდებს მკითხველს თავშიო<sup>19</sup>. მე დავამატებ, რომ ეს ერთისა და იმავე აზრის რამდენჯერმე დალეკა აადვილებს როგორც აზრის (мысль), ისე ახალი სიტყვების შეთვისებას. ერთი და იგივე აზრი, სხვადასხვა ფრაზებით გამოთქმული, ფრაზებით, რომლებშიაც ხანდახან ახალი სიტყვებიც ურევია, ძალიან აადვილებს ახალი სიტყვების შეთვისებას, **вырождающийся новые понятия**. ამისათვის მე გავებღე იმ ახალი სიტყვების ხმარება, რომელზედაც შეხ ლაპარაკობ, „გვერდის არება“ მისთანა მშვენიერად ნაწერ სტატიაში, ჩემის აზრით, დიდი შეცდომა იქნებოდა,—და ან კი როდის უნდა შეითვისოს ჩვენმა ენამ და ჩვენმა მკითხველთ საზოგადოებამ ახალი სიტყვები და იმათგან გამოხატული აზრები (понятия), თუ ამისთანა სიტყვებს და აზრებს ყოველთვის გვერდს აუართ. მე ყოველთვის ვცდილობდი, რომ თარგმანში ახალი სიტყვები სინონიმების ხმარებით გან(მე)მარტებია. ბოლოს ვიტყვი, რომ „შესახვედრობა“ მე არ მიხმარია, მე ვიხმარე, საცა საჭირო იყო „მიმართობა“. წინათ მე მინდოდა განწყობილება, რომელსაც მე ვამჯობინებდი დიდის ხნიდამ. მაგრამ ბოლოს გარდავწყვიტე, რომ მიმართობა უნდა ვიხმარო მეტი და, აი, რა საფუძველი მქონდა: განწყობილება **выражает только нравственные (т. е. обществен. или вообще человек.) отношения, миmართობა обозначает не только нравств, но и математические и всякие другие отношения, первое слово выражает понятие частное, второе—понятие общее и при том соответствует техническому слову relation**. მაშასადამე, მე უფლება მქონდა, რომ „მიმართობა“ მეხმარა და არა „განწყობილება“.

მე ძალიან დარწმუნებული ვარ, რომ თუ მკითხველი გაზეთით ინტერესობს, თუ იმას იმედი აქვს, რომ რომელიმე სტატიის წაკითხვა არ დარჩება მარტო თვალების, სალაპარაკო ორდანიობისა და ყურების ვარჯიშობად, თუ იმას იმედი აქვს, რომ სტატიაში ნახავს აზრს, მაშინ ის გულდაგულ ეცდება, რომ ახალ აზრებსა და სიტყვებს კარგად დააკვირდეს და გაიგოს; თუ არა და, ის წაკითხავს სტატიას მხოლოდ უსაქმობისა და მოწყენის დროს და სტატიამ თუ ორიოდჯერ გააცინა, ხომ კარგი, თორემ რაღა გაეწყობა, საფიქრად და 'სალაპარაკოდ ამ შემთხვევაში იმას მხოლოდ ის დარჩება, რომ შეიტყოს, კარგი ენით არის დაწერილი სტატია, თუ ცუდი ენით. თითქმის ყველა ჩვენი მკითხველი როგორც უსწავლელი, ისე მაღალ სასწავლებელში მყოფი ან ნამყოფი, აქამდის „დროებას“ მარტო იმისათვის კითხულობდა, რომ შეეტყო სტატიების ენის ღირსება: თუ სტატიაში რამე აზრი იყო, მაგრამ თვითონ სტატიის საგანი ნებას არ აძლევდა მწერალს, რომ უფრო ადვილი ენით დაეწერა, მაშინაც კი მკითხველი მარტო ენაზედ სჯიდა, ამიტომ რომ აქამდის „დროებას“ არ მიუქცევია მკითხველის ყურადღება თავისი შინაარსით, ეხლა, როგორცა სჩანს, მკითხველის ინტერესი აღძრულა, თუმცა სტუდენტები ახლაც



ცვირაწიული უყურებენ გაზეთს, გონიათ, რომ ჩვენებურ გაზეთში ისინი მის დღეში ვერაფერს ნახავენ თავის სასარგებლოს. და ვგონებ, დროა, ცოტა ცოტათ რომ კაცმა შეაპაროს სტატიკაში ახალი სიტყვები, ახალი ტერმინები. მკითხველი უთუოდ ეცდება, რომ შეითვისოს ისინი და რამდენადაც უფრო იმატებს ახლად შეთვისებული სიტყვების რიცხვი, იმდენად თანდათან გაგვიადვილდება აზრების გამოთქმა, ანუ წერა, თანდისთან უფრო გავავრცელებთ ლიტერატურაში განსასჯელი საგნების წრეს. შენგან დაშინებული ვარ ხანდისხან უხეირო *выражение*-ბით და ამიტომ, გთხოვ. არ მითხრა, რომ ლიტერატურაში განსასჯელი საგნების წრეს სიტყვების შეთვისება კი არ გავავრცელებს, აზრების შეთვისება და გავრცელებს; მე კარგად ვიცი, რომ უმთავრესი მიზეზი ეს არის, მაგრამ თუ ენა ნებას არ გვაძლევს, მაშინაც ძლიერ ძნელია მრავალ სხვადასხვა საგანზედ ლაპარაკი და მრავალ სხვადასხვა აზრის გამოთქმა. კაცები თავის აზრებს სიტყვებით გამოვსთქვამთ და არა მუნჯურათ.

ვგონებ, დროა, რომ სხვა საგანზედ გადავიდეთ, რადგანაც გაზეთზედ ამდენი ლაპარაკით თავი მოგაბეზრეთ.

შენი საქმეები როგორაა, რას აპირებ, როდის წამოხვალ? რათ არ მოგწონს ოდესსა, ნუთუ იმ საქმეს, რომლისთვისაც ჩამოდი, მანდ ვერ მოიყვან სისრულეში<sup>220</sup>? — ამას მკითხავთ თქვენ ჩემთვის დაწერილს წიგნებში, რომლებიც ოდესსაში მოსულიყო ჩემს აქეთ წამოსვლის შემდეგ და რომლებიც მივიღე აქ 10 ივლისს. ვეცდები, რომ ჯეროვანი პასუხი მოგეთ.

რაც მანდედამ წამოვედი, დღე არ ყოფილა, რომ ჩემი, საქმე ან ჩემი შემდგომის განწყობილება მცოდნოდა ცოტაოდნათ მტკიცეთ. უბედურობა ის იყო, რომ ყოველ დღე ველოდი საქმის გარდაწყვეტას, აი, დღეს შევიტყობ ჩემს გარემობას, აი, ხვალ, აი, ზეგ და ამნაირად გამოიარა სამმა თვემ. ასე გასინჯე, რომ მე დღესაც არ ვიცი, რა უნდა დავიწყო, სად წავიდე, ან რა ვქნა, რა საქმეს შევუდგე. ის კი არ გვეგონს, რომ ეს კითხვები ჩემთვის აუხსნელია, ან უპასუხოთ არიან დარჩენილი; არა, — საქმე იმაშია, რომ მე არ ვიცი, რისი შეძლება მექნება, в смысле материальном или вернее пекуннальном, — и только. შენ, ნიკო, რასაკვირველია, მიხვდები, ვისია ეს სიტყვები; „რაც მანდედან წამოვედის“ მაგიერ რომ „1861-დან“ დავწერო და „გაიარა სამმა თვემ“-ის მაგიერ — „გაიარა 9 წელიწადმა“, მაშინ ეს სიტყვები სწორედ ჩემს პასუხს გამოხატავს და გარდამეტებული შიგ არა იქნება რა, — მოყვები, რაც შეიძლება, ისე მოკლედ განმარტებას.

1861 წლის დამლევს ჩვენ გამოგვიციხეს სასწავლებლიდამ.

1862 წელში მე მინდოდა ხელახლა შევსულიყავი სასწავლებელში, მაგრამ უფულობის გამო ვედარ მოვანებრხე და შინ წასვლაც დავაპირე; ამისათვის მე გავაგზავნე ქუთაისის გიმნაზიის დირექტორში თხოვნა ქართული ენის მასწავლებლობის მოცემანზედ — იქიდან პასუხი ვერაფერი მივიღე; მხოლოდ ჩემ ძმას<sup>221</sup> რომ ეს შეეტყო, ეთქვა ნიკო ლოლობერიძისათვის, რომ კირი-

ღმე მთავადოს პეტერბურგში, როგორც იქნება, შეეწევიო<sup>222</sup>. შეძლებისა-  
მებრ ის ნეწეოდა, მაგრამ ეს ნეწევნა საკმაო არ იყო. ასე რომ, მე არ შენძი-  
ლო, რომ ან აქ, ან სხვა ქალაქში სადმე სასწავლებელში შევსულიყავი.

1863 წელს<sup>223</sup> შენ კარგად იცი, რა მდგომარეობაშიც ვიყავი, შემძლო  
მამონ სადმე სასწავლებელში შესვლა. თუ არა.

1864-წლიც მე იმწაირსავე მდგომარეობაშივე ვიყავი, როგორც წინა წლებ-  
ში. მხოლოდ აფხაზისაგან<sup>223</sup> მიღებულმა ფულებმა ვითომც ხელი გამიშარ-  
ოეს. მაგრამ ერთი ორი თვის განმავლობაშიდ. ასე რომ, შენგან რომ 40 მა-  
ნეთი არ მომსვლოდა, „ჩონგურისათვის“<sup>226</sup> ქალაქს ვერ ვიყიდდი, ამიტომ,  
რომ 60 მანეთიღა დამჩა. სხვა ხარჯი „ჩონგურის“ გამოცემაში მამასისხლად  
ნავალევი ფულით უნდა გავეწია. ამას დაუმატე, რომ აქამდისაც „ჩონგურის“  
გაყიდვისაგან ღირა იქნება 100 მან. სარგებელი შემომსვლოდეს. ესეც  
1869-ს მივიღე თუმანაშვილისაგან<sup>221</sup>. თუ ამ ანგარიშმა გაგაკვირვოს და დაწე-  
რილებით ამბავის შეტყობა მოინდომო, შენიშვნა წაიკითხე\*.

1864- მე ვერ შევიდოდი სადმე სასწავლებელში. ბოლოს საქმე იმდენ-  
ზედ მივიდა, რომ შენოდგომანზედ სიმონ მიქელაქესთან<sup>224</sup> უნდა დავმდგარი-  
ყავი. იქ მე ქიმიის სწავლას შევეუდექი, მაგრამ ჩქარა დავინახე, რომ თუ ლა-  
ბორატორიაში არა, შინ არ შეიძლება ქიმიის სწავლა, რადგან სამყოფი მოწე-  
ყობილობა მსდღეში არ ეწნება შეუძლებელს კაცს. ასე გასინჯე, 25 მანე-  
თამდის მე დავხარჯე წინაური ლაბორატორიისათვის და 25 მანეთის საღირა-  
ლიც სიმონოვიჩთან<sup>225</sup> მომცა, მაგრამ 3 ოპიტში 1 ოპიტის გაკეთება შემიძებო-  
დეს, კარგი უნდა, ისე ღარიბი იყო ეს ღიმიური ხელსაწყოები და ნივთიერებე-  
ბი. ამგვარად, მე მივაწეე 1866 წლის შენოდგომამდის. მამონ მივიღე მე ძმისა-  
გან 500 მანეთი ვალის გასასტუმრებლად ტანისამოსისათვის და უნივერსიტეტ-  
ში თავისუფალ მსმენელად შესვლისათვის. პირველ კურსში შესვლა მე არ  
შემძლო მამონ ერთი იმის გამოც, რომ მე არ ვიციოდი, შემეძლებოდა ერთ წე-  
ლოწადზე მეტი აქ დარჩენა თუ არა. ანგვარად, ანგარიშები მოითხოვდნენ, რომ  
ეგზამენი დანებორა და შენ წავსულიყავი. უეცრამნოთ შენ წასვლა 1866 შე-  
უძლებელი იყო. მე შევეუდექი ლექციების კითხვას, რომ 1867 წლის სექტემბერ-  
ში დანებორა ეგზამენი, მაგრამ უფულობის გამო და იმის გამოც, რომ ლექციებს  
იმათ სისაძაგლის გამო გულდადებით ვერ ვკითხულობდი, მე ვერ მოვემზა-  
დე იმ დროისათვის. ამას შემდეგ ჩემი მატერიალური მდგომარეობა არ გა-  
კეთებულა, მაგრამ ლექციებს კიდევ ვკითხულობდი კიდევ ისე მაგებიოთა, მაგ-  
რამ 1868 წლის თებერვლისათვისაც ვერ მოვემზადე. კიდევ ვეპირებოდი  
1868 წლის სექტემბრისათვის. ვერც მაშინისათვის მოვახერხე. შეიძლებოდა,  
რომ ლექციების სისაძაგლე, როგორც იყო, დამეძლია, თუ რომ ამ სამივე

\* ამ ადგილას კ. ლ-ის მიერ გაკეთებულ ჩამატების ნიშანს ვერ მივაკვილოთ. შემდეგი გვერ-  
დი (8v) გადახაზულია.

შემთხვევაში, საზოგადოდ მატერიალური რესურსების ძლიერ ნაკლებობას აბსოლუტური კოტრობაც არ დამატებოდა სამი-ოთხი თვით ეკზამენების წინ.

1869 წლის დასაწყისში, როცა მე ამისაგან კიდევ მივიღე 550 მანეთი, მინდოდა წავსულიყავ ოდესაში, მაგრამ ვალების გასტუმრების შენაღვე ძალიან ცოტა ფული დამრჩა, ისე რომ, პეტერბურღშივე დავრჩი.

[იქვე (9 v), მარცხენა კიდეზე] მე რომ მცოდნოდა, რომ მატერიალური რესურსები, რაც უნდა ნაკლები ყოფილიყვნენ, შემაძლებინებდნენ ავლენს ხანს პეტერბურღში დარჩენას, ჩემი საქმე უფრო სხვანაირად წავიდოდა.

[იმხვე გვერდზე, ქვევითა კიდეზე]: ასე გაახიჯე, რა რომ წყალწითელას გამოვსცილდი, მას აქეთ აქამდის შინაური ფული 2300 მანეთზედ ნეტე არ დამიხარჯავს. თუ იმასაც გაიხსენებ, რომ ეს ფულებიც ახირებულად მიმდიოდა, მაშინ უფრო ცხადად წა[რ]მოიდგენ ჩემს მდგომარეობას.

ერთი სიტყვით, აქამდის მე არ ვიცოდი და არც ახლა ვიცი, შენებლება კიდევ ერთ წელწინა პეტერბურღში დარჩენა, თუ არა. 1866 უთუოდ შევიდოდი ბუნებითი საგნების ფაკულტეტზედ და აქამდის გათავებული მექნებოდა კურსი. აქ კილოკავად უნდა შევნიშნოთ, რომ მე რომ ნ. ლოდობერიძეს<sup>9</sup> თავიდანვე ბუნებითის ფაკულტეტადამ ფილოლოგიურზედ არ გადავებირე. მე 1866-ში გათავებული მექნებოდა ბუნებითი ფაკულტეტი. აქ ყოფნას, მართალია, სულ უსარგებლოდ არ ჩათვლია ჩემთვის, მაგრამ ამასთან რომ სისტემატიკური რამე სწავლა მიმელო, კიდევ უკეთესი იქნებოდა, როგორც იმ საქმისათვის, რომელზედაც ჩვენ პუდამ უნდა ვფიქრობდეთ, ისე საკუთრად ჩემთვისაც. — ეჭვი არ არის, რომ აქ ყოფნაში დიდი არაფერი შემიძენია, მაგრამ მე ეს მიჩვენია მრავალი ჩვენი ყმაწვილების სწავლას. შენ კარგად იცი, რომ მე არ შემშურს ჩვენი ადმინისტრატორების, მსაჯულების და ადვოკატების მდგომარეობა. იურიდიული დიპლომი მე მინდოდა მხოლოდ იმისათვის, რომ მასწავლებლად ყოფნის უფლება მოეცა და მატერიალურ ღონისძიებაზე, რომელსაც მომცემდა მასწავლებლის თანამდებობა, მომეხმარა სწავლის შეძენისათვის, რომელიც სარგებლიანი იქნებოდა მასწავლებლისათვის ან სხვა საქმეებისათვის.

დადგა 1870 წელი. რალაც ბედად მოულოდნელად. ვიშოვნე სასესხებელი ფული; გადავიხადე ყველა აქაური ვალები და წავედი ოდესაში იმ ფიქრით, რომ ეკზამენი დავეჭირა და მერმე ტფილი[სი]საყენ გამოვმგზავრებულვიყავი. ფულები, ვალების გასტუმრების შემდეგ, მხოლოდ იმდენი დამრჩა, რომ ოდესაში ჩავსულიყავი იქ საცხოვრებლად, ერთი წლის განმავლობაში, მე იმედი მქონდა, ერთის მხრით, იმ ფულებზედ, რომელიც უნდა მიმელო ნამიშენისაგან<sup>106</sup> (100-ოდე მანეთი) და შენგან (გ. ი. 1/2 ა. 50p), მეორეს მხრით, სერგეიზედ, ესე იგი ჩემზედ, თუმცა ეს იმედი საკუთარ თავზე ბევრს არას მიქადდა.

ოდესაში რომ ჩავედი, ერთი ორი კვირის განმავლობაში სწორედ გაშტერებული ვიყავი. არ მკითხავ, აგრე რამ გაგხადლო? იქ ძალიან ძვირი ყოფილა ცხოვრება. ისე რომ პეტერბურღში რომ 20 მანეთად იცხოვრებს კაცი, ისე 35 ან 30 მანეთად თუ იცხოვრებს, თორემ ნაკლებ ვერა. მაგრამ ეს ცხოვრების სიძვირე ისე ძლიერ ვერ გამაქვირებდა და ვერც უკან დამაბრუნებდა, თუ რომ ჩემი კვინტრალური (по выражению Антонова)<sup>67</sup> მდგომარეობა არ მჩვენებოდა во всей ноге (თუ შეიძლება ასე ვსთქვათ). შენგან და მამიშენისაგან ფულების მიღება ძალიან საეჭვოდ შემექნა. ჩემი საკუთარი შრომა მომცემდა თვეში ოც მანეთს მხოლოდ მაშინ, როცა მე ნახევარზედ მეტ დროს მოვანდომებდი ამ შრომას. მაგრამ ამითაც ვერ ვიცხოვრებდი сколько нибудь сносно, კრედიტი სრულიად არა აქვთ ოდესაში. სული წმინდა ხშირად ესტუმრებათ თურმე იქ ჩვენებს. ჩემს იქ ყოფნაშიაც რამდენჯერმე მაინც მოგვეფინა ის. მოეფინა იმათ და მთრიცხვში თქვე. უმორჩ. მარიამსასაც კი. принимая во внимание, რომ ჩემი ოდესაში ცხოვრება არასოდეს არ იქნებოდა ისეთიც, როგორიც პეტერბურღში, принимая во внимание, რომ პეტერბურღელ ცხოვრებასაც ბევრჯერ მოუშლია ჩემი განზრახული უხეირო საქმის ასრულება, прин. по внимание, რომ ოდესაში უფრო შესაძლო იყო ამგვარი აუსრულებლობა, მე უნდა ამომეძუებია კული და დავბრუნებულიყავი პეტერბურღშივე, რაიცა უკვე აღვასრულე, მაგრამ ნუ იფიქრებ, რომ მე მარტო ამას დავებრუნებინო პეტერბურღში. მე განვიზრახე ერთი საკვირველი საქმე. Saltum mortale.

პეტერბურღიდან გასვლამ ცოტაოდენ ხარჯში შემიყვანა, მამბერტყვინა მტვერი ფეხებიდან, მაგრამ სარგებლობაც მომიტანა: იმან ანგარიში გამაწმენდინა არა თუ მარტო ჩემი ჯიბის, ჩემი წარსულის ბიუდეტისაც, არამედ ჩემი გონებითი ბიუდეტის. დამაძლეინა გარემოებებისაგან ძალდატანებულს ყოყმანობისას.

როგორც იცი, იურიდიულ ეკზამენებს მე შევეუდეგი 1866 წლიდამ. ეს შეოთხედ არის, რომ ვეპირებოდი ეკზამენს და ოთხივეჯერ თუ მატერიალურმა შეუძლებლობამ, თუ ლექციების სისაძაგლემ, იქნება, ჩემმა სიძაბუნემაც, მომიშალა ამ უხეირო მიზნადის მისვლა. ეს ოთხი წლის გამოცდილება ეკზამენის საქმეში მე უღ[ვ]აშზედ დავიხვიე. ამას გარდა, 1862-დამ მე ყოველთვის შემეძლო ზევით მოყვანილის შენის სიტყვების განმეორება, მე არაოდეს არ ვიცოდი, დავრჩებოდი კიდევ პეტერბურღში თუ არა. 9 წლის გამოცდილებამ დამამტკიცა, რომ რაც მე შეუძლებელი საქმე მეგონა, შეუძლებელი ყოფილა. ეს გამოცდილებაც უღ[ვ]აშზედვე დავიგრიხე. ამ სიტყვებზედ რომ თქვენ არ დამცინოთ, მე თვითონ მოვიყვან ერთ სასაცილო ამბავს:

მე მყავდა ერთი ნათლია, დაუმკვიდროს ღმერთმა სასუფეველი, რომელმანაც მთელი ჩვენი ძველი ეგრეთწოდებული ლიტერატურული ნაწარმოები,

ვეფხვის ტყაოსნადამ და ყარამანიანიდამ დაწყებული, კატის ობამდე და სიბრძნე სიცრუვის წიგნამდე, სულ ზეპირად იცოდა. საღვთო წერილში ვერ იყო მანცადამანც მარდი, მაგრამ ბევრს კი სჯობდა. აი, ამისთანა კაცს იმ დროს, როცა ერთი ფეხი საფლავეში ედგა, რალაც შემთხვევით ეშოვნა მხედრულად დაბეჭდილი სახარება და ერთი ოცი-ოცდაათ] წლის აქეთ უკითხავი წიგნი ხელახლა წაეკითხა. უნდა გეყურებინა მაშინ იმისთვის, რას ამბობდა: შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს, ამდენხანს არ ვიცოდი და სახარება თურმე ძალიან კაი წიგნი ყოფილა. ზევით მოყვანილი სიტყვებზეათვის დაუცინიათ საწყლისათვის, ნათლია ჩემისათვის: კაცო, ამდენ ხანს სად იყავი, კითხვაში დავიღამებია და ახლა გაიგე, რომ კარგი წიგნი ყოფილაო. რად გიკვირს, ვაჟო, მაშინ კარგად ვერ გაიგე, რაც შიგ ეწერათ.

მეც სწორედ ამ ჩემ ნათლისავით მომიხდა. ძალიან გვიან ვაპირობ გამოცდილებით სარგებლობას. თურმე შემთხვევითს გარემოებას, შემთხვევითს რასმე მოულოდნელს მოძრაობას, ზორციელს თუ სულიერს ძალიან გავლენა აქვს კაცზედ! მაგრამ ეს ჩემ ნათლისათან შედარება კიდევ ცოტაა.

პირველმა გამოცდილებამ მე დამარიგა, რომ იურიდიკული დიპლომისათვის თავი დამენებებია, რადგანაც ეს დიპლომი მირბის ჩემგან და დევნაში კი ბევრი დრო უბრალოდ გადის. მეორე გამოცდილებამ დამაინფედა, რომ იურიდიკული დიპლომის დევნას სჯობს რომელიმე ბუნებით საგნებთან სასწავლებელში შეხვიდე და იქ სწავლის მიღებაც შეგეძლება და დიპლომიც კიდევ რომ არ იშოვო, სწავლა მაინც ხელში დაგრჩებაო.

მე გარდავეწყვიტე, ამ რჩევას დავემორჩილო და დავენდო იმედს, რომ მატერიალური ღონისძიება შემადლებინებს როგორმე პეტერბურღში ცხოვრებას და ჩემი განზრახვის ასრულებას. უფრო ამისათვის ვღურთე უცებ პეტერბურღისაკენ. ამისათვის ვწერდი სერგეის: ჩემს პეტერბურღში წასვლას ნურც დასცინებ, ნურც იწუხებ მეთქი. ოდესსიდამ წამოვედი 1 ივნისს, მოვედი მე აქ 11 ივნისს. ამ ჩემ გადაწყვეტილებაზე მე მიფურე ჩემ ძმას<sup>2</sup> ოდესსიდამე, რომ გამოეგზავნა ჩემთვის ჩამომავლობის მოწმობა, რომელიც საჭირო იყო სასწავლებელში შესასვლელად. ერთი თვეა, რაც ეს მოწმობა კიდევ მივიღე. ჩემ ძმას ვსთხოვე ამასთანავე, რომ სანამ სასწავლებელში არ შევალ, მანამდის ეს ჩემი განზრახვა არავის უთხრა მეთქი და თქვენც ამას გეხვეწებით.

ეხლა თქვენ მკითხავთ, რა სასწავლებელში შეხვალო? ეს მატერიალურ ღონისძიებაზე ჰკიდა. 25 მანეთი რომ ყოველ თვეში მქონდეს, თავის დროზედ, კურსის გათავებამდის, მე ამ მიზეზში შევეყოფდი თავს ბუნებითი საგნების ფაკულტეტზედ. მაგრამ ამაზედ იმედი მე არ უნდა მქონდეს. ამიტომ მე ვარჩიე სამეურნეო ინსტიტუტში შესვლა, საცა შემძლიან საფუძელიანად ვისწავლო უმთავრესად ქიმიკა, ფიზიკა და სასოფლო მეურნეობა.

ლაპარაკი არ უნდა, რომ პოლიტიკურ ეკონომიას, თუმცა იქ კითხვლებენ. მე იქ ვერ მასწავლიან, თუ ჩემათ არ ვისწავლე, მაგრამ უამისობა მე არ შემეძლია. მიზეზის მოხსენება საჭირო არ არის. აქ იმიტომ ვარჩიე, რომ კურსი 3 წელიწადია და უმთავრესი ის არის, რომ ცხოვრება და ლექციების სასმენი გარდასახადი ძლიერ იაფია: 1 ოთახი, თუ ყველა ოთახი დაპერილი არ არის სახელმწიფო შენობაში, მოსამსახურით და განძებით 3 მანეთი, სადილი 5 მან. ლექციების მოსასმენი გარდასახადი 30 წელიწადში. [მარცხენა კიდეზე—11v]: მე მგონია, ამ სასწავლებელში ყოფნის დროს უფრო კარგ გუნებაზედაც ვიქნები, და უფრო ბევრ სტატიების საწერ დროსაც ვიშოვი და დონეს, ვინემ ამისთანა მდგომარეობაში, რომელშიც აქამდის ვიყავი და რომლიდან ვერ კიდევ არ გამოვსულვარ. ვგონებ, რომ თუ სასწავლებელში შესვლა მოვასწავრებ, შინაშლით არ მოვკვდები და იქ მიღებული სწავლა, საკუთრად ჩემგან შეტანილი თუ იქაური მასწავლებლებსაგან გადმოცემული, ძლიერ გამოსადეგი იქნება.

ამ უკანასკნელი ჩემი განზრახვის ასრულებისათვის საჭიროა ჩემთვის, რომ ეხლა მქონდეს 20 მანეთი და მარტის თვეში 350 მანეთი. უკანასკნელი საჭირო ვალების გადასახადად,— ახლა რომ მქონდეს, კიდევ უკეთესი იქნება, მაშინ 30 მანეთით მაინც დაიკლებდა ეს ვალი, რადგან 50 მანეთი აქ სარგებელია ...მოდის\* 200 მანეთი საჭიროა, როგორც წერილი ვალების გასასტუმრებლად და სასმენი ლექციების გარდახდის შესატანად, ისე ოთახისათვის. ამაჲ გარდა. მე უნდა განვახლდე, ვითარცა ორბის სიტუბუკე, ე. ი. მე უნდა გამოვიცვალო ტანისამოსი ქუდიდან დაწყებული კალოშამდის და პალტოდან დაწყებული პერანგამდის. კიდევ უფრო ცხადად ვიტყვი: თავიდან ფერხამდის. გარეთილად შიგნითამდის. ყველა ეს სამოსი, წაღას გარდა, მიყიდნია 1866-ში და, წარმოიდგინეთ, როგორი იქნება. არ დაივიწყოთ, რომ ჩემი ტანისამოსი თუ დაძველდა, იმისი განახლება, შეკეთება შეუძლებელია, დაძველდება სრულიად. რადგანაც ეს დაძველება ძალდატანებული არ არის, არამედ ბუნებითი, ჩემი ტანისამოსი სანამ სულ არ გაფუჭდება, სულ ახალსა ჰგავს და თუ დაძველება დაიტყო, ერთ კვირაში სულ ბოლო მოედება.

ახლა ეს მითხარით, შეიძლებაა, ვიტყვი ნიკოსავით, ქუთათელაძესავით, რომ მანდ ვისმესგან ვიშოვნო სასესხებელი ფული ან ისე, ან ვექსილით, უსარგებლოთ, ან სარგებლით? თუ შეიძლება, მალე შემომითვალეთ, თუ შეიძლება ტელეგრაფით, რადგანაც შესვლა აგვისტოში უნდა და ეხლაც სულ უფულოდ ვარ და 50 მანეთი წერილი ვალი მოითხოვს დაუყოვნებლივს გარდახდას. ეს ფულია ძლიერ გაჭირვებული კაცის.

მე ყოველ დონეს მოვხმარ, რომ დროზედ გადავიხადო. „ჩონგურის“ გამოსაგზავნი ფული არ დამრჩა, თორემ ოდესსაში წასვლის დროს მინდოდა

\* ერთი სიტყვა არ იკითხება.

გამომეზავენა. 290 ეკზემ. აქ ყრია უსარგებლოდ. ვფიქრობდი, ვითომც კამპანიით გამოიზავენა ნახეარი ტფილისში და ნახეარი ქუთაისში, რომ სერგეის ან უმიკოვს გადაეხადათ ნანდ განოსაგზავნი ფული და მერმე პირველ ეკზემლიარების გაყიდვისთანავე ანდოთ. მაგრამ იმათი მდგომარეობა კარგად არ ვიცოდი და ვერ შევანუხე. ამას გარდა, ქუთაისში კალანდარიშვილთან გაგზავნა ზემოხსენებულ მიზეზს გარდა უცნობობამ [მაიძუ]ლა. გაცე მხედველობაში მქონდა, რომ კამპანია ძალიან გვიან მოიტანდა.

აქ მე უნდა გადავიხადო სერგეის ძველი ვალი, რომელიც დამადვა შენგან მარტის თვეში მოწერილმა ბარათმა. შენ ცუდად გაგიგია ჩემი სიტყვები, რომელზედაც გამომიტხოვა შენმა უსაფუძვლო აზრმა: თუ ატორს იმედი აქვს, რომ იმის ვინაობა არავინ იცის და ვერც ვერავინ შეიტყობსო, მაშინ ის ცუდ სტატიებს დასწერსო და თუ იცის, რომ სახელის მოუწერლად მისი სტატიის დაბეჭდა არ შეიძლებაო, ან თუ თავის ვინაობის დაფარვა არ შეუძლიათო, მაშინ ის კარგ სტატიებს დასწერსო. ამ აზრს შენამტკიცებ ვითომც კაცის ბუნებაზე: კაცს უნდა, რომ ყოველივე ცუდი საქმე თავიდან აიცილოს და სხვას მიაწეროსო და კარგი საქმე კი თვითონ მიიტვისოსო. აგრე როცა მე ხანდახან კარგ სტატიას ვწერ, ჩემ სახელის ქვევით სიამოვნებით ვაცხადებ და თუ სტატია, ჩემის აზრით, ცუდი არის, მაშინ მე ქვევით არაფერს ვაწერო, ამიტომ რომ მრცხვენინაო<sup>225</sup>. მე მოგწერე, რომ აზრი უსაფუძვლოა მეთქი და შეგპირდი, რომ სახელის გამოუცხადებლობა ცუდი სტატიების წერას ვერ გამაბედვინებს მეთქი<sup>226</sup>. ამითი ის მინდოდა მეთქვა, რომ ვისაც კეთილი მიზანი აქვს, ის ყოველთვის ეცდება, რომ შეძლებისდაგვარად კარგი სტატიები სწეროს მეთქი, გინდ გამოცხადდეს იმისი სახელი, გინდ არა მეთქი. აქვე ისიც მოგწერე, რომ შენი აზრი რომ საფუძვლიანი იყოს, მაშინ მე შემეძლო მეთქვა, რომ რედაქციას იმიტომ სურს ავტორების სახელი გამოაცხადოს, რომ სტატიებს ცუდად სთვლის და ეშინიან, რომ საზოგადოებამ ეს სტატიები რედაქციაში არ მიწეროს მეთქი და თუ შენ ავტორების სახელების გამოცხადება იმიტომ გსურს, რომ სახელები სტატიების რეკომენდატორები იყვნენ იქ, მაშინ მე გირჩევ, რომ ნურც ერთ სტატიას, კერძოობით პოლემიკურს გარდა და კერძოობით გამოცხადების გარდა, ნუ მოაწერ სახელს და მაშინ თუ, რასაკვირველია, სტატიები ხეირიანი იქნენ, თვითონ გაზეთი მოიპოვებს რენომეს, თვითონ გაზეთი შეიქმნება სტატიების რეკომენდატორი მეთქი. ეს ჩემი *восприимчиве* შენ ისე უსეიროდ გაგიგია, რომ შენ მაგიერ მე ვაეწითლდი. შენ ამბობ კიდევ, რომ ჩერნიშევსკისა<sup>228</sup> და დობროლუბოვისა<sup>229</sup> *Библиотека для чтения* ეყიდათ, მაშინ მათი სახელი, იცი, როგორ გამრავლებდა, ხელის მომწერლებს და მკითხველებსო<sup>227</sup> კარგად ვიცი, გაამრავლებდა, მაგრამ ჩვენში ვის აქვს ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის ღირსების მეთასე ნაწილი? ამას გარდა, თუ დობროლუბოვი სტატიებს ფსევდონიმით სწერდა და ხშირად ჩერნიშევსკიც, ანტონოვიჩიც<sup>229</sup>, ყუკოვსკიც<sup>230</sup> უსახელოდ ბეჭდავდნენ თავის სტატიებს, ჩუთუ, ამით «Современник»-ს<sup>231</sup> მნიშვნელობა დააკლდა? ამაზე მეტს არც ახლა მოგწერ და არც შემდეგ.

ბოლოს, სერგეი, ერთს რამეზე უნდა მოგელაპარაკო. ოდესსიდან გამოსვლის წინეთ, 29 თუ 30 მაისს, მე გამოვაგზავნე ერთი განცხადება ამგვარი სათაურით „უცნაური სამოქალაქო მამაცობა უფ. ბეთანიშვილისა“<sup>232</sup>. მიკვირს, რისთვის არ დაბეჭდეთ. ნუთუ გეგონა, რომ ამ დაბ\*... ან თქვენ გთხოვდით რამე ჭილდოს. ანდა მე მოგცემდო...\*\* ნუთუ, ამ განცხადების დაუბეჭდაობაში იმ პრინციპებით ისარგებლე, რომელიც ცხვირში ჰკარით შორაპნელ ბლალოჩინს<sup>233</sup>? ნუთუ, ბეთანიშვილის განცხადება იცავდა შენი გაზეთის პრინციპებს, ან რამე პრინციპებს და იმის წინააღმდეგ პასუხი ამიტომ არ დაბეჭდეს, თუ ჩემი თქვეულობა გამოიჩინე და არ მომაწერე სახალხოდ ძს გამოცხადება. რომელიც ვითომც მე არ შემფეროდა, ან ბეთანიშვილს? იქნება, შენ ბეთანიშვილზედაც ისე სთქვი, როგორც ჰალადიდელზედ<sup>234</sup>: არც ისეთი ყმაწვილი კაცების ხელისკერაათ საქები, როგორც მაგალ. ბეთანიშვილი, რომელსაც უთუოდ ნიქი აქვსო და რომელსაც შეიძლება ხელები ჩამოეშვასო!..

უთუოდ, ამიტომვე დაუტყბი შენ ბეთანიშვილს, რომ ლანძღვით სავსე წიგნის შექმნე. რომელიც იმან მოიწერა რედაქციაში პეტერბურლიდამ წერილის დაბეჭდვის შემდეგ<sup>173</sup>, მაგრამ შენს ადგილს მე მაშინვე ჩხირს გავუტეხე ანლებურად [ფანქრით ნაწერი, ძალზე გაურკვეველად—ე. ა.]: ბეთანიშვილს ყოველიფერა აქვს, მაგრამ ნიქისა, განათლებისა და ზნეობის კი რა ზოგახსენო. რომ არ მეზარებოდეს მოწერა, ნე დაგიმტყიცებდი, რომ ის არ არის არც სიყვარულსა და პატივისცემის ღირსი და არც დაზოგვის. მე იმედი არა მაქვს. რომ ეს ოდესმე ცოტათი მაინც გასწორდეს. ვიტყვი ნიკოსაღიით<sup>146</sup>. ათასჯანაც რომ გამოეთქვა ეს სიტყვები, უკლებად ვერ გამოხატავენ ჩემს ბეთანოზედ იმედმიხიდილობას. ნიკომ და გიორგიმ კიდ[ევე] არ იციან ის, რაც მე და ივანემ<sup>67</sup> და ნიკო ინაბემ<sup>146</sup> [ვი]ცით.

დროა, გავიგოთ, რომ მართო იმისთვის არ უნდა მოეტევებოდეს კაცს შეცოდება, რომ ის სტუდენტია, მხედველობაში უნდა გვქონდეს, როგორი ყმაწვილია, ანუ როგორი იქნება.

იმედი მაქვს, რომ თუ შემოხსენებული მიზეზები მხედველობაში არ გქონია, უთუოდ დაბეჭდავ. და თუ ვინცობაა, შენ შავ ჩემი პასუხის დაბეჭდა ცუდ რანედ მიგაჩნია და ცუდისაგან ჩემი ატილება გინდა, შემატყობინე მარცხ შენი მაგელობის საფუთვლები. იქნება, მე ბრმა ვცყო და შენ თვალები ამიხლო. თუ არა და, მე იმ გამოცხადებას სხვაგან დავაბეჭდინებ. მაგრამ, იქნება, აქამდის იმიტომ არ ბეჭდავდე, რომ გაზეთში თავისუფალი ალაგი ჯერ ვერ იშოვე. ღმერთმა ქნას, რომ აგრე ყოფილიყოს და ალაგი მალე გეპოვოს მაც ჩემი პასუხისათვის<sup>235</sup>.

შენი კორილე

\* ერთი სიტყვა ვერ იკითხება.

\*\* ერთი სიტყვა ვერ იკითხება.



[1873]<sup>236</sup>

ნიკო! რადგანაც უმთავრესი სამმართველოს გადაწყვეტილებაზედ, ჩემ ღრობით რედაქტორად დამტკიცების შესახებ, მე ხელი არ მომიწერია<sup>237</sup>; ამიტომ „ღრობის“<sup>56</sup> № 38 ნომერზედ ისევ მესხის სახელი და გვარი იყო, მტკაღრე იმიტომ, რომ ჩემ გვარს ზერ მოვაწერ იმ ნომერზედ, რომელშიც აკაკის<sup>54</sup> სტატია იქნება.

კ. ლორთქიფანიძე.

კვირა [1874]<sup>238</sup>

ძმაო ნიკო! ტყიბულის მეპატრონეებისაგან გარშემოცულს<sup>239</sup> იქნება ახალი სტამბის არ გცხელოდეს<sup>240</sup>, მაგრამ ვიცი შენი ამბავი, მაგათაც არ შეეპოვები და ამიტომ გიგზავნი ახლად აღებულს ფოტოგრაფიით ასოებს. რადგანაც წინეთ დაწერილი საკმაოდ გაშავებული არ იყო, ამიტომ ექვსპუნქტიანი ასოები ერთობ ძნელად გასარჩევი იყო, ასოები ერთობ წმინდა იყო და ერთმანეთთან შეჯგუფებულად სჩანდნენ. ესლა, როგორც ხედავ, ისევ ის ასოები უფრო გაშავებული ექვს პუნქტად ძლიერ კარგად გამოდიან. განსხვავება ესლანდელსა და წინანდელს შრიფტს შუა მხოლოდ ეს არას, რომ ზ-ის ტანი იმ ზომისა და ფორმის დაეწერე, როგორც სანისა და ხანის ტანია. უწინდელი ზ-ი უფრო ლამაზი იყო იქნება, მაგრამ მაგიერად ხსენებული სამი ასოების ტანი ერთი და იგივე იქნება და როგორც მოგროძო სიმგრგვლის ნქონი იქნება უფრო შეეთანხმოს სხვა ასოების ტანს, რომელიც ნოგროძო სიმგრგვლისაგან შესდგებიან. ამას გარდა ჟ-ს ცალი ფეხი უფრო გაუშავე. როგორც წერაში მოხდება ხოლმე. ჰ სულ სხვანაირია ესლა და უფრო ლამაზი. უ — დაეწერე, მაგრამ ამათ არ მოსწონს, უწინდელს უფრო ამჯობინებენ. შრიფტის სიმეტრიისათვის, როგორც შენ ამბობდი, იქნება, ახალმა უ-მა აჯობოს, მაგრამ მხოლოდ ერთის მხრით — კბილის სიგრძით — ამიტომ, რომ ისევ ის კბილი ე, ვ, ო, რ და ლ-ის კბილებზედ უფრო დიდი იქნება. მაშასადამე, ან ისევ უნის კბილი უნდა შევამოკლოთ და ან სხვა ასოების კბილები გავაგრძელოთ, მაგრამ უკანასკნელს შემთხვევაში ე, ო, რ და ლ საბაველი იქნებიან და განსაკუთრებით ვ და ლ და უფრო დიდს ადგილსაც დაიკვირენ. ახლა შენ არჩიე, და როგორც ემჯობინება, ჩემის აზრითაც ისე დაეწერ.

რადგანაც უნი აქაურებს არ მოსწონთ და არც უნდათ, ამიტომ მე ეფექტობ, რომ ორივე უნები გავაკეთებინოთ და რომელიც ბექლვაში უფრო მოუხდეს, ის დავარჩინოთ სახმარად და მეორე გადავაგდოთ.

სხვა. თუ შენ მალე არ მოხვალ, პასუხი ახლავე გამომნიგზავნე და ბებუ-  
თოვსაც<sup>211</sup> მისწერე, რომ 100 მანეთი გადმომცეს პარიჟში გასაგზავნათ და  
თუ, შენის აზრით, საკუთრების დამტკიცება საჭირო არის, როგორც ამბობდი,  
საზოგადოებისათვისაც და ბებუთოვის გაზეთისათვისაც<sup>212</sup> მომწერე, რა ფორ-  
მით გადაგზავნო ქალაქად.

შენი კირილე.

### კ ა ტ რ ი უ მ ი კ ა ვ ი ი ლ ი ს ა დ ი ი

1

ძმო პეტრე!

30 მაისს [1871]<sup>213</sup>

თითქმის ორი თვეა მას აქეთ, რაც შენი წიგნი მივიღე<sup>214</sup>. ვიცი, არ და-  
შემდურები, რომ აქამდის პასუხი ვერ მოგწერე. მე არ განოვუდგები ჩემი პი-  
როვანი გარემოების აწერას, ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ ჩემი წიგნის დაგვი-  
ნების მიზეზი, სხვათაშორის, შენი წიგნის შინაარსიც იყო: მე უნდა მეპასუ-  
ხა შენთვის: 1) ხელნაწერი წიგნებისა და „ჩონგურის“<sup>66</sup> გამოგზავნაზედ,  
2) კიბეა-წერის სასწავლებელი წიგნისა და აქაური სტამბის ანგარიშის თა-  
ბაზედ. მე აქამდისაც არ შემოძლიან, რომ პირველ პუნქტზედ რამე ამბავი შე-  
მოგითვალო, უკანასკნელზედ კი შემეძლო საზოგადო და დაახლოვებით სწო-  
რი ამბავი შემომეთვალა, მაგრამ არ ვიცოდი, თუ ბეჭდვის ანგარიში შენ-  
თვის აგრე საჩქარო იყო, როგორც იოსელიანსა<sup>215</sup> სწერ და სასწავლებელი  
წიგნის გათავება და დაბეჭდა, ერთის მხრით, ხომ ჩემთვის უფრო საინტე-  
რესო იყო, ვინემ შენთვის.

როგორც მახსოვს, ერთხელ შენსობასაც გადაწყვიტეს აქ, რომ წიგნები  
ტფილისში გავაგზავნოთ. მას აქეთ, ვგონებ, კიდევ ათჯერ მაინც გადაწყვე-  
ტიათ ამ ხელნაწერი წიგნების ტფილისში გამოგზავნა, მაგრამ აქამდის ვერ  
მოუხერხებიათ და ამით, ჭავჭავაძის<sup>215</sup> არ იყოს, სწორედ ქართველობა გა-  
მოიჩინეს. ამ ბოლოს დროს გადაწყვიტეს, რომ ოლონდ კი ვინემ წიგნების  
შენახვა იტვირთოსო, თორემ გაგზავნით იმ მიხუტში ჩვენის ხარჯით გაგ-  
ზავნიათ. ეტლა, როცა ეს მიზეზი მოისპო და წიგნები უნდა გამოაგზავნონ,  
იმას სტირიან, რომ ამდენი ფული როგორ უნდა დაეხარჯოთო; ზოგი ამბობს,  
რომ მცოდნოდა, რომ გაგზავნას ამდენი ფულები დასჭირდებოდაო, ჩემი პი-  
რი იმას არ იტყოდაო; არიან იმისთანებიც, რომ გადაჭრით ამბობენ: წიგნ-  
ების აქედამ ჩვენის ხარჯით გაგზავნა არც მე გადამიწყვეტია და არც არავისო  
და ჩვენი ფულები არამცა და არამც არ დაიხარჯოს, თუ უნდა, ვინაც წიგ-  
ნებს იბარებს, იმან წაიღოს თავის ხარჯითო!! ბარაქალა ამ კაცების ხსოვნას,

ლოციას და პატროსნებას!!! მაგრამ, რაც უნდა იყოს, მე მგონია, რომ ეს წიგნები ამ მოკლე ხანში გამოიგზავნება და, შენ იცი, როგორ უპატრონებ და როგორ გაზრდი ამ პატარა ბიბლიოთეკას საზოგადო სასარგებლოდ!

„ჩონგურს“ აქამდისაც იმიტომ ვერ ვაგზავნი, რომ გამოსაგზავნი ფულები არ მქონია და არ მაქვს. და თუ ვიშოვე, უთუოდ გამოვაგზავნი. შენ იწერები, რომ 27 თუ 28 მანეთი „ჩონგურში“ აღებული ნიკოს 3 აქვსო და რომ ვიცოდე, რომ ნიკოს ის ფულები არ დაუხარჯავს, „ჩონგურს“ კამპანიით ვალად გამოვაგზავნიდი, რომ ფულები მანდ იმას მიეცა. თუმცა „ჩონგურის“ გაზოგზავნა ჩემთვის ძალიან საჭიროა. მაგრამ კიდევ უკეთესი იქნებოდა, რომ ნიკოს ის 27 მანეთი აქ გამოეგზავნა. რადგანაც ფულები ძალიან მჭირია: რა რომ შარშან ამ დროს ოდესიღამ მოვედი, მას აქეთ 20 მანეთის მეტი არსაიღამ მომსულია. მაგრამ ეს ჩემი თხოვნა ნიკომ მოთხოვნად არ ჩააგდოს, ამიტომ რომ მე უფლება არა მაქვს, რომ ნიკოს ან სხვას ვისმე „ჩონგურში“ აღებული ფული მოვთხოვო, რადგანაც ამ ფულზედ ნიკოს ინდენივე უფლება აქვს, რანდენიც მე, მეტადრე ამჟამად, რაღაცა ჩემი თავნი და რამდენიმე სარგებელი ავიღე, და თუ ეხლა გამოგზავნასა ვთხოვ ნიკოს, იმიტომ რომ ამჟამად ვგონებ, მე უფრო გაჭირებულ მდგომარეობაში ვარ, ვინემ ნიკო. სხვათაშორის, აქ იმასაც ვიტყვი, რომ ნიკოს მართებდა ქვარიანს<sup>5</sup> 50 მანეთი. თუ იმისი ნათესაებისა არ დაუბრუნებია, კარგი იქნებოდა, რომ აქედამ 30 მანეთი მისთვის გამოეგზავნა, რადგანაც ეს მართებდა ჩემი ქვარიანს. ურია რომ გალარობდება, მოვალეებს გამოუდგებაო. ძალიან მეზარება ჩემი ფულები ვისმესგან მოთხოვნა, მეტადრე ჰველი ვალების, მაგრამ რა უნდა ქნას კაცმა? მე არ შევეუდგები ჩემი მდგომარეობის აწერას, ვიტყვი მხოლოდ, რომ ფულები ეხლა ძალიან საჭიროა ჩემთვის, ისე საჭირო, რომ სასაცალო რომ არ იყოს, აგრე ცოტა ფულის ტელეგრაფით გამოგზავნა და ნიკოს ჩემთვის ეხლა 30 მანეთის გამოგზავნა მაინც შეეძლოს, მე ვთხოვდი. იმას, რომ ამ 30 მანეთიღამ 10 მანეთი [გამოეგზავნა], დანარჩენი 20 მანეთის ტელეგრაფისათვის გამოსაგზავნად დაეხარჯა.

მე იმიტომ დავიგვიანე ლექსების შესახებ წიგნის მოწერა, რომ აქ დასაბუქდი ფულების შოვნის იმედი დამეკარგა და მანდღამ ნიკოს შენთვისაც არაფერი მოუწერია, თუმცა შენ მითვლიდი. რომ მალე მოგწერსო. მაშ, თუ ჩქარა დაბეჭდის იმედი არა მქონდა, რა კარგი იქნებოდა, რომ თვალბმტყივანი კაცი შემეწუხებინა ლექსების გადაკითხვინებით, ამორჩევებით და, იქნება, გადაწერინებთაც. ლექსები მალე მოგივარ, იოსელიანმა მითხრა, კარგი იქნებოდა, რომ ზოგიერთი დარჩენილი გამოცანებიც გამოგეგზავნა ჩემთვის. ამდენს ხანს აქ ყოფნაში დამაფიწყდა, თორემ მეც ბევრი ვიცოდე.

ძალიან კარგი იქნებოდა, რომ „ანბანის“<sup>246</sup> ენა შენ და გიორგი წერეთელს ცოტაოდნად გაგეშალაშინებინათ. მაგრამ არ ვიცი, როგორ მოვახერხო წიგნის გამოგზავნა, ფორტით ძალიან ძვირი დაჯდება და მაქვთ მომავალი იქნება მაშინ თუ არა, რაღაცა მე წიგნს გადავითვარებ.

## ძმავ პეტრე!

ამ ახლო ჩანში ყაზიბეგი<sup>111</sup> ჩამოვიდა აქ და შენგან რამდენიმე სიტყვა გადმომცა. ამდენ ხანს პასუხი ვერ მოგწერე, მაგრამ ან კი რა საჩქარო იყო.

„ჩონგურები“<sup>66</sup> მე აქ ძალიან ცოტა (რამდენიმე ათი) მაქვს, რაც ასეები იყო, შარშან გამოვაგზავნე და თუ მანდ არა გაქვს, უთუოდ ბევრი კალანდარაშვილს ექნება და იმას მოსთხოვე.

რაც შეეხება ანგარიშის გამოგზავნას, ამაზედ, აი, რას გეტყვი:

თუ ანგარიშს იმიტომ მიგზავნი, რომ შემატყობინო, თუ მე შენი რამდენი მმართველს, მაშინ ძალიან მადლობელი ვიქნები; მაგრამ თუ ანგარიშით შენნი აკურატობა გინდა დაამტკიცო, ან ჩემი შენზედ უეჭველობა ფაქტებით განამყარო, მაშინ ეს ანგარიში სწორედ ნაბეჭანი იქნება, ამიტომ რომ ჩემგან უცოდინარს ვერაფერს შემატყობინებს.

ძალიან კარგი იქნება, თუ შენ, ან მესხი შემატყობინებთ, როდის აპირებს გიორგი<sup>248</sup> „კრებულის“<sup>249</sup> უკანასკნელი ნომრების გამოცემას, ე. ი. რომელ თვეში?

მანდ ხომ არ არის ნიკოლაძე? რა მდგომარეობაშია მისი საქმე.

შენი კირილე.

[მარცხენა კიდებზე]: კარგი იქნება, თუ გოგებაშვილის ახალ გამოცემულს ანბანს<sup>107</sup> გამომიგზავნი (ორივე ნაწილის ასოებით).

ე ლ ე ნ ე შ ი ფ ი ა ნ ი - ლ ო რ თ კ ი ფ ა ნ ი კ ი ს ა ლ მ ი

1875 წ. აპრილი<sup>250</sup>

ელენე დიმიტრის ასულო!

გთხოვთ ბოდიში მოსთხოვეთ ჩემ მაგიერ მამათქვენს<sup>251</sup>, რომ აქამდის ვერ ვუშოვე „რომელი და ჭულიეტა“<sup>252</sup>. უმიკაშვილს არ ჰქონდა ის ეგზემპლარი „ცისკრისა“<sup>70</sup>, რომელშიაც მამათქვენს ნათარგმნი გაეწორებია, ერთი პრიკაშჩიკის ყოფილიყო და დღეს ძლივს ვიშოვე მისგან ეს წიგნები.

თქვენი პატივისმცემელი  
კ. ლორთქიფანიძე.

გიგზავნით აფიშას. დავით ერისთავმა<sup>253</sup> უარი სთქვა, მაგრამ ვგონებ გადვურჩეთ უიმისობას, გვაკლდეს მისი მაღალი ბანი.

აფიშაზედ ჯერ პოლიციის ნება არ მიგვიღია, ამიტომ ჯერჯერობით საე-  
ქვოს ვისმე არ აჩვენოთ<sup>254</sup>.

ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ლ ი ს ა ლ მ ი ნ 4

1

ძეო აკაკი!<sup>255</sup>

დღეს დილას მივიღე „ჯეჯილისა“<sup>256</sup> და „კვალის“<sup>161</sup> ნომრები, რომელ-  
თაგან ერთმა ძალიან მასიამოვნა და მეორემ გამამწარა და ამ სიმწარის და-  
ფარვა არ შემიძლია. მესიამოვნა შენი ლექსი „გაზაფხული“ „ჯეჯილში“ რომ  
არის<sup>257</sup>. სამწუხარო კი შეიქმნა ჩემთვის „კვალის“ ნომერი, რომელშიც კი-  
დედ არის ერთი შენი ახალი ლექსი<sup>258</sup>. ამან გამაგებინა, რომ „სალამურისა“<sup>259</sup>  
და „აკლდამების“<sup>260</sup> წიგნები მე მომივა ერთი-ორი კვირის განმავლობაში,  
რადგან მაშინ შენი დაუბეჭდველი ლექსების „კვალში“ ბეჭდვა გათავდება და  
შერმე მიეცემა „სალამურს“ დინება სოფლის სინათლეში გამოსვლის<sup>261</sup>. ვა-  
ჟო, თუ ის გინდოდა. რომ ყველა „სალამურში“ მოძღვანებული დაუბეჭდ-  
ვლი ლექსები ჯერ „კვალში“ და „ჯეჯილში“ ყოფილიყო დაბეჭდილი, გეთ-  
ქვა წინდაწინ და მაშინ სულ სხვა ანგარიშს დავიჭერდი და იმ ფასს დავნიშ-  
ნავდი „სალამურისათვის“, რომ მალე გასაღებულყოფი და ხარჯი ნისიობით  
აღებული მალე დამეფარა. ახლა, როდესაც შენი თხზულებების პირველი ტო-  
მი<sup>262</sup> ასე მრავალი იყიდება, რომელშიაც „სალამურის“ ნახევარი არის და  
მეორე ნახევარს „სალამურისას“ მეორე ტომში მოელიან და წინდაწინაც „ჯე-  
ჯილში“ და „კვალში“ კითხულობენ, მე არა მგონია, ასე მალე გაიყიდოს „სა-  
ლამური“ და რაზედ შევიდეთ ამ შეცდომაში, მე სწორედ არ შემიძლიან ამის  
გაგება.

ამის მეტი სხვა რაღა მეთქმის მე.

შენი კირილე.

8 მარტი 1893.

ჩემი ამბავი რომ ვიცი, რომ ყოველსავე საქმეში დანაშაულად ყველას  
მე გამოვეყავარ, იქნება, ამ შემთხვევაშიაც მე გამამტყუნო, მაშინ სხვა რაღა  
მეთქმის, თუ არ მაქსიმესებური: საკვირველ არიან, უფალო, საქმენი შენნი!

კ. ლ.<sup>263</sup>

ძმალ აკაკი!

29 იანვარს 1897<sup>264</sup>.

ქუთაისი

გუშინ საღამოს ვიყავი შენ სანახავედ, მაგრამ დაგძინებოდა და ვეღარ გადმოგეცი შენი „მედია“<sup>265</sup> და ვერც დავტოვე, დაკარგვის მეშინოდა და ამასთანავე ზოგიერთი წვრილმანი შენიშვნები მინდოდა მეტქვა იმისთანა რა-  
შეებზე, რომელიც ზოგი უნდა ცუდს გადამწერის ბრალი და ზოგი შენი თვითონ. თხზულება მომეწონა, უწინ რომ წამიკითხავს, იმაზედ მეტად. მაგ-  
რამ, ჩემის აზრით, მისი წარმოდგენა სცენაზე ჩვენის მსახიობებისა და სცენის მოწყობილობის შემწობით ერთობ ძნელი იქნება და თითქმის შეუძლებელი.

ახლა მინდა შენი პოემა მათხოვო წასაკითხად და რაც შეეჩება იმ შენი-  
შვნებს, კარგი იქნება, თუ ხვალ ნასადილევს ვნახავთ ერთმანეთს აბაშიძის  
სასტუმროში და მამინ გეტყვი.

შენი კირილე.

## ბ ი ო რ გ ი წ ა რ ი თ ლ ი ს ა ლ მ ი

### 1

ძმალ გიორგი!

ქ. პეტერბ. 19 იანვარს [1867]<sup>266</sup>.

ძლიერ დიდი ხანია მას აქვთ, რაც შენთვის წიგნი არ ნომიწერია. მე, რასაკვირველია, არ შემძლია, რომ თავი გავიმართლო. მე შემძლია მხოლოდ შოვიყვანო რამოდენიმე რეზონები, რომლებიც თუნცა არ დაგაჩვიებენ. ვი-  
ცი, ჩემს სიმართლეს, გათქმევიანებენ ნაინც, რომ კირილეს სრულიად უმიზე-  
ზოთ ან უკადრისობით არ მოსვლიათ ჩემთან წიგნის მოუწერლობათ.

მაგრამ რეზონებამდის თორილდე სიტყვა მათქმევიანე. ზოგიერთი ზნეობი-  
თი თვისებები და იმათ შორის პატიოსნებაც სწავლის პრინციპებით არ შე-  
ნიძენია, სწავლამ გამივრცელა და ლფრო გამიგანაიერა ის, რაც მივიღე შანა-  
ურის აღზრდისაგან. მე არა მაქვს პრეტენზია დიდს ჰქუაზე, დიდ სწავლაზე,  
დიდს ენერგიაზე და თავს არ გავიტიებ, თუ ვაცმა არ\*... ან დიდის სწავლისა  
და ენერგიის, ოღონდ ნაცრად ნუ გამხდის, რადგანაც ვგრძნობ, რომ მოლა-

\* ერთი სიტყვა არ იკთხება.

ლატე მტერი არა ვარ, მაგრამ პატიოსნების ცოტაოდენი შებღალვის მოთმე-  
ხაც არ შემიძლიან, რაც უნდა დატუქსული მყავდეს გონიერებით ჩემი თავის  
იმედოვნება და თავის მოყვარება. ვისიც ვალი მაქვს, საზოგადოების, თუ  
კერძო პირების, ზნეობითი თუ მატერიალური, ყველას გადაადის იმედი  
მაქვს იმდენად, რამდენადაც ვასკრის ჩემი ჭკუა, სწავლა და ენერგია. ერთი  
სიტყვით, ჩემი ცხოვრების პროგრამა ეს არის: რომ უსაქმოდ არ ვიყო, არ  
დავღვე უსაქმოდ და ყოველივე დავამყარო გონიერულს ზნეობაზე.

მაგრამ ჭერ თავდაპირველად უნდა შევნიშნო, რომ, რაც უნდა უპატი-  
ოსნო კაცი უნდა ვიყო მე და ამგვარ კაცად მიგაჩნვიარ ერთს შენგან მოწე-  
რილს წიგნში<sup>267</sup>, ისე უპატიოსნო, ვგონებ, არ ვიქნები, რომ რაც სხვისი მმარ-  
თებს, თუ სარგებლით არა, თავნი მაინც მივსცე. შეიძლება ვალის გადახდა  
დაგვიანდგეს, შეიძლება, რომ ეს დაგვიანება უპატიოსნობის ნაშობი იყოს,  
მაგრამ, მგონი, იმაზედ დამეთანხმები, რომ ვალის დაგვიანება, თითქმის სრუ-  
ლიად მოუტყემლობაც, ყოველთვის უპატიოსნობით არ ახსნება.

თუ შენ აზრი არ გამოგიცვლია ჩემ გზაზე, ესე იგი, თუ ჩემი ან შენი გზა  
აქ გამოგიცვლია, მაშინ ჩემს ზევითურს და ქვეითურს სიტყვებს, უთუოდ.  
ექნება მნიშვნელობა და ფარდა გადაუფარებელი აზრი და თუ ცვლილება  
მოხდა, მაშინ ჩემი ეხლანდელი შრომა ტყუილა უბრალოდ ჩაივლის. ამ შემ-  
თხვევაში ერთი მხოლოდ ის იქნება ჩემი მანუფეშებელი, რომ მართო მე არ  
დავტყუებულვარ კაცში და საკუთარს შრომაში, თუმცა, რასაკვირველია, ეს  
ნუგეში ძლიერ ძვირად დამიჯდება.

მას აქეთ იმდენი დრო გავიდა, რომ, იქნება, კიდევაც დაგვიწყდა იმა-  
თი აზრი, მაგრამ ჩემ ვალად ვრაცხ, განგიახლო ის და ახლა მაინც გიპასუხო.  
სხვათა შორის, მე შემოგითვლი ზოგიერთ აზრებს და წვრილმანებსაც, რომე-  
ლიც თუმცა არ შეეხებიან ჩემს პასუხს და არც შენ, მაგრამ, ვიცო, საინტერე-  
სო იქნება შენთვის.

თუ აქამდის ნათქვამს სიტყვებში შეგრილიან დაიხანო ფარდა გადაუფა-  
რებელი მნიშვნელობიანი აზრები, მაშინ, რასაკვირველია, ადვილად მიხვდები.  
რომ ბარათის დასაწყისი არის დასაწყისი ჩემი ახსარება ანხანაგთან; და ამ  
ახსარებას ინიტომ ვიწყებ, რომ (და არა თაყანსა ვსცემ) გონიერების და  
ზნეობის საფუძველზე დამყარებულ ამხანაგობას დიდი უფლება მოუციო  
ჩვენთვის ერთმანეთზე, --- აქედამ იმასაც გამოიყვან, რომ „უკადრისობას“ არ  
უხელმძღვანელებია ჩემთვის წიგნის მოუწერლობაშიო. მგონია, რომ ამგვა-  
რი უნდა იყოს შენი აზრით, რადგანაც 3 ივლისს 1866 წ. ნუერლი, სხვათა  
შორის, რომ „ჩვენ შორის გაწყრომას ალაგი არ ექნებაო“<sup>258</sup>. თუ გაწყრომას  
არ უნდა ქონებოდა ადგილი, უკადრისობაზე\*... მეტადრე გეტყვი\*\*, თუ ჩემ-  
გან მოკლედ ნათქვამს სიტყვებს კარგად დააფიქრდება.

\* ერთი სიტყვა გაურკვეველია.

\*\* ტექსტში ამ სიტყვიდან მომდევნო აბზაცამდე სტრაქონები გადასახულია.

მაშ, რა უნდა ყოფილიყო წიგნის მოუწერლობის მიზეზი? მგონია, რომ წიგნების წერა არავისათვის არ იყოს სასიამო; ჩემ თავზე მაინც უნდა გითხრა, რომ წიგნების წერა ძლიერ მეზარება, ეს ერთი მიზეზი, რომელიც პირველის შეხედვით არ არის შესაძლებელი, მაგრამ ეს დაზარება წარმოსდგება შემდეგის პატივსადება მიზეზისაგან.

მე მგონია, რომ წიგნის მოწერა ან საქმეზედ შეიძლება და ან უსაქმოდ. შენთან საქმე მქონია და, რადგანაც მე (უთუოდ შენც) წიგნების მიწერ-მოწერას აზრების გაცვლა-გამოცვლის მნიშვნელობას ვაძლევ, ამისათვის წიგნი გრძელი უნდა მომეწერა, მაგრამ გრძელი წიგნის დასაწერად საჭიროა ბევრი სხვადასხვა პირობები, რომლებთაგან ხან ვერც ერთი, ხან ბევრი ვერ მოვიხებლეთ, რომ მესარგებლებია. უფრო ზმირად ჩვენებური ანდაზა მართლდებოდა: „ცხენი ვიშოვე, უნაგირი ვერ ვიშოვე, უნაგირი ვიშოვე, ცხენი ვერ ვიშოვე“. ეს პირობები იყვნენ:

1) დრო — მგონია, ერთის საყვედურისაგან განვითავისუფლდე შენის მხრით. თუ დამიჯერებ, რომ წიგნის წერა ბევრს დროს მართმევს.

2) კაი გუნება (располож. духа), რომელსაც ძლიერ მოკლებული ვიყავი ჩემი მდგომარეობის გასინჯვით.

3) კარგად ყოფნა, რომელიც გვარიან მლაღატობს, მეტადრე გრძელი წიგნის წერაში: გაიხსენე სისხლის დენა.

4) ფული წიგნის გამოსაგზავნი, რომელიც ყოველთვის არა მქონდა.

5) იმედი. თუ დაწყებული გამაწყვეტინა რამემ, ძალიან მეზარება, რადგან ხელმეორედ დიდხანს ველარ ვიპოვი მარჯვე დროს და სხვა პირობებს და ამისთვის თუ გრძელი წიგნის გაუწყვეტლად მოწერის იმედი არ მექნება, ისე დავიწყებ წერას.

ახლა ეს უნდა გკითხო: თუ მართლა, შენის აზრით, ჩვენს შორის გაწყრომას, მაშასადამე, არც უკადრისობას, ადგილი არ უნდა ჰქონებოდა, თუ მართლა ზევით მოყვანილი მიზეზები პატივსადები არიან, როგორ უნდა გამეგო შენი სიტყვები მოწერილი 9 ივლ. 1865 წ. „ან კი რათ იკადრებს ნათლის სხივში მტურავი (!) კუდმოგლეჯილ და გახრეკილ ცხენზედ მხედართან (?) ფსალმუნებას“<sup>269</sup>. რა ამისთანა ნათლის სხივში ვცურავდი, რომ ცამდის ავფრენილვიყავ და იქილამ ამაყად გადმომეხედა შენკენ? რა ამისთანა გახრეკილ ცხენზედ მხედრობდრი, რომ ჩემი მდგომარეობა შეგშურებოდა? იმედი მაქვს, ამ კითხვებს უპასუხოდ არ დააგდებ.

9 ივლისს 1855 წ.\* მოწერილს წიგნშივე შენ ნამდვილ ამბევების შეუტყობრად დაუფიქრებლად ეხები ჩემს პატიოსნებას შულოგინის ისტორიის თარგმანისა<sup>270</sup> და აფხაზთან<sup>223</sup> მოვალეობის გამო და აგრეთვე ნ. ლოლობერიძესთან<sup>9</sup> მიწერ-მოწერას „ჩონგურის“<sup>66</sup> შესახებ. რაც ზევით გითხარი ჩემს პატიოსნებაზედ, იმას კიდევ უნდა დაუმატო, რომ თუცა ჩემი ზნეობა დამყარებუ-

\* კალმისეული შედგომა, უნდა იყოს 1865 წ. ეს წერილი ინახება ქუთაისში, № 903.



ლია. როგორც იცით, უტილიტარიზმზე, მაგრამ, მგონია, ესეც უნდა იცოდეთ, თუ სხვა გზით არა, ჩემის მიმართულებისაგან მაინც, რომ მე არ მივიყვანდი უტილიტარიზმს აბსურდამდის და არ გვაგამართლებდი მტაცებლობას, როგორც შენის აზრით, მოვექეცი აფხაზს<sup>223</sup> და მატყუერობით კაცის დალატობას, როგორს ხრიცსაც ვითომც ვუპირებდი ნიკო ლოლობერიძეს<sup>9</sup>.

შენ განაგრძობ ზევით მოყვარილს სიტყვებს შემდეგ: „მაგრამ შენი კაშკაში პატროსნებაც კი ექვეშ იმაგდებს. ამას წინეთ ფული გეთხოვა და აფხაზისთვის შემოგეთვალა: ამ ფულში შეუღწინის ისტორიას ქართულ ენაზედ ნათარგმნს გამოგიგზავნიო. თუმცა აფხაზი „ეთერის ფრთებით ჰაერში მფრინავი არ გახდა და კარგად იცოდა, რომ ეს გამოცემა ერთ ექვესას მანეთს (განამეტს არა?) კიდევ მოინდომებდა და ხეირს არას აჩვენებდა, მაგრამ იმან თავის სიგულკეთილე მაინც იხმარა და ფული გამოგზავნა (ვითომც, როგორც გლახაკს სამოწყალო?); აბა, მაგივრად რა უყავ შეუღწინის ისტორია?

შენ იტყვი, მაგივრად „ჩონგური“ გამოვეციო (ლოგიკა!); კარგი დაგეპართოს, მაგრამ იმ ფულსაც რომ შენ კვრებს!... (ენახოთ).

თუმცა ეს ლექსები ძლიერ სასარგებლო რამე მოგსვლია, მაგრამ ასეთი ფასი დაგიღვია...“<sup>271</sup> და შემდეგ: „გამოცემა სამას მანეთამდის დაძიქდაო და დაგიბეჭდია ათას წიგნამდის, ორი აბაზი ფასი რომ დაგედვა, 400 მანეთს მაინც აიღებდი. ერთი, რომ სარგებლობა აშკარად დაინახებოდა, რადგანაც ჩამოსვლის უმალ მიუცილებლად (ამ სიტყვის საფუძველი?) ყველას დაიტაცებდნენ (ვითომც!) და შენც ასი მანეთი გერგებოდა (ენახოთ), მეტი რა ვინდოდა!... სპეკულატივეური ბუნება თუ კაცს გაქვს (ენახოთ, არის სპეკულაცია „ჩონგური“, თუ არა?), განუსაზღვრელი პატიოსნების ფარდა მაინც ჩამოიხადე პირზედ. წაიკითხე შენი სიტყვები: მაგრამ ასეთი ფასი დაგიღვია... ორი აბაზი რომ დაგედვა... ესეც არის: ნიკოსთვის მოგეწერა, ორასი მანეთი ანლავე გამომიგზავნეო. შენ[ნ] ძლიერ კარგად გეცოდნება, მაგრამ ესეც არა ძვერა შენის ალტაცების აგან (!), რომ აქ (თითქო მარტო მაქ), თუ საწინდარი არ მიეც პირველად (თითქო ყოველთვის ასეა), გროშს არავინ განდობს. მაშასადამე (დიად!), შენი სიტყვები ამას ნიშნავდა: შენ ორასი მანეთი გამომიგზავნე კი და გაყიდი თუ არ გაყიდი, ჯანდაბამდის გზა გქონია!.. აა! ეს არ ნიშნავს. პატიოსნებას<sup>272</sup> (რა მშვენიერი დასკვნა არის და რა ღირსეული განჩინება, თუკი დასკვნა სწორია).

როგორც მახსოვს, ამნაირი პირობა დავეუდევი აფხაზს ნიკოს შუამდგომლობით: თუ ერთი წლის განმავლობაში გადათარგმნილი შეუღწინის ისტორია ვერ გამოგიგზავნე, ან თუ გამოგიგზავნე და ნათარგმნი ცუდი გამოდგა,

მაშინ მე ვალდებული ვიქნები ფული გადაგიხადო მეტქი.. ნიკოს კიდევაც ვუჩვენე ის წყარო, რომლისაგან უნდა დამეკმაყოფილებია აფხაზი. მე დანაშაულად ვრაცხ თავის თავს, რომ წიგნები ვერ გადავთარგმნე, რომ განზრახვად ვერ ავასრულე; ე. ი. მე ვარ პასუხისმგებელი თავის ზნეობითის ვალდებულების წინ.— დანაშაულად ვრაცხ თავის თავს აფხაზთანაც და ნიკოსთანაც, რადგანაც ნიკოს შუამდგომლობით აფხაზთან შეკრული პირობა ვერ ავასრულე აქამდის, ვერც ნათარგმნი წიგნის გამოგზავნით, ვერც ფულით. მაგრამ ამის გამო უპატიოსნოთ მე არ ვრაცხ თავის თავს, როგორც მრაცხ შენ 9 ივლისს ნოწერილს წიგნში, რომელიც იქნება პასუხზედ გამოასწოდებლად იყოს დაწერილი. უპატიოსნო მაშინ ვიქნებოდი, თუ რომ სასარგებლო შესაძლებელი გამომდგარიყოს პირობის ასრულება და მე არ ამესრულებინოს.

ნიკო ლოლბერიძეს გავუგზავნე წიგნი შულგინის თარგმანზე და აფხაზთან პირობის შეკვრაზე შენ და ბეჟანი<sup>77</sup> რომ პეტერბურლიდან წადით იმას შემდეგ, 1864 წლის დასაწყისში, როგორც მასხოვს იანვარში, თუ თებერვალში. მე შეგონა, რომ პასუხი ავი თუ კაი, მალე მომივა და რადგანაც იმ წლის აგვისტოში მაქვთ მინდობა წამოსვლა, ვთქვი, გადათარგმნილ წიგნს იქ ვინმეს გადავასწორებინებ და ისე ვადაცემ მეტქი აფხაზს. მაგრამ გავიდა დიდი ხანი და მე ვერაფერი ვერ შევლტყვე ამ საქმეზე. მაშინ დამახსენდა უხეირო დაბოლოება „ბიძია თომას ქობის“ თარგმანისა<sup>273</sup>, მეორე საქმისა, კიდევ სხვა საქმისა და ამას გარდა ისტორიის თარგმნის საქმეზედაც ვერაფერი შევიტყვე ვიფიქრე, ესეც უთუოდ ცუდათ დაბოლოებას ნიშნავს-თქო, მომივიდა გული და ერთს სადამოს, რაც ნათარგმნი მქონდა, დავხიე და ჩავეყარე იმში, რისკენაც ხელმწიფე ქვეითად წაბრბანდება ხოლმე. მერმე იენისის ბოლოში, თუ ივლისის დასაწყისში სრულიად მოულოდნელად მივიღე ნიკოსგან 600 მანეთი<sup>274</sup>. მთელი დრო რომ თარგმანისათვის მომენდომებია, მაინც ვერ გავათავებდი 1864 წლის ბოლომდის მთელ ისტორიას და ამისთვის ხელახლა შევუდექი ნელნელა თარგმნას. მაგრამ რამდენიც დღე და კვირა გადიოდა ამ თარგმანში, იმდენად თანდათან მემატებოდა ის რწმუნება, რომ შულგინის ისტორიის გამოცემა უსარგებლო იქნებოდა როგორც ჩვენი საზოგადოებისათვის, ისე აფხაზისათვის და ჩემთვის და ამისთვის ვამჯობინე. იმისი თარგმნის დრომდის ვადადება, თუმცა კი ველოდი და არც შევმცდარავარ, რომ ზოგიერთი უპატიოსნო მოქმედებათ ჩასთვლიდა ჩემგან პირობის აუსრულებლობას.

შულგინის ისტორიის მთარგმნელს, შენც დამეთანხმები, გიმნაზიელები კი არ უნდა ჰქონებოდა სახეში მარტო, ჩვენი მცითხველი საზოგადოება, საზოგადოთ, მოსამსახურე კაცები და ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრები თავადაზნაურები, რომლებიც კი დაჩვეული არიან წიგნების კითხვას. ეს ჩვენი

მკითხველი საზოგადოება, დანარჩენზედაც რომ არაფერი ვთქვათ, ისეთს გონებითს მდგომარეობაშია, რომ არა თუ შულგინის ისტორია, რაც უნდა გადაეთარგმნოთ, იმისთვის არ ივარგებს, თუ ზოგი ალაგი არ გაუფრცხლეთ და ზოგი შეეამოკლეთ და შულგინის ისტორიას ამას გარდა ბევრი აზრების გადასწორება დასჭირდებოდა, ჩემის აზრით. უნდა გაგიტყდეთ, ისტორიის კურსის თარგმანი ვერ მოიტანდა იმდენს საარგებელს, რამდენიც უნდა მოგვეთხოვა იმისგან, ამიტომ, რომ ჯერ საქართველოში არავითარი გეოგრაფია, არავითარი შემოკლებული ისტორია არ გამოსულა, რომ იმათ ხელი გემაართოთ და წახალისებიათ ისინი უფრო ვრცელი ისტორიის წასაკითხავად. რომ მე, არა თუ მაშინ, ახლაც არ შემოძლიან იმისი გადასწორება და კომენტარების გაკეთება ისე, რომ ჩემი სინდისის წინ უცოდველად ვიგანო თავისი თავი. ამის გამო ისტორიას კიდევ უფრო ბევრი კომენტარები უნდა დასჭირებოდა და უნდა მოვიხსენიო კიდევ ერთი გარემოება, რომელიც არ უნდა დავივიწყოთ თარგმნის დროს. იმისთანა თარგმანს, როგორც ისტორიის კურსის თარგმანს, თითქმის რომანის თარგმანსაც, ბევრი ახალი სიტყვები სჭიროდა, რადგანაც ჩვენ ენაში არ იყვნენ ისინი, მე დარწმუნებული ვიყავი და ვარ, რომ ერთ კაცს, რაც უნდა კარგად იცოდეს ქართული ენა და სხვა ენები, არ შეუძლიან, რომ შემოიტანოს ყველა იმისთანა სიტყვები, რომ ნამდვილად გამოხატავდეს აზრს და ეთვისებოდეს ქართულს ენას. მე მეგონა და არც შევეცდარვარ, რომ უფროაღაზეთები ხშირად სხვადასხვა აზრებში ახალი სიტყვების ხმარებით უფრო ადვილად გვიჩვენებენ, თუ რომელი სიტყვა უფრო სწორედ გამოხატავს აზრს და უფრო ეთვისება მეთქი ჩვენს ენას, სანამ ბევრი ამგვარი სიტყვები არ შემოვლენ ჩვენს ენაში, მანამდის ერთი კაცისაგან აღმოთარგმნილი ისტორიის კურსი ან სულ გაუგებელი დარჩება, ან არა და, მრუდვე აზრებს ჩაუნერგავს მკითხველ საზოგადოებას. ეს გარემოებაც მიემატა იმ მიზეზებს, რომლებსაც გამო მე გადავდევნი დრომდის ისტორიის თარგმანი.

შენ ამბობ, რომ ისტორიის კურსის გამოცემა მოითხოვდა კიდევ ექვსას მანეთს და გამომცემელს ხეირს არ აჩვენებდაო. შენც უთუოდ კარგად გეცოდინება ახლა ტიპოგრაფიის ამბავი, მე შევიტყვე კარგად „ჩონგურის“ გამოცემაში და გამოიანგარიშე, 60 თაბახის გამოცემას რამდენი მოუნდება და ამასთან არ დაგვაიწყდეს, რომ შულგინის ისტორია მეტია 60 თაბახზე და შენიშვნებით, ზოგი ალაგის გავრცელებით, მეტადრე იმისგან, რომ ქართული ბეჭედი უფრო ბევრს ალაგს იჭერს, ვინემ რუსული, კიდევ უფრო მეტს ქალაქს მოითხოვდა: თუ წარმოვიდგენთ, რომ ისტორიას დაჭირდებოდა 80 თაბახი, დაიბეჭდებოდა ის 600 ექვმპლიარი, 4 მანეთთან ქალაქზედ, (ტფილისში ბევრიაო ქალაქი) დიდი თაბახის დაბეჭდვა თუ ელირებოდა 15 მანეთად (ვგონებ, ძლიერ იაფად ვაფასებ), მაშინ, ჩემის აზრით, მთელი ისტორიის კურსის დაბეჭდვა დაჭდებოდა 2000 მანეთამდის. ახლა უფრო მიხვდები, ხეირს აჩვენებდა გამომცემელს, თუ არა.

რაც შეეხება ჩემს საკუთარს სარგებლობას, ამაზედ ახლა უფრო ადვილად ვაიგებ შენ, ვინემ მაშინ, როცა წიგნს მწერდი. შენ ახლა მუდამ თარგმანში ხარ და გეცოდინება იმისი გემო და სარგებლობაც. მე დავრწმუნდი, რომ სანამ ჩვენს ენას არ მიუღია ლიტერატურულად დაწყობილი ფორმა, მანემღის მეცნიერული წიგნების თარგმნა იქნება ყოველთვის ტანჯვა და რომ ჩეტი ერთი თაბახი ნათარგმნი, თუ კაცი სინდისიანად დაათვათებს, ერთ თუემანზე მეტი უნდა ეღიროს, ვგონებ. მაშასადამე, კარგად ვაიგებ, რომ ექვსასი მანეთის მიღებისათვის არც მე დავიწყებდი უთერის ფრთებით აღმა ფრენას. ამას გარდა, როცა ყველა ეს გარემოებები ავსწონე, მაშინ ცხადად დავინახე, რომ ჩემი ერთი წელის განსაკუთრებითი თარგმნითი შრომა დარჩებოდა უმადურ შრომად, რომლისაგან ვერც საზოგადოება მიიღებდა სარგებლობას, ვერც გამომცემელი და მე დავკარგავდი ერთს წელსწადს, რომლის განმავლობაში უნდა მეცადა არა მარტო ჩემთვის სასარგებლო სწავლის შეძინება, რომლის ნაკლულევანებას კაცი თანდათან უფრო და უფრო გრძნობს.

აი, ამ მიზეზების გამო მე ვერ ავასრულე ჩემგან დანაპირები თარგმნის გამოგზავნა. მაგრამ მე რომ სახეში არ მქონებოდა ძველი ამხანაგობა, რომელიც პირობის დამდებლებს ცოტა თავისუფლებას გვაძლევს, მე რომ ნიკოს<sup>9</sup> შუამდგომლობით შემეკრა პირობა ვინმე ვაჭართან და არა აფხაზთან<sup>223</sup>, მაშინ, რაც უნდა დამშართოდა, უნდა ამესრულებინა უთუოდ პირობა და გამოგზავნა ნათარგმნი წიგნი. თუ ამას ვერ ვაქედი, მაშინ მე არა თუ ვაჭარისთვის, აფხაზისთვისაც უნდა გადამეხადა ის ფულები თავის დროზე და იმ წყაროსაგან, რომელიც ნიკოს ვუჩვენე, მაგრამ გარემოებები ისე დაიხლართენ და ისე მანებელი გამოდგნენ ჩემის აქ დარჩენისათვისაც და მაქვთ წამოსვლისათვისაც, რომ ვერ მოვახერხე ფულების გადახდა. მე რომ ვაჭართან მქონებოდა საქმე, ან არ მცოდნებოდა, რომ აფხაზი უექვსას მანეთად არ დაიღუპებოდა, მაშინ პირველს შემთხვევაში, როგორც თავის თავის გამოსახსნელად, ისე ნიკოს გამოსახსნელად და მეორე შემთხვევაში ზნეობითის ტანჯვისაგან გასათავისუფლებლად უნდა მემოვნა როგორმე ფულები და გარდამეხადა.

შენ მკითხავ: „რა უყავ შუღლისის ისტორია?“ ამისი პასუხი, ვგონებ, ზევითა ვსაქვი, მაგრამ შენ მახვილგონიერებას კავშირი მოუპოვია აფხაზის დაკმაყოფილებასა და „ჩონგურის“ გამოცემას შუა, — შენ ამბობ: „შენ იტყვი, რომ მაგივრად „ჩონგური“ გამოვეციო,“ — საიღამ საღალო!... ამისთანა ლოლიკური აზრი ღმერთმა ნურავის ათქმევინოს. მერმე განაგრძობ: „—კარგი დაგემართოს, მაგრამ იმ ფულსაც რომ შენ კვრებ...“ და ამასთან მიკითხავ ვერ პრაქტიკული ფილოსოფიის ლექციას, მერმე ზნეობითი ფილოსოფიისას, რომლის ბოლოს მაძინებ უპატიოსნებაზედაც კიდევ უფრო უარესს რამეს.

მე რომ ექვსასი მანეთი მივიღე ნიკოსაგან<sup>5</sup>; იმისაგან 200 მანეთი უქეტესი ნაწილი ვალებში წავიდა და სხვით წიგნები ვიყიდე. ზოგი ჩვენთაგანთ ისეთი გაქირვებული იყვნენ, რომ დანარჩენი 400 მანეთისაგან არ შემქმნო არ შეთხოვებია ერთისთვის 50 მანეთი, მეორესთვის — 50, მესამესთვის — 60, ისე რომ, იმედი აღარ მქონდა საქართველოში წასვლადის მიმელო. 40 მანეთამდის თითქმის წავიდა წვრილმან სავაჭროებში: თუ ნიფხავ-პერანგში; თუ საბანსა და ზეწრებში, რომელთაც სრულიად მილატეს და სხვ. მაშ. დამრჩა 200 მანეთი ან ცოტა მეტი და რადგანაც ეს ფული არ მეყოფოდა მეორე სექტემბრამდის (მაშინ ვერც მოვასწრებდი ეკზამენის დაქვრას და არც ნებას აძლევდნენ), და სხვა ღონისძიებას ვერსად ვხედავდი, მე განვიზრახე უპრაქტიკოდ სისრულეში მომეყვანა დიდი ხნიდამ განზრახული აზრი (ლექსების კრებას გამოცემა) და ამით ცოტა ხელი გამემართა და ეს საჭირო იყო როგორც ეკზამენისთვის, ისე აფხაზთან შეკრული პირობის ასასრულებლად.

„მაშ, მე არ ვსტყუე“ — დაიყვირებ შენ: „მაშ, შენ სპეკულიატიური აზრი გქონია სახეში“, ვნახოთ!

არ დაივიწყო, რომ „ჩონგურის“<sup>66</sup> ბექდვას მე შევეუდექი ნოემბრის დასაწყისში და მაშინ მარტო ქალაქის მეტი არაფერი მიყიდა; აქედამ ადვილად დაინახავ, თუ რამდენი დამრჩებოდა კიდევ იაშურისა და თებერვლისათვის, როცა ვადვიხადე ტიპოგრაფიის ფულები, აკინძვის, ფოჩტის. მაშ, აფხაზის ფულებით არ გამომიცია „ჩონგური“ და კიდევაც რომ იმის ფულებით გამომეცეს, შულგინის ისტორიის სამაგიერო რათ იქნებოდა, — აბა, შენი ჭირიმე, რა აფხაზის ვალის გადახდა იქნებოდა ჩემგან ლექსების გამოცემა! შიკვირს!

ახლა მე უნდა მოგიყვე „ჩონგურის“ ისტორია, რომელიც უინტერესო არ იქნება შენთვის. იმედი მაქვს, რომ იქიდან აღარ გამოიყვან, ვითომც, მე სპეკულიაცია მქონდეს სახეში და რომ ეს სპეკულიაცია პატიოსნების ფარდით დამეფაროს. — როცა „ჩონგურის“ გამოცემის სისრულეში მოყვანა განვიზრახე, მე მოვწერე წიგნი ილ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ს<sup>215</sup>, რომ ახალი ლექსები გამოეგზავნა და „რამდენიმე სურათის“<sup>276</sup> გასწორებული ვაგრძელება; ამასთან მივწერე სხვის ზელით წიგნი ავ. წერეთელსა<sup>54</sup> იმავე თხოვნით; ილიკომ<sup>215</sup> გამომიგზავნა ორი ლექსი; „ნანინა“<sup>276</sup> და „სტუდენტების სიმღერა“<sup>277</sup>. ეს უკანასკნელი არ დამიბეჭდავს, რადგან ჩვენები თავის მოწონებათ ჩამოგვართმევდნენ, სხვა ლექსებზე იმან მომწერა, რომ არა მაქვსო, „ქართვლის დედა“<sup>278</sup> არ ვარგაო და „რამდენიმე სურათი“ სულ გადასწორებული ქონდა, თუ არა ამაზედ არაფერი შემოუთვლია, მწერდა მხოლოდ, რომ არ გიგზავნი „რამდენიმე სურათს“, რადგან ვიცი, ცენზურა არ გაუშვებსო და რომ კიდევაც გაუშვას, წიგნს ალგიკრძალვენო<sup>279</sup>.

აკაკოზედაც<sup>54</sup> იმედი მქონდა, მე მეგონა, რომ ლექსების გამოცემაში არ გაიხსენებდა იმას, რომ ჩვენ არ ვიყავით კარგად ერთმანეთთან 1863 წლიდამ.

იმან პასუხი არ შემომოთვალა, თორემ ლექსების გამოუგზავნელობას ვინღა დაეებდა? მხოლოდ სამსონ აბაშიძე<sup>24</sup> სწერდა იმ კაცს, რომელსაც წიგნი მივაწერინე აკაკისათვის, რომ აკაკიმ თავისი ლექსები, რაც დაუწერია და ან რასაც დასწერს, ყველა მე მომცა, ისე რომ, არა თუ სხვას, თვითონ აკაკისაც არ შეუძლიან ჩემდა უნებურად გამოცემაო, ამისათვის მე veto-ს გეუბნებითო, არ გამოსცეთო, თორემ წიგნებს კონფისკაციას ვუქო. მე ამაზედ ბევრი ვიცინე და რადგანაც იმის ლექსებზე იმედი გადავწყვიტე, გავუგზავნე ჩემს შუამდგომელს<sup>25</sup> ამის პასუხი, რომელიც, თუ იმას სურდა, უნდა გაეგზავნა აკაკისათვის. ამ წიგნში მე ვწერდი, რომ, თუ უკაცრავად არ ვარ, ჩემი თხოვნა ვერ გაუგია უფალ სამსონს მეთქი, მე ხომ ნებას არ ვთხოვდი, ნებას მაშინ ვთხოვდი, რომ აკაკის ყველა ლექსების გამოცემა მნდომებოდეს, მაგრამ მე სბორნიკს ვსცემ და სბორნიკისათვის დაბეჭდილ ლექსებს ყოველთვის მოვიხმარ მეთქი.— მე ვთხოვდი ახალ ლექსებს, რომ ისინი სხვა იმის დარჩეულ ლექსებთან დამებეჭდა და ამით, მე მგონია, სრული იმისი ლექსების გამოცემელს სრულიად არ ვაჩვენებდი ზარალს, მე მგონია, რომ სბორნიკში დაბეჭდილი დარჩეული ლექსები რეპუტაციას გაუყეებდნენ შწერალს და მაშინ იმისი სრული თხზულებების კრება უფრო გააყიდებოდა მეთქი. ამასთან მე ვწერდი, თუმცა ძლიერ ფრთხილად, სხვადასხვა რამეებს, რომელიც იმან მიიღო დაიცინებათ, და წიგნის ბოლოში ისე ვაგრძნობინე, რომ, თუ სამსონ. ძალიან ფეხს გაიდგამს, ფაიხსენოს, რომ მე შემიძლიან ბევრი რამ სასიამო ჩავუართო ჩემ ლექსების კრებაში მეთქი... მიიღეს თუ არა ეს წიგნი ორმა მემგობრებმა, ორივემ ცალ-ცალკე წიგნი გამოუგზავნეს ჩემს შუამდგომელს და მლანბლავდნენ, ერთი რასაკვირველია, ძლიერ იდიოტურად და მეორე ბოროტად, მაგრამ, არ შემიძლიან არა ვსთქვა, მახვილგონიერულად, თუმცა, რასაკვირველია, კრიტიკას ვერ გაუმაგრდებოდა იმისი პასუხი. როცა ლანბლავით ვერა გაარიგეს რა, მაშინ დაიწყეს ყვირილი: კირილე ნუ სცემს სბორნიკსო, თორემ ჩვენც გამოვცემთო და მის სავენებლად ხუთშაურად გავყიდითო<sup>261</sup>.

რა უნდა მექნა? ფულები ცოტა იყო, ლექსები ვერ მივიღე. უნდა დამეტოვებია „ჩონგურის“ გამოცემა. მაგრამ გულმა მითხრა: „რაც უნდა იყოს, გამოეცე! შენ ამხანაგებს და შენ ბევრი რამ საქმეები დაგიწყიათ და არც ერთი არ შეგისრულებიათ, — მუდამ ამგვარად საქმის ფათავება ენერგიას უკარგავს კაცს, გამოეცე!“ შევეუდექი ლექსების კრებას. „ცისკრის“<sup>70</sup> ნომრებიდან აკადემიის ბიბლიოთეკაში გადავწერე აკაკის ლექსები: „სიმღერა მკის დროს“<sup>282</sup>, „მოგონება“<sup>283</sup>, „გლენის აღსარება“<sup>284</sup>, ზღაპარი<sup>285</sup>, რაფ. ერისთავის: „წრეს გარდასული წრეში შემოსულს“<sup>286</sup> და უმეტესი ნაწილი ბარათაშვილის<sup>213</sup>, ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის და რაფ. ერისთავის ლექსებითგან,

შევასწორე „ცისკარში“ დაბეჭდილთან და მართლწერის ნიშნები დავუსვი, რაც საჭირო იყო და „ცისკარში“ არ იყო, გადავიკითხე სულ ყველა ლექსები, რაც ცისკარში იყო, ან „საქართველოს მოამბეში“<sup>127</sup>, მაგრამ კარგი ლექსები ძლიერ ცოტა მოგროვდნენ, ერთის მხრით, იმიტომ, რომ აკ. წერეთლის ლექსებს კანონით ბევრს ვერ დავბეჭდავდი, რადგანაც იმას ჩივილი შეეძლო, თუ რომ იმისი ლექსები წიგნის მესამეზედ მეტი გამოდგარიყო.

ეს ლექსების სიცოტავე და ის, რომ აკაკის დარჩეული ლექსები წიგნის შესამედზედ მეტი არ დარჩენილიყო, იყვენ იმისი მიზეზი, რომ „ჩონგურში“ შევიდნენ უცებ და ამის გამო უხეიროდ, თუმცა ორგინალთან სწორედ, გადათარგმნილი „პოეტი და მოქალაქე“<sup>287</sup> და სხვა ლექსები, როგორც არიან, მაგალითად: „მოხუცის ნაამბობი“<sup>288</sup>, „ყადის ჭორი“<sup>289</sup>, „წრეს გარდასული წრეში შემოსულს“, „მადლი შენს გამჩენს ღამაზო ქალო შავთვალეზიანო“<sup>290</sup> და სხვა ამგვარები.

ამავე მიზეზებმა მაიძულეს და ავტორის<sup>215</sup> კეთილგანზრახვამ და გულკეთილობამ გამაბედვინეს, რომ ავტორის უნებურად ჩავურთე ცენზურაში შესატანს წიგნს „ქართველს დედას“ და მთელი „რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებებიდამ“. თუმცა „ჩონგურში“ ზოგი ლექსები უხეირო არიან, მაგრამ მე ვცდილობდი, რომ უხეირო ლექსებისაგან გამომერჩია უფრო ცოტათი უხეირო ლექსები, რომ ყოველივე ლექსი ცოტა რამეთი მაინც ყოფილიყო კარგი. ამა[ს] გარდა, მე ვცდილობდი, ისე დამეწყო ეს ლექსები, რომ ამ რეგზე დაწყობაშიაც აზრი ყოფილიყო. აგრე ტყუილათ არ დამიწყვიტა ლექსები გრუპებთა და ტყუილად და არც თავმოწონებით არ დამიბეჭდავს „ჩონგურის“ თავში „პოეტი და მოქალაქე“, „იარალისადმი“<sup>291</sup>-ს დაბეჭდისათვის აბღუშელიშვილმა<sup>292</sup> დიდი საყვედური შემომითვალა; მე თუმცა თანახმა ვარ იმისი, მაგრამ ეგ ლექსი „საფრად დავბეჭდე, ვინცობაა, პატრიოტულ ლექსებს ჰკანგი მოჰკიდონ, ხელში „იარალისადმი“ მივეცემთ[ქ]ო. მართლაცდა, ეგ ლექსი შემეწვია „ნანინას“ დაბეჭდვაში. „მოხუცის ნაამბობში“, თუმცა აზრი არაფერი, მაგრამ კარგი მიბაძვა არის და კარგის ენით დაწერილი. „პეპელა“<sup>293</sup>, „სიყვარული“<sup>294</sup>, „წრეს გარდასული“<sup>286</sup>, „თვალეზო“<sup>290</sup> და სხვა ამგვარებში გრანობა არის ძლიერ კარგად გამოთქმული. „ყადის ჭორი“<sup>269</sup>-ს ამბავი, თუმცა არ მომწონს, მაგრამ ბოლოსში ორიოდ სიტყვა კარგია.

წიგნი შევიტანე ცენზურის კომიტეტში სექტემბრის პირველ რიცხვებში. იქიდან გააგზავნეს უნივერსიტეტში და უნივერსიტეტმა გადასცა ჩუბინოვს<sup>113</sup> წასაკითხავად. ჩუბინოვს ჰქონდა ის წიგნი ნომებრადის. ყოველ კვირას დავდიოდი იმასთან, რომ როგორმე მალე წამეკითხვინებინა ის წიგნი. ბოლოს გააგზავნა წიგნი უკანვე თავისი პასუხით, რომ წიგნი შეიძლება დაიბეჭდოსო. უნდა გითხრა, რომ იქ გახაზული იყო წითელი მელნით „გლეხის ახსარებაში“<sup>284</sup>

სიტყვა „მღვდელივით“, რომლის მაგიერ იმას უნდოდა, რომ დამეწერა „ბატონი“, თუმცა ზე მოუყვანე საბუთად, რომ „ცნაქარში“ დაბეჭდილია-მეთქი; მაგრამ იმან არ იცნება და არც მე დაეთანხმე „ბატონი“-ის დაბეჭდაზე: ამოშლილი იყო კიდევ „ქართლის დედაში“<sup>276</sup>; „სწორობას“, „თავისუფლებას“, „მუსერში“<sup>295</sup>; „სამართალს“, „რამდენიმე სურათში“: „გლეხ კაცის და ყმის საბრალე ბედი ვერა, ვერ ვასძლებს ბატონის ხელში“ და სხვა სიტყვები ბატონისა, ზაქროს და კაცოს, რომელიც შეეხებოდნენ ან ზაქროს შამის ცოცხლად დამარბვას, ან ბატონის მოკვლას.

ამგვარად, წიგნის ბეჭდვა დავიწყე ნოემბერში, მაგრამ რადგანაც აკადემიის ტიპოგრაფს ბევრი საქმეები ჰქონდა, როგორც საკუთრად აკადემიის, ისე სხვისი, ჩემი წიგნით დაწყებული და ჩემი წიგნის ამწყობმა ბეჭდვა არ იცოდა, ამისათვის ბეჭდვა ძლიერ გაგრძელდა, ისე რომ, იანვარში ძლივს მივიღა ბეჭდვა „რამდენიმე სურათამდის“. ჩუბინაშვილს ეთხოვრებია ცენზორისათვის, რომელმაც ხელი მოაწერა „ჩონჯურზე“, „რამდენიმე სურათის“ აზრი; იმას ეთქვა, რომ მაგისტანა ლექსები შურს აღძრავს მებატონეებსა და გლეხებს შუა და რაც თრწოდებას შუა შურის აღმბერელია, იმისი დაბეჭდა არ შეიძლებაო: ამგვარად, „რამდენიმე სურათის“ ბოლო ათი გვერდი გამოშვებინეს. იქნება, ნებაც მოეცათ, მაგრამ ავტორის სიტყვების გამო იძულებულმა ბევრი აღარც მე შევიწუხე თავი; მაგრამ, რადგან ქაღალდი ტყვილად რჩებოდა, ამისთვის მე ვთხოვე ცენზორს, რომ გამოშვებული ადგილის მაგიერ სხვა ლექსები მაინც დამაბეჭდინეთ-თქო და მივიტანე რვა გვერდზედ დასაბეჭდი ლექსები: „ყველაზედ უფრო“<sup>296</sup> (გვარიან კარგად გადასწორებული), „ყველანი მძანები ვართ“<sup>297</sup>, თუმცა 1865-ში ნათარგმნია, მაგრამ რადგან წიგნზე დაბეჭდილი იყო მაშინ 1864, ამისათვის ლექსის ქვეშაც ეს წელია, და „საბრალე გული“<sup>298</sup> (აქ. წერეთელი). ამათგან „ყველაზედ უფრო“ არ გაუშვეს და „ყველანი მძანები ვართ“ ძლივს გადავა[რ]ჩინე სოციალური აზრის შეწამებისაგან.

რამდენჯერ შევსტრუღვარ უნივერსიტეტის კანცელარიაში, რამდენჯერ ცენზურის კამიტეტში, რამდენჯერ ცენზორთან, ეს ღმერთმა შეინახოს. სხვაზედ მოვილაპარაკებ.

წიგნის ამწყობი იყო ერთი ვიღაც სომეხი და ფაქტორმა მიიხარა, რომ თუ კარგად დაწერილი არ იქნება წიგნი, ისე ვერ ააწყობსო და მე იძულებული ვიყავი ამ გვარაი გრგვალ ხელით გადამეწერა მთელი წიგნი ისე, რომ ყოველი ასო ცალ-ცალკე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამას ვინდა დაეძებდა: რადგან ამწყობმა არ იცოდა, თუ რანაირათ გადაეტანა ერთი სტრიქონი მეორე სტრიქონზე, ან რამდენი ალაგი უნდა გაეშვა ლექსებს შუა, ამისთვის ძე უნდა დამეწერა ის წიგნი ისე, რომ თითო გვერდზე 24 სტრიქონი დამეწერა და რომ სტრიქონების კარგად გადასატანად გრძელ ლექსებში ასოებიც უნდა მეთვალა. ამას ვარდა, ის სომეხი თავისებურად ასწორებდა ხოლმე



ქვეყნის და ბარათაშვილის ლექსებს. ისე რომ, ყოველი ლექსი ორიგინალში უნდა შემესწორობია. ვერც ერთს თაბახს (აქ თაბახათ წიგნზე 16 გვ.) ვერ ვამყოფინე ოთხ კორრექტურაზე ნაკლები, შუა წიგნში ერთს თაბახს, მანსოვს, მ კორრექტურა მოუნდა, მეორეს შეიღი. — ამასთან წარმოიდგინე: რომ ყოველ[ი] კორრექტურა სამ-ოთხჯერ გადაკითხვით მიღირდა, რადგან წერაში ლექსები ყველა ზეპირად დამამახსოვნდა და ამის გამო თუმცა ძალიან ნელა ვკითხულობდი, მაგრამ ასოები მაინც შეპარებოდა. ეს ორი მიზეზი იყო, რომ წიგნის პირველ ნახევარში არის უფრო მეტი შეცდომები — შუა წიგნს იქით უფრო ცოტა კორრექტურა ყოფნიდა. როგორც შევატყვევ, რომ ცოტა შეცდომები იყო, მე უთხარი ფაქტორს, რომ ახლა ოლიერ ცოტა შეცდომები არისაქო და რისთვის! იმან მიპასუხა, რომ რადგანაც სომეხი ხშირად არ დადიოდა და აწყობა გააგრძელა, ამისთვის ერთ ნემესს ვასწავლეთ ქართული ასოები და იმას! წიგნის აწყობა ნემესს მივანდევთ. ესეც უნდა გითხრა, რომ ყოველ კორრექტურას შინ მომიტანდნენ და გასწორებული კი მე უნდა მიმეტანა ტიპოგრაფიაში, ამას გარდა, უკანასკნელი კორრექტურა ყოველთვის ჩუბინაშვილისთვის უნდა მიმეტანა. ის წაიკითხავდა და დააწერდა, რომ დაბეჭდა შეიძლებაო, თორემ ისე არ ბეჭდიდენ. — კორრექტურამ ისე შემატულა ის ლექსები, რომ მას აქეთ აქამდის არ[ც] ერთი ლექსი არ წამიკითხავს სიამოვნებით. თუმცა თავი მოგაბეზრე ამდენის ყბედობით, მაგრამ მე არა მგონია, რომ ამ ჩემი ნალაპარაკებისაგან ნამდვილად წარმოიდგინო, რაც უსიამოვნება და უმადური შრომა გაეწიე „ჩონგურის“ ბეჭდვაში.

ეს წილადობილა ამიტომ მოგიყვი, რომ დაგანახო, რომ ლექსების კრებაში არ ყოფილა სპეკულიატივეური აზრი და რომ ამის დაბეჭდვას ცოტა შრომა არ დასჭირებია. სპეკულიატივეური აზრი რომ მქონებოდა სახეში, მაშინ მე უნდა დამებეჭდა სიმღერები ალ. ჭავ.<sup>299</sup> გრიგ. ორბელიანი<sup>300</sup>[ს], ბესარ. გაბაშვილის<sup>301</sup>, გურამიშვილის<sup>302</sup>, თუმანოვის<sup>303</sup> და სხვების და იქვი არ არის, რომ ერთი მანეთიც რო დამეღვა ფასი, მაინც ოლიერ ბევრი გაიცილებოდა. მაგრამ ეს ჩემი შრომა ეკუთვნის უფრო გამოცემის მატერიალურ მხარეს. ამისათვის სჯობია ამ გამოცემაზე მოვილაპარაკო. „ჩონგურის“ მატერიალურ მხარეშიაც არ არის სპეკულიატივეური აზრი, არც ფარდა გადაფარებული (როგორსაც შენ ზედაც), არც ფარდა გადაუფარებელი. შენ ამბობ, ჩონგური ორი აბაზი რომ დამეფასებია, მაშინ ჩამოსვლის უმალ მიუცილებლად ყველას დაიტაცებდნენო. სპეკულიატივეური ბუნება თუ კაც[ს] გაქვს, განუსაზღვრელი პატიოსანების ფარდა მაინც ჩამოიხადეო პირზედ. სიტყვისაგან „ჩამოიხადე“ სჩანს, რომ შენ „ჩამოიხადეს“ ამბობ, მაგრამ ეს აზრი ისე უხეიროდ ეკვრება ზეგურ შენს აზრს, რომ „ჩამოიხადე“ „ჩამოიფარეთ“ უნდა წავიკითხოთ: აბა, შენი ჭირივე, თუ სპეკულიაცია იმაშია, რომ ათასი ეკზემპლიარი დავბეჭდე, ან ეკზემპლიარს მან. ვყიდდი, სჩანს, მე არ მდომებია, რომ ჩემ სპეკულიაციას — თუ კი სპეკულიაცია არის „ჩონგურის“ გამოცემა — პა-

ტიონების ფარდა ქონებოდა ჩამოფარებული, მაშასადამე, ფარდა ჩამომიხდია. მაგრამ შენ ამბობ: ორი აბაზი რომ დაგედვა, ჩამოსვლის უმალ დაიტაცებდნენო და შენც ასი მანეთი გერგებოდაო. ამითი შენ მასწავლი, რომ ფარდა რათ აიხადე, ჩამოფარება არ სჯობდაო, თუ სპეკულაციის კარგად გათავება გინდოდაო.

ამ პოლემიკისაგან შენ ვერ დაგაჯერებ, რასაკვირველია, რომ „ჩონგურის“<sup>66</sup> გამოცემაში არ ყოფილა სპეკულაციური აზრი და ვერც იმას, რომ „ჩონგურში“ აღებული ფულები მართო მე არ შემეცვრებია. ამისთვის მე უნდა მოგიყვე კიდევ მეორე წილადობილას, რომლისაგანაც იმასაც მიხვდები, რომ მე არ მინდოდა მატყუერობით ნიკოს<sup>9</sup> დალატობა.

ზევით გითხარი, თუ როდის დავიწყე წიგნის ბეჭდვა, რამდენი ფული დამრჩა 600 მანეთისაგან. ვგონებ, მიხვდე, თუ რავდენი მიმყობოდა ნოემბრამდის\*... რადგანაც ჩემი ფულები არ ეყოფოდა გამოცემას, ამისთვის ვისჯესხე 7 იანვარს 1865 წ. 150 მანეთი 4 თვის ვადით 5% თვეში, დამოწმებული სხელობით\*\*... ამ ორმოცდათი მანეთისაგან 30-ში ყოველ თვეობით ეძლევი 5% და 20 მანეთი 5%. ეს ფულები სულ ლექსების ასაწყობათ მივეცი, თაბახში 14,50 მანეთი, ისიც ჩუბინაშვილის შემწეობით, თორემ მეტს გამომართმევდნენ. დასაბეჭდათ თაბახში, ყოველ ხუთასს ეგზემპლიარში 1,50 მ. სახვევის დასაბეჭდად — 3,80 მ. „ჩონგურის“ მოჭრაში — 5 მანეთი. ცენზურაში გასაგზავნ 10 ეგზემპლიარის აკინძვაში — 20 კაპ. დანარჩენი ეგზემპლარების ასაკინძავად თითოში —  $1\frac{1}{4}$  კაპეიკი, ორი შეცდომის გასწორება და

მიწებება (ბოლოში რომ არის) დაჯდა 4 მანეთი. წიგნი დაიბეჭდა. ტფილისში გაგზავნილმა 351 ეგზემპ. აიწონა 4 ფუთი და 16 გირვანქა; ქუთაისში გაგზავნილმა 263 ეგზემპ. აიწონა 3 ფუთი და 18 გირვანქა. თითო გირვანქის გასაგზავნათ აიღეს 11 კაპ. საზღვეველი (страховых) წიგნში 1 კაპ. ორი რასპისკა 10 კაპ. კოლოფები, თავის კლეიონკოთ, ტილოთი, ლურსმნებით, ბაწრებით, მახათით, რომლითაც შევეკერე, წვრილი ბაწარი კოლოფების შინ მოტანით, დაჯდა, როგორც მახსოვს, 10 მანეთამდის. უნდა შევნიშნო, რომ მე არ ვანგარიშობ, რადგან აღარ მახსოვს, თუ რავდენი დაიხარჯა ფოჩტაში „ჩონგურის“ მისატანად, კოლოფების ახდელი თავების გადაკერება, ლაჭი და სხვ. არც ის მახსოვს, თუ რავდენი დაიხარჯა წვრილმანებში, თუ დროშკებში „ჩონგურის“ გამოცემის გამო. ამ ხარჯს, რომელიც ანგარიშში არ შემეყავს, დაფარავდა, თუმც სულ არა, აქ განაყიდი „ჩონგურის“ ფასი. აქ გაეყიდე 8 ეგზემპლ[არი]. არც იმაზე განვაგრძელებ ლაპარაკს, თუ რა ჯაფა გაე-

\* ამის შემდეგ ტექსტი სრულიად გაურკვეველია, ამიტომ რამდენიმე სტრიქონი გამოეტოვეთ.

\*\* ამ ადგილას დასმულია კ. ლ-ის მიერ გაკეთებული ჩამატების ნიშანი, რომელსაც ვერ მივკვლიეთ. როგორც ჩანს, ის ფურცელი დაკარგულია.

წიე და რამდენი სისხლი მდინდა ცხვირიდამ წიენების ჩალაგებაზე, რომლებ-  
[ს]აც ლათინური ლექსიკონითა და ჩაქუჩით ვტენიდი, და კოლოფების გარ-  
შემო კლეიონკისა და ტილოების შემოკერება. ამგვარად, თუ ჩემ შრომას,  
რაც „ჩონგურის“ გამოცემას დასჭირდა, საზოგადოდ, არაფრად არ დაეფასებ  
200 ეკზენა. „ჩონგურის“ გამოცემა დამიჯდა:

150 მანეთი ვალი, რომელიც მე ავიღე 4 თვის ვადით 7-ს იანვ. 1865 წ.,  
უნდა გადამეხადა 7 მაისს. ამიტომაც ვსთხოვე ნიკოს, ფულები ეშოვნა  
როგორმე, მე მეგონა, რომ ის უფრო იშოვიდა ფულებს ტფილ. უსარგებლო-  
თაც. ვინემ პეტერ. მე და სარგებლით. თუმცა ნიკოსაგან<sup>9</sup> აპრილის თვეში გა-  
შოგზავნილმა ასმა მანეთმა თითქმის სულზე მომიწწრო, მაგრამ ჩემისა  
და სხვების შევიწროებულ მდგომარეობისა გამოვერ  
გადავიხადე ვადაზედ დროებითი ვალი, ამას გარდა, გირაოთი აღებული  
ვალის გადასახადი ფულებიც ვერ ვიშოვე დიდხანამდის; „ჩონგურის“ გამო-  
ცემის ჯამს იმიტომ ვამატებ სარგებლის ნახევარს, რომ ზოგი სარგებელი  
ჩემი გარემოებების ბრალია და სრულიადაც არ შეეხება „ჩონგურის“ გამო-  
ცემას. რაც, ეს ეს არის, ნიკოსაგან თხოვნაზე გითხარი, იმისაგან შენ იგრ-  
ძნობ, რომ მე იმისი მოტყუება არ მდნომებია და რომ ჩემი თხოვნა იყო გა-  
რემობაებისაგან ნაიძულები, მაგრამ ეს რომ კარგად გაავებინო, მე უნდა  
შემოგიტვალო, იმედი მქონდა „ჩონგურის“ გაყიდვაზე, თუ არა? თუ ჩონგუ-  
რის“ გამოცემაში ჰპეკულაციას აღარ ხედავ, შენ აგრე ასსნი: „1200 ეკზემ-  
პლიარის დაბეჭდა ნიშნავს გაყიდვის იმედს, და 1 მანეთი ფასი უიმედობა-  
სო“. მეც აგრე ვფიქრობდი თითქმის, როცა „ჩონგურს“ ვცემდი: სიმღერის  
და სხვა უბრალო ლექსების გამოცემა უსარგებლო იქნება. დარჩეული ლექ-  
სები სასარგებლოა, მაგრამ იმათ იყიდნან მარტო თავდაზნაურობისაგან, მო-  
სამსახურე კაცებისაგან და მოსწავლეების, ან იმათგანაც ზოგიერთნი იყი-  
დიან მარტო. დაბეჭდავ 1200 ეკზემპლარს, თუ გაიყიდება და ძლიერ ბევრს  
სარგებელს მივიღებ, იმას არ დავხარჯავ ცუდად, ბევრს ჩუენგან[ს] კუჭი  
უხმება; ესეც რომ არ იყოს, სხვა რამე სახალხო წიგნს გამოვცემ და ძლიერ  
რაფად გავყიადი. მაგრამ სჯობია კი საქმისათვის ამგვარად შეკრიბოს კაცმა ფუ-  
ლი, ვინემ ხელმოწერით (подпискою) ან სპექტაკლებით. თუმც, რასაკვირ-  
ველია, არც ერთი ამ უკანასკნელ ღონისძიებათაგანი არ არის სპეკულაცია,  
თუ მიზნად კარგი საქმე აქვს.

რადგანაც 1200 ეკზემპლიარის გაყიდვა საეჭვოა, ამისათვის იფუ ფასს  
ვერ დავადებ „ჩონგურს“, რომ დავადო, მადრიელი ვინ იქნება! ზომ გახსოვს,  
ეუზნოთ გუნებაში, „სიბრანე სიტრუსის“ წიგნის გამოცემა, რამდენი მოიგეს  
იმისმა გამომცემლებმა. შენც ისე არ მოსტყუდე“.

ამგვარად დავადევი „ჩონგურს“ ერთი მანეთი ფასი და გამოვაგზავნე  
მხოლოდ 600 ეკზ. ცოტა მეტიც, რომელიც ნათესაების და ამხანაგებისათვის

ყო დანიშნული. აქედამ სჩანს, რომ ქუთაისში გავაგზავნე 260, ტფილისში— 350, რადგანაც ფიქრობდი, რომ ტფილისში უფრო გავიდოდა. მე რომ გაციდვის იმედი არ მქონებოდა, როგორ ვთხოვდი ნიკოს ფულებს, შენგან არ მიკვირს!

მართლა ძალიან არ მოეცყუებულვარ ჩემ წინასწარმეტყველებაში: მე მივიღე აქამდის.

ტფილისილამ ნიკოსაგან<sup>9</sup> 240 მანეთი.  
ქუთაისილამ იაკ. ნიკოლაძისაგან<sup>196</sup> — 100

სულ 340.

აქედამ, რაც „ჩონგურმა“ ვალები ღამადუა და საკუთარი ხარჯი მაჩვენა, იმის გასასტუმრებლად მოვიხმარე მხოლოდ 260 მანეთი, დანარჩენი 80 მანეთი კიდეც სხვას ვათხოვე და იმისთანას, რომ იმაზედ უფრო ღირსეულს ვერ ვიპოვიდი, ვერც შეუძლებლობით, ვერც სხვა თვისებებით. მაშასადამე, მიღებულს ფულს 80 მანეთის გამორიცხვით არ დაუფარავს „ჩონგურის“ ნამდვილად ხარჯიც 272 p. არა თუ სარგებელი დაეფარა, აგრე მე გადავიხადე ერთი 50 მანეთი სარგებელი და მეორე 30 მანეთი. სრულიად უმადურად და არა თუ მარტო უმადურად, სასაყვედუროდ და გასაუპატიურებლათაც შევიქენი. ახლა ეს უნდა გითხრა, რომ თუმც 600 მანეთილამ გასესხებულს ფულისაგან მივიღე მე 40 მანეთამდის, მაგრამ ახლაც აქვთ თუ 600 მანეთილამ, თუ „ჩონგურში“ აღებული ფულებილამ: ერთს — 28 მანეთი, მეორეს — 38, მესამეს — 60, მეოთხეს — 80 — მანეთი = სულ 210 მანეთი, რომელსაც, მე მგონია სამი-ოთხი წლის უფრო ადრე ვერ მივიღებ და როცა მივიღებ, იმედი მაქვს, უსინდისოდ არ მოვიხმარ. აქედამ გარეგნებ, ვგონებ, რომ „ჩონგური“ შულგინის ისტორიის ძაგიერ არ გამომიცია, რომ იმის გამოცემას არ ჰქონია სპეკულაციური აზრი, რომ მე არ მდომებია ნიკოს უსინდისოდ მოტყუება და რომ „ჩონგურს“, ჯერ იმდენი ფული არ მოუცია, რომ საკვრებად დამრჩენოდეს და თუ დარჩა, მე არ ნიკვრებია.

აქედამ ამასაც კარგად იგრძნობ, თუ რამდენად სასიამო უნდა დარჩენილიყო ჩემთვის შენისიტყვები. მაგრამ კმარა ამაზედ.

ამდენს ხანს მე გიგერ[ი]ებდი შენ, ახლა შენზედ უნდა გამოვილაშქრო, მაგრამ უფრო კაცობრიულად, ვინემ შენ ჩემზე.

ბუნების (Human'ter) სხვადასხვა კანონებში არის ერთი იმისთანა კანონი, რომელიც ჯერ კიდეც მძლავრად მეფობს როგორც მეცნიერებაში, ისე პრაქტიკულ ცხოვრებაშიაც. მე იმ კანონზედ ვლაპარაკობ, რომ მეცნიერებაში, როგორც ცხოვრებაში, კაცების გონიერება მიქვეუღია უფრო გარეგნობაზე (внешность) და რომ შინაგანს ვერა ხედვენ, ხანდისხანად კი უნდათ შეხედონ; ამავე კანონით კაცი, როგორც შემკრებლობითი პირი, ისე განცალკევებული, ჯერ კიდეც უფრო

უყურებს და იკვლევს იმას, რაც იმის გარეშეა და თავის თავს კი ვერ ხედავს, ან თუ ხედავს, ისე კარგად ვერ იკვლევს, როგორც გარეშეს. ეს კანონი მოქმედებს პრაქტიკულ ცხოვრებაში წვრილმანებშიაც და ქვია მას ჩვეულებრივ ენაზე „მიდგომა“ (пристрастие). საზოგადოდ, კაცები სხვის სიტყვებს და მოქმედებებს უფრო ვიხსრეკთ, ვინემ საკუთარს, ვიხსრეკთ უფრო სიტყვების და მოქმედებების გარეგანს მხარეს, ვინემ შინაგანს. თუ ასე არ იყოს, ვინც სხვის სიტყვებსა და მოქმედებებს სიხსრეკს, თვითონ არ უნდა სცდებოდეს, მაგრამ ჩვენ ყოველ წამში ვხედავთ, რომ ერთი მეორეს სიხსრეკს და რომ თვითონ მიხსრეკელი იმავე სიტყვებში და მოქმედებებში სცდება, რომლებშიაც ის სხვას ამტყუნებდა. ამ შემთხვევას ეთვისება შენი ჩემზედ წინდაუხედველათ გამოლაშქრებაც: უპატიოსნობის, მტაცებლობის, მატყუვრობით ღალატობის, სპეკულაციის, ფულების უსინდისოდ კვრების მხილება.

ამგვარად, იმ წიგნში, რომელშიაც შენ ფაქტების გარეგანი სახით აღძრული, თავზედ დამეცი, მითვლიდი: „ეაი თუ, საწყალი ხამაშურიძე“<sup>77</sup> შიმშილით პირსა ღაფავს, მაგრამ ანუგეშე, თუ უროკებზედ ფული მომემატა, ხუთ-ხუთ მანეთს გაგიჩენ თვეში-თქო“<sup>304</sup>.— მე მგონია, რომ შენ თუ 1865-ში არა. 1866-ში მაინც შეგეძლო აგესრულებინა შენი აღთქმა, რადგანაც 1866, იქნება, უფრო ადრეც, შენ დაგაყენეს ქართული ენის მასწავლებლად და ამასთან უროკებიც გქონდა; ეს უროკები, როგორც შევიტყვე მიატოვე მაშინ, როცა „დროების“<sup>56</sup> რედაქტორი გახდი<sup>305</sup>. ესეც გავიგონე, რომ რედაქტორობისათვის 600 მანეთს იღებს წელიწადშიო. მე თუმცა აგრე მგონია, როგორც ზევით გითხარი, მაგრამ ამასთან იმასაც ვფიქრობ, უთუოდ რამე პატივისადები მიზეზები უნდა ქონდეს გიორგის, თორემ აღთქმას როგორ არ აასრულებდა მე-თქი. ამისათვის მოვითხოვ შენგან, რომ შენ შემომითვალო შენი გარემოებებიც ისე დაწვრილებით, როგორც მე მოგწერე; მანემდის მე არ შემიძლია გადაღვსწყევტო შენსადით, რომ გიორგი უსინდისო ყოფილა-თქო. შენ, რასაც ვიჩრევლია, დამეთანხმები, რომ შენი ამ საქმეზე რეზონები, რომელსაც უთვლიდი ხამაშურიძეს 12 იანვარს 1866 წ. უსაფუძვლო არიან და ვერ დამაკმაყოფილებენ: „აქამდის წიგნი არ მომიწერია ამისათვის, რომ ხუთ-ხუთს მანეთს დაგპირდი გამოგზავნას და ხუთ-ხუთ ფარასაც ველარ გიგზავნი (უფრო მართალი იქნებოდა გეთქვა: აღარ და არა ველარ, ან არა და გამოგეგზავნა ის სჯობდა გამოუგზავნელობას), მაგრამ ხომ იცი, იმერელი რასაც იტყვის, იმას ან სიმალედაკით იტყვის და ან სიცრუევით (ძლიერ სტყუი ორივე შემთხვევაში იმერელის შესახებ), თორემ რასაც ვიტყვით, რომ ავასრულოთ და სხვა...“ და ამ სხვაზე შემდეგ მოვილაპარაკოთ...

ამას გარდა: ნუთუ, შენ არ შეგეძლო კასისი<sup>306</sup> ვალი გარდაგეხადა, თუ კი კონდრატი კლდიაშვილი<sup>307</sup> შეიძლო 20 მანეთის გარდახდა. ვინც მაქვთ წაშოვიდა, იმათგან კლდიაშვილის გარდა ილ. ჭავჭავაძისა<sup>215</sup> და ნიკო ლოლო-

ბერიძის<sup>9</sup> მეტი არავინ გამოჩნდა, რომ კასის ფულები გარდებოდეს. ეს რას, შივაწერო? უსინდისობას? ვერც ამას გარდავსწყვეტ ჯერ შენსავით წინდაუხედველად, სანამ ნამდვილ გარემობაზე არ შევიტყობ, თუმც კლდიაშვილისაგან შეიძლება და ამასთან სხვების შეუძლებლობა ძლიერ ეჭვში მაგდებს. ალოიზ მიზანდარს<sup>308</sup> არ შეუძლიან 9 მ. და 77 კ. გამოგზავნა? ყაზბეგს<sup>111</sup> არ შეუძლიან 89 მ. და 34 კაბ. გამოგზავნა? იქნება, მართლა არ შეეძლოს? პეტრე ჩარექოვს<sup>309</sup> არ შეუძლიან 15 მანეთი გამოგზავნოს და ჩუბინოვის<sup>113</sup> რუსულ-ქართული ლექსიკონი. პირ. გამოც.<sup>310</sup>, რომელიც ბიბლიოთეკადამ, თითქო იმისი პატრონი ყოფილიყოს, ისე უკითხავად წამოიღო.

გრ. წერეთელს<sup>5</sup> არ შეეძლო გამოგზავნა 22 მანეთი და 40 კაბ?

მიხ. ანდრონიკაშვილს<sup>311</sup> — 45 მ. 73 კაბ.

დ. ბაქრაძეს<sup>312</sup>, რომელმანც თუ ერთად არა, თვეთვეობით გამოგზავნას შემპირდა — 86 მ. და 12 კაბ. 944

აბ. ჩოლოყაშვილს<sup>313</sup> — 56 მ. 49 კ. 8934

ჯაბადარს<sup>314</sup> — 143 მ. 50 კ. 1500

ლუარ. მაღალაშვილს<sup>315</sup> — 27 მ. 42 კ. 2200

ილ. ოქრომჭედლიშვილს<sup>316</sup> — 56 მ. 48 კ. 4573

ჩხეიძეს<sup>5</sup> — 10 მ. 5649

დ. წულუყიძეს<sup>317</sup> — 10 მ. 14350

2742

4548

1000

სულ შეადგენს

1000

---

542,55 კაი ფულია!

ამ ფულების გამოუგზავნელობა უნდა იყოს ან 1) უსინდისობის გამო. მაგრამ რადგან მე არ ვეკუთვნი იმ კაცების კატეგორიას, რომელნიც აზობენ, რომ კაცი ზუნებით ბოროტია და არა კეთილიო, ამისთვის მე ამაში ეჭვი [მ]აქვს.

2) შეუძლებლობის გამო. მაგრამ ზოგიერთების კარიერისაგან ამაშიაც ვიჭნეულობ.

3) უთავბოლო ხარჯისა და დაუდევრობის გამო. ეს, ვგონებ, უფრო სწორია: ვიცი, რაც უფრო ბევრს ღონისძიებას შოულობს, უფრო ბევრი სხვადასხვა მოთხოვნილება გამოუჩნდება და ყველას დაკმაყოფილებას შოინდომებს და ვალეები ავიწყდება. მაგრამ თუ კაცს, თუ იმას აქვს მაღალი ზნეობა, მაშ, ის მოავერუღია და ყოველ სულელური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას არ გამოეკიდება და არც დაივიწყებს თავის ვალდებულებას.

სამივე ამ მიზეზების ეჭვი მაქვს და სამივესაც ნაშედეგად ვრაცხ ზოგიერთს შემთხვევაში. ან უფრო ცხადად ვიტყვი: ზოგია, რომ უსინდისობით არ იხდის, ზოგი შეუძლებლობით, უმეტესს კი უანგარიშო ცხოვრებისაგან მოსდის ვალების გადაუხდელობა.

მაგრამ აქედამ გამოვრიცხავ ბესარიონ ლოლობერიძეს<sup>20</sup>, რომელსაც თუმცა არ მართებია კასის ვალი, მაგრამ წასვლის დროს შეჰპირდა ყველას, ვინც იმის გამოსათხოვრად იყვნენ მისრული, რომ ჩემი შემოსავლის 5% კასსაში გაშოგვზავნიო. როგორც მესმის, იმას უმჯობესად დაუნახავს რომ, რაც შეუძლიან მანდვე შეეწიოს მოსწავლეებს, ვინემ აქაურებს გამოუგზავნოს დანაპირები. შე, რასაკვირველია, ამ მოქმედებაში უტილიტარიზმს უფრო ვეთანხმები, მაგრამ ესეც უნდა ვთქვა, რომ თუ მშვიერს რამე შეჰპირდი, უნდა აუსრულო, თუ არა და, სულ ნუ შეჰპირდება და როცა შეძლება გექნება, მაშინ შეეწიე შეუპირებლად.

### В с т а в к а.

როგორც ზევით ნახსენებს ხამაშურიძის<sup>77</sup> სახელზედ გამოგზავნილ წიგნში, ისე ჩემ სახელზედ გამოგზავნილ წიგნებშიც, შენ მკითხავ, თუ რათ არ ჩამოვედი ამდენს ხანს და კიდევაც მაყვედრი. ნიკო ლოლობერიძის<sup>9</sup> წიგნებშიც ხშირად ამგვარივე ან ამის ზონათესავე სიტყვები წამკითხავს და ამის გარდა ისეც, თუ „დროებას“<sup>56</sup> რასთვის ხელს არ უწყობენ აქაურები და, სხვათა შორის, მე. ამ უკანასკნელის პასუხი შენც შეგეხება და შენ რაც მოგწერე აქამდის, ის უმეტესი ნაწილი ნიკოსთვისაც საინტერესოა, ამისთვის შე შევეერთე ორივეს პასუხი და გთხოვ, თუ, შენი თავის არ გრცხვენია და, შენის აზრით, ამხანაგის ჩემზედ აზრი ჩემთვის ძვირფასია, ეს წიგნი წააკითხო ნიკოს, თუმცა ნიკოსთვის ცალკე წიგნის მოწერა მინდოდა, მაგრამ შენსა და იმის წიგნში ერთი და იგივე განმეორებამი იქნებოდნენ და ამით დიდი დრო დაშეკარებოდა; და თუ შენს სახელზედ ვწერ ამ წიგნს და არა იმის სახელზედ, ეგ იმიტომ, რომ წიგნში არ მემარჯვებოდა, რომ შენთვის ჯეროვანი პასუხი მომეცა, მაშინ, როდესაც ამ წიგნში ნიკოსაც შეუძლიან ყოველი საკუთარი წიგნის პასუხი ნახოს, ამისთვის, იმედია, ფორმის დაუდევნელობისათვის არ დაემძღვრება.

აი, შენი და ნიკოს სიტყვები:

შენი. 9 ივლ. 1865 წ. შენ რომ მომწერე, თუ ადგილს რამეს მიშოენი ღიმნაზიაში, ჩამოვალო და როდესაც ადგილი გამოჩნდა, უარი გვიყავ, დილომს სანამ არ ვიშოვი, მანამ არ გაიხლებიო. ეს კიდევ რაღა არის? ააა! ეს არ არის კარგი<sup>318</sup>.

12 იანვ. 1866 წ. ხამაშურიძესთან მოწერილი: მაგრამ ახლა მაინც ასე რად გაქსულებითა გული საქართველოზედ, რომ მანამ არ აპირობენ წამოსვლას, სანამ ყოველი მაგათგანი გულს მალისტერ აზინის (magister asini)

მედალს არ მიეკისებ, ასე გადაეცე, თუ ღმერთი გწამს, კირილეს. შვილს არ შეეშენის სიკვდილის ჟამს დედა წყალს სთხოვდეს და არ ასვასთქო.

ნიკოს. 3 ივლ. 1866. ხუთუ, ყოველი ჩვენი ახალგაზრდათაგანი მანდაურს უნდა ჰაერს შეაჩერდეს და სამშობლოსათვის არ უნდა იფიქროს<sup>319</sup>.

8 ივნ. 1866 წ. მართლა და მოსვლას აღარ აპირებ, როგორც ვეტყობა. ძალიან გაგიტკბა პეტერბურგი: მე კი სწორედ არ ვიფიქრებდი, რომ ჩვენი სამშობლოს დალოცვილი წმინდა ცა და ნაზი ჰაეა პეტერბურგის ბულხედ და ლიცივეზუდ გაგეცვალა<sup>320</sup>.

ნიკოს. გაზეთის გამოცემის წინ, 16 იან. 1866 წ. ახლა ჩვენი თხოვნა შენთან და საზოგადოდ სტუდენტებთან მდგომარეობს იმაში, რომ შემწეობა აღმოუჩინოთ ამ გაზეთს, იცნართ მისი თანამშრომლობა. ექვი არა გვაქვს, რომ ამ თხოვნას აგვისრულებთ, რომ თქვენ თანამშრომლობაზედ არ გექნოდა იმედი, ჩვენ კიდევაც ვერ გავებდავდით გაზეთის გამოცემას.

კორრესპონდენციებს სხვადასხვა შესანიშნავ ამბებზე რომ გამოგვიგზავნიდეთ ხოლმე, მაგას რალა ემჯობინება<sup>321</sup>. შემდეგ, როცა აქაურებმა ველარა გამოგზავნეს რა, მაშინ 8 ივნ. 1866 წ. რა დააშავა ამისთანა ჩვენმა დროებამ, რომ კიდევაც არ შემოხედეთ და ერთი ლუკმა საკმელიც არ აღირსეთო.

ამას გარდა შენ იწერებ: „კაცები საჭირო არიანო“ და ნიკო ამბობს: „სამშრომი საქმე ბევრია და ჩაშოდიო“<sup>322</sup>.

ამდენი იზიტომ ამოვიწერე თქვენის წიგნებითგან, რომ განუუახლო თქვენ მახსოვნობას თქვენივე წიგნების აზრი და შეძლებისამებრ შესაფერი პასუხი მოგვეთ.

შენი არ მიკვირს. გიორგი, რომ ყოველივე კაცის მოქმედებას ცუდად ხსნი. მართალია, მე გთხოვე, იქნება, რამე ადგილი მიშოვო, შემოგითვალე და მოვალ-თქო. კალანდარი შეიღმა შემომითვალა ტელეგრაფით: ადგილი იხსნება და თხოვება ახლავე გამოგზავნეთ. დეკ. 1864 წ. პასუხი მოვიწერე, რომ თხოვნას გამოვავაზავნი-თქო; მაგრამ მერმე შევიტყვე, რომ დირექტორი იმისთანა არისო, რომ იმასთან საშსახური არ შეიძლებაო და აღარ წამოვედი. ეს უპატიოსნობა არის? თუნდ რომ დირექტორიც კარგი ყოფილიყო და არ წამოესულვიყო, ვითომ რა დიდი დასაკლისი ვიქნებოდი მაშინ? ახლა დარწმუნებული ვარ, რომ მაშინ არ ვივარგებდი მასწავლებლად. აგრე 1862 წელშიაც კი გავავაზავნე თხოვნა, მაგრამ მერმე ვინანე. უთუოდ შემდგომშიაც ასე ვიტყვი ახლანდელ ჩემს მდგომარეობაზე, მაგრამ, მე მგონია, რაც უნდა იყოს, მაშინდელს ეხლანდელი ვჭობივარ, თუმცა სინდისიანად ვერც ახლა ავასრულებ მასწავლებლობას, — გარემოებებს რომ არ დავებრკოლებიე, უთუოდ სხვა ვიქნებოდი ახლა. გულწრფელი აღსარებისათვის ნუ დამტინებ.



მართალია, თუ დედა სიკვდილის ეამს წყალს ითხოვს, უნდა ასვას შვილმა, მაგრამ ესეც არ დაგავიწყდეს, რომ შვილმა სინიღისიანად და მიუღვამელად უნდა განსაჯოს, შეუძლიან იმას გაარჩიოს ძლიერ კარვად წმინდა წყალი მღვრიე წყლისაგან, თუ არა? მართალია, ბუნება არ ბადებს დესტილირებულს (дестилированную) წყალს, მაგრამ შვილმა უნდა ეცადოს, რომ რაც შეუძლიან, ისე წმინდა წყალი ასვას. ამას გარდა ის დედა, რომელსაც შენ იხსენებ, არ არის განცალკევებული პირი, რომ იმის სიკვდილი ჩვენ პეტერბურღში ყოფნაში მოხდეს. როცა ის სულთა ბრძოლაში იყოს, მაშინ ვინც უღალატოს, იმას კი უსინდისო დაუძახე, — სანამ ცოცხალია, მანემდის იმის პირთან წყალის მიტანა უცებ არ შეიძლება, თორემ სირბილში შეიძლება გზაზე დაგვექცეს ისე, რომ იმის პირს ორი წვეთის მეტი არ ერგოს.

რაც შეეხება სამშობლო ჰაერის გაცვლას აქაურს ჰაერზედ, ამაზედ არაფერს გეტყვი, რადგან ეგ თქვენი სიტყვები არიან უფრო დელიკატურად და პოეტურად გამოთქმული საყვედური მოუსვლელობაზედ<sup>34</sup>, შენ ნამეტანს ნუ სცემ კურსის გათავებას და გამოთავებელს ნუ ეძახი Magisster asini! ვგონებ, შენც კარვად იგრძენე, რომ უპასპორტოთ და ამასთან უპროტექციოთ ჩვენისთანა ჩვეულებრივ კაცს გზა ვალობილი აქვს და გენიოსები ამ საუკუნეში ჯერ არ დაგებადებიან. შე ამდენ ხან(საც) ჩამოვიდოდი, რასაკვირველია, რომ როგორმე დავრწმუნებულვიყავი, რომ მანდ მოსვლით მეც შევიძენდი და სხვასაც რამეს შევიძინებდი. ექზამენის ნებას აქამდის ვუყურუტე და ძლივს მომიახლოვდა, ვემზადები, და, თუ მატერიალურმა გარემოებებმა არ მიღალატეს ისე, როგორც ამდენს ხანს, იმედი მაქვს, დავიჭირო ამ წლის დასასრულში.

მართალია, უფრო ბევრი ჩვენებთაგანი შეჰყურებენ ჯერ აქაურს ჰაერს, მაგრამ, ვგონებ, მარტო თავის თავზედ არ იფიქრებენ, ზოგი აქნება იყოს, რომ მარტო თავის თავზე ფიქრობდეს. — თუ მეც ა, ესეც არ შემიძლია დავფარო, რომ უფრო ბევრი მარტო ლექციების კითხვაში ატარებენ დროებას და ეს ცოტად გამოსადეგია არა თუ იურიდიკულ ფაკულტეტზე, რომელზედაც კაცი შეიძლება სულ გამოყრუვდეს, მათემატიკურ ფაკულტეტზედაც ცოტას შესძინებს კაცს ამგვარი სწავლა.

თუ ამას დაიჯერებთ, მაშინ ადვილად ახსნით, რომ, თუ „დროებას“ არ შეეწია უმეტესი ნაწილი ჩვენთაგანი, ეგ იმიტომ მოხდა, რომ საზოგადოდ აქაურებს არ შეუძლიანთ გაზეთის თანამშრომლობა და თუ ვინმეს იოტის ოდენა შემწიობა შეუძლიანთ, იმათაც არა აქვსთ იმდენი მომზადებულობა არც სწავლაში, არც ენაში, რომ აგრე შორიდამ გამოქვინოს საინტერესო ბაღისათვის საგანი და გასაგებად დასწეროს იმაზედ; მოუზადებლობისათვის საკიროა, რომ ისინი თვითონ იმ წრეში მოქმედებდნენ, რომლისათვისაც მოქმედებენ. იხე იმათი გონიერება ტელესკოპსავით მჭკრეტელობას ვერ შეიძლებს.

რაც შეეხება კორრესპონდენციებს, მე მგონია, რომ უმეტესი აქაური ამბავები სრულიად უნტერესო იქნება საქართველოში, რადგან ჩვენები რუსული გაზეთებიდან ტყობილობენ ამბევებს და ამისთვის, სანამ ისინი დასწერდნენ და გამოაგზავნიდნენ, ნანუშის გაზეთები მანდ ჩამოვლენ. მართალია, გაზეთის ამბავი ძველიც რომ იყოს, შეიძლება კაცმა საინტერესოდ დასწეროს, მაგრამ ამას უნდა მანდაური გარემოებების კარგად ცოდნა და ბევრი თავისუფალი დრო, სხვა ამბავები, რაც გაზეთებში არ არიან, იმდენი და იმისთანაც არაფერი ხდება აქ ცხადად, რომ ჩვენების[თვის] საინტერესო იყოს.

თუ ვინმე ვერ ზედვს წერას, ამას უსინდისობათ ნუ ჩამომართმევთ. კაცები საქირთ არიან, მაგრამ ისინი ყოველთვის საქირთ იქნებიან, რადგან საწროში საქმეები ყოველთვის ბევრი იქნებიან.

ახლა ამის მეტი ვეღარ შევძელი და როცა შენი წიგნი მომივა, მაშინ უფრო დაწვლილებითს აზრს მოგწერ საზოგადოდ ჩვენს ყმაწვილებზედ. ერთი სტატია დავიწყე და თუ ცოტათი მაინც ივარგა, გამოვაგზავნი.

იმედი მაქვს, რომ წიგნის დაგვიანებას არ გადამიხდის წიგნის დაგვიანებითვე. პირობას გაძლევ, რომ თუ ამდენს ხანს არა, შემდგომში მაინც, არ დავიდებ ამგვარს ვალს. კანონად დავდევი, რომ ყოველ წიგნზე, რაც შეიძლება, ისე ჩქარად ვუპასუხო.

შენი კირილე.

ეს წიგნი დავწერე იანვარში, მაგრამ ამდენ ხანს ვერც დრო ვიშოვე, ვერც გუნება და ვერც მოთმინება ამ გრძელი წიგნის გადასაწერად. ამის გარდა იანვარში ნ. ნიკოლაძეს ერთი ამაზე უგრძესი წიგნი გაუუგზავნე<sup>325</sup> და დაიკარგა და რადგანაც იმ წიგნში შენი სახელიც იყო მოხსენებული, ვსთქვი, ვაითუ, გიორგის სახელზედ გაგზავნილი წიგნიც დაიკარგოს-თქო და ამისთვის ფოჩით აღარ გამოვაგზავნე.

იანვარში დაწერილს წიგნს უცვალებლად გიგზავნი, მაგრამ ორიოდ შენიშვნას უკეთებ.

## 2

ძმაო გიორგი!

11 აგვისტო<sup>326</sup>  
[1873]

ერთ კვირაზედ მეტიც, რაც შენი წიგნი მივიღე<sup>327</sup> და აქამდის პასუხი ვერ მოგწერე, თუმცა შენ ჩქარ პასუხს მოითხოვდი. ამისი მიზეზი, სხვათა შო-

რის, შენი წიგნიც არის ამიტომ, რომ შენმა წიგნმა არ შემატყობინა არც ერთი საბუთი, რომელზედაც შემძლებოდა ჩემი გარდაწყვეტილების დაფუძნება. ის საქმე, რომელმანც ჩემთან წიგნი გამოგაგზავნინა, შენის აზრით, დიდი საქმეა, ასე რომ, თუ მე წამოსვლას ვეძებ უარი ვსთქვი, საქმე გაფუჭდება და პასუხისმგებელი მე ვიქნები. მართალი უნდა გითხრა, რომ მე აქამდისაც ვერ გამიგია, რა დიდი საქმეა ან ქართული ენის სწავლება, ან სტამბის მმართველობა. მაგრამ, ვსთქვათ, რომ დიდი საქმეა, რა „გაფუჭება“ ელის ან ქართული ენის სწავლებას, ან სტამბას? კიდევ, ვსთქვათ, რომ ქართული ენის სწავლებასა და სტამბას „გაფუჭება“ ელის, ამის პასუხი მე რათ უნდა ვაგო? შენი ამ სიტყვებიდამ სჩანს, რომ შენ სრულიად არ სთვლი თავს თავს დიდის საქმის გაფუჭების პასუხისმგებლად. და ამაში მე სრულიად თანახმა ვარ: თუ შენ მასწავლებლობის ადგილსა და სტამბის მმართველობას სტოვებ და სხვა საქმეს იწყებ, სჩანს, რომ ახალი საქმე უფრო დიდი და უფრო საპარგებლოა. თუ შენგან მიტოვებული საქმე გაფუჭდება, ამაში მე იმდენად პასუხისმგებელი უნდა ვიყო, რამდენადაც სხვები, ვისაც კი ქართული ენის მასწავლებლობა და სტამბის მართვა შეუძლიან. მე იმდენად სულელი არა ვარ, ვთქვა, რომ ჩემს გარდა არავის არ შეუძლიან ამ საქმის ასრულება. თუ ამ საქმის ხელის მოკიდება არავის არ სურს, მაშინ მე თანახმა გავცდებოდი, თუ რომ, ეს დათანხმება ჩემთვის შესაძლებელი ყოფილიყო. ქართული ენის მასწავლებლობისათვის საჭიროა ქართული ენის ეკზამენის დაპყრობა და ეს ჩემთვის, მართალი უნდა გითხრა, იმგვარად საზარელი და შეუძლებელია, როგორც ძალისათვის ნაწყევლის გადაყლაპვა. — რაც შეეხება სტამბის გულისათვის წამოვალ მხოლოდ მაშინ, 1) თუ რომ შენის საზღვარგარეთ წასვლით სხვა შენგან დაწყებულ საქმეს („კრებულისა“<sup>249</sup> და „სასოფლო გაზეთის“<sup>250</sup> გამოცემას) ვინმე სხვა აგრძელებს და სტამბა ამ საქმისათვის საჭიროა და 2) თუ რომ სტამბას იმდენი შეუძლიან, რომ სტუდენტურად საცხოვრებელი ღონე მომცეს.

თუ ამ ჩემ კითხვებზე შენ თანხმობითი პასუხი შეგეძლოს, მაშინ ჩემი სიტყვები წამოსვლის თანხმობად შიითვალე.

მაგრამ მარტო თანხმობილად რა უნდა გამოვიდეს, როცა ჩემი აქედამ წამოსვლა მოუხერხებელია, თუ გზასზედ სამყოფი ფულის მეტი არაფერი მექნება და სხვა ფულის გამოგზავნას რომ ვერ შეიძლება, ეს მე კარგად ვიცი.

### 3

ძმაო გიორგი!<sup>328</sup>

დიდი ხანია, რაც „ღროება“<sup>56</sup> უფერული და უშინაარსო შეიქმნა და ველარავის აკმაყოფილებს, ვერც ნააწავლს და ვერც უსწავლელს მკითხველს

საზოგადოებას. ამგვარ გაზეთის დაცემას მარტო რედაქტორს<sup>329</sup> ვერ დავაბრალებთ, — ერთი კაცი, რაც უნდა მომზადებული და ნიჭიერი იყოს, ვერ შესძლებს ცოტათი მაინც ხეირიანის დღიურის გაზეთის გამოცემას. ამ შემთხვევაში დიდი ვალი გვადევს ჩვენ, ვისაც ცოტა რამ გვისწავლია და ვინც ადრე ხმაშალდა და სწორედ გულწრფელს აღტაცებით ვლალადებდით ჩვენის სამშობლოს საკეთილდღეო საქმეებზედ. დღეს, როდესაც ჩვენი ახლად აღორძინებული ლიტერატურა ციებიანსავით დაგვილონდა, ჩვენ რასმე უნდა ვსცდილობდეთ მის გაუმჯობესებაზედ. მრავალს ჩვენგანს უფიქრია ამ საქმეზედ, მაგრამ თითოეულის მათგანის კეთილი სურვილი ჩვენს ერთმანეთისაგან გაცალკევებას მოუკლავს. მეტი ღონე არ არის, თუ ჩვენ კეთილი სურვილი გვაქვს, დაცალკევებულიც რომ ვიყოთ, უნდა შეგვკაერთოს ამ კეთილმა სურვილმა.

ამ აზრით ჩვენ შევადგინეთ ქუთაისში პატარა წრე, რომელსაც სურს შეეწიოს „დროებას“, რითაც შეუძლია. ჩვენ გვსურს, დავაყენოთ „დროების“ რედაქციის ამხანაგად და მის თანამშრომლად ერთი კაცი მაინც, რომელსაც უფრო მოცალეობა ჰქონდეს ლიტერატურულის შრომისათვის და უფრო გამოსადეგი იყოს „დროებისათვის“, ვინემ ჩვენგანი ვინმე. მაგრამ, რადგანაც „დროების“ რედაქციას არა აქვს იმდენი ღონე, რომ ამგვარად დაყენებულს თანამშრომელს რაიმე სასყიდელი მისცეს, ჩვენ თავის თავს ვალდებულად ვრაცხთ, შეძლებისამებრ შრომის შესაფერი მატერიალური შემწეობა მივსცეთ ამ კაცს. ამჟამათ ამ საქმეში სასარგებლოდ გიცანით შენ და გთხოვთ ნიილოთ თავისთავზედ ეს ჩვენი განზრახული მუდამი თანამშრომლობა „დროების“ გასაუმჯობესებლად და ჩვენ ვეცდებით, რომ ყოველს თვეობით მოგაწოდოთ შენ თფილისში საცხოვრებელი ზომიერი სახსარი. ვიცით, რომ შენი მიზანი და ჩვენი ერთი და იგივეა და იმივეა გვაქვს, ამ ჩვენს თხოვნას აღასრულებ და არ ითაკილებ ჩვენის მხრით მატერიალურს შემწეობას, რომელიც სწორედ ესთქვით, გაზეთის შესაწირია და არა შენი პიროვნულად.

ამასთანავე ჩვენ გთხოვთ, რომ, თუ ვინცობაა, შენი რედაქციის ამხანაგად გახდომა არ მოხერხდა, ითხოვო ახალი გაზეთის გამოცემის ნება და ჩვენს აღთქმულს შემწეობას არ მოგიშლით, საანამ ამ გაზეთის ხელისმომწერლებისაგან შემოსული ფული არ შეიქნება საკმაო გაზეთის გამოსაცემად და შენთვისაც. მანამ ახალი გაზეთი დაფუძნდებოდეს, გთხოვთ, თავისი შრომა არ მოაკლო „დროებას“, რომლის სიკეთე ჩვენთვის ყოველს შემთხვევაში სასურველია.

ამას გარდა, ჩვენ გავიგეთ, რომ თფილისში შემდგარა წრე, რომელსაც ამგვარივე მიზანი აქვს თურმე. გთხოვთ, ამ წრეს განუცხადო ჩვენის მხრით, რომ ცუდი არ იქნებოდა, შევერთებულებოდავით და ეგ ჩვენი საერთო აზრი ერთმანეთის დახმარებით აღგვესრულებინა.

ქ. ქუთაისი, 9 თებერვალს, 1879 წ.

## ილია შავჭავჭავაძისადმი

1

ილია!

[1875 წ. აპრილი]<sup>330</sup>

რადგანაც პარასკევს მუზიკალურ საზოგადოებაში კონცერტია და კრუე-ოკში „საყმაწვილო ბალი“, ამიტომ ჩვენი საღამო შაბათს უნდა მოხდეს უთუოდ, თორემ ხალხი ცოტა იქნება<sup>331</sup>. კვირას არ შეიძლება, რადგანაც სომხებს აქვთ დაქერილი თეატრი.

დავით ერისთავი<sup>253</sup> არ კითხულობს, თუმცა ბებუთოვსაც<sup>241</sup> და დინიტრო ყიფიანსაც<sup>251</sup> უთხოვრია, მაგრამ, რა გაეწყობა, უიმისობასაც გადაუტრეხებით, რომ კიდევ წაეკითხა, რა გამოვიდოდა ჩვენი უბედურების მეტი? ეხლა ხომ იმისთვის გაუწყრა „კეთილ საქმეს“, რომ სერგეი მესხმა რატომ ზეცამდი არ აზიყვანაო; რომ წაეკითხა, ვინ იცის, იქნება, ჩვენგან ხელწერილი მოეთხოვა, რომ მთელს ქვეყანაზე არც ერთს სულდგმულს არ წასცდეს ჩემზედ ერთი ცუდი სიტყვა, თორემ „შკოლას“ კი არა, ყოველს კეთილს საქმეს უარს ეყოფო და მაშინ რაღა გვეშველებოდა. უგვარო კაცის საქმე ყოველთვის ასეა, თუ აქე, ზეცამდის ცხვირს აიწევეს და პაპასავით უცოდველობას და შეუცთომელობას დაიჩემებს. საღამო უთუოდ იქნება და მშვენიერიც დავითის გამოსაჯავრებლადღაბა რა, ნუთუ იმას ჰგონია, რომ დავუწოქებთ და ღმერთსავით შევევედრებით? იქნება ეგონოს, რომ უიმისოთ არაფრის მოხერხება არ შეგვიძლიან? გაგბრძვიდით, სწორედ გაგბრძვიდით, რომ ამდენი პატივისცემით თავი გავაზვიადებინეთ, უმისოთაც არ იქნებოდა გაზვიადებას მოკლებული.

ეხლა შემომითვალე, გადავდვა შაბათს და სხვა ახალი აფიშა დავაბეჭდინო (გაფუჭდება მარტო 200 თუ 300 ფურცელი ქალაქი) თუ არა.

ამას გარდა, რაც დღეს მანდ წიგნები დავტოვე, გამომიგზავნე და წესდებაც ალებ-მიმცემი ამხანაგობისა.

კირილე ლოთქიფანიძე

დავითის მაგიერ თავის ნომერს წაიკითხავენ: ჩიქოანი<sup>332</sup>, ახელედანი<sup>333</sup> და მე, თუ საქირო დავრჩი<sup>334</sup>.

დიდი ხანია, რაც აქაურმა ათიოდე თუ თხუთმეტოდე ნასწავლმა კაცებმა და მათ შორის გაზეთის „შრომის“<sup>336</sup> თანამშრომლებმა განიზრახეს დაეფუნებინათ წიგნების გამოცემელი წრე, რომ სხვადასხვა სახალხო საკითხავი და წიგნებისათვის სახელმძღვანელო წიგნები ებეჭდათ და ამით ცოტადენო სარგებლობა მოეტანათ ამ მხრით ღარიბის ჩვენის მამულისათვის. თვით გაზეთის „შრომის“ არსებობის დროსვე ბატ. ალ. მირ. ჭყონიამ<sup>337</sup> შეადგინა ამ წრისათვის წესდება, რომელიც მთავრობას უნდა წარდგენოდა დასამტკიცებლად. მაგრამ დაუდევრობის გამო, რომლითაც ჩვენ ერთობ დაჯილდოვებული ვართ, ეს წესდება აქამდის არ წარდგენილა. ვინ იცის, იქნება, ამ წარუდგენლობით საქმე არ წამხდარაყოს. იქნება, მთავრობის მხრით ამ წესდების დამტკიცებასაც იმნაირი ბედი შეხვედროდა, როგორც ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების წესდებას შემთხვევა და მერმე უფრო გაძნელებულიყო ჩვენის განზრახვის სისრულეში მოყვანა. როგორც უნდა იყოს, ჩვენ კი ამას ვფიქრობთ, რომ მთავრობას უბედურება ჩვენში სხვადასხვა ახლის საზოგადოებათა დაარსებისათვის ნების დართვა, თითქმის სინანულშიაც არის, რომ მისის ნებით დაარსდა ორიოდე იმისთანა საზოგადოება, რომელთაც ის ეხლა ექვის თვალთ უყურებს. ამის გამო ზემოხსენებული წრის დაარსების მსურველებმა გადავსწყვიტეთ აღარ მივიტყეთ მთავრობასთან ახლის წესდების დამტკიცებისათვის და მით აღარ გავადილოთ მისი ეჭვები და ჩვენც მხოლოდ საზოგადოებათა სიმრავლით არ მოვიხიბლოთ ჩვენი თავი. ჩვენ ვარჩიეთ, შეძლებისამებრ მზარი მივსცეთ იმ საზოგადოებას, რომელიც აქამად ჩვენში მოქმედებს და რომელიც, უეჭველია, არაფერს დაჰკარგავს, თუ მას სხვადასხვა ქალაქებში თანამშრომლები აღმოუჩნდა. რაღა დადი ლაპარაკი უნდა, შენ მიხვდარი ხარ, რომ ჩვენ გვსურს მივეკედლოთ ქართველთა შორის წიგნის ცოდნის გამავრცელებელს საზოგადოებას<sup>338</sup>, მისის წესდებისა და გამგეობის საფარველს ქვეშ ვიშრომოთ და შეძლებისამებრ დავეხმაროთ სხვადასხვა ცოდნის გავრცელებას. მაგრამ აქ ერთი გარემოება არის, რომელზედაც საჭიროა ორიოდე სიტყვა ვსთქვა. ძალიან კარგად იცი, რომ სიშორე, კანცელარიული ფეხმძიმობა და სხვა ამგვარები ჩვენს შრომას უთუოდ ხალისს მოაკლებს და საქმესაც ავნებს. ამის გამო, ჩვენის აზრით, საჭიროა, რომ საზოგადოების გამგეობამ დანიშნოს ქუთაისში ზემოხსენებულის წრისაგან რამდენიმე კაცი, რომელნიც საზოგადოების აგენტებად იწოდებოდნენ, საზოგადოების სახელით მოქმედებდნენ და რომელთაც

აქაური წრე ყოველგვარს შემწეობას აღმოუჩენს როგორც შრომით, ისე ფულ-  
ლით, ყოველის წლის დამლეეს ეს აგენტები გამგეობას წარმოუდგენენ ანგა-  
რიშს როგორც შემოსავალ-გასავლისას, ისე საზოგადოებრივ თავის მოქმედები-  
სას, რომელიც მრთელის საზოგადოების ანგარიშში უნდა შეუერთდეს. წლის  
განმავლობაშიაც ამ აგენტებს ექნებათ საჭიროებინა დაგვარად ოფიციალური  
მიწერ-მოწერა გამგეობასთან, მშრომელების კავშირთან, ფორმალური კავში-  
რიც გვექნეს ჩვენის მემამულეებისაგან და ბატონების შესამჩნევლად. რომ  
ამითი ჩვენს მოქმედებაზედ უსაფუძვლო ეპვი არავინ აილოს და თქვენის გამ-  
გეობის მოქმედებას ჩვენს მოქმედებაში ცოტა რაჲ შეემატოს. — ამას გარ-  
და, ჩვენ შეგვეძლება მივიღოთ აღსასრულებლად სხვადასხვა მინდობილობა  
საზოგადოებრივ გამგეობის მხრით, მაგ. რომელიმე წიგნის გამოცემა თქვენის  
აღრჩევითა და ხარჯით, საწევრო ფულების შეკრება ქუთაისში და სადაც სხვა-  
გან მივსწვდებით. და რაიცა შეეხება თვითონ ჩვენგან წიგნების აღრჩევას და  
ჩვენის საკუთარის ხარჯით ამ წიგნებს გამოცემას, ამაში კი ჩვენ გვსურს  
გვექმნეს სრული ავტონომია, რადგანაც ამ შემთხვევაში თქვენი არაფერი  
დაიხარჯება და თუ ვინცობაა, ოდესმე როგორც თქვენ ჩვენი, ისე ჩვენ  
თქვენი დახმარება დაგვეკირდა, მაშინ ჩვენ თხოვნით მოვიქცევით და რაც  
შესაწყნარებელი იქნება, იმის უარს, იმეღია, არ გვეტყვიოთ. ეპვი არა გვაქვს,  
თანახმა იქნებით ამისა, მიიღებთ ჩვენს წინადადებასა და თხოვნას, გამოგიგ-  
ზანით დაუგვიანებლად კასის წიგნს, რომელშიაც ჩაიწერება ფული, რასაც  
ჩვენ შევკრებთ, როგორც თქვენთვის, ისე ჩვენთვის და რაც თქვენს წილურ  
ანგარიშში ერთად შეტანილი უნდა იქნეს და რამდენიმე კვიტანციის წიგნებს,  
ჩვენგან აღრჩეულის და თქვენგან აგენტებად დასამტკიცებელს პირებს გადა-  
საცემად, რომ მათ საზოგადოების საწევრო ფულები შეკრიბონ და აქაურს  
კასისა და გადასცენ წიგნში ჩასაწერად და მოთხოვნისთანავე თქვენ გამოსაგ-  
ზანად. წერილის ბოლოს საჭიროდ ვრაცხ, შეგატყობინო, რომ აქაურმა წრემ  
საქმეების საწარმებლად და ფულების შემკრებად აღირჩია ოთხი კაცი: ალექ.  
ბესარ. კიკინაძე<sup>339</sup>, ესტ. მჭედლიძე<sup>340</sup>, სილ. ხუნდაძე და კირ. ლორთქიფანიძე  
და ამათ შორის კასირად უკანასკნელი, რომელიც საზოგადოების გამგეო-  
ბისაგან ნოელიან ცნობასა და კურთხევას.

შენი კირილე ლორთქიფანიძე

მიხეილ ჭავჭავაძის აღმკვეთი

1

პეტერბურლი 21 მარტს 1869 წ. 342

ძმაო მიხაილ! უთუოდ ძალიან მემდური, რომ ამდენს ხანს წიგნი ვერ  
მოგწერე, მაგრამ ამაში, ერთის მხრით, შენ ხარ ცოტათი დანაშაული და,

მეორეს მხრით, გარემოებები. შენ იმიტომ გთვლი დანაშაულად, რომ ამას წინათ მაჩაბლისათვის<sup>33</sup> მოგეწერა, რომ ამ დღეებში კირილეს წიგნს მიგწერო და მე ყოველდღე მოველოდი შენს წიგნს, რომ პასუხი მომეწერა, მაგრამ შენს წიგნს ძლიერ დააგვიანდა და ამასთან სხვა იმისთანა გარემოებებიც შემხვდა, რომლებიც საკუთრად მე შემეხებოდენ და წერის გუნებაზედ არ ვიყავი. სხვა გარემოება წიგნის მოწერის დამშლელი ის იყო, რომ მე მინდოდა განსაზღვრული რამე მომეწერა ჩვენს ამხანაგობაზედ<sup>33</sup>; მაგრამ აქამდის მე არ შენეებლო არც რამე კარგის წერა და არც ცუდის, ისე რომ თავს მეღუდა შეხი აზრის შეუცდომელობა. ეხლა კი უფრო გამოცხადდა ჩვენი ამხანაგობის ხასიათი და ამისათვის შემომღიან მოგწერო ერთი უსიამოვნო, პირველის შეხედვით, შემთხვევა, რომელმანც წემღგომისათვის უთუოდ სარგებლობა უნდა მოუტანოს ამხანაგობას.

საქმე ის არის, რომ ჩვენი ამხანაგობის შემადგენელი პირები იყვნენ არჩეული ერთი კაცისაგან, რომელიც კარგად ვერ იცნობდა [ამ] პირებს და ამისათვის იმან შეჰყარა ერთად იმი[სთანა] კაცები, რომლებსაც მოთავსება ძალიან ძნელი იყო არაათუ წიგნების შედგენაში, სათარგმნელად არჩევაში და განოცენაში, ისინი ვერ მოთავსდებოდნენ ძლიერ უბრალო საქმეებშიაც. — იყვნენ ამხანაგობაში იმისთანა კაცებიც, რომლებიც თითქმის არაფერში არ ეთანხმებოდა უნეტეს ნაწილსა, იყო იმისთანაც, რომელიც საქმის კარგად წაყვანის გულისათვის მზათ იყო მოერიგებია როგორმე ეს ორი ერთმანეთის წინააღმდეგი მხარე და რომელსაც უნდოდა, რომ ამ მხარეებს შუა ყოფილიყო გულწრფელობა და მიუდგომლობა. მაგრამ, სამწუხაროდ, სამი ოთახისთვის ყაყანმა დაარწმუნა ეს კაცი<sup>34</sup>, რომ ამ ორი მხარის მოთავსება შეუძლებელია, რომ მოუთავსებლობით ამხანაგობის საქმე წინ არ მიდის და მისათვის ეს კაცი სხვანაირად მოიქცა. ეს კაცი ხედავდა გარემოებისაგან, რომ უნეტეს ნაწილს უნდოდა, რომ ერთი ორი კაცი გასულიყო იმის ამხანაგობიდან, მაგრამ ეს უნეტესი ნაწილი, არ ვიცი რა მიზეზის გამო, არ უცხადებდა იმ ორ კაცს თავის სურვილსა. ზემოხსენებულმა საშუალომა კაცმა, რაკი დაინახა, რომ ის ორი კაცი იმდენზედ მივიდნენ, რომ იცვენეს თავისი მდგომარეობა და ამხანაგობიდან გამოსვლაც დააპირეს, მაგრამ ცხადად ვერ ამბობდნენ თავის სურვილსა, რადგანაც ეს ეთაკილებოდათ. იმ საშუალომა კაცმა, ვამბობ შე, გამოაცხადა. რომ მე გამოვდივარ ამხანაგობიდან. ამითი იმას უნდოდა, რომ შეემსუბუქებია იმ ორის მდგომარეობა, რომლებიც, როცა ამხანაგობისაგან გამოსვლას დაინახავდნენ, თვითონაც უფრო გაბედვით გამოაცხადებდნენ იქილამ გამოსვლასა, რადგანაც 'მაშინ უფრო გულდამშვიდებული იქნებოდნენ. ამითი 'საშუალო კაცს უნდოდა, რომ გაეწმინდა ამხანაგობა უთანხმოებისაგან და შეწეოდა იმ საქმეს, რომელიც თავდაპირველად განიზრახა ამ ამხანაგობაშია. საშუალო კაცი...\* არ შემცდარა ანგარიშში, ეხლა საზოგადოე-

\* ერთი სიტყვა დაზარალებულია.



ბის ამხანაგებად ირიცხებიან\*... კაცი და ამის გარდა შენ და თყაიშვილია, რომელიც დროებითად საქართველოში წავიდა. ეხლა შენ მკითხავ, ვინ არის ის ორი კაცი, რომლებიც ამხანაგობიდან გამოვიდნენ და ან ის საშუალო კაცი, რომელიც ასე დიპლომატიურად მოქცეულა და მახანაგობის წევრის სახელი იმისავე კეთილდღეობისათვის შეუწირავსო? თუ ამხანაგობის შემადგენელი პირების ხასიათი ცოტათი მაინც იცი, მაშინ შენ თვითონ შეგიძლიან უპასუხო ამ კითხვებსა. მაგრამ, ნუ იფიქრებ, ვითომც დიპლომატს მარტო ამისათვის დაეტოვებინოს ამხანაგობის წევრობის სახელი, ან ამ სახელის დატოვებით იმას უარა ეთქოს ამხანაგობის თანამშრომლობაზედ, არა, — ამხანაგობიდან ფორმალურად გამოსულია იმას უნდოდა აერიდებინა ამხანაგობა ზოგერთი კაცებსა წევრად გახდომისაგან, რომელნიც თუმცა, ერთი მხრით, სარგებელს მოუტანდნენ ამხანაგობას, მაგრამ, მეორეს მხრით, კიდევ უფრო დიდს უთანხმოებას მოახდენდნენ ამხანაგობის წევრებს შორის, მაგრამ იმის გამო კი არა, რომ ის კაცები ვითომც დაუდგრომელი ხასიათის იყვნენ, არამედ იმის გამო, რომ ამ კაცებს სხვა წევრებს შუა იმნაირივე უთანხმოება ექნებოდა. როგორც ზემოხსენებულ ორ კაცსა და დანარჩენ წევრებს შუა. ზემოხსენებული დიპლომატი ქვიჩრობდა, რომ, როცა ფორმალურად ამხანაგობიდან გამოსვლას გამოვაცხადებო, მაშინ ის სხვა კაცები აღარ მოისურვებენ ამხანაგობის წევრობასო და აქ ამითი უნდოდა დიპლომატს აერიდებინა ამხანაგობა უთანხმოებისაგან, რომელიც სრულიად გააქარებდა ყოველივე სარგებლობას. — თავდაპირველად, როცა ჩვენ ამხანაგობის შედგენას ვაპირებდით, ჩვენ სრულიად არ ვეჭონია აზრში დიდი საქმე, ჩვენ გვინდოდა, რომ ჩვენი თავებდაგან დასრულ ჯიბისაგან და გარეშე პირების თანაგრძნობით შეგვედგინა პატარა კაპიტალი, რომელიც საკმაო ყოფილიყო გაზეთში დაბეჭდილ სტატიების დასაჯილდოებლად. ჩვენ ვეჭვობდით, რომ ერთ ნომერ გაზეთში, რომელიც შესდგება ერთის თაბახისაგან, არაოდეს არ იქნებოდა ხახეუარ თაბახზედ მეტი ორიგინალური სტატიები, და ამთაგანაც ნახევარი არ იქნებოდა დაჯილდოების ღირსი. მაშასადამე, მთელი წლის განმავლობაში 15 თაბახი თუ იქნებოდა დაჯილდოების ღირსი.

ამითი ჩვენ გვინდოდა წაგვეხალისებია ყმაწვილები კარგი სტატიების წერაზედ, და ამითი გაზეთსაც<sup>66</sup> საქმე უფრო კარგად წაუვიდოდა. მეოთხედი თაბახი გაზეთისა „დროებისა“ ანუ ერთი გვერდი შესდგება ოთხი სვეტისაგან (столбец) და თითოეულ სვეტში არის 80 სტრიქონი. თითო სტრიქონი რომ კაპიტანხევიარი მიგვეცა, დასაჯილდოებელი ფული შეადგენდა ნუთ მანეთს, ეჭს არა. მაშასადამე, 15 თაბახზედ, ეკე იგი მრთელი წლის განმავლობაში დაგვეხარჯებოდა 300 მანეთი. მაგრამ, რადგანაც სამას მანეთს თავებდაგან

\* ერთი სიტყვა დაზიანებულია

დაჭრილ ჯიბით დიდ ხანს ვერ შეეგაროვებდით, ამისათვის სტატიების დაჯილდოება ორ წელიწადზედ უფრო ადრე არ შეგვეძლო დაგვეწყო.

აქ ესეც უნდა მოვიხსენიო, რომ ჩვენი ამგვარი შენიშვნით გაზეთი, რასაკვირველია, გაკეთდებოდა, რადგანაც ვისაც მუშაობა შეეძლო, იმუშავებდა იმედით, რომ იმისი შრომა ტყუილად არ ჩაველისო.—გაზეთის გაკეთების გამო ხელისმომწერლებიც მოემატებოდა და მაშინ რედაქტორს თვითონ შეეძლებოდა ნწერლების დაჯილდოება და ჩვენც ფულებს დაგვიბრუნებდა. ეს იყო ჩვენი თავდაპირველი აზრი.

შემდეგ რამდენიმე მოლაპარაკების შემდეგ პირობა დავდევით სარგებელი წიგნების შედგენაზედ ანდა გადათარგმნაზედ და გამოცემაზედ. ამ დროს შენ წამოგვეხმარე და რეზულტატი ამ წამოხმარებისა არის ჯერ „კაცია აღამიანი“ და იმის გაყიდვის შემდეგ იმ ფულით სხვა წიგნები უნდა დაებეჭდოთ, რაზედაც შენ, რასაკვირველია, წინააღმდეგ[ი] არა ხარ.

ცოტა ხანს იქით ამ ჩვენ სურვილს კიდევ მოემატა. ჩვენ გადავწყვიტეთ ყოველ თვეში ერთ რომელიმე ჩვენ ამხანაგის წევრთაგანს იგავგზავნა გ. წერეთლისათვის სტატია „დროებაში“<sup>56</sup> დასაბეჭდად და ამითი ცოტაოდნად ძაინც შევწოდით ჩვენს ლარობს ეურნალისტიკას.

თუმცა, რასაკვირველია, ჯერ დიდი არაფერი გავცრკეთებია. ასე მოკლე ხანში არც მოველოდით დიდს რასმეს, მაგრამ არც ის შეიძლება ვსთქვათ, რომ არაფერი გავგვეკეთებინოს.

ჩვენ ვაპირებდით ახალ ქართულ ეურნალს „მნათობსაც“<sup>101</sup> შევწევოდით და ამ აზრით დავიწყეთ ჯ. გრინუდის რომანის<sup>345</sup> თარგმნა<sup>346</sup>. ამ თარგმანის „მნათობს“ რედაქციაში გაგზავნა იმ პირობით გვინდოდა, რომ რედაქციას დაებეჭდა თავის ხარჯზედ ჩვენდა სასარგებლოდ 200 ეკზემპლიარი ამ რომანის ნათარგმნი. მაგრამ ნანდვილად შევატყეთ, რომ იმას ბევრი ნათარგმნი რომანები ჰქონია. ისე, რომ ჩვენი რომანი იმისთვის მეტი იქნებოდა და იმას გარდა ხელისმომწერლები ისე ცოტა ჰყოლია, რომ არა თუ ჩვენი რომანის 200 ეკზემპლიარის დაბეჭდა, თავისი ეურნალის პირველი ნომერიც ვერ დაუბეჭდია, მესამედი წელიწადი გადის და ჯერ. მაშასადამე, ჩვენი შრომა ამ შემთხვევაში გაფუტდა — თუმცა, რასაკვირველია, მეხუთედის მეტი არ გადაგვითარგმნია, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ამ შრომის დაკარგვაც არ არის სასიამო. მაჩაბელმა<sup>343</sup> გადათარგმნა კომბი<sup>347</sup>, თუმცა ისე კარგად არა. დიდი ეჭვი კი მაქვს, გაიგებენ კარგად ჩვენი მკითხველები, თუ არა.

აქ უნდა მოგწერო, თუ რა უკმაყოფილება მოხდა იმასა და ამხანაგობის წევრებს შუა. მაჩაბელი გეტყოდა, რომ ალ. ორბელიანმა<sup>104</sup> ფული მისცა წიგნის გამოსაცემად თავდაპირველად, სანამდის ჩვენ თანახმა ვიყავით კომბის გამოცემაზედ, მანამდის ის ამბობდა, რომ ორბელიანმა ფული შემპირდა კომბის დასაბეჭდად, თუ წიგნს და იმის ნათარგმნს სასარგებლოდ იცნობსო

თქვენი ამხანაგობაო. ამას გარდა, მაჩაბელი ამბობდა, რომ ფულები, რომელსაც ავიღებთ კომპის გაყიდვით, ამხანაგობის საკუთრება იქნებაო, როგორც თავნი, ისე სარგებელი. ბოლოს როცა ორბელიანმა ასიოდე მანეთი მისცა და დანარჩენის მიცემაც შეჰპირდა, მაშინ მაჩაბელი იმ ფულებს მე მძღვედა, როგორც ამხანაგობის ფულების შეგნახავს. ამ სამი გარემოებაებისაგან სჩანს, 1) რომ ორბელიანმა ფულები სსარგებლო წიგნს დასაბეჭდად გადმოგვცა და არა განსაკუთრებით კომპის დასაბეჭდად, 2) რომ ფულები ამხანაგობის საკუთრება იყო. აქ უნდა მოვახსენო, რომ მე, ბებუროვი<sup>94</sup> და ინაძე<sup>146</sup> დაედით მარბებლთან იმისი ნათარგმნის გასასწორებლად. ამ პირებმა გამოიტანეს ის აზრი, რომ თარგმანი როგორც უნდა, ისე გასაგები არ არის და ამისათვის იმისი დაბეჭდა არ შეიძლებაო. ამას შემდეგ მაჩაბელმა გამოგვიცხადა, რომ ორბელიანმა ფულები განსაკუთრებით კომპის დასაბეჭდად მოგვცა. ამხანაგობას სხვა წიგნის გამოცემა არ შეუძლიანო და რომ ეს ფულები ამხანაგობის საკუთრებაა. მერმე, როცა არ არისო, ჩვენ დაერწმუნდით, რომ კომპის გასაგებად საჭიროა, რომ ჯერ რამე ფიზიოლოგიური წიგნი დაბეჭდოთო და მერმე კომპიო. როცა ამ შემთხვევაში სასარგებლოდ იცენეს. თუ ყველამ არა, უმეტესმა ნაწილმა მაინც რუსჩევსკის<sup>5</sup> ლექციები, ნათარგმნი მაჩაბლისაგან, მაშინ მაჩაბელმა თქვა, რომ რონჩევსკის ლექციები შეიძლება ორბელიანის მოცემულ ფულით გამოვსცეთო.

ამ ერთიერთმანეთის წინააღმდეგის სიტყვებისაგან გამოვიყვანეთ, რომ ორბელიანმა ის ფულები ამხანაგობას შესწირა იმ პირობით, რომ რამე სასარგებლო წიგნი გამოვსცეს, ან მაჩებელს მისცა იმისი ნათარგმნი წიგნის გამოსაცემად, რაც წიგნი გადაეთარგმნა და არა განსაკუთრებით კომპის დასაბეჭდად. თუ ჩვენ მოგვცა ფულები, მაჩაბელი რათ ამბობდა, რომ კომპს გარდა სხვა წიგნის გამოცემა არ იქნებაო. ამასთანავე, თუ სხვა წიგნის გამოცემა არ შეიძლებოდა, კომპს გარდა რონჩევსკის ლექციების დაბეჭდაზედ რათ დათანხმდა. და თუ ჩვენთვის არ მოუცია ის ფულები, მაშინ რათ გვეუბნებოდა, რომ ორბელიანმა ფულები მოგვცაო. ორივე შემთხვევაში მაჩაბლის მოქმედება არ იყო პირდაპირი. და ეს იყო უთანხმოების მიზეზი, რომლის გამო უმეტესი ნაწილი ცოტა ჭიუტად ეპყრობოდა მაჩაბელს. [თუმცა როცა] მაჩაბელი ებვეწებოდა იმით, რომ ჩემი ნათარგმნი წიგნის რამდენიმე თავს წაგიკითხავთო და მითხარით თქვენი აზრი, ცუდია თუ კარგიაო, მაშინ უმეტესი ნაწილი ეუბნებოდა. რომ ესლა დრო არ გვაქვსო. ესლა ცუდ გუენებაზედ ვართ და ყურის გდება არ შეგვიძლიანო, ან სანამ სულ არ გაათავებ, მანამ იმისი წაკითხვა ჩვენი საქმე არ არისო და სხვ. ამასი, რასაკვირველია, უმეტესი ნაწილი დანაშაული იყო.

ბოლოს როცა ამხანაგობამ შეიტყო ჩემი, ბებურიშვილის და ინაძის აზრი, როცა მან წაკითხა რამდენიმე თავი, მაშინ საზოგადოებამ თვითონ წიგნის უვარგებლობას გარდა, თარგმანიც არ მოიწონა. მაჩაბელმა თქვა, რომ

წიგნს მე გამოვეცემო, რადგან ფულები ამ წიგნისათვის არისო. მაშინ ამხანაგობაჲ, რომლის აზრითაც ამ ნათარგმნის გამოცემა სარგებელს ვერ მოიტანდა, უნდოდა რომ ეს წიგნი არ დაბეჭდილიყო და ამისათვის მიუგზავნა მოცეპული მახაბელს და სთხოვა, რომ რადგანაც ეს ნათარგმნი წიგნი ამხანაგობაჲს ეკუთვნისო, გადმოგვეციო და თუ ეს ამხანაგობა მიიღებდა ნათარგმნს, რასაკვირველია, არ დაბეჭდავდა.

შენ იკითხავ: ამხანაგობაჲს რანაირად ეკუთვნოდარო. აი, ამნაირად:

მაჩაბელს ემართა ორბელიანის 50 მანეთი. ამხანაგობის შედგენის შემდეგ მაჩაბელი მივიდა ორბელიანთან და უთხრა, რომ თქვენი ფულის მოცემა, გარდახდა არ შემოძლიანო, და თუ ამ 50 მანეთს თქვენ ამხანაგობაჲს შესწირავთო, მაშინ მე ამ ამხანაგობაჲს ფულის მავიერ თავის შრომით, ე. ი. კომბის თარგმანით დაეკმაყოფილებო. ორბელიანმა უთხრა, წიგნის გამოსაცემ ფულსაც მოგცემთო. აგრე ამბობდა მაჩაბელი თავდაპირველად. მაგრამ მაჩაბელმან მოცეპულს უთხრა, რომ ნათარგმნი ამხანაგობისათვის კი არ მიმიცია, ორბელიანს მივეციო და იმან ფულები გადმომცა და წიგნის გამოცემა მომანდო.

ახლა შენ განსაჯე ეს საქმე, შენის აზრით. მაგრამ ამასთანავე უნდა გითხრა, რომ თუ მაჩაბლის საქმეზედ ამდენს წერილმანს გწერ, იმიტომ კი არა, რომ მე იმ კაცის დამნაშავედ გამოყვანა მინდოდეს, არა, მე მხოლოდ მინდა შეგატყობინო მართალი, ჩემის აზრით, ამბავი. შენ რომ გარეშე კაცი ყოფილიყავი, მაშინ ეს ამბავი იქნება ცუდად მიგელო, მაგრამ მე თუ გეუბნები, იმიტომ, რომ შენ უნდა იცოდე ამხანაგობის ამბავი.

უფ. გრინგუდის რომანის და კომბის თარგმანზედ რაც სათქმელი მქონდა, ვსთქვი. ეხლა სხვაზედ გეტყვი. ჯერ მარტო „კაცია აღამიანი“ იბეჭდება.

[5v-ზე ვკითხულობთ]: ორ კვირაზედ ცოტა მეტია, რაც დავიწყებებეჭდეა და აქამდის ოთხი თაბახის დაბეჭდა მოვასწარათ. ოთხი თაბახი და 1/4 კიდევ იქნება.

18 ოზმა თეთრი ქალაღი, (4 მ. და 45 კ.) = 85,50

11 დასტა სახვევი ქალაღი (80 კ.) = 8,80

8 1/4 თაბახი ტექსტის აწყობა (14 მ. 40 კ.) = 118,80

დაბეჭდა 9 თაბახისა (3 მ.) 27,00

რადგანაც ამ შემთხვევაში მეოთხედ თაბახს ერთი თაბახის ოდენა შრომა უნდა.

9 თაბახის გაელვარება (1 მ.) 9,00

აწყობა სახვევისა 1/4 თაბ. 3,60

დაბეჭდა სახვევისა 3,00

სათაურის ხეზედ მოჭრა 5,00

ფორტაში აკინძვა (რიшоровка) თითო ეკვ. 1 1/2 კ. 15,00

15 ფუთის სასწვრის ფული

4 p. 40 k.

66,00

კოლონეები, ლურემნები 500 მან. საიმედო

5,00

მუშაობა, ტილო, თოკები

15,00

სულ ამდენი დაიხარჯება.

361,70

შენ რომ ფული დასტოვე, ის რომ გამოერიცხოთ

240

მაშ, „კაცია ადამიანისათვის“<sup>65</sup> გვეჭირა კიდევ

121,70

|ლურჯი ფანქრით, 6r-ზე წერია: Писанный портрет. შემდეგ იკითხება: და რაც შეეხება რუსთველის სურათსა,<sup>64</sup> უნდა გითხრა, რომ ხუთასი ეგზემპლიარის გამოცემა დაჯდება ჩემის ანგარიშით 150 მანეთი.

ჯერ სურათი უნდა დაიხატოს კარანდაშით ძლიერ კარგად, ამაში ერთმა მხატვარმა გვთხოვა 50 მანეთი—60 მანეთამდის. მერმე ეს კოპია უნდა გაიგზავნოს საზღვარს გარეთ, თითბერზედ მოსაქრელად. ამაში, როგორც ცაგარელმა შეგვატყობინა, აიღებენ 70 ან 80 მანეთს. თუ ფოლადზედ იქნა, კიდევ უფრო ძვირად ეღირება და მერმე აქ უნდა დავებეჭდოთ ბრისტოლის ქაღალდზედ, და ეს ქაღალდი, დაბეჭდა და ფოსტით გაგზავნა, მე არა მგონია, 25 ან 20 მანეთზედ ან 15-ზედ ნაკლები დაჯდეს. თუ „კაცია ადამიანი“ სახევეი ქაღალდი ღირს დასტა 80 კაპ. მაშ, გასაკვირველი არ იქნება, რომ პორტრეტის დასაბეჭდი ერთი დასტა სქელი ბრისტოლის ქაღალდი 1.50 ნახევრად ეღიროს.

ერთ თაბახში გამოვა 8 სურათი. მაშ, 500 ეგზემპლარისათვის დაგვეჭირდება 3 დასტა ქაღალდი და ეს ეღირება 450 კ., დაბეჭდა 3 მანეთი. ახლა გაგზავნა: 30 ეგზემპლიარი რომ ერთ გირვანქად მიეღოთ და ამასთან კოლონეების სიმძიმე ვიქონიოთ სახეში, ყველა ეგზემპლარი აიწონის 25 გირვანქამდის. და სასწვრის ფული გირვანქაში 30 კ. შეადგენს 7, 50. თითო ეგზემპლიარის სავაჭრო ფასი, თუ 50 კ. იქნა, მაშინ ფოსტაში გადასახდელი საიმედო ფული შეადგენს 250. ამას გარდა[ა] წვრილმანი ხარჯი 2p. სულ დახატვასა და მოჭრას გარდა:

	450	450	დასახატავი და მოსაქრელი რომ	
	150	300	საშუალოდ ვიანგარიშოთ:	
450	750	750	55	5000
275	250	250	75	20
<u>475</u>	<u>4</u>	<u>210</u>	<u>20</u>	<u>150,00</u>
	2000	19,50	150	

აქ არ ვანგარიშობ სურათის საზღვარს გარეთ გაგზავნას და იქილამ ფოლადის გამოგზავნას. და ამგვარად, ეკზემპლიარის ნამდვილი ფასი იქნება 30 კაპ. და მაშინ ორ აბაზზედ ნაკლებ გაყიდვა არ შეიძლება, ვგონებ. ამდენადვე დაჯდება ირაკლის პორტრეტიც. — შენ საილამ გიშოვია ეგ პორტრეტი, შემომითვალე.

ჩვენი ქართული ანდაზა ამბობს: „მამალმა თქვა, მე კი ვიყივლებო და გინდ გათენდეს, გინ[დ] არაო“. მეც ასე უნდა ვსთქვა: აი, მომიწერია, რაც შენთვის მოსაწერი მქონდა და ახლა შენ იცი, თუ შეგიძლიან ამდენის გამოგზავნა, ხომ კარგი, თუ არა და ჩვენ, ხომ იცი, მოთხოვნა არ შეგვიძლიან.

შენი კირილე.

## P. S

თუ „კაცია ადამიანისათვისაც“ და რუსთველისათვისაც გამოაგზავნე ფული, ესე იგი  $120+150=270$ , მაშინ შენი ფული უწინდელიანათ (250 მ) შეადგენს 510 მანეთს; და თუ მარტო „კაცია ადამიანისათვის“ გამოაგზავნე, მაშინ შენი ფული უწინდელიანათ შეადგენს 360 მანეთს.

## 2

ძმავ მიხაილ!

ქ. პეტერბურლი<sup>349</sup>.

4 თებერვალს, 1871 წ.

მე მინდოდა, რომ შენთან წიგნი ვასილის<sup>343</sup> ხელით გამომეგზავნა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო დაწერა ვერ მოვასწარი. ეხლა კალანს ხელს ვკიდებ, მაგრამ არ გეგონოს, რომ ძველ საქმეებზედ რამე მოგწერო. მართალი უნდა გითხრა, იმ საქმეებმა ისე მომაბეზრეს თავი, რომ ეხლა იმათი შეათევერ განნეორება შენთვისაც არ იქნება სასიამო, მეტადრე იმიტომ, რომ ის ამბევები ან ჩემგან გაქვს შეტყობილი და ან ვასილისაგან. ვიტყვი მხოლოდ, რომ ძალიან სცდებია. ჩემის აზრით, ისინი, ვინც ფიქრობს, რომ ქართველები ვერასოდეს ვერ შეადგენენ იმისთანა ანხანაგურ წრეს, რომელმანაც რამე კეთილი საქმის გაკეთება შეიძლოს. თავისი აზრის დასამტკიცებლად იმათ მოჰყავსათ: 1) პეტერბურღელი ქართველი სტუდენტების\*... რომელიც ათი წლის განმავლობაში ათასჯერ დაწესებულა და ათასჯერ დარღვეულა; 2) მოსკოვში წიგნის თარგმნის შეუსრულებლობა და 3) პეტერბურღელი 1868 წელს დაფუძნებული ანხანაგური ისტორია<sup>33</sup>.

\* ერთი სიტყვა ვერ ამოვიკითხეთ.

მე მგონია, რომ ამ ფაქტებისაგან ზევით მოყვანილი დასკვნის გამოყვანა იმგვარივე უსაფუძვლოა, როგორც ის აზრი, რომელიც ახლანდელი ომისაგან თავებრუნდისხმულმა და ისტორიის უცოდინარმა კაცმა შეადგინა საფრანგეთის ხალხზედ. ეს კაცები ამბობენ, რომ ფრანგები დაუღვევარი და ცეტი კაცები არიან, დღეს რომ რუსპუბლიკას გააქვთებენ, ზვალ იმპერატორს აირჩევენო, დღეს რომ იმპერატორს გადააგდებენ, ზვალ კოროლს აირჩევენო, ნემეცები კი უფრო დამჯდარი ხასიათის არიანო. მაგრამ თუ ცხოვრების გამოუცვლელობა დამჯდარი ხასიათის ნიშანია, მაშ, ქართველებისა და ჩინელებისთანა ხალხი ქვეყანაზედ არ ყოფილა. აღამსობილამ იმათ დაუწყესბით პონარქიული სახელმწიფო და აქამდისაც იმას თავყანს სცემენო.

მგონია, რომ ამ ზოგიერთების აზრი ულოლიკოა. იმიტომ, რომ ისინი იმას კი არ უნდა უყურებდნენ, რომ საფრანგეთში ამის შემდეგ ეს იყო, მაშასადამე, საფრანგეთის ხალხი იმისთანა და ამისთანები, იმათ არ უნდა ავიწყდებოდესთ, ვინ ირჩევს საფრანგეთში ერთ საზოგადოებრივ ფორმას; ვინ მეორე ფორმას, ისინი უნდა იძიებდნენ და რა უთხრის საფლავს მეორე ფორმას? მაშინ დაინახავენ, რომ საფრანგეთს უნდა ახალ გზაზედ წასვლა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზები იმას იქერენ. რაც შეეხება ნემეცების დამჯდარ ხასიათსა და შეუცდომელობას საზოგადოებრივს ცხოვრებაში, მე უნდა ვსთქვა, რომ მუდამ საზოგადოებრივი ძილი და სხვის კვალში დევნა ზოგიერთი კაცის აზრში ხასიათის დამჯდარობასა და შეუცდომელობას დაიმსახურებს.

დაუბრუნდები ჩემ პირველ საგანს. მე მგონია, სხვადასხვა წრის შედგენა და იმათი სარგებლობის მოუტანელად დარღვევა მართო ჩვენ ქართველებს არ გვჭირს, რუსების ახალგაზრდობა[სა]ც ამგვარო საქმე ემართება. რა არის ამისი მიზეზი? ისა, რომ წრის შემადგენელი კაცები სხვადასხვა ჯურის არიან, სხვადასხვა ხასიათის, სხვადასხვა გახსნილობის, სხვადასხვა მიმართულების, სხვადასხვა ზნეობის. ამას ემატება სხვადასხვა გარემოება, თუ დროის, თუ სწავლის, თუ მატერიალური ღონისძიების უქონელობა და სხვ.

ჩემის აზრით, მოსწავლე ყმაწვილი კაცებისაგან შედგენილი წრეები უფრო გამოსადეგია ერთმანერთის გასაცნობად, აზრების გაცვლა-გამოცვლისათვის, ერთი აზროვნებისა და გრძნობის დასაცველად და დასამყარებლად, ვინემ რომელიმე აღნიშნული საქმის გასაქვთებლად; იმიტომ საქმეს ყოველთვის დამჯდარი ხასიათის, ზნეობის და აზრების კაცები უნდა. და თუ რომელიმე აღნიშნულ საქმეს ყმაწვილები ადგანან, მაშინ საქიროა, რომ რამდენიმე, ან ერთი კაცი იყოს იმათი ზელმძღვანელი. სამწუხაროდ, ამისთანა კაცები გვაკლია ჭერ ჩვენ და თუ ჩვენში ეინმე ამგვარი კაცების მზავსია, იმათ ზელმძღვანელობა არ შეუძლიანთ სხვადასხვა მიზეზების გამო, რომელთაგანაც ერთი უხეირო და სულელური თავისმოყვარებაა.

იმათ გასამყუენებლად, ვინც ქართველებზედ უიმედო არიან, და ჩემი აზრის დასამტკიცებლად მე მოვიყვან „საქართველოს მოამბეს“<sup>127</sup> (გოგება-

შვილის სახელმძღვანელებს გარდა, რომლებიც შეადგენენ კერძობითი პირებისაგან წამოწყებულ საქმეს), მე მოვიყვან ახლად ტფილისში დაწყებულ წიგნთ საკითხავ ოთახს, რომელზედაც წაიკითხავდი „დროებაში“<sup>56</sup> (თუ მოგდის) და პეტერბურღს უწყებებში<sup>50</sup> და ტფილისში ახლად დაბეჭდილ „კრებულს“<sup>219</sup>. აქ კრებულზედ.

„კრებულის“ მე არ მომწონს ნხოლოდ სტამბა, რომელიც აკადემიის სტამბაზედ, მგონია, „დროების“ სტამბაზედაც ბევრად უტუდესია. „კრებული“ დაბეჭდილია დუბელირის ტიპოგრაფიაში, რომელიც გ. წერეთელსა და კომპანიას იჯარით აუღიათ.

რადგანაც ამ ტიპოგრაფიის ბეჭედი ძალიან ცუდია, ამიტომ მე ვყოყმანობ ჩემგან გადათარგმნილი წიგნის<sup>25</sup> დასაბეჭდად გაგზავნას, თუმცა ნიკოლაძე ღიღი ხანია მწერდა, რომ გამაგზავნე, დავბეჭდავო, მაგრამ დაუბეჭდელობას ისევე დაბეჭდა სჯობია, და, ვგონებ, ამ ცოტა ხანში გავაგზავნო, თუ ცხოველების სურათების კლიშეები ქირით ვიმოგნე.

ამას გარდა, მე გადავაკეთე ის ანბანი<sup>246</sup>, რომელს გამოცემა გამოცხადებული იყო „კაცია ადამიანის“<sup>65</sup> სახევეზედ. ეს ანბანი, ისეთია, რომ ჩემი აზრით, იმისი გამოცემა ძალიან სასარგებლო იქნებოდა<sup>351</sup>.

უხლა ამის მეტს ვერას გწერ, მეტადრე იმიტომ, რომ ნაშუალამევის სამი საათია და ძლიერ მძინება. გეტყვი მხოლოდ, რომ მე იქნება ამ ცოტა ხანში ტფილისისაკენ გავემგზავრო, რომ ჩემი იოჯისოდენი ძალა სხვების თბილისოდენ ძალას მივამატო საზოგადოების სასარგებლოდ. მართალია, კანონიერი პასპორტი არა მაქვს და ამან, ერთის მხრით, იქნება კიდევ მაგნოს, მაგრამ, მეორეს მხრით, მასაც ვფიქრობთ, რომ ეს პასპორტი რომ მქონოდა, იქნება, დავებრკოლებინე საზოგადოებების სასარგებლოდ მუშაობაში: [არ] დაივიწყო, რომ ამ ათი წელიწადის განმავლობაში, თუ მეტი არა, ას ოცი ქართველი მაინც იზრდებოდა უმაღლეს სასწავლებლებში და იმათგან სამი ოთხს მეტს ხელი არ მოუკიდნია საზოგადოების სასარგებლო საქმისათვის, სხვები კი ჩინოვნიკობაში ჩაეფლენ სულითა და ხორციით, თუ აქედან წასვლისთანავე და თუ ერთ წელიწადს სასარგებლო საქმობის შემდეგ. არ დაივიწყო, რომ მე მომაკვდავი კაცი ვარ... რასაკვირველია; მე იმას არ ვიტყვი, რომ კეთილსინდისიანი სამსახური სასარგებლო არ იყოს საზოგადოებისათვის და თვითონ მოსამსახურისათვის, მაგრამ ამ ადგილისათვის ყოველთვის მოიპოვება კაცი და იმ საქმისათვის, რომელსაც მე უფრო მაღლა ვაყენებ, ძალიან ძნელად იპოვება. ამითი მე არ მინდა ესთქვა, რომ ჩინოვნიკობაში ჩაფლულებს ნიჭი და სწავლა აკლდეთ, არა, ისინი უფრო უმაღლეს საქმეს იმიტომ არ დასდევენ, რომ ეს საქმე იმათ ბევრ ფულებს არ მოაგებინებს და ადვოკატობა და სუდიობა კი რალა საკითხავია.

არც იმას ვიტყვი, რომ ჩინოვნიკობასთან სხვა საქმის გაკეთება არ შეიძლებოდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში კაცი საქმისათვის კარგად მომზადებულია



უნდა იყოს, თორემ თან სამსახური და თან სწავლის შეძენა და ხალხში გავრცელება ძლიერ ძნელი საქმეა.

შენი კირილე

[შემდეგ ფანქრით, ძალზე გაურკვეველად]: მეტადრე იმიტომ, რომ შეიძლება კაცმა ჩინოვნიკობისაგან გადიხაროს და უკეთესი, მაგრამ ჯიბისათვის უსარგებლო საქმე მინდორში გაუშვას. აქ ესეც უნდა გითხრა, მე თუ ამდენ ხანს პასპორტს ვეძებდი და იქნება ახლა შეეუდგე იმის ძებნას, რომ მატერიალური ღონისძიება იყოს. ეგ იმიტომ, რომ მე მასწავლებლის ალაგი მინდა მეშვნა, და მასწავლებლობა, ჩემის აზრით, ერთი უკეთესი საქმეთაგანია, რომელიც სრულიად ეთანხმება და არ ეწინააღმდეგება სხვა სასარგებლო საქმეებს, რომელნიც ჩვენ ეხლა განსაკუთრებით უნდა გვქონდეს მხედველობაში.

თუ პასუხი, წიგნი მომწერო, ვასალის<sup>343</sup> ხელით გამომიგზავნე, ანდა წამოსვლის შემდეგ იმას გამოუგზავნე ჩემდა გადმოსაცემად.

კირილე ლორთქიფანიძისადმი

ვ ლ ა დ ი მ ე რ ა ლ ე ა ს ი - მ ა ს ხ ი შ ვ ი ლ ი ს ა

დიდად პატივცემულო კირილე ბეჟანიჩი!<sup>352</sup>

უმორჩილესად ვთხოვთ, დამდოთ პატივი და მობრძანდეთ ჩემ სადგურში, ბალახენის ქუჩაზედ, ნაკაშიძის სახლებშიდ, დღით ხუთშაბათს 8 საათზედ, რათა დაგვეხმაროთ თქვენი კეთილის რჩევით შესახებ იმისა, თუ რა საშვალეებით შეიძლება აშენდეს მუდმივი სახალხო თეატრი ქ. ქუთაისშიდ.

თქვენი ღრმად პატივისმცემელი  
ვლ. ალექსეევ-მესხიშვილი

ქუთაისი  
23 VI 99

ი. გოგებაშვილი ს ა

1

[1873—74]353

ძმაო ლორთქიფანიძე! ამ წინაზედ ინაშვილს<sup>5</sup> წერილით ვთხოვე, რომ სამი-ოდე წიგნი ეყიდნა და გამოეგზავნა ჩემთვის აბასთუმანში. მაგრამ წიგნები აქამდის არსადა სჩანს. იქნება ინაშვილი ქალაქშიაც არ იყოს. ამიტომ მეტი ღონე არ არის, ისევე თქვენ უნდა მოგმართოთ ამავე თხოვნით. ეს წიგნები არიან შემდგომნი: Детские рассказы и стихотворения Водовозовой, Элементарные рассказы из Физики и Химии Водовозова и Христоматия для детского чтения Соловьева-Васильева (если не ошибаюсь). ეს წიგნი ორი ავტორისაგან არის. შედგენილი და გამოცემული 1873 წელსა. აგრეთვე მეტად საჭიროა ვრცელი (ორთაბახ ნახევრიანი) გამოცემა ჩემი ანბანისა<sup>107</sup>, რომელიც შეიძლება მელიქიშვილის<sup>354</sup> სტამბაში იშოვნოს, ან ითხოვოს კაცმა. ძალიან დამავალებთ, თუ ამ წიგნებს ვართანოვის მალაზიაში იყიდით და გამომიგზავნით აბასთუმანში ნ. ყიფიანის ხელით<sup>355</sup>, რომელიც ამ თვის 20—25 რიცხვებში აპირებს აქ ამოსვლასა, სასყიდელ ფულებსაც ნ. ყიფიანს გამოართმევთ.

თუ თავისუფალი დრო ძალიან ცოტა არა იმატვთ, შეგვატყობინეთ წერილით, როგორ მიდის ჩემი წიგნის ბეჭდვა და როდის გათავდება აგრეთვე ისიც, იბეჭდება თუ არა ცალკე ჩემთვის 24 ეგზემპლარი კარგ ქალაღდზედ, თანახმად ჩემი თხოვნისა ინაშვილის წერილში. პოლიტიკაჲების შესახებ ნიკოლაძესაგან წერილს მოველით თუ ტელეგრაჲმას. მე ძალიან ვეჲკენულობ, რომ პოლიტიკაჲებმა წიგნის გამოსვლა არ დააკვიანონ.

თჲქვენი ერთგული ი. გოგებაშვილი.

მომეტებული არ იქნება, რომ დროების<sup>56</sup> შემდგომ ნომერში ბიბლიოგრაფიული ცნობა დაბეჭდოთ ამ სახით:

ბიბლიოგრაფიული ცნობა

იბეჭდება და შემოდგომაზედ გამოვა გასასყიდათ საყმაწვილო კონა ანუ პირველ დაწყებითი მოთხრობანი ბუნების მეცნიერებიდგან, პირველი ნაწილი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან.

P.S. ამ ცოტა ხანში უნდა გაუგზავნო ილია ჭავჭავაძეს<sup>215</sup> და აჲკი წერეთელსა<sup>54</sup> გადაწერილი საყმაწვილო რუსული ლექსები ქართულ ენაზედ გადასათარგმნელათა. ლექსებს ბლომათ ვაწერინებ და კაი ხანს წაართმევს ამ წვენ პოეტებს მათი თარგმნა. ამიტომ ცოტა არ არის ვეჲკენულობ, ვაითუ უარი მითხრან, ან არა და იქნება ხელზედ ტყუილუბრალოდ, დამიხვიონ: აღთჲმა შომცენ და აღარ ამისრულონ. ეს უკანასკნელი, რასაკვირველია, ცივ უარზედ გაცილებით უარესი იქნება, რადგანაც ღონისძიება არ შექნება სხვა პირებს ვისმე დროზედ მიემართო ამ საქმისათვის. არ შეიძლება, რომ თჲქვენ, პეტრემ<sup>56</sup> და კიდევ სხვებმა ვინმემ თჲქვენი მხრით გავლენა იჲქონიოთ ამ ჩვენ პოეტებზედ და გადათარგმნა მონადლომებინოთ და დააჩჲარებინოთ. არც ჭავჭავაძის და არც წერეთლის აღრესი არ ვიცი. ამიტომ გთხოვ წერილით შემატყობინოთ პირველივე ფოჩტით.

ი. გოგებაშვილი

უფალო ღოღრთქიფანიძე!

წარსული ფოჩტით მე გამოგზავნე თჲქვენთან წერილი, რომელშიაც გავიმეორეთ, თუ რამდენი ეგზემპლარი უნდა დაიბეჭდოს ჩემი წიგნისა. რადგა-

ნაც იმ წერილის მოუსვლელობა თქვენამდის შესაძლებელია, ამიტომ ხელმეორეთ გწერთ, რომ დაიბეჭდოს ერთი ზაოლი, ე. ი. 1,200 ეგზემპლიარი, გარდა იმ ოცდაოთხი ეგზემპლიარისა, რომელიც საკუთრად ჩემთვის დაიბეჭდება. გარდა ამისა, თქვენ „დროების“<sup>56</sup> შემდგომ ნომერში დაბეჭდეთ შეუსვლელათ შემდგომი სტრიქონები: „ჩვენ ამ წინაზედაც გვქონდა გაგონილი ი. გოგებაშვილისაგან და ახლაც დამტკიცებით შევიტყვეთ მისგან, რომ ის თავის სახელმძღვანელოებს: ანბანს<sup>107</sup> და პირველ საკითხავ წიგნსა დარიგებით, თუ როგორ უნდა იხმარებოდეს ეს წიგნი (ეს დარიგება ცალკე ბროშურათ არის დაბეჭდილი)<sup>358</sup>, ბუნების კარსა<sup>106</sup>, ახლათ შედგენილ წიგნსა, რომელიც იბეჭდება<sup>359</sup> და ყველა სახელმძღვანელოს, რომელსაც კი ის შენდგომში შეადგენს, სდებს სახალხო შკოლების სრულ და აუცილებელ საკუთრებათ. — მაგრამ რომ ამ გადაწყვეტილებამ შესაფერი სარგებლობა მოუტანოს ჩვენ სახალხო შკოლებს, საჭიროა, რომ ახლავე, დაუგვიანებლივ, შესდგეს კომიტეტი წერა-კითხვისა და მიიღოს თავის მზრუნველობის ქვეშ სახელმძღვანელოების ბეჭდვა, მათი გავრცელება და იაფფასათ და უფასოთ გაგზავნა-გამოგზავნა შკოლებში“.

მე ჩემი გადაწყვეტილების საქვეყნოდ გამოცხადება აქამდის არა მსურდა, მაგრამ. რადგანაც ამ გამოცხადებას შეუძლია წერა-კითხვის კომიტეტის დაარსება ბევრათ დააჩქაროს, ამიტომ საჭიროდ შევგაცხე „დროებაში“<sup>56</sup> მისი დაბეჭდვა. თქვენ ადვილათ დამეთანხმებით, რომ მოხსენებული ანგარიში ამ შემთხვევაში მე არ შატყუებს. თუ როგორმე წიგნის ბეჭდვის ამბავს შეგვატყობინებთ, მადლობელნი დავგრჩებით.

თქვენი ი. გოგებაშვილი

მე შევიტყვე, რომ ა. წერეთელი<sup>54</sup> სამზღვარგარეთ არისო. ვის მივმართო ლექსების გადასათარგმნელათ მის მაგიერათ, არ ვიცი.

3

დიდათ პატივცემული კირილე ბეჟანის ძე!

4  
18. \_\_\_\_\_ 83300  
12

გაწუხებთ ერთი საზოგადო საქმის გამო.

უეჭველია, შეტყობილი გექნებათ, რომ ეს მეორე წელიწადია, რაც თბილისში შევუდევით „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანს ნემეცურს ენაზედ ლექსადვე. თარგმანი იკისრა ლეისტმა<sup>361</sup>, რომელიც სწორედ ზედგამოტყრილია ამ

საქმისათვის. ჩვენ დავაჩქარეთ ეს მარჯვე შემთხვევა ხელიდგან არ გაგვეშვა, რადგანაც, ვინ იცის, იქნება სრულიად აღარადროს არ მოგვეცემა შემთხვევა ევროპულს ენაზედ ჩვენი სასიქადულო ქმნილება გადაგვვლებინა შესაფერი ფორმით...

პირობის ძალით, რომელიც მე შევკარი ლეისტთან, მას „ვეფხისტყაოსანი“ უნდა გადაეთარგმნა ლექსად ორის წლის განმავლობაში და თარგმნის საფასად მიეღო 700 მანეთი. ამჟამად თარგმანი მთელის წიგნისა უკვე გათავებულია და წაკითხულიც არის ნემეცურის ენის მცოდნე პირების მიერ. ეს პირნი ერთხმად აღიარებენ, რომ თარგმანი შესრულებულია მშვენივრად, ხელოვნურად. ასეც უნდა იყოს, რადგანაც თვით გერმანიაში ლეისტი აღიარებულა, როგორც ნემეცური ეურნალ-გაზეთებიდგანა სჩანს, არა მარტო როგორც ნიჭიერი, არამედ ხელოვანი (художественный) მთარგმნელი. მაისის დამდეგში ლეისტი მიდის გერმანიაში და იქ დაიჭერს „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვის თავდარიგს რომელიმე გამოჩენილი ფირმის შუამავლობით. დანაპირი ფულიდგან ჩვენ აქამდე მიგვიცია 400 მანეთი, უნდა მივცეთ კიდევ 300 მანეთი თარგმანში და 200 მანეთი შემწეობა გამოცემისათვის. ამოდენა ფულის შიცემა, მეტადრე ერთბაშად, ძლიერ გვიძნელდება, რადგანაც, თუმცა სიტყვით ძლიერ ბევრმა აღგვიტევა ფულით შემწეობა, მაგრამ საქმით კი მთელი ხარჯი დაგვაწვა სულ თერთმეტს კაცსა, რომელთა შუა ითვლება ნიკო ლოლობერიძე<sup>3</sup>. ამის გამო ჩვენმა წრემ მე დამავალა მოშემართა თქვენთვის თხოვნით, არ შეიძლება, რომ თქვენი თაოსნობით ქუთათურმა ქართველობამაც შიილოს მონაწილეობა. ხარჯში და შეგვიძნელბუქოს ტვირთი. თუ ეს შესაძლებელი გახდეს, გთხოვთ დააჩქაროთ ფულის მოკრება, რადგანაც 500 მანეთი ამთვის გასულს უნდა ჩავაბაროთ ლეისტსა.

თქვენი პატივცემული  
იაკობ გოგებაშვილი

ჩემი ადრესი: Тифлис, Я. Г. Давидовская площадь, дом № 3.

4

უპატივცემულესო კირილე ბეჟანის ძეგ<sup>1362</sup>

გუშინ საღამოზედ მოხდა ერთი (ყერძო) კრება, რომელმაც დამავალა გამომეგზავნა თქვენთვის დაუყოვნებლივ: 1) შავი ქალაღლისა, რომელიც არის შედგენილი პასუხად დირექტორის მოთხოვნილებისა, რომ ძველი სენაკის სა-

აზნაურო სკოლაში ქართულს ენაზედ სწავლება მოსპობილ იქმნას და 2) პირი ერთი რუსულის წერილისა, რომელსაც საგნად აქვს სამეგრელოს სკოლებს ახლანდელი სამოსწავლო გეგმა და რომელიც უკვე მოსმენილი გაქვთ (შემოკლებით) წარსულს შემოდგომაზედ ჩემს ყოფნის დროს ქუთაისში. საერთოდ აქაურები გთხოვთ თქვენ მანდაურებსა ერთი ქალაქი და მეორეც გულდადებით გადიკთხოთ განვითარებულ მეგრელებთან ერთად და შეგვატყობინოთ: ანგვარი ქალაქის გაგზავნა დირექტორის პასუხად, თქვენი აზრით, ხერხიანი იქნება თუ არა? ამ წერილის დაბეჭდვა რომელსამე რუსულს გამოცემაში ხომ სასარგებლო იქნება? თუ რაიმე ცვლილებანი საჭირონი არიან ან ერთში, ან მეორეში, რაში უნდა მდგომარეობდნენ ეს ცვლილებანი? გარდა ამისა, რადგანაც სამეგრელოს თავად-აზნაურობის სურვილს შესახებ სწავლის მოწყობილობისა ძველი სენაკის სკოლაში უპირველესად საქმის გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ მიუცილებლად საჭიროა, რომ მან თავისი საერთო სურვილი, უკვე ყველასაგან ცნობილი ძველის სენაკის სკოლის დაარსების დროს გამოცხადებული, ერთხელ კიდევ საქვეყნოდ გამოამჟღავნოს წვევანდელს საბანკო კრების დროსა და აღიაროს, რომ ჩვენი სკოლისათვის ესდებთ ფულსა იმ პირობით, რომ იქაც სწავლა მიდიოდეს ქართულს ენაზედ, როგორც ქუთაისის და თბილისის სააზნაურო სკოლებში მიდის-თქო. ამისათვის საჭიროა მხოლოდ სმეტის დამტკიცების დროს დაემატოს ერთი ვრცელი წინადადება.

ქალაქდების გამოგზავნა დაგვიანდა იმის გამო, რომ ჩვენ სრული იმედი გექონდა ი. ჭავჭავაძისა<sup>315</sup>, რომელიც ახლა ქუთაისშია. მაგრამ გუშინდელს კრებაზედ შიში აღიძრა. ვაი თუ ჭავჭავაძემ, რომელიც სრულიად სხვა საქმეზეა წასული ქუთაისში, ეს საგანი დაივიწყოს და მარჯვე შემთხვევა ხელიდგან გაგვისხლტესო. მაინც და მაინც ამათი გამოგზავნით არა დაშავდება არა.

გთხოვთ ქალაქდები დაგვიბრუნოთ ერთის კვირის განმავლობაში, თუნდა ი. ჭავჭავაძის ხელითა. კარგი იქნება, ვგონებთ, რომ კოპიოები გადააწერინოთ (ეს ერთი დღის საქმეა) და დაიტოვოთ მანდაც და სამეგრელოშიაც ორიოდე გზგემპლარი გაატანოთ.

თქვენი მარადის პატივისმცემელი  
იაკობ გოგებაშვილი

P. S. ყოველ შემთხვევისათვის გაცნობებთ ჩემს აღრეს: Головинский проспект, дом. Мухранского, № 12.

13 მაისს  
1887 წ.

3 февраля, 1883 г. ქუთაისში

1

Кирил Бежанович!

Прошу тебя принять на себя труд: предупредить наших сотоваришей, что я завтра утром посылаю прошение в цензурный комитет об освобождении меня от редакторской обязанности; Кроме того считаю нужным предупредить Вас всех, что от сего числа я никакого участия не буду принимать в составлении газеты и в ея редакции, разве кроме того, что в случае крайне необходимости буду прочитывать некоторых статей и то, как сказано выше, в крайних случаях.

Твой навсегда  
Дм. Даднани

2

კირილე!

8 მაისს 93.363

ვფიცავ დაუსაბამობას, რომ შენმა წერილმა ცრემლები მაყრევინა. რაზედ აგიტრუვდა ჩემზედ ასე გული, რომ აზნაირი ბარათის ღირსი გამხადე. მართალია, ეს ორი წელიწადია არ მინახავხარ, მაგრამ ამ დროის განმავლობაშიდ შე მეგობრები არ დამივიწყნია და თუ წინეთ ჩვენში მშური დამოკიდებულება იყო, სოფელს ისე არ წაუხდენია ჩემთვის სეინდისი, რომ კაცის ღირსება დამვიწყებოდეს. ან რა იყო ისეთი ჩემს წერილში, რომ გაუბრაზებინარ. როცა შენ ვეპსილი გამომიგზავნე ხელის მოსაწერათ, იმ ბარათში მწერდი, რომ ფულის გამოგზავნა ეხლა ვერ მოვასწარი და შემდეგის ფოჩრით გამოგიგზავნიო. აი, ამ შენმა სიტყვებმა გამოიწვია ჩემი ორიოდ სიტყვა. შე მოგწერე, რომ მგონია, ფულის გამოგზავნა დაგავიწყდა მეტიო. რა არის ამ სიტყვებში საწყენი, მე ეხლაც არ მესმის. თუ ის გეწყენა, რომ წერილი შემთხვევით ებრაელს გამოვატანე, დაარწმუნე შენი გული, რომ იმას არც კი წაუკითხავს, რა იყო და კიდევაც რომ წაეკითხა, ჩვენი დამოკიდებულება იმან კარგად იცის და ის მნიშვნელობა, რომელსაც შენ აძლევ ამ უბედურს ჩემს წერილს, იმას თავშიდაც არ მოუვიდოდა. და ან როგორ გაბედავდა, რომ სხვისთვის ეჩვენებია ჩემი წერილი? შეიძლება რამე სხვა მიზეზი გქონდეს სამდურაეისა, თორემ რა არის, რამ მოგიკლა ასე გული? მე შენს წყენას რომ ვერიდები, ისე მამი-ჩემის წყრომას და წყენას არ მოვრიდებივარ.

შენს ბარათს ისევე უკან გიბრუნებ და გთხოვ, როგორც პატიოსანს კაცს, ნელახლა გადაიკითხე, მაგრამ გულდასმით და მერე მომწერე—ღირსი ვიყავი

ამ ბარათის მოწერისა, თუ არა? სხვამ თუ ვინმემ გული მოგაყვანია და ჩემ-  
ზედ იყრი ჭავრს, ეს რა კაცობაა? და თუ ჩემდა უნებურათ რამე გაწყენინე,  
გთხოვ, მომიტყევე. მაგრამ ღმერთმან იცის, რომ მე შენთან დანაშაული არა  
ვარ და არც მიფიქრია შენი უპატივცემლობა.

დასამტკიცებლად მისა, რომ ეხლა არ მემდღური, გთხოვ ეს ბილეთები  
ისევ უკან მიიღო და მოუარო ისე, როგორც ამდენს ხანს უვლიდი. თუ რამე  
მედება შენი, რატომ არ მწერ, ბევრის გადახდა თუ არ შემიძლია, ამ ცოტა  
ვალს მაინც გადავიხდი.

აგრეთვე გიგზავნი ვექსილის ბლანკს, სეფე მხეიძის<sup>5</sup> ხელმოსაწერს, გულა<sup>6</sup>  
დაიბარე და ის მოაწერინებს ამაზედ ხელს და ისევ დროზედ ჩაგაბარებს.  
წარსადგენია ოცსამ თვეს. ამ ვექსილის სარგებელს იმ დროისათვის  
გამოგიგზავნი, ძველი ვექსილი კი უკანვე დაუბრუნე... გაუგზავნის. იმედი მაქვს,  
რომ გულს ისევ გახსნი ჩემზედ. ვინ მოგატყუა, რომ კრებისათვის ჩამოვალ.  
არც კი მიფიქრია.

შენი დიმიტრი დადიანი.

რ ა ფ ი ე ლ ე რ ი ს თ ა ვ ი ს ა

[1882]<sup>365</sup>

საყვარელო კირილე ბუეანიჩო!

გიგზავნით ლექსს „მუხთალს“<sup>365</sup>. თუ იტვირთებს „შრომა“ და შეესაბა-  
მება ან გაზეთის მიზანს და მიმართულებას, ან დროებას, რადგან არ ჩე ვ ა-  
ხ ე ბ მ ა ბევრი გზა და კენჭი გაამრუდეს, იმ შემთხვევაში დაბეჭდეთ, თუ არა  
და—ფურნე მანდაც ბევრი იშოვება. ან კი ფურნე რათ უნდა: ერთი სპიჭკა  
და მაგის ჭანი!

სხვებზე ვისურვებ თქვენდა ყოველს კეთილს და წარმატებას. მეც მივულ-  
ვეთ, თქვენი მარადის პატივისმცემელი, უვნებლათ. დავშთები უმორჩილესი.  
რაფიელ ერისთავი.

ხელის მოწერის ნაცვლად, ამ შემთხვევაში მე მსურს ვარსკვლავი იყოს  
ხმარებული, თუ სასტამბოთ შეიქნა ეს ლექსი.

გ რ ი გ ო ლ ვ ო ლ ს კ ი ს ა (უმფიფარნიძე)

[1885 წ. მაისი]<sup>366</sup>

ბატონო კირილე!

ეს-ეს არის პოსტალიონმა შემომიტანა წერილი, სადაც მაცნობებენ ესტა-  
ტე მჭედლიძის<sup>366</sup> უღმერთო და ავაზაკურ მოკვლას. ჩემი მწუხარება გამოუთ-



ქმელია. ჩვენ ყველანი კარგად ვიცნობდით საწყალ ესტატეს, ყველას მოგვაკლდა პატიოსანი მუშაკი და ერთგული თანამოზიარე... მაგრამ ჩემი უბედურება მეტისმეტია: მე აღარა მყავს, მე მომიკლეს უგულითადესი მძა-მეგობარი. ესტატეს ავანაკური მოკვლა უმნიშვნელო საქმე არ არის, და არც ჩვენ უნდა დავამტკიცოთ ამ მოკლენის საზოგადო მნიშვნელობა. ჩვენში ჯერ კიდევ ცოტაა ისეთი კაცები, როგორც იყო ესტატე და თუ ჩვენ ვაფასებთ სადმე ამგვარ კაცებს, ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ შესაფერი მნიშვნელობა მივსცეთ ასეთს უბედურებას და ღირსეულად მივუხსნათ იმათ, ვისიც ავანაკური ზელია გარეული ამ მოკვლაში. ნუთუ ეს უდროო სიკვდილიც ისე უმნიშვნელოდ ჩაიარს, როგორც სხვა ათასი ჩვენში, როგორც ერთი ვინმე ვიგინდარას მოკვლა, როგორც ვინმე მთვრალეების და უგუნურების ჩეხა-სიკვდილი?—ჩვენი სამღვთო ვალია, თუ ჩვენ ცოტაოდენი პატივისცემა მიანიც გვაქვს საწყალ ესტატესადმი და ჩვენი საკუთარი თავის პატივისცემა, თუკი ჩვენ რამე შეგვეძლება და რამე გავლენა გვაქვს, არაფერი არ დავზოგოთ, რომ აღმოვაჩინოთ ავანაკები და ღირსეულად დავსაჯინოთ მართლ-მსაჯულებას. ჩვენი სირცხვილი და სრული დაძაბუნება იქნება, რომ ავანაკს ამგვარი საქმე შერჩეს, მოგვიკლან პატიოსანი წევრი და აზნაუნი და ჩვენ არ ვიხმაროთ ყოველი საშუალება, რომ სამერმოსოდ მიანიც დაუტულო იყოს საზოგადოება ამგვარ უეცარ და უსვინდისო დაცვლისაგან თავის ერთგულ მსახურს. სად, რა საზოგადოებაში ვცხოვრობთ? რაღა ამის შემდეგ ჩვენი საქმე, ჩვენი ერთგულება კეთილსადმი და პატიოსნება, თუ ძალღივით მოკვლავს ვინმე არამზადა ქუჩის ყურეში, თუ მოსარჩლეც კი არავენ გამოგვიჩნდება, არც არავინ დაგვიტირებს და საფლავეში ჩაგვყვება მხოლოდ გულ-ცივი და გულ-ქვავი წუთისოფლის შხამი ნაღველი...

თუ ვინმე ფულისანი ტუზის ფოლკენგაგენის მარტო თავს დაცემისათვის და დაჭროსათვის (покушение) ხუთი კაცი ჩამოაღჩევს, ნუთუ ესტატეს მოკვლისათვის უბრალო საძარათლსაც არ ველირსებთ? გაზეთებს ახლა დიდი მნიშვნელობა აქვს და ჩვენც უნდა ვიხმაროთ ეს საშუალებანი; რომ მივსცეთ ამ საქმეს ღირსი მნიშვნელობა, აღმოვაჩინოთ მკვლელები და ამით დავამშვიდოთ საზოგადოების აღშფოთებული სვინდისი. რით აღმოვაჩენთ მკვლელს?—და მით, რომ არ გავჩუმდებით, ვიყაყანებთ, არ შევშინდებით, მივაქცევთ ამ საქმეზე საზოგადოების, ბექედის და ადმინისტრაციის ყურადღებას. ეს არის ჩვენი ვალი. დიდად სამწუხარო და სამარცხვინო საქმე იქნება, რომ ჩვენ აქ არაფერი გავაკეთოთ, პოლიცია და ადმინისტრაცია ამ მკვლელობას ისევე გულგრილად მოექცეს, როგორც სხვა ათას ჩვეულებრივს მკვლელობას, როცა სახლში ქურდები მიუცვივიან ვისმე. არა თუ სამარცხვინო იქნება საქმის ამგვარი მიმართულება, საზოგადო უბედურებაც იმითომ, რომ ეს იქნება ჩვენი სიძაბუნის და სიგლახის ნიშანი, იმის ნიშანი, რომ პატიოსნება ფუჭი საქმეა და თუ მტკიცედ მოინდომე მისი დაცვა, შენც ის დღე მოგელას, რაც

შენს ერთგულ მეგობარს... გულსაკლავი და უნუგეშო პერსპექტივაა!.. თქვე-  
ნა გწერთ ამ წერილს, კირილე, იმიტომ, რომ ესტატეს ჭირისუფალს არავის  
ვიცნობ, მთელი ინტელიგენცია ერთ დიდ ოჯახად მიმაჩნია და ყველანი ყვე-  
ლას ჭირისუფლად: თქვენ გწერთ, როგორც წარმომადგენელს ქუთაისის ინ-  
ტელიგენციის წრისას.

თქვენი პატივისმცემელი გრ. ვოლსკი.

პ ა რ მ ე ნ თ ვ ა ლ ჰ რ ე ლ ი ძ ე - ც ა ხ ე ლ ი ს ა 367

ბ.. კირილე!

როგორც თვითონაც იცით, „დროების“<sup>56</sup> მოსპობის<sup>568</sup> შემდეგ ერთად-  
ერთი ქართული გაზეთი „თეატრი“-<sup>569</sup> დაგვრჩენია. ჭერჭერობით არ შეგვი-  
ძლია ვსთქვათ, რომ მატერიალურის მხრივ ეს გაზეთი ხეირიან მდგომარეობა-  
ში იყო და იმიტომ ყოველ ღონისძიებას ვხმარობთ მატერიალურად  
ამას ხელი მოვუშართოთ. გთხოვ თქვენც რომ ხელი მოგვიწყოთ.

დღესვე ჩვენ შევიტანეთ თხოვნა თბილისის სათავადაზნაურო ბანკში,  
რომ ბანკის განცხადებები, რომელნიც დღემდე „დროებაში“ იბეჭდებოდნენ,  
ჩვენ გადმოგვეცენ დასაბეჭდად. სხვათა შორის, ის პირობაც კი მივეცი, რომ  
თუ ეს აუცილებლად საჭირო იქნება, ჩვენ გავუგზავნით „თეატრის“ ნომ-  
რებს ბანკების განცხადებებით ყველა ყოფილს ხელისმომწერლებს „დროე-  
ბისას“.

იმედი გვაქვს, რომ კერძოდ თქვენც დაგვეხმარებით ამ საქმეზე და ბან-  
კის წმართელობას დაათანხმებთ ქუთაისის ბანკის განცხადებების ჩვენდამი  
გადმოცემაზე დასაბეჭდად. პასუხისმგებელი მოკლე დროში „თეატრის“  
რედაქციაში.

29 სექტემბერი

1885 წელი

თქვენი გულითადი პატივისმცემელი პარმენ  
თვალჭრელიძე-ცახელი

ა ნ ა ს ტ ა ს ი ა თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა

მოწყალეო ხელმწიფე! ბატონო კირილე ბეჟანისძე!

[1893] 370

ყველას კარგად მოგეხსენებათ, რა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს  
ჩვენში საყმაწვილო ჟურნალის გამოცემა; შემდეგ „ნობათის“<sup>371</sup> დახურვისა,  
სხვადასხვა მიზეზების გამო, აქამდის ჟურნალს ვერაინ ვერ მოჰკიდა ხელი.

ეხლა მე გავხედე, ამ მძიმე საქმეს შევეუდგე, მაგრამ ჩემი შრომით და მეცადინეობით რას გავხედები, თუ თქვენი იმედი არ მექნება. ვიცი, არ დაიზარებთ, ამისთანა საზოგადო საქმეში გულმოდგინებას გამოიჩინებთ და მიშველით, რომ ჩვენს ნორჩ შთათამბავლობას დახმარება აღმოვეუჩინოთ მეცადინეობის წარმატებაში.

ამასთანავე მოგართმევთ ეურნალის<sup>372</sup> პროგრამას და იმედი მაქვს, რომ თქვენი კალმის ნაღვაწით, ან შეგროვილი სახალხო ზღაპრებით, გამოცანებით და სხვ. ხელს გამიმართავთ.

თქვენი თანამშრომლობის მოიმედე  
კნ. ანასტასია თუმანიშვილი

### ბერასნიმე კალანდარიშვილიცა

ქუთაისი. 29 აგვისტო 1871<sup>373</sup>

უ. კირილე! გუშინ წინ მოვედი მე ქუთაისში რაჭიდეგან, სადაც ვიმყოფებოდი ამ კანიკულზე და ვერძას (ვერძას აქ მადნეულ წყალს ეძახიან) ვხმარობდი. თქვენი წერილი ფულითურთ და წიგნებიანი კოლოფით მოსული დამწვდა<sup>374</sup>. გუშინვე ჩავედი ძირს, კოლოფი ნაცნობის სახლში მივატანიე, გავხსენი, ამოვიღე და დავტოვე რუსული წიგნები, „ჩონგური“<sup>66</sup> 102 ეგ., „კაცია-ადამიანი“<sup>65</sup> 145 ეგ., თეიმურაზის ისტორია<sup>64</sup> 47; სხვები კი, რაც იყო, ისევე ყუთში ჩავაწყვე, ყუთი დავლურსმე, შევკარი და ამავე დღეებში საიმედო კაცის ხელით ტფილისში გავგზავნე. ახლა, როდესაც ამ წერილის დაწერას ვაპირებდი, თქვენი წერილი ისევე წავიკითხე და ჩემი გუშინდელი საქმე არ შეჭაშნიკა: თურმე გასასყადი ქართული წიგნები ყველა აქ უნდა დამეტოვებია, ქუთაისში, მე კი ეს დროზე, წერილის ჩქარა წავიკითხვის გამო, ვერ შევნიშნე; ახლა შეკრული ყუთის ხელმეორეთ გახსნა აღარ მინდა. მით უმეტეს, რომ ის ძირს სხვის სახლში მოუხერხებელ ადგილას არის: ამასთანავე ისიც მაქვს სახეში, რომ ტფილისში „ჩონგური“ სრულიად არ იშოვება გასასყადი, მგონი არც „კაცია-ადამიანი“ და თეიმურაზის ისტორია; შაშასადამე, ამ წიგნების გავგზავნა იქ მაინც საჭირო იქნებოდა. ყოველს შემთხვევაში, მე შეეცდომა მომივიდა, რადგანაც თქვენგან არ მქონდა მინდობილება ამ წიგნების გავგზავნისა, და თუ იმათი ტფილისიდან უკანვე დაბრუნება საჭირო დარჩა, მე დავიბრუნებ ჩემი ანგარიშით...

დავით ყიფიანი<sup>375</sup>, რომელსაც ქართ. ბიბლიოთეკის წიგნები ჰქონია, ახლა ტფილისშია მსაჯულად, ჩარეჭოვი<sup>309</sup> თუ აქ არის, ვეტყვი ლექსიკონის დაბრუნებას...

უმოკავშირისაგან წიგნების თაობაზედ ჯერ არ მომსვლია წერილი.

ს. ჩომახიძეს<sup>68</sup> ჯერ არც საწიგნე მალაზია გაუხსნია და არც აქვს წიგნების დასაწყობი ადგილი. „დროებაში“<sup>56</sup> უსაფუძვლო იყო ამაზე გამოცხადება....

თქვენი ერთგული  
გერასიმე კალანდარაშვილი

ამ წერილს გამოგაგზავნით მე თქვენ იმ აღრესით, კონვერტზე რომ ეწე-  
ბა, რომელშიც თქვენი წიგნი მივიღე. მაგრამ, იქნება, თქვენ ბინა გამოიცვა-  
-ლე[თ] და ამიტომ ვუგზავნი ა. ინაძეს<sup>5</sup>.

ივანე კერესელიძისათვის<sup>376</sup>

ბრწყინვალე კნიაზო!

ყოველთვის ბრძანებულხართ შემწე და ერთგული მკითხველი შეიძმე-  
ტის წლის ნალევის „ცისკრისა“<sup>70</sup> და აგერ, რამდენი ზანია, აღარ გინებებიათ.  
დაბარება. გთხოვ დიდის ვედრებით, არ მოაკლოთ კვლადაც თქვენი ძვირფა-  
სი შემწეობა და ინებოთ ხელის მოწერა მომავლის წლისათვის... ამასთანავე  
მოგართმევთ განცხადებას და კვიტანციას. იმედი გვაქვს თქვენის კეთილის  
გულს თვისებებსაგან, მიიღებთ და ამით აღმოუჩინთ შემწეობას თქვენს  
სამშობლო ენას.

! თქვენს ბრწყინვალეებს.  
მორჩილი ი. კერესელიძე

1872 წელს  
ნოემბრის 23  
ქ. ტფილისს

ანტონ ლორთქიფანიძისათვის

1

ძმაო კირილე!

[1873] 377

შენ გავებული გაქვს, რომ ჩვენ ბიბლიოტეკის მოფოხებას ვაპირებდით..  
ეს საქმე, როგორც არის, ამ დღეებში მიუახლოვდა აღსრულებას, მაგრამ სა-  
ხლის შოვნაზე დადგა საქმე, ნიკოლაძეს უთხარი, რომ თუ მაგან ის სახლი  
არ გვათხოვია, რომელიც ზიდის ყურშიდ დგას, ისეთი ბიბლიოთეკის გაკეთება  
გაგვიჭირდება-თქვა მისთვის, რომ არსენამ<sup>5</sup> რომ სახლი შემოგვპირდა, ორას მა-  
ნეთ ნაკლებ არ გვაძლევს და კიდევ ნამდვილს ვერას გველაპარაკება.. ნიკო.

ჩიჯავაძის<sup>378</sup> საზიარო სახლშიდ რომ ბიბლიოთეკა გაიხსნას, მე მგონია, ამას არასფერი პოლიტიკური მნიშვნელობა არ ექნება მართებლობის შეხედულებაშიდ. ერთი სიტყვით, უთხარი ნიკოლაძეს, რომ ის სახლი გვიშოვოს ან უფასოთ და ან რიგიანის ფასით (თუ უფასოთ არ მოხერხდება, რასაკვირველია). კირილე, გთხოვ ამ ბარათის პასუხი პირველივე ფორმით გამომიგზავნო, რადგან ეს საქმე ძალიან გვეჩქარება ჩვენ.

შენი ანტონ ლორთქიფანიძე.

2

ქუთაისი, 6 ოქტომბერს. 73 წ. 378

ძმაო კირილე, ჩენი ბიბლიოტეკის საქმე როგორც არის, გავათავე, სულ ყოველის ფრად მზათ ვართ. კატალოლი უნდა წარვადგინო და გახსნის ნებას იმ დღესვე მომცემენ. წიგნებს გლახას და კარგს ფრანციზულს და რუსულს შეუყარე თავი ოთხი ათასამდის. ბაბილიოთეკის ბიბლიოთეკის დანარჩენი ვიყიდე, სახლი ვიქირავე, ბიბლიოთეკარებიც მყავს და ყურნალებიც არის და მებელიც მაქვს, ერთი სიტყვით, ყოველისფერათ მზათ ვარ. ახლა, თუ დრო გექნეს, გაისაჯე და ბიბლიოტეკის პრავილები გამოგიგზავნე, აგრეთვე პატარა ბლანკები, რომელიც წიგნების წამლებს მიეცემა; ერთის სიტყვით, რაც კი შეეძლება ბიბლიოტეკის პრავილებს, გამომიგზავნე საჩქაროთ. ამ ბიბლიოტეკას ვსწანი ჩემს სახელზედ. არას კაციდგან არასფერს შემწიობას არ ვთხოვლობ, რადგანაც ვიცი, რომ ბევრი პატრონების ჯოგს ხშირად სკამს მგლები. წიგნები ვინაც მათხოვა, იმათ ქაღალდს და პირობას ვაძლევ, რომ მე წავიღე ამდენი წიგნითქო და სანამ ბიბლიოთეკა იცოცხლებს, მანემდის წიგნებს ვერ წამართმევენ და თუ ბიბლიოტეკა მოიშალა, მაშინ მე ვალდებული ვარ მათი წიგნები დაუბრუნო. ბევრნი გამოჩნდნენ ასსოციაციის მოყვარე, მაგრამ მე ყველაზედ ვარი ვთქვი, რადგანაც მაგნიარ საქმეშიდ ქუთაისშიდ ყოველთვის ვექვენულობდი და ახლაც ვექვენულობ. კირილე, ნოშრევან ალავიძეს მოუტანია პეტერბურლიდან წიგნები სტუდენტების და შენ უნდა გადმოქტენ. არ ვიცი, ჩენი ბიბლიოტეკისათვის არის ეს წიგნები, თუ არაო, ანდრია ერისთავმა<sup>379</sup> კი მოგვწერა, რომ სტუდენტები წიგნებს გიგზავნიანო. ერთი ას ოციოდე წიგნი სტუდენტების მე მაქვს და თუ მაგნიც ჩენია, შემოუთვალეთ შენ და ნოშრევან ალავიძემ ნიკო ალავიძეს, რომ ის წიგნები გადმომცეს. ყოველს ჩემს პირობებს შეუთვლი პეტერბურლის სტუდენტებს დაწვრილებით და თუ ისურვებენ წიგნების თხოვებას, კარგი და თორემ მათი წიგნები მიირთვან. მანემდის წიგნებს ბიბლიოტეკაშიდ უფრო ადგილი ექნება, ვინემ კერძო სახლშიდ. იმედი მაქვს, რასაც ვთხოვ, აღმისრულებ ჩქარა. ამ ერთს კვირაშიდ უსათუვოდ უნდა გავალო ბიბლიოტეკა... დაუჩქარე პასუხს.

შენი ანტონ ლორთქიფანიძე

კირილე ბეჟანოვიჩი<sup>380</sup>

„ქართული ბიბლიოთეკის“<sup>381</sup> უკანასკნელი №№ გამოცემა სურს დავით ლორთქიფანიძეს<sup>382</sup>. ახლა ყურნალად ამ წიგნის გამოცემის ნებას არ გვაძლევს ცენზორი. ის მოგვცემს ნებას—უბრალო წიგნათ, სბორნიკათ გამოცემისას; მაშინ ეს წიგნი დაურიგდება ყურნალის ხელთმომწერს, №№ სამაგიეროთ. ახლა ამ წიგნს ეჭირვება წინასიტყვაობა. გთხოვთ დამავალოთ, პატივცემულო კირილე ბეჟანოვიჩ, ეს ჩემი დაწერილი წინასიტყვაობა გადაათვალიეროთ, თუ ივარგებს—შეასწოროთ, რაც საჭიროა, თუ არა და ახალი დაგვიწეროთ რამ ამგვარი. თუ შესაძლებელია, გთხოვთ მიიღოთ მერე თქვენს თავზედ წინასიტყვაობის კორექტურაც და აგრეთვე წიგნის სათაურის შედგენაც, რომ ისე გაუფგავნოთ ცენზორს, დანარჩენს დავით ლორთქ. იკისრებს. მე სოფელში გიხსლებით ამ ორ დღეში და კარგი იქნებოდა, პირისპირ მოგველაპარაკა ამაზედ. იმედი მაქვს შეასრულებთ ამ თხოვნას და გვიჩვენებთ, რაც საჭირო იქნება.

დავითები თქვენი პატივისცემელი  
ელენე ლორთქიფანიძე

[1883]

ივლისი 10-ს ქუთ[აისი] .

ი ვ ა ნ ე მ ა ჩ ა ბ ლ ი ს ა

უ. რედაქტორო!

პეტერბურგიდამ 25 დეკემბერს

[1873]383

ჩვენ დიდის სიამოვნებით და აღტაცებით წავიკითხეთ „დროების“ მე-399 № ში გამოცხადება უფ. ს. ზარათოვის<sup>384</sup> შესახებ ქართული სახელმძღვანელო წიგნების გამოცემისა<sup>385</sup>. ამ საგანზედ აქაურ ყმაწვილებს გვქონდა ლაპარაკი, რომლის შემდეგ გადავწყვიტეთ დაწერილებით მოლაპარაკება რედაქციასთან, თუ მაგვარს სახელმძღვანელო წიგნებს მოითხოვს ის ჩვენგან. რასაკვირველია, ჩვენში რომ მართლა გახსნილი იყოს ნამდვილი ქართული შკოლები, მაშინ მეტი იყო ამაზედ ლაპარაკი, რადგან ყოველს სახელმძღვანელო წიგნს აქვს თავისი სპეციალური მნიშვნელობა, მაგრამ რადგან ამგვარ

შკოლებს ჩვენი ქვეყანა მოკლებულია, ამიტომ, ჩვენის აზრით, უნდა შედგეს ისეთი სახელმძღვანელო წიგნები, რომელნიც საეციალური სახელმძღვანელო ხასიათის გარდა, უნდა გასართობი და გამოსაყენებელი იყვნენ ისე წასაკითხავადაც.

ამ აზრით ჩვენ ჯერჯერობით გადავწყვიტეთ შევადგინოთ: 1) ისტორია, სადაც გამოჩენილნი პირნი და მოვლინებანი საზოგადო და საქართველოს ისტორიისა იქნებიან აღწერილნი და 2) ფიზიკური გეოგრაფია.

თუ უფ. ზარაფოვი და რედაქცია ისე უცქერის ამ საქმეს, როგორც ჩვენ, მაშინ გთხოვთ საჩქაროდ შეგვატყობინოთ, რადგან თქვენი პასუხის მიღების უმალ შეუდგებით ამ საქმესა. მხოლოდ ამას კი მოგახსენებთ, რომ ჩვენ სექტემბერზედ აღრე შედგენა არ შეგვიძლიან. ამის გამო, გთხოვთ, თუ ვინცობაა, ამ საგნებზედ შეადგინა ვინმემ წიგნი, მოუცადოთ დანიშნულ ვადამდე ჩვენ წიგნებსაც, რომ რედაქციას შეეძლოს შეთანასწოების შემდეგ ღირსეული წიგნის დაბეჭდვა.

კარგი იქნება, რომ შეგვატყობინოთ, რა ფასი ედება ამ სახელმძღვანელოებს, რომ შედგენის ღრის სივრცე და სურათების ჩამატება ვივირაუდოთ.

გთხოვთ, გაისარჯოთ და ამის პასუხი, თუ შეიძლება, მალე შეგვატყობინოთ ამ აღრესით.

В Петербург  
Студенту Университета Ивану  
Мачабели

ს მ რ ბ ე ნ ი მ ი ს ხ ი ს ა

1

ძმარ კირილე!

თფილისი 1873386

შე, იქნება ამ ხუთშაბათს მომიხდეს სამზღვარ გარეთ წასვლა და ამიტომ შენი აქ ყოფნა ეხლა აქ აუცილებლად საჭიროა. თუ მაინცა და მაინც მანდ ისეთი საქმე არაფერი არის, უნდა წამოხვიდე, როგორც ამ წიგნს მიიღებ. თუ, ვინცობაა, წამოსვლა არას გზით არ შეგიძლია, დასწერე ცენზურის კომიტეტში წარსადგენი ქალაღი, და პირველივე ფორტით უთუოდ გამომიგზავნე. ეს ქალაღი უბრალო ერთ ფურცელ ქალაღზე უნდა იყოს დაწერილი ამგვართ:

«В Закавказский Цензурный Комитет

Князя токого то

ЗАЯВЛЕНИЕ

Честь имею заявить Закавказскому Цензурному Комитету, что я согласен принять на себя временное редактирование Груз. газетою «Дрозба»<sup>56</sup> за отсутствием настоящего редактора вышепоименованной газеты Сергея Семеновича Месхи и что во время редактирования обя-зуюсь строго держаться уставленной программы.

Такой то.

Число

შენი ჰირამე, კირილე, ეს თხოვნა პირველივე თხოვნით შემისრულე.  
შენი სერ. მესხი<sup>387</sup>

2

პარიზი, 8 დეკემბერს, 1873<sup>388</sup>

Boulevard st Michel, 32

რასაკვირველია, მიწყრებით და ღმერთთან და მეგობართან სწორი სჯობს, ღირსიც ვარ თქვენი რისხვის ამდენი ხანი ცუდლუტობისა და თქვენი დავიწყებისათვის. მაგრამ... „მაგრამს“ ჩემს მეშვიდე წერილში წაიკითხავთ. თუ მომიტევენთ, ხომ კარგი, თუ არა, კისერიც მოგიტეხიათ! ვეცდები კი, რომ შემდეგში თქვენგან შესანდობელად და „დროებასთან“ პირშავად არ დამირჩეს საქმე და ამის გამო „ტორუესტვენნათ“ გპირდებით, რომ შემდეგში ყოველ კვირა გამოგიგზავნოთ წერილები. ესლაც არ მომიტევენთ? აღამიანნი— ყველა ყაცნი-აღამიანნი, სუსტნი ვართ!..

პირველი ჩემი თხოვნა როგორც ამ წერილების, ისე შემდეგი წერილების შესახებ, ის არის, რომ ფელეტონში დაბეჭდოთ, როდესაც კი ეს შესაძლებელი იქნება. მეორე, ყველა ჩემ წერილს ზევით ერთი და იგივე საზოგადო სათაური უნდა ექნეს: „ქართველი ეეროპაში“ და მერე — პატარა სათაური. ჰევეით ჩემი სახელი და გვარი (ს. მესხი) და რიცხვი. რასაც შეტს გამოგლეჯთ ცენზორის კლანჭებს, რასაკვირველია, ის ემჯობინება. მაგრამ; თუ ეს ყოველთვის ვერ მოხერხდეს და რომელიმე წერილი საგარძობლად დაამახინჯოს, რასაკვირველია, სულ დაუბეჭდელობა ემჯობინება.

გასწორება, გაშალაშინება, მგონი, ბევრი არ დასჭირდეს.

მეოთხე წერილი (მიუნხენი)<sup>389</sup>, როგორც მითხრეს, ცოტათი ცინიკური არისო, თუმცა მე კი სრულებით ამისთანად არ მგონია. ამის გამო ერთად წაიკითხეთ: ცინიკმა და გარყვნილმა ნიკო<sup>390</sup>, ზნეობით



აღქურცილმა და პატარა ძალმა კირილე მ<sup>391</sup> და ამ ორის 'მუაში მყოფმა დათა<sup>392</sup>—და, როგორც თქვენი რჩევა, თათბირი, ზნეობა და გემო გადაწყვეტს, ისე მოიქეცით: გინდ დაბეჭდეთ, გინდ ნუ ყოველ შემთხვევაში, გთხოვთ, რომ ამ ჩემი წერილების შავებს ნუ დამიკარგავთ: მე სხვა შავი არა მრჩება—შთამომავლობისათვის დასტირდება ჩემი სიკვდილის შემდეგ გამომცემელს, ხუმრობა ხომ არ არის!...

ყველა-ყველა და ნამუსი აღარ გაქვთ, რომ „რედაქტორ ან შეფს“ ერთი ეგზემპლარი თავის გაზეთის გამოგზავნა რომ არ აღირსეთ? გამომიგზავნეთ, თავი ნუ მოგიკვდებათ. ჩემი აღრეაი ხომ იცით? მუდამ ამ აღრესით გზავნეთ, რადგან იმედი არა მაქვს სადგომის გამოცვლასა და კიდევ რომ მიწოდოდეს. ჩემი სახლის პატრონს (ამ მდგომარეობის სიბერეში) ისეთი კლანკები აქვს ჩემში ჩაჭირებული, რომ ვერსად ვერ გავუქუცევი.

რა ამბავია, რომ ამ უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში აქ არავის სახელზე არც ერთი „დროების“<sup>56</sup> ნომერი (41 №-დამ) არ მოსულა. არც „მშაყი“<sup>395</sup> მოსვლია იზმაილოვს<sup>397</sup> ეს ორი კვირაა. თუ იმა ხარ, დათა<sup>392</sup>, თავის დროზე გამოგვიგზავნე ყოველთვის. ხომ გახსოვს, რა ინტერესით, რა სულწასულობით მოელოდი, აქ რომ იყავი. ჩვენც ისე ვართ ეხლა და შეგვიბრალეთ...

ზომწერეთ, „კრებული“<sup>249</sup> რასა იქს? მეცხრე წიგნის შემდეგ გამოვიდა, თუ არა. ეს წელიწადი მიყურჭულშია, ხომ ხედავთ და თუ არ დაუჩქარეთ, წახდა საქმე. მომავალი წლისთვის რას აპირებთ „კრებულს“ თაობაზე, ისიც შემეტყობინეთ. ნიკოსთანა წამბდარი და გაზარმაყებული, წიგნის წერაში, სწორეთ კაცი არ მიწახავს. თავის ძველებურ ცუდლუტობას ხომ არ მიჰყო ხელი? რას აპირებს, ჩემ „გამამტყუვნებელ სიტყვებს“ და „აბლიჩენებს“ საღ წაუყა! ისმის, მალე (25 ამ თვისთვის) აქ აპირებს ჩამოსვლასო. ნეტაი, მართლა; მაგრამ მანდ უთადარიგოდ არ დასტოვოს საქმეები.. პლანების დაწყობა ხომ კარგად იცის!

ვაი, თქვე უბედურებო, რა ამბები მოხდა აქ, თქვენ მანდ ყოფნაში: თქვენ რომ აქ მყოლოდი[თ], სხვა არა იყოს, გამბეტას<sup>394</sup> შინც დავსეამდით პრეზიდენტად, მაგრამ ნიკოს აპირებული ხასიათის ამბავი რომ ვიცი, იტყვის, რომ გამბეტას მაკ-მაჰონი<sup>395</sup> მიჩრევენიაო! ნიკო თუ დეკემბრის დამლევაში ჩამოვიდა, კიდევ ბევრ რასამეს მოუწერებს: კონსტიტუციურ კანონებზე მოლაპარაკებას, მერებზე, ბაზენის<sup>396</sup> საქმის გადაწყვეტას და სხვ. და სხვ.

„ჩემს ამბავს თუ იკითხავთ, ღვთისა და თქვენი წყალობით, კარგათ გახლავართ“. სორბონში დავიარები პოლიტიკური ეკონომიის, ლიტერატურის და „საფრანგეთის მკვებრმეტყველების“ ლექციებზე, გაზეთებს და წიგნებს ვკითხულობ, „რასაც თქვენთვისაც ღმერთსა ესთხოვ“. მართლა, ამ «Elagence Pran-

caise-ს“ გარდა მე და იზმაილოვი<sup>307</sup> სტენოგრაფიის სწავლასაც ვაპირებთ. ეს იმისთვის, რომ როდესაც ჩვენ, მკერამეტყველებაში განვითარებულნი მკერამეტყველურ სიტყვებს მკერამეტყველურად წარმოვთქვამთ, შეგვეძლოს სტენოგრაფიის საშუალებით იმ მკერამეტყველური სიტყვების მკერამეტყველურად დაწერა! იპ! მოგტეხეთ ენა, თუ არა?

გიგზავნით წლევანდელი სემესტრის პროგრამას აქაური უმაღლესი სასწავლებლებისას, სადაც მუქთად შეიძლება ლექციების ზმენა. რედაქციაში გქონდესო, გამოადგება ვისმე. შემდეგ სემესტრებში პროგრამა ცოტათი იცვლება.

თუ ძმა ხართ, შემატყობინეთ, ჩემი ძმები<sup>308</sup> რას შერებიან, სწავლობენ რიგიანათ, თუ არა. ზთხოვეთ, ჩემ მაგიერ, რომ უთუოთ გრძელი, უშველებელი წიგნი მომწერონ ორივემ ცალ-ცალკე და ყველაფერი ამიწერონ, განსაკუთრებით თავიანთი სწავლის ამბები. რასაკვირველია, თქვენი იმედი მძაქვს, რომ კარგათ უგდებთ იმათ ყურს...

მშვიდობით, ნახვამდის, ხელი მომეციოთ, ძმურათ მოგიპიროთ.

თქვენი 'შეგობარი სერ. მესხი.

3

ძმაო კირილე!

[1875] \*\*

გუშინ დეპეშის გამოგზავნა [ძინდოდა] შენთვის, შაგრამ, რაღაც უბედურად, მავთული გაწყვეტილი ყოფილა სადღაც და არ მიიღეს. ახლა წიგნს გწერ.

თუ ძმა ხარ, უნდა მიშველო როგორმე, შეადგინო ის ვექსილი ისე, როგორც ამას წინათ გწერდი და თუ მოახერხო, იმ დღესვე გამომიგზავნე, რა დღესაც ამ წიგნს მიიღებ, თორემ მეორე დღეს მაინც.

გუშინ პრისტავი იყო ჩემთან, მებელის და სხვა ყველაფრის წაღება უნდოდა და ქარვასლასთან გატანა გასასყიდლათ. დამიხსენი, თუ ძმა ხარ, ამ უხეირო სირცხვილისაგან. ორშაბათამდი ვადა მომცეს.

შენი სერ. მესხი.

პეტრესა და გ. წერეთლის წიგნს გიგზავნი, გადაეცი.

4

ძმაო კირილე!

[1875] 400

გიგზავნი ამ ვექსელს ხელის მოსაწერად; თუ ძმა ხარ, როგორც დამპირდი, ისე შემისრულე და თავდებათ ხელი მომიწერე — на прок. ამ ოჯახდაქ-

ცუღმა, მიჩივლა, ისპოლნიტელნი ლისტი აიღო და კიდეც ამიწერა უძრავი და მოძრავი ქონება, რაც გამაჩნდა აქ. ახლა მითხრა: თუ ამ ხუთ დღეში სანდო კაცის ვეჭსილი არ მოიტანე, მეტი ღონე არ არის, უნდა გაგიყიდო. შემს თავდებობაზე დამეთანხმა, მეტი არავინ მიიღო. ახლა შენ იცი, როგორ მალე დამიბრუნებ ამას შენგან ხელმოწერილსა და ნოტარიუსისაგან შემოწმებულს.

დღესვე, თუ ენა ხარ, გაათავე ეს საქმე ან როგორც მოგივიდეს, იმ წამს, ვაითუ სოფელში ხარ!

შენი სერ. მესხი

იონა მუხნარბიანი

8 მაისი, 1880 წ. 401

ძმად კირილე!

ქართული თეატრის კომიტეტმა მთხოვა მოგმართო[თ] თქვენ შემდეგი წერილით. კომიტეტმა გადასწყვიტა ბატ. ესტატე იოსელიანის<sup>102</sup> მოწვევა იმერელი როლეების სათამაშებლათ. ვაისარჯეთ, ნახეთ ეს იოსელიანი და გარდაეცით, რომ დაუყოვნებლივ ჩამოვიდეს თბილისში. ჯერ ის უნდა გამოვიდეს აკაკის<sup>54</sup> ორ პიესაში და მერე, თუ თავი გამოიჩინა, კამიტეტი პირობით შეეკრება ერთის წლით. ამასთან გადაეცით, რომ კამიტეტი კისრულობს ყოველნაირ ხარჯს მის მოგზაურობისთვის და პირობის შეკვრამდე რამდენჯერაც სცენაზე გამოვა, ექნება დანიშნული *разовые деньги*.

გთხოვთ ეს კამიტეტის თხოვნა დაუყოვნებლივ შეასრულოთ.

თქვენი პატივისმცემელი  
ი. მუხნარგია

შენი ჳირიმე, კირილე, მალე მოგვაშველე ბატონი იოსელიანი, ძალიან აქებენ.

ილია ქაეკავაძე

ანა ნიკოლაძისა

1873 წ. 10 სექტემბერს<sup>103</sup>.  
ქუთაისი

ამ წიგნს ბოლიშით ვიწყებ, კირილე ბეჟანიჩ, მაგრამ ნუ იფიქრებთ კი, რომ ეს მართო იმერული ჩვეულებით მომსვლოდეს. დარწმუნდით, მართლა გულით ვსწუხვარ და ძღაერ მოგერიდები[თ], რომ უმისოთაჲ ბეგრო საქმის მქონე კაცს ვაწუხებ და კიდეც საქმეს ვიმატებ, მაგრამ რა ვქნა? მეტი

ლონე არა მაქვს. აქამდის აკაკი<sup>54</sup> მპირდებოდა, წყალ და კარექტურას მე დავიტერო და რადგანაც კარექტურის გარდა შესწორებაც სჭიროდა ჩვენს ნათარგმნს, ამისთვის კაი ხანს ვუცადე მის თბილისს წასვლას, მინდოდა მისთვის გამეტანებინა, მაგრამ ამას აღარ მოუხდა წამოსვლა და ახლა იძულებული ვარ ისევ თქვენ გამოგიგზავნო[თ].

როგორც სიკომ<sup>55</sup> დამპირდა, ახლა თქვენს სტამბაში უნდა იქნეს იმდენი თავისუფალი დრო, რომ ეს ჩვენი ნათარგმნი დაიბეჭდოს და გთხოვ, რაც შეიძლება საჩქაროთ დამიბეჭვდინოთ 1500 ეგზემპლიარი. ფორმატი ან შრიფტი როგორც სჯობს, ამას თქვენ თვითონ მიზნდებით. მე მხოლოდ გთხოვ, კარგათ გაანწორებული და კარგი ლამაზი წიგნი გამოვიდეს და სხვა თქვენ ცუდად, როგორც გინდათ, ისე დააბეჭვდინეთ. მაგრამ ამას კი მოგახსენებთ, რომ თუ ძალე არ დაიბეჭდა, მერე სრულიად აღარ იქნება საჭირო, ამისთვის, რომ, იქნება თქვენც ნახეთ „ცოსკარში“<sup>70</sup>, კერესელიძეს გადაუთარგმნია ეს მოთხრობა<sup>404</sup> და ახლა მითხრეს, არ ვიცი ტყვილია თუ მართალი, ცალკე წიგნათ აპირებს გამოკეცმას და თუკი მისი ნათარგმნი გამოვა, მერე რაღა საჭირო იქნება მაგის დაბეჭვდა.

სრული იმედი მაქვს, რომ ამ ჩემ თხოვნას დასრულებთ და შეძლებინებთ სიჩქარით დამიბეჭვდავთ ამ ნათარგმნს. თქვენ იმისთვის გწერ[თ] და ასე გულდაგულ გთხოვ[თ], რომ დარწმუნებული ვარ, უფრო ძალე და მონდომით მოკიდებთ ხელს, თორემ ნიკო<sup>405</sup> იტყვის, არაფერი საჩქაროთ და მიაგდებს შანდ საღმე კუთხეში.

ა. ნიკოლაძე

ნიკო ნიკოლაძის ა06

## 1

საყვარელო ძმაო კირილე!

ამდენი ხანია შენგან წიგნი არ მომსვლია და ამდენი ხანია შენთვის წიგნი არ მომიწერია, რომ ჩემთვისაც და შენთვისაც სირცხვილია. თუმც ჩვენ დიდი მეგობრები თავისდღეში არ ყოფილვართ, მაგრამ ის გრძნობა მაინც გვექონია, რომელსაც რუსები და სხვა ხალხები სიმპატიას უძახიან. ის გრძნობა რომ არ გვექონოდა, ისე ხშირათ ლაპარაკი არ მოგვივიდოდა, ხომ გახსოვს, როგორ ხშირათ ვჩხუბობდით, და ყოველი ჩხუბის შემდგომ უწინდელზე უმეტესათ ვახლოვდებოდით ერთმანეთსა? სიმპატია რომ არ ყოფილიყო, ეს შეუძლებელი იქნებოდა. მე შენ არ მიყვარდი—არ მიყვარდი როგორც მეგობარი, ამიტომ რომ ჩემ დღეში მე არაკაცი არ მყვარებია. თუ ვინმე შემყვარებია ჩემ დღეში — შენა ხარ; მაგრამ სიყვარულით კი არა, ხშირათ, უსაქმობისა გამო,

ვიხსენებ ჩვენ უწინდელს ლაპარაკებს, ჩვენს მოქმედობებს და ხან სიცილი გამირბენს პირზე და ხან ჯავრი... როგორ ავიხსნა ეს? ან რით ავიხსნა?.. გახსოვს, ძმავო კირილე—სამარინზე<sup>407</sup> რომ ლაპარაკი მოგვდიოდა? გახსოვს შენ — ქეროტი? ამ საქმეებში, ღმერთმან ხომ იცის, მართალი ვიყავი და გახსენების დროს შენზე და ჩემზედაც ვიციანი ღიღინას. მაგრამ როცა გავიხსენებ 7 მანეთს, მაშინ კი ჯავრი მხეთქს, რამდენჯერ ამიღია ხელში კალამი, რამდენჯერ დამიწყია შენთან წიგნის წერა ბოდისის მოხთისათვის! მაგრამ წარსული საქმეა!!! დავივიწყოთ, ძმავო, ჩვენი უქმყოფილებები, გაჯავრება და სხ. და სხ. გამოწიე ხელი წმინდის გულთ, შევიქმნეთ მეგობრები, მოვეხმაროთ ერთმანეთს მხურვალე გულით და წიგნებით, ნულარ გავიხსენებთ ცოტა ხნით სარკაზმებს და ირონიას, რომლითაც სავსე იყვნენ შენი წიგნები, ნუ გავიხსენებთ იუმორს, ფალსიფურს, ან ნამდვილს, რომლითაც სავსე იყვნენ ჩემი წიგნები... ხანდახან მე გავიხსენებ ჩემს მოქმედობებს, ვკითხავ ჩემ თავს: რა მიქნია, რა გამიკეთებია? და მაშინვე პასუხს ვაძლევ ჩემ თავს: „არაფერი“! მაგრამ თუმც არაფერი მიქმნია და არ გამიკეთებია, ხშირათ მაგონდებიან პლეშჩევეს<sup>408</sup> სიტყვები:

Я духом слаб, я изнемог...  
сломил меня тяжелый рок!

რისთვის? არ ვიცი... მე ჯერ არ დავცემივარ სულით, კიდევ მაქვს იმედი რასმის გაკეთებისა და როდესაც დავრწმუნდები, რომ არაფრის გაკეთება არ შემეძლება, მაშინვე მივბაძევ პიოტროვსკის<sup>409</sup>. ვინ იცის, ძმავო კირილე, ვნახავთ ჩვენ ერთმანეთს თუ არა? ვინ იცის, მივიღებ მე შენ წიგნსა თუ არა? მე ნამდვილს ჯერ კიდევ ვერაფერს მოგწერ... ეხლა ავიხსნი, თუ რა აზრი მაქვს ჩვენ[ი] აქ შეკრების შემდგომ... თუ ბედმა მოგვიყვანა ქუთაისს ჩვენ, ესე იგი შენ, ზოგაერთი ჩვენი სტუდენტები: ბაქრაძე<sup>312</sup>, აბდუშელი<sup>292</sup>. მე, ბინდა აქ გავხსნათ ერთი ტიპოგრაფია და დაებეჭლოთ შით ხალხისთვის აზბუკები, არითმეტიკები, სახალხო წიგნები, ერთის სიტყვით, და პატარა პოლიტიკური, ლიტერატურული და სატირიკული გაზეთი, ფულები მე მაქვს: მამა ჩემმა<sup>196</sup> ეხლაც მესხვერვა: კარგ წიგნის მალაზიას და ბიბლიოთეკას გავიხსნიო, ტიპოგრაფიის ფულებს მოგცემო, თუ აქ დარჩებიო, თუ არა და, მერმე რომ მოხვალო, რასაც გინდა, იმას მოკიდე ხელიო, გარდა სამაჩაურისაო. მაშასადამე, ჩვენ სამვალაობა კი გვექმნება, ოღონდ ვიშოვნოთ მწერლები... ეცადე, ძმავო კირილე, თუ მე არ ვიქნები, შენ გაქვს მამული, შეძლება — განა ორი ათას მანეთს ვერ იშოვნი? ეს სასარგებლო იქმნება ჩვენი ხალხისათვის. „საჭართველოს მოაზრებ“<sup>127</sup>, ხომ მოგეხსენება, წახდა, მეორე ნომერი საძაგელია, არც ერთი სტატია არ ვარგა, მესამე ჯერ, ესე იგი 29 აპრილამდე, არ გამოსულა, ღმერთმა იცის, როგორ გათავდება მისი ბედი.

როდის იქნება ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენი საზოგადოება, ჩვენი ამხანაგე-

ბი შევიკრიბებით ქუთაისს ჩვენი საქმის ასასრულებლათ, ჩვენი ძმობის დასაცე-  
ლად? როდის მოვა ის ბედნიერი დრო? ნეტავი ვიცოდე, თუ არის ჩვენ საზოგადოე-  
ბაში იმისთანა ყმარწვილები, როგორ[ი]ც იყვნენ უწინ, ჩემსობას, რომელთაც\*...  
ლმერთი, რომელთაც არ სწამთ ღმერთი ძმობისა და ერთობისა? ღმერთო, როდის  
იქნება ჩვენი «молитвое поколение» გაკეთდეს, წიგნებს ხელი მიყონ, ტანისამო-  
სის საქმეს თავი დაანებონ, ერთი სიტყვით, ფაქობას აღარ გაზღვევენ.

შენ იცი (რადგანაც მოგწერე), რომ მე მინდოდა ამეწერა აქაური ცხოვრე-  
ბა «Искра»<sup>410</sup>-სათვის. ავწერე, ძმაო კირილე, და გადასაწერათ რომ მინდოდა  
მიმეცა, ნახევარზე მეტი ქარმან წამართვა. ნახევარი დამრჩა და რა ეშმაკათ მინდა?  
კარგი სტატია იყო, ამიტომ რომ მე თვითან ძლიერ მომწონდა. სხვა, ძმაო, ამ-  
დენი ხანია სისულელე და უბრალო რამეები მოგწერე, ეხლა კი საქმეზედაც მოგ-  
წერ რასმეს; ესე იგი ჩემ თავზე.

თუკი მინახავს მე როგორმე წინასწარმეტყველი — ეს წინასწარმეტყველი  
შენა ხარ: სწორეთ შენი წიგნის მიღების წინდღეს გარდავწყვიტე ლონდონში  
წასვლა და ძლიერ გამოიკვირდა, შენ რომ მწერდი: „მაგრამ დობროვოლსკისა-  
თვის<sup>5</sup> ტერინში არ წახვიდე!!!“ ეხლა, ძმაო, გუშინწინ პასპორტისათვის მი-  
გედი ლუბერნსკის პრავლენიეში და ბრანწი დამზადეს. მე ვაპირობ წასვლას  
ისევე აღეპას ან სადმე სხვაგან, მაგრამ აქ ვამბობ, რომ პეტერბურგში მივიდი-  
ვარ-თქო.

ფულებს ამ პარასკევს უსაათოთ გამოგიგზავნი, უკეთუ არ მოვეკვი.

შენი მარად მახსოვარი ძმა  
ნ. ნიკოლაძე

6 მაისს 1863 PSt „საქართველოს მოამბე“<sup>127</sup> ჯერ არ მოსულა.  
PPSt ს. წერეთელს<sup>499</sup> უთხარი, რომ 3 მაისს 46 მანეთი გამოუგზავნეს.

ნ. ნიკოლაძე.

[კირილეს ხელთ]:  
გამოგზავნილია 13 მაისს  
მივიღე 2 ივნისს.

2

Seneve, 48, chemin des Savoises  
19 (4) ნოემბერს [1864]<sup>411</sup>

კირილე, თუ ძმა ხარ, გარდაეცი ბაქსტს<sup>412</sup>, რომ Lettres sur l'Angleterre<sup>41</sup>  
ორი ტომი გამოვიდა გ უ შ ი ნ პარიეში და მე მივიღე აქ. მე თვითონ დრო არა  
მაქვს გარდათარგმნის, მაგრამ აქ ერთი კარგი კაცია მთარგმნელი, იმას გარდა-  
ვთარგმნინებ, თუ ბაქსტს უნდა. ბაქსტს უთხარი, რომ ნიკოლაძე სთარგმნის-თქო,  
რომ არა ეწყინოს რა.

\* ერთი სიტყვა დაზიანებულია, წინადადება არ იმართება.

უწინდელი პირობები, ლაქრუს<sup>114</sup> არაფერი არ ერგება, რასაკვირვე-  
ლია<sup>115</sup>.

შენი ნ. ნაკოლაძე<sup>116</sup>.

3

ვეე, 10 მარტ: (25 თბ.) 1866<sup>117</sup>

ესეც არის, შენი წიგნი მივიღე, ძმაო კირილე, და საშინლათ გამიკვირ-  
და, რომ შენ ჩემ წიგნს ელა. მე აქ მოუთმენლათ ველოდი შენსაჲ, რომ მომ-  
სვლოდა, რასაკვირველია, მაშინვე გიპასუხებდი.

არაფერი წიგნი არ მიმიღია შენგან, აგერ სამი თვე არის.—რას იწერებოდი  
იმ წიგნში? საშიშარია მისი დაკარგვა, თუ არა? შეიძლება მისი შოენა? თუ  
არა და, ისეც ხელახლა დაგვირდება დაწერა... ფულის ნუ გეშინია, შვეი-  
ცარიანში კარგი ჩვეულება არის, წიგნებს იღებს სახლის პატრონი და ვალათ  
მათვლას. და არა თუ იღებს მარტო, მაგრამ კიდევაც აგზავნის,—დასამტკი-  
ცებლად, — ეს ჩემი წიგნი გქონდესო.

ჩემი მდგომარეობა, აი, როგორია: მე ნენეცურ ენას ვსწავლობ, და წი-  
გნებს ვკითხულობ. აქ, ვევეიში, ორიოდ ნაცნობები მყავს, რომელნიც მენმა-  
რებიან, ხან ცნობით და ხან ფულებით. ფულების ანგარიში, მგონია, კარგათ  
უნდა წავიდეს, შინიდან მპირდებიან ხელახლაც, მაგრამ მე არ ვიცი, როგორ  
გათავდება ეს საქმე. რომ იცოდე, ჩემო კირილე, რა ვალები მაქვს!!! მაგრამ  
აწი, მგონია, ხეირიანათ უნდა გავეწყო: აქ ერთი წიგნის მყიდველია, რომელ-  
საც თან ბიბლიოტეკა აქვს. მე ხშირათ დავდიოდი იმასთან, და ვკითხულობ-  
დი ხან წიგნებს, ხან გახეთებს; როცა მუსაიფი დავიწყეთ, იმან შენიშნა, რომ  
მე კარგად ვიცი ბიბლიოგრაფიული ნაწილი ფრანცუზული ლიტერატურის  
და რადგანაც ეხლა ის იწყებს ნემეცურ ენაზე წიგნების გამოცემას ბერლინში  
(ნემეცურად), მე მომანდო ფრანცუზული ბელეტრისტიკული წიგნების გა-  
შინჯვა. ეხლა მე ყოველთვის მაძლევს ყველა ახალ წიგნებს. და მე მუქდათ  
ვკითხულობ, იმ პირობით, რომ ჩემი აზრი უნდა გუთხრა. რომელი წიგნიც  
მომეწონება, შემიძლია მე დავიტოვო. ჯერჯერობით მე მუქთად ვკითხულობ,  
მაგრამ ეხლა ჩვენ კანტრაქტი უნდა შევეკრათ: რიჩარდ ლესსერი<sup>118</sup> (მისი სა-  
ხელი) მაგზავნის მე სექტემბერში პარიჟში და იქ მე კორრექტურის ფურც-  
ლებით მომივა ყველა ფრანცუზული წიგნები გასაშინჯავათ, და მუქთად  
ყველა ეურნალები... (ლესსერმა კონტრაქტით შეეკრა ფრანცუზულ გამოცე-  
მლებს). ამასი ჩვენ თანახმათ ვართ, მაგრამ ჯერ ვერ დავთანხმდით ფასსზე.  
თუ მომცა ასი ფრანკი თვეში, წავალ პარიჟში, თუ არა და, არა. ჯერ იმას თა-  
ვისი ფასი არ უთქვამს, მაგრამ იმედია, რომ ას ფრანკს მომცემს თვეში. რას  
ფიქრობ შენ ამ საგანზე?

ეხლა მე უგროშოთ ვარ, კრედიტი მე დიდი ხანია დავეკარგე და ვეიტო-  
დგან თუ გამომიშვებს, მე უნდა დაუმაღლო ერთ ჩემ ნაცნობს, რომელმაც და-  
პირდა სახლის პატრონს 215 ფრანკს გარდახდა[ს], თუ მე არ გარდავიხადე.  
იმ სახლის პატრონმა ამაღლიტა 160 ფრანკი, დაიჭირა, როცა ფოჩტით მომი-  
ვიდა!.. რა ექნა, ნებაც ქონდა, და სამართალიც!

ეხლა შენთან ერთი თხოვნა მაქვს: როგორც უნდა იყოს, გააცანი ვინმე  
პიბ-ნის<sup>418</sup> ნაცნობი, და მამინევე სრული (ძალიან სრული) სია „რა ვქნათ“-ის  
ავტორის<sup>419</sup> თხოვლებების; ამ სიის გარდა, მიშოვნე გამომშვებული ალაგე-  
ზი<sup>420</sup>, — ეს ძალიან, ძალიან საშინლათ საქირო და სასარგებლოა. მე ვიცი,  
რომ ადვილია გითხრა „მიშოვნე“ და შოვნა კი ძნელია, მაგრამ... თუ ნაცნობი  
ვერ გაიცნო, აიღერე თავი და წადი პირდაპირ, უთხარი, აჲ და აჲ, ერთი  
ჩემს თაყვანისმცემელს სურს შეაგროვოს მისი სრული თხოვლებები-თქო,  
და იმედი მაქვს, რომ არ დამიკაეუბ[ს] თქვენი სიის და გამომშვებული ალა-  
გების თქვენი თვალების წინ გარდაწერა-თქო. ღმერთმანი, ანაირი პირდა-  
პირი თხოვნა ნიშანს ნიღწევს. შინჯე მაინც.

მე კარგათ ვიცი, ძმაო კირილე, რომ შენთვის ეს ძნელია, — შენ ხასიათს  
სძულს ანაირი მოქმედება — მაგრამ ეს ისე საქიროა, რომ შენი წყენა არ  
შემინია. ეს იცოდე კარგათ, უბრალო საქმე რომ იყოს, არ გახზოვდი. და რად-  
განაც გთხოვ — ძალიან საქიროა. ამის გარდა, არ დაგავიწყდეს, რომ ეს საქ-  
მე მოუთმენელია, ესე იგი საჩქაროთ უნდა აღასრულო. თუ მაინცდამაინც არ  
გინდა ამ თხოვნის ასრულება, ხამაშურიძეს<sup>77</sup> მაინც გარდაეცე და თხოვე,  
რომ მალე გამომიგზავნოს, რაც კი იშოვოს<sup>421</sup>.

ათასი მოკითხვა ხამაშურიძეს და ანტონოვს<sup>87</sup>; ალხაზოვი<sup>422</sup> სად არის, რას  
შერება? მიწყრება მგონია. ძალიან დამამადლებ, თუ შემატყობინებ რისთვის.  
პასუხი, თუ ძმა ხარ, მალე მომწერე ამ ადრესით: Vevey (Suisse) პოსტ—რეს-  
ტონტ. მამინევე მომივა აქ. მე ფოჩტის პირდაპირ ვცხოვრობ და ჩემი ადრესი აქეთ.

ძმაო კირილე, შენი წიგნი მივიღე შაფათს, ნასადილევეს. დრო აღარ  
იყო კონსულატოში ვეჭილობა დამემოწმებინა და მე დიდი უსიამოვნებით  
უნდა მომეცადა დღემდე. დღეს ბარათი დავამოწმებინე, და გიგზავნი ამათა-  
ნავე.

რასაკვირველია, რომ რადგანაც ფული ხამაშურიძესთვის<sup>77</sup> საქიროა, აი-  
ღე რამდენიც გჭიროდეს და გააგზავნე ქუთაისს. მაგრამ მე ეგეც უნდა გი-



თბრა, რომ თუ მართლა იმედი აღარა გაქვთ მორჩენის, თუ საუბედუროთ ნამდვილია, რომ ქუთაისამდინაც ვერ ჩააწევს, ცოლგაა მისი წვალება.

მაშა მისს არაფრის შეძლება არა აქვს. ეხლა რომ ბეჟანი ავანპუოფი ჩაუვიდეს, საბრალო კაცი სრულიად დაილუპება ამიტომ, რომ ჩვენში ექიმნი და წამალი ძალიან ძვირად ღირს. შენ თვითონ იცი, რომ ექიმის და წამლობის გარდა სხვა ხარჯიც მიეცემა — თუ მართლა გასიჭივებულათ არის ბეჟანის მდგომარეობა, რათ მიაყენებთ იმ უბედურ კაცს ახალს გაჭირვებას და რათ ააღებინებთ ხელახლავ 300 ან 500 ვალს ექიმობის და სხვა ხარჯის გარდასახდელათ?

მე იმ აზრის ვარ, რომ „სინდისის დამშვიდება“ სხვანაირათაც შეიძლება, შით უფრო. რომ უმეტესი უსინდისობა იქმნება გაჭირვებული კაცის შეწუხება უსარგებლოთ ბეჟანისთვის. ფულის ხარჯის მეტი აქედან არა გამოდნება რა.

თუ გერასიმემ<sup>424</sup> ფული გამოგიზავნოსთ, მაჭ შეეწიეთ ბეჟანს, რითიც შეიძლებაოდეს. ესაა ჩემი აზრი. ქუთაისში მისი გაგზავნა მაშინ გაბედეთ, როცა იმედი გექნებათ, რომ მაგას კიდევ შეუძლია ორიოდ წელიწადი გაძლოს.

რასაკვირველია, რომ მე ამ აზრს გწერ მარტო იმისთვის, რომ შენ გქონდეს სახეში ჩემი «ОСНОВАНИИ»-ბი. მე ძალიან კარგათ ვიცი, რომ შეიძლება სხვანაირათაც უყურებდეს კაცი ამ საქმეს, მოიქეციოთ, როგორც ამჯობინოთ. მე არ ვიცი, რამდენი ფული მომივიდა მე პეტერბურგს, 300 თუ 600 მანეთი? მე ეხლა მოგწერ ჩემ მდგომარეობას:

25 აგვისტოს (ახალი სტილით), ესე იგი ერთი თვის შემდგომ მე უნდა გარდავიხადო აქ 500 ფრანკი. ვექსილი მომიცია მე ივნისის დასაწყისში. შეუძლებელი საქმეა, რომ ეს ვალი არ გარდავიხადო.

ჩემი ძმა ვლადიკო<sup>198</sup> ციურხში არის და იმას მე 240 ფრანკი აგვისტოს 1 ან 5 უნდა გაუგზავნო.

მე თვითონ აქ უფულოთ ვარ და არ ვიცი, სანამდინ დავრჩები აქ. 5 ან 10 აგვისტოს (ახალი სტილით) მე უსათუოთ უნდა წამოვიდე აქედან პეტერბურგს. დამჭირდება მე სამგზავროთ და აქაური ხარჯის გადასახდელათ 100 მანეთი.

თუ მე 300 მანეთი მომივიდა, რასაკვირველია, რომ ამ ფულებით მე ანდენ ხარჯს ვერ აუვალ. შენ აიღე, რამდენიც ბეჟანს სჭიროდეს, თუ დაწმუნებული ხარ, რომ 20 აგვისტოს (ახ. სტილით, ე. ი. 8 აგვისტოს ძველი სტილით) შეგეძლებათ მაგ ფულების დაბრუნება. თუ მე ეს ბარათი არ გადავიხადე თავის დროს, ჩემი საქმე დალუპულია. ეს გაახსოვდეს.

მაშ, აიღე, რაც გჭიროდეს, და დანარჩენი ფული ჩემი ძმობის გულიზა — აუე მოიხმარე.

240 ფრანკის ვექსილი აიღე. რომელიმე ბანკირთან და ჩემ ძმას გაუგზავნე ციურხში. დანარჩენი ფული აგრეთვე ვექსილით მე გამომიგზავნე მალე, ამიტომ რომ აქ უფულოთ დავდივარ.

თუ შენ იმედი არ გქონდეს იმ ფულების აგვისტოში დაბრუნების, აი, როგორ მოიქეცი: თუ შეიძლება სადმე მან[დ] სესხება ფულების, ვინმე ნაცნობიდან, მე გპირდები შენ, რომ თუ ოთხი თვის ვადით ისესხებ 150 მანეთს, მე გარდავიხდი ამ ვალს—შეიძლება?

მე უნდა მომივიდეს შინიდან 600 მანეთი. არ ვიცი, რამდენი მოსულა პეტერბურგს. თუ 300 მოსულა, დანარჩენი 300 კიდევ მოვა. მაგრამ, რომ დროზე არ მოვიდეს, ჩემი ვექსილი „პროტესტი“ გასწევს და მე მაშინ სრულებით რიყეზე დავრჩები...

აი, მე ჩემი მწრით რისი შეშინია.

თუ ძმა ხარ, ვლადიკოს და მე ფულები მალე გამოგვიგზავნე. აი, ვლადიკოს ადრესი: Zürich. Herrn V. N. Haldenegg, № 4a unterstrass bei frau Keller<sup>6</sup>  
Вексия должны быть «на три месяца».

ეს უფრო სასარგებლოა ჩვენთვის, მაგრამ უსათუოთ რომელიმე სახელოვან ბანკირს გამოართვი, Guntrburg<sup>5</sup>ს ან Wincken<sup>3</sup>ს ან სხვა ვინმეს; გენცბურგი სჯობია.

## 5

თფილისი, 3 ივნისს 1870<sup>425</sup>

ამაო კირილე, შენი რძისვიანი წიგნი ს. მესხთან მე წავიკითხე<sup>426</sup> და კაი ხანია, დრო არის, რომ მისი პასუხი მოგწერო. შენ ძლიერ მენდურები, რომ აქამომდე დაპირებული ფული არ გამოგიგზავნია შენი შრომისათვის; მაგრამ ჩემი გარემოებები რომ იცოდე, სანდურავს არ იტყვი და არც გულში გაივლებ.

მას აქეთია, რაც მე პეტერბურგიდან წამოვედი, ჩემი მდგომარეობა ძლიერ გამოიცვალა: მამაჩემმა<sup>196</sup> მაინცდამაინც მოინდომა, რომ მე სამუდამოთ ქუთაისში დავრჩენილიყავი; ეს კიდევ არაფერია; მაგრამ „მაგარი ის არის“, რომ, მისი აზრით, ადვოკატის ხელობისთანა ხელობა ღმერთს ქვეყანაზე არ გაუჩენია: „არც სერმია და თანხა უნდა ამ ხელობას, არც სხვა დავიდარაბა, შემოსავალი და მოგება კი — მილიონიან საქმესაც არ ექნება მაგდენი. ერთი სიტყვით — კაცური საქმეა, რადგანაც სასახელოც არის და სასარგებლოც“. ეს აზრი იქნება საფუძვლიანი იყოს. მაგრამ, რა ვქნა, მე ვერაფრისნაირათ ვერ გავეწყვე ამას. რაღა ბევრი გითხრა, მე მაგ საქმისთვის არ ვრაცხდი ჩემ თავს გამოსადეგათ და ამის გამო ჩვენში კარგი განწყობილობა დაიკარგა და თანდათან უკმაყოფილება „დაიფუძვნა“.

ასე გავიდა იანვარი, თებერვალი და მარტი. ისე არ გაუვლია დღეს, რომ ჩემი მდგომარეობა არ გამოცვლილიყოს და არ წამხდარიყოს. ყოველ დღეს მე და მამაჩემს საუბარი გვქონდა, მერმე მოყვა „მოციქულობა“, და სხვა და სხვა. რა უნდა მექმნა მე! ან უნდა დაეთანხმებოდე და თავი სამუდამოდ დამე-

მარხა, დრო სულის ჩლენებისათვის სადრეების და ვეჩერების გაკეთებაში და-  
შეღუპა, უნდა მოეხრილიყავი წელში და თეთრი შავათ გამომეხატა სახალ-  
ხით და შავი თეთრად; ანდა სულ ქუთაისისთვის თავი უნდა დამენებებია.

მე ეს უკანასკნელი საშვალევა ვარჩიე, და როგორც იყო—არა, მაცალე,  
აქ ერთი ეპიზოდი გიამბო. ქუთაისში მე მთელი ახალგაზრდობა მიცნობდა და  
მეგობრათ მყავდა. ამ ახალგაზრდობას სულის რეფორმის მადლით ჯიბეში  
სული უდგია და კაი მაგარი სული. როცა მე მამაჩემს გამოვეთხოვე, რასაკვირ-  
ველია, რომ იმას ფულს ველარ ვთხოვედი ქუთაისიდან წასასვლელად. და თუ-  
გინდაც მეთხოვა, ის მე ფულს მაინც არ მომცემდა. მივედი ერთთან (ლ. ლო-  
ლუშთან)<sup>115</sup> და ვთხოვე 50 მანეთი, მაგრამ წინდაწინ კი უთხარი, რომ საქმე  
ასე და ასე არის მეთქი და არ ვიცი. როდის შემეძლება გადახდა. ლოლუშამ,  
რომელსაც კი ძალი ფული შინაც აქვს და გააქსებულაცი (12,15) და მე-  
ტი %), მაშინვე უარი მითხრა, ფული არ მაქვსო, და აქნება ამ დღეებში გი-  
შოვნოო. ასე მატარა იმან ორი კვირა. მივაღდექი პავლე თუმანოვს<sup>119</sup>. იმსაც  
ჩემი გარემოება ვუთხარი. იმან მითხრა, მართალია, ფული მაქვსო, მაგრამ ამ  
დღეებში ჯვარს ვიწერო. ვის არ ვთხოვე, ყველამ უარი, უარი და უარი. მა-  
მაჩემი ამჟამად ფოთს წავიდა და აქედან წიგნი მომწერა, რომ შენი ამხანაგე-  
ბი თუ კარ კაცები იყვნენო, როცა ფული გიჭირდა და ღრიტინებდი, მაშინ  
ხელს იგაგიმართავდნენო. დანებე მაგათ თავო და საქმეს ხელი მოკიდევო,  
სხვებისათვის თავის მოკვლა და საქმის გაჭირება სისულელეზე უარესიც  
არისო.

ბოლოს, როგორც იყო, ბეზარით ელენტს<sup>5</sup> ვილატასი „ისპოლნიტელნი  
ლისტი“ დაუვირავე (ИМЕННО) 600 მანეთიანი 50 მანეთად და ამ ფულით  
თბილისისკენ გავსწიე, სადაც ეხლა ვიპოვებდი დროებით „დროების“<sup>56</sup> თა-  
ნამშრომელათ. ახლა მითხარი, თუ მმა ხარ, დანაშაული ვარ შვნთან თუ არა,  
ესე იგი ჩემი უსანდისობით ან გულმავრწყობით ვერ გამოგიგზავნე შენ  
ფული თუ სხვა შესანდობელი მიზეზით.

შენ მოგიწერია მეთექვსმეტე ნომრის ქება<sup>427</sup> — ეს ნომერი ჩემი შედგე-  
ნილია, ან ჩემი რედაქციის ქებაა გამოცემული, რადგანაც მაშინ მესხის ქუთაისს  
იყო. შემდგომი ნომრები კი ისევ მესხის ხელობაა. მე, რასაკვირველია, ამ  
საქმეში არა მეთქმის რა, მაგრამ, მაინც და მაინც უნდა გითხრა, რომ, ჩემი  
აზრით, არც შინაგანი ნაწილი, არც რუსეთის ამბები გაზეთის ზასიათით ჯერ  
კიდევ არ ბრწყინავენ; და შენ ამ შემთხვევაში შემცდარი ხარ.

მოშაირებები მე მოვაცილე „დროებას“<sup>171</sup>, მაგრამ ს. მესხს ეს მოცილება  
ძალიან ძალიან ეწყინა,— მე რომ ვყოფილიყავი შენიშვნას არ დაგაბეჭ-  
დინებდიო. „ჭაცია და გუნება“. შენ ისიც უნდა იცოდე, რომ „დროებისათვის“  
ძალიან საჭიროა იმისთანა საგნებზე სტატიების ბეჭდვა, რომელნიც აქაურ სა-  
ზოგადოებას შეეხებიან და ალაპარაკებენ, მაგალითად, მამია გურიელის საქ-  
მეზე<sup>185</sup> — რასაკვირველია, თქვენთვის სასამართლო ქრონიკა ამ საქმეზე სრულ-

ლიად გაუგებელი და უინტერესო იქნებოდა, აგრეთვე, როგორც იმავე საგანზე დაწერილი მეთვრამეტე ნომრის ფელეტონი. აქ კი სულ სხვაა. მე გეცდები უფრო ხშირათ ამნაირი სტატიებით ავაკსო „დროება“.

ნ. ინაშვილმა<sup>46</sup> წიგნი მომწერა, რომელშიაც თავის კმაყოფილებას ზიკნადებს მეთექვსმეტე ნომრისთვის — ვნახოთ, სხვები როგორ მოგეწონებათ „თქვენ, ახალგაზრდა კაცებს“...

ეხლა, ვაუბატონო, ეს მიბრძანე, ამისთანა „ერთი თვალის გადავლებით“<sup>49</sup> აპირებ შენ „დროების“ დახმარებას? არა, ძმავ სხვა რამე შეადგინე შენ თვითონ, ყარგო, საინტერესო, ლაზათიანათ დაწერილი, ადვილათ წასაკითხი, და მალე გამოუგზავნე „დროებას“, თორემ თარგმანს რა ძალა აქვს — მივაწვეთ როგორმე გაზეთს, აქნება, ალღახის ნებით და წყალობით აქედან რაიმე სხიური გამოვიდეს.

უმკიაშვილმა შემოგოცთვალა, ფულს მალე გამოგიგზავნი, „ჩონგური“<sup>66</sup> გამომიგზავნე, თუ გაქვსო.

[პირველი გვერდის მარცხენა კიდეზე]:

მომწერე წიგნი, შენი საქმეები როგორაა, რას აპირებ, როდის წამოხვალ? ზოიწერე ყოველთვის შენი აზრი გაზეთზე და სტატიებზე.

6

თფილისი. 13 სექტემბერს. 1870<sup>28</sup>

ძმავ კირილლე! არ გეგონოს, რომ შენ წინ დანაშაული ვიყო, ამდენხანს შენთვის რომ არც წიგნი და არც პასუხი მომიწერია: მე აქ სხვადასხვა საქმეების გადაწყვეტას ვუცდიდი, რადგანაც აქ საქმეების დაბოლოებას დიდი გავლენა უნდა ჰქონოდა შენი თხოვნის ასრულებაზე. ეხლა ეს საქმეები გადაწყდა...

მაგრამ ვაი ამისთანა გადაწყვეტას: თფილისის ქალაქში, (სადაც ამდენი მდიდარი და შემძლე ხალხია), ჩვენ ახალგაზრდობაში, რომელშიაც ორას ან ასორმოცდაათ თუმანიანი ასი ერთ ფასათ ითვლება—ჩვენ არა გვაქვს შეძლება სულის მოსაბრუნებლათ ათიოდე თუმანი ვიშოვნოთ, ან შოვნას ვინ დაეძებს, ვიყოთ. აქ შენ მეტყვი: „ზარაფოვი?“<sup>55</sup> ზარაფოვი, ჩემო კირილე, შემძლე კაცი კი არა, იყო, ამიტომ რომ მისი შეძლება, როგორც მე გგონია, გვარიანათ შერყეულა. ამას გარდა, ის მეტის მეტათ სუსტი კაცია, ის მეტის მეტათ ქეიფობს, მას მეტისმეტათ უხეირო კაცები ახვევია, ასე რომ, იმაზე ჩვენ იმედი არ გექონდეს. იმან ორჯერ-სამჯერ თვითონ მითხრა: ფულს მოგცემ სტამბისათვისო, „დროებისათვისო“<sup>56</sup>. მაგრამ მეორე დღეს ეს სიტყვები იმას ავიწყდება, და თუ გაახსენე, საწყალს გონია, ჩემი ჭიბის დაცარიელება უნდათ ამათო. მოდი და უყარე კაკალი... მე მქონდა იმედი, რომ ის შენ-

თვის გასაწყობლათ ფულს მომცემდა, ესე იგი მე მინდოდა. შენი თხოვნის ასრულება. მაგრამ ეს საქმე არ მოხერხდა, ამიტომ რომ ის კაცი, რომელმაც პეტერბურგში თქვენ შუა ახალგაზრდობა გაატარა, და რომელზედაც თქვენ გავლენა უნდა გქონოდათ, გახლავს в конце концов—самодур...

მაშასადამე, ჩემო კირილე, შენ არ უნდა გქონდეს ჩვენი იმედი ამიტომ, რომ ჩვენ ისეთი უხვირო და წინდაუხედეელი კაცები ვართ, რომ ვერაფრისგან ვერაფრის მოხერხება არ შეგვძლებია, და სრულიად არაფერი ძალა არ მოგვიპოვებია დღემდე. რა მოხდება შემდგომში? ეს ალახის მეტმა არაეინ იცის; მაგრამ, ჩემ აზრს თუ მკითხავ, გეტყვი, რომ ჩვენ ყველაზე უფრო იმას უნდა ვცდილობდეთ, რომ ხელში რამე ძალა ჩაეიგდოთ, რომ უძალობის გამო უნაყოფოდ არ იკარგებოდეს ჩვენი შრომა და შრომის სურვილი... აქედან ცხადად გამოდის მეორე „მაშასადამე“: მე იმ აზრის ვარ, რომ კარგი და კეთილი საქმე იქნებოდა, შენ რამენაირი დიპლომი გეშოვნა; და ისე ჩამოსულიყავი აქ. მაგრამ დიპლომი არის: «втростепенное обстоятельство». პირველი საქმე ის არის, რომ შენ შენი ცოდნა—რომელიც გაქვს სხვაზე მეტი—და შენი ნიჭი—რომელიც ჯერ კიდევ არ დაგკარგვია, ტყუილ უბრალოთ არ ჩაფლანგო დიპლომის სამუდამო ძებნაში. დაფიქრდი, ჩემო კირილე, და იანგარიშე: შეიძლება თუ არა, ან შეგიძლია თუ არა ერთ წელიწადში დიპლომი იშოვნო იმ გარემოებაში, რომელშიაც შენ ხარ ესლა და ამ ერთი წლის განმავლობაში იქნები. თუ შეგიძლია, დარჩი და აიღე დიპლომი, თუ არა და, ღმერთმანი და ხატმანი, სჯობს, ათასჯერ და ათიათასჯერ სჯობს ამას, დიპლომის „ამაო ძებნას“ თავი დაანებო და ჩამოხვიდე (აქ, და არა ქუთაისს); ადრე იქნება თუ გვიან, შენ მაინც დაიშახუტებ პატივს, გექნება დიპლომი თუ არა, სულ ერთია... საცხოვრებლათ კი აქ—უროკებით ვარ, თუ სხვაფრივ, აქ შეიძლება თვეში ხუთი, ექვსი თუმნის შოვნა...

წარსულ ნომერში დაიბეჭდა შენი „წიგნი“<sup>429</sup>. როცა შენ იმას დაბეჭდილს წაიკითხავ, შენ, ალბათ, ადვილათ დაინახავ, რომ შენთვის ყველაზე უფრო ძნელი საქმე საქმის დაწყებაა. დახედე შენ ნაწერს: თავში რაღაც სუსტი, მძიმე და გაუთლელი, უხვირო დასაწყისია; კაცს ეგონება, ზარმაც კაცს ზარმაცულათ, მაგრამ ოფლის დენით უწერია ეს სტატიო. მაგრამ მერმე, როცა შენ როლში შედიხარ, როცა ხელი გემართება და შენი ტვინი სტატიის წერას ეჩვევა, ენაც მჩატდება, აზრები ერთი მეორედან თავისუფლათ, თითქო ხტომით გამოდიან, ერთი სიტყვით, სტატია „ბუკეტს“, „შუშუნობას“ იღებს. თუ ჩვენი ლიტერატურა როდისმე თავისი ისტორიკოსის ღირსი შეიქნა, იმ ისტორიკოსს გაუჭირდება დაჯერება, რომ იმ სტატიის თავი და ბოლო ერთი კაცის დაწერილია, ისე დაუოკებია შენი ტვინი წერაზე ხელის აღებას და ისე ალაზათიანებს შენ აზრიანობას წერა და ქვეყნიერობაზე საქვეყნოდ (ოხ!) აზრის გამოთქმა...

მართლა, მე დამაფიქსყდა მეტქვა შენთვის ორიოდ სიტყვა იმ სტატიებზე, რომელიც შენ ამას წინეთ ბეთანიშვილის<sup>70</sup> წინააღმდეგ გამოგვგზავნა. მე კოჯორს ვიდექი ამ ზაფხულს და ერთხელ, როცა თფილისს ჩამოვედი, ვნახე სტამბაში შენი ნაწერი, რომელსაც „დროებისთვის“ აწყობდენ. მე. რასაკვირველია, ეს ძალიან მეამა, მაგრამ როცა სათაური წავიკითხე, და დავინახე სტატიის საგანი, მე მაშინვე შევაჩერებინე. სტატიის აწყობა და დავაჭერე სერგეი, რომელსაც სტატია დასაბეჭდათ მიეცა, რომ ამ სტატიას ჩვენ საზოგადოებაზე, აი, როგორი გავლენა ექნებოდა: ამ ოხერ სტუდენტებს ერთი უბედური წიგნი გადმოუბეჭდიათ და ეზლა ამ საქმის გულისზე ერთ უშველებელ ისტორიას და ვაივაგლახს ტეხენ“. ეს ერთი. შეორეთ — ბეთანიშვილი, ინაშვილი<sup>46</sup>, ანტონოვი<sup>47</sup> და სხვებიც ხმას ამოიღებენ და „დროებას“ უფ. ბეთანიშვილის მოქმედებების და ხასიათის განხილვით და აწერით აავსებენ. მე მგონია, რომ ეს ნამეტნათ «МНОГОЧИТ» იქნებოდა. მაგისტანა კაცი სხვა რამე საქმეში უნდა დაიჭირო და გააფიცხო ხალხის წინ...

დაანებე, ჩემო კირილე. თავი ამისთანა უხეირო კაცებს, სწერე ისეთი სტატიები, როგორც ამ უკანასკნელ სტატიის მეორე ნახევარი და გვიგზავნე „დროებაში“, ამას იგარდა, ჩვენ დავაჭირავეთ (არენდით) დუბელირის<sup>430</sup> სტამბა და თუ შენ ხუდიაკოვის წიგნის ნათარგმნს გამოგზავნი, შიგ დავებეჭდავ ნელნელა.

7

5 მაისი 187243F

კირილე! ტობერმა<sup>432</sup> ჩემი პალტო მოიტანა; ასეთი გაუკეთებია, რომ უკეთესი არ შეიძლება; თუ გინდა, გამოდი და ჩაიცივი: არა კაცს არ შეუძლია იცნოს ახლად გაკეთებულ პალტოში ჩემი ძველი და დაკონცილი პალტო.

შენი ნ. ნიკოლაძე.

8

ლონდონი, 7 ივლისს  
25 ივნისს 187243B

ძმაო კირილე! ამას წინეთ — ორ კვირებზე მეტია მას აქეთ — პარიჟიდან წიგნი მოგწერე, რომელშიაც 50 მანეთი და ჩემი საათის კვიტანცია ჩავდევი. მოგივიდა თუ არა ის წიგნი? გარდაეცი თუ არა 15 მანეთი იოსელიანს<sup>245</sup> და შეიტანე თუ არა საათის პროცენტები? მე გთხოვდი, მოგეწერა პასუხი პა-

რიქში და რომ მოგეწერა, შენი წიგნი კიდევ მოვიდოდა აქ. რატომ არ მოიწერე? თუ არ მიგეღოს, ფორტაში მიაკითხე. წიგნი „სტრახოვოი“ იყო, შენი აღრესით ТАМ. П... გამოგზავნილი.

აი, ჩემი საქმის მდგომარეობა: მე გაუჩივდი ორ ბანკირს, რომ რა წამს ცონცესსია შექნება ხელში, ორ მილიონ ნახევარი მანეთი უნდა მოჰკრიფონ ერთი თვის განმავლობაში. — ეს მზათ არის; მეორე, უფრო ძნელი საქმე ჩემთვის ის იყო, რომ 120 ან 100 ათასი მანეთი მეშოვა ეხლავე. ერთი იმ ბანკირებთანაა მიჩივდება ამაშია და ხელს, ან ზეგ პირობას ვწერთ, რომელშია მოხსენებული იქნება, რომ ეს ფული უნდა მომეცეს მე წინდაწინ იმ: წამსვე, როგორც ამ ბანკირების გაგზავნილი ძეგინერი დეპეშას მოიწერს, რომ ტყიბულას მართლა ნახშირის მადანია და რკინისგზის გაშენება მართლა შეიძლება. კარგათ იცი, რომ ეს ნამდვილი და უქვევლია. მაშასადამე. შეიძლება თითქმის სრული დარწმუნებით ვთქვა, რომ საქმე გვათავე თქო ისე, როგორც მინდოდა. მაგრამ უფრო მტკიცეთ ვიტყვი ამას: მაშინ, როცა პირობაზე ორივე მხარეს ხელი მოწერილი გვექნება... მაქანამდო კი, ვინ იცის, რა მოხდება!

ერლანგერს<sup>5</sup> — დიდ ბანკირს — აუხსენი მე ამასწინეთ ჩემი პროექტი „საქართველოს ბანკზე“ — მგონია, შენთვისაც მითქვამს, რაში მდგომარეობს ეს პროექტი. იმან დამარწმუნა, რომ თუ ან მმართველობა, ან ზემსტოვო, ან თავად-აზნაურობა და ქალაქები ხუთი პროცენტის გარანტიას დაგვიპირდებიანო, რვა დღის განმავლობაში დავითელი ხუთ მილიონ მანეთს, მაგ ბანკის გასამართავათო! მაგრამ ეს საქმე სასხომით გადავდეთ.

საზოგადოთ, მე უსაქმობით ვცვდები. წერა არ შემიძლია, ამიტომ, რომ ტვინი ტყიბულაზე მაქვს<sup>239</sup>; კითხვით — ბევრს ვკითხულობ და ეს უფრო მალელებს და „შანერეებს“. მერე დაუმატე ამას ქუთაისელი ამბები, ჩვენი შინაურების გამწარება ვლადიკოს სიკვდილზე<sup>198</sup>, ლევანოვის<sup>434</sup> ბრახაბრუნი ტყიბულის ახლომანლო ადგილების ხელში ჩასაგდებათ, პროცესის ბედის უცოდინელობა და სხვ და სხვ. შეგეძლება ჩემი მდგომარეობის წარმოდგენა.

რაც მანდედან წამოვედი, ერთი დღის მოსვენება და სულის უშფოთველობა არ მღირსებია, თუმც არაფერი დამიზოგავს ჩემი თავის უწინდელ კალაპოტში ჩასაკუმნავათ. რომ იცოდე, რა საძაგელი საქმეა ТАССА, მით უფრო, რომ ამას არც მიზეზი უჩამს, არც სხეული აქვს, არც ბოლო მოუჩამს. მართო ეხლა ვიგობენი მე იმ კაცების ბედნიერება (მართალია, პირუტყული ბედნიერება, მაგრამ მაინც ბედნიერება), რომელნიც უსაქმობას და წვრილმან ცხოვრებას შეჩვევიან. ნეტავი იმათ, რადგანაც — იმათ არ სჭირიათ შრომა დროს მოსაკლავათ, იმ დროს, როცა მთელი მათი ტვინი და სხეული შრომას ვერ ითვისებს და ვერ იკარებს. ნეტავი იმათ მეთქი.

მაგრამ, რა დროს ფილოსოფია! საქმე იმაშია, რომ მე ვაზოვ, საჩქაროთ მოიკითხო ჩემი წიგნი და საჩქაროთვე პასუხი პარიჟში მომწერო (50, rue Richelieu, Paris). როდის გნახავ, სად წავალ და სხვ.—არ ვიცი. ეს ყველაფერი მე ამ ხუთ ექვს დღეში მეცოდინება, როცა ამ საქმეს გავაოავებ და პარიჟში წავალ კრემერის<sup>435</sup> ხელახლავ სანახავათ.

რომ იცოდე, რა შვეენიერი, აღმტაცი, დარდიმანი და გამკრიალი ცოლი ჰყავს ამ კაცს! რომ იცოდე, რა სახელი ჰქვია ამ ქალს! — გაბრიელა მისი ახალგაზრდობა, მახვილგონიერება (ან ენამახვილობა), მისი გამბედავი ბირისასახე, მისი პემსნე და ტანალობა რომ გაჩვენა — გადაირევი. ღმერთმანი. ცოტა, ჰქუა — მთელი და სულდაუცემელი რომ ვყოფილყავი, ვიტყოდი, ამ ქალისათვის ნახევარი სიცოცხლე არ დამეშურება თქო, ამიტომ რომ დარჩენილ ნახევარს ის ერთს — ხუთათ ატყვედა.. მაგრამ იქნება ის იმიტომ მომეჩვენა ამნაირად, რომ მე სულდაცემული და ცოცხალ-მკვდარი ვიყავი, როცა იმას ველაპარაკებოდი. რა კომიკური რამე იყო ეს ლაპარაკი, რომ იცოდე! წარმოიდგინე ოთახი, შიგ კრემერი, მისი ცოლი, ცოლის და და მე. წარმოიდგინე ლაპარაკი, რომელშიაც კრემერის სიტყვას ტყიბულაზე მოსდევს მისი ცოლის შენიშვნა პარიჟის ცხოვრებაზე და ცოლის დის კითხვა — ქართველ ქალებზე, წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა, როცა კრემერის ანგარიში და ლაპარაკი ჩემ ტვინს და გონებას აღელვებდა, მისი ცოლის დაცინვა და ღიმილი ჩემს გულს აცეკვებდა და მისი ცოლის დის (ჩვენებური რუმბის) სხარტული და ლაქლაქი ყურს მიყრუებდა და ეს ყველაფერი თითქმის ერთ დროს. თითქმის არეულ-დარეულათ იყო!... როდესმე ამ საყვირველ და ტრაგი-კომიკურ საღამოს მე „დროებაში“<sup>456</sup> ავწერ, როცა ტვინი უფრო თავისუფალი შექნება და როცა სიცილის გუნება დამიბრუნდება.

ჩემ დღეში არ მიგვრბნია ისე შენი სიყვარული და ჩემი ამხანაგების საჭიროება, როგორც ეხლა, მას აქეთ, რაც ევროპაში ვარ. პირველათ, ჩემ სიცოცხლეში, მაწუხებს მე შარტობა. ნეტა ეს რას ნიშნავს?

შენი ნ. ნიკოლაძე.

ძმაო კირილე,

გიგზენი ათას ასსოც მანეთს. აქედამ შენ უნდა მისცე:	
პალაშკოვსკის <sup>457</sup> (Экатерин. Канав, д. № 83)	300 მ.
ტიბლენის ცოლს <sup>5</sup> (В. О. 15 л. д. Вяземского)	300
ტობერს <sup>432</sup> (Б. Морская, д. Тура).	75
საათისთვის:	60



დანარჩენი ფულებით შენ უსათუოდ უნდა ნიკო ანტონოვი<sup>87</sup> წამოიყვანო და ორივემ დღეისწორ ხუთშაბათ დილას ოდესაში დამხვდეთ. ვიცი, რომ ეს ფულები თქვენ არ გეყოფათ, მაგრამ მეტი ღონე არ არის, ამ ცოტა ხანში უნდა იყოფინოთ. ვალებს ამ ექვსი თვის განმავლობაში გაისტუმრებთ. ესლაკი, რადგანაც ჩვენი მომავალი მოქმედება და ცხოვრება თბილისში უნდა გადაწყდეს, ესე იგი, დეკემბრის დამწყებში, როცა ჩვენ ყველანი იქ ვიქნებით, მაშინ უნდა დავირიგოთ შრომა და მოქმედება, აუცილებლად საჭიროა, რომ თქვენ ორივე საჩქაროთ მოხვიდეთ. თუ ოდესაში მოდით დროზე (ხუთშაბათს), ფული ისე იანგარიშეთ, რომ ოდესამდი გეყოთ. თუ დაიგვიანეთ, თქვენ თავს დაედურეთ.

ჩინებულ ტანისამოსს, მზათ, ოდესაში იყიდით, ორიენი. ანტონოვი ჩემთვის იქნება საჭირო და შენ „კრებულის“<sup>249</sup> და სტამბისათვის.

ტიბლენის ცოლს ფული რომ წაუღო, უთხარი, შინ უცბათ წასვლა დასჭირდა, რადგანაც ინეინერს უნდა წაყოლოდა-თქო, მაგრამ ამ ორი თვის შემდეგ ისევ დაბრუნდება-თქო. მაგრამ იმას მე თვითონ მალე მოეწერ.

შენი იმედი მაქვს, როგორც კლდისა. არ დამკლა, არ დაიგვიანო, თუ ძმა ხარ, თორემ საქმე ძლიერ ცუდათ წავა. თუ საქმე არ გავაწყვეთ, როცა ფული ჭიბეშია, ამნაირ შემთხვევას ველარ ვიშოვით.

შენი ნ. ნიკოლაძე

10

ძმოს კირილე!

3 დეკემბერს 1877 თბილისი<sup>438</sup>

გიგზავნი წიგნს ნიკო ლოლობერიძესთან<sup>9</sup>, დიმიტრი ბაქრაძისაგან<sup>52</sup>. გთხოვ, ეს წიგნი პირადათ გარდასცე და შიგ რომ წიგნია მოხსენებული «Lasie mineure», გამოართვა და გამომიგზავნო. ეს წიგნი მე ძლიერ მჭირია, საჩქაროც არის და იმედი მაქვს, არ დაივიწყებ ამ საქმეს, არც გარდადებ.

სხვა, გამოცხადებით შეიტყობდი, რომ «Орзоп»<sup>439</sup>-ი დაფუძნდა და 1 იანვარს გამოვა. შენ იცი, როგორაც შემეწევი მანდელამ. ვიცი, რომ ვრცელი სტატიების ან კორარესპონდენციების წერას შენ კაცი ვერ გთხოვს, „ვინაიდან ეგრე ვითარ შრომას“ შენ ისე ერიდები, ვითარცა ოგიუსტ კონტის<sup>440</sup> სისტემის შედგენას. ამნაირ საქმეს, შენი აზრით, ათი წლის მზადება სჭირია. არა, ამისთანა „ძნელ საქმეს“ როგორ მოგთხოვდი. გთხოვ მარტო ამზანაგუარი, ქართული, შეუფერავი, უბრალო ბარათები მომწერო ძლიერ ხშირათ, ყველაფერზე, რაც კი ხდება ქუთაისში შესანიშნავი ან ყურადღების ღირსი.

გაფერადებას, გავრცელებას, რუსულათ დაწერას მე ვიკისრებ. თუ ძმა ხარ, ამ შრომაზე უარს ნუ მეტყვი. შენ თვითონ იცი, რა ძნელია ხეირიანი კორრესპონდენტის შოვნა ქუთაისის გუბერნიაში, იმისთანასი, განსაკუთრებით, რომელიც მიუდგომლათ სიმართლეს სწერდეს და ეძებდეს. და ფაქტებ[ს] თავისი შეხედულობის ან ინტერესებისამებრ არ ასხვაფერებდეს, ამისთანა კაცს ქუთაისში მე შენს მეტს სხვა არ ვგულობ, და, თუ ძმა ხარ, ნუ დამავალღებ, უარს ნუ მეტყვი ამ თხოვნაზე. წარმოიდგინე, ვითომ მართლა მართო ანხანაგურ ბარათებს წწერ ქუთაისილამ თფილისს და სწერე, თუ ყოველ დღე არა, ორ, სამ დღეში ერთხელ მაინც. ძლიერ დიდ დახმარებას მომცემ ამით, რცოდე, და ამ თხოვნაზე შენი მხრით უარის თქმა სწორეთ კისერში დანის გაყრა იქნება.

მეტყვი, მე ქე რა ვიცი. სახლში ვზივარ, არავისთან კავშირი არა მაქვს და სხვ. ჯა სხვ. მით უფრო კარგი და პატროსანი. შენ ხასიათს ხომ კარგათ ვიცნობ და შენი დაფასება ყოველივე ფაქტისა ყველაზე უფრო საჭირო იქნება ჩემთვის. რომ რომელიმე კერძო კორრესპონდენტმა ტალახში ან შეცთომამაში არ ჩამფლოს და ჩემ გაზეთს სირცხვილი არ აჭამოს. თითოეული ფაქტის აწერა შენ ამხანაგურ ბარათში ორი-სამი სტრიქონით შეგეძლება, და თან შენი აზრის თქმა. რასაკვირველა, მე იმ შენ ბარათს არ დავბეჭდ, მე ის მხოლოთ კრიტერიუმს მომცემს და ფაქტის არსებობას გამაგებინებს. დანარჩენს მე თვითონ ადვილათ მოვახერხებ.

ქუთაისში ნიადაგ არის „ღირსშესანიშნავი“ საკორრესპონდენტო ამბები: დუმა, უბრავა, სუდი, გლეხების ПРИСУТСТВИЕ, ბანკი და სხვ. და სხვ. ამას გარდა, ყოველთვის საკმაო საზრდოს მოგცემს „ქუთაისის ჭორები და ხმები“, ისე, რომ თუ ღმერთმა ჰქნა და სურვილი არ შემოგაკლდა, ღვთის მადლით, მასალა თავი დღეში არ შემოგელევა.

თუ ამობა გწამს, ამ საქმეს ძმურათ მოექეც და სრული შენი ხალისი, სრული ყურადღება ათხოვე. არასოდეს ამრიგათ შენ არ დამპირებინარ, და გაიხსენე ჩვენებური ანდაზა: „ძმა მისთვის, შავი დღისთვის“, ეხლა სწორეთ „შავი დღე“ მადგება. გაზეთი თუ ხეირიანი, „ბრწყინვალე“ არ გამოვიდა, შენს მტერს იმისთანა, სამუდამოთ ყელგამოჭრილი დავრჩებით და ცოდვაც იქნება ეს მხოლოდი შემთხვევა, როცა გაზეთის შოვნა და დაარსება გვეღირსა, დავკარგოთ ჩვენ[ი] საკუთარი უდარდლობით ან სიზარმაცით. გარწმუნებ, რომ, საზოგადოება დღეს ისეთი თვალთ შესტკერის გაზეთის დაარსებას, რომ თუ ხალისი გავყვა და სიზარმაცე არ მოგვერია, სრულ გამარჯვებას და გაზეთის ფეხზე დაყენებას ჩვენ ძლიერ მალე ვეღირსებით. ბევრი მპირდება დახმარებას, თანამშრომლობას, ხელის გაწყობას, და თუ სუყველას მენი არ დაეცათ, მალე, სანიადგოთ დაარსებულთ და შეურყვევლად დაფუძნებული გაზეთი გვექნება ხელში.

აბა, შენ იცი, როგორ დამეხმარები შენი მხრით იმ ბარათებით, რომელსაც მე შენ გთხოვ, და რომლის ნიადაგ წერას — ამაში შენც დამეთანხმები, არც ბევრი დრო უნდა, არც დიდი შრომა ან თავის ტეხა. იქნება შენ მენდუროდ შენი წიგნების თაობაზე, რომ ამდენხანს ვერ გამოგიგზავნე? მაგრამ ჯერ ხომ კოწია გახდა საშინლათ ავად და მისი მორჩენა არავის ეგონა. მერმე ხომ იცო, ახელუდინანის<sup>333</sup> ამბავი, ხან აქ არ იყო, ხან „პოდვალი“ დაკეტილი მაქვს და კლიტე შაბუროვს<sup>441</sup> აბარიაო, ხან შაბუროვი კლიტეს არ იძლევაო და სხვ. მომავალ კვირაში, როცა ჩვენები წამოვლენ, იმედი მაქვს გამოგიგზავნო იმათთან, ან ჩამოვიტანო, თუ ნოვახერზე ორიოდ დღით მანდეთ წამოხვლა (რუსეთში ვეღარ წაველ, და ფრენკელი<sup>442</sup> გავგზავნე ჩემ მაგიერ). იმ წიგნებიდამ ჩერნ<sup>208</sup>. ნაწერი მინდა ამოვიღო და დაფოტოვო, რადგანაც აქ ხშირად დამპირდება მათი ხსენება, *Орбиг*<sup>439</sup>-ში.

ამ ბარათის პასუხი მალე მომწერე და

მალე გამოართვი ნ. ლოლობერიძეს<sup>9</sup> და მალე გამოგიგზავნე ფოტოთ.

ნეგობრები, ვისაც ვახსოვდე, პატივისცემით მომიკითხე.

შენი ერთგული

ნ. ნიკოლაძე

ახირებული კაცი ხარ, ძმავო კირილე, მაჰაჩეში ნუ წამიწყდება. დაუბოლოებელი ბარათი მოგწერე ამას წინეთ კორრესპონდენტობის თხოვნით, და იმ ბარათზე შენ რომ პასუხი მადირსე, შიგ ერთი სიტყვაც არ იყო ნათქვამი, თანახმა ხარ ამისრულო ის ჩემი უმთავრესი თხოვნა, თუ არა? გამაგებინე ამის პასუხი, თუ ძმობა გწამს, ჩემთვის ეს ძლიერ და ფრიალ საჭიროა. იმედი მაქვს შენი, რომ ამ გაჭირვების დღეს გაქცევას შენსას არ მაჩვენებ და უღელს ერთგულად გასწევ ჩემთან.

დრო არა მაქვს ბევრი ხვეწნა მოგწერო. ძლიერ მჭირია შენი დანხარება, იცოდე, ისე მჭირია, რომ მეტი არ შეიძლება. ამდენი ხანია ქუთაისში ხარ. ამდენი ხანია მანდაურ ცხოვრებას აკვირდები, მანდაურ საქმეებზე და კაცებზეც ჰფიქრობ. მაშ, მასალა ბევრი გექნება, და გთხოვ ის მასალა, თუნდ შეუმუშავებელი, მიგზავნო ხშირათ, თითქმის ყოველ დღე. ხანდისხან ჩემთვის ისიც დაუფასებელ სიკეთეს შეადგენს, რო კაცმა, შენისთანაჲ, რჩევა მომცეს, ან ამ საგანზე რამე დაწერო, მითხრას. ეს აზრი გაიყვანო, ამ მოვლენას შეგნევიო, და სხვ. ნუთუ შენ ამაშიაც უარს მეტყვი? არა მგონია, რომ მაგნაირათ მოგძულდე. გიგზავნი, წასაკითხავათ იმ ცირკულიარის პირს, რომელიც სხვადასხვა ქალაქში კორრესპონდენტებს გაუგზავნე. რასაკვირველია,

რომ შენთვის ეს საჭირო არ იქნება. შენ თვითონ იცი, რა უნდა სწეროს კაც-მა და რა არა. მაგრამ მინდოდა, რომ შენც გცოდნოდა, რა მიეწერე იმ პირებს, ვისაც ვთხოვე კორრესპონდენტობა.

შენ წიგნებს არ გავხსნი. მაგრამ გთხოვ კი, როგორც მოგივიდეს, დიდი დავალება მიქნა, ჩერნიშევსკის<sup>208</sup> კოლექცია მათხოვო. გეფიცები ყველაფერს, რაც კი მწამს, რომ არც დავიკარგავ, არც წაგიხდენ. რადგანაც მე მჭირია Жыр-нальное обозрение-ს შედგენა, ხშირად დამჭირდება მისი სიტყვების ხსენება და გახსენება და უწიგნოთ არ შემიძლია. შენი იაშჩიკები ხელში ვერ ჩავიგდე: ხან სტეფანე<sup>5</sup> შინ არ არის, ხან ლავრენტია<sup>6</sup> თალლითობს, მაგრამ ამ უქმეებში უეჭველათ გამოგიგზავნი.

შაბუროვს<sup>41</sup> მიწწერე, რომ პროცენტების ვექსილს მოგცემ, მაგრამ ეს-ლა არ შემიძლია-თქო, ეინაიდგან აქ ცული შთაბეჭდილება ექნება და სხვა. შაგის დარდი ნუ გაქვს, აცოდე.

შენი ერთგული  
ნ. ნიკოლაძე.

[წერილი დაწერილია გაზეთ „ობზორის“ ოფიციალურ ბლანკზე, წინ ახლავს (1. ფ.) ცირკულიარი კორრესპონდენტების სახელზე რუსულ ენაზე].

12

ს. დიდი-ჩიხაიში, 7/IX 88444

საყვარელო ძმაო კირილე!

ვიცი, საშინლათ გაგიცვირდება ჩემი წიგნის მიღება, რადგანაც მიწერ-მოწერა ჩვენს შუა, არ ვიცი რა მიზეზით, თავის დღეში არ გამართულა, ან არ გაგრძელებულა: მე და შენ არ გვიყვარს გრძნობის გამოაშკარაებება. ესლაკი სჯვა საქმეა. დიდი სათხოვარი მაქვს, და გთხოვ ნუ გამაწრფილებ.

შეიტყობდი, ვაჟი დამეზადა<sup>445</sup>... აი, ეს ვაჟი მინდა მოგანათვლინო, როგორც ჩემ უძვირფასეს და უძველესს მეგობარს ამხანაგს, როგორც საყვარელს და მშვენიერს კაცს, რომლის ხასიათი იქნება დაენათლოს ჩემ შვილს (ნამეტანი ჭინიანობის გარდა, რასაკვირველია). თუ ჩემი ძმობა გწამდეს და თუ ცოტაოდნათ თუ ვსურდეს ჩემი სიაშოვნება, ეს თხოვნა ამისრულე: დაე, ახირებულათ გეჩვენოს, დაე, სისულელე იყოს, რა გენადვლება, ან შენ რა დაგაკლდება; ამ თხოვნას ჩემი ცოლიც ვითვლის და ჩვენ ორივენი ისე დაეაფასებთ მის შესრულებას, ისე დაგიზადლებთ, რომ წარმოდგენაც არ შეგიძლია. ჩვენ გვინდოდა ეს ბავშვი მოგვენათლა 14 ენკენისთვეს, ჭვარი-ამალ-

ლება დღეს, მაგრამ მარხვია ეს დღე და არ ვიცი, როგორ მოვახერხო. შენ თვითონ გარდაწყვიტე ან 14 ან 18 ენკენისთვე (კვირა დღეა). სამშაბათს, 13 ენკენისთვეს, ან შაბათს, 17, რომ წამოხვიდეთ საღამოს შენ და კოტე ბაქრაძე<sup>501</sup> რკინისგზით, დარჩებით აქ უქმე დღეს და ხუთშაბათს ან ორშაბათს დღის 9 საათზე აქედამ ახვალთ ქუთაისს ფაეტონით.

ამ ფაეტონის შოვნას და იმ პირობას, რომ უქმის მეორე დღეს ქუთაისს დღის 9 საათზე მიგიყვანთ, მე ჩემ თავზე ვიღებ და პატიოსან სიტყვას გაძლევ, რომ უსათუოთ შეგისრულებ. რაღა თქმა უნდა, რომ იმ პირობით გთხოვ ნათლობას, რომ არავითარი ხარჯი არ გასწიო. «Мне не дорог твой подарок, дорог лишь твой» გაგახსენებ ძველი სანტიმენტალური რომანის სიტყვებით.

მოუთმენლად ველი შენს პასუხს.  
შენი ერთგული ნ. ნიკოლაძე.

### ა ბ ტ რ ე უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს ა

1447

ძმაო კირილე!

ძალიან საკვიროა „ქილილა და დამანა“<sup>448</sup>, რომელიც შენ ირაკლი ლორთქიფანიძეს<sup>449</sup> გადაეცე. ეგ წიგნი რამდენჯერმე დაგვკვირდა და ხელში კი არა გვქონდა. უეჭველად გამოართვი და გამომიგზავნე რამდენათაც შეიძლება მალე. ამ ზაფხულს, მოცილილ დროს, მე მომინდება პატარა თხზულებებისათვის, რომელთაც სალიტერატურო ისტორიას შეეხება და ძალიან გეხვეწები მალე გამოგზავნო. აქ სხვა ეგზემპლარი ვერ ვიშოვე.

შენი პეტრე უმიკაშვილი

26 მაისს 1878 წ.  
ტფილისი.

2

ტფილისი 1885 წ. იანვრის 27-სა<sup>450</sup>

ძმაო კირილე

გიგზავნი პატ. მჭედლიძის<sup>340</sup> ხელით წიგნებს: 1. დავითიანის პირველ და მეორე გამოცემას<sup>441</sup>, 2. ძველს ცოტა დაფურცლულს, „ჩონგურს“<sup>66</sup> და 3. ბართაშვილის<sup>213</sup> ლექსების პირველ გამოცემას<sup>452</sup>.

სხვა წათხოვნი შენი წიგნები უნდა მოვებნო, შეუყარო თავი და ისე განოგრიგზავნო, ამჟამად ზოგი არხივში მაქვს მიგდებული და ზოგი უნდა მოვიკითხო სხვებთან. აგრეთვე ეურნალებიცა. პიპინის<sup>118</sup> სტატია ჩემი მქონდა და შენთვის არ გამომირთმევია, ეს ნამდვილად მახსოვს.

ძალიან მოხარული ვარ მანდ ქუთაისში წიგნების გამოცემას თუ შეუდგებით და ბოლოს მიაყოლებთ. სწორედ იმ აზრისა ვარ, რომ ეურნალ-გაზეთების გამოცემა ვერ დაიქვრს თავს ტფილისს გარეთ, ჯერ დიდ ხანამდის; ამიტომ წიგნების გამოცემა ერთი საქმე, რომ თავი დაიჭიროს. ღმერთმა წარგიმართოსთ. კირილე მარჯვედ იყავი. იმღურები, მაგრამ ეს ქვეყანა ასეა. რასაც ხელად შევიძლებთ, ხელი უნდა გავკრათ.

დავშთები შენი პეტრე უმიკაშვილი

### გ ი ო რ გ ი ქ ო ჩ ა ქ ი ძ ი ს ა

1

1873 წ. ნოემბრის 10.453  
გამბორა

ძმაო კირილ ბეჟანიჩ!

მოვიკითხავ ისე როგორც და რამდენიც ჩემ გულს თქვენი კეთილი სურს. მე იანვრამდი დავრჩი გამბორაში, რომელიც არის თბილისიდან 40 ვერსტი. მაგრამ დეკემბერში, ე. ი. საშობაოთ ჩამოვალ და, მაშასადამე, უფრო ნაკლებ დავრჩები აქ. მე არაფერს გიგზავნი ახლა ამიტომ, რომ რალაცუების ჭყაპვა დავიწყე და ჭიაყელასავით გაგრძელდა და სანამ არ გავათავებ, წერიმალს არ მინდა ხელი მოვიკიდო, ჩემ ორ ლექსს გარდმოქცემდა ნიკო; მაგრამ შენი შეუბრალებელი კრიტიკა იმათ მოამტკრევედა, კი ვიცი და, იქნება, არც ქე დაიბეჭდა. მაგრამ „შენი წყალობით“ (კანდელაკის სიტყვები თუ ვახსოვს სასტუმროში) არა გვიშავს რა-ახლა კირილ ბეჟანიჩ! შემიბრალე გამბორაში ჩავარდნილი კაცი და გამომიგზავნე სამი წინანდელი კრებულები<sup>240</sup>, ესე იგი მეოთხე, მეხუთე და მეექვსე მაქვს და მინდა შემდეგი. ამას გარდა „დროებაც“<sup>56</sup> უნდა გამოატანო მაჩანჩალათ. ჩემი ადრესი: В Гомборах. В пятую батарею Кавказской гренадерской артиллерийской бригады. Георгию Кочакидзе.

ნიკოს<sup>154</sup> და ფურაცელაძეს<sup>181</sup> რა მოუვიდა? ნიკო წავიდა თუ არა? და-თა<sup>392</sup> პოლიტიკი მოვიდა თუ არა; ეგენი სულ კარგი ანბავია, მაგრამ ჩვენ ვინ შეგვატყობინებს. ქუთაისიდან რა ციტრები ჩამოვიტანე! ერთი სიტყვით, ნეტავ, ხატაულის ღვთისმშობლის მადლი ისე დატრიალდებოდეს, რომ შენ ერთ ბარათსაც მოგაწერიხებდეს.

მოვიციტხავე: პეტრეს<sup>455</sup>, მესხებს<sup>456</sup>, ინაძეს<sup>5</sup>, ივანოვს<sup>457</sup> და სხვას, ვინც  
შიცნობდეს ვლურს და გელურს.

შენი ძმა გ. ქოჩაქიძე.

2

24 დეკემბერს<sup>458</sup>

97. წელს.

ქ. მინსკი.

ძვირფასო ძმაო კირილ ბეჟანიჩ!

სურვილისამებრ თქვენისა, გიგზავნით 5 ჩემ ლექსს, რომელიც ჩემი  
რვეულიდან ამოვსწერე. უმორჩილებად გთხოვთ, წაკითხვის შემდეგ გარდას-  
ცეთ ილია მირიანის ძე ჭყონიას<sup>459</sup>, რომელიც ქუთაისში უღრნალი მეურ-  
ხეს<sup>460</sup> გამომცემელია, რადგანაც იმან მოხოვა მე, რომ მას დასაბუქდათ რა-  
ბე განოუგზავნო.

თუ რაბე შეცთომებებს ნახავთ და შეასწორებთ, მადლობელი ვიქნები. ამ  
დროებით თავისუფალი დრო არა მაქვს, რომ მომეტებული რაბე შემემუშავე-  
ბია.

მოგილოცავეთ დღესასწაულებს.

თქვენი ერთგული და პატივისმცემელი ძმათ დ<sup>რ</sup>ი გ. ქოჩაქიძე

P.S ამ ლექსებში „სიზმარი“ ნამეტან შეიცხეთ გეჩვენება; მაგრა ჩვენში,  
რომ ზნეობა ცოტათი ირყევა, ეს უეჭველია. ჩემს აზრით, საზოგადოებას  
უნდა ჰქონდეს რამოდენიმე გავლენა და იმის ხმას ყოველი წვერი უნდა  
ყურს უგდებდეს. ნუ გამიწყრები: კაცის კვლა, ავაზაკობა, ქურდობა, ფალში-  
ვი დოკუმენტები, მამისკვლა და სხვა ამგვარი მოქმედებანი ზომ ცხადია.  
ძართალია, საზოგადოება თავზე ხელს არ უსობს და არ უწონებს ამისთანა  
საქმეებს, მაგრამ არც ისმის, რომ ამისთანა კაცებს ჰკიცხავდეს. პირში თქმა  
სიმართლის არ გავგიბედიო. მაგრამ „ზოგან თქმა სჯობს უთქმელობას და  
სხ.“ უკაცრავათ, ძვირფასო კირილ ბეჟანიჩ.

ა ლ მ ძ ს ა ნ დ რ ი ც ა ბ ა რ ლ ი ს ა

მიუნხენი 1868 ს. [აპრილი]<sup>461</sup>

1

საყვარელო ძმაო კირილე! შენი წერილი მივიღე აგვისტოს შუა რიც-  
ხვებში, ერთი კვირას შემდეგ ფულიცა პეტერბურგის პოჩტამტიდგან, რომ-

ლისთვისაც დიდათ გიმადლით. მე პეტერბურღის უნივერსიტეტს გამოვესალ-  
ძე, გადავწყვიტე აქ (გერმანიაში) დარჩენა და აქაურ უნივერსიტეტში შესე-  
ლა სტუდენტათ, ჯერ აქ ერთ თვე ნახევარს გასწევს კანიკულები და ოქ-  
ტომბრის უკანასკნელ რიცხვებში დაგვეწყება სწავლა. მიუნხენის უნივერსი-  
ტეტში ვირჩიე ჟერეთ შესვლა, რადგან აქ ერთი გამოჩენილი ორიენტალის-  
ტი არის პროფესორათ (დოკტ. მიულერი)<sup>462</sup>, ჰკითხულობს: არაბულს, სპარ-  
სულს, სანსკრიტულს და სხვ. ენებს და ლიტერატურას აზიის ხალხებისას, იცის  
ცოტათი ქართულიც და სომხურიც. მერე წლისა, ანუ წლინახევრის შემ-  
დეგ გადავალ ბერლინის უნივერსიტეტში უფრო გამოჩენილ ორიენტალის-  
ტებთან. რასაკვირველია, ყველა ესა პლანები არის, როგორც ყველა პლანე-  
ბი შეიძლება სულ მთლივ არ ასრულდეს. შემდეგში ძნელია ცოდნა საით  
წავალ, ეხლა კი მიუნხენის უნივერსიტეტში ვარ, თუ მომეწონა, იქნება, დიდ-  
ხანს არ დავანებო თავი. აქვე ვაპირებ. რასაკვირველია, ეგზამენის დაქერას  
(აქ პირდაპირ დოკტორის ხარისხზედ იჭერენ ეგზამენიას), რომლას მომზადე-  
ბისთვის, როგორც ეხლა ვფიქრობ, უნდა მოვანდომო საში თუ ოთხი წელი-  
წადი. აქაურ ატტენსტატს, ესეც ვიცი, რუსეთში არა მნიშვნელობა არა აქვს,  
მაგრამ თუ ვისწავლე რაზე, სრულიად დაჯილდოვებულად შევრაცხ ჩემ თავ-  
სა.

აქ, მიუნხენში რომ მოვდიოდი, გამოვლაზედ მაინინგენში ენახე აქაური (გერ-  
მანიის) გვარიანი, როგორც ამბობენ, პოეტი ფრიდრიხ ბოდენშტედტი<sup>463</sup>,  
ეს კაცი იყო ჩვენში, საქართველოში, 40-იან წლებში, ორ წელიწადს მო-  
იარა სულ იქაურობა და დასწერა წიგნი ორ ნაწილად „კავკაზი და იმის მცხოვ-  
რებნი“ კარგი წიგნი არის ძალიანა, სიმართლით და პირუთვნებლათ აქებს, რაც  
საქებია და აძაგებს, რაც საძაგებია, ძალიან ღრმით, დაჰკვირვებია კავკაზის ხალ-  
ხების ცხოვრებას და სწორეთ გამოუხატნია თავის ელეგანტური კალმით; ამი-  
სი ლექსები არის კიდევა, ჰქვიან „მირზა შაფი“<sup>464</sup>, მიბაძვა თათრული, სომხური  
და ქართული ლექსებისა, ბაიათებისა, და მუხამბაზებისა, პატარა წიგნია, გა-  
საკვირველი ენაწყლიანათ არის დაწერილი, ძალიან ზედმიტანებით მიუბაძავს,  
ამიტომაც ცხრამეტჯერ გამოცემულა (ჩემი წიგნი მეცხრამეტე გამოცემა არის)  
და თითონ (ბოდენშტედტი) მითხრა, რომ ჩემქმა გამომცემელმა მთხოვაო, ნება  
მიეცე მეოცე გამოცემისათ. იმ ლექსების საგანი არის თითქმის, როგორც ყველა  
აზიური ლექსებისა: ვარდი, სიყვარული, ღვინო, ქალები და ამგვარები. ძალიან  
აქებს ჩვენ ქალებსა (პატარა ფეხები აქთო) და ჩვენ თბილისსა, რომელსაც არ  
ვიცი რათ, „კირის ქალაქს“ ეძახის. როგორ მოგეწონა აქაური სიმღერის კილო  
მეთქი, კვითხე ბოდენშტედტსა და იმან მითხრა, რომ „ერთი თავადის სახლში ერთი  
მომღერალი ისეთი გრძნობით მღეროდა, რომ მე ვიტირეო (საკვირველი არ არის,  
რომ ნემეცმა იტიროს, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ აქამდინ დახსომებია  
თათრული სიტყვებიც და კილოც, რომლითაც იქვე, თავის სახლში იმღერა). მა-  
ინინგენში არის დრამატიკული თეატრი და ეს ბოდენშტეტი იმის ზედამხედველათ



და რიგის-მიმცემათ, როგორც ჩვეულება არის გერმანიაშიაც და ყველა დასავლეთის ევროპის ხალხებში, რომლის მაგივრათაც რუსეთში ჩინოვნიკები არიან (Отставные военные графы или князя, как повествует «Причча о графе Кннеевев»). ამანვე მიიხნია აქაურ უნივერსიტეტში წამოსვლა.<sup>3</sup> Да, главный предмет, по поводу которого я распространился о Бодештедте то, что он обещался перевести на немецкий язык нашего классического поэта Руставеля, совокупными силами. მე ვთხოვე, რომ დაასრულოს თავის შრომა კაცა-ზხედ და ჩვენ ხალხზედ. გადათარგმნოს „ვეფხვის ტუაოსანი“, რომლის ისტორიულ და ლიტერატურულ ღირსებაზედ ძალიან საჭირო იქნება მეთქი გავიგონოთ გერმანიის მსწავლელების აზრი მეთქი, იმან მოიწადინა, მაგრამ თქო, რომ რუსულიც, რაც ვიცოდი (ამანვე სთარგმნა დიდი ხანია რუსულიდგან ნემეცურზედ პუშკინი<sup>465</sup> და ლერმონტოვი<sup>466</sup>), ისიც თითქმის დამავიწყდაო და ქართული სულ არ ვიცოდა და თუ მითარგმნით ზოგს რუსულად, ზოგს ნემეცურად, თავს ვიღებ მაგ შრომასაო გაზაფხულიდგანო, როდესაც თეატრები მითავდებდა და მე თავისუფალი ვიქნებო. არ ვიცი, თუ ავადმყოფობამ, სნეულებამ არ დააბრკოლა, მე მგონი, აასრულოს, მე ჩემი მხრით მზათ ვიქნები, პროზით ესთარგმნი რამდენსამე თავსა „ვეფხისტყაოსნიდგან“ და შემრის მაისში წავალ იმასთან და არ მოუსვენებ, მინამ არ სთარგმნის, ძალიან კარგი იქნება, რომ გააცნოს ევროპა ჩვენ საგანგებო პოეტან. А если возьмется, то наверно можно сказать, что его перевод будет достоин аргинала, он настоящий немецкий Жуковский<sup>230</sup>, в переводах он не заменим, он занят в настоящее время переводом Шекспира и здешние критики единогласно отзываются об них как о наилучше-удовлетворительнейших, за что и английское «общество словестности» прислала ему большую Хартию с разными лентами и надписью министров, каторую и показывал, არ ვიცი რათა, მე არ მითხოვნია. ერთი სიტყვით, კარგ საქმეს იზამს თუ გადათარგმნა, მე მითხრეს, ფრანკუზულ ენაზედ არის, არ ვიცი ბროსესს,<sup>467</sup> თუ ვილაცას გადუთარგმნია, არ ვიცი რამტელათ არის ეს მართალი, თუ ასრეა, უნდა ვიშოვნო და შენა გთხოვ, კირილე, უთხრა მა ჩა ბელს ა<sup>468</sup>, როდესაც იქნება ორბელიანთან,<sup>469</sup> ჰკითხოს, თუ სადმე იცის, რომ ვისმეს გადაეთარგმნოს ფრანკუზულათ და თუ მეცოდინება მთარგმნელი და გამომცემი, ადვილად ვიშოვნი, რომელიც თუ კარგათ არის ნათარგმნი, რასაკვირველია, დიდ შემწეობას მისცემს თარგმნის დროს ნემეცურს ენაზედ.

გიგზავნი ცხრა ტალერს. ნუ დაიზარებ გარდასცე პოლტარაცის<sup>10</sup>, რომ შეიტანოს კასსაში<sup>306</sup>. აქამდინაც მინდოდა გამოგზავნა, დანაშაული ვარ, მარამ მინდოდა შენთან ახალი ადრესიც გამოგზავნა და ეს ფულიც ბარემ ერთათ, რუსულ ფულს ცოტათ ბევრს მისცემენ ამ ტალერებში, ისიც კასაში ჩემმაგიერათ შეიტანონ წინა თვეებრათვის. ადრესს გიგზავნი და გთხოვ წიგნები, რაც მოგივიდეს, ჩემ სახელზედ გამოგზავნო ხოლმე უმარკოთ ამ ადრესით. როგორ არის ყიფიანი?<sup>251</sup> როგორ გათავდა იმის საქმე? დარვი-

ნის<sup>470</sup> პორტრეტს გიგზავნი, გარდაეცი, მაგას უყვარს, თუ ვიზოვნე, კიდე  
გამოუგზავნი. სიყვარულით მომიკითხე მიხაილ ბეთანიშვილი<sup>79</sup>, რასა იქს.  
სად შეათარა თავი, რომელ სასწავლებელში, გაზეთისთვის (დროებისთვის<sup>56</sup>)  
შველა უნდოდა, ხომ არ უტუდგა, მომწერე, კირილე, მაგის ადრესი, უნდა  
წიგნი მოვსწერო.

შენი ალ. ცაგარელი

2

მიუნხენი 16 სექტემბ. 1869 წ. 41

ბოლო კირილე! ეს ორი წიგნი მომიწერია (ერთი ტიურინგენიდან და  
ერთი აქედან) მიხ. ბეთანიშვილთან<sup>79</sup> და არ ვიცი, აქამდის რატომ პასუხს არა  
მწერს, — უთუოთ რამ მიზეზი უნდა იყოს წიგნის მოუწერლობისა, ან არ  
მიუღია ჩემი წიგნები, ან ავად არის, ან სხვა რამ; ამიტომ უფრო ვეშურები  
ამაზედ რამის შეტყობასა, რომ მაგის უკანასკნელი წიგნი ჩემთან და ჩემი პასუ-  
ხი იმაზედ უსაგნო არ იყვნენ: ეგა მწერდა, რომ რუსთაველის სახის დაბეჭდვა  
შეიძლება ეხლო და მე ამაზედ პასუხსა ვწერდი, რომ მხატვრისაგან დახა-  
ტული სახე გამოგზავნოს აქა და მეტადრე ეხლო იქნებოდა კარგი. მანამ მე  
ში უნ ხ ე ნ შ ი ვ არ და ოქტომბრის 20 (აქაურა სტილზედ) დავრჩები აგრეთ-  
ვე მანამ აქ, მიუნხენში, ხ ე ლ ო ვ ე ნ ე ი შ ი ს ს ა მ ა გ ე ბ ი ს გამოთენა არის,  
კარგი იქნებოდა მიმელო რუსთავე. პორტრეტი, — შეუევეთამდი იმას, ენც  
ოქროს მედალს შიღებდა და, რასაკვირველია, უფრო უკეთესი იქნებოდა.  
თუ გამოვებ და მომწერ ამ სიჩუმის მიზეზსა, კარგი იქნება.

ეხლო ვაკანსია გვაქვს და მიუნხენში დავყოფ ამ დროსა, ბიბლიოთეკაში  
აქა, რომელიც ძალიან მდიდარია, ორიოდე ფილოლოგიური წიგნების წაკით-  
ხვა მინდოდა, რადგან ტიურინგენში არა გვაქვს ბიბლიოთეკაში და ამ ზამთ-  
რის სემესტრში ისევ ტიურინგენში ვიქნები და ზაფხულში არ ვიცი, რომელ  
უნივერსიტეტში წავალ, საუკეთესო უნივერსიტეტიაო. უნდა მოვძებნო.  
რადგან, მგონი, დიდი ხანი არ დავრჩე სამძღვარს გარეთ, იქნება, წლისა ან  
წლინახევრის შემდეგ თავი დაგიკრათ. „კაცია ადამიანი“ კარგათ არის გამო-  
ცემული<sup>56</sup>. მინდოდა ამის თაობაზედ ჩვენ ახალ ლიტერატურაზედ მეტო რამე  
„დროებაში“<sup>56</sup>, მაგრამ არ ვიცი, მოვიყვან ასრულებბაში ამ სურვილს თუ არა,  
კიდეც დავეწერე, მაგრამ ახლა გადასწერა და გადასწორება მიჭირს, ძალიან  
ცოტა დრო მაქვს თავისუფალი, მოკლეთ დასწერ და არაფერი გამოდის.  
გრძლათ—დიდი დრო უნდა, მერე იქნება ვინმემ კრიტიკა დასწეროს—პასუხის  
გაცემა უნდა და გაჰიანურდება საქმე. სულ თავი მიანებოს კაცმა ამ თე-  
ბოლო დაბნეულ მწერლებს, ესეც კიდეც ცუდია. მომიკითხე გიორგი წერე-  
თელი, თუ მანდ არის და ყველა ნაცნობები.

ამას წინაზედ ბიძა ჩემი, მელიტონ ცაგარელი, მოვიდა აქა და დარწმუნდა, რომ სამძღვარ გარეთ, არამ თუ გერმანიაში, ფრანციაში და ანგლიაშიაც არ არის ყმაწვილი ხალხისათვის სწავლა საშიში (опасное), როგორც ჩვენში ჰგონიათ. რაღა ჩიჩინი უნდა, პასუხს დროზედ მომწერა.

შენი ალ. ცაგარელი.

P.S. ნიკოლაძე ისევე წამოსულა აქეთ, სამძღვარს გარეთ, მაგრამ შე და ჩემმა ბიძამ ერთათ მოვიარეთ შვეიცარია, ვერსად ვერ შევხვდით იმასა (ჩემი ბიძა იცნობს ნიკოლ.).

ჩემი ადრესი: München, Her Amalienstr, № 77/2

### 3

ლიპციგი 21 ივლისს 1871ა

1873 წ.

ძმაო კირილე! „დროებაში“<sup>56</sup> წაეკითხე შენი სამღურავი, რომ მე ადრე წიგნი (თხზულება ჩემი) არ გამოგიგზავნე<sup>422</sup>, მაგრამ შენ აჩქარებულხარ, მაშინ ჯერ არავის ურიგებდი წიგნებსა, მარტო ერთ-ორს პეტერბურღში მყოფებს მივეცი და პროფესორებსა, რომელთაც უნდა გაესინჯათ ჩემი თხზულება, როგორც სამალისტრო დისსერტაცია, ამიტომ(მ) მანდ არც შენთვის, არც სხვისთვის მაშინ არ გამოგიგზავნა. მანდ ე ფ ი ა ნ ჭ ი ნ ც ს<sup>473</sup> გასასყიდლათ გამოუგზავნე და გთხოვ, გამოართო ეგზემპლიარები: შენთვის, უმიკაშვილისთვის, ლოღებაშვილისთვის, გიორგი წერეთლისთვის (არ ვიცი გიორგი სადა ცხოვრობს, თორემ მევე გაუგზავნიდი), ს. მესხისთვის და ჩემმაგიერთ დაურიგე ამ ჩემ ნაცნობებსა და მეგობრებსა. მე ამაზედ წინათვე მოვსწერ ე ნ ფ ი ა ნ ჭ ი ნ ც ს ა ამ დღეებში. ამასთანავე გთხოვ, „დროებაში“ დაბეჭდო შემდეგი სიტყვები: „თბილისს ე ნ ფ ი ა ნ ჭ ი ნ ც ს მალაზიაში ისყიდება თხზ. ალ. ცაგარელისა „ქართული ენის ღრამატიკულ ლიტერატურაზედ“ (О грамматической литературе грузинского языка, СПб., 1873 г.). რადგან იქნება კსურდეს ვისმეს ჩვენი ენის ღრამ. ლიტერატურის ცნობა და არ იცოდეს, ჩემი წიგნი სად შეიძლება იყიდოს. ჯერ წინათვე ჰკითხე ენფიანჩიანცსა, მიუღია თუ არა ჩემი წიგნები, რომლებიც პეტერბურღიდან გამოუგზავნე იენისის პირველ რიცხვებში. რაც ამ გამოცხადების ბეჭედას მოუხდეს ფული, მომწერე (რამდენჯერმე გამოაცხადებ) და გამოგიგზავნი; კარგა ბლომათ კი მაქვს თქვენი ვალი. „კრებული“<sup>240</sup> მომდის და არა გამომიგზავნია რა, მაგრამ, იმედი მაქვს, ჩქარა გავისწორდებით სულ ერთათ. მემრის გაზატხულზედ ვაპირობ მანდ მოსვლასა და კარგა ხანი დაერჩები, საქართველო-ლაზისტანს მოვივლი, ჩვენი დიალექტების გამოკვლევა მინდა, მაშინ შემთხვე-

ვაც გვექნება, ბევრი ვილაპარაკოთ ადგილობრივ. „კრებულს“<sup>210</sup> შენი ხელი ატყვია, გამოუთქმელის სიხარულით ვხედავ, რომ ჩვენი ხალხის ლექსობა იკრიბება და იბეჭდება, იმაში ჩვენი ნამდვილი ქართული პოეზია ც და ენაც და შეიქნება ახალი მიმართულებისა (ნაციონალურისა) პერიოდისა საფუძველი ჩვენ ლიტერატურაში. მოუთმენლად მოველი უმიკაშვილის შეკრებულების გამოცემასა; დიდ და იშვიათ ვალსა სდებს ჩვენ მწიგნობრობასა ეგ კაცი თავის შრომებითა, რომლებიც აქამდინ აკლდენ ჩვენ ლიტერატურასა და ენასა, მოიკითხე ჩვენ მაგივრად და სთხოვე, რაც კი გამოუცია მაგას ქართული ლიტერატურის შესახებ, გაირჩეს, გამოგზავნოს, რითაც დიდათ დამავალებს, მეტადრე ვთხოვ თავის გამოცემულ „სიბრძნე სიცრუის წიგნსა“,<sup>171</sup> რომელიც ჩემთვის ეხლა ძალიან საჭიროა. თუ შეიძლება მომწეროს ისიც, რომელი და როგორი ხელწერილი ვარიანტებით შეავსო ადრინდელი დაბეჭდილი ს. პეტ.-ში?<sup>175</sup> (ასწეროს მოკლეთ ხელნაწერები, რომლებიც ჰქონდა ხელში, და ალაგები, რომლებიც შეავსო)—ამით დიდათ დამავალებს მეცა და ჩვენ ლიტერატურასაც, მინდა, ევროპა გავაცნო ამ დიდათ შესანიშნავ წიგნთან. თუ მომავალ სექტემბერში პეტერბურღში გამოგიგზავნის ამ ცნობებსა, სწორეთ კარგ დროს მომესწრება.

მადლობთ, ნახვამდის. შენი ძმა ალექსანდრე ცაგარელი. P. S. მომიკითხე ჩვენი საზოგადო ნაცნობები. PPS ჩემი ადრესი 25 აგვისტომდინ, ე. ი. მანამ პეტერ.-ში წავალ: Leipzig. Herrn Alex Zagareli Salomonstr № 6, III. დ. სარაქვემა მოგიკითხა, რომელიც ამ წინაზედ მოვიდა აქ ლეიპციგში და მნახა.

ნიკოლოზ ცხვედაძისა

22 იენის 1874/76

კირილე!

უ. გოგებაშვილის თხზულება წავიკითხეთ<sup>359</sup> და აი, გიგზავნით. ეხლა თქვენზე ჰკიდია საქმე. ჩვენი აზრით, თხზულება სენტემბრამდინ მზათ უნდა იყვეს. ეს ამისათვის, რომ შკოლები საკითხავ წიგნში ძრიელ საქიროებენ და სწავლის საქმეში ორ თვესაც დიდი მნიშვნელობა აქვს. რამდენიც ადრე მოხერხდება წიგნის დაბეჭდვა, იმდენი კარქია, იმდენ მოსწავლე პატარა ყმაწვილებს თავის დროზე დავეხმარებით გონების გახსნაში.

წამოსვლის დროს უ. თულაშვილს<sup>177</sup> უთხარით, რომ თქვენ და იმან იკისროთ ჭაღალდის ყიდვა. ის თანახმა გახდა და, აი, ეხლა შეუდევით მაგ საქმეს. რაც ფულები დაგკირდებათ წიგნის დაბეჭდვის საქმეზე — უ. თულაშვილი მოგცემთ. გარდა ამისა, თქვენ უნდა მისწეროთ უ. ნიკოლაძეს, რომ სურათები უთულოთ გამოგზავნოს. თქვენ კარგათ იცით, რომ იმგვარი საკითხავი

წიგნი, როგორც უ. გოგებაშვილისაა, სრულებით არ გამოდგება, თუ სურათებით არ არის შემკობილი. ამის ნიშნით, თუ ვინცობაა, უ. ნიკოლაძემ ამათ ვერ მოახერხა სურათების გამოგზავნა, მისწერეთ, რომ მსწრაფლათ თელავგრაფით შეგეატყობინოს ეგ საქმე, რომ სურათების შოვნას შეუდგეთ სხვა გზით მაინც.

რაც შეეხება წიგნის ფორმატს, ქალაღს, კორექტურას და გამოცემის სიფაქიზეს — ყველა ეს თქვენთვის მოგვინდია და იმედი გვაქვს, რომ თქვენი გამოცდილება საქმეს ისე წაიყვანს, როგორც სასურველია.

ნ. ცხეღაძე<sup>478</sup>

## გიორგი წარეთლისა

1

[1865], 9 ავღსი<sup>479</sup>

ჰმო კირიღე!

მეღნია, ეს წელიწადი გაღის, რაც შენგან წიგნი არ მიმიღია... ან კი რათ იკადრებს ნათღის სხივში მტურავი კუღმოღლეკიღ და გახრეკიღ ცხენწედ მხედართან ფსალმუნებას. მაგრამ შენი კაშკაში პატიოსნებაც კი ექვში მაღდება. ამას წინეთ ფულა გეტხოვა და აფხაზისათვის<sup>223</sup>, შამოგეთღლა ამ ფულში შულღინის ისტორიას<sup>270</sup> ქართულ ენაზედ ნათარგმნს გამოგოგზავნიო. თუმცა აფხაზი ეთერის. ფრთებით პაერში მფრინავი არ გახადა და კარგათ იცოღა, რომ ეს გამოცემა ერთ ექვსას მანეთს კიღვე მოინღომებღა და ხეირს არას აჩვენებღა. მაგრამ იმან მაინც თავის სიგულკეთიღღე მაინც იხმარა და ფული გამოგოგზავნა; აბა, მაგიერად რა უყავ შულღინის ისტორია?

შენ იტყვი, მაგიერად „ჩონგური“<sup>66</sup> გამოვეციო კარგი დაგემართოს, მაგრამ იმ ფულსაც რომ შენ კვრებ?!... ესეც ხომ არის, თუმც ეს ლექსები ძღიერ სასარგებლო რამე მოგსღღია, მაგრამ ასეთი ფასი დაგიღღია, რომ ლორწვიც რომ მოღიღღესთ სურველით, ბევრი მაინც ვერ ყიღულღობს და რჩება მაგაზინაში და ტიპოგრაფიებში საღპობად. შენ ამბობ, გამოცემაში სამას მანეთამღღისა დამკირღაღო და დაგიბეკღღია ათას წიგნამღღის, ორი აბაზი ფასი რომ დაგეღღვა, 400 მანეთს მაინც აიღებღი. ერთი, რომ სარგებღღობა აშკარად დაინახებღღოღა, რადგანაც ჩამოსღღლის უმაღ მოუციღღებღღად ყვეღღას დაიტაცებღღენ და შენც ასი მანეთი გერგებღღოღა და, მეტი რა გინღღოღა... საკულღღატიური ბუნება თუ კაცს გაქვს, განუწახღღერღღელ პატიოსნების ფარღღა მაინც ჩამოიწახღღედ პირზედ. ესეც არის: ნიკოსთვის<sup>9</sup> რომ მოგეწერა ორასი მანეთი ახღღათ ახღღავე გამოგოგზავნეთ: შენ, ძღღიერ კარგათ გეციღღინება, (მაგრამ ესეც არა მჯერა შენის აღღაცებისაგან რომ აქ, თუ საწინღღარო არ მიეც პირვეღღად.

გროშს არავინ განდობს). მაშასადამე, შენი სიტყვები ამას ნიშნავდა: შენ ორასი მანეთი გამომიგზავნე კი და, გაყიდი თუ არ გაყიდი, ჯანდაბამდის გზა გქონია!... — ააა! ეს არ ნიშნავს პატიოსნებას ... ახლა სწორედ ქვეშაირიტად ორ დღეში ერთხელ მაინც დავივლი ბერენშტამის<sup>64</sup> და ტერ მიქელიანცის<sup>65</sup> მხაგაზიას, მაგრამ დიდი ფასის გამო ხელს არავინ კიდებს, თუმცა წიგნი მეტად გამოსადეგია. მაგრამ...

შენ რომ მომწერე: თუ ადგილს რამეს მიშოვნი, მხოვლო, და, როდესაც ადგილი გამოჩნდა, უარი გ[ანაცხადე]\*, დიპლომს სახამ არ ვიშოვნი, მანამ არ გეახლებიო, ეს კიდევ რაღა არის!... ააა!.. ეს არ არის კარგი... იქნება, ამ წიგნმა ცოტა გაგამჯავროს, მაგრამ მაინც იმედი მაქვს, არ დამენდურები. მართლა! შენ რომ წიგნები მაქ დავიტოვე ჩემი და აგრეთვე ნიკოლაძეს. იმე-დია, ყველა შენ გექნება და რადგანაც ვსასოებ მალე ჩამოხვიდე. იმედი მაქვს, სრულიად ჩამომიტანა. ბეჟანი<sup>77</sup> თუ მად არის, ჩემ მაგიერ პირს აკოცე, ვაითუ, საწყალი შიმშილით პირს ღაფავს, ანუგეშე, თუ უროკებზედ ფული მომემა-ტა<sup>†</sup> ხუთ-ხუთ მანეთს გაგიჩენ თვეში-თქო. ცალკე წიგნის მოწერა მინდოდა; მაგრამ ახლა ვერ მოვასწრე და სხვიმის იყოს. მაგისტანა უბედური კაცი არ მინახავს, რაზედაც წამოვიდა იმერეთში, ამას უცადა, უცადა და რომ ველარ გააწყო-რა, მერმე გამოსწია მანდვე. სხვა ამბავი რაღა შემოგითვალო...\*\* აღრეულობა მოხბთა საშინელი ტფილისში. გოლოვას მთავრობის ამორჩეულს. სახლი დაუნგრის და გაუცამტეერეს, მისი პომოშნიკი<sup>††</sup> ჩამოახრჩვეს და...\*\*\*

[ბოლო გვერდის მარცხენა კიდზე]: მთელი საქართველო დაინძრა და საქმე, როგორც გამოჩნდა, ამითი არ გათავდება.

შენი გიორგი წერეთელი

## 2

[1867], 6 ოქტომბერს<sup>180</sup>.

საყვარელო ძმაო კირილე!

შენი მეტად გავრცელებული წიგნი მივიღე<sup>181</sup> და შიგ ამოვიკითხე: Пунк-туальность, подробность, мелкость работы. სხვათა შორის, ესეც უნდა გითხრა, რომ ჩემთვის ამ შენს წიგნში პირველი გაგონება იყო კასსის ვალი, რომელიც მე დამდებია და მე აქამომდე არა მცოდნია, თორემ ვისესხებდი და ისე გამოვგზავ-ნიდი. მე კარგად ვიცოდი, რომ კასსის ვალი მემართა, მაგრამ გადახდილი მეგო-ნა, აი, რა ანგარიშით: როცა პეტერბურგიდგან სახლში ჩამოვედი, მამაჩემმა მითხ-

\* ეს სიტყვა დაზიანებულია.

\*\* ერთი სიტყვა დაზიანებულია.

\*\*\* ერთი წინადადება გამოტოვებული გვაქვს უცენზურო სიტყვის გამო.

რა, რომ ორმოცი მანეთი გამოგიგზავნო და იქ მოგივიდოდაო. მე ვიფიქრე, ამ ფულს კირილე აიღებდა მეთქი და კასის ვალს ვაღამიხდიდა მეთქი. ამ აზრზე მითუფრო დაჭერებული ვიყავი, რომ შენგან არაფერი ცნობა სამის წლის განმავლობაში ახლა მეტათ არა მიმიღია რა ამ საგანზე. ახლა რადგან შენის წიგნიდგან შევიტყვე ჩემი მოვალეობა კასისადმი, იმედი მაქვს, რომ როგორმე მალე გამოგზავნო. ხამაშურიძესთან<sup>77</sup> სწორეთ პირშავათ დავრჩი და ჩემს პირშავობას მთელს პატიოსან ამხანაგობასთან გამოვაცხადებ, თუ გარემოებებით არ შემიბრალებს. მე ავათ გავხდი და ეს ერთი წელიწადია თავისუფლათ არ ამომისუნთქავს, იმის გამო უროკებიც ველარ მივეცი, ცხოვრების საშუალებაც შემიმცირდა და ვალიც დამედვა; ამის გამო მე თვითონ ვერ შევიძელი და სხვებთან რომ მივედი სათხოვრათ, ცერი მიჩვენეს: ჯერ შენ გამოილე და მერე ჩვენ მოგვთხოვეო. ამის გამო ეს ჩემი განზრახვა მტვერსავით გაქრა ჰაერში. ამაზე დიდი ხანია ხამაშურიძეს ვაცნობე, თუ ჩემი წიგნი მოუვიდა. ახლა შენის აზრის თანახმათ დაპირებასაც ველარ ვებედავ. თუმც გული კი მითქვამს, რომ როგორც შევიძლებ, მაშინვე რითიმე შევეწიო. ჩემს ამბავს თუ იკითხავ, მინდა რელაქტრობა<sup>482</sup> უმიკაშვილს გადავცე და მე იმერეთში წავიდე და ახლა შემოღებულს სამსაჯულოში ადგილი ვიშოვნო. რაც მომწერე, ნიკოს<sup>483</sup> ვაცნობე.

შენი გ. წერეთელი

## ს ი ლ ო ვ ა ნ ხ უ ნ დ ა ძ ი ს ა

### I

#### მოწყალეო ხელმწიფე!<sup>484</sup>

უკაცრავად ვარ, რომ თქვენი  
შემის სახელი არ ვიცო.

გულით და სულით მოხარული ვართ, ყველა აქ მყოფნი ქართველები, რომ ჩვენს ქუთაისს ელარსა გაზეთის<sup>336</sup> გამოცემა და ნამეტნავათ მისთვის ეხარობთ, რომ ეგ არის ქართული გაზეთი.

ეტყობა, საქართველოს ებადებიან მოღვაწე შვილები — მშრომელები, ეტყობა, რომ საქართველო თუმც ნელათ და გვიან ადგამს ფეხს, მაგრამ წინ ბაინც მიდის... ღმერთო, შენ მოგვიმართე ხელი!

თვით თქვენ გამოგიცდიათ, თუ როგორი საინტერესოა ყოველისფერი ქართული ქართველ სტუდენტისათვის ასე შორს ქვეყანაში; მოგეხსენებათ აგრეთვე ქართველ სტუდენტების საზოგადო სიღარიბე. ამისათვის იმედი გვაქვს, თითო ნომერს გამოგზავნით უნივერსიტეტში „სტუდენტების საკითხავში“ შემდეგ ადრესით:

В Петербург,

В Университет. В «студенческую читальню»

ამასთანავე გიგზავნით სამ ლექსს<sup>485</sup> და გთხოვთ გაასწოროთ, თუ ამოჩთვის დაბეჭდვის ღირსნი, და მისცეთ ადგილი თქვენის გაზეთის მახლობელ ნომრებში ცალ-ცალკე.

თქვენი უუძღაბლესი მოჩილი:

მონა-სტუდენტი უნივერსიტეტისა  
სილოვან ხუნდაძე.

პეტერბურლი, 16 აპრილს 1881 წ.

დიდათ პატივცემულო კირილე!<sup>486</sup>

ამასთანავე გიგზავნით თხოვნას და გთხოვთ, მიშვამდგომლო, რათა შეიწყნარონ ეს ჩემი თხოვნა, ვიზედაც ეს დამოკიდებულია, ე. ი. კომიტეტის წევრებმა თავდაპირველად და მერმე, რასაკვირველია, კიდევ სხვებზეა დამოკიდებული და იმისთვის კი ნება არა მაქვს შეგაწუხოთ. დადგა თუ არა ახალი წელი, ჩემმა ვალებმა მომეტებულად მომწყვიტა წელი.

ბალიან დამაგალებ, თუ კომიტეტის გადაწყვეტილებას როგორმე არ დააგვიანებ. ყოველ წელიწადს გაწუხებთ, მაგრამ რა უნდა გავაწყო, რომ სიღარიბემ და უსამეალობამ კლანჭები მაგრათ ჩამკიდეს!..

შენი პატივსმცემელი  
ს. თ. ხუნდაძე.

ქუთაისი. 18  $\frac{17}{1}$  95.

[მინაწერი ქვევით, მარცხენა მხარეზე]:

ეს ორასი მანეთი შეადგენს ჩემს თვენახევრის ჯამაგირს 20 მანეთის მიმატებით [თვეში 120 მ. მაქვს ჯამაგირი].

ს. ხუნდაძე.

3

მოწყალეო ხელმწიფე!<sup>487</sup>

ბ. კირილე ბეჟანის ძევი 18  $\frac{21}{X}$  95

უმორჩილესად გთხოვთ, მოზრძანდეთ 22 ოქტომბერს, კვირას, დილის 12 საათზე, ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის დარბაზში, კნ. სოფიო ნი-



კოლოზ ლორთქიფანიძის ასულის სახლში, რათა დაესწროთ საიუბილეო ლიტერატურულ დილას, რომელიც იმართება ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის მოწაფეთაგან, რაფიელ ერისთავის პატივსაცემად.

ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის  
გამგებლის მაგიერი ს. თ. ხუნდაძე.

ა ლ ე ზ ს ა ნ დ რ ე ჯ ა ბ ა დ ა რ ი ს ა

25/IX-92 წ.

დიდად პატივცემულო ბატონო კირილე!<sup>488</sup>

წარსულს 1891 წ. გაზაფხულზე თუ ზაფხულში, კარგად არ მახსოვს, ბ. მთავრიშვილი<sup>489</sup> ბრძანებულყო აქ და ბ. ალექსი მირიანაშვილს<sup>490</sup> მოლაპარაკებოდა ქუთაისში წიგნების გამოცემელ ამხანაგობის დაარსებაზე, ანუ თბილისის ამხანაგობის განყოფილების გახსნაზე. ბ. მირიანაშვილმა მე გადმომცა ეს ამბავი და მკითხა: მოხერხდება თუ არა განყოფილების დაარსებაო, ჩემი პასუხი გახლდათ შემდეგი: ამხანაგობის განყოფილების გახსნა ქუთაისში ყოველად შეუძლებელია და არცა ყოფილა ამისთანა მაგალითი: შეიძლება მხოლოდ წიგნებით ვაჭრობის განყოფილება იქმნას; შეიძლება აგრეთვე ქუთათურები აქაურ ამხანაგობაში ჩაეწერნენ და ის ფული, რომელიც იქილამ იქმნება გამოგზავნილი, ცალკე ფონდსავე იყოს ქუთაისშივე შედგენილი სარედაქციო კომისიის მიერ ამორჩეულ თხზულებათა დასაბეჭდად, მხოლოდ შემოსავალ-გასაყლის ანგარიში, მართავს საქმისა და სხვა თბილისში უნდა იქმნას ისევე, როგორც ჩვენი საქმისა. ქუთათური სარედაქციო კომისია იმავე მდგომარეობაში იქმნება, როგორც აქაური.

შემდეგ ამისა, კიდევ ერთხელ მკითხეს ამავე საგნის შესახებ და მე ისევ ზემოთ მოყვანილი პასუხი მივეცი. გავიდა კარგა ხანი, ოკტომბერში გაზეთებში წავიკითხე, რომ ქუთაისში ამხანაგობა უკვე შესდგა სწორე მოგახსენოთ, ეს ფრიად სამწუხარო ამბავი იყო (ეს ჩემი შეხედულებაა)! სამწუხარო იყო პირადად ამხანაგობისათვის კი არა, არამედ თვით ამ საქმისათვის, რომელსაც ვემსახურებით თქვენც და ჩვენი. ჩვენი შეხედულება საქმის სიკეთეზე, რასაკვირველია, ერთია, მხოლოდ თქვენ ერთი გზით უვლით და ჩვენ მეორე

გზით. თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რა რთული საქმეა ქართული წიგნების გამოცემის საქმე. დიდი ხელის შეწყობა უნდა, რომ „წვრილში არ გაწყდეს“.

საქველმოქმედო საძირკვლეს ჩადგმა და ამაზედ აშენება ამ რთული შენობისა არ ევარგება. საქმე მალე, ძალიან მალე დაიშლება. თუ ამაში თქვენც დამეთანხმებით, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, რას უნდა მოველოდეთ მოსავალში, თუ ამ ორმა ამხანაგობამ ცალ-ცალკე იმუშავეს. მაშინ, როდესაც საქმე ჭერ არა გქონდათ განიავებული, ანტონ ლორთქიფანიძეს შემდეგის წერლით ვთხოვე, როგორმე შემო[ე]ერთებინა მანდაური ძალა: „...წიგნების გაშროტება ინიშთანა ქვეყანაში, თუ ადგილს, იმ ხალხში, სადაც სამშობლო ლიტერატურა ფრიად ღარიბია,— ძალიან რთული საქმეა და ამას დიდი ხელის შეწყობა უნდა, ერთი უფლარბესთაგანი ლიტერატურა ჩვენა გვაქვს და სწორეთ ჩვენა გვმართებს მეტი მსხეობა, მეტი უნარი აღსადგენად ქართული მწერლობისა, დასაცველად სამშობლო ენისა. ენა ფრთაა ერისა; თუ მოექვეცა, ფრთამოქვეცილს ბავშვიც დაიმორჩილებს. გამიგია: მამამ მოჰხოვა წვილებს ისრებით და სხვ. ამ საქმეს შეერთებული ძალა თუ უშველის, შეერთებულის ძალით თუ გვეკავავთ ეკალს და გზას გავიყვანთ, თორემ დაქაქავა, ცალ-ცალკე ბუშობა, ძალიან მსხეც რომ ვიყოთ, მაინც არ გამოდგება, ხელის შეწმლელი იქმნება. ათასი ანისთანა გარემოება შეგვხვდება, რომ ერთმანეთას აუცილებლად ვავენებთ და ამასობაში საქმე შეფერხდება, გაფუჭდება. ჩვენში ჭერ თავმოყვარეობაა მეფე. ეს კი მაცოთური ეშმაკია.

ეს საქმე საერთო საქმეთ მიგვაჩნია და არ გვეგონა, თუ უმრავლესობა ჭუთათურები ხელს არ მოგვცემდენ და არ აღმოგვიჩენდენ შემწეობას, დახმარებას. ჩვენ დარწმუნებულნი ვიყავით, რომ თუ შრომა უნდათ, შეიძლება ჩვენთან ერთად ეშრომათ და საერთო საქმეს ერთად გავძლოლოდით. ფრიად სამწუხარო იქმნება, თუ ზოგიერთის თავმოყვარეობა გახდება მიზეზი საზოგადო საქმის დაღმართზე დაყენებისა.

ჩემი ვალია გაზოგოთ თქვენ, როგორც წევრს აქაური ამხანაგობისა და მანდაური საზოგადოებისა, მიიღოთ შრომა და შემოგვიერთოთ მანდაური ძალა გონებრივი და ნივთიერი, რომ ძმურად და ერთად გავწიოთ უღელს და არ დავემსგავსოთ გზადამნეულ ცხვარს... ბ. ანტონმა მოიწერა პასუხად: „...მე სრული თანახმა ვარ თქვენი აზრისა, რომ მავნაირი გაყოფილი ზრუნვა ერთს საზოგადო საქმეზედ, თუ გააფუჭებს, თორემ არაფერს შეძენს საქმეს...“ მაგრამ მოლაპარაკება დაგვიანდა და ვერც მე მოვიცალე, თუმც სურვილი მქონდა, მანდ ამოვსულიყავი და მომელაპარაკნა.

იქნება მე ვცდები, ამას შედეგი გამოაჩენს, მაგრამ მაინც იმ აზრზე ვდგევარ, რომ ჩვენ ძალაუნებურად ერთმანეთის ხელის შემშლელნი ვიქნებით, თუნდა ყოველ წამს წინააღმდეგ ვფიქრობდეთ. ვაჭრობის საქმე ასეა.

უქველია, დარწმუნებული ბრბანდებოდეთ, რომ არც ერთს ამათგანს, რო-  
მელთაც დაიწყეს ეს საქმე...\* სიხარბე არა აქვთ, თუ ვაჭრულ ხასიათს ვაძ-  
ლევთ ამ საქმეს, ვიგორებ, მხოლოდ საქმის სიკეთისათვის, საქმის მკვიდრად  
დაყენებისათვის. თუ ვწუბრბთ მანდ ცალკე ამხანაგობის დაარსებას — ეს  
საქმისადმი გულმტკივნეულობაა და არა შური. ჩვენი საქმისათვის ვაჭრუ-  
ლი ხასიათი რომ არ მიგვეცა, არასდროს ეს საქმე ფეხს ვერ მოიკიდებდა და  
ვერბაურბთ ვერ მოიზიდებდა ამოდენა თანხას. მომავალშიაც იმედი გვაქვს  
უფრო მეტი თანხის მოპოებისა.

ტყუილად ჰგონიბთ მანდაურბებს, რომ მოთხოვნილება წიგნებისა იმდე-  
ნად დიდია, რომ სასურველია უფრო მეტი ამხანაგობის დაარსება. აჰ აზრს,  
ბატონო, ყალბი სარჩული უდევს. ოცდახუთი თვის გამოცდილებამ სულ  
სხვა დაგვიმტკიცა. მოთხოვნილება ჩვენ უნდა დაგბადობთ. ამას შეერთებული  
ბალა უნდა და არა დაყოფა, მანდ უთქვამთ: შრომა გვინდა, აქაურ ინტე-  
ლიგენციას თავის მოყრა უნდა; სულს ჩამდგმელი საქმე უნდაო. არამც თუ  
მანდ, ყველა ქალაქში, სოფელში და დაბაში, სადაც კი ორი-სამი ქართვე-  
ლია, უქველად საჭიროა „სულის ჩამდგმელი“ საქმის დაწყება. მაგრამ განა  
ყველგან ამხანაგობა უნდა დააარსონ წიგნების დასაბეჭდათ. ვითომ რა უშ-  
ლიდა ქუთათურბებს, ეშრომნათ ლიტერატურის გამდიდრებისათვის არა ბეჭ-  
დებთ, არამედ წერბთ, თარგმანებბთ?! რა უშლიდა ეზრუნა წიგნების გავრ-  
ცელება, ბაზრების დაარსება, როგორც მოქმედებენ ჩვენი აგენტბბი?! რა უშ-  
ლიდა ამასთან ერთად სხვა ასპარეზზედაც ეშრომბთ? განა, ქართველს ცო-  
ცა საქმე აქვს თავის საწმობლბს კეთილდღეობისათვის, წარმატებისათვის?!  
არა, ბატონო, გულწრფელად მოგახსენებთ, ეს ჩვენი უხასიათობისა, ცრუ  
თავნოყვარობის ბრალია. ჩვენ შორსმჭვრეტელობა გვაქლია ჭერ. მოვა დრო,  
როდესაც, რასაკვირველია, ყველა ეს შეიცვლება, ჩვენი შეცდომბბი აკვიზე-  
ლენ თვალბს და დაგვაყენებენ უტყუარ გზაზედ. ჩვენ მხოლოდ უნდა ვი-  
სურვობთ, ეს სანატრელი დრო მალე მოვიდეს, მკურნალმა აუადმყოფს მოუს-  
წროს.

ბ. გ. ქართველიშვილმა<sup>491</sup> შეასრულა თქვენი თხოვნა. გადმოგვცა თქვე-  
ნი აზრი. ჩვენ არ ვიქმნებბთ მანდაური ამხანაგობის საქმეების ხელისშენშ-  
ლელნი იმ დრომდე, ვიდრე არ დავინახებთ, რომ მანდაური საქმე საზოგადო  
საქმეს, ამ ორბა ამხანაგობის მიერ დაწყებულ საქმეს, ძირს უთხრის. ეს გახ-  
ლავთ ჩემი პასუხი ყველა იმ ხმების, რაც გავრცელებულია ამ საქმის შესახებ.

თქვენი პატივისმცემელი

აღ. ჭაბადარი

\* ერთი სიტყვა ვერ ამოვიკითხეთ.

დიდათ პატივცემულო ბატონო კირილე!<sup>492</sup>

პეტერბურლის ქართველი სტუდენტობა გიძღვნის საპატიო ბილეთს საღამოზედ, რომელიც არის დანიშნული 20 დეკემბერს 1895 წ. ღარიბ ქართველ სტუდენტთა სასარგებლოთ.

Каранская ул. д. 15. кв. 7.

მინდობილობით

სტუდენტი ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი

ბე ს ა რ ი ო ნ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს ა

1

კირილ ბეჟანიჩ!<sup>493</sup>

ქუთაისშიდ გავიგე შარშან, რომ ჩემს სახელზედ გამოგზავნილი მანდ ოცი მანეთი მიგეღოთ პოჩტიდგან, ამისათვის ის ფულები, რომელიც მე უნდა გამოგზავნოს, ველარ გამოგიგზავნე, იმ ფიქრის ძალით, რომ თითონ თქვენვე არჩევდით მაგ ვალების გადახდას სხვა ვალების უწინ, რომლების გადახდა მაგნაირათ სასწრაფოთ არ მაჩნდა. ამ მიზეზის ძალით ბოდიშსაც აღარ ვითხოვ, რომ ამდენი ხანი ვერა მოგწერე რა მაგ ფულების თაობაზედ. მაგ ოც მანეთს გარდა ჩემზედ იყო დარჩენილი კიდევ 1 მან. და ამ ერთ მანეთს ეხლა ვგზავნი დიდის ბოდიშის მოთხოვნით. მაგრამ ყოველ შემთხვევაშიდ ძრიელ კარგს იზამთ, თუ დაწვრილებით შემატყობინებთ მაგ ჩემი ვალების ანბავს ამ მოკლე ხანშიდ. ამასთან გიგზავნი კიდევ ორს სხვა მანეთს და თუ ღრომ ნება მოგცესთ, ამნაირათ მომამარტეთ ეს ფული: მესამე ВЫПУСКИ, მენდელეევის<sup>39</sup> ხიმის გამოსულა და აქ ცალკეთ არა ყიდიან და რადგანაც პირველი ნაწილი მანდვე ვიყიდე, აქ აღარ მომიხერხნდა ამ ვიპუსკის ყიდვა. ამიტომ ვთხოვ, ეს მიყიდოთ და გამოგიგზავნოთ, ამასთან კიდევ მანდიდგან როცა წამოვედი, მე დავსტოვე ბეტანოვთან<sup>79</sup> კაცის თავის ძვლები (кости черепа) და თუ მოახერხოთ, ისიც იქნება გამოგიგზავნოთ; ამისთანა საქმისათვის არ შეგაწუხებდით, მაგრამ ჩემ ნაცნობთაგანი აღარავინ მეგულუბა მანდ და ისთე უბრალოებს ვერავის მოვსწერ, ბეთანოვი არ ვიცი მოვიდა მანდ თუ არა, თორემ იმას მოვსწერდი; მაინც იმედი მაქვს, რომ შესაწუხებლად არც თქვენთვის დარჩეს ეს მინდობილობა.

მე ამ ეკენისთვის პირველ რიცხვებშიდ მოვედი ადესაშიდ და ეხლამდის ვერა გავარიგერა, ფცდილობ უნივერსიტეტშიდ შესვლას, მაგრამ ერთობ ძრიელი გამომცდელია და არ ვიცი, როგორ იქნება; ხან ერთ მოწმობასა მთხოვენ და ხან მეორეს. არც ეს მოწმობებები გამოილიენ და უიმაართ არც ჩემი მიღება მოხერხდა. შარშან ამ დროს ორბელიანს კი ორი დღის განმავლობაშიდ გაეთავებია საქმე და მე კი ამდენი ხანი მათრევენ იქით-აქეთ; როგორც ეტყობა საქმეს, მგონია, წელს თავისუფალ მსმენელათ მომიხდეს დარჩენა, შენდგომ კი არ ვიცი, როგორ იქნება.

ამ წიგნის პასუხს მალე მოველი, თუ ძრიელ არ შეგაწუხებს მეოთხედი ფურცლის გაჭრელება. თუ გამოგზავნოთ წიგნი, აქ მოიწერეთ, ან პეტრე მელიქოვის<sup>494</sup> სახელზედ, ან ანტონ ლორთქიფანიძის სახელზედ.

1870 წ.

ოქტომბრის 13 დღესა  
ოდესსა

ბ. ჯათარიძე.

2

კირილე!

18  $\frac{XII}{18}$  70 წ.<sup>495</sup>

მე მივიღე შენი წიგნი ათს დეკემბერს, ამ წიგნიდან გავიგე, რომ შანდიდგან წამომყოლია მე ვალი შვიდი თუმანი და სამი მანეთი, ჩემ ვალების ანაწერშიდ, რომელიც თქვენთან შევარდგინე წამოსვლის დროს. იქ მეტი გაშოდის და მოვალეებათაც სხვანი მიწერიან, მაგალ: 31 მან. იოსებ სულხანოვისაგან<sup>496</sup>, 20 მან. დავით ერისთავისაგან<sup>253</sup>, 22 მან. (10 მან. ერთი და 12მ. პალტ.) შენგან, 20 მან. კარსაკოვისაგან<sup>5</sup> (ეს ფული პოლტარაკის<sup>10</sup> ხელით მომივიღა); აქ, როგორცა ხედავ, მე მიწერია მათ სახელები, ვისგანაც რა მივიღე. მაშასადამე, რომელი წრის სერმის რომელი ვალი ეკუთვნოდა, ის მე არ ვიცოდი; ახლა შენი წიგნიდან გავიგე, რომ ჩემი ვალების გადატან-გადმოტანის შემდეგ მოვალეებათ დაშრჩენია: 52 მანათშიდ რუსული წრე (კარსაკოვი რომ კასირად იყო, ის წრე ზომ არა?). ოცდაერთ მანათშიდ გაღმა ყმაწვილები ის წრე (ეს რომელი წრე არის, არ ვიცი; ჩემსობას რომ იოსებ სულხანოვი იყო კასირათ, ის წრე, თუ დავით ერისთავი რომ იყო ის?). ამ ვალებზედ დაწერილებით მომწერე, თუ შეიძლებოდეს, როგორ არის ჩემი საქმე. ეგ ოცდაერთი მანეთი, რომლიდგან ხუთი მანეთი მრჩება კიდევ გადასახდელათ, რომელ კასას ეკუთვნის? იწერები კი: გაღმა ყმაწვილების წრი-

საო, მაგრამ მე არ ვიცი, რა წრე არის ეს წრე. ეს მით უმფრო მინდა გავიგო, რომ წელს თბილისშიდ ეგნატე იოსელიანი<sup>245</sup> 21 მანეთსა მთხოვდა, რომელიც მე მემართა საზოგადოთ კავკასიელების კასიდგან, მისის სიტყვით, თუ ეს ასე არის, მაშ, ეს ხუთი მანეთი მე უნდა გამოვეზაუნო იმ კასაშიდ, რომელიც გააკეთეს ერისთავებმა, სულხანოვებმა და სხვამ, რახანც სხვა წრე ჩემსობას არ ყოფილა და არც მისესხებია რამე სხვა წრისაგან; ამისათვის, თუ გიყვარდე, კირილე, მალე შემატყობინე, ვისი რა მმართვებს და ვისი არა. ამის შეტყობამდის მე იმ დანარჩენს ხუთს მანეთს ვერ გამოვეზაუნე; თუმცა ახლა არა მაქ, მაგრამ, რომა მქონდეს მაინც ამბის შეტყობამდის ვერ გამოვეზაუნედი; რახანაც ამ ცოტა ხანშიდ ფული უსათუოთ მექნება, ამისათვის შენგანაც მალე მოველი პასუხს, რომ ერთ მოვალეს მაინც მოვრჩე. სხვებ ჩემი ამბავისას კიდევ ვერასა გწერ, რახანც გადაწყვეტილათ მე არა ვიცი რა მის ნეტე, რომ პირდაპირი უარის თქმის გამო, აქ უნივერსიტეტშიდ სტუდენტად შესვლა აღარ შემიძლია და სხვებ დაერჩები აქ, სხვა რამ საშვალების გამოსაჩხრეკათ, გავსწეე აღმოსავლეთისაკენ თუ დასავლეთისაკენ, გადაწყდება იმ ამბით, რომელსაც მოველი ყოველ დღეს საქართველოდგან. რასაკვირველია, ამ ამბის მომტანი წიგნის მიღებას შემდეგ სულ მალე შეგატყობინებ, როგორ გზას დავადგები და ამ დროიდგანვე დაიწყება, ჩემის მხრით, ჰაზრების გაცვლა-გამომცვლელი მიმართულებიანი წიგნების წერა და დარწმუნებული იყავი, რომ მხოლოდ ჩემი დაბნეული მდგომარეობის ბრალი არის, რომ წინა წიგნებშიდ და ამ წიგნებშიდაც ამნაირს არასა გწერ, თუმცა და ამ ერთ წელიწადნახევარშიდ ზოგიერთი მისთანა შემთხვევები მქონდა, რომ საქები არ არის ჩემთვის, მაგრამ მათზედ რიგიანის ჰაზრის გაგონება ჩემთვის უმფრო საჭირო არის, ვინემდის მათი საიდუმლოთ შენახვა...

იოსელიანს<sup>245</sup> შენახული აქ სია და მზათ არის, როცა გინდა, გამოგიგზავნის. ან. ლორთქიფანიძესაც უკლებათ აქ შენახული შენი წიგნები.

შენი ბეს. ჭათარძე.

ძმაო კირილე!

ამ ახირებულ კორესპონდენციას გიგზავნი და თუ დაინახო შესაძლებლათ, დაბეჭდე „დროებაშიდ“<sup>56</sup>. ძირიელ უნდა მემდღუროდე, რომ არასა ვგზავნი ხოლმე, თუ ზვირიანსა არა (ამის დავალება ძნელია), უხვიროს მაინც,

მაგრამ რა გაეწყობა; მეც დიდად საწყენად მიჩება ეს და დამერწმუნე, რომ ასე არ მომივდოდა, რომ ჩემივე მდგომარეობაშიდ ამის მიზეზები არ იყოს. ამ მიზეზებს ნურც სულ ჩემ პიროვნულ თვისებაშიდ მოძებნი. ამ ნახევარ სიტყვაზედ მეტს ვერც არასა გწერ ახლა; იმდენი ხანია ერთი-ერთმანეთს მოვშორდით, რომ არ ვიცი, რაზედ მოგწერო. თუ შენიდგან მომივიდა წიგნი, მაშინ უმფრო გამოჩნდება საწერი საგანი.

დავით მიქელაძე<sup>392</sup> მომიკითხე და დიდი საყვედურიც გადაეცი, რომ ერთი სიტყვის მოწერა ვერ გაუბედავს, ისე ჩაიჩუმა ენა.

შენი ძმა

ბეს. ჭაფარიძე.

4

7 ნოემბერს 1875 წ.198

ძმაო კირილე!

თბილისი

ამ მოკლე ხანშიდ ჰქონდათ აქ მოლაპარაკება ზოგიერთ ყმაწვილ კაცს ქართული წიგნების გამოცემაზედ, ძველი და ახალის. ჭერჯირობით გადაწყვიტეს ნ. ბარათაშვილის<sup>213</sup> და ანტონოვის<sup>216</sup> გამოცემა. ნ. ბარათაშვილის გამოცემა ამ მომავალ კვირაშიდ დაიწყება; ანტონოვის კი მზათ არ არის ჭერ. აქა თქვეს (ს. მესხმა), რომ ზოგიერთი მისი დრამები შენა გაქვეს მობარებული; თუ შეიძლება, შეგვატყობიე მალე, შენა გაქვეს თუ არა და თუ გაქვეს, ისიც მოგვწერე, სად ვიპოვით — უსათუოთ აქ უნდა გქონდეს დატოვებული. ჩვენ ძრიელ გეჩქარება და მეტი არ შეიძლება, ისე დაგიმადლებ, რომ მალე შემატყობიებდე ამ ბარათის პასუხს.

თუ შენ ჩამოხვედი, ხომ კარგი, და თუ არა, ამ ერთ თვეს შეიგნი მე მოძიხდება ჩამოსვლა ქუთაისშიდ და უსათუოდ შენცა გნახამ, მაშინ გეტყვი ყველაფერს ამ გამოცემის შესახებაც და თითონ გამომცემლების შესახებაც ბევრ საინტერესო ამბებს შეგატყობინებ. შეგვატყობიე ისიც, როდის აპირობ ჩამოსვლას.

შენი ძმა ბეს. ჭაფარიძე

P. S. ჩემი ადრესი ეს არის, თუ რედაქციის სახელზედ არ მოიწერები: Арсенальная ул. д. Мамасахлисова.

ბეს. ჭაფარიძე

## შენიშვნები

### I წერილების ავტორები

ლორთქიფანიძე კირილე ბეჟანის ძე (1839—1919) — XIX საუკუნის 60-იანი წლების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ეურნალისტი და მთარგმნელი. დაკრძალულია ქუთაისში, „მწვანე ყვავილაზე“.

ალექსი-მესხიშვილი ვლადიმერ (ლადო) სარდიონის ძე (1857—1920)—გამოჩენილი ქართველი მსახიობი და რეჟისორი, რესპ. სახ. არტისტი.

დაიბადა 1857 წ. 16 (28) თებერვალს, თბილისში. სწავლობდა თბილისის ერთ-ერთ კერძო პანსიონში, შემდეგ—მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. სამშობლოში დაბრუნებისას მუშაობდა მასწავლებლად და მონაწილეობდა სცენისმოყვარეთა სპექტაკლებში. 1881 წ. შევიდა თბილისის ქართულ დრამატულ დასში. 1887—1890 წწ. მოღვაწეობდა თბილისში, რუსულ სცენაზე. 1890—1896 წწ. ხელმძღვანელობდა თბილისის დრამატულ დასს, ხოლო 1897—1906 წწ.—ქუთაისისას. დადგმული აქვს 100-ზე მეტი სპექტაკლი. თამაშობდა ჰამლეტის, ედგარის, კარლ მოორის და სხვა მრავალ როლს.

გარდაიცვალა 1920 წ. 2 ნოემბერს, თბილისში.

გოგებაშვილი იაკობი სიმონის ძე (1840—1912)—ცნობილი ქართველი პედაგოგი, საბავშვო მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე.

დაიბადა 1840 წ. 15 ოქტომბერს, სოფ. ვარიანში (გორის რაიონი). სწავლობდა ჯერ გორის, ხოლო შემდეგ—თბილისის სასულიერო სასწავლებლებში. 1855 წ. შევიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც დაამთავრა პირველ მოწაფედ 1861 წ. ამავე წელს სწავლა განაგრძო კიევის სასულიერო აკადემიაში. 1863 წ. აკადემუფობის გამო დაბრუნდა საქართველოში, სადაც დაინიშნა თბილისის სასულიერო სასწავლებელში გეოგრაფიისა და არითმეტიკის მასწავლებლად. 1868 წ.-დან, ექვსი წლის განმავლობაში, ასრუ-



ლებდა ამავე სასწავლებელში ინსპექტორის მოვალეობას. 1874 წ. ი. გ. გაათავისუფლეს სამსახურიდან, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პირი, რომლის შემდეგ ოფიციალურ სამსახურში აღარ ყოფილა.

ი. გ. ავტორია მრავალი პედაგოგიური ხასიათის წიგნის: „ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“ (1865), „ბუნების კარი“ (1868), „დარიგება მასწავლებელთათვის, თუ როგორ უნდა წაიყვანოს სწავლება წერაკითხვის ქართულ ანბანში“ (1872), „დედაენა“ (1876), „რუსკოე სლოვო“ — რუსული ენის სახელმძღვანელო (1887) და სხვ. მას ეკუთვნის აგრეთვე საბავშვო წიგნები: „კოკორი“, „კუნწულა“, „აკილო“ და „კონა“.

ი. გ-მა ქართული პედაგოგიური აზროვნების ისტორიაში უდიდესი როლი ითამაშა. ამავე დროს იგი ეწეოდა დიდ საზოგადოებრივ საქმიანობას. ის იყო ერთ-ერთი დამაარსებელი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“, რომელსაც მან შემდეგში შესწირა საკუთარი ბიბლიოთეკა და მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონება.

გარდაიცვალა 1912 წ. 10 (23) ივნისს. დაკრძალულ იქნა დიდუბის პანთეონში, ხოლო 1940 წ. 27 ოქტომბერს გადაასვენეს მთაწმინდაზე.

და დ ი ა ნ ი დ ი მ ი ტ რ ი ე ლ ი ზ ბ ა რ ი ს ძ ე — საზოგადო მოღვაწე, გაზეთ „შრომის“ დამაარსებელი და რედაქტორი, ქუთაისის საადგილმამულო ბანკის თავმჯდომარე. დროდადრო აქვეყნებდა წერილებს ქართულ პრესაში. უმთავრესად გაზეთ „დროებაში“. აღსანიშნავია მისი სტატიები საფრანგეთის შუისახებ (იხ. „დრ“, 1875, №№ 36, 52, 57); მასვე ეკუთვნის ბიოგრაფიული ნარკვევი ლეონ გამბეტაზე (იხ. „დრ“, №№ 87, 88, 89, 90, 91); წერდა აგრეთვე ბანკის საკითხებთან დაკავშირებით (იხ. „დრ“, 1875 წ. № 44; „იკ“. 1890. № 163, 164). გ. ლასხიშვილი თავის „მემუარებში“ წერს: „დმიტრი ელიზბარის ძე დადიანი განათლებული, შრომისმოყვარე და პატიოსანი კაცი იყო.“ (იხ. გ. ლასხიშვილი, „მემუარები“, თბ., გვ. 94).

ე რ ი ს თ ა ვ ი რ ა ფ ი ე ლ დ ა ვ ი თ ი ს ძ ე (1824—1901) — ცნობილი ქართველი პოეტი, ამავე დროს ავტორი მრავალი მოთხრობისა და ორიგინალური თუ გადმოკეთებული პიესის.

დაიბადა 1824 წ. 1 აპრილს, სოფ. ქისტაურში. 1834 წ. მშობლებმა შეიყვანეს თელავის სამაზრო სასწავლებელში, ორი წლის შემდეგ კი — შუაშთის მონასტერში. 1838 წ. მამამ ჩამოიყვანა გორში და მიაბარა რუსული ენის შესასწავლად ხერსონის რაზმის ხაზინადარს — კაჩერგინს. 1839 წ. ო. ე. ჩაირიცხა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მესამე კლასში. სასწავლებლის კურსი დაამთავრა 1845 წ. 1846 წ. რ. ე-მა დაიწყო სამსახური თარჯიმნად თუშ-ფშავ-ხევისურეთის საოლქო სამმართველოში, სადაც მუშაობდა 1848 წ-მდე. 1849 წ. შტატგარეშედ მსახურობდა კაეკასიის მაზრის.

მთავარსამმართველოს საბჭოს კანცელარიაში. 1851 წ. დაინიშნა კავკასიის ქვეყნის მოადგილის კანცელარიაში „სტოლონაჩალინიკის“ უფროს თანაშემწედ. 1856 წ. მართავდა ახალციხის მაზრას. 1857 წ. ასრულებდა ზუგდიდის ოლქის უფროსის მოვალეობას. 1868 წ. ითვლებოდა ქუთაისის მომრიგებელ მოსამართლედ, ხოლო 1870 წ.— რაქის განყოფილებას მომრიგებელ მოსამართლედ. ი. წ. 28 ივნისს დათხოვნილ იქნა სამსახურიდან, თანახმად მისი თხოვნისა. 1889 წ. დაინიშნა კავკასიის საცენზურო კომიტეტის ადგილობრივ და აღმოსავლურ ენებზე გამოცემათა უმცროს ცენზორად. ამ თანამდებობიდან გათავისუფლდა 1896 წ.

რ. ე-ის ლექსები იბეჭდებოდა „ცისკარში“, „მნათობში“, „კრებულში“, „ივერიაში“, „კავკასსა“ და „კავკასსკაია სტარინაში“. თხზულებათა 1 ნაწ. გამოქვეყნდა 1882 წ., ხოლო II — 1890 წ. რ. ე-ს ეკუთვნის „მოკლე ქართულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოდან“ (1884 წ.). მისი რედაქტორობით გამოვიდა საბა-სულხან ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“. გარდა ამისა, რ. ე-მა შეაგროვა მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა თუშ-ფშავ-ხევსურეთის, იმერეთის, საშვეგრელოსა და სვანეთის შესახებ. მანვე შეკრიბა მრავალი ხალხური ლექსი, ზღაპარი, გამოცანა და ანდაზა.

გარდაიცვალა 1901 წ. 19 თებერვალს.

ვოლსკი გრიგოლიოსების ძე (უმწიფარიძე) (1860—1909) — საზოგადო მოღვაწე, პოეტი, მთარგმნელი, სახალხო მასწავლებელი, პროფესიით ექიმი.

დაიბადა 1860 წ. ქუთაისში. მამა წარმოშობით იყო პოლონელი, დედა — ქართველი, კეყერაძის ქალი. საშუალო ცოდნა მიიღო ქუთაისის გიმნაზიაში. ამავე პერიოდში დაიწყო ლექსების წერა უმწიფარიძის ფსევდონიმით. 80-იან წლებში უმაღლესი განათლების მისაღებად შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. აქ ის მონაწილეობას იღებდა სტუდენტთა გამოსვლებში. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და აქტიურად ჩაება ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში. მისი ინიციატივითა და თავმჯდომარეობით ბათუმში დაარსდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ განყოფილება. გ. ვ. არჩულ იქნა ბათუმის ქართული სკოლის სამზრუნველო კომიტეტის თავმჯდომარედ. მას დიდი წვლილი მიუძღვის აჭარის კულტურის წინსვლის საქმეში. მისი ინიციატივით ბათუმში დაარსდა სხვადასხვა ენის ხალხებისათვის რამდენიმე დაბალი ტიპის სკოლა. 1908 წ. დაინიშნა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად თბილისის ქართულ გიმნაზიაში. გ. ვ. თავგამოდებით იცავდა ქართული ენის სიწმინდეს.

გარდაიცვალა ქ. თბილისში, 1909 წლის 5 ოქტომბერს.

თვალქრელიძე პარმენივანეს ძე (ცახელი) (1866—1919)—პოეტი და პედაგოგი.

დაიბადა 1866 წ. 14 მაისს, სოფ. ცახში (რაჭა). 1875 წ. მიაბარეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, სადაც მან 1 წელი დაჰყო. 1876 წ. ძმამ წაიყვანა ქ. მოზდოკში, აქ პარმენმა დაასრულა ექვსკლასიანი სამოქალაქო სკოლა. 1881—1882 წწ. დაბრუნდა საქართველოში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1883 წ. „ნობათში“. ამის შემდეგ მუდმივად თანამშრომლობდა ქართულ ეურნალ-გაზეთებში („დროება“, „ნობათი“, „თეატრი“, „კვალი“ და სხვ.).

პედაგოგიური მოღვაწეობა პ. თ-მემ დაიწყო თავისი ძმის დახმარებით სტავროპოლის გუბერნიის სოფ. ზემშაგირის სკოლაში. 1 წლის შემდეგ გაემგზავრა მოსკოვში, სადაც შევიდა უმაღლესი ცოდნის მისაღებად პეტროვო-რაზუმიოვის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში. უმაღლესი სასწავლებელი არ დაუსრულებია. სამშობლოში დაბრუნებულის, 1903 წ-დან სიცოცხლის დასასრულამდე, აწავლიდა ქართულ ენას, ლიტერატურასა და ისტორიას ქუთაისის ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიასა და წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელში. განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა თავის მოსწავლეთა შორის. პ. თ. თანაუგრძნობდა 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობას. ავრცელებდა მეფის რუსეთის წინააღმდეგ პროკლამაციებს და თავის ბინაში მალავდა რევოლუციონერებს. ამის გამო რეაქციის წლებში გენერალ ალიხანოვ-ავარსკისის რაზმმა ცახში გადასწვა მისი სახლ-კარი.

1919 წ. 31 აგვისტოს ცახელი მოკლეს.

თუმანიშვილი ანასტასია მიხეილის ასული (1849—1932)—საზოგადო მოღვაწე, მწერალი და ეურნალისტი (მწერალ გიორგი წერეთლის მეუღლე).

1855 წ. ანასტასია შევიდა მაღამ ფაერის პანაიონში, ხოლო შემდეგ სწავლა განაგრძო ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1865 წ.

ან. თ. იყო გამომცემელი და რედაქტორი ცნობილი საბავშვო ეურნალისა „ჭეჭილი“. ის რედაქტობდა აგრეთვე გ. წერეთელთან ერთად ყოველკვირეულ ლიტერატურულ გაზეთ „კვალს“. გარდა ამისა, წერდა საბავშვო ლექსებსა და მოთხრობებს, ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობასაც.

1884 წ. ან. თ-ის ინიციატივით თბილისში დაარსდა მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საურთიერთო დახმარების საზოგადოება, რომელიც აწყობდა ე. წ. „სახალხო კითხვებს“ და ატარებდა გარკვეული სახის სამუშაოებს საკვირაო სკოლებსა და თეატრებში. ამავ საზოგადოებამ დაარსა აგრეთვე ე. წ. სანიმუშო სკოლა და მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც საფუძვლად დაედო ამჟამინდელ განათლების მუშაჟთა სახლის ბიბლიოთეკას.

კალანდარიშვილი გერასიმე სიმონის ძე (1836—1874)—  
საზოგადო მოღვაწე, მასწავლებელი და პუბლიცისტი.

დაიბადა 1836 წ. 4 (16) მარტს, სოფ. ნიგოთში (ლანჩხუთის რაიონი).  
დაამთავრა კიევის სასულიერო აკადემია, რის შემდეგაც 1861 წ. დაინიშნა  
კუთაისის სასულიერო მასწავლებლის ზედამხედველად. ამავე დროს ბეჭდავ-  
და პუბლიცისტური ხასიათის წერალებს „ღრობაში“, „მნათობსა“ და „კვალ-  
ში“. იგი არის ავტორი წიგნისა „რუსული ენის დაწესებითი პრაქტიკული კურ-  
სი ქართველთათვის“, პირველად გამოიცა 1866 წ. თბილისში.

გ. კ. დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა თავის თანა-  
შედროვეთა შორის, განსაკუთრებით თავყვანს სცემდნენ მას მოწაფეები. ი. მე-  
უნარგია, რომელიც მისი მოწაფე იყო, ასე წერს თავის დღიურში: „გერა-  
სიმე კალანდარიშვილის გველენამ დიდი შესანიშნავი გზა მიჩვენა— ამ გზით  
უნდა იაროს ყველა ადამიანმა, თუ არ უნდა, რომ ადამიანის სახელი ტყუი-  
ლად არ ერქვას... ამ პატიოსანმა და გონიერმა კაცმა შემაყვარა მე პატიოსნე-  
ბა და დამჯდარი ხასიათი. მე მსურს იმას მივბაძო ყველაფერში, მინდა, ყო-  
ველთვის თვალწინ მდგას იმისი ყოფა-ქცევა“ (ი. მეუნარგია, ქართველი  
მწერლები, ნაკ. II, თბ., 1957, გვ. 219—221).

გარდაიცვალა 1874 წ. 27 იანვარს (ძვ. სტ.).

კერესელიძე ივანე ივანეს ძე (1829—1892) — ცნობილი  
ქართველი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „ცისკარის“ რედაქ-  
ტორი (1857—1875 წწ.).

დაიბადა 1829 წ. 10 ნოემბერს ქ. თბილისში. ერთი წლის ასაკში გარდა-  
ეცვალა მამა. 1839 წ. დედამ მიაბარა ხაჩატურ აბოვიანს. კერძო პანსიონში,  
სადაც მან 2 წელიწადი დაჰყო. 1841 წ. შევიდა თბილისის სასულიერო სას-  
წავლებელში, ხოლო 1843 წ. გადავიდა კეთილშობილთა გიმნაზიაში, რომლის  
სრული კურსი დაასრულა წარჩინებით. ლექსების წერა დაუწყია გიმნაზიაში,  
ამავე პერიოდში დაუახლოვდა ის გ. ერისთავის დრამატულ დასს. გიმნაზიის  
დასრულების შემდეგ ი. კ. დ. დადიანმა მიიწვია შვილების აღმზრდელად. აქ  
მან ოჯახის უფროსების დიდი ნდობა და პატივი დაიმსახურა. დადიანებმა ის  
ისე უხვად დაასაჩუქრეს, რომ თბილისში გადმოსვლისას შეძლო ეყიდა  
ალექსანდრეს (დღევანდელ ნინოშვილის) ქ-ზე სახლი და სოფ. ბოგეში მამული.

თბილისში ი. კ. აქტიურად ჩაება კულტურულ ცხოვრებაში.

1852—1856 წწ-ში ი. კ. შეუდგა ქართული წიგნების გამოცემას. დაბეჭ-  
და საკუთარი პოემები და სხვადასხვა ხასიათის წიგნები: „მწყემსის სიყვარუ-  
ლი“, „ნაოხარი სოფელი“, „საკითხავი წიგნი ახალ მოსწავლეთა ყრმათათვის“,  
„ანბანი ახალ მოსწავლეთა ყრმათათვის“, „მოკლე სიტყვა“ და სხვანი. 1854—  
1856 წწ. ი. კ. ხელმძღვანელობდა გ. ერისთავის დრამატულ დასს, ხოლო  
1857—1875 წწ. რედაქტორობდა ჟურნალ „ცისკარს“.

გარდაიცვალა 1892 წ. 21 დეკემბერს. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ლორთქიფანიძე ანტონი (1850—1894)—საზოგადო მოღვაწე, ვექილი.

ან. ლ. ქუთაისის მოწინავე ინტელიგენციის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი იყო. ის აქტიურად იყო ჩაბმული საზოგადოებრივ და კულტურულ საქმიანობაში. თავისი ინიციატივით საკუთარ სახლში მოაწყო ბიბლიოთეკა, რომელსაც ის ერთგულად ხელმძღვანელობდა წლების განმავლობაში. ამავე დროს აქვეყნებდა საინტერესო წერილებს მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით. მისი ერთ-ერთი სტატიის შესახებ ს. მესხი ასე სწერდა თავის მემულურს: „უკანასკნელ „დროებაში“ ანტონ ლორთქიფანიძის კორესპონდენცია ჩინებულია“ (იგულისხმება ლორთქიფანიძის კორესპონდენცია, რომელიც ეხება ქალაქის არაკეთილმოწყობას) (იხ. „დრ“, 1874, № 421). ან. ლ. თეატრალურ საქმიანობასაც ეწეოდა, ასე მაგალითად, მან მონაწილეობა მიიღო გრიბოდროვის კომედიის „ვაი ჭკუისაგან“ დადგმაში (იხ. „დრ“, 1884, VI, 2, № 117, გვ. 3). გარდა ამისა, მსახურობდა ქუთაისის საადგილმამულო ბანკში. ბანკის საქმიანობის შესასწავლად იმოგზაურა რუსეთსა და უცხოეთში. ის იყო ქალაქის გამგეობის წევრიც („დრ“, 1875, XII, 17, № 143, გვ. 2—3).

როგორც გ. ლასხიშვილი გადმოგვცემს, ან. ლ. შესანიშნავი შპერმეტყველი და ენაკვიმატი ადამიანი ყოფილა (იხ. გ. ლასხიშვილი, მემუარები, თბ., 1934, გვ. 118).

ლორთქიფანიძე ელენე დიმიტრის ასული (1855—1890)—საზოგადო მოღვაწე, მთარგმნელი; ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, მწერლისა და მთარგმნელის—დიმიტრი ყოფიანის შვილი, მემულზე ანტონ ლორთქიფანიძისა.

ე. ლ. ძირითადად ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობას. გადათარგმნილი აქვს ფრანგული ენიდან კლემ. კარაგელის „ლეიტენანტ ლემლის თავგადასავალი“ (იხ. „მოთხრობანი ქართველის ქალებისგან ნათარგმნი“. წიგნი მეორე), ლუიზა განიორის „მამულის სამაგალითო შვილი“ (იხ. „ქართული ბიბლიოთეკა“, 1883, № 1) და მოლიერისა და დიუმას პიესები. 1884 წ. „ნობათში“ გამოაქვეყნა მოთხრობა „ცისფერი კაბის ამბავი (ჩინური ანდაზა)“ (იხ. „ნობათი“, 1884, № 10—11—12). დროდადრო ბეჭდავდა წერილებს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით „დროებაში“, „მნათობში“, „ნობათში“, „თეატრში“. ზოკლე ბიოგრაფია მის შესახებ დაიბეჭდა „საქართველოს კალენდარში“, 1893 წ., ხოლო ნეკროლოგი დაწერა ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელმა (იხ. „კვალი“, 1890, № 45). მწერალმა ანტონ ფურცელაძემ მის ხსოვნას უძღვნა ლექსი „ცისკარა“.

მაჩაბელი ივანე გიორგის ძე (1854—1898) — გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ჟურნალისტი და შექსპირის ბთარგმნელი ქართულ ენაზე.

დაიბადა 1854 წლის 9 იანვარს. 1870 წ. წარმატებით დაამთავრა თბილისის გიმნაზია. 1871—1874 წწ. სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე, პარალელურად ისმენდა იურიდიულ დისციპლინებსაც. ორივე დარგა დაასრულა ერთდროულად. ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში, პეტერბურგში, ილ. ჭავჭავაძესთან ერთად გადათარგმნა შექსპირის „მეფე ლირი“. 1874 წ. დაბრუნდა საქართველოში და იმავე წელს გაემგზავრა უცხოეთში აგრონომიულ მეცნიერებათა შესწავლის მიზნით. აქ ის ისმენდა ლექციებს ჰოპენჰაიმის აკადემიასა და სორბონაში. 1878 წ. გაემგზავრა საფრანგეთიდან პეტერბურგში, 1879 წ. ჩამოდის საქართველოში და ილ. ჭავჭავაძის მიწვევით იწყებს თანამშრომლობას „ივერიანში“. 1883 წლის ივნისში ნიშნავენ „დროების“ რედაქტორად. ამ თანამდებობაზე წასდიდხანს არ მოუხდა ყოფნა. 1885 წ. მეფის ნაცვლის დონდუკოვ-კორსაკოვის ბრძანებით გაზ. „დროება“ დაიხურა.

90-იან წლებში ივ. მ-ის აქტიური მონაწილეობით დაარსდა გაზეთი „კვალი“, რომელშიაც ის 1893 წელს თანამშრომლობდა.

ივ. მ-ლმა თარგმნა შექსპირის შემდეგი ტრაგედიები: „მეფე ლირი“ (1873 წელს — ილ. ჭავჭავაძესთან ერთად); „ჰამლეტი“ (1886 წ.), „ოტელო“ (1888 წ.), „მაკბეტი“ (1892 წ.), „რიჩარდ მესამე“ (1893 წ.). „იულიუს კეისარი“ (1896 წ.), „ანტონიუსი და კლეოპატრა“ და „კორიოლანოსი“ (1898 წ.).

ივ. მ-ლი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის აქტიური წევრი. ამავე დროს დიდი ინტერესით ეკიდებოდა საბანკო საქმეებს. წლების განმავლობაში მუშაობდა თბილისის სათავადაზნაურო ბანკში. 1896 წ. ანებებს თავს ბანკში მუშაობას და სათავეში უდგება გორის მემამულეთა სასოფლო-სამეურნეო სინდიკატს.

1898 წელს ივ. მ. უქვალოდ დაიკარგა.

მესხის ერგეისი მონის ძე (1845—1883) — გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტი და ჟურნალისტი.

დაიბადა 1845 წ. 1856—1863 წწ. სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში. შეპატივებული სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1867 წ. იმავე წელს დაბრუნდა ქუთაისში. პირველ ხანებში ის სახელმწიფო სამსახურში შევიდა.

1869 წ., ვინაიდან „დროების“ რედაქტორი გ. წერეთელი პეტერბურგში გაემგზავრა, ს. მ. დროებით მიიწვიეს გაზ. „დროების“ რედაქტორად. იმ დღიდან დაწყებული, 14 წლის განმავლობაში, ს. მ. გაზეთის რედაქტორობის

მძიმე უღელს ეწეოდა. გარდა მძიმე ფიზიკური შრომისა, რომელიც გაზე-  
თის გამოცემასთან იყო დაკავშირებული, ის სისტემატურად ბეჭდავდა სტა-  
ტიებს სხვადასხვა საპირბოროტო საკითხზე. წერდა ფსევდონიმებით: „ლაზა-  
ოე მესაბიშვილი“, „მეკენჭე“, „სოლოლაკელი“, ინიციალებით „ს. მ.“, ასევე  
საკუთარი ხელისმოწერით და ხელმოუწერლადაც. გამუდმებულმა ჯაფამ მთლი-  
ანად შეარყია ს. მ-ის ჯანმრთელობა. 1883 წ. გარდაცვალების რამდენიმე  
თვით ადრე გაზეთის რედაქტორობა ივანე მაჩაბელს მიანდო, თითონ კი სამ-  
კურნალოდ გაემგზავრა აბასთუმანში, სადაც 1883 წ. ივლისში გარდაიცვალა.  
ს. მ.-ის, ამ დაუღალავი მუშაისა და იშვიათი ბუნების მქონე ადამიანის, სიკ-  
ვლილი ქართველი ხალხის ეროვნულ გლოვად გადაიქცა.

მ ე უ ნ ა რ გ ი ა ი ო ნ ა მ ი ხ ე ი ლ ი ს ძ ე (1852—1919)—ქართული ლი-  
ტერატურის ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე.

დაიბადა 1852 წ. :8[30] დეკემბერს, სოფ. ცაიში. პირველდაწყებითი  
ცოდნა მიიღო მარტვილის (ახლანდელი გეგუქკორი) სასულიერო სასწავლე-  
ბელში. შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1874  
წ. ი. მ-ია გარიცხეს სემინარიის უკანასკნელი კურსიდან, როგორც პოლი-  
ტიკურად არასაიმედო პირი. იმავე წელს გაემგზავრა შვეიცარიაში, სადაც  
ორი წლის განმავლობაში სწავლობდა ენეგვის აკადემიაში. 1876 წ. გადავიდა  
პარიზში. აქ ის გაეცნო ფრანგ მწერლებს, მათ შორის—ვიქტორ ჰიუგოსაც.  
1878 წ. დაბრუნდა საქართველოში და აქტიურად ჩაება ქართველი ხალხის  
კულტურულ ცხოვრებაში. მუდმივად თანამშრომლობდა „დროებასა“ და  
„ივერიაში“. გარდა ამისა, მონაწილეობდა „კვალში“, „მოამბეში“, „ტიფლის-  
კი ვესტნიკში“, „კავკაზში“ და სხვ. ხშირად ასრულებდა „დროების“ რედაქ-  
ტორის მოვალეობასაც. მისი ფსევდონიმებია: „ლელი“, „ი. მ.“, „ი. მ-ია“  
და სხვ.

ი. მ-იას შრომები, სათაურით „ქართველი მწერლები“ გამოცემულია ორ  
წიგნად, ს. ცაიშვილის რედაქციით. წინასიტყვაობითა და შენიშვნებით (1954—  
1957 წწ.).

წლების განმავლობაში ი. მ-ია იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის  
გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის მდივანი.

გარდაიცვალა 1919 წ. 15 მაისს. დაკრძალულია თავის მშობლიურ სო-  
ფელში -- ცაიშში.

ნი კ ო ლ ა ძ ე ა ნ ა ს ტ ა ს ი ა ( ა ნ ა ) ი ა კ ო ბ ი ს ა ს უ ლ ი (1847—  
1931) — პედაგოგი და მთარგმნელი (ნიკო ნიკოლაძის და).

ან. ნ. იყო ქართველ ქალთა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენე-  
ლი. ძირითადად ეწეოდა მასწავლებლობასა და მთარგმნელობით მუშაობას.  
მისი თარგმანები იბეჭდებოდა წიგნში „მოთხრობანი ქართველი ქალებისაგან  
ნათარგმნი“. ცალკე წიგნად გამოვიდა „ჭიანჭა“.

პოეტმა გ. ჰალადიდელმა, რომელიც გატაცებული იყო ანასტასიათი, უძღვნა ლექსი „ჩემი ანა“. აკ. წერეთელი ან. ნ-ძეს თავის უახლოეს მეგობრად მიიჩნევდა (იხ. აკ. წ-ის წერილები ან. ნ-ძისადმი, აკაკი წერეთელი, ტ. XV, თბ., 1963 წ., გვ. 186—202).

ნიკოლაძე ნიკოიაკობის ძე (1843—1928) —გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, 60-იანი წლების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, პუბლიცისტი და ჟურნალისტი.

დაიბადა 1843 წელს ქ. ქუთაისში. სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1860 წ. უმაღლესი ცოდნის მისაღებად გაემგზავრა პეტერბურგში, სადაც იგი დაუახლოვდა რუს რევოლუციონერ-დემოკრატს ნ. გ. ჩერნიშევსკის. 1861 წ. სტუდენტთა გამოსვლებში მონაწილეობის გამო ნ. ნ. დააპატიმრეს და მცირე ხნით პეტრე-პავლეს ციხეში ჩასვეს. 1862 წ. დაუახლოვდა ჟურნალ „სოვრემენნიკის“ რედაქციას, ამავე პერიოდში დაიწყო თანამშრომლობა ჟურნალ „ისკრაში“. 1862 წ. ნ. ჩერნიშევსკი დააპატიმრეს, „სოვრემენნიკიც“ დაიხურა და ნ. ნ. საქართველოში გამოემგზავრა. 1863 წ. ის კვლავ პეტერბურგში ჩადის და იწყებს გაზეთ „ნაროდნოე ბოგატსტვოს“ ხელმძღვანელობას. ამ გაზეთში აქვეყნებს პირველად თავის პუბლიცისტურ წერილებს „სკანდელის“ ფსევდონიმით. 1864 წ. თანამშრომლობს „სოვრემენნიკში“. 1865 წ.-დან ნ. ნ. უცხოეთშია. აქ ის ჟურნალ „კოლოკოლში“ ბეჭდავს თავის ცნობილ წერილს „გლეხთა გათავისუფლება საქართველოში“. 1865 წ. პირადად გაიცნო კ. მარქსი. 1868 წ. რუს ემიგრანტთან ლ. მეჩნიკოვთან ერთად ენევენში სცემდა სოციალისტურ ჟურნალს „სოვრემენოსტს“. ამავე დროს რუს ემიგრანტ ელპიდინთან ერთად საზღვარგარეთ გამოსცა ჩერნიშევსკის თბზულებათა I ტომი საკუთარი წინასიტყვაობით და რომანი „რა ვაკეთოთ?“.

1868 წ. ნ. ნ.-ძემ დაამთავრა ციურიხის უნივერსიტეტი.

1869 წ. ჩამოდის საქართველოში და აქტიურად ებმება საქართველოს საზოგადოებრივსა და კულტურულ ცხოვრებაში. ნ. ნ. იყო „მეორე დასის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი, აქტიური თანამშრომელი „დროებისა“ და „კრებულის“, რომელშიაც ის ათავსებდა პროგრესულ-დემოკრატიული ხასიათის პუბლიკაციისტურ წერილებს. 1873 წ. ნ.-ძემ დ. მიქელაძესთან (მეველე) და პ. იზმაილოვთან ერთად პარიზში გამოსცა სოციალისტური იდეების მატარებელი გაზეთი „დროში“, ხოლო 1875 წ. — ფრანგულ ენაზე დაწერილი ბროშურა „დეკადანსის პრესა“. 1874—1877 წწ. თანამშრომლობს გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკში“. 1878 წ. დააარსა გაზეთი „ობზორი“, რომელიც 1880 წ. მეფის შთავრობამ, როგორც მის საწინააღმდეგოდ მიმართული ორგანო, დახურა, ხოლო ნ. ნ. სტაჟროპოლის მხარეში გადასახლდა. გადასახლებიდან მიემგზავრება პეტერბურგში, სადაც იწყებს თანამშრომლობას ჟურნალში „ოტე-



ჩესტვენნიე ზაპისკი“. ჩქარა ნ. ნ-ძის მახვილი პოლიტიკური ხასიათის სტატიების გამო ეს ჟურნალი დაიხურა.

1887 წ. ნ. ნ. ბრუნდება სამშობლოში და 1891 წ-მდე ხელმძღვანელობს გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“, ხოლო 1894 წ-დან — ჟურნალ „მოამბის“ პოლიტიკურ განყოფილებას. გარდა ამისა, მთელი ოცი წლის განმავლობაში (1894—1914) ნ. ნ. ხელმძღვანელობდა ფოთის თვითმმართველობას.

გარდაიცვალა 1928 წ. დაკრძალულია მთაწმინდაზე.

უმთავრესი პეტრე იოსების ძე (1838—1904)— საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, პუბლიცისტი, გამომცემელი.

პ. უ. 1864—1867 წწ. ისმენდა ლექციებს პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ფაკულტეტზე. აქვე ჩააბარა გამოცდები ქართული ენის მასწავლებლობაზე. 1868—1898 წწ. ასწავლიდა ქართულ ენას თბილისის I გიმნაზიაში. ამავე დროს თანამშრომლობდა იმდროინდელ ქართულ პრესაში („დროება“, „კრებული“, „ივერია“, „კვალი“, „მოამბე“, „ცნობის ფურცელი“). 1874—1880 წწ. რედაქტორობდა „სასოფლო გაზეთს“. წერდა ფსევდონიმებით: „ანჩისხატელი“, „მ. პეტრიძე“ და ინიციალებით: „პ“ და „პუ“.

პ. უ-ს დიდი როლი მიუძღვის ქართველ მწერალთა თხზულებებისა და სალბურო ზეპირსიტყვიერების მასალის გამოცემებში. მისი რედაქციით დაიბეჭდა: „ვესრამიანი“, „სიბრძნე სიცრუისა“, „დავითიანი“, ვახტანგ მეფის „დასტურ-ლამალი“, ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის და ნ. ბარათაშვილის ლექსები. ამავე დროს შეკრიბა და გამოაქვეყნა ქართული ანდაზები და ხალხური ლექსები.

ქოჩაქიძე გიორგი მაქსიმეს ძე (ქალაღდიღელი) (1847—1898)—პოეტი.

დაიბადა 1847 წ. 15 ივნისს, სოფ. ფერსათში (იმერეთი). სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში 1859—1869 წწ. უმაღლესი განათლება ოჯახური ხელმოკლეობის გამო არ მიუღია. 1870 წ. შევიდა სამხედრო სამსახურში. 1873 წ. შიდა პირველი ოფიცრის ჩინი. 1879 წ. გადაიყვანეს რუსეთში. 1887 წ. დანიშნეს 36-ე არტილერიის ბრიგადის პირველი ბატარიის მეთაურად, ხოლო 1895 წელს — 30-ე არტილერიის ბრიგადის მეორე დივიზიის მეთაურად. გ. ქ-ძემ მიაღწია პოლკოვნიკის ჩინამდე. დაჯილდოებული იყო ორდენებით: მეორე ხარისხის სტანისლავის, მეორე ხარისხის ანასი, მეოთხე ხარისხის ვლადიმირის და მეოთხე ხარისხის წმინდა გიორგის.

გ. ქ-ძემ ლექსების წერა გიმნაზიის პერიოდშივე დაიწყო. ორი წლის განმავლობაში დაწერა 20-მდე ლექსი, რომლებიც გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა. მისი პოეზიიდან განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ლექსები: „მიყვარს ფაცხა“ და „მანსოვს პირველად“.

გარდაიცვალა 1898 წ. ქალაქ მინსკში. დაკრძალეს სოფელ ქალადიდში (აქედან წარმოდგა მისი ფსევდონიმი „ქალადიდელი“), ხოლო შემდეგ გადასვენებულ იქნა ცხაკაიაში.

ც ა გ ა რ ე ლ ი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ა ნ ტ ო ნ ი ს ძ ე (1844—1929)—გამოჩენილი ქართველი მეცნიერი-მკვლევარი, ფილოლოგი, ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი.

ალ. ც. სწავლობდა თბლისის სემინარიაში, რომელიც 1865 წ. დამთავრა, შემდეგ უმაღლესი ცოდნის მისაღებად გაემგზავრა პეტერბურგში (1867 წ.), სადაც ის ორი წლის განმავლობაში სწავლობდა ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1869 წ. სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა გერმანიაში, მიუნხენში, 1 წლის შემდეგ — ტუბინგენში, ხოლო შემდეგ — ვენაში, პროფ. ფრიდრიხ მიულერთან. რომელიც იმ ხანებში ქართულ ენაზე მუშაობდა. ვენაში მან დააყო 1 წელიწადი და ამის შემდეგ დაბრუნდა პეტერბურგში.

1872 წ., პროფ. დ. ჩუბინაშვილის წასვლის შემდეგ, ალ. ცაგარელი იკავებს პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრას. წინასწარ იცავს დისერტაციას პრივატ-დოცენტის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე «Сравнительный обзор морфологии Иберийской группы Кавказских языков».

ალ. ც-მა რუსულად თარგმნა და გამოსცა სულხან ორბელიანის „სიბრძნე სიტყვისა“ (1878).

რევოლუციის შემდეგ ალ. ც. ჩამოვიდა სამშობლოში. აქ ის კითხულობდა ლექციებს თბლისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

გარდაიცვალა 1929 წ. 12 ნოემბერს. დაკრძალულია მთაწმინდაზე.

ც ხ ვ ე დ ა ძ ე ნ ი კ ო ლ ო ზ ზ ე ბ ე დ ე ს ძ ე (1845—1911)—საზოგადო მოღვაწე, მასწავლებელი, თბლისის უნივერსიტეტის შენობის ამშენებელი.

დაიბადა 1845 წ. 8 იანვარს, სოფ. სოჭინში. პირველდაწყებითი ცოდნა მიიღო თბლისის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ სწავლობდა თბლისის სასულიერო სემინარიაში. უმაღლესი განათლება მიიღო მოსკოვის სასულიერო აკადემიაში, სადაც იგი სწავლობდა 1865—1869 წწ. 1869 წლიდან შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას. ასწავლიდა თბლისის სასულიერო სემინარიაში ი. გოგებაშვილთან ერთად. აქედან დაიწყო მათი მეგობრობა. 1874 წ. ნ. ც. გათავისუფლებულ იქნა სამუშაოდან, როგორც არასაიმედო პირი. ერთხანს იგი კერძო გაკვეთილებით ცხოვრობდა. შემდეგში ასწავლიდა ისტორიას, გეოგრაფიას და პედაგოგიკას თბლისის საქალაქო ინსტიტუტში და თბლისის ყოფილ წმ. ნინოს სასწავლებელში. პედაგოგიურ საქმიანობას ნ. ც. მთელი 27 წლის განმავლობაში ეწეოდა. ამავე დროს ის იყო ერთ-ერთი დამაარსებელი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“. 1879 წლიდან ის ითვლებოდა საზოგადოების გამგეობის მუდმივ

წევრად და თავმჯდომარის (ილ. ჯავჭავაძის) მოადგილედ 1907 წ-მდე. 1896 წ-დან ნ. ც-მე შეუდგა ქართული გიმნაზიის აშენებას. ამ საქმეს მან 12—13 წელი შეაღია. შემდგომში ეს შენობა თბილისის უნივერსიტეტად გადაკეთდა. ნ. ც-მემ გარკვეული წვლილი შეიტანა ქართულ პედაგოგიურ აზროვნებაშიც. აქტიურად მონაწილეობდა თანამედროვე პრესაში.

გარდაიცვალა 1911 წლის 30 ოქტომბერს. დაკრძალულია დიდუბის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

**წერეთელი გიორგი ექვთიმეს ძე** (1842—1900)—ცნობილი ქართველი მწერალი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე.

დაიბადა 1842 წ. ზემო იმერეთის სოფ. გორისაში. მამა—ექვთიმე წერეთელი განათლებული კაცი იყო. „მამათა და შვილთა“ ბრძოლაში ის „მამების“ ინტერესებს იცავდა.

გ. წ-მა საშუალო ცოდნა მიიღო ქუთაისის გიმნაზიაში, სადაც იგი 1853—1860 წლებში სწავლობდა. 1860 წ. ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. 1861 წ. სტუდენტთა გამოსვლებთან დაკავშირებით გ. წ. დააპატიმრეს, ჯერ ჩასვეს პეტრე-პავლეს ციხეში, ხოლო შემდეგ — კრონშტადტის სატუსალოში. საპატიმროდან გათავისუფლების შემდეგ მას აეკრძალა უნივერსიტეტში სწავლის განგრძობა. მიუხედავად ამისა, ის ატერხებდა ლექციებზე დასწრებას და გულმოდგინედ ეწაფებოდა ცოდნას.

1863 წ. გ. წ. სამშობლოში დაბრუნდა. პირველი მისი წერილი „ცისკარს რა აკაკანებდა“, მიმართული „მამების“ წინააღმდეგ, დაიბეჭდა „საქართველოს მოამბეში“; 1866 წ. მან დააარსა ყოველკვირეული გაზეთი „დროება“, რომელშიაც უმთავრესად მონაწილეობდნენ „ახალგაზრდობის ჯგუფის“, გ. წ. „მიგორე დასის“ წარმომადგენლები. ამ დასს ფაქტურად გ. წ. მეთაურობდა. 1868 წ-დან მისი უშუალო თაოსნობითა და რედაქტორობით დაიწყო გამოსვლა „სასოფლო გაზეთმა“. 1871 წ. დააარსა პროგრესული ჟურნალი „კრებული“, რომელსაც ის 1873 წ-მდე ხელმძღვანელობდა.

1873—1876 წწ. გ. წ. განათლების გაღრმავების მიზნით მოგზაურობს ევროპაში. აქ იგი სათავეში ჩაუდგა ქართველი ახალგაზრდობის მიერ საზღვარგარეთ დაარსებულ ჯგუფს „უღელს“, რომლის საქმიანობამ ქართული კულტურის განვითარების ისტორიაში გარკვეული წვლილი შეიტანა.

1877 წ. გ. წ. საქართველოში ბრუნდება. თანამშრომლობა დაიწყო „ტიფლისკი ვესტნიკ“-სა და პეტერბურგის გაზეთ „გოლოს“-ში. 1880 წ. გ. წ-ლი აირჩიეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის წევრად. 1886—1889 წწ. თანამშრომლობს გაზ. „ივერიაში“, 1893 წ. მისი ინიციატივით დაარსდა გაზ. „კვალი“, რომელსაც ის 1900 წ-მდე ხელმძღვანელობდა.

1892 წ. გ. წ. აირჩიეს თბილისის გამგეობის წევრად. ის მთელი მონღო-ებით ზრუნავდა ქალაქის კეთილმოწყობისათვის. ამავე დროს კითხულობდა საჯარო ხასიათის ლექციებს სხვადასხვა აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით. გარკვეული წვლილი მიუძღვის მას აგრეთვე ქართული თეატრის წინაშე. წერდა საგანგებოდ პიესებს, აქვეყნებდა რეცენზიებს სპექტაკლებზე და ზოგჯერ თვითონაც თამაშობდა სცენაზე.

გარდაიცვალა 1900 წ. დაკრძალულია ღიდუბის პანთეონში.

ხ უ ნ დ ა ძ ე ს ი ლ ო ვ ა ნ თ ო მ ა ს ძ ე. (1860—1928)—ცნობილი საზოგადო მოღვაწე, გრამატიკოსი-ფილოლოგი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, პოეტი და მასწავლებელი.

დაიბადა 1860 წლის 3 (15) აპრილს, სოფელ კალაგონში (ოზურგეთის მაზრა). სწავლობდა ჯერ მარტვილის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ — ოზურგეთის „სამხედრო მოსწავლეთა პანსიონში“, ხოლო 1871—1880 წწ.— ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. უმაღლესი განათლება მიიღო პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც იგი სწავლობდა 1880—1884 წწ. აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე. 1884 წ-დან შეუდგა პედაგოგიურ საქმიანობას. პირველ ხანებში ასწავლიდა ძველი სენაკის სკოლაში, ხოლო შემდეგ—ქუთაისის გიმნაზიაში, სადაც ის 1920 წ-მდე ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას. კარგა ხნის განმავლობაში იგი ასრულებდა ამავე გიმნაზიის ინსპექტორის მოვალეობას, ხოლო იოსებ ოცხელის გარდაცვალების შემდეგ — დირექტორის თანამდებობას. ქართველი ახალგაზრდობა და, საერთოდ, მთელი იმდროინდელი ინტელიგენცია განსაკუთრებით აფასებდა ს. ხ-ძეს, როგორც დიდ საზოგადო მოღვაწეს, საუკეთესო სპეციალისტსა და იშვიათი პიროვნული თვისებების მქონე ადამიანს. ს. ხ-ძეს ეკუთვნის მრავალი ნაშრომი ენის გრამატიკის საკითხებზე. იგი სამართლიანად ითვლება სალიტერატურო ენის კანონებისა და ნორმების ერთ-ერთ დამდგენელთაგანად. გარდა ამისა, ს. ხ. ავტორია ლექსთა კრებულების და უამრავი კრიტიკულ-პუბლიცისტური ხასიათის წერილებისა, რომლებსაც ის მუდმივად აქვეყნებდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში („დროება“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“, „განათლება“, „შრომა“).

გარდაიცვალა 1928 წელს, 12 მაისს, მისივე სურვილის თანახმად დაკრძალულია ქუთაისში, „მწვანე ყვავილაზე“.

ჯ ა ბ ა დ ა რ ი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე გ ი ო რ გ ი ს ძ ე (1861—1933)— ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მესტამბე, ჟურნალისტი.

ალ. ჯ. სწავლობდა პეტროვო-რაზუმიოვის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში, საიდანაც ის გამოირიცხულ იქნა, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო სტუდენტი. საქართველოში ჩამოსვლისთანავე ალ. ჯ. აქტიურად ჩაება ქარ-

თველი ხალხის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში. მისი უძუალო ინიციატივით 1887 წ. ჩამოყალიბდა ე. წ. „ქართველთა წიგნების გამომცემელი ამხანაგობა“, რომელსაც თვით ის თავმჯდომარეობდა. ამ ამხანაგობამ გაშოსცა პირველად ბაჩანას ლეგენდა „დაბადება და აღზრდა თეკლე ბატონი-შვილისა“, შემდეგ: ი. დავითაშვილის ლექსები, ქართული ზღაპრები, ყაზბეგის, ილია ჭავჭავაძის, რაფიელ ერისთავის, აკაკი წერეთლისა და სხვათა თბზულე-ბანი.

ალ. ჯ-არის თაოსნობითვე დაარსდა ეურნალი „მოამბე“, რომლის გამომცემლად იგი ითვლებოდა 1895—1905 წწ. 1900 წ. ალ. ჯ-არმა იყიდა გაზეთი „ცნობის ფურცელი“. გაზეთის რედაქტორად დაინიშნა ალექსანდრე ჭყონია, ხოლო გამომცემლობა იკისრა ალ. ჯ-არმა. „ცნობის ფურცლის“ გამომცემლად ალ. ჯ. ითვლებოდა 1901—1905 წწ. მისივე ინიციატივით 1901 წ. ამ გაზეთს დაემატა ყოველკვირეული დამატება, რომლის რედაქტორად დაინიშნა ალ. ჯ. (იხ. გ. ლახინიშვილი, ზემუარები, თბ., 1934, გვ. 131, 132, 133, 134, 136, 139, 143, 152, 207, 222, 229, 270, 284).

ქ ა ვ ა ზ ი შ ვ ი ლ ი ი ვ ა ნ ე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ძ ე (1876—1940)—  
დიდი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი.

ივ. ჯ. დაიბადა 1876 წლის 11(23) აპრილს, ქ. თბილისში, მასწავლებლის ოჯახში. 1885 წ. შევიდა თბილისის პროგიმნაზიაში. 1888 წ. ჩაირიცხა გიმნაზიის მეორე კლასში. გიმნაზიაში სწავლობდა 1895 წ-მდე. 1895 წლის აგვისტოში შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სომხურ-ქართულ-ირანულ განყოფილებაზე, რომლის სრული კურსი წარმატებით დაამთავრა 1899 წ. აღმოსავლური ენების ფაკულტეტის დადგენილებით ის დატოვებულ იქნა უნივერსიტეტში. 1901 წლის 27 იანვარს ივ. ჯ-მა ჩააბარა სამაგისტრო გამოცდები და ცოდნის გაღრმავების მიზნით გაემგზავრა გერმანიაში. ბერლინში ივ. ჯ-მა გერმანულ ენაზე თარგმნა „ესტატე მცხეთელის ცხოვრება“ და „აბო თბილელის წამება“, რომელთაც სათანადო გამოკვლევებიც დაურთო. გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ ნ. მართან ერთად გაემგზავრა არაბეთში, სინას მთაზე, ქართული ხელნაწერების შესწავლისა და აღწერის მიზნით.

1903 წლიდან ივ. ჯ. კითხვლობდა ლექციებს საქართველოს ისტორიაში პეტერბურგის უნივერსიტეტში. ამავე წელს ის დაინიშნა პრივატ-დოცენტად. 1907 წ. ივ. ჯ-მა დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია თემაზე „ძველი საქართველოსა და ძველი სომხეთის სახელმწიფოებრივი წყობილება“. იმავე წელს პეტერბურგში ჩამოაყალიბა ქართველ სტუდენტთა წრე, რომელსაც ის წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა. ამ წრემ 1915 წ. გამოსცა კრებული, რომელშიაც მრავალი საყურადღებო წერილი იყო დაბეჭდილი.

1917 წ. ივ. ჯ. სათავეში ჩაუდგა თბილისში უნივერსიტეტის დაარსების

საქმეს. 1918 წ. დაინიშნა თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის დეკანად, ხოლო 1919 წელს — რექტორად, ამ თანამდებობაზე ივ. წ. იყო 1926 წ-მდე.

ივ. ჯ-მა ქართველ ხალხს დაუტოვა მრავალი შრომა, რომელთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა: „ქართველი ერის ისტორია“ (4 ტომი), „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად“ (4 ტომი), საქართველოს ეკონომიური ისტორია (3 ტომი), „ქართული სამართლის ისტორია“ (3 წიგნი) და სხვა.

გარდაიცვალა 1940 წ. 18 ნოემბერს, ლექციის კითხვისას; დაკრძალულია თბილისის უნივერსიტეტის ეზოში.

ჯ ა რ ი ძ ე ბ ე ს ა რ ი ო ნ ი — საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და ჟურნალისტი.

1871—1875 წწ. იმყოფებოდა უცხოეთში, კერძოდ, ენეევასა და პარიზში, საიდანაც სისტემატურად აგზავნიდა პუბლიცისტური ხასიათის წერილებს „დროებაში“ (იხ. ბ. ჯ. ენეევა, იენისი. საზოგადოებრივი ცხოვრება ომის დროს. შევიცარიის საგარეო პოლიტიკა. ხალხის მღელვარება და პროტესტი კომუნარების გაცემის გამო, „დრ“. 1871, № 29; ბ. ჯ. ენევიდამ ტიერის სიტყვის გამოძახილი, „დრ“, 1871, № 51; ბ. ჯ. ენევიდამ, საჯარო პოპულარული ლექციების შესახებ, „დრ“, 1872, № 7; ბ. ჯ. ენევიდამ, ახალი კონსტიტუციის პროექტის შინაარსი, „დრო“, 1872, № 12 და სხვა).

ბ. ჯ. ითვლებოდა აგრეთვე ჟურნალ „კრებულის“ უმთავრეს თანამშრომლად.

## II. წერილთა კოფინტარები

1. დედანი დაცულია ქკლ, № 378.

2. გრიგოლ — გ რ ი გ ო ლ ბ ე ყ ა ნ ი ს ძ ე ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე — კირილე ლორთქიფანიძის უფროსი ძმა. დაიბადა 1832 წ. 1848—52 წწ-ში სწავლობდა ქუთაისის გინნაზიაში, რომლის სრული კურსი ავადმყოფობის გამო არ დაუსრულებია.

8. ლაპარაკია პეტერბურგში გამგზავრების შესახებ. კ. ლ. და მისი ამხანაგები მიემგზავრებოდნენ პეტერბურგში უმაღლესი ცოდნის მისაღებად.

4. დათიკო — დ ა ვ ი თ ბ ე ს ა რ ი ო ნ ი ს ძ ე ლ ო ლ ბ ე რ ი ძ ე — ცნობილი საზოგადო მოღვაწის ნაკო დოლობერიძის უმცროსი ძმა; დაამთავრა ქუთაისის გინნაზია. 1860 წ. ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1861 წ. სტუდენტთა გამოსვლებში მონაწილეობის გამო დაპატიმრებულ იქნა იმავე წლის 12 ოქტომბერს. 2 თვის პატიმრობის შემდეგ გარიცხეს უნივერსიტეტიდან. დ. ლ. დარჩა პეტერბურგში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა რევოლუციურ მოძრაობაში, რის გამოც 9

წლის განმავლობაში (1861—1870 წწ-ში) სამჯერ იყო დაპატიმრებული (იხ. კ. მეძველია, თერგდალეულები, თბ., 1959, გვ. 158, 177, 180; ვლ. სიფრაშვილი, ხალხოსანი რევოლუციონერი (ახალი მასალები დ. ლოღობერიძეზე), „თბილისი“, 1862, 3 (111).

5. როგორც ზეითაც გვქონდა აღნიშნული (იხ. გვ. 52), „5“ ნომრით აღნიშნული გვაქვს ის საკომენტარო ერთეულები, რომელთა ამოხსნა ჩვენ ვერ შევძელით, ან რომელთა შესახებ დამატებით მასალას ვერაფერს ვიძლევით.

6. სიმონ ლოღობერიძე — ს ი მ ო ნ ( ს ი ს ო ) ბ ე ს ა რ ი ო ნ ი ს ძ ე ლ ო ლ ბ ე რ ი ძ ე — ნიკოლოზ და დავით ლოღობერიძეების ძმა. სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში კ. ლ-თან ერთად. შემდეგ მუშაობდა მოსამართლედ.

7. ნესტორი — ნ ე ს ტ ო რ მ ი ზ ე ი ლ ი ს ძ ე ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე (?) — დიდ ჭიხაისის მცხოვრები (ნიკო ნიკოლაძის არქივი, 40—426): ვფიქრობთ, კ. ლ-ძის ნათესავი უნდა იყოს.

8. მარგო — XIX ს. 60-იან წლებში აწავლიდა ფრანგულ ენას პეტერბურგის უნივერსიტეტში (ნიკო ნიკოლაძე, რჩ. ნაწ., ტ. 1, თბ., 1934, გვ. 72).

9. ნიკო ლოღობერიძე — ნ ი კ ო ბ ე ს ა რ ი ო ნ ი ს ძ ე ლ ო ლ ბ ე რ ი ძ ე (1838—1911) — გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, მესტამბე და გამონცემელი.

დაიბადა ქუთაისში. სწავლობდა ქუთაისის სასწავლებელში, შემდეგ — თბილისის გიმნაზიაში, რომელიც დაამთავრა 1857 წ. გიმნაზიის დარბაზების შემდეგ გაემგზავრა პეტერბურგში. აქ ის სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის კურსი დაამთავრა წარჩინებით.

1910 წ. ნ. ლ-ძემ დაწერა ანდერძი, რომლის ძალით 45.000 მან. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უნდა გადაეცემოდა, ხოლო 5.000 — საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას (ანდერძის ავტოგრაფი დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, ექვთიმე თაყაიშვილის პირად საარქივო ფონდში, №1072). 1911 წელს, როდესაც ნ. ლ. გარდაიცვალა, მისი ანდერძი სირბულში იქნა მოყვანილი (იხ. „ძველი საქართველო“, ტ. II, ტფ., 1913, არტურ ლაისტი, „თემი“, 1912, № 53, ელ. აბრამიშვილი, ნიკო ლოღობერიძის წერილები კირილე ლორთქიფანიძისადმი, „ლიტერატურული აქარა“, ბათუმი, 1965, № 1).

10. პოლტარაკვი — ი ვ ა ნ ე პ ო ლ ტ ა რ ა კ ვ ი — ეურნალისტი. ილ. ჭავჭავაძის მეგობარი.

11. დედანი ინახება ქკლ, № 429.

12. ჩიჭავაძე — ნ ი კ ო ლ ო ზ ჩ ი ჭ ა ვ ა ძ ე — კ. ლ-ძის მკვიდრი ბიძა დედის მხრიდან.

13. იგულისხმება 1861 წ. პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა გამოსვლების შემდეგ მომხდარი ცვლილებები.

14. იგულისხმება წავი ზღვის ყოფილი აღმირალი, გრაფი პუტიატო-  
ხი, რომელიც განათლების მინისტრად დაინიშნა 1861 წ. კოვალევსკის შემ-  
დებ.

15. 1861 წ. სტუდენტთა არეულობის დროს დაპატიმრებულნი იყვნენ  
შემდეგი ქართველი სტუდენტები: ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, კი-  
რილე ლორთქიფანიძე, ბესარიონ ლოლობერიძე, დავით აბდუშელიშვილი, და-  
ვით ლოლობერიძე, ვასილ სავანელი, იაკობ ისაჩლიშვილი, პეტრე ალხაზიშვი-  
ლი, გიორგი ჭავჭავიძე, აბელ ჩოლოყაშვილი, აბელ და ნიკო შანშიაშვილ-  
ბი.

16. იგულისხმებიან შემდეგი პროფესორები: კ. დ. კაველინი,  
ვ. დ. სპასოვიჩი, მ. მ. სტასულევიჩი, ა. ნ. პიპინი და  
ხ. ი. იუტინი.

17. განათლების მინისტრის პუტიატინის ნაცვლად დაინიშნა ალექსან-  
დრე ვასილის ძე გოლოვინი.

18. იგულისხმება სამხედრო გენერალ-გუბერნატორი პ. ნ. იგნატიევი,  
რომლის ნაცვლად 1861 წ. 4 ნოემბერს პეტერბურგის გენერალ-გუბერნატო-  
რად დაინიშნა ალექსანდრე არკადის ძე სუვოროვი, დიდი მხე-  
დართმთავრის სუვოროვის შვილიშვილი.

19. პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორის პლეტნევის გათავი-  
სუფლებების შენდევ დახურულ უნივერსიტეტს მართავდა საგანგებოდ შედგენი-  
ლი კომისია, რომელშიაც შედიოდნენ, შემდეგი პროფესორები: ა. ა. მუხ-  
ლინსკი, დ. ი. ჩუბინაშვილი, ი. ნ. ბერეზინი, ი. ი. ბერეზი-  
ნი, სრეზნევესკი, ი. ბ. შტუიმიანი, უ. ხ. ლენცი, ა. ნ. სავიჩი,  
ი. ა. გორლოვი და ი. უ. ივანოვსკი (დაწვრ. იხ. კ. მეძველია, თერგდა-  
ლეულები, თბ., 1959, გვ. 99—100).

20. ბესარიონ ლოლობერიძე — ბესარიონ ლევანის ძე ლოლო-  
ბერიძე (1832—1879)—ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მასწავლებელი.

1849—1854 წწ-ში სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში, შემდეგ—თბილი-  
სის I გიმნაზიაში, 1863 წ. ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-  
მათემატიკის ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი დაამთავრა კანდიდატის  
ჩარახინის დიპლომით. პეტერბურგში ყოფნის დროს ბ. ლ. აქტიურად იყო  
ჩამშული სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში. პირადი ურთიერთობა პქონ-  
და ჩერნიშევსკისთან, დობროლიუბოვთან, ნეკრასოვთან, მიხაილოვთან, შელ-  
გუნოვთან და სხვა რუს რევოლუციონერებთან.

საქართველოში ჩამოსვლისას, 1868 წ. ბ. ლ. დაინიშნა თბილისის I გიმ-  
ნაზიის მასწავლებლად, 1873 წ. — თბილისის ქალთა ინსტიტუტის ინსპექტო-  
რად, ხოლო 1874 წ. — თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტო-  
რად. მისი ინიციატივით კახეთის მრავალ სოფელში გამართულ იქნა სახალხო



სკოლები. ბ. ლ-ძემ დააარსა აგრეთვე ქუთაისის საადგილმამულო ბანკი, რომლის დირექტორადაც იგი ითვლებოდა 1876—1879 წწ-ში.

21. ვასილ თუმანიშვილი — პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი. უნივერსიტეტის კურსი დაამთავრა 1862 წ. კანდიდატის ხარისხის დიპლომით (კ. მეძველია, თერგდალეულები, გვ. 156).

22. ივულისხმება კ. ლ-ძის 1862 წლის 5 იანვრით დათარიღებული წერილი, იხ. იქვე, გვ. 54—57.

23. სამსონ — სამსონ ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე — კ. ლ-ძის ძმა. დაიბადა 1834 წ. მოკლულ იქნა 1890 წ. („ივ.“ 1890, № 64, გვ. 1—2).

24. სამსონ აბაშიძე — სამსონ ბეჟანის ძე აბაშიძე (1835—1894) — პუბლიცისტი, წერდა კორესპონდენციებს და მხატვრულ ნაწარმოებებსაც, თანაწრომლობდა „ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბეში“. მას ეკუთვნის ძეგორე „თერგდალეულის“ სტატია — „რამდენიმე სიტყვა ზემოური იმერლის გორისელის სტატიაზედ“ („ცის“, 1862, № 4) (ს. ხუციშვილი, სამსონ აბაშიძე, „მნ“. 1956 № 2; კ. მეძველია, თერგდალეულები, გვ. 259—260).

25. კ. ლ-ძის დედა იყო დარეჯან ჩიჯავაძე — დაიბადა 1809.

26. კ. ლ-ძის დები იყვნენ ელისაბედ და ეფროსია (ეფროსინე) ლორთქიფანიძეები. ელისაბედი დაიბადა 1836 წ., ხოლო ეფროსინე — 1838 წ. შალვა დადიანი თავის მოგონებებში განსაკუთრებული აღფრთოვანებით ლაპარაკობს ეფროსინეს პიროვნების შესახებ (შ. დადიანი, რაც გამაზსენდა, თბ., 1959, გვ. 103—113).

27. დედანი ინახება ქკლ, № 432.

28. კასტამაროვი — ნიკოლოზ ბეჟანის ძე კოსტამაროვი (1817—1885) — ცნობილი რუსი ისტორიკოსი და მწერალი.

1859 წ. დანიშნა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორად. კიბუხლობდა რუსული ისტორიის წყაროების კურსს. ნ. ნიკოლაძე აღფრთოვანებული იყო მისი ლექციებით (იხ. ნიკო ნიკოლაძე, რჩ. ნაწ., ტ. I, გვ. 83—85). 1861 წ. სტუდენტთა არეულობის შემდეგ სამსახურს თავი დაანება.

29. პავლოვი — პლატონ ვასილის ძე პავლოვი (1823—1895) — ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე. 1861 წ. დანიშნული იყო პეტერბურგის უნივერსიტეტში პროფესორად, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ლექციები არ წაუკითხავს. მის შესახებ გარკვეულ ცნობებს გვაწვდის ნ. ნიკოლაძე (ნიკო ნიკოლაძე, რჩ. ნაწ., ტ. I, გვ. 95).

30. სტასიულევიჩი — შინელი მათეს ძე სტასულევიჩი (1826—1911) — ისტორიკოსი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. 1858 წ-დან პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი. 1861 წ. სახალხო განათლების სამინისტროს რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად განთავისუფლდა სამსახურიდან. 1866—1908 წწ. ის იყო გამომცემელ-

რედაქტორი ყურნალის „ვესტნიკ ევროპი“, ხოლო 1881—1882 წწ. — გაზეთ „პორიადოკის“ გამომცემელი.

სტასულებიჩის ლექციების შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ნ. ნიკოლაძე (ნიკო ნიკოლაძე, რჩ. ნაწ., ტ. I, გვ. 84).

31. **ბლალოვეჩენსკი** — ნიკოლოზ მიხეილის ძე ბლალოვეჩენსკი (1821—) — რომაული სიტყვიერების პროფესორი.

32. **კაველინი** — კონსტანტინე დიმიტროს ძე კაველინი (1818—1885) — ისტორიკოსი და იურისტი, რევოლუციურ-დემოკრატიული შობრაობის სასტიკი მოწინააღმდეგე, ე. წ. ისტორია-იურიდიული სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი, მოსკოვისა და პეტერბურგის უნივერსიტეტების პროფესორი (ნიკო ნიკოლაძე, რჩ. ნაწ., ტ. I, გვ. 95).

33. **სპასოვიჩი** — ვლადიმერ დანიელის ძე სპასოვიჩი (1829—1906) — იურისტი, პეტერბურგის უნივერსიტეტის სამართლის ისტორიის პროფესორი. 1864 წ. თავი მიანება პედაგოგიურ სამსახურს და ხელი მიპყრო ვექილობას.

ნ. ნიკოლაძე აღფრთოვანებით იგონებს მის ლექციებს (ნიკო ნიკოლაძე, რჩ. ნაწ., ტ. I, გვ. 85, 95).

34. **უტინი** — ბორის ისაკის ძე უტინი (1832—1872) — იურისტი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი. 1861 წ. სტუდენტთა არეულობის დროს გათავისუფლებულ იქნა სამსახურიდან.

35. **ანდრეევსკი** — ივანე ექვთიმეს ძე ანდრეევსკი — იურისტი, პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, კითხულობდა რუსული სამართლის ისტორიის კურსს.

36. **ივანოვსკი** — ეგნატე იაკინთეს ძე ივანოვსკი (1807—1886) — პეტერბურგის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და დიპლომატიკის კათედრის გამგე.

37. **გორლოვი** — ივანე იაკობის ძე გორლოვი (1814—1890) — პოლიტიკური ეკონომიის პროფესორი.

38. **სოკოლოვი** — ნიკიტა პეტრეს ძე სოკოლოვი (1748—1795) — გამოჩენილი მეცნიერი, აკადემიკოსი, ავტორი წიგნებისა ქიმიასა და მინერალოგიაში.

39. **მენდელეევი** — დიმიტრი ივანეს ძე მენდელეევი (1834—1907) — დიდი რუსი მეცნიერი, ქიმიკოსი. პეტერბურგის უნივერსიტეტში კითხულობდა ორგანული ქიმიის კურსს.

40. **ფამიცინი** — ანდრია სერგოს ძე ფამიცინი (1835—) — ბუნებისმეტყველი, საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის ორდინაკადემიკოსი. პეტერბურგის უნივერსიტეტში კითხულობდა ანატომიისა და ფიზიოლოგიის კურსს.

41. ბეკეტოვი — ანდრია ნიკოლოზის ძე ბეკეტოვი (1825—)  
— ბოტანიკოსი, ს. პეტერბურგის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი. ერთხანს ასწავლიდა თბილისის გიმნაზიაში. მაგისტრის ხარისხი მიიღო წრომანში — „თბილისის ფლორა“.

42. სოვეტოვი — ალექსანდრე ვასილის ძე სოვეტოვი (1826—) — ცნობილი რუსი მეცნიერი, პროფესორი, აგრონომი და საზოგადო მოღვაწე.

43. გადოლინი — აქსელ ვილგელმის ძე გადოლინი (1828—1892) — დიდი რუსი მეცნიერი არტილერიის, მეტალების მექანიკური გადაშუშავებისა და კრისტალოგრაფიის დარგში.

44. პუზირევსკი — პლატონ ალექსანდრეს ძე პუზირევსკი (1831—1871) — პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი მინერალოგიის დარგში.

45. სეჩენოვი — ივანე მიხეილის ძე სეჩენოვი (1829—1905) — დიდი რუსი ბუნებისმეტყველი, რუსულა ფიზიოლოგიური სკოლის ფუძემდებელი.

46. კალინოვსკი — ბალტაზარ თომას ძე კალინოვსკი (1827—1884) — ეკონომისტი.

47. სომოვი — იოსებ ივანეს ძე სომოვი (1815—1876) — მათემატიკოსი, აკადემიკოსი. პეტერბურგის უნივერსიტეტში კითხულობდა ჯერ უმაღლეს ალგებრას, ხოლო შემდეგ ყველა მათემატიკურ საგანს, გარდა ალბათობისა და რიცხვთა თეორიისა. 1864 წლიდან იგი კითხულობდა თეორიულ მექანიკას.

48. ჩეზიშევი — პაფნუტ ლევის ძე ჩეზიშევი (1821—1894) — დიდი რუსი მათემატიკოსი და მექანიკოსი, აკადემიკოსი.

49. დედანი ინახება ქკლ, № 413.

50. დედანი ინახება ქკლ, № 431.

51. დედანი ინახება ქკლ, № 413.

52. დიმიტრი ზაქარიას ძე — დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძე (1827—1890) — ცნობილი ქართველი მეცნიერი, ისტორიკოსი.

დ. ბ. სწავლობდა თბილისის სემინარიაში, შემდეგ — მოსკოვის სასულიერო აკადემიაში, რომელიც 1850 წელს დაამთავრა. საშობლოში დაბრუნებული ერთხანს მასწავლებლობდა. 1873 წ. დ. ბ. ქართული ენის ცენტრად ითვლებოდა. სტატიების ბეჭდვა დაიწყო ჟურნალ „ცისკარში“. დ. ბ. აქტიურ მონაწილეობას იღებდა გაზეთ „დროების“ დაარსებაში. შემდეგში ის ამ გაზეთში თითქმის სისტემატურად ბეჭდავდა პუბლიცისტურ წერილებს. ამავე დროს თანამშრომლობდა „მნათობში“ (1869—1872), „იმედში“ (1881—1883), „ივერიასა“ და რუსულ პრესაში. დ. ბ-ის რედაქტორობით გამოვიდა ვა-

ხუმტის „საქართველოს ისტორია“ (1885); მონაწილეობას იღებდა კავკასიის არქეოლოგიური აქტების ხუთი ტომის შედგენაში. მისი უშუალო ინიციატივით დაარსებულ იქნა საეკლესიო-ისტორიული მუზეუმი. დ. ბ. იყო პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და კავკასიის საისტორიო-საარქეოლოგიო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი.

53. პირველი ქართული სალიტერატურო და მუსიკალური საღამო თბილისში მოეწყო 1875 წ. 4 აპრილს. კონცერტში მონაწილეობას იღებდნენ: დ. ყიფიანი, აკ. წერეთელი, ილ. ჭავჭავაძე, დ. ერისთავი, რ. ერისთავი („დრ“, 1875, IV, 2, № 39, გვ. 1).

ამ წერილში კი, როგორც ჩანს, ლაპარაკია მეორე ქართული სალიტერატურო და მუსიკალური საღამოს შესახებ, რომელიც მოეწყო თბილისში 1875 წ. 24 აპრილს („დრ“, 1875, № 47). პროგრამა ამ საღამოსი დატულია ქკლ, № 1130.

54. აკაკი — აკაკი წერეთელი (1840—1915) — დიდი ქართველი მწერალი.

55. აკ. წერეთლის „ქალი რომელი თვეა“ დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“. 1875, 23/IV, № 45, გვ. 1—3.

56. „დროება“ — „დროება. საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი“. გამოდიოდა 1866—1885 წლებში. რედაქტორები: გ. წერეთელი (1866—1869, 10 აპრილი); ს. მესხი (1869, 11 აპრ.—1873); კ. ლორთქიფანიძე (1873, 8 ოქტ.); ს. მესხი (1874, 4 ოქტ.—1880); ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი (1880—1881); ს. მესხი (1882); ივ. მაჩაბელი (1883—1885). 1866—1883 წწ. გამომცემელი იყო სტ. მელიქიშვილი, 1883—1885 წწ. — გ. ქართველიშვილი. თანამშრომლობდნენ: ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ივ. მაჩაბელი, პ. უმიკაშვილი, დ. მიქელაძე, კ. ლორთქიფანიძე და სხვ.

57. კ. ლ-ძის ამ წერილის ბოლოს ვკითხულობთ დიმიტრი ბაქრაძის მიწერილს:

„ეს აკაკის სტატია ან კარგათ გადაწერილი გამოვიგზავნეთ, ან კორექტურის ლისტი, თორემ სრულებით ვერ გამიბრჩევია პოჩერკი.“

გარდა ამისა, მაჩვენეთ წასაკითხავი სტატიები, რომელიც აფიშაში წითელი კარანდაშით აქვს დანიშნული.

დ. ბაქრაძე“.

58. დედანი ინახება ქკლ, № 443. დაწერილია „დროების“ ოფიციალურ ბლანკზე.

59. დიდი მთავარი — მ ი ხ ე ი ლ ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ძ ე რ ო მ ა ნ ო ვ ი — ძეფისნაცვალი კავკასიაში 1862—1881 წლებში.

60. ვფიქრობთ, ლაპარაკი უნდა იყოს მეორე ქართულ სალიტერატურო და მუსიკალურ საღამოზე<sup>53</sup>, რომელზედაც რ. ერისთავს უნდა წაეკითხა „სცე-

ნები ხალხის ცხოვრებიდან“ (იხ. პროგრამა ამ სალიტერატურო სადამოსი, ქკლ, № 1130).

61. კ. ლ-ძის ამ წერილის ბოლოს რ. ერისთავის მინაწერია:

„ბატონო კირილე!

ისევ ვამჯობინებ ს ა ო თ ხ შ ა ბ ა თ ო თ, ჩემის მხრით და თქვენ უკეთ უწყით.

თქვენი ერთგული რ. ერისთავი“.

62. დედანი ინახება ქკლ, № 468.

63. სალომე ბატონიშვილი (დადანიისა) — ცხოვრობდა პეტერბურგში, თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა გადასცა პროფ. დ. ჩუბინაშვილს.

64. იგულისხმება თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს წიგნი „ისტორია დაწეებიდან ივერიისა, ესე იგი გიორგისა, რომელ არს სრულიად საქართველოდსა ქმნილი საქართველოს მეთაქამეტე მეფის გიორგის-ძის თეაქურაზისაგან. სანკ. პეტერბურლი. სამეცნიერო აკადემიის სტ. 1848“.

65. ილ. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!“ პირველად დაბეჭდა „საქართველოს მოამბეში“ 1863 წ. ჯიმშერიძის ფსევდონიმიით, ხოლო ცალკე წიგნად გამოსცეს პეტერბურგში მყოფმა ქართველებმა, ე. წ. „ამხანაგობის“ ჯგუფის წევრებმა 1869 წ. წერილში ამ გამოცემაზეა ლაპარაკი.

66. ჩონგური — იგულისხმება კ. ლ-ის მიერ შედგენილი ლექსების კრებული — „ჩონგური. ნ. ბარათაშვილის, ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის და სხვა მწერლების ლექსების კრება შედგენილი კ. ლორთქიფანიძისაგან. პეტერბურლი. 1864“. თავფურცელზე:

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს  
განწირულის სულის კვეთება!“

ნ. ბარათაშვილი

პეტერბურლი.

1864.

„სამეცნიერო აკადემიის ტიპოგრაფიაში“.

67. ივანე მესხი — ი ვ ა ნ ე ს ი მ ო ნ ი ს ძ ე მ ე ს ხ ი (1849—1932) — (სერგეი მესხის ძმა) — პუბლიცისტი.

ივ. მ. ჯერ სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, შემდეგ — ციურისში. ის იყო ქართველი ახალგაზრდების მიერ საზღვარგარეთ დაარსებული საზოგადოების „უღელის“ ერთ-ერთი აქტიური წევრი და მდივანი. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ თანამშრომლობდა „დროებასა“ და „კრებულში“. წერდა ი.-ს ფსევდონიმიით.

68. სიმონა ჩომახიძე — ქართველი წიგნების გამსაღებელი კომისიონერი.

69. დედანი დაცულია ქელ, № 1165.

70. იგულისხმება „ცისკარი“ — ყოველთვიური ლიტერატურული ჟურნალი. რედაქტორები: გ. ერისთავი (1852—1853) და ივ. კერესელიძე (1857—1875).

71. იგულისხმება ექვთიმე წერეთლის (გიორგი წერეთლის მამის) სტატია „უფალო რედაქტორო! („ცის“, 1862, № 2, გვ. 201—207) ხელმოწერით: „ზემოური იმერელი, გორსელი წერეთელი ეფთვიმე“. ამ წერალებში ექვთ. წერეთელი გამოთქვამს აზრს იმ პოლემიკის შესახებ, რომელიც 60-იან წლებში გაიშალა „მამათა“ და „შვილთა“, კერძოდ, ილ. ჭავჭავაძესა და ბარბარე ჯორჯაძეს შორის. სტატიაში ავლენულადაა მოხსენებული „შვილების“ ბელადი — ილ. ჭავჭავაძე და შექებულია „მამათა“ ზანაკის წარმომადგენელი — ბ. ჯორჯაძე.

72. იგულისხმება კ. ლ.-ის „წიგნი მიწერილი რედაქტორთან“ ეფთვიმე წერეთლისა“, რომელიც კერძო წერილთან ერთად კირილემ გაუგზავნა ი. კერესელიძეს „ცისკარში“ დასაბეჭდად.

73. იგულისხმება ილ. ჭავჭავაძის სტატია „ორიოდესიტყვათა ვადრევაზ შალვასძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზედა“ („ცის“, 1861, № 4), რომელიც გახდა საბაბი „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლის.

74. კ. ლ.-ის სტატია „წიგნი მიწერილი რედაქტორთან“ ეფთვიმე წერეთლისა“ გამოქვეყნდა „ცისკარში“ თერგდალეულის ხელმოწერით 1862 წ. აპრილის თვეში (ცის, 1862, № 4, გვ. 341—354).

75. დედანი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში სმ, № 36.

76. იგულისხმება ს. მესხის 1869 წ. 17 მაისით დათარიღებული წერილი კ. ლ.-ისადმი (ს. ხუნდაძე, მასალები..., გვ. 54—56).

77. ხამაშურიძე — ბეჟან ხამაშურის ძე 60-იანი წლების ახალი თაობის წარმომადგენელი. სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. ის იყო „ამზანაგობის“ ერთ-ერთი აქტიური წევრი. კ. ლ.-ის მიწერ-მოწერიდან ჩანს, რომ იგი იყო მეტად ნიჭიერი ახალგაზრდა. ახლო ურთიერთობა ჰქონია როგორც კირილესთან, ასევე ს. მესხთან და ნ. ნიკოლაძესთან. პეტერბურგში ბ. ხ-მე დაავადდა ქლექით და 1869 წ. გარდაიცვალა. დაკრძალულია პეტერბურგში (იხ. ნ. ნიკოლაძის მიერ დაწერილი ნეკროლოგი, „დრ“, 1874, 14 ნომებერი; ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. II, გვ. 85. 258).

78. იგულისხმება ს. მესხის 1869 წ. 14 ივლისით დათარიღებული წერილი ბ. ხამაშურიძისადმი, ს. ხუნდაძე, მასალები..., გვ. 57—58.

79. ბეთანოვი — მიხეილ ბეთანიშვილი — პუბლიცისტი, გაზეთ დროებასთან დაახლოებული პირი. დროდადრო ბეჭდავდა კრიტიკული ხასიათის წერილებს. აღსანიშნავია მისი სტატიები: „რეცენზია გოგებაშვილ იაკო-

ბის წიგნზე, „ქართული ანბანი“ და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“, „დრ“, 1867, VII, 7, № 27, გვ. 3—4) და „პოეტური გაკენწლა“, რომელიც ეხება ავ. წერეთლის სტატიას „ორიოდე სიტყვა კნ. ბ. ჯორჯაძის შესახებ“ („დრ“, 1870, III, 12, № 10, გვ. 1—2).

მ. ბ. იყო პეტერბურგში დაარსებული ჯგუფის „ამხანაგობის“ ერთ-ერთი აქტიური წევრი. მისი მონაწილეობით გამოიცა ილ. ჭავჭავაძის „კაციააღამიანი?!“ ცალკე წიგნად.

80. უთუოდ იგულისხმება მ. ბეთანიშვილის მიერ 1869 წ. 18 მაისით დათარიღებული წერილი ს. მესხისადმი, რომელშიაც საუყვდურობს სერგეის მისი სტატიის დამახინჯების გამო (ხელნაწერთა ინსტიტუტი, სმ, № 39)..

81. იგულისხმება გ ი ო რ გ ი წ ე რ ე თ ე ლ ი.

82. იგულისხმება გ ე რ ა ს ი მ ე კ ა ლ ა ნ დ ა რ ი შ ვ ი ლ ი.

83. 1869 წ. 17 მაისით დათარიღებულ წერილში ს. მესხი ასე სწერს კირილეს: „13 მაისს გამოვაგზავნე დეპეშა და ძალიან მიკვირს, რომ ჯერაც არ მიმიღია შენგან პასუხი. მე გწერდი, რომ ბერენშტამის ხელით ბაზუნოვთან გიგზავნი 180 მანეთს-თქო ხამაშურიძისათვის“ (ს. ხუნდაძე, მასალები... გვ. 54). ამ დროისათვის ბ. ხამაშურიძე უკვე ძალზე მძიმედ იყო დაეადებული. ამხანაგ-მეგობრებში შეკრებილ ფულს სერგეი კირილეს უგზავნიდა იმისათვის, რომ მომავლადგი ბეჟანი საქართველოში გამოესტუმრებინათ.

84. ბერენშტამი — თ ე ო დ ო რ ე გ უ ს ტ ა ფ ი ს ძ ე ბ ე რ ე ნ შ ტ ა მ ი — თბილისელი მაცხოვრებელი. თბილისში გახსნილი ჰქონდა წიგნების მალაზია და ბიბლიოთეკა („ივ“, 1888, № 186).

85. იგულისხმება ი ვ ა ნ ე მ ე ს ხ ი. იხ. შენიშვნა 59.

86. ს. მესხის 1869 წ. 2 ივლისით დათარიღებული წერილი კირილესადმი იხ. ს. ხუნდაძე, მასალები, გვ. 61.

87. ანტონოვი — ნ ი კ ო ლ ო ზ ი ო ს ე ბ ი ს ძ ე ა ნ ტ ო ნ ო ვ ი — 60-იან წლებში სწავლობდა პეტერბურგში კ. ლ-ძესთან ერთად. ახლო ურთიერთობა ჰქონდა, როგორც ჩანს, ნ. ნიკოლაძესთანაც.

88. ნიკო — იგულისხმება ნ ი კ ო ნ ი კ ო ლ ა ძ ე. იხ. მისი წერილები კ. ლ.-ძისადმი, ქკლ. №№ 721, 723.

89. იგულისხმება ი ვ ა ნ ე მ ე ს ხ ი. იხ. შენიშვნა 59.

90. ს. მესხის დედა იყო მაგდანა ანდრეას ასული მარტანიშვილი, დიდი ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის მამიდა.

91. გიორგი — იგულისხმება გ ი ო რ გ ი წ ე რ ე თ ე ლ ი.

92. ნიკოლაძე — იგულისხმება ნ ი კ ო ნ ი კ ო ლ ა ძ ე.

93. ამხანაგობა — ამ სახელწოდებას ატარებდა პეტერბურგში ქართველი სტუდენტების მიერ 1868 წელს დაარსებული ჯგუფი, რომელშიაც შედიოდნენ: მიხეილ ბეთანიშვილი, ბებურ ბებურიშვილი, ნიკო ინაძე, კირილე

ლორთქიფანიძე, ვლადიმერ მაჩაბელი, მიხეილ ჭავჭავაძე, ბეჟან ხამაშურიძე და სხვ. წრის წევრებს განზრახული ჰქონიათ გამოექვეყნებინათ საჭირო წიგნები, სახელმძღვანელოები და თარგმანები, დაებეჭდათ შოთა რუსთაველისა და ერეკლე II-ის სურათები და შეედგინათ ქართული ანბანი (იხ. კ. ლ-ძის 1869 წ. 21 მარტით დათარიღებული წერილი მ. ჭავჭავაძისადმი (გვ. 135—142) და მ. ბეთანიშვილის წერილი ს. მესხისადმი (ხელნაწერთა ინსტიტუტი, სმ, № 39, II წერილი).

94. ბებურიშვილი — ბ ე ბ უ რ გ უ რ გ ე ნ ი ს ძ ე ბ ე ბ უ რ ი შ ვ ი ლ ი (გარდ. 1910)—საზოგადო მოღვაწე, მწერალი, ერთხანს ოზურგეთის ქალაქის თავი.

95. ჯაფარიძე — იგულისხმება ბ ე ს ა რ ი ო ნ ჯ ა ფ ა რ ი ძ ე .

96. „სასოფლო გაზეთი“ — გამოდიოდა თბილისში 1868—1880 წლებში, ყოველკვირეული, 1871 წ-დან—ორკვირეული. რედაქტორ-გამომცემლები: გ. წერეთელი (1868), ს. მესხი (1869), გ. წერეთელი (1870—1873), პ. უმიკაშვილი (1874—1880).

97. იგულისხმება „გამოცხადება“ პეტერბურგელი „ამხანაგობის“ მიერ „კაცია-ადამიანი!“ ცალკე წიგნად გამოქვეყნების შესახებ. 1869 წ. „დროების“ 25-ე ნომერში (და არა 23-ში, ჩანს, კირილე გაზეთის ნომერს შეცდომით უთითებს) „ბიბლიოგრაფიულ ნაწილში“ ვკითხულობთ:

„დროებაში“ იყო გამოცხადებული, რომ პეტერბურგში იბეჭდება უ. ი. ჭავჭავაძის მოთხრობა — „კაცია-ადამიანი“, პეტერბურგიდან გვწერენ, რომ მაისის ბოლოს კავკასიისაკენ გამოიგზავნებაო, მაგრამ ჯერ არსად სჩანს. აი, რას სწერენ ამ მოთხრობაზე გაზეთში «Горю» ეს მოთხრობა პირველად დაბეჭდილი იყო 1863 წ. „საქართველოს მოამბეში“, რომელსაც სცემდა მოთხრობის ავტორი და ძალიან მოეწონათ ქართველ მკითხველებს. იმაში აწერილია სატირიკულად (დაცინვით), მაგრამ იშვიათის სიმართლით, ძველი ქართველი მებატონეების ცხოვრება, თუმცა ზოგი სცენები სინამდვილეს არ ეთანხმება, მაგრამ საზოგადოდ ეს მოთხრობა იშვიათი მოვლინებაა ქართულ ლიტერატურაში. ი. ჭავჭავაძეს, როგორც პოეტსა და მწერალს, უჭირავს პირველი ალაგი ახალ ქართულ ლიტერატურაში, იმიდან იწყება ახალი ეპოქა ლიტერატურისა; იმან პირველმა შემოიტანა პოეზიაში, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, მოქალაქეობის ელემენტი. ჭავჭავაძემდე ქართული პოეზია მარტო „მაისის ვარდებს“ და „მთვარიან ღამეებს“ შემღერდა. თუმცა ჩვენ ძალიან ვაფასებთ უ. ი. ჭავჭავაძის მნიშვნელობას ქართულს ლიტერატურაში, მაგრამ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ უკანასკნელს «Горю»-სო სიტყვებს, არ შეგვიძლია არ მიუთითოთ აქ უ. ი. ბარათაშვილზე, გ. ერისთავზე და სხვ., რომლებიც მარტო „მაისის ვარდსა“ და „მთვარიან ღამეს“ არ დამღეროდნენ“ („დრ“, 1869, № 25, გვ. 4).



98. უთუოდ. კ. ლ. მ. ბეთანიშვილის გაცხარების მიზეზად იმას მიიჩნევს, რომ „დროების“ „გამოცხადებაში“ არაფერია ნათქვამი მისი ღვეწლის შესახებ „კაცია-ადამიანის!“ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. კირილეს გალიზიანებული ტონი კი მ. ბ-ის მიმართ იმით უნდა აიხსნას, რომ ამ უკანასკნელმა „კაცია-ადამიანის!“ თავფურცელზე გამომცემლად მხოლოდ საკუთარი გვარი დააწერა.

99. იგულისხმება ს. მესხის 1869 წ. 17 მაისით დათარიღებული წერილი, რომელშიაც ასე სწერს კირილეს: „ხუდიაკოვის სტატიები „დროების“ აწყენა, დარწმუნებული ვარ, ამიტომ რომ ჩვენ აზნაურ-თავადებს („დროების“ შკითხველებს) უნდათ სასიამოვნო, ადვილი საკითხავი რამეები, რასაკვირველია, ისინი უნდა მიაჩვიოს კაცმა ხეირიანი სტატიებისა და წიგნების კითხვას. მაგრამ გაზეთი მოკვდება ამისთანა სტატიებით, ხანამ ისინი მიეჩვეოდნენ. შენი სტატიები, თუ გამოგზავნი, ძალიან კარგი და სასარგებლო იქნება, „სასოფლო გაზეთისათვის“, რომელსაც თითქმის მარტო გლეხები ჰკითხულობენ. შენც კარგათ იცი, რომ გლეხები ისე განაზებული არ არიან, იმათ ისე წახდენილი გემო არ აქვთ, როგორც მათ უწინდელთ (და ეხლანდელ) ბატონებსა. ისინი ზრუნავენ უფრო ლუკმა-პურზედ, სასარგებლოზედ. მაშ, ხუდიაკოვის წიგნს თუ ჩვენი გლეხობის გასაგებად გარდააკეთებ და ისე გამოგზავნი, ძალიან კარგს იქ“ (ს. ხუნდაძე, მასალები, გვ. 55).

100. წერეთელი — იგულისხმება გ ი ო რ გ ი წ ე რ ე თ ე ლ ი .

101. „მნათობი“ — ყოველთვიური სალიტერატურო და სამეცნიერო კურნალი (1869—1872). რედაქტორი — ნ. ავალიშვილი, გამომცემელი — ივ. ელიოზიშვილი, თანამშრომლები: ნ. ინაშვილი, გ. წყალტუბელი (იოსელიანი), დ. ბაქრაძე, აკ. წერეთელი, ვ. პეტრიაშვილი და სხვანი.

102. იგულისხმება ნ. ნიკოლაძის ხელმოწერილი სტატია, სათაურით „მნათობზედ“, რომელშიაც ლაპარაკია მისი დაარსების მიზეზებზე, მიმართულებასა და მიზანზე („მნ“, 1869, № 2, გვ. 1—10).

103. იგულისხმება ნ. ინანიშვილის სტატია „საკითხათუარარიანი უურნალი“ („მნ“, 1869 № 1, გვ. 1—9).

104. ალ. ჯ. ორბელიანი — ალექსანდრე ვახტანგის ძე ჯამბაკურ ორბელიანი (1801—1869) — მწერალი. წერდა ლექსებს, პოემებს, დრამებსა და პუბლიცისტური ხასიათის სტატიებს.

105. კ. ლ-ძეს მხედველობაში აქვს ალ. ორბელიანის სტატია „ასპინძის ომი (მასალა საქართველოს ისტორიისათვის)“, („მნ“, 1869 წ. მარტი).

106. „ბუნების კარი“ — იაკობ გოგებაშვილის წიგნი „ბუნების კარი ანუ საკითხავი წიგნი ყმაწვილებისათვის, უმცროს კლასებში სახმარებელი. შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან“, პირველად გამოიცა 1869 წელს.

107. „ანბანი“ — იგულისხმება ი. გოგებაშვილის წიგნი „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის. შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, მეოთხე გამოცემა, ტფილისი, მელიქიშვილის და კამპანიის სტ. 1869 წ.“.

108. ფიცხელაური — მიხეილ ფიცხელაური — კ. ლ-ძის მეგობარი. 60-იან წლებში სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. ნ. ნიკოლაძისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში (იხ. ქკლ, 595) კირილე აქებს მას. კ. ლ-ძის არქივში დაცულია აგრეთვე მ. ფიცხელაურის წერილები კირილესადმი (ქკლ, №№ 813, 814).

109. სარაჯოვი — ვასილ სარაჯიშვილი(?) დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტი, კანდიდატის ხარისხით 1850 წ. (კ. ჩეჭელია, თერგდალეულები, გვ. 156).

110. უმიკაშვილი — იგულისხმება პეტრე უმიკაშვილი.

111. ყაზბეგი — გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი (1836—1922) — საზოგადო მოღვაწე, სამხედრო პირი — გენერალი, 1907 წ-დან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე (ალექსანდრე ყაზბეგის ბიძაშვილი, დიმიტრი ყაზბეგის ძმა).

112. პ. უმიკაშვილის ამ წერილს ვერ მივაკვლიეთ.

113. ჩუბინაშვილი — დავით იოსების ძე ჩუბინაშვილი (1814—1891) — ლექსიკოგრაფი, ფილოლოგი, 1853 წ-დან პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე, ხოლო 1863 წ-დან — ქართული და სომხური ენების და სიტყვიერების კათედრის გამგე.

114. იგულისხმება გერასიმე კალანდარიშვილი.

115. დოღუა — ლუარსაბ ლოღუა — ქუთაისის მაცხოვრებელი. მუშაობდა ქუთაისის სასამართლოში ვეჟილად. 90-იან წლებში ის იყო ქუთაისის ქალაქის თავი. ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე წარმოთქვა სიტყვა („კვ“, 1893, № 18, გვ. 5; „ივ“, 1893, № 66, გვ. 1—3). 1898 წ. არჩეულ იქნა ქუთაისის ქალაქის მოურავად („ცნფ“, 1898, 14 ივლ. № 582, გვ. 2).

116. დედანი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში, სმ, № 36.

117. ეს წერილი წარმოადგენს პასუხს ს. მესხის 1869 წ. 30 აგვისტოთი დათარიღებული წერილისას (ს. ხუნდაძე, მასალები..., გვ. 62—63).

118. კ. ლ. ჩვეულებრივ წერდა ძალზე წერილი ასოებით, რის გამოც ს. მესხი ზემოთ დასახელებულ წერილში იუმორით შენიშნავს: „... თუ წიგნი მომწერო, ოპტიკის კანონები იქონიე მხედველობაში, თავი ნუ მოგიკვდება: კრისტიანო, ერთი თაბახი ქალაღლი ნამეტანი წავიდეს, დაგლუპავს?..“ (ს. ხუნდაძე, მასალები, გვ. 66).

119. ეს ადგილი წარმოადგენს პასუხს ს. მესხის სიტყვებზე: „ძნაო კირილე! დარწმუნებული ვარ, რომ თუ შენთან ხშირი მიწერ-მოწერა გავმართე, პუნქტუალურად წერას მიმაჩვევ და ეს, შენც იცი ჩემი ხასიათი, ძალიან სასიამოვნო არ აქნება ჩემთვის. მე არც ცხოვრებაში და არც წერაში არ მიყვარს ნემეცური სიფაქიზე და წესიერება, მაშინააყვიტ მორთული კაცის სიტოცხლე რა სიტოცხლეა. გარწმუნებ, რომ ხანდისხან თავხედობას და უწესობას თვით ბუნებაც მოითხოვს!..“ (ს. ხუნდაძე, მასალები... გვ. 62).

120. ს. მესხი 1869 წ. 30 აგვისტოთი დათარიღებულ წერილში ამხანაგური იუმორით დასციინის კირილეს იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი გადაჭარბებულად დაწვრილებით წერილს სწერს მას (იხ. ს. ხუნდაძე, მასალები, გვ. 63). ს. მესხს მხედველობაში აქვს კირილეს 1869 წ. 9 აგვისტოთი დათარიღებული წერილი, აქვე, გვ. 68—74.

121. კირილეს ეს სიტყვები წარმოადგენს პასუხს ს. მესხის შემდეგ საყვედურზე: „ბეყანის ამბავი რომ უფრო დაწვრილებით არ მომწერე, გემღურო, ძალიან მაკვირვებს, როცა შენ, რალაც წყენით, ამბობ, რომ ბეყანი ბეთანოვსა და ანტონოვს ავიწროებსო. მე მგონია, ანტონოვი მაინც არ სჩივის ამ შევიწროებაზე და ბეთანოვს კი ცოტათი ვიცნობ: დარწმუნებული ვარ, რომ ისინი შევიწროებულნი არიან. მაგრამ კარგი ამხანაგისათვის და კარგი კაცი-სათვის რომ კაცმა ცოტა საქმე გაიჭიროვს, მე მგონია, ეს დიდი საქმე არ არის.“ (ს. ხუნდაძე, მასალები... გვ. 63—64).

122. იხ. ს. ხუნდაძე, მასალები, გვ. 64.

123. იგულისხმება ნიკო ნიკოლაძე.

124. დედანი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში, სმ, № 36.

125. იგულისხმება კ. ლ-ძის სტატია „საზოდო და მისი მნიშვნელობა სსეულისა და საზოგადოების ცხოვრებაში“, რომელიც დაიბეჭდა 1871 წ. ჟურნალ „კრებულის“ მე-3 ნომერში. დედანი ინახება ქკლ, № 592.

126. იგულისხმება ნიკო ნიკოლაძე.

127. საქართველოს მოამბე — სალიტერატურო ჟურნალი. 1863 წ. გამოცემელი — ილ. ჭავჭავაძე. ტფ. (გ. მეღუმეოვისა და ა. ენფიანჯიანის სტამბა). სულ გამოვიდა თორმეტი წიგნი. თანამშრ.: დ. ყიფიანი, ნ. ლოღობერიძე, ვ. თულაშვილი, გ. ჩიქოვანი და სხვ.

128. იგულისხმება გერასიმე კალანდარიშვილის სახელმძღვანელო „რუსული ენის დაწვებითი პრაქტიკული კურსი ქართველთათვის“, რომელიც პირველად გამოიცა 1866 წ., მეორედ კი — 1868 წ.

129. კ. ლ-ძის ეს უკანასკნელი სტატია არ გამოქვეყნებულა.

130. იგულისხმება გიორგი წერეთელი.

131. დედანი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში, სმ, № 36.

132. იგულისხმება ნიკო ნიკოლაძე.

133. იგულისხმება სახალხო გმირი არსენაოძე ლავილი.

134. ვფიქრობთ, ამ ლექსებში უნდა იგულისხმებოდეს კირილეს მიერ გადათარგმნილი ნ. დობროლუბოვის ორი ლექსი: „მზე ამობრწყინდა, დაპახე დამთასა...“ და „შეხვედრა“, რომლებიც დაიბეჭდა არა „მნათობში“, არამედ „კრებულში“, 1871 წ. მეოთხე ნომერში თომა კარგარეთელის ფსევდონიმით.

135. იგულისხმება კ. ლ-ძის სტატია „ორიოდე შენიშვნა უფ. იაკ. გოგებაშვილისაგან ხელთმძღვეანელებზედ“ („დრ“, 1869, XII, 18, № 51, გვ. 2—3). ხელს აწერს „კილო კავაძე“.

136. 1869 წლის 28 დეკემბრით დათარიღებულ წერილში ს. მესხი ამ სტატიის შესახებ კირილეს სწერს: „შენი კირიმე, კირილე, უფრო მეტი სი-ცოცხლე, შუშხი და ნაკლები სიწმრალე“ (ს. ხუნდაძე, მასალები, გვ. 67).

137. ამავე წერილში ს. მესხი სწერს: „გოგებაშვილმა მიიღო ცნობაში ზოგიერთი შენიშვნები და დარიგებები; განსაკუთრებით მოსწონს იმას შენი „მანერა — изложение“ და ფრაზების არ ყოფა შენს სტატიაში“ (ს. ხუნდაძე, მასალები, გვ. 67).

138. იგულისხმება გიორგი წერეთელი.

139. 1870 წ. 15 თებერვლით დათარიღებულ წერილში ს. მესხი კირილეს ამ შეკითხვაზე ასეთ პასუხს აძლევს: „გ. წერეთელი ასწავლის კი ქართულ ენას რეალურ გიმნაზიაში, მაგრამ მასწავლებლად ჯერაც არ დაუმტკიცებიათ“ (ს. ხუნდაძე, მასალები, გვ. 74).

140. იგულისხმება ალექსანდრე ცაგარელის წერილი „ჩვენ იუბელური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“, რომელიც დაიბეჭდა „დროებაში“ („დრ“, 1870, №№ 3, 4, 6, 7).

141. იგულისხმება ნიკო ნიკოლაძე.

142. ბერძენოვი — ნიკოლოზ გიორჯის ძე შერძენიშვილი (1831—1874) — ისტორიკოსი, ეთნოგრაფი და პუბლიცისტი. თანამშრომლობდა „ცოსკარში“, „კავკაზსა“ და „კავკასიის კალენდარში“. ერთხანს რედაქტორობდა გაზეთ „კავკაზს“.

143. იგულისხმება ნიკო ნიკოლაძე.

144. დედანი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში, სმ, № 36. ეს წერილი წარმოადგენს პასუხს ს. მესხის 1870 წ. 15 თებერვლით დათარიღებული წერილისას (ს. ხუნდაძე, მასალები, გვ. 70—74).

145. იხ. ს. ხუნდაძე, მასალები, გვ. 71—72.

146. იმაშვილი (ინაძე) — ნიკოლოზ (ნიკო) ინაშვილი (?—1870) — პუბლიცისტი და პედაგოგი (ასწავლიდა ფრანგულ ენას ფავრის პანსიონში). თანამედროვენი მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა. ნ. ნიკოლაძემ მასზე მოათავსა ნეკროლოგი გაზეთ „დროებაში“ („დრ“, 1870, № 45, გვ. 3).

147. იხ. ს. ხუნდაძე, მასალები, გვ. 72.

148. იხ. ნ. ინაშვილის 1870 წ. 26 აპრილით დათარიღებული წერილი ს. მესხისადმი (ხელნაწერთა ინსტიტუტი, სმ, № 40). ამ წერილში ნ. ინაშვილი აცნობებს ს. მესხს, რომ, მას გამოცდებთან დაკავშირებით ჯერ-ჯერობით არ შეუძლია გაუგზავნოს სტატიები დასაბეჭდად.

149. 1870 წ. 15 თებერვლით დათარიღებულ წერილში ს. მესხი სწერს კირილეს: „ამ წლიდან „დროების“ რედაქციას აქვს შეძლება ლონორარი აძლიოს თავის თანამშრომლებს. ეს საქმე იცოდე საიდუმლოა; შენ და ინაშვილის მეტმა ამ საქმეზე არავინ არაფერი არ უნდა გაიგოს. მე ჩემი მიზნებზე მაქვს...“ შემდეგ კვლავ დაბეჭდვით სთხოვს: „ერთხელ კიდევ გახოვ, კირილე, ეს ამბავი შენ და ინაშვილის მეტმა არავინ იცოდეს. ამას სხვათა შორის იმიტომ გევედრები, რომ სხვებმა რომ გაიგონ, დაწყებენ წერას და სუსტ სტატიებში ფულებს ითხოვენ“ (ს. ხუნდაძე, მასალები, გვ. 72—73).

150. კ. ლ-ძეს მხედველობაში აქვს ს. მესხის სიტყვა, წარმოთქმული ალექსანდრე ჯამბაჯურ-ორბელიანის<sup>104</sup> დაკრძალვაზე. ეს სიტყვა შემოკლებით დაიბეჭდა. 1869 წ. გაზეთ „დროებაში“ (№ 52); ამჟამად იხ. ს. მესხი, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1962, გვ. 47—49.

151. იხ. ს. ხუნდაძე, მასალები, გვ. 73.

152. იგულისხმება ნ ი კ ო ნ ი კ ო ლ ა ძ ე.

153. ალ. ცაგარელი თავის სტატიაში მადლობას უძღვნის მ. ბეთანიშვილს „კაცია-აღამიანის?!“ ცალკე წიგნად დაბეჭდვის გამო („დრ“, 1870, № 3).

154. იგულისხმება ნ ი კ ო ნ ი კ ო ლ ა ძ ე.

155. იგულისხმება გ ი ო რ გ ე წ ე რ ე თ ე ლ ი.

156. იხ. ს. ხუნდაძე, მასალები, გვ. 70.

157. ლეო გუტმანი — შპილჰაგენის რომანის მთავარი მოქმედი პირი.

158. Современник — ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალი. გამოდიოდა პეტერბურგში 1836—1866 წლებში. მისი დამაარსებელი იყო ა. ს. პუშკინი; თანამშრომლები: გოგოლი, ვიაზემსკი, ოდოევსკი, ტრუტჩევი და სხვ. 60-იან წლებში ამ ჟურნალში თანამშრომლობდნენ: მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინი, ნ. გ. პომიალოვსკი, ნ. ე. უსპენსკი.

159. ნაზარიშვილი დიმიტრი (1854—1927) — ჟურნალისტი. გაზ. „შრომის“ რედაქტორ-გამომცემელი, მედიცინის დოქტორი. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა უმთავრესად ქუთაისში. მის სახლში ხშირად იყრიდა თავს ქუთაისის იმდროინდელი ინტელიგენცია.

160. დედანი დატულია ქკლ, № 456.

161. „კვალი“ — 1893—1904. „სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი“. თბილისი. რედაქტორი: გ. წერეთელი (1893—1903); რედ.-

გამ. — ან. თუმანიშვილი-წერეთლისა (1893—1903); რედ.-გამ. — ნ. ი. ალექსიევი-მენსტიევი (1903—1904)“.

162. კ. ლ-ძეს მხედველობაში აქვს ექიმ ვახტანგ ლამბაშიძის წერილი („ეკ“, 1899, № 50, გვ. 859). დ. ნაზარიშვილის საწინააღმდეგოდ. წერილი გამოქვეყნდა „მწყემსშიაც“ („მწყ“, 1899, № 22, გვ. 5—7); დ. ნაზარიშვილის საპასუხო წერილი იხ. „მწყ“, 1900, № 1—2.

163. დედანი ინახება ქელ, № 467. წერილი შავად არის დაწერილი. ჩანს, დასაწყისში ის მიმართული იყო ნ. ნიკოლაძისა და ს. მესხისადმი, ხოლო შემდეგ მიმართვაში კირილეს სერგეი გადაუხაზავს.

164. იგულისხმება ნ. ნიკოლაძის 1870 წ. 3 ივნისით დათარიღებული წერილი კირილესადმი, იხ. აქვე, გვ. 170—172.

165. იგულისხმება გ ი ო რ გ ი წ ე რ ე თ ე ლ ი.

166. გაზეთ „დროების“ № 16 ნ. ნიკოლაძემ გამოუშვა. ამის შესახებ ის თვით სწერს კირილეს, 1870 წ. 3 ივნისით დათარიღებულ წერილში, იხ. აქვე, გვ. 171.

167. „ჩ ე ე ნ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ს ა ქ მ ე ე ბ ი“ ეკუთვნის ნ. ნიკოლაძეს („დროების“ მე-16 ნომერში (24/IV) დაბეჭდილია ამ სტატიის I თავი. მე-17-ში (2/IV)—II და III თავები, მე-18-ში გაგრძელება არ არის, მე-19-ში (15/V დაბეჭდილია IV თავი).

168. იგულისხმება გ ი ო რ გ ი წ ე რ ე თ ე ლ ი.

169. ნ. ნიკოლაძის სტატია „ქვეითათ და რკინის გზაში (მოგზაურის შენიშვნები)“ დაიბეჭდა „დროებაში“ სკანდელის ხელმოწერით („დრ“, 1869, №№ 33, 34).

ნ. ნიკოლაძის ამ წერილზე, როგორც ჩვენ გამოვამყლავნეთ, დადებითი რეცენზია დაუწერია კ. ლორთქიფანიძეს (იხ. „წიგნი რედაქტორთან“, „დრ“, 1869, № 36, 4 (16) სექტემბერი. ხელს აწერს: „ერთი თქვენი გაზეთის მკითხველთაგანი“). ამ წერილში კ. ლ. გამოთქვამს საყურადღებო აზრს მხატვრული ნაწარმოების შინაარსისა და ფორმის ურთიერთობაზე და ამავე დროს მაღალ შეფასებას აძლევს სკანდელის (ნ. ნიკოლაძის) დასახელებულ სტატიას. წერილის დასასრულს კ. ლ. წერს: „არ შეგვიძლია არ დაუმადლოთ უ. სკანდელს, რომელმანც რამდენიმე მშვენიერი აზრის გამოთქმა და თავის მოგზაურობის აწერა მოახერხა ისე, რომ ყოველი ჩვენი მკითხველი სიამოვნებით და არც უსარგებლოთ წაიკითხავს იმის „შენიშვნებს“ (ამ სტატიას კ. მეძველია მძიჩნევს კ. ლ-ძის კერძო წერილად ნ. ნიკოლაძისადმი (კ. მეძველია, თერგდალეული კირილე ლორთქიფანიძე, თბ., 1965, გვ. 120).

170. კ. ლ-ძეს მხედველობაში აქვს ს. მესხის 1870 წ. 2 ივნისით დათარიღებული წერილი (ს. ხუნდაძე, მასალები, გვ. 78).

171. კ. ლ-ძეს მხედველობაში აქვს ნ. ნიკოლაძის ხელმოწერილი სტატია „რედ აქციის შენიშვნა“, რომელშიაც წერილის ავტორი მკაცრად

აკრიტიკებს თანამედროვე პოეტებს. „ისე კვირა არ გასულა, —წერს ნ. ნ., რომ რამდენიმე ლექსი არ მოგვეგლოდეს დასაბეჭდათ... რა ნაყოფი გამოიღო ამ ლექსებსა ბეჭდვამ?... ჩვენ გვგონია, რომ დიდი არაფერი. ლექსები ჩვენ ბევრი შეგვეძინა, მაგრამ ჩვენ პოეზიას და ლიტერატურას ამით არა მომატებია რა...“

172. კ. ლ-ძეს მხედველობაში აქვს ს. მესხის 1870 წ. 2 ივნისით დათარიღებული წერილი (ს. ხუნდაძე, მასალები, გვ. 78).

173. იგულისხმება მ. ბეთანიშვილის 1869 წ. 18 მაისით დათარიღებული წერილი, რომელშიაც საყვედურობს ს. მესხს მისი სტატიის დამახინჯების გამო (ხელნაწერთა ინსტიტუტი, სმ, № 39).

174. იგულისხმება კ. ლ-ძის 1870 წ. 20 იანვრით დათარიღებული წერილი ს. მესხისადმი, იხ. აქვე, გვ. 77—81.

175. იგულისხმება გიორგი წერეთელი.

176. იხ. ს. ხუნდაძე, მასალები, გვ. 78.

177. ჭალადიდელი — ფსევდონიმი პოეტ გიორგი მაქსიმეს ძე ქოჩიაძის.

178. იხ. ს. ხუნდაძე, მასალები, გვ. 78.

179. იგულისხმება ნიკო ნიკოლაძე.

180. როგორც ჩანს, ჭალადიდელის ეს სტატია არ გამოქვეყნებულა.

181. ზურაბ მოენიძე — ანტონ ფურცელაძე (1839—1913) — ნეკრასი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე.

182. „მგზავრის წიგნები“ — გ. წერეთლის მოთხრობა (იხ. „ღრ“, №№ 14, 15, 16, 17, 18).

183. „მნათობზედ“ — „მნათობს“ — ნ. ნიკოლაძის ხელმოუწერელი სტატია („ღრ“, 1870, №№ 20, 21).

184. „ცხელ-ცხელი ამბევები“ — აკ. წერეთლის ხელმოუწერელი ფელეტონი (ღრ., 1870, № 20).

185. „ფელეტონი“ მამიას საქმეზედ — „მამია გურიელის საქმე“ — ნ. ნიკოლაძის ხელმოუწერელი სტატია („ღრ“, 1870, № 7, 26).

მამია დავითის ძე გურიელი (1836—1891) იყო პოეტი, სამხედრო პირი. 1851 წ. შევიდა ქუთაისის გიმნაზიაში, მაგრამ აქ ის დიდხანს არ დარჩენილა. 1853 წ. მამია განწესებულ იქნა გრენადერების პოლკში უნტერ-ოფიცრად. მონაწილეობას იღებდა რუსეთ-ოსმალეთის ომში. 1856 წ. სამხედრო სამსახურს თავი დაანება. 1876 წ. ხელახლა შევიდა სამხედრო სამსახურში. 1880 წ. 4 აპრილს მამია მისცეს სისხლის სამართალში. როგორც ი. მეუნარგია წერს, მ. გ. ბრალდებოდა: „უფლების გადამეტება, მილიციონერების უკანონოდ და ანგარებით შინ დათხოვნა; ანგარებითვე და პირადი სარგებლობისათვის ოფიციალურ დოკუმენტებში ტყუილი ცნობების ჩაწერა; იმავე მიზეზის გამო სამსახურის დოკუმენტების შედგენა უკანა რიგებებით,

სახაზინო ფულების ნითვისება, მის ხელქვეითთაგან ჯანაგიროს დაქერა, უსაქ-  
მობა, ვადის მოხელანდის ფულების გაცემა და ჭიღოლებზე უსაფუძლოდ  
წარდგენა, ი. მეუნარგიას გადმოცემითვე ნ. გურიელი შესანიშნავი მკითხვე-  
ლი ყოფილა (იხ. ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, I, გვ. 350—351, 365).

186. „ძველი ამხანაგები ახალ კანში“ — „ძველი მეგობრები  
ახალ კანში“ — ნ. ნიკოლაძის სტატია, სკანდელის ხელმოწერით („დრ“,  
1870, № 23).

187. იგულისხმება ნ. ნიკოლაძის წერილები: „ავსტრიის მდგომარეობა“ („დრ“, 1870, № 23) და „გერმანიის მდგომარეობა (ისტორიული მიმოხილვა)“ („დრ“, 1870, № 25). ორივე ეს სტატია დაიბეჭდა ხელმოწერადა.

188. იგულისხმება ნ. ნიკოლაძის „ატტილის საქმე“ („დრ“, 1870, № 25), რომელიც გ. ჭიფანის ფსევდონიშითაა გამოქვეყნებული.

189. იგულისხმება ნ. ნიკოლაძის ფელეტონი „მანგლისის გზაზე“ („დრ“, 1870, № 25) — დაიბეჭდა ნ. სკანდელის ხელმოწერით. წერილი მიმართულია მოსე ქეჭოძის საწინააღმდეგოდ.

190. ზღაპარი — იგულისხმება აკ. წერეთლის პოემა — ზღაპარი „ალექსის“, რომლის პირველი ორი თავი დაიბეჭდა 1869 წ. ნოემბერ-დეკემბერში ეურნალ „მნათობში“, ხოლო დანარჩენი — 1870 წ. იმავე ეურნალის იანვრის ნომერში. ეს პოემა აკ. წერეთელმა მიუძღვნა თავის შვილს — ალექსის, რომელიც 1869 წ. დაიბადა. ნაწარმოები ალგორიული ხასიათისაა. მიმართულია ცარისტული რუსეთის წინააღმდეგ. პოემის მოქმედ პირებში — მელაში იგულისხმება მეფის რუსეთი, ხოლო ცხვარში — საქართველო.

191. კ. ლ-ის მხედველობაში აქვს ნ. ნიკოლაძის 1870 წ. 3 ივნისით დათარიღებული წერილი, აქვე, გვ. 170—172.

192. კ. ლ-ის კვლავ მხედველობაში აქვს ნ. ნიკოლაძის 1870 წ. 3 ივნისით დათარიღებული წერილი, აქვე, გვ. 170—172.

193. ალექსანდრე მიქელაძე — ქუთაისელი თავადი, რომელმაც თავისი სურვილით გლეხებს დაუთმო მამულები („სასგ“, 1874, № 19, გვ. 2, 3).

194. „ერთი თვალის გადავლებით“ — „ერთი თვალის გადავლება კაცის ისტორიულ ცხოვრებაზე“ — კ. ლ-ის ხელმოწერილი სტატია („დრ“, 1870 № 17).

195. იხ. ნ. ნიკოლაძის 1870 წ. 3 ივნისით დათარიღებული წერილი, აქვე, გვ. 172.

196. ნ. ნიკოლაძის მამა — იაკობ მამუქას ძე ნიკოლაძე ეწეოდა ვაჭრობას. ამ მიზნით ლაპციგშიაც უმოგზაურია. შემდეგში ვაჭრობდა ნიენი ნოვგოროდსა და რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში.



197. იხ. ნ. ნიკოლაძის 1870 წ. 4 ივნისით დათარიღებული წერილი, აქვე, გვ. 170.

198. იგულისხმება ვლადიმერ იაკობის ძე ნიკოლაძე (ნ. ნიკოლაძის ძმა) — პუბლიცისტი. გარდაიცვალა ციურისში.

199. პავლე თუმან. — პ ა ვ ლ ე თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი — სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში 1857—1861 წწ. შემდეგში ის იყო ქუთაისში ქალაქის სათათბიროს ხმოსანი.

200. იხ. ნ. ნიკოლაძის 1870 წ. 11 მარტით დათარიღებული წერილი. ქკლ, № 751.

201. კ. ლ-ძეს მხედველობაში აქვს ს. მესხის 1870 წ. 29 მარტით დათარიღებული წერილი (ს. ხუნდაძე, მასალები, გვ. 76).

202. იხ. ს. მესხის 1870 წ. 29 მარტით დათარიღებული წერილი (ს. ხუნდაძე, მასალები, გვ. 76).

203. იხ. კ. ლ-ძის 1870 წ. 10 მარტით დათარიღებული წერილი ს. მესხისადმი. აქვე, გვ. 81—85.

204. იხ. ს. მესხის 1870 წ. 29 მარტით დათარიღებული წერილი (ს. ხუნდაძე, მასალები, გვ. 76—77).

205. ლესინგი — გოტჰოლდ ეფრიაჰ ლესინგი (1729—1781). გერმანელი მწერალი, კრიტიკოსი.

206. ტენი — იპპოლიტ ტენი (1829—1893)—ფრანგი მეცნიერი, ფილოსოფოსი, ხელოვნებისა და ლიტერატურის თეორეტიკოსი.

207. ალ. ცაგარელი თავისი სტატიის „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“ შენიშვნაში წერს: „ამ კრიტიკულ განხილვაში მე მაქვს სახეში უშეგნად ლესინგის და ტენის პაზრები ლიტერატურულ-ესთეტიკურ თეორიაზედ, როგორც უკეთესი კრიტიკოსებისა, რომელნიც უმთავრეს აზრებში თანახმანა არიან“.

208. ჩერნიშევსკი — ნიკოლოზ გაბრიელის ძე ჩერნიშევსკი (1828—1889)—დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი, მწერალი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი.

209. პრუდონი — პიერ ჟოზეფ პრუდონი (1809—1865)—ფრანგი სოციალისტ-უტოპისტი, ანარქიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელთაგანი.

210. ქიქოძე — მოსე ქიქოძე (გარდ. 1909) — საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ჟურნალ „მნათობის“ აქტიური თანამშრომელი (მისი დახასიათება იხ. „ივ“, 1898, № 134, გვ. 3. ხელს აწერს ზიარელი—მთავარიშვილი თომა).

211. კ. ლ-ძეს მხედველობაში აქვს მ. ქიქოძის სტატია „საქართველოს მომავალი“ („მნ“, 1870, № 1).

212. იგულისხმება ნიკონიკოლაძე.

213. ბარათაშვილი — ნიკოლოზ ბარათაშვილი (1817—1845)—დიდი ქართველი პოეტი, რომანტიკოსი.

214. ერისთავი — გიორგი ერისთავი (1813—1864) — ქართული რეალისტური დრამატურგიის ფუძემდებელი. დიდი საზოგადო მოღვაწე, უფრონალ „ცისკრის“ რედაქტორი და პირველი ქართული თეატრის დირექტორი.

215. ჭავჭავაძე — ილია ჭავჭავაძე (1837—1907) — დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

216. ანტონოვი — ხურაბ ანტონოვი (1820—1854) — დრამატურგი, გ. ერისთავის სკოლის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი.

217. იგულისხმება გიორგი წერეთელი.

218. იგულისხმება ს. მესხის 1870 წ. 29 მარტით დათარიღებული წერილი (ს. ხუნდაძე, მასალები, გვ. 77).

219. იხ. ს. მესხის 1870 წ. 2 ივნისით დათარიღებული წერილი (ს. ხუნდაძე, მასალები, გვ. 79).

220. იხ. ს. მესხის 1870 წ. 2 ივნისით დათარიღებული წერილი (ს. ხუნდაძე, მასალები, გვ. 79).

221. იგულისხმება გრიგოლ ლორთქიფანიძე?

222. ამას ადასტურებს ნ. ლოლობერიძის 1862 წ. 13 ივლისით დათარიღებული წერილი კირილესადმი („ლიტერატურული აქარა“, 1865, № 1; დედანი ინახება ქკლ, № 825).

223. აფხაზი — ალექსანდრე აფხაზი — სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში, შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე (კ. მეძველია, თერგდალეულები, გვ. 160).

224. სიმონ მიქელაძე — სიმონ დიმიტრის ძე მიქელაძე — სამხედრო პირი. სამსახური დაიწყო 1853 წ. იუნკრად ქართველ გრენადერთა პოლკში. 1854 წ. მონაწილეობას იღებდა თურქებთან ბრძოლაში. დაჯილდოებული იყო წმ. გიორგის მეოთხე ხარისხის ორდენით. 1872 წ. მიიღო პოდპოლკოვნიკის ჩინი. 1877 წ. თურქეთის ომში ხელმძღვანელობდა ქუთაისის ცხენოსან ჯარს. 1877 წლის 18 მაისს მოკლულ იქნა კოდორთან (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ვეიდენბაუმის არქივის კარტოთეკა; „ტიფ. ვესტ.“ 1877, № 114, ქკლ, № 406).

225. კ. ლ-ძეს მხედველობაში აქვს ს. მესხის 1870 წ. 15 თებერვლით დათარიღებული წერილი (იხ. ს. ხუნდაძე, მასალები, გვ. 71).

226. იხ. კ. ლ-ძის 1870 წ. 20 იანვრით დათარიღებული წერილი ს. მესხისადმი, აქვე, გვ. 77—87.

227. იხ. ს. მესხის 1870 წ. 29 მარტით დათარიღებული წერილი კირილესადმი (ს. ხუნდაძე, მასალები, გვ. 75).

228. დობროლუბოვი — ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე დობროლუბოვი (1836—1861) — რუსი ფილოსოფოსი, კრიტიკოსი.

229. ანტონოვიჩი — მაქსიმე ალექსის ძე ანტონოვიჩი (1835—1918) — ცნობილი რუსი კრიტიკოსი, პუბლიცისტი, ფილოსოფოსი.

230. უუკოვსკი — ვასილ ანდრიას ძე უუკოვსკი (1783 — 1852) — გამოჩენილი რუსი პოეტი, რუსული რომანტიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

231. Современник — ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალი, გამოდიოდა პეტერბურგში 1836—1866 წწ. მისი დამაარსებელი იყო ა. ს. პუშკინი, თანაშრომლები: გოგოლი, ვიახეშსკი, ოდოევსკი და სხვ. 60-იან წლებში ანტურნალში თანაშრომლობდნენ: მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინი, ნ. გ. პომიალოვსკი, ნ. ვ. უსპენსკი.

232. კ. ლ-ძის „განცხადება“ — „უცნაური სამოქალაქო მამაცობა უფ. ბეთანიშვილისა“ (იხ. ქკლ. № 460) წარმოადგენს პასუხს „დროებაში“ გამოქვეყნებულ წერილსა — „შენიშვნა უფ. მ. ბეთანიშვილისა „კაცია-აღამიანის“ გამოცემაზედ“ (დრ., 1870, მარტის 12, № 10). ამ სტატიაში მ. ბეთანიშვილი აღიარებს, რომ „კაცია-აღამიანი?!“ გამოსცა არა პირადად მან, არამედ პეტერბურგში დაარსებული ჯგუფის აზნაგობამ, მაგრამ თუ რატომ დააწერა წიგნს გამომცემლად მხოლოდ საკუთარი თავი, ამის შესახებ ის თითქმისდა საპატიო მიზეზების გამო შეგნებულად დუმს.

233. შორაპნელ ბლადოჩინში ოგულსხმება დავით დამბაშიძე (1837—1910) — სასულიერო პირი, დეკანოზი, საზოგადო მოღვაწე, ჟურნალ „მწყემსის“ გამომცემელი (1883—1900).

როგორც ჩანს, დავით დამბაშიძესა და გერასიმე კალანდარაშვილს შორის ჩამოვარდნილი იყო უსიამოვნობა (იხ. „მწ“, 1870, იანვარი). ს. მესხი ამ უკანასკნელს უპერდა მხარს. კ. ლ-ძის არქივში დაცულია დ. დამბაშიძის წერილი აკ. წერეთლისადმი (ქკლ, № 834), რომელშიაც ის საყვედურს გამოთქვამს ს. მესხის მიმართ იმის გამო, რომ „ის არ უბეჭდავს წერილსა და კორესპონდენციას გ. კალანდარიშვილზე“.

234. კ. ლ. გულისხმობს ს. მესხის 1870 წლის 2 ივნისით დათარიღებულ წერილს, რომელშიაც სერგეი სწერს „არც ისეთი ახალგაზრდა პოეტების ხელის კვრავა საქები, როგორც მაგ. ქალაღიდელი, რომელსაც უქვევლია ნიქი აქვს და რომელსაც, შეიძლება, ხელები ჩამოეშვას“ (ს. ხუნდაძე, მასალები, გვ. 78).

235. თუ რატომ არ დაბეჭდა კ. ლ-ძის ეს „გამოცხადება“ ს. მესხმა, იხ. ნ. ნიკოლაძის 1870 წ. 13 სექტემბრით დათარიღებული წერილი, აქვე, გვ. 174.

236. დედანი ინახება ქკლ, № 392.

237. 1873 წ. ს. მესხის საზღვარგარეთ გამგზავრებასთან დაკავშირებით „დროების“ რედაქტორად კ. ლ. დაინიშნა.

238. დედანი დაცულია ნ. ნიკოლაძის არქივში, № 14—231.

239. 1871 წ-დან ნ. ნიკოლაძე დაკავებული იყო ტყიბულის მალაროების დამუშავებით. ამ საქმიანობასთან დაკავშირებით მას დიდი დავა უზღებოდა სხვადასხვა პირთან. საქმე ირჩეოდა წლების განმავლობაში სასამართლოში.

240. უთუოდ ლაპარაკია გ. წერეთლის სტამბაზე, რომელიც მან იჯარით შეიძინა 1870 წ. დუბელირისაგან (იხ. კ. ლორთქიფანიძის 1871 წ. 4 თებერვლით დათარიღებული წერილი მ. ჭავჭავაძისადმი, აქვე, გვ. 144 ).

241. ბებუთოვი—კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ბებუთოვი (გარდ. 1907) — საზოგადო მოღვაწე. 1873 წ. კ. ბებუთოვმა თბილისში დააარსა პირველი რუსული გაზეთი „ტიფლისკი ვესტნიკი“. ამ გაზეთის რედაქტორობდა 1874 — 1878 წლებში. 1878 წ. მიემგზავრება პეტერბურგში, სადაც იგი თანამშრომლობდა „გოლოსში“ და „პორიადოკში“. თბილისში დაბრუნებისას რედაქტორობას უწევდა ჯერ „ნოვოე ობოზრენიეს“, ხოლო შემდეგ—„არძაგანის“ (გამოცხილი) რედაქციებს. ბებუთოვი ხშირად აქვეყნებდა ფელეტონებს „Зритель“-ის ან „Зр“-ს ფსევდონიმით (Г. Туманов, Характеристики и Воспоминания, кн. ш, Тиф., 1908, გვ. 45—56).

242. იგულისხმება «Тифлисский Вестник. газета литературная и политическая». გაზეთის დამაარსებელი — კ. ბებუთოვი. 1873—1876 წლებში გამოდიოდა სამჯერ კვირაში; 1877 — 1882 წლებში — ყოველ დღე (გარდა ორშაბათისა). გაზეთის პირველი რედაქტორი იყო ლუბნიკოვი, 1874—1878 წლებში—კ. ბებუთოვი, 1879 წ.—დ. ერისთავი, 1880 წ.—ჩიქოვანი. 1883 წ. ამ გაზეთის გამოცემა შეწყდა.

243. დედანი ინახება ქკლ, № 544.

244. პ. უმიკაშვილის ამ წერალს ვერ მივაკვლიეთ.

245. როსელიანი— გენატეონის ძე იოსელიანი (1843—1929) — ცნობილი ხალხოსანი. ხალხოსნურ მოძრაობაში მონაწილეობის გამო დაპატიმრებულ იქნა 1876 წ., ხოლო 1878 წ. გადაასახლეს ორენბურგში.

246. ვფიქრობთ, „ანბანში“ უნდა იგულისხმებოდეს კ. ლ-ძის ორიგინალური შრომა „კითხვა-წერის სასწავლებელი წიგნი“, რომელიც კირილემ შეადგინა პეტერბურგში 1869 წ. (დედანი ამ შრომისა იხ. ქკლ, № 461).

247. დედანი ინახება ქკლ, № 541.

248. იგულისხმება გოგვი წერეთელი.

249. კრებული — სალიტერატურო ეურნალი. გამოდიოდა თბილისში 1871—1873 წლებში, რედაქტ.-გამომც. — გ. წერეთელი. „კრებულის“ დაარსებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ნ. ნიკოლაძემ და კ. ლორთქიფანიძემ.

250. დედანი ინახება ქკლ, № 409.

251. იგულისხმება დიმიტრი ყიფიანი (1814—1887) — გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი.

252. „რომეო და ჯულიეტა“ — შექსპირის ცნობილი ტრაგედია.

253. დავით ერისთავი (1847—1890)—მწერალი, ეურნალისტი და თეატრალური მოღვაწე. თანამშრომლობდა „დროებაში“, „კვალში“, „ფალნგაში“, „კაკაოში“, „ტიფლისკი ვესტნიკში“, „გოლოსში“. 1882—1884 წლებში რე-

დაქტორობდა გაზ. „აკაკიას“. 1881 წ. ვადმოაკეთა ფრანგული ენიდან სარდუს ცნობილი პიესა „სამშობლო“ და თვითონვე დადგა ქართულ სცენაზე. მანვე გამოსცა ა. ს. გრიბოედოვის კომედია „უკუ ქვესაგან“ ახალი ვარიანტებითა და შენიშვნებით. დ. ე. წერდა ფსევდონიმებით „გლუზარჩი II“, „ნალექსტვენი პოეტი“, „ზადეკაშვილი“.

254. როგორც ჩანს, წერაში ლაპარაკია მეორე ლიტერატურულ საღამოზე. იხ. შენიშვნა 53. ამ საღამოს პროგრამაში, რომელიც დაუკლია ქელ. № 1130, შეტანილია „რომეო და ჯულიეტა“.

255. დედანი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში. აწ. № 531.

256. ჭეჭილი — საბავშვო ეურნალი (1890—1924). რედაქტორ-გამომცემელი — ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისა (1890—1922).

257. გაზაფხული — იგულისხმება აკაკის ლექსი „გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი ს მ ა ყ რ ე ბ ი“, რომელიც დაიბეჭდა 1893 წ. ეურნალ „ჭეჭილში“. № 2, გვ. 35.

258. იგულისხმება აკაკის ლექსი „ს ა ნ ა მ ვ ი ყ ა ე ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა“ („აკვ“, 1893, № 3, გვ. 7), რომელიც პედიმისტური განწყობილებიდან.

259. ხალაშური — „ს ა ლ ა მ უ რ ი ა ნ უ ლ ე ქ ს თ ა კ რ ე ბ ა ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა მ წ ე რ ა ლ თ ა, გ ა მ ო ც ე მ უ ლ ი ზ ა ქ ა რ ი ა კ ი ჭ ი ნ ა ძ ი ს ნ ი ე რ. ტ ფ ლ ე ს ი, ე. ხ ე ლ ა ი ს ს ტ. 1877“.

260. აკლდამება — ტური, ევგენია (სალიძის). აკლდამები ქრისტიანობის პირველ საუკუნეთა ცხოვრების ამბავი ან. და ეკ. ნიკოლაძის ქალების ხათარგმნი. ქუთაისი, ნ. ი. გამრეკელის სტ., 1893.

261. 1893 წ. კ. ლ-მეს განზრახული ჰქონდა გამოეცა ცალკე წიგნად აკ. წერეთლის ლექსთა კრებული „სალამურის“ სახელწოდებით.

262. აკ. წერეთლის თხზულებათა I ტომი გამოვიდა 1893 წელს.

263. საპასუხო წერილში აკაკი ასე სწერს კირილეს: „ჩემმა ამხანაგებმა მოდათ შემოდღეს, რაც უნდათ, უჩემოთ ბეჭდავენ და რაც არა, მე მაბრალე-ბენ — აკაკიმ არ გაუშვაო და თავმოყვარე ავტორებისაგან მოსვენება აღარ არის! დღეში ათობით და ოცობით მოგვდის საყვედურისა და ლანძღვის წერილები. იმათ ლანძღვას გაუძლებ, მაგრამ ზედ რომ შენი საყვედურიც დაერთო, ის კი არ მიამა... მით უფრო, რომ ტყუილი იქნები შეგპარვია ჩემ შესახებ. მე დიდათ მსურდა, რომ „სალამური“ ყველაზე ადრე ყოფილიყო გამოცემული, მაგრამ არ მოხერხდა... არა და რა ჩემი ბრალია... კომიტეტში ორჯერ ვიყავი, რაფაილთან სამჯერ და მითხრეს გავგზავნეთო! როდის? რა ნომრით? რა დღეს? რომ მიეყვარე ეგ სულ ერთად, დავეიჭერე გავგზავნილიაო, რაღა მექნა, ჩხუბს ხომ ვერ დავიწყებდი? შენ კი სულ სხვასა ფიქრობ!.. ვანა მე ჩემი თავის მტერი ვარ? — რაც შეეხება ლექსის გარდაბეჭდვას, ეგ ჩემის აზრით, რას უშლის, მაინც გაიყიდება და თუ გგონია ვიზარალებთ, გამოსაცემი ფული ჩემია და თუ გინდა, დღესვე შემოვიტან — ვინ გითხრა, რომ

მე შენზე ცუდად რამესა ვფიქრობ?... „გაზაფხული“ რომ მოგწონებია, ძალიან მიაძამა...” (აქ. წერეთელი, თხზ. სრ. კრ. ტ. XV., თბ., 1963, გვ. 50—51).

264. დედანი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში, აწ, № 529.

265. აქ. წერეთლის „მე დეა“ (პიესა) გამოქვეყნდა 1895 წ. გაზეთ „კვალში“, №№ 2, 3, 25; სრულად დაიბეჭდა აკაკის კრებულში, 1897, № 2.

266. დედანი ინახება ქკლ, № 576. წერილი დაწერილია შავად.

267. კირილეს ეს წერილი წარმოადგენს პასუხს გ. წერეთლის 1865 წლის 9 ივლისით დათარიღებული წერილისას (იხ. აქვე, გვ. 189—190), რომელშიაც გიორგი უსაყვედურებს კირილეს იმის გამო, რომ აფხაზთან დადებული პირობა შულგინის ისტორიის გამოცემასთან დაკავშირებით ვერ შეასრულა და რომ თითქოს კირილემ მიითვისა „ჩონგურიდან“ მიღებული შემოსავალი (იხ. აქვე, გვ. 189).

268. გ. წერეთლის 1866 წ. 3 ივლისით დათარიღებული წერილი იხ. „მატხე“, 1966, № 1, გვ. 204—205.

269. იხ. აქვე, გვ. 189.

270. იგულისხმება ვ. შულგინის მიერ შედგენილი წიგნი «Курс всеобщей истории для воспитанников и воспитанниц средних учебных заведений, Киев, 1863.

271. იხ. აქვე, გვ. 189.

272. იხ. აქვე, გვ. 189.

273. ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქოხი“ თარგმნა კ. ლ-ძემ პეტერბურგში. დედანი ინახება ქკლ, № 597.

274. ამას ადასტურებს ნ. ლოლობერიძის 1865 წ. 14 მაისით დათარიღებული წერილიც კ. ლ-ძისადმი (იხ. „ლიტერატურული აჭარა“, ბათუმი, 1965 წ. № 1; დედანი ინახება ქკლ, 824).

275. „რამდენიმე სურათი“ — „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდო ყაჩაღის ცხოვრებიდან“ დაიბეჭდა „ჩონგურში“, 1864, გვ. 129—147.

276. „ნანინა“ — „ნანა — დაიბეჭდა „ჩონგურში“, 1864 გვ. 112 — 116.

277. „სტუდენტების სიმღერა“ — „ქართველი სტუდენტების სიმღერა“ — დაიწერა 1860 წ. პირველად გამოქვეყნდა 1869 წ. „მნათობში“.

278. „ქართველის დედა“ — ქართველის დედას — „ჩონგ“, 1864, გვ. 33—34.

279. ილ. ჭავჭავაძის ეს წერილი, გაგზავნილი კ. ლ-ძისადმი, იხ. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. X, გვ. 107.

280. „სალამური“ — პირველად გამოქვეყნდა „ცისკარში“, 1861, № 3, გვ. 415—417.

281. მართალია, აქ. წერეთელმა დიდი გულგრილობა გამოიჩინა „ჩონ-

გურის“ შედგენისას, მაგრამ შემდეგ ის აღფრთოვანებით შეხვდა ამ კრებულ-  
ლის გამოქვეყნებას და ქების რეცენზიაც დაბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ (იხ.  
„ცის“, 1865, № 9, გვ. 3—21).

282. „სიმღერა მკის დროს“ — „ცის“, 1863, № 7, გვ. 272—274; „ჩონგ“,  
1864, გვ. 108—111.

283. მოგონება“ — „ცის“, 1863, № 6, გვ. 237—239; „ჩონგ“, 1864,  
გვ. 27—30.

284. „გლეხის აღსარება“ — „ცის“, 1863, № 5, გვ. 59—60; „ჩონგ“,  
1864, გვ. 121—122.

285. ზღაპარი — „ცის“, 1862, № 10, გვ. 147—149; „ჩონგ“, 1864, გვ.  
43—46.

286. „წრეს გარდასული წრეში შემოსულს“ — „ცის“, 1862, № 11, გვ.  
94, 95; „ჩონგ“, 1864 გვ. 89—91.

287. „პოეტი და მოქალაქე“ — ნეკრასოვის ცნობილი პოემა, რომლის  
თარგმანი ეკუთვნის კ. ლ-ძეს. ამ პოემით იწყება „ჩონგური“.

288. „მოსუცის ნამბობი“ — რ. ერისთავის პოემა „ნ ა ა მ ბ ბ ი მ ო ხ უ-  
ც ი ს ა“ — „ცის“, 1861, № 1; განსხვავებული ვარიანტით, „ცის“, 1861, № 5,  
„ჩონგ“, გვ. 69—73.

289. „უადის ჭორი“ — რ. ერისთავის „უ ა დ ი ს ჭ ო რ ი ( ა მ დ რ ო ე ბ ი ს  
ა რ ა კ ი )“ — „ცის“, 1861, № 2; „ჩონგ“, 1864, გვ. 69—73.

290. „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო ქალო შავთვალეზიანო“ — ნ. ბარათა-  
შვილის ლექსი, „საქმ“, 1863 № 2, გვ. 189; „ჩონგ“, 1864, გვ. 82—83.

291. „იარალისადმი“ — გრ. ორბელიანის ლექსი, „ცის“, 1858, № 10,  
გვ. 63—66; „ჩონგ“, 1864, გვ. 124—127.

292. აბდუშელიშვილი — დ ა ვ ი თ ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ძ ე ა ბ დ უ შ ე ლ ი-  
შ ვ ი ლ ი ( ა ბ დ უ შ ე ლ ი ) (1841—1919)—ნაფიცი მსაჯული, ქუთაისის ნო-  
ტარიუსი.

საშუალო ცოდნა მიიღო ქუთაისის გიმნაზიაში. 1861 წ. მიემგზავრება პე-  
ტერბურგში, სადაც ის ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ  
ფაკულტეტზე. 1861 წ. სტუდენტთა გამოსვლების დროს დააპატიმრეს. უმალ-  
ლესი სასწავლებლის დამთავრებას შემდეგ ბრუნდება საქართველოში და იწ-  
ყებს მუშაობას ნაფიცი მსაჯულად (კ. მეძველია, თერგდალეულები, გვ. 261—  
262; „დრ“, 1874, №№ 425, 427).

293. „პ ე ვ ე ლ ა“ — ნ. ბარათაშვილის ლექსი — „ჩონგ“, 1864, გვ. 104—  
105.

294. „სიყვარული“ — იგულისხმება ილ. ჭავჭავაძის „მ ა ს ა ქ ე თ რ ა კ ი  
შ ე ნ დ ა მ ი ვ ჰ ს ტ ა ნ მ ე ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი“, „საქმ“. 1863. № 2, გვ.  
190; „ჩონგ“, 1864, გვ. 82. გამოქვეყნდა ხელმოუწერლად.

295. „მუშური“ — აკ. წერეთლის ლექსი. „ცის“, 1863 № 1, გვ. 53—54,  
„ჩონგ“, 1864, გვ. 106—108.

296. „უველაზედ უფრო“ — რობერტ ბერნსის ლექსი, რომლის თარგმანი ეკუთვნის კ. ლ-ძეს.

297. „უველანი ძმანები ვართ“ — რობერტ ნიკოლის ლექსი, გადათარგმნილი კ. ლ-ძის მიერ.

298. „საბრალო გული“ — აკ. წერეთლის ლექსი „საბრალო გული, ვუძღვნით კ. ლორთქიფანიძეს“ — „ის“, 1862, № 4, გვ. 319—321, „ჩონგ“, 1864, გვ. 151—153.

299. ალ. ჭავ. — ლექსანდრე ჭავჭავაძე (1786—1846) — გამოჩენილი ქართველი პოეტი, რომანტიკოსი.

300. გრიგ. ორბელიანი — გრიგოლ ორბელიანი (1804—1883) — გამოჩენილი ქართველი პოეტი, რომანტიკოსი.

301. ბესარ. გაბაშვილი — ბესარიონ გაბაშვილი, ბესიკი (1750—1791) — აღორძინების ხანის ცნობილი პოეტი.

302. გურამიშვილი — დავით გურამიშვილი (1705—1792) — აღორძინების ხანის პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენელი.

303. თუმანოვი — მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილი (1818—1875) — პოეტი, პუბლიცისტი, პირველი ქართველი თეატრალური კრიტიკოსი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე (ნ. ბარათაშვილის მეგობარი).

304. იხ. გ. წერეთლის 1865 წ. 9 ივლისით დათარიღებული წერილი, აქვე, გვ. 189—190.

305. გ. წერეთელი „დროების“ რედაქტორად დაინიშნა 1866 წ.

306. როგორც XIX ს. საზოგადო მოღვაწეთა წერილებიდან ირკვევა, მათ სტუდენტების დასახმარებლად დაუარსებიათ სალარო, რომლის წევრები ყოფილან: ი. ჭავჭავაძე, გ. წერეთელი, ალ. ცაგარელი, დ. ჩუბინაშვილი, ბ. ლოლობერიძე, ი. ოქრომჭედლიშვილი, პ. ჩარეჭიშვილი, დ. ლოლობერიძე, მ. ანდრონიკაშვილი, კ. კლდიაშვილი, ლ. მაღალაშვილი და სხვანი.

307. კონდრატი კლდიაშვილი — სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში კ. ლ-ძესთან ერთად. შემდეგ სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტში. ერთხანს ის და კირილე პეტერბურგში ერთად ცხოვრობდნენ დაქირაებულ ბინაში (ქკლ, № 77).

308. ალოიზ მიზანდარი (1838—1921) — მუსიკოსი. საშუალო ცოდნა მიიღო თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში, შემდეგ სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე.

309. პეტრე ჩარეჭოვი — პეტრე ჩარეჭიშვილი — პუბლიცისტი, გაზ. „დროების“ თანამშრომელი. აქვეყნებდა კორესპონდენციებს ქუთაისის ცხოვრებიდან.

310. რუსულ-ქართულ-ფრანგული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილმა შეადგინა 1846 წ.



311. მის. ანდრონიკაშვილი — მ ი ხ ე ი ლ ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი. 1857—1862 წლებში სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. დაამთავრა ნამდვილი სტუდენტის კანდიდატის ხარისხით (კ. მეძველია, თერგდალეულები, გვ. 156).

312. დ. ბაქრაძე — დ ა ვ ი თ ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ძ ე ბ ა ქ რ ა ძ ე (1838—1918)—საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და ჟურნალისტი, გაზ. „რომის“ ერთ-ერთი დამაარსებელი, ქუთაისის საადგილმამულო ბანკის თავმჯდომარე.

313. აბ. ჩოლოყაშვილი — ა ბ ე ლ ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი — სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში, შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე. მონაწილეობა მიიღო 1861 წ. პეტერბურგელ სტუდენტთა გამოსვლებში (კ. მეძველია, თერგდალეულები, გვ. 156).

314. ჯაბადარი — ი გ უ ლ ს ხ მ ე ბ ა ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ჯ ა ბ ა დ ა რ ი.

315. ლუარ. მაღალაშვილი — გასული საუკუნის 70-იანი წლებში სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. 1860 წ. ითვლებოდა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის I კურსის სტუდენტად (კ. მეძველია, თერგდალეულები, გვ. 160).

316. ილ. ოქრომჭედლიშვილი — ი ლ ი ა ლ ა ზ ა რ ე ს ძ ე ო ქ რ ო მ ძ ე დ ლ ი შ ვ ი ლ ი (1838—1898) — საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორი.

317. დ. წულუკიძე — დ ა ვ ი თ წ უ ლ უ კ ი ძ ე (?). როგორც ჩანს, 80-იან წლებში სწავლობდა პარიზში („დრ“, 1884, № 133, გვ. 2—3).

318. იხ. აქვე, გვ. 127.

319. იხ. „მაცნე“, 1966, № 1, გვ. 205.

320. იხ. „ლიტერატურული აქარა“, ბათუმი, 1965, № 1.

321. იხ. ნ. ლოლობერიძის 1866 წ. 16 იანვრით დათარიღებული წერილი („ლიტერატურული აქარა“, ბათუმი, 1965, № 1).

322. ნ. ლოლობერიძის 1866 წ. 8 ივნისით დათარიღებული წერილი იხ. „ლიტერატურული აქარა“, ბათუმი, 1965, № 1.

323. იხ. ნ. ლოლობერიძის 1866 წ. 8 ივნისით დათარიღებული წერილი („ლიტერატურული აქარა“, ბათუმი, 1865, № 1).

324. ეს სიტყვები წარმოადგენს პასუხს გ. წერეთლის 1866 წლის 3 ივლისით დათარიღებულ წერილზე, რომელშიაც კვითხულობთ: „ნუთუ, ყოველი ჩვენი ახალგაზრდათაგანი მადაურს ჰაერს უნდა შეაჩერდეს და სამშობლოსათვის არ უნდა იფიქროს? ვერიდოთ, ძმაო, რომ მყობადში დედ-მამის მკვლელი არ დაგვიძახონ“ („მაცნე“, 1966, № 1, გვ. 205).

325. უთუოდ იგულისხმება ნ. ნიკოლაძისადმი მიწერილი წერილი, ქკლ, № 595. დაწერილია შავად, მიმართვისა და ხელმოწერის გარეშე.

320. დედანი ინახება ქკლ, № 425.

327. იგულისხნება საზღვარგარეთ გამგზავრების წინ გ. წერეთლის. 1873 წ. ივლისის თვით დათარიღებული წერილი („მაცნე“, 1966, № 1, გვ. 207—208), რომელშიაც გიორგი სთხოვს კირილეს, ჩამოვიდეს თბილისში, დაიკავოს მისი ადგილი გიმნაზიაში და იკისროს სტაჰბის ხელმძღვანელობა.

328. დედანი ინახება ქკლ, № 371.

329. იგულისხნება — ს ე რ გ ე ი მ ე ს ხ ი.

330. დედანი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში, იკ, № 530.

331. ლაპარაკია მეორე ქართულ ლიტერატურულ საღამოზე. იხ. შენიშვნა 53.

332. ჩიქოანი — გ ი ო რ გ ი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ძ ე ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი — ლიტერატორი, მთარგმნელი, თანამშრომლობდა „საქართველოს მოამბესა“ და „კრებულში“. გარდაიცვალა 1887 წ. („იკ“, 1887, № 74, გვ. 1—2).

333. ახვლედიანი — ნ ე ს ტ ო რ ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი — საქართველოში წვრილ სამრეწველო საწარმოთა დამაარსებელი. თბილისში ვარლამოვთან ერთად გახსნა სარაეო სარდაფი და დააარსა ქართლის მებატონეებისათვის თიანეთში ყველას ქარხანა („დრ“, 1871, № 4; 1873, № 399, № 1875, № 24).

334. წერილის ბოლოს მიწერილია ი. ჭავჭავაძის პასუხი:

„ჩემის ფიქრით, რომ გადიდოს საშობაოდ კარგი იქნება, მაგრამ ცუდი არ იქნება, რომ სხვებსაც დაეკოთხო. მე „ქართლის ბედსა“ (I კარი) ვკითხულობ, მხოლოდ „გამოსალმების“ მაგიერ „იარალისადმი“-ს წავეკითხავ. წიგნებს „ჩონგურის“ გარდა ყველას ვიგზავნი.

შენი ილია ჭავჭავაძე.

14. 4. 75“.

335. დედანი ინახება ქკლ, № 487.

336. „შრომა“ — გაზეთი, გამოდიოდა ქუთაისში 1881—1888 წლებში. რედაქტორი — დიმიტრი დადიანი, გამომცემლები — დ. დადიანი, დ. ნაზაროვი.

337. ალ. მირ. ჭყონია — ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ ი რ ი ა ნ ი ს ძ ე კ ყ ო ნ ი ა (1855—1907) — პუბლიცისტი და ჟურნალისტი.

338. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება — ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა შ ო რ ი ს წ ე რ ა - კ ი თ ხ ვ ი ს გ ა მ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ე ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა — დაარსდა 1879 წ. მიზნად ისახავდა ცოდნის გავრცელებას ქართველებში. I სხდომა გაიხსნა 1879 წ. 15 მაისს თბილისში სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის შენობაში, დ. ყიფიანის თავმჯდომარეობით. ამ სხდომაზე არჩეულ იქნა გამგეობა, რომელშიაც შევიდნენ: ილ. ჭავჭავაძე, იაკ. გოგებაშვილი, ივ. მაჩაბელი, ალ. სარაჯიშვილი, რ. ერისთავი, ნ. ცხვედაძე (დაწვრილებით ამ საზოგადოების შესახებ იხ. ტრ. ხუნდაძე).

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, „თბ., 1960, ი. ბოცვაძე, „წერილები“, თბ., 1956).

339. ალექ. ბესარ. ჭიჭინაძე — ალექსი ბესარიონის ძე ჭინაძე (1851—1917) — პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, ეწეოდა თეატრალურ საქმიანობასაც.

340. ესტ. მჭედლიძე — ესტატე მჭედლიძე (ბოსლეველი) (1854—1885) — უბლიცისტი, ლიტერატურის ისტორიკოსი (იხ. ბოსლეველი — ნაწერები, ს. ხუციშვილის რედაქციით, გამოკვლევით, შენიშვნებითა და საძიებლოთ, თბ., 1961).

341. მიხეილ ჭავჭავაძე — მიხეილ ზაქარიას ძე ჭავჭავაძე — ქართველი სტუდენტების მიერ პეტერბურგში დაარსებული „ამხანაგობის“ ერთ-ერთი აქტიური წევრი. „კაცია-ადამიანის?!“ ცალკე წიგნად დაბეჭდვისათვის ფულადი ხარჯები მან გაიღო. ალ. ცაგარლის სტატიის „ჩვენი უბედური მწიგნობრობა“ შენიშვნაში ვკითხულობთ: „ჭეშმარიტად დიდი მადლობის ღირსია მ. ზ. ჭავჭავაძე, რომლის ხარჯითაც დაიბეჭდა ეს წიგნი...“ („ღრ“, 1970, № 2). ამასვე ადასტურებს მ. ბეთანიშვილის 1869 წ. 14 ივლისით დათარიღებული წერილი ს. მესხისადმი. „კაცია ადამიანის“ გამოცემისათვის, — სწერს ბეთანიშვილი, — შემოკსწირა ფული მიხეილ ჭავჭავაძემ — გეცოდნება აქ, რომელმაც ცოლი შეირთო და პსევდონიმს კალუგის გუბერნიაში თავის სოფელში“ (ხელნაწერთა ინსტიტუტი, სმ, № 39). ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე მ. ჭავჭავაძის წერილი კ. ლ-ძისადმი, ქკლ, № 1029.

342. დედანი ინახება ქკლ, № 566.

343. მაჩაბელი — ვასილ მაჩაბელი (ივანე მაჩაბლის ძმა) — იურისტი, საზოგადო მოღვაწე.

80-იან წლებში სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე. ის იყო ე. წ. „ამხანაგობის“ ერთ-ერთი წევრი.

344. ვფიქრობთ, კ. ლორთქიფანიძე იგულისხმება.

345. იგულისხმება — ინგლისელი მწერლის ჯემს გრინველის (1833—1929) რომანი „უპატრონო და უსახლკარო ყმაწვილის ცხოვრება“.

346. ამ რომანის თარგმნა, როგორც ჩანს, კ. ლ-ძეს უყისრია. თარგმანის დედანი ინახება ქკლ, № 593.

347. იგულისხმება კომბის ნაწარმოები „ბავშვების მოვლა“, რომლის თარგმანი დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“, 1870 №№ 1, 2, 3.

348. გარდა „კაცია-ადამიანის?!“ დაბეჭდვისა „ამხანაგობას“ გადაწყვეტილი ჰქონდა დაებეჭდა რუსთაველისა და ერეკლე II-ის სურათებიც. მ. ბეთანიშვილის 1869 წ. 14 ივლისით დათარიღებულ წერილში ვკითხულობთ:

„ახლა ვაბეჭდინებთ „სურამის ციხეს“, დ. ჭონქაძის მოთხრობას და აგრეთვე რუსთაველის სურათსა (ხელნაწერთა ინსტიტუტი, სმ, № 39).

349. დედანი ინახება ქკლ, № 469.

350. იგულისხმება «С. Петербургские Ведомости» — გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1728—1917 წწ. რედაქტორები სხვადასხვა დროს: გ. ფ. მილერი, ი. ი. ტაუბერტი, ი. ფ. ბოგდანოვიჩი, ა. ნ. ოჩკინი, ვ. თ. კორში, ნ. ს. უსოვი, ე. ე. უხტომსკი და სხვ.

351. „ანბანი“, რომლის გამოცემასაც აპირებდა „ამხანაგობა“, უსახსრობის გამო არ დაბეჭდილა (იხ. მ. ბეთანიშვილის 1869 წ. 14 ივლისით დათარიღებული წერილი ს. მესხისადმი, ხელნაწერთა ინსტიტუტი, სმ, № 39).

352. დედანი ინახება ქკლ, № 653.

353. დედანი ინახება ქკლ, № 59.

354. მელიქიშვილი — ს ტ ი ფ ა ნ ე გ რ ი გ ო ლ ი ს ძ ე მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი (1841—1886) (ძმა პეტრე და ეკატერინე მელიქიშვილებისა). 1864 წ. ვ. თულაშვილთან და დ. ბაქრაძესთან ერთად დააარსა ქართული სტამბა, სადაც 1866 წ. დაიწყო გაზ. „დროების“ ბეჭდვა. სტ. მ-ლი ითვლებოდა „დროების“ გამომცემლად.

355. ნ. ყიფიანი — ნ ი ნ ო ბ ე ქ ა ნ ი ს ა ს უ ლ ი ყ ი ფ ი ა ნ ი (1867—1937) — მწერალი, მთარგმნელი (ბეჟან ტატიშვილის ასული, კოტე ყიფიანის მეუღლე).

356. იგულისხმება პეტრე უმიკაშვილი.

357. წერილი ინახება ქკლ, № 57.

358. იგულისხმება — დ ა რ ი გ ე ბ ა მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ლ ი ს ა თ ვ ი ს, თუ როგორ უნდა წაიყვანოს სწავლება წერა-კითხვისა ქართულ ანბანში და პირველ საკითხავ წიგნში. შედგენილი მ. გოგებაშვილის აგან. გამოცემა პირველი. თბილისი, მელიქიშვილის სტ. 1872“.

359. იგულისხმება „საყმაწვილო კონა პირველდაწყებითი მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებრიდან. შედგენილი იაკობ გოგებაშვილის აგან, ნაწ. 1. თფილისი, სტ. ზარაფოვის გამოცემა. ე. ხელაძის სტამბა. 1874“.

360. დედანი ინახება ქკლ, № 56.

361. ლეისტი — ა რ ტ უ რ ლ ა ი ს ტ ი (1852—1927) — გერმანელი მწერალი. საქართველოში ჩამოვიდა 1884 წ. ილ. ჭავჭავაძის მოწვევით. 1885 წ. ლაისტი მეორედ ჩამოდის საქართველოში. შეისწავლა ჩინებულად ქართული ენა. 1886 წ. ლაიპციგში გამოდის მისი წიგნი „საქართველო“, 1887 წ. — ქართველი პოეტების ლექსების თარგმანი „ქართველ პოეტებზე“. ამავე წელს ივ. მაჩაბლისა და ილ. ჭავჭავაძის დახმარებით იწყებს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას გერმანულ ენაზე ლექსად. 1890 წ. „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი გამოდის დრეზდენში. ეს იყო პირველი თარგმანი შ. რუსთაველის პოემისა ევ-

როპულ ენაზე. ლაისტის შრომები „საქართველოს გული“ გამოიცა თბილისში ორ წიგნად (I წ. — 1923, II წ. — 1927).

362. დედანი ინახება ქკლ, № 320. დაწერილია გაზეთ „შრომა“ ოფიციალურ ბლანკზე.

362ა. დედანი ინახება ქკლ, № 320.

363. დედანი ინახება ქკლ, № 319.

364. დედანი ინახება ქკლ, № 285.

365. „მუხთალი“ — რ. ერისთავის ეს ლექსი დაიბეჭდა გაზეთ „შრომაში“, 1882 წ. № 26.

366. დედანი ინახება ქკლ, № 322.

367. დედანი ინახება ქკლ, № 327.

368. „დროების“ უკანასკნელი ნომერი გამოვიდა 1885 წ. 14 სექტემბერს.

369. თეატრი — 1885—1890. საყოველყვირო სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი. გამოდიოდა კვირაობით. რედ.-გამომც. — ვასო აბაშიძე, დროებითი რედაქტორი — ვალერიან გუნია. რედაქტორი — ალექსანდრე ნებიერიძე.

370. დედანი ინახება ქკლ, № 1152.

371. „ნობათი“ — 1883—1885. ყრმათა საკითხავი ყოველთვიური სურათებიანი ჟურნალი პედაგოგიურის დამატებით. რედ.-გამომც. — ანდრია ლულაძე. უმთავრესი თანამშრომლები: რ. ერისთავი, აკ. წერეთელი; ვაჟა-ფშაველა, ეკ. გაბაშვილი, ს. მგალობლიშვილი, მ. ჭანაშვილი, ალ. მირიანაშვილი.

372. იგულისხმება ჟურნალი „ჯეჯილი“ — 1890—1920, 1922—1923 წწ. საყმაწვილო ნახატებიანი ყოველთვიური ჟურნალი. რედაქტ.-გამომცემელი — ან. თუმანიშვილი-წერეთელი.

373. დედანი ინახება ქკლ, № 345.

374. იგულისხმება კ. ლ-ძის [1871 წ. ივლისით] დათარიღებული წერილი, იხ. აქვე, გვ. 65—67.

375. დავით ყიფიანი — დ ა ვ ი თ ქ ა ი ხ ო ს რ ო ს ძ ე ყ ი ფ ი ა ნ ი (1835—1892) — პუბლიცისტი, მთარგმნელი, პედაგოგი.

376. დედანი ინახება ქკლ, № 376.

377. დედანი ინახება ქკლ, № 366.

378. დედანი ინახება ქკლ, № 367.

379. ანდრია ერისთავი — ქუთაისელი მაცხოვრებელი. კ. ლ-ძისა და ნ. ნიკოლაძის ამხანაგი. 900-იან წლებში ის იყო ფოთის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების თავმჯდომარე. თავის საქმიანობასთან დაკავშირებით ხშირი მიწერ-მოწერა ჰქონდა ნ. ნიკოლაძესთან (იხ. ნ. ნიკოლაძის არქივი, 40—1665).

380. დედანი ინახება ქკლ, № 1200.

381. „ქართული ბიბლიოთეკა“ — 1883. ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალი. ქუთაისი. რედ.-გამომც.—ეკატერინე ლორთქიფანიძისა (პ. გ. წულუკიძის სტანბა). თანაშრომლები: ელენე ლორთქიფანიძისა, ანასტასია თუშანიშვილი, ანა მესხი, ანასტასია ბაქრაძე და სხვანი.

382. დავით ლორთქიფანიძე — დ ა ვ ი თ ა რ ჩ ი ლ ი ს ძ ე ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე — უმაღლესი ცოდნა მიიღო მოსკოვის უნივერსიტეტში. კურსი დაასრულა 1873 წ. წერდა კორესპონდენციებს „დროებაში“. უმაღლესის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქუთაისში ვეჟილად. იყო ქალაქის საბჭოს წევრი, ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის ზედამხედველი კომიტეტის წევრი. 1900 წ. არჩეულ იქნა ქუთაისის ქალაქის თავად („ივ.“, 1902, № 120, გვ. 1,2).

383. დედანი ინახება ქკლ, № 283.

384. ს. ზარაფოვი — ს ტ ე ფ ა ნ ე ზ ა რ ა ფ ო ვ ი — თბილისელი მაცხოვრებელი, მეცენატი, ქართული მწერლობის მოყვარული. 70-იან წლებში მან თავისი ხარჯით 15-მდე ქართული წიგნი გამოსცა.

385. გაზეთ „დროებაში“ ვკითხულობთ: „დიდი სიამოვნებით ვატყობინებთ ჩვენს მკითხველებს, რომ უფ. სტ. ზარაფოვმა მოგვანდო შემდეგი საქმე: ის კისრულობს დააბეჭდინოს თავის ხარჯით ქართული სახელმძღვანელო წიგნები პირველდაწყებითი მეცნიერებისა და ამასთანავე მისცეს მათ დამწერებს შრომის ფასი ორას-სამასი მანეთი თითო სახელმძღვანელოში... სტ. ზარაფოვი დიდ ნივთიერ დახმარებას უწევს „დროებასაც“ (იხ. „დრ.“, 1873, № 400).

386. დედანი ინახება ქკლ, № 619.

387. 1873 წ. ივნისის თვეში ს. მესხი გაემგზავრა პარიზში, სადაც მან ერთი წელი დაჰყო.

388. დედანი ინახება ქკლ, № 649.

389. „მიუნხენი“ არის ერთ-ერთი თავი ს. მესხის წერილისა „ხამი შოგზაურის შენიშვნები და ფიქრები“ (სტატია შედგება 10 თავისაგან), რომელიც მას გამოუგზავნია პარიზიდან „დროების“ რედაქციისათვის. ეს თავი დაიბეჭდა 1874 წ. „დროების“ 406-ე ნომერში. სტატია საგრძობლად გადაკეთებული ყოფილა, რის გამოც ს. მესხი ასე სწერდა ეკ. მელიქიშვილს: „ღმერთო ჩემო, როგორ უხვიროთ გადაუკეთებით ეს ერთი თავი („მიუნხენი“) ჩემი მოგზაურობისა. მე ვთხოვე ან როგორც იყო ისე დაებეჭდათ, ან სულ არ დაებეჭდათ...“ (ს. მესხი, „წერილები“, ი. ბოცვაძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, გვ. 106).

390. იგულისხმება ნ ი კ ი ნ ი კ ო ლ ა ძ ე.

391. იგულისხმება კ ი რ ი ლ ე ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე.

392. დათა — დ ა ვ ი თ მ ი ქ ე ლ ა ძ ე (მ ე ვ ე ლ ე) (1844—1918) — პუბლიცისტი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე.

უმალესი განათლება მიიღო საფრანგეთში, 1873 წ. პარიზში ნ. ნიკოლაძესა და პ. იზმაილოვთან ერთად გამოსცა არალეგალური ქართული გაზეთი „დროშა“ (გამოვიდა მხოლოდ 10 ნომერი). შემდეგ თანამშრომლობდა „ივერიაში“. 90-იანი წლებიდან ფაქტიურად ის იყო ამ გაზეთის რედაქტორი. მისი ფსევდონიმებია: „მეველე“, „დ. ყულაშვილი“, „დ. ზურაბიშვილი“ (გ. ლასხიშვილი, მემუარები, ტფ. 1834, გვ. 83, 84, 88, 89, 93, 101, 102, 103, 105; ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, თბ., 1938, გვ. 168, 261, ნ. ნიკოლაძე, რჩ. ნაწ., ტ. II, გვ. 154, 406).

393. „მშაკი“ — სომხური ჟურნალი, რომელიც დააარსა თბილისში ფილოსოფიის დოქტორმა გრიგოლ იერემიას ძე არწრუშმა.

394. გამბეტა — ლ. ე. ო. ნ. მ. ი. შ. ე. ლ. გ. ა. მ. ბ. ე. ა. (1838—1882) — ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე; იბრძოდა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ.

395. მაკ-მაჰონი — მარტი პატრიკ მორის (1808—1898) — ფრანგი მწერალი და მარშალი. 1873 წ. არჩეულ იქნა რესპუბლიკის პრეზიდენტად. 1879 წ.-დან თავს ანებებს პოლიტიკურ მოღვაწეობას.

396. ბაზენი — ფრანსუა — აშოლ (1811—1882) — საფრანგეთის არმიის მარშალი. გერმანელებთან ომის დროს მთელი თავისი არმიით კაპიტულირებულ იქნა, რის გამოც დასწამეს სახელმწიფოს ლაღატი და 1872 წ. მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა, რომელიც შემდეგ 20 წლის პატიმრობით შეუცვალეს. გადაასახლეს წმ. მარგალიტას კუნძულზე, საიდანაც 1874 წ. მიუღწეა დასასჯარებით გამოიქცა და ცხოვრობდა ესპანეთში.

ბაზენის სასამართლო პროცესის უკანასკნელი სხდომა აღწერა ს. მესხბა (თხზულებანი, ტ. I, გვ. 359—361).

397. იზმაილოვი — პავლე იზმაილოვი (1852—1895) — ქურნალისტი და პუბლიცისტი. 1873 წ. პარიზში ნ. ნიკოლაძესთან და დ. მიქელაძესთან ერთად გამოსცა ქართული გაზეთი „დროშა“. პ. იზმაილოვი იყო საზღვარგარეთ დაარსებული ქართული ჯგუფის „უღელის“ ერთ-ერთი აქტიური წევრი. 1869—1882 წწ.-ში თანამშრომლობდა ქართულ, რუსულ და სომხურ ჟურნალ-გაზეთებში. 1878 წ. რედაქტორობდა გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკს“. 1893 წ. არჩეულ იქნა თბილისის ქალაქის თავად (იხ. ნეკროლოგი, „კვ“, 1895, № 12, გვ. 1—3).

398. იგულისხმებიან კოტე და დავით მესხეები — ს. მესხის უმცროსი ძმები. კოტე მესხი (1859—1914) — გამოჩენილი ქართველი მხატვარი (იხ. თეატრალური საზოგადოების მიერ გამოცემული წიგნი „კოტე მესხი“, თბ., 1953). დავით მესხი — ლიტერატორი, ავტორი წიგნისა „მოგონებანი“, თბ., 1940 წ.

399. დედანი ინახება ქკლ, № 626.

400. დედანი ინახება ქკლ, № 624.

401. დედანი ინახება ქკლ, № 655.

402. ესტატე იოსელიანი — დროდადრო წერდა კორესპონდენციებს გაზეთ „დროებაში“ (იხ. „დრ“, 1879, № 148, გვ. 2).

403. დედანი ინახება ქკლ, № 708.

404. უთუოდ იგულისხმება ივ. კერესელიძის მიერ გადათარგმნილი ევგენი ტურის „კატაკომბი,“ ისტორიული ამბავი, მომხდარი IV საუკუნის დასაწყისში, ქრისტეს დაბადების შემდგომს“ („ცის“, 1973, № 34, გვ. 13—57, № 5—6, გვ. 9—22; № 7—8, გვ. 23—65; № 9, გვ. 66—102; 1874, № 1, გვ. 114—152; № 2, გვ. 161—169).

405. იგულისხმება ნიკო ნიკოლაძე.

406. დედანი დაცულია ქკლ, № 790.

407. სამარინი — იური თეოდორეს ძე სამარინი (1819 — 1876) — რუსი პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე.

408. პლეშჩევი — ალექსი ნიკოლოზის ძე პლეშჩევი (1825—1893)— ცნობილი რუსი პოეტი.

409. პიოტროვსკი — ეგნატე პიოტროვსკი. ლიტერატორი. „სოვრემენიკის“ თანამშრომელი. აქტიურ მონაწილეობას იღებდა 1861 წ. პეტერბურგის სტუდენტთა გამოსვლებში, რის გამოც ღვი კრონშტადტის ციხეში ჩასვეს. ახლო ურთიერთობა ჰქონდა კირილესთან და ნ. ნიკოლაძესთან. სრულიად ახალგაზრდამ თავი მოიკლა (ნ. ნიკოლაძე, რჩ. ნაწ., ტ. I, გვ. 109, 111).

410. Искра — სატირიკული ჟურნალი, გამოდიოდა პეტერბურგში 1859—1873 წლებში. რედ.-გამომ.—ნ. სტეპანოვი და ე. კუროჩკინი. „ისკრა“ რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების ჟურნალი იყო.

411. წერილი ინახება ქკლ, № 411.

412. ბაქსტი — გამომცემელი.

413. იგულისხმება ლუი ბლანის (ფრანგული უტოპიური სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი) წიგნი „წერილები ინგლისის შესახებ“.

414. ლაკრუა—ფრანგი გამომცემელი.

415. 1864 წ. (14) ნოემბრით დათარიღებულ წერილში ნ. ნიკოლაძე ასე სწერს პარიზიდან კრილეს: „ასე უთხარი ბაქსტს, რომ ნათარგმნი ჩისტო იქმნება-თქო, რომ თუ არ გაუშვეს, ჩემი გონორარი, რასაკვირველია, დაიკარგება-თქო და გონორარიდან 400 ფრანკს, ან რამდენათაც გაურიგდები, მე შივემ-თქო, თუ რამე შემოგითვალოს-თქო ლაკრუამ, ეს პასუხი მიცეს, რომ საქმე ნიკოლაძის არის-თქო, და ამის გონორარიდან მოგცემ რამდენათაც გავიროგდება-თქო. ზომ გაიგე, რას გეუბნები? თუ ძმა ხარ, გაისარგე, და მალე გარდაეცი ეს ბაქსტს“ (დედანი ინახება. ქკლ, № 757).

416. ამ წერილის მეორე ფურცელის v-ზე ვკითხულობთ: «Петербург, Ки-



რილუ Бежановичу Лордкипანიძე на Василевском острове, на углу среднего проспекта и набережной Малой Невы, в дом Жукова, кв. 13».

417. დედანი ინახება ქკლ, 756.

418. პიპინი — ა. ნ. პიპინი პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი. ჩერნიშევსკის ნათესავი და მეგობარი.

419. იგულისხმება ჩერნიშევსკი, იხ. შენიშვნა 208.

420. „გამოშვებულ ადგილებში“ იგულისხმება ცენზურის მიერ ამოღებული ადგილები ჩერნიშევსკის თხზულებიდან (ამის შესახებ იხ. დ. გამეზარდაშვილის წინასიტყვაობა წიგნისა „ნიკო ნიკოლაძე, თხზულებანი“, ტ. 1, თბ., 1962, გვ. 26).

421. კ. ლ-ძის, როგორც ჩანს, სათანადო დახმარება აღმოუჩენია ნ. ნიკოლაძისათვის. 1868 წ. გამოიცა ჩერნიშევსკის თხზულებათა I ტომი, რომლის რედაქტირება და წინასიტყვაობა ნიკოლაძეს ეკუთვნის.

422. აღხაზოვი — პეტრე ალხაზიშვილი — ნიკოლაძისა და კ. ლ-ძის სტუდენტობის დროინდელი ამხანაგი. სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში, შემდეგ-პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. სტუდენტთა გამოსვლებში მონაწილეობის გამო დაპატიმრებული იყო კრონშტადტის ციხეში (კ. მეტეღია, თერგდალეულები..., გვ. 95, 159, 177, 179).

423. დედანი ინახება ქკლ, № 730; წერილი ხელმოუწერელია.

424. იგულისხმება გერასიმე კალანდარიშვილი.

425. დედანი ინახება ქკლ, № 795; წერილი ხელმოუწერელია.

426. იგულისხმება კ. ლ-ძის 1870 წ. 10 მარტით დათარიღებული წერილი, იხ. აქვე, გვ. 81—85.

427. იგულისხმება 1870 წ. „დროების“ მე-16 ნომერი.

428. დედანი ინახება ქკლ, № 730. წერილი ხელმოუწერელია.

429. იგულისხმება კ. ლ-ძის სტატია „წიგნი მიწერილი მეგობართან“ „ცივისელის“ ხელმოწერით („დრ.“ 1870, № 36).

430. დუბელირი — თბილისში დაარსა სტამბა, „დროებისა“ და „კრებულის“ ბეჭდვა ამ სტამბაში დაიწყო.

431. დედანი ინახება ქკლ, № 728, წერილი დაწერილია ლია ბარათზე, რომელსაც ასეთი მისამართი აწერია: «Спб. На Петербургской стороне, по Татарскому переулку, в д. № 10, кв. 2.»

432. ტობერი — პეტერბურგის მაცხოვრებელი, მეკრავი.

433. დედანი ინახება ქკლ, № 754.

434. ლევაშოვი — ვლადიმერ ვასილის ძე ლევაშოვი — კუთხისის სამხედრო გუბერნატორი.

434. კრემერი — ბანკირი.

434. დედანი ინახება ქკლ, № 782.

437. პალაშკოვსკი — სერგეი იავგორის ძე პალაშკოვსკი — ინჟინერი. 80-იან წლებში ის და ნ. ნიკოლაძე ერთად მუშაობდნენ პეტერბურგში რკინიგზის სამმართველოში. 1886 წ. მათ წარუდგინეს მთავრობას ინდოეთის დიდი გზის პროექტი, მაგრამ ალექსანდრე III-მ არ დაამტკიცა. მათვე ეკუთვნით ფოთის ნავთსადგურის პროექტი და აშენების ინიციატივა.

438. დედანი ინახება ქკლ, № 784. დაწერილია გაზეთ „ობზორის“ ოფიციალურ ბლანკზე.

439. ონჯოპ — ლიტერატურული და პოლიტიკური გაზეთი. გამოდიოდა თბილისში 1873—1883 წლებში, 1878 წელს — კვირაში სამჯერ, ხოლო 1878 წლიდან — ყოველდღიურად. რედაქტორი — ნ. ნიკოლაძე. ადმინისტრაციული ნაწილია ხელმძღვანელი — იზმალოვი. 1879 წ. მთავრობისათვის მიუღებელი იუვენების გამო გაზეთის გამოშვება შეწყდა 8 თვის განმავლობაში. თანამშრომლები: გ. უსპენსკი, მ. ანტონოვიჩი, ნ. სიმბირსკი, ანრი რიშფორი და სხვანი.

440. ოგოსტ კონტი (1798—1857) — ფრანგი ფილოსოფოსი სოციოლოგი.

441. შაბუროვი — სოლომონ შაბუროვი — ქუთაისის მაცხოვრებელი, ვაჟარი (ნ. ნიკოლაძის არქივი, № 53—57, 64, 68, 74, 165, 166; 169—171; 53—157, 159, 160).

442. ფრენკელი — ალექსანდრე სამოელის ძე ფრენკელი — ეურნალისტი, განათლებით იურისტი. 1883 წლიდან სცემდა თბილისში ეურნალს „იურიდიჩესკოე ობზრენიე“. 1877—1887 წლებში თანამშრომლობდა გაზეთ „ობზორში“.

443. დედანი ინახება ქკლ, № 765. დაწერილია გაზეთ „ობზორის“ ოფიციალურ ბლანკზე.

444. დედანი ინახება ქკლ, № 798.

445. იგულისხმება გიორგი ნიკოლაძე (1888—1931) — გამოჩენილი მათემატიკოსი და საბჭოთა ალკინიზმის ფუძემდებელი.

446. ნ. ნიკოლაძეს პირველ ცოლთან — ბოგომილა ზემიანსკაიასთან ორი ქალიშვილი ჰყავდა. უფროსი ადრე ბავშვობაში გარდაიცვალა, ხოლო მეორე — ინო, რომელიც 1877 წ. დაიბადა, შემდეგში ცოლად გაჰყვა ფრანგ გენერალ კოკეს. მეორე ცოლთან — ოლგა ალექსანდრეს ასულ გურამიშვილთან (1855—1940 — საზოგადო მოღვაწე) ნ. ნიკოლაძეს 1884 წ. შეეძინა რუსუდანი (ამჟამად პროფესორი — ქიმიკოსი), 1895 წ. კი — თამარი (გარდ. 1939 წ. — ფიზიოლოგი, დოცენტი).

447. დედანი ინახება ქკლ, № 809.

448. „ქილილა და დამანა“ — მსოფლიოში ძალზე გავრცელებული ლიტერატურული ძეგლი, იგავარაყული უანრის. მის სამშობლოდ ითვლება ინდოეთი. VI ს-ში დამუშავდა ფალაურ ენაზე, ხოლო VIII-ში შეიქმნა მისი არა-

ბული რედაქცია, რომლიდანაც ითარგმნა მრავალ სხვა ენაზე. ქართულად არსებობს ამ ნაწარმოების 3 სრული რედაქცია: 1. დავითის (თეიმურაზ I-ის შამის). 2. ვახტანგ VI-ის და 3. სულხან-საბა ორბელიანის. „ქილილა და დამანა“ პირველად გამოიცა 1886 წ.

449. ირაკლი ლორთქიფანიძე — ი რ ა კ ლ ი ი ო ს ე ბ ი ს ძ ე ლ ო რ - თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე (გარდ. 1882 წ.) — საზოგადო მოღვაწე, ქუთაისის ბანკის ერთ-ერთი დამფუძნებელი („შრ“, 1882, 1, 6, № 1; გვ. 3).

450. დედანი ინახება ქკლ, № 808.

451. დ. გურამიშვილის „დავითიანი“ პირველად გამოიცა 1870 წ. ბ. ბერძენიშვილის, პ. უმიკაშვილისა და გ. წერეთლის წინასიტყვაობთ, ხოლო მეორედ — 1881 წ. პ. უმიკაშვილის წინასიტყვაობით: „დავით გურამიშვილი და იმისი დავითიანი“.

452. ბარათაშვილის ლექსები ცალკე წიგნად პირველად გამოვიდა 1876 წ.

453. დედანი ინახება ქკლ, № 984.

454. იგულისხმებან ი კ ო ნ ი კ ო ლ ა ძ ე .

455. იგულისხმება პ ე ტ რ ე უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი .

456. იგულისხმებიან ს ე რ გ ე ი და ი ე ა ნ ე მ ე ს ხ ე ბ ი .

457. ივანოვი — ვ. დ. ი ვ ა ნ ო ვ ი — საკუთარი ინიციატივითა და ხარჯებით თბილისში გახსნილი ჰქონდა ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

458. დედანი დატულია ქკლ, № 983.

459. ილია შირიანის ძე ჭყონია — საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი, ქართული წიგნების გამომცემელი. გაზ. „მეურნეს“ რედაქტორი 1895—1898 წლებში.

460. მეურნე — 1888—1898. სამეურნეო გაზეთი. გამოდიოდა კვირაში ერთხელ თბილისში 1888—1894 წლებში, ხოლო 1895—1898 წწ.ში—ქუთაისში. რედაქტორ-გამომცემლები: ვასილ სულხანიშვილი (1888—1894); ილია ჭყონია (1895—1898).

461. დედანი ინახება ქკლ, № 465.

462. მიულერი — ფ რ ი დ რ ი ხ მ ი უ ლ ე რ ი (1834—1898) — ავსტრიელი ეთნოგრაფი და ენათმეცნიერი. ვენის უნივერსიტეტის პროფესორი.

463. ბოდენშტედტი — ფ რ ი დ რ ი ხ ბ ო დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი (1819—1892). გერმანელი მწერალი, მთარგმნელი, ჟურნალისტი.

1841—1843 წლებში ბოდენშტედტი იყო შინა მასწავლებლად თავად გოლიცინის ოჯახში, მოსკოვში, შემდეგ ასწავლიდა თბილისის გიმნაზიაში. თბილისში ის სწავლობდა აღმოსავლურ ენებს აზერბაიჯანელ პოეტთან—მირზა-შაფი ვაზეხთან. პირადად იცნობდა ტოლსტოის, ლერმონტოვის, ტურგენევის, ნეკრასოვის, გერცენის, ტიუტჩევის. გადათარგმნა რუსი პოეტების ბატოუშკოვის, პუშკინის, ლერმონტოვის, ფეტისა და სხვათა ლექსები.

469. მირზა — შ ა ფ ი- ვ ა ზ ე ხ ი (1796—1852) — აზერბაიჯანელი პოეტი, განმანათლებელი. 40-იანი წლების დასაწყისში ცხოვრობდა თბილისში. ას-წავლიდა აზერბაიჯანულ და სპარსულ ენებს თბილისის სამაზრო სკოლაში. თბილისში დააარსა ლიტერატურულ-ფილოსოფიური ე. წ. „სიბრძნის წრე“. თავის სატირკულ ლექსებში ის მძაფრად აკრიტიკებდა სამღვდლოებას, შა-ჰების დესპოტიზმს, ყოველგვარ უსამართლობას. 1850 წ. ბოდენშტედტმა მირ-ზა-შაფის ლექსები შეიტანა თავის ნაწარმოებში „ათას ერთი დღე აღმოსავ-ლეთში“. ხოლო 1 წლის შემდეგ ცალკე წიგნად გამოქვეყნდა მირზა-შაფის ლექსები, რომელთა მითვისებასაც იგი ცდილობდა. მირზა-შაფის ლექსების ამ კრებულმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. მრავალჯერ იქნა გამოცე-მული და ითარგმნა სხვადასხვა ენაზე..

465. პუშკინი — ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ე რ გ ი ს ძ ე პ უ შ კ ი ნ ი (1799—1837)—დიდი რუსი პოეტი.

466. ლერმონტოვი — ი უ რ ი მ ი ხ ე ი ლ ი ს ძ ე ლ ე რ მ ო ნ ტ ო ვ ი (1814—1841) — დიდი რუსი პოეტი.

467. ბროსე — მ ა რ ი ფ ე ლ ი ს ი ტ ე (1802—1880) — ფრანგი ორიენ-ტალისტი, ქართველოლოგი. დ. ჩუბინაშვილთან და ზ. ფალავანდიშვილთან ერთად გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“ (1841).

468. იგულისხმება ივანე მაჩაბელი.

469. ორბელიანი — გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი (?) — იხ. შ ე ნ ი შ ვ ნ ა 300.

470. დარვინი — ჩ ა რ ლ ზ ო ბ ბ ე რ ტ დ ა რ ვ ი ნ ი (1809—1882) — ინგლისელი დიდი ბუნებისმეტყველი.

471. დედანი ინახება ქკლ, № 850.

471ა. დედანი ინახება ქკლ, № 851.

472. იხ. „დრ“, 1873, № 6, გვ. 1.

473. ეფიანჯინცი — ე ნ ფ ი ნ ჯ ი ა ნ ც ი — მესტამბე.

474. იგულისხმება სულხან-საბა ორბელიანის „წიგნი სიბრძნე სიცრუისა, თქმული სულხან-საბა ორბელიანის აგან. გამოცემა მეორე, სრული პეტრე უმიკაშვილისა, ტფილისი, ენფინჯიანცის და დებე-ლორნას (წერეთლის და ამხ.) სტ. 1871“.

475. იგულისხმება „წიგნი სიბრძნე სიცრუისა, ნათქვამი საბა-სულ-ხან ორბელიანის აგან უამსა სიკბუქისა მისისა. სანკტ-პეტერბურ-ლი, სამეცნიერო აკადემიის სტ. 1859“.

476. დედანი ინახება ქკლ, № 858.

477. თულაშვილი — ვ ა ხ ტ ა ნ გ დ ი მ ი ტ რ ი ს ძ ე თ უ ლ ა შ ვ ი ლ ი (1834—1910) — საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი.

478. ნ. ცხვედაძის წერილის ბოლოს ი. გოგებაშვილის მინაწერია:

„რვეულები ჩვენ ისეთი ყურადღებით ვერ გადავიკითხეთ, რომ თქვენთვის თავიდან მოგვეშორებინა შრომა შესახებ ცოტაოდენი ცვლილებისა ენაში. ამ ცვლილებაზე ჩვენ თბილისშივე მოვილაპარაკეთ. საჭიროთ დარჩება შიგა და შიგ სახელი არსებითების და ნაცვლად სახელების წაშლა და ზოგიერთი ტერმინების შეცვლა. სხვა გვარი ცვლილებანი ენაში უდროდრო და მოუხერხებელი იქნებიათ. ზოგიერთი სტატიის ენა მე თვითონ არ მომწონს, რადგანაც გამოხატულებას აკლავ თავისუფლება და კარტინული თვისება; მაგრამ ეს ნაკლოვანება მხოლოდ მეორე გამოცემისათვის მოიხსნება. თქვენი ა. გოგებაშვილი.

ძალიან საჭიროა ჩემთვის ორი წიგნი: *Детские рассказы и стихотворения Водовозовой и Хрестоматия Васильева*, с книгою для учителей, изд. 1837 года, ძალიან დამავალბებ, თუ ამ ორ წიგნს ვართანთვის მალაზიაში მიყიდით და ჩქარა გამომიგზავნით, ფასს, რასაკვირველია, მიიღებთ ჩემგან.

„ი. გოგებაშვილი“

479. დედანი ინახება ქკლ, № 903.

480. დედანი ინახება ქკლ, № 877.

481. იგულისხმება კ. ლ-ძის [1867] წლის 19 იანვრით დათარიღებული წერილი, აქვე, გვ. 110—135.

482. იგულისხმება გაზეთ „დროების“ რედაქტორობა.

483. იგულისხმება ნიკო ნიკოლაძე.

484. დედანი ინახება ქკლ, № 1069.

485. წერილს თან ახლავს ს. ხუნდაძის სამი ლექსი: „ძეგლი (შოთა რუსთაველს)“, „მაძლარი პოეტი (ვუძღენი ი. ჭ.-ს)“ „და „მეხრე“.

486. დედანი ინახება ქკლ, № 1061.

487. დედანი ინახება ქკლ, № 1062.

488. დედანი ინახება ქკლ, № 1054.

489. შთავრთვილი — თ ო მ ა ა ბ რ ა მ ი ს ძ ე მ თ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი — მთარგმნელი, ქუთაისის წაგნების გამომცემელი ამხანაგობის გამგეობის წევრი. თანამშრომლობდა „დროებაში“, „ჭეჭილში“, „ივერიაში“. მისი ფსევდონიმებია: „კახელი თომა“, „ზიარელი, თ“.

490. აღექსი მირიანაშვილი (1860—1925)—ცნობილი პედაგოგი. სახალხო მასწავლებელი, პუბლიცისტი, მწერალი. იგი არის ავტორი მრავალი პედაგოგიური, პუბლიცისტური, სამეცნიერო-პოპულარული შრომის, საბავშვო წოთხრობებისა და წიგნების.

491. გ. ქართველიშვილი — გ ი ო რ გ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ი (1827—1901) — მეცენატი, ქველმოქმედი, ვეფხისტყაოსნის გამომცემელი (1888 წ.).

492. დედანი ინახება ქკლ, №1055.

493. დედანი ინახება ქკლ, № 1073.

494. პეტრე მელიქიშვილი (1850—1927) — ცნობილი ქიმიკოსი, სსრკ მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, თბილისის უნივერსიტეტის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და მისი პირველი რექტორი.

495. დედანი ინახება ქკლ. № 1070.

496. იოსებ სულხანიშვილი — მწერალი, პუბლიცისტი, წერდა ისტორიული და სამეურნეო ხასიათის სტატიებს. თანამშრომლობდა ძირითადად „სა-სოფლო გაზეთში“.

497. დედანი ინახება ქკლ, № 1072.

498. დედანი ინახება ქკლ, № 1071.

499. ს. წერეთელი — ს ი მ ო ნ წ ე რ ე თ ე ლ ი — კ. ლ-ძის ახლო ამხანაგი. როგორც დ. ლოლობერიძის საარქივო მასალებიდან ჩანს, ს. წერეთელი ეწეოდა აქტიურ რევოლუციურ მუშაობას (ვლ. სიფრაშვილი, ხალხოსანი რევოლუციონერი (ახალი მასალები დ. ლოლობერიძეზე, „თბილისი“, 1962, 3/III გვ. 2).

500. დ. სარაჯოვი — დ ა გ ი თ ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი (1845—1911) — მეწარმე, ქველმოქმედი.

501. ბაქრაძე კოტე — ქუთაისელი მოღვაწე. 1908 წ. იგი იყო რედაქტორ-გამომცემელი ყოველკვირეული გაზეთისა „ფარი“, რომელიც ქუთაისში გამოდიოდა.

- აბაშიძე ს. ი. 56, 118, 217  
 აბდუშელიშვილი (აბდუშელი) დ. ნ. 165, 239  
 ალაიძე ნიკო 156  
 ალაიძე ნოშრევეანი 157  
 აღეჟსი-მესხიშვილი ვ. ს. 146, 200  
 აღსაზიშვილი პ. 168, 249  
 ანდრეეესკი ი. ე. 58, 218  
 ანდრონიკაშვილი მ. 126, 241  
 ანტონოვი ზ. ნ. 95, 129, 234  
 ანტონოვი ნ. ი. 70, 74, 77, 85, 100, 168, 174, 177, 223  
 ანტონოვიჩი მ. ა. 103, 234  
 აფხაზი ა. 98, 112—114, 116, 117, 189, 234  
 ახვლედიანი ნ. 133, 179, 242  
 ბაბილოვი 156  
 ბაზენი 161, 247  
 ბაზუნოვი 68, 73, 74, 81  
 ბარათაშვილი ნ. მ. 95, 118, 121, 181, 199, 233  
 ბატონიშვილი ს. 65, 221.  
 ბაქრაძე დ. ზ. 64, 73, 177, 219  
 ბაქრაძე დ. ნ. 126, 165, 241  
 ბაქრაძე კ. 181, 254  
 ბაქსტი 166, 248  
 ბეზუთოვი კ. ა. 106, 133, 236  
 ბეზურიშვილი ბ. გ. 71, 139, 224  
 ბეთანიშვილი მ. 68, 70, 71, 74, 84, 85, 88, 104, 174, 186, 196, 222  
 ბეჟეტოვი ა. ნ. 58, 219  
 ბერენშტამი თ. გ. 69, 73, 81, 190, 192, 223  
 ბერძენიშვილი ნ. გ. 80, 228  
 ბილფელდი 72, 73  
 ბლადოვეშჩენსკი ნ. მ. 58, 218  
 ბოდენშტედტი ფრ. 184, 251  
 ბროსე მ. 185, 252.  
 გაბაშვილი (ბესიკი) 121, 240.  
 გადოლინი ა. ვ. 58, 219  
 გამბეტა 161, 247  
 გინცბურგ 170  
 გოგებაშვილი ი. ს. 58, 72, 76, 79, 80, 108, 146—150, 187—201, 252, 253  
 გორლოვი ი. ი. 58, 218  
 გრინველი ქ. 138—140  
 ვურამიშვილი დ. 121, 240  
 ვურთელი მ. დ. 171, 231  
 დიდიანი დ. ე. 151, 152, 201  
 დარჩინი ჩ. 186, 252  
 დობროლუბოვი ნ. ა. 103, 234  
 დუბელინი 143, 174, 249  
 ენფინჯიანცი 187, 252  
 ერისთავი ა. 157, 245  
 ერისთავი გ. დ. 95, 234  
 ერისთავი დ. გ. 108, 133, 197, 236, 237  
 ერისთავი რ. დ. 65, 118, 152, 193, 201, 202, 221  
 ყრლანგერ 175  
 ვინკენ 170  
 ვოლსკი გ. ი. 152—154; 202  
 ზარაფოვი სტ. 158, 159, 172, 173, 246  
 თაყაიშვილი 137  
 თეალკრელიძე პ. ი. (ცახელი) 154, 155, 203  
 თულაშვილი ვ. დ. 188, 252.  
 თუმანიშვილი ა. მ. 154, 155, 203  
 თუმანიშვილი ე. 55, 63, 98, 217  
 თუმანიშვილი მ. ბ. 121, 240  
 თუმანიშვილი პ. 93, 171, 233  
 ინაშვილი 146  
 ინაშვილი (ინაძე) ნ. 82, 87, 104, 139, 172, 174, 228  
 ინაძე ა. 155, 183

- იოსელიანი ეგ. 106, 174, 198, 236  
 იოსელიანი ეს. 163, 248  
 კაველინი კ. დ. 58, 218  
 კალანდარიშვილი გ. ს. 65, 66, 68, 74, 76,  
 103, 108, 128, 155, 156, 169, 204  
 კალინოვსკი ბ. თ. 58, 219  
 კელერი 170  
 კერესელიძე ი. ი. 156, 164, 204, 205  
 კვიციანი 60  
 კლდიაშვილი კ. 125, 126, 240  
 კონტი 177, 250  
 კორსაკოვი 197  
 კოსტამაროვი ნ. ი. 58, 217  
 კრემერი 176, 249  
 ლაისტი ა. 148, 149, 244  
 ლაქტუა 167, 248  
 ლევაშოვი ვ. ე. 175, 249  
 ლესინგი 94, 233  
 ლესსერი რ. 167  
 ლოლუა ლ. 74, 93, 171, 226  
 ლორთქიფანიძე ა. 156, 157, 194, 197, 198,  
 205  
 ლორთქიფანიძე გრ. ბ. 53—61, 63, 64, 97—  
 99, 201, 214  
 ლორთქიფანიძე დ. ა. 158, 246  
 ლორთქიფანიძე ე. დ. 108, 109, 158, 205  
 ლორთქიფანიძე ელ. ბ. 56, 57, 59, 60, 63,  
 217  
 ლორთქიფანიძე ეფ. ბ. 56, 57, 59, 63, 217  
 ლორთქიფანიძე ი. ი. 181, 251  
 ლორთქიფანიძე ნ. მ. 54, 215  
 ლორთქიფანიძე ს. ბ. 56, 57, 63, 217  
 ლოსეიცი 58  
 მაკ-შაჰონი 161, 247  
 მაქულაშვილი ი. 59  
 მარგო 54, 215  
 მალალაშვილი ლ. 126, 241  
 მანაბელი ვ. გ. 136, 138—140, 142, 145, 243  
 მანაბელი ი. გ. 158, 159, 185, 206  
 მელიქიშვილი პ. გ. 197, 254  
 მელიქიშვილი სტ. გ. 146, 244  
 მესხი დ. ს. 126, 247  
 მესხი ი. ს. 66, 69, 81, 84, 85, 97, 104, 162,  
 183, 221  
 მესხი კ. ს. 126, 247  
 მესხი ს. ს. 66, 85, 87, 88—97, 99, 101,  
 103—105, 108, 133, 158—163, 170,  
 171, 174, 183, 199, 206, 207  
 მუხარბია ი. მ. 163, 207  
 მთავრიშვილი თ. ა. 193, 253  
 მიზანდარი ა. 126, 240  
 მირიანაშვილი ა. 193, 253  
 მიჩხა-შაფი (ვახუხი) 184, 252  
 მიულერი ფრ. 184, 251  
 მიქელაძე დ. (მეველე) 161, 199, 246  
 მიქელაძე ს. დ. 98, 182, 234  
 მიქელიანი 190  
 მოენიძე ზ. (იხ. ფურცელაძე ა)  
 მჭედლიძე ე. (ბოსლეველი) 135, 152—154,  
 181  
 მჭეიძე ს. 152  
 ნაზარიშვილი დ. 85, 86, 229  
 ნიკოლაძე ა. ი. 163, 164, 207, 208  
 ნიკოლაძე ვ. ი. 93, 169, 170, 175  
 ნიკოლაძე ი. მ. 93, 99, 124, 165, 170, 171,  
 232  
 ნიკოლაძე ნ. ი. 70, 71, 74—78, 80, 81, 84,  
 85, 87—108, 143, 146, 156, 157, 160, 161,  
 164—182, 191, 208, 209  
 ორბელიანი გრ. 121, 185, 240  
 ოქრომქედლიშვილი ი. ლ. 126, 241  
 პავლოვი პ. ვ. 58, 217  
 პალაშოვსკი ს. ი. 176, 250  
 პიეტროვსკი ეგ. 165  
 პაპინი ა. ნ. 168, 182, 249  
 პლემჩევი ა. ნ. 165, 248  
 პოლტარაძე ი. 54, 185, 197, 215  
 პრუდონი 94, 233  
 პუზირევსკი ბ. ა. 58, 213  
 პუშკინი ა. ს. 185, 252  
 ყუგოვსკი ვ. ა. 103, 185, 235  
 ვლენტი ბ. 171  
 რომანოვი მ. ნ. (დიდი მთავარი) 65, 220  
 რონჩევსკი 139  
 სამარინი ი. თ. 165, 248  
 სარაჯიშვილი დ. 254  
 სარაჯიშვილი ვ. 72, 73, 226.  
 სენენოვი ი. მ. 58, 219  
 სიმონოვი 70  
 სიმონოვიჩი 98



- სოვეტოვი ა. ვ. 58, 219  
 სოკოლოვი ნ. პ. 58, 218  
 სომოვი ი. ი. 58, 219  
 სპასოვიჩი ვ. დ. 58, 218  
 სტასულევიჩი მ. მ. 58, 217  
 სულხანიშვილი ი. 197, 254  
 ტენი ი. 94, 233  
 ტიბლენი 176, 177  
 ტობერი 174, 176, 249  
 უმიკაშვილი პ. ი. 66, 72, 73, 77, 80, 103, 106—108, 146, 155, 172, 181—183, 187, 188, 191, 205  
 უტინი ბ. ი. 56, 218  
 ფამინცინი ა. ს. 58, 218  
 ფიცხელაური მ. 72, 226  
 ფრენკელი ა. ს. 179, 250  
 ფურცელაძე ა. 90, 182, 231  
 ქართველიშვილი გ. 195, 253  
 ქვარიანი პ. 54, 107  
 ქიქოძე მ. 95  
 ქოჩაქიძე გ. მ. (ქალაღიდელი) 90, 104, 182, 183, 209, 210  
 ჭუთათელაძე ნ. 69, 102  
 ღამბაშიძე დ. 104, 235  
 დოლობერიძე ბ. ლ. 55, 63, 127, 216, 217  
 დოლობერიძე დ. ბ. 53, 55, 63, 64, 127, 214  
 დოლობერიძე ნ. ბ. 54—56, 59, 64, 73, 97, 99, 112—114, 116, 117, 122, 123—127, 149, 177, 179, 189, 191, 215  
 დოლობერიძე ს. ბ. 54, 205  
 ყაზბეგი გ. ნ. 72, 73, 108, 126, 226  
 ყიფიანი დ. ქ. 155, 245  
 ყიფიანი დ. 108, 133, 185, 236  
 ყიფიანი ე. დ. (იხ. ლორთქიფანიძე ე.)  
 ყიფიანი ნ. ბ. 146, 244  
 შაბურაძე ს. 179, 180, 250  
 ჩარეჭიშვილი პ. 126, 155, 240  
 ჩეხიშვილი პ. ლ. 58, 219  
 ჩერნიშევსკი ნ. გ. 94, 103, 168, 179, 180, 233.  
 ჩიქოვანი გ. ა. 133, 242  
 ჩიჭავაძე (ლორთქიფანიძე) დ. 56, 57, 59, 63, 217  
 ჩიჭავაძე ნ. 55, 56, 59—64, 157, 215  
 ჩოლოყაშვილი ა. 126, 241  
 ჩომახიძე ს. 66, 156, 221  
 ჩუბინიშვილი დ. ი. 73, 119—122, 126  
 ჩხეიძე 126  
 ცაგარელი ა. ა. 80, 84, 94, 140, 183—188, 210  
 ცაგარელი მ. 187  
 ცხედაძე ნ. ზ. 188, 189, 210, 211  
 წერეთელი აკ. 64, 90, 105, 109, 110, 117—120, 147, 148, 163, 164, 220  
 წერეთელი გ. ე. 55, 63, 68, 70, 71, 73, 76, 77, 80, 84, 87, 89, 95, 104, 107, 108—132, 138, 143, 162, 186, 187, 189—191, 211, 212  
 წერეთელი გრ. 126  
 წერეთელი ექ. 67, 79, 190  
 წერეთელი ს. 166, 254  
 წულუკიძე დ. 126, 241  
 ჭავჭავაძე ა. გ. 95, 121, 240  
 ჭავჭავაძე ი. 73, 83, 95, 106, 117—119, 121, 125—135, 147, 149, 150, 163, 234, 242  
 ქალაღიდელი (იხ. ქოჩაქიძე გ.)  
 ჭიქინაძე ა. ბ. 135, 243  
 ჭყონია ი. მ. 183, 251  
 ხამაშურიძე ბ. 68, 69, 74, 75, 114, 125, 127, 168, 169, 190, 191, 222.  
 ხუნდაძე ს.თ. 135, 191—193, 212.  
 ჩანადარი ა. გ. 126, 193—195, 212, 213  
 ჭავჭავაძე ივ. 196, 213, 214  
 ჭამბაქურ-ორბელიანი ა. ვ. 72, 138—140, 182, 187, 188—190  
 ჭათარია ბ. 71, 196—199, 214

## შემოკლებათა განმარტება.

ქ კ ლ: აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, კირილე ლორთქიფანიძის პირადი საარქივო ფონდი.

ხ ე ლ ნ ა წ ე რ თ ა ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი, სმ: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, სურგეი მესხის პირადი საარქივო ფონდი.

ხ ე ლ ნ ა წ ე რ თ ა ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი, აწ: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, აკაკი წერეთლის პირადი საარქივო ფონდი.

ხ ე ლ ნ ა წ ე რ თ ა ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი, გწ: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, გიორგი წერეთლის პირადი საარქივო ფონდი.

ხ ა ლ ნ ა წ ე რ თ ა ი ნ ს ტ ი ტ უ ტ ი, იქ: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი.

ქ. მ ე ძ ვ ე ლ ი ა, თ ე რ გ დ ა ლ ე უ ლ ე ბ ი: კონსტანტინე მეძველია, თერგდალეულეები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერი მოღვაწეები, ნაწილი, I, თბ., 1959.

ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, მასალები: მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის, თბ., 1949.

„ღ რ“: „ღროება“.

„ო ვ“: „ოვერია“.

„ქ ე“: „ქვალი“.

„კ რ“: „კრებული“.

„მ ნ“: „მნათობი“.

„მ წ ე“: „მწეემსი“.

„ს ა ს გ“: „სასოფლო გაზეთი“.

„ს ა ქ მ“: „საქართველოს მოამბე“.

„ც ი ს“: „ციისკარი“.

„ც ნ ფ“: „ცნობის ფურცელი“.

„შ რ“: „შრომა“.

„ჩ ო ნ გ“: „ჩონგური“.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	3
კირილე ლორთქიფანიძის წერილები	53
სხვათა წერილები კ. ლორთქიფანიძისადმი	146
შენიშვნები	200
I წერილების ავტორები	200
II წერილთა კომენტარები	214
პირთა სახელების საძიებელი	255
შემოკლებათა განმარტება.	258

ЭЛИСО МИХАЙЛОВНА АБРАМИШВИЛИ

МАТЕРИАЛЫ ОБ ОБЩЕСТВЕННОЙ И КУЛЬТУРНОЙ  
ЖИЗНИ ГРУЗИИ 60—90 ГГ. XIX ВЕКА

(на грузинском языке)

ИБ 1697

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნ. კანდიდატი მ. ქავთარია  
უმცროსი მეცნ. თანამშრომელი რ. კავილაძე

გამომცემლობის რედაქტორი ა. ნათიშვილი  
ტექნორედაქტორი ნ. თაყაიძე

გადეცა წარმოებას 6.2.1981; ხელმოწერილია დასაბეჭდად 13.7.1981;  
ქალაქის ზომა 60X90<sup>1</sup>/<sub>61</sub>; ქაღალდი № 2; ნაბეჭდი თაბახი 19,5  
საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 15,1;  
უფ. 01142; ტირაჟი 2000; შეკვეთა № 434;  
ფასი 1 მან. 80 კაპ.

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мсцниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

---

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19